საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო და თბილისი – შიგ ჩასმული ბადახში

# თბილისელები®

www.tbiliselebi.ge

№12 18-24 მარტი * ფასი 1,50 ლარი



გვ. 14

რისთვის ამზადებს ავთანდილი ქალიშვილს და როგორ ვითარდება მისი კარიერა

გვ. 54

იყო თუ არა შორენა ბეგაშვილი ლონდონში გენო მალაზონიასთან, აქვს თუ არა მაისში ნიშნობა რუსა ჩაჩუას და ვისთან ჩადის კიევში ქრისტინე იმედაძე



გვ. 19

სად იგრძნო თავი ნამდვილ ვარსკვლავად ბექა ელბაქიძემ და როგორ იქცა ნაპო ელგანო საბჭოთა „კაგებეშნიკად“



გვ. 47

რა აკავშირებს გიგა კვენეტაძეს ფილიპ კირკოროვთან და იმღერებს თუ არა მის სიმღერას დიმა ბილანი



გვ. 51

როდის ჰქონდა „ჩაკეტვის“ პერიოდები გიგი დედალამაზიშვილს და რას არ აუკრძალავს ის მეუღლეს არასდროს



რის გაკეთება მოსთხოვა თბილისში ჩამოსულ ვინი ჯონსს ნიკა ხომასურიძემ

გვ. 38



გვ. 39

რამ შეცვალა ნათია მონტგომერის ცხოვრება რადიკალურად და რა სიურპრიზებს უწყობდა მას ამერიკელი მეუღლე



გვ. 35

როგორ აღმოჩნდა თემიკო ჭიჭინაძე სერიალში „ჩემი ცოლის დაქალები“ და რაში არ ზღუდავს ის შვილს

ჟურნალ „თბილისელებთან“ ერთად წიგნის ფასი

წიგნი 8.50 + ჟურნალი 1.50 = 10 ლარი

ჟურნალის გარეშე წიგნის ფასი – 15 ლარი

მსოფლიო საყმაწვილო ლიტერატურის ანთოლოგია




II ტომი

## მარხვის მადლმა გაგაძლიეროთ!

# ს ა რ ჩ ე ვ ი


აქვთ თუ არა დასაქმებულ მოქალაქეებს ჯანდაცვის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამით სარგებლობის უფლება და და სად უნდა დარეკოთ, თუკი სამედიცინო დაწესებულებამ უარი გითხრათ უფასო სამედიცინო მომსახურების გაწევაზე ........... 6



რატომ გახდა საქართველოში მისაღები ქუჩის მეტყველება, როგორ გაახალგაზრდავდა გინების დაწყების ასაკი და რატომ გვაწუხებს დაუხარჯავი უწმაწური სიტყვების მარაგი ............... 8

როგორ მოხვდნენ ვალერი მელაძე და თამარ გვერდწითელი დემოგრაფიული ფონდის სამეურვეო საბჭოში და რატომ ვერ უჩენს ოჯახს ბევრი შვილის ყოლის სურვილს კეთილდღეობა ........................ 10

როგორ ამთავრებენ სიცოცხლეს დიქტატორები .............................................. 12

რომელი ბიზნესით დაიწყო კარიერა დავით იაკობაშვილმა და რა აკავშირებს მას საქართველოს ყოფილ ელჩთან ამერიკის შეერთებულ შტატებში – თემურ იაკობაშვილთან .......................... 13

ჰქონდა თუ არა კავშირი სამხედრო ხუნტასთან ახალ რომის პაპს – ფრანცისკს და რა აზრი აქვს მას სომხების გენოციდთან დაკავშირებით ..................... 15

ადვოკატი გირჩევთ .................................... 16

რას გრძნობს „ჩამოწერილი“ ქალი და ვისთან აქვს მას სერიოზული პრობლემა ................................................. 20

როგორ იპოვა საბერძნეთში მცხოვრებმა ქართველმა ქალბატონმა ციმბირში სამუშაოდ წასული ძმა 22 წლის შემდეგ ............................................................. 21

რამ დააკომპლექსა გერმანიაში ჩასული მამუკა ღაღანიძე და როგორ გვიდა ის ტროტუარს შვილთან ერთად ................ 22

რომელი ცნობილი ტაძარი აშენდა რუსეთის იმპერიის საუკეთესო ხუროთმოძღვრის დავიდ გრიმის



პროექტით თბილისში და სად ცხოვრობდა თბილისელი არქიტექტორი ალბერტ ზალცმანი .... 23

რა ცოდვაში ვარდება ადამიანი ულოცველობის გამო და როდის ებრძვის მას ვნებიანი აზრები .......... 24

მსოფლიოს ყველაზე მაღალანაზღაურებადი სპორტსმენები „ფორბსის“ ტოპ-ათეულში ............................................ 26

ექიმის რჩევები ............................................ 29

როგორ აღმოჩნდა ბიძინა მახარაძის საწოლში სექსის დროს ბრეჟნევი ......... 30

ცვლის თუ არა ადამიანის ბედს სხვისი ნივთის ან ტანსაცმლის ტარება და რა იწვევს ღამით საცხოვრებელში ბოროტების გავრცელებას .................... 32



რას იპარავდა სკოლაში სწავლის პერიოდში ჯეიმს ფრანკო და რომელ საჩუქარზე უთხრა მან უარი სკანდალურ ლინდსი ლოჰანს........34

რის გაკეთება მოსთხოვა თბილისში ჩამოსულ ვინი ჯონსს ნიკა ხომასურიძემ და ვინ იქნება მსახიობი ქალი, რომელსაც ის ახლო მომავალში საქართველოში ჩამოიყვანს ........................ 38

რამ შეცვალა ნათია მონტგომერის ცხოვრება რადიკალურად, რომელი ქალაქით აღფრთოვანდა ამერიკაში და რა სიურპრიზებს უწყობდა მას ამერიკელი მეუღლე .............................. 39



როგორ მოხვდა თვითმფრინავში გველებთან ერთად გოჩა ლორია და როგორ შეიქმნა მისი ლეგენდად ქცეული ჰიტი „ახლა მოდაშია ჩურჩულები“.............42

როდის ჰქონდა „ჩაკეტვის“ პერიოდები გიგი დედალამაზიშვილს და რას არ აუკრძალავს ის მეუღლეს არასდროს. ............................. 51

რაში უშლიდნენ ხელს ძველი ქართველი ბოლშევიკები სტალინსა და ბერიას ..... 52

როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები ...................... 53

კოსმეტოლოგის რჩევები ........................ 55

ვინ და როგორ შეიპყრო შეიარაღებული ბანდის მეთაური მეტეხის ხიდის ქვეშ ...................................................................... 56

რატომ გამოჭრა მამამ შვილს ყელი ხერხით და რა როლი შეასრულა სასტიკ მკვლელობაში მოღალატე რძალმა ........ 58



რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს......59

ვეტერინარის რჩევები...........64

ფლორის სამყაროში......64

როგორ მოხვდა ნიკოლო მიწიშვილის სახელი დასახვრეტთა სიაში ................................................................ 65

მე – დაქირავებული მკვლელი ............... 66

ყველა კაცი ერთნაირია ........................... 70

მკვდარი ვერსია ........................................ 74

რატომ იკრავდნენ იაპონელი ქალები კიმონოს ქვეშ მკერდს და რის გამო ატარებენ ისინი ორქუსლიან ფეხსაცმელს ................................................ 78



## ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა ახობაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ზაალ ცინაძე**

**რედაქციის მისამართია:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47




**განყოფილებები**

პოლიტიკა: ნინო ხაჩიძე, თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია, ქეთი დიდებულიძე
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე

დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი
კორექტორი: ხატია ჟღენტი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: ქეთი კვინიხიძე, თამუნა ჩალაძე

მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე
ვებ-გვერდის მთავარი მოდერატორი: გუგა ახობაძე
ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მაია ფირცხალავა
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

ტელ: 239-25-52;
599 10-15-20
239-23-52

სარეკლამო სამსახური:
593 38-75-61;
239-23-53

დამფუძნებელი:
შპს „თბილისელები პლუსი“
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“

ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com; tbiliselebi2001@yahoo.com

# ტრაგედია „გმირით“

## ანუ, „ყველაფერი იყიდება“

ისე მოხდა, რომ გასული კვირის გმირი (ბუნებრივია, „გმირი“ – პირობითად, შესაძლოა, იმ კონტექსტშიც, უძაღლო ქვეყანაში კატას აყეფებდნენო) ბ-ნი ბენდუქიძე იყო (ეჭვი მაქვს, არც ამ კვირას დათმობს პირველობას), რომელიც შეწუხებულია მისი, როგორც ახალი საქართველოს განმანათლებლის, შევიწროებით. კერძოდ, საქმე ეხება აგრარული უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის შეწყვეტას, ოღონდ, იმ დრომდე, სანამ უმაღლესი სასწავლებელი შემოწმების შედეგად გამოვლენილ ხარვეზებს გამოასწორებს.

მეორე მხრივ, ბ-ნი ბენდუქიძის, რომელსაც არაერთი მაღალ-მაღალი თანამდებობა აქვს მოვლილი, ანგარიშზეა „საქართველოს შრომის კოდექსი“, რომლის ძალითაც ჩვენ, ვისაც გაგვიმართლა და დასაქმებულები ვბრძანდებით, ზუსტად ისეთივე უფლებები გვაქვს, როგორიც მონებს ჰქონდათ შუა საუკუნეებში (ბ-ნი ბენდუქიძის სხვა ნოვაციებზე აღარ შევჩერდები, არც იმაზე, ყველაფერი რომ იყიდება).



ერთი სიტყვით, განათლების სამინისტროსა და კახა ბენდუქიძის გუნდის დაპირისპირება გრძელდება: უკან არც ერთი მხარე არ იხევს (მიუხედავად ასინქრონული წონითი კატეგორიებისა). ამ საქმეში თვით პოეტი ყუბანეიშვილიც ჩაერთო, რამეთუ, დარწმუნებულია, რომ იქ, ზემოთ, „კახა ბენდუქიძე ვერ აიტანეს“. სხვათა შორის, მეტად საინტერესო მოტივსაც ასახელებს: „იმიტომ ვერ იტანენ, რომ პერსონაჟია, ვაკეში დაიბადა, პროფესორის შვილია, „მაიკაშიც“ უკეთესად გამოიყურება, ვიდრე მარგველაშვილი კოსტუმში (ბუნებრივია, ეს უკვე გემოვნების საქმეა, მაგრამ, რას გაუგებ პოეტი კაცის ფანტაზიას?!).“

თავის მხრივ, ბ-ნმა ბენდუქიძემ ბ-ნი მარგველაშვილი სატელევიზიო დებატებში გამოიწვია, ოღონდ, ამ უკანასკნელმა შეთავაზებაზე წიხლი უკრა და სავსებით (ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის) ობიექტური მიზეზით: ყველამ ვიცით, რომ ნომერ პირველ განმანათლებელ-რეფორმატორად წარმოჩენილი ბ-ნი ბენდუქიძე ბილწსიტყვაობის დიდი მოტრფიალეა და უაპელაციოდ აყენებს თანამოსაუბრეებს შეურაცხყოფას.

ამის გათვალისწინებით, ვფიქრობ, უპრიანი იქნებოდა, თუკი ბ-ნი ბენდუქიძე სარკის წინ დაჯდებოდა და ორეულს გემრიელად (ჩვეულ სტილში) შეაგინებდა: მშვენიერი დებატი გამოუვიდოდა!

ამასობაში კი სოციუმთან ურთიერთობასაც ისწავლიდა და, თუ ვერ ისწავლიდა, სარკეში მაინც ჩაიხედავდა.

# „შენ ზემოთა ხარ, მე – ქვემოთ“

## „ოდნავ გადაიხარეს“ მონატრება

შესაძლოა, იმიტომ, რომ მცირე ქვეყნის კომპლექსი გვაქვს, ან, სულაც, იმის გამო, რომ „უმცროსი ძმის“ როლს დიდხანს ვასრულებდით, თუ გულზე ხელს დავიდებთ, უნდა ვაღიაროთ, რომ დასავლეთთან ჩვენს აქამომდელ ურთიერთობას „უფროსი ძმისადმი“ მოკრძალებაც ახლდა. თუმცა, გასულ კვირას პარლამენტის თავმჯდომარემ „ევროპის სახალხო პარტიის“ წევრ ევროპარლამენტარებს (23 ერთეულ პატიოსან გვამს) წერილი მისწერა და, არც მეტი, არც ნაკლები, სიცრუეზე დაფუძნებულ განცხადებებზე ხელმოწერისგან თავის შეკავება ურჩია.

მოვიხმობ ციტატას: „სინამდვილეში, ბატონი მიხეილ სააკაშვილი და მისი გუნდი ხომ არ არის ავტორი საზოგადოების შეურაცხმყოფელი და გამთიშველი გამონათქვამებისა, როგორიცაა „მუმიები“, „ჩასარეცხები“, „კრემლის აგენტები“, „გასანადგურებელი კლასი“, „სახელმწიფოს მტრები“ და სხვა? ურჩი პარლამენტის წევრების სასიკვდილოდ გამეტებით სააკაშვილი ევროპისკენ მიმავალ კარს ფართოდ აღებდა და ამ საქმეების გამოძიების დაწყებით ახალი მთავრობა ამ კარებს ხურავს?“

მოკლედ რომ ვთქვა, ბ-ნი უსუფაშვილი ასკვნის: „თუ ესაა დემოკრატიის თქვენეული სტანდარტები და ამგვარ სტანდარტებზე დაფუძნებულ ევროპაზე გვესაუბრებით, ჩვენ ასეთ ევროპას ნამდვილად არ ვიცნობთ და არც ასეთი ევროპისკენ მივდივართ“.

ჯერჯერობით უცნობია, რა დასკვნას გამოიტანენ ევროპარლამენტარები ზემოხსენებული ეპისტოლედან, თუმცა, ჩვენებური უმცირესობა უმრავლესობას შენიშვნას აძლევს და მოძღვრავს, რომ ევროპას ასეთი ტონით არ ელაპარაკებიან. ვითომ, მხოლოდ ოდნავ გადახრილი პოზაა ჩვენთვის მოსახერხებელი, ზედაც – ოპტიმალური?!

# ყველაფრისმხედველები

## ანუ „უკუღმაა, მარა მასეა“

თუმცა საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 35 პროცენტს აქვს ინტერნეტთან წვდომა (თანაც, მათგან ყველა ვერ ახერხებს, მაშინ მისწვდეს ინტერნეტს, როცა მოესურვება), ამ ბოლო დროს პრეზიდენტი მოსახლეობასთან კომუნიკაციის დასამყარებლად სოციალურ ქსელს ერთობ ხშირად იყენებს. ასე მოხდა გასულ კვირასაც, როდესაც ბ-ნმა სააკაშვილმა ახალი მთავრობის მიერ პირად ცხოვრებაში ჩარევის ფაქტები, სწორედაც რომ, „ფეისბუქის“ მეშვეობით დაგმო.



რაოდენ საოცარიც უნდა იყოს („საოცარიც“ – თვალთვალ-მოსმენას შეჩვეული საქართველოს მოქალაქისთვის), პირველმა პირმა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის სამართლებრივ საფუძვლებზეც ისაუბრა (ვითომ, აქამდე არ ახსოვდა?!). კერძოდ, ბრძანა: „ადამიანის პირად ცხოვრებაში უხეში ჩარევა, კონსტიტუციით აღიარებული პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევა, პირადი პრობლემებით შანტაჟი და სპეკულირება 1990-იანი წლების დასაწყისის ყაჩაღური, რუსული, ოლიგარქიული, კაპიტალიზმის მეთოდებს უფრო ჰგავს და არა 21-ე საუკუნის დემოკრატიული, ევროპული მთავრობის მოქმედებას (გამოდის, რომ, ბოლო 9 წელია, 90-იან წლებში ვყოფილვართ?!)“.

ხოლო, რაკი პრეზიდენტი შიშობს, რომ „ეს საქციელი (პირად ცხოვრებაში ჩარევა) უკვე ახალი მთავრობის მოქმედების ტენდენციად იქცა“, სასტიკად გმობს ამ ფაქტს. მეტიც, საპარლამენტო უმრავლესობას „თავკონტროლის გაწევისკენ მოუწოდებს“ (მეტი გულისხმიერებით მოეკიდოს ჩემ მიერ ინიცირებულ კანონპროექტს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შესახებო).

ამის პარალელურად, IRI-მა თებერვალში 1 500 რესპონდენტი გამოკითხა და აღმოჩნდა, რომ მათი 30 პროცენტი ყოფილი ხელისუფლების ყველა წევრის დაპატიმრების მომხრეა, 51 პროცენტი ზოგიერთის დაჭერაზეც თანახმაა, 12 პროცენტი ამ საქმეს ეწინააღმდეგება, ხოლო 7-მა არც კი იცის, რას ელის.



თუ გავიხსენებთ, რომ ამავე IRI-ს მიერ არჩევნებამდე ჩატარებულ კვლევებში ყოფილი ხელისუფლების მხარდაჭერა ჭარბობდა, ზედაც დავამატებთ, რომ იმ კვლევებში რესპონდენტთა თითქმის მეოთხედი საკუთარ პასუხს არ ამხელდა (შიში ოხერია!), სავარაუდოდ, პრეზიდენტი ამაოდ შიშობს: ყოველ შემთხვევაში, იმაზე მეტად, ვიდრე ყოფილები, პირად ცხოვრებაში ჩარევას ველარავინ შეძლებს (თუ მთლად ჰებელსი არ გაცოცხლდება ან ჩვენებური სოსელო).

# ლეიბორისტული რჩევები ანუ, გასაძღობები

მართალია, პარტიის ნაღებმა მისი რიგები დატოვა, მაგრამ, ამის მიუხედავადაც, ლეიბორისტები აქტიურ ღვწას (ჩვეულებისამებრ და ძირითადად – ენაკვიმატობის მიმართულებით) კვლავაც არ წყვეტენ (ან კი რად უნდა შეწყვიტონ?!).



რაკი არ წყვეტენ, პარტიის პოლიტიკურ მდივან ბ-ნ გუგავას განცხადებით, ბიძინა ივანიშვილმა ოცნება საკუთარ მთავრობას აუსრულა.

მომყავს ციტატა ძირძველი ლეიბორისტის გამოსვლიდან: „მინისტრებსა და ბიუროკრატიას პრემიები ხელფასის სახით ოფიციალურად დაუკანონა, რის შედეგადაც გაღატაკებული ქვეყნის მინისტრის ხელფასი, წლიურად 82 000 ლარს შეადგენს.“

თემა აქტუალურია, შენიშვნა – მისაღები, ოღონდ, კონტექსტიც გასათვალისწინებელი. მოგეხსენებათ, წინა მოწვევის პარლამენტს ლეიბორისტებმა ბოიკოტი გამოუცხადეს, თუმცა, ხელფასებსაც იღებდნენ, ზედაც – პრემიებსაც, თქვენ წარმოიდგინეთ, ზემოხსენებული ბ-ნი გუგავა – ბინის ქირის ფულსაც (პარლამენტის წევრს ეს უფლება კანონით აქვს).

როგორც უნდა იყოს, ბ-ნი გუგავა პრემიერ-მინისტრს არც რჩევას ამადლის (კვლავ ციტატას მოვიშველიებ): „როგორც საკუთარი თანხებით აფინანსებდა სააკაშვილის ხელისუფლებას ვარდების რევოლუციის შემდეგ, დღესაც საკუთარ უსაქმურ მინისტრებს ფული საკუთარი ჯიბიდან გადაუხადოს, ხოლო საბიუჯეტო სახსრები გაჭირვებულ მოსახლეობას მოახმაროს.“



თუ გავიხსენებთ, რომ, როცა თავადაც იღებდნენ ქართველი ლეიბორისტები ჩინოვნიკ-პოლიტიკოსთა მაღალ-მაღალ ხელფასებსა და პრემიებს და ამას არ აპროტესტებდნენ (ყოველ შემთხვევაში, დედის რძესავით ირგებდნენ), იბადება რიტორიკული ეჭვი: რეალური მოტივია „ვერ გავძეხი“ თუ, მაინც, „გაჭირვებული მოსახლეობა“?!

# მახათების ძიებაში რათა 5? მაშ რამდენი? – 8

ჯერჯერობით ჩვენი და ევროპის ყველაზე მჭიდრო დაახლოება სატელეფონო კოდებშია ასახული. არცთუ ისე დიდი ხნის წინათ, თუმცა, მაინც ვთქვით უარი საბჭოურ კოდებზე და სატელეფონო ნომრებიც 7-ციფრიანი გავხადეთ (და მერე რა, რომ აბონენტთა რაოდენობა მაინცდამაინც ხელს არ გვიწყობდა, თუ გული ევროპულად გულობს, 6-ციფრიანიც 7-ციფრიანი გახდება).



ამ ნოვატორული ნაბიჯების რიგშია მობილური ოპერატორებისთვის ციფრ 8-იანის 5-იანით ჩანაცვლება, რასაც, როგორც იქნა, შეეჩვივნენ ქართველი აბონენტები.

მეტიც, ის-ის იყო, თავი საშვიდობოს დაიგულეს, ხალხის რჩეულმა კობა დავითაშვილმა გვაცნობა, რომ „ქართული ოცნება” სატელეფონო ინდექს 5-ის შეცვლას გეგმავს, რა თქმა უნდა, იმთავითვე ამოცნობილი მოტივით: ციფრ 5-ს „ნაცმოძრაობის” რეკლამირების ფუნქცია აქვსო.

ჩვენ არ ვიცით დაზუსტებით, გაიზიარებს თუ არა თანაგუნდელის ინიციატივას კოალიცია (კობა დავითაშვილი: „ყოველდღიურად „ნაცმოძრაობის” პარტიული ნომრის აკრეფით გვიწევს სატელეფონო ზარების განხორციელება. აუცილებლად დავაყენებ ინიციატივას სატელეფონო ინდექს 5-ის შეცვლისა და 8-იანის დაბრუნების შესახებ“), მაგრამ, იმის ეჭვი კი ჩნდება, რომ, ზოგ-ზოგიერთი მახათების ძიებაშია.

# შეგზავნილი „კოლა“ ანუ, „თქვენ მოკალით ძერა?!“

გასული კვირის ხუთშაბათს რფ-ის პრეზიდენტის ნოვო-ოგარევოს რეზიდენციაში რუს ჟურნალისტებს, ჰოი, საოცრებავ და, ქართული „კოლით“ გაუმასპინძლდნენ. თუმცა, ამოცნობისთანავე, პრ. პუტინის პრესმდივანმა (დიმიტრი პესკოვმა) სასმელი პირდაპირ გენადი ონიშენკოს გაუგზავნა.



ზედაც, თავი უმართლებია – მომწოდებლებმა შემოიტანესო, თუმცა, იქვე დაუძენია, „გაუგებარია, რატომ მაინცდამაინც ქართულიო და, ზედ ისიც განუმარტავს, რომ პრ. პუტინი „კოკა-კოლას“ არ ეტანება.

ჩვენც, პრეს-მდივან პესკოვის მსგავსად, წარმოდგენაც არ გვაქვს, რამ მოახვედრა ჩვენებური „კოლა-კოლა“ ვლადიმირის რეზიდენციაში, მაგრამ, რაკი გვჯერა პატ. გენადი ონიშენკოს მახვილი მზერის, ის აუცილებლად გასცემს პასუხს რიტორიკულ კითხვას: როგორ შეიპარა მტრის ზურგში ქართული, თუ მთლად ორივე („კოკაც“ და „კოლაც“) ვერა, „კოლა“ მაინც.

# დახუთულ-დაწყვილებული „ნაბიჯი – წინ, ორი ნაბიჯი – უკან“

რამდენიმე წლის წინათ თბილისის ათი რაიონი დახუთდა (დაწყვილდა), ანუ – გამსხვილდა, იმ მოტივით, რომ მართვაც გამარტივდებოდა და თანხაც ნაკლები დაიხარჯებოდა ადმინისტრაციული აპარატის შენახვაზე. ყოველ შემთხვევაში, ასე ახსნა იმჟამინდელი დაწყვილება თბილისის იმჟამინდელმა ხელმძღვანელობამ.



მართალია, დღესაც იგივე ხელმძღვანელობა ჰყავს თბილისს (თბილისისი მერიის სახით), მაგრამ, ეს ხუთი ისევ უნდა გაათდეს (სავარაუდოდ, ოკუპანტის პრინციპით: „სან ტანცუეტ, სამ პოიოტ“ ან, სულაც, სოციალისტურ-კომუნისტურით: ჩვენ ვქმნით პრობლემებს, რომ შემდეგ წარმატებით დავძლიოთ ისინი).

ასე, მაგალითად, გასულ კვირას დედაქალქის თავკაცმა, ბ-ნმა უგულავამ, დაათვალიერა რა ისნის რაიონში მიმდინარე საგზაო სამუშაოები, ადგილობრივ მოსახლეობასაც შეხვდა და მათ რაიონის ახალი გამგებელიც (თორნიკე ხუციშვილი) წარუდგინა.

სამგორის რაიონისგან ისნის დაშორება შემდეგნაირად ახსნა: „ისნის რაიონს სხვა სპეციფიკა აქვს. მასში შედის როგორც კერძო, ისე კორპუსული ტიპის დასახლებებიც (განსხვავებული სპეციფიკაა, ქვას გახეთქავს!)“.

ერთი სიტყვით, ბ-ნი უგულავა იმედოვნებს, რომ ეს დაშორება მოსახლეობას პრობლემების ეფექტიან მოგვარებაში დაეხმარება და, ბუნებრივია, ჩვენ წარმოდგენაც არ გვაქვს, მართლაც დაეხმარება თუ არა. არ გვაქვს, რადგან, რამდენიმე წლის წინათ ათის დახუთებაშიც ამ მოტივით გვარწმუნებდნენ.

ხოლო, თუ მოვლენათა ლოგიკას გადავხედავთ (ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ვგულისხმობ დედაქალაქის მესვეურთა ლოგიკას), არც ის არის გამორიცხული, ხანი გამოხდეს და ათი ისევ ხუთად იქცეს (თუ, რა თქმა უნდა, დედაქალაქის ამ კონკრეტულ მესვეურებს სკამი ქვემოდან არ გაუძვრათ), ანუ, ვმოძრაობთ (ჩვენ რა, თბილისის ხელმძღვანელობაა ამოძრავებული) ლენინის უკვდავი მოწოდებით: „ნაბიჯი – წინ, ორი ნაბიჯი – უკან“!

გვერდები მოამზადა
ნინო ხაჩიძე

ნდობის ტელეფონი
ინტიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან

ზარი ფასიანია

**2013 წლის 28 თებერვლიდან საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამა ამოქმედდა, რაც საქართველოს დაზღვევის გარეშე დარჩენილ მოსახლეობას ჯანმრთელობის მეტ-ნაკლებად დაცვის საშუალებას აძლევს. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს მოსახლეობის გაღატაკების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სამედიცინო ხარჯია, ხოლო ჯანდაცვის საერთო დანახარჯებიდან კი ნახევარზე მეტი მედიკამენტებზე მოდის (და ეს საკმაოდ შთამბეჭდავი რიცხვია), ბუნებრივია, სიახლე მისწრებაა. ვინ მოხვდა ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამაში, როგორ და რომელ სამედიცინო დაწესებულებებში უნდა ისარგებლოთ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სამედიცინო სერვისებით და როგორ უნდა მოიქცეთ, თუკი თქვენი უფლებები დაარღვიეს და კუთვნილი სამედიცინო მომსახურება ვერ მიიღეთ? – საკითხს დეტალურად განგვიმარტავს ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე მარიამ ჯაში.**

# აქვთ თუ არა დასაქმებულ მოქალაქეებს ჯანდაცვის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამით სარგებლობის უფლება და სად უნდა დარეკოთ, თუკი სამედიცინო დაწესებულებამ უარი გითხრათ უფასო სამედიცინო მომსახურების გაწევაზე

**– უკვე ამოქმედდა ჯანდაცვის დაზღვევის ახალი სახელმწიფო პროგრამა, ვინ არის მისი ბენეფიციარი და რა მოქმედებების ჩატარებაა საჭირო იმისთვის, რომ ისარგებლო ამ პროგრამით?**

– საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ბენეფიციარი არის საქართველოს 2 მილიონზე მეტი მოქალაქე, რომლებიც პროგრამის ამოქმედებისას, 2013 წლის 28 თებერვლის მდგომარეობით, არ სარგებლობდნენ სამედიცინო დაზღვევის არანაირი პროგრამით. ისინი, ძირითადად, გახლავთ 6-დან 60 წლამდე ასაკის პირები, რამდენადაც, როგორც თქვენთვის ცნობილია, 6 წლამდე და საპენსიო ასაკის მოსახლეობა უკვე სარგებლობდა დღემდე მოქმედი სადაზღვევო პროგრამით. ასევე, დაზღვეულია ყველა უმწეო მოქალაქე და სტუდენტი, რომელთა დღემდე მოქმედი სადაზღვევო პროგრამები ფარავს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებებს.

**– რა სამედიცინო მომსახურებების მიღება შეუძლია ბენეფიციარს ამ პროგრამით? ვგულისხმობ ყველა კომპონენტს: მედიკამენტებს, სტაციონარულ თუ ამბულატორიულ მომსახურებას, გამოკვლევებს, ანალიზებს.**

– 28 თებერვლიდან ამოქმედდა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის პირველი ეტაპი, რომელიც დღეისათვის მოიცავს სამედიცინო მომსახურების ეგრეთ წოდებულ „მინიმალურ პაკეტს“. პროგრამით განსაზღვრული მომსახურებების გაფართოების მიმართულებით აქტიურად ვმუშაობთ და შემდეგ ეტაპზე, 2013 წლის ივლისიდან, პაკეტის მოცულობა კიდევ უფრო გაიზრდება.



**მოსახლეობას უნდა ესმოდეს, რომ მათ აქვთ თავისუფალი არჩევნის უფლება, საკუთარი სურვილით დარეგისტრირდნენ პროგრამაში მონაწილე ნებისმიერ პოლიკლინიკაში**

ამ ეტაპზე, პროგრამა 2 ძირითადი ბლოკისგან შედგება. პირველი გახლავთ გეგმიური ამბულატორიული მომსახურება, რომელიც ითვალისწინებს ოჯახის ექიმის მომსახურებასა და, საჭიროების შემთხვევაში, სისხლისა და შარდის საერთო ანალიზებსა და ელექტროკარდიოგრაფიას. ხოლო მეორე ბლოკი გადაუდებელ ამბულატორიულ და სტაციონარულ მომსახურებას მოიცავს და მთავრობის დადგენილებითაა განსაზღვრული ის კონკრეტული მდგომარეობები, რომელთა დაფინანსებაც უზრუნველყოფილია პროგრამის ფარგლებში.

**– კერძოდ?**

– მაგალითისთვის, გადაუდებელი ამბულატორიის შემთხვევებში, ანუ, როდესაც პაციენტი საავადმყოფოში 24 საათზე ნაკლები დროით ყოვნდება, იფარება ისეთი მდგომარეობები, როგორიცაა: ჭრილობები, მოტეხილობები, დამწვრობა, მოყინვა, ისეთი მდგომარეობების სტაბილიზაცია, როგორიცაა ჰიპერტონული კრიზი, გულის რითმის დარღვევები, მწვავე ობსტრუქციული ლარინგიტი (კრუპი), ინტოქსიკაცია, ძლიერი ტკივილი და სხვა.

გადაუდებელი სტაციონარული მომსახურების ფარგლებში კი განსაზღვრულია 450-ზე მეტი მდგომარეობა, რომელთა დროსაც პაციენტს გადაუდებელი ან სასწრაფო მკურნალობა ესაჭიროება. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის ფარგლებში ფინანსდება კრიტიკული მდგომარეობების მართვა, მარტივად რომ ვთქვათ, პაციენტების მკურნალობა სტაციონარის რეანიმაციულ ან ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში.

მნიშვნელოვანია, რომ გვესმოდეს, როგორ მოხდა პროგრამის არსებული მოცულობის განსაზღვრა. როგორც აღვნიშნეთ, პირველ ეტაპზე, ეს არის ეგრეთ წოდებული მინიმალური პაკეტი, რომელიც ეტაპობრივად გაფართოვდება. პირველი ეტაპისთვის შეირჩა ისეთი მდგომარეობები, რომელთა შემთხვევაშიც გადაუდებელი დახმარების გარეშე, პაციენტის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება ან არსებობს რომელიმე ორგანოს ან კიდურის დაკარგვის მაღალი რისკი. ეს მდგომარეობები განსაკუთრებით ხარჯთტევადი, ანუ ძვირია. ამასთან, რადგან შემთხვევა გადაუდებელია, ანუ გაუთვალისწინებელია, ოჯახები განსაკუთრებით რისკის ქვეშ დგებოდნენ, რომ დაუყოვნებლივ მოეძიათ მკურნალობისთვის საჭირო თანხები. ჯანდაცვაში ასეთ გაუთვალისწინებელ, დიდ დანახარჯებს „კატასტროფულ“ დანახარჯებს ვუწოდებთ და საქართველოში ასეთი ტიპის დანახარჯები იყო მიზეზი ბევრი ოჯახის გაღარიბებისა. პროგრამის პირველი ეტაპის ამოცანა, სწორედ ასეთი რისკების შემცირებაა.

პროგრამის ფარგლებში, მოსარგებლე არანაირ თანაგადახდას არ იხდის, თუმცა სტაციონარული მკურნალობისას ერთი შემთხვევის ლიმიტი განსაზღვრულია 15 ათასი ლარით.

**– დეტალურად რომ აღვწეროთ, რა ქმედებები უნდა განახორციელოს ბენეფიციარმა, რომ მიიღოს დაზღვევით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურება. დეტალურზე იმიტომ ვაკეთებ აქცენტს, რომ, ტრადიციულად, დაზღვეულთა არაინფორმირებულობით ხშირად სარგებლობენ როგორც სადაზღვევოები, ისე სამედიცინო დაწესებულებები?**

– პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მიღება ძალიან ადვილია: პირველი: გეგმიური ამბულატორიული მომსახურების მისაღებად პირი უნდა დარეგისტრირდეს პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებაში, ანუ პოლიკლინიკაში. მიუხედავად იმისა, რომ პირს შეუძლია დარეგისტრირდეს ნებისმიერ პროგრამის მიმწოდებელ დაწესებულებაში, რა თქმა უნდა, ვურჩევთ, რომ ისეთ დაწესებულებას მიმართონ, რომელიც ტერიტორიულად მათთვის მისაღებია, რადგან ერთხელ დარეგისტრირების შემდეგ, რეგისტრაციის შეცვლა მხოლოდ 2 თვეში ერთხელ შეიძლება.

მომსახურება უფასოა მხოლოდ იმ პირველადი ჯანდაცვის ცენტრში, პოლიკლინიკაში, სადაც პირია რეგისტრირებული. აქვე გასათვალისწინებელია, რომ პირი 2 ადგილას დარეგისტრირებული ერთდროულად ვერ იქნება.

რეგისტრაციის დროს პირი, ბავშვის შემთხვევაში, მშობელი ან სხვა უფლებამოსილი პირი, დაწესებულებაში ავსებს სპეციალურ ფორმას, სადაც უნდა მიუთითოს საიდენტიფიკაციო მონაცემები: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ფაქტობრივი საცხოვრებელი და რეგისტრაციის მისამართები.

მეორე: გადაუდებელი ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების მისაღებად არანაირი რეგისტრაცია არ ხდება. ადამიანი, ხშირ შემთხვევაში სასწრაფო დახმარების მანქანით, ხვდება სამედიცინო დაწესებულებაში, რის შესახებაც თავად სამედიცინო დაწესებულება გვატყობინებს სპეციალური ელექტრონული პროგრამის მეშვეობით. აქვე აღვნიშნავთ, რომ აუცილებელია სამედიცინო დაწესებულებას მივცეთ ეგრეთ წოდებული იდენტიფიკაციის საშუალება. ამისთვის გამოიყენება მოქალაქის პირადობის მოწმობა. ანუ, ყველა მოქალაქის ვალდებულებაა, რომ დაწესებულებაში მოხვედრისას ან თან ვიქონიოთ პირადობის მოწმობა, ან ოჯახის წევრმა უზრუნველყოს ამ ინფორმაციის დაუყოვნებელი მიწოდება.

**– როგორც მინისტრმა თქვა და თქვენც აღნიშნეთ, სახელმწიფო პროგრამით დაზღვეულს უფლება აქვს, თავად აირჩიოს სამედიცინო დაწესებულება და ყოველ ორ თვეში აქვს მისი შეცვლის უფლება. უფრო დეტალურად რომ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ამის შესახებ.**

– რეგისტრაციის შესაცვლელად რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნით პირმა უნდა მიმართოს იმ დაწესებულებას, სადაც პირველადად იყო რეგისტრირებული, მიიღოს ეგრეთ წოდებული „ამონაწერი ისტორიიდან“ და შემდეგ რეგისტრაციის მოთხოვნით მიმართოს უკვე ახალ დაწესებულებას.

**– ზოგიერთი სამედიცინო დაწესებულება იყენებს სარეკლამო საშუალებას და მოსახლეობას ატყობინებს, რომ, მაგალითად, ესა და ეს კონკრეტული კლინიკა ემსახურება უფასო დაზღვევის პროგრამას. აქვთ ამის უფლება?**

– ამის უფლება დაწესებულებებს აქვთ, თუმცა მოსახლეობას უნდა ესმოდეს, რომ მათ აქვთ თავისუფალი არჩევანის უფლება, საკუთარი სუ-

რვილით დარეგისტრირდნენ პროგრამაში მონაწილე ნებისმიერ პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებაში, პოლიკლინიკაში.

**– როგორც თქვით, 2012 წლის სექტემბრიდან მოქმედებს პენსიონერთა, სტუდენტთა და 5-წლამდე ბავშვების ჯანდაცვის დაზღვევის პროგრამა, ისიც გრძელდება. იმ ინფორმაციიდან გამომდინარე, რაც მაქვს, ახალი სადაზღვევო პროგრამა უფრო მოცულობითია, ვიდრე 2012 წლის პირველი სექტემბრიდან ამოქმედებული, ეს არ ქმნის წინააღმდეგობას?**

– როგორც მოგახსენეთ, 28 თებერვლიდან ამოქმედებული საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა, ჯერჯერობით მხოლოდ „მინიმალურ პაკეტს" მოიცავს, რომელიც შემდგომ გაფართოვდება.

2012 წლის სექტემბრიდან ამოქმედებული სადაზღვევო პროგრამები ჩვეულებრივ გრძელდება. ამასთან, ეს პროგრამები მომსახურებათა უფრო ფართო სპექტრს სთავაზობს მოსარგებლეებს, ვიდრე საყოველთაო ჯანდაცვის პირველი ეტაპი. სადაზღვევო პროგრამებით იფარება როგორც გეგმიური ამბულატორიული მომსახურება: ოჯახის ექიმის მომსახურება და მისი დანიშნულებით ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევები და გადაუდებელი ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობა, ისე გეგმიური ქირურგიული მკურნალობა, ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობა და მშობიარობასთან დაკავშირებული ხარჯები.

**– პედაგოგების, სამხედრო მოსამსახურეების, უმწეოთა ჯანმრთელობას აზღვევდა სახელმწიფო, კვლავ ძველებურად გრძელდება ეს პროგრამა?**

– სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამები ამ ეტაპზე ჩვეულებრივად გრძელდება.

**– კორპორატიული დაზღვევა მცირე სეგმენტს შეადგენს, მაგრამ მაინც არსებობს. ვთქვათ, ვმუშაობ, მაგრამ არ მაქვს კორპორატიული დაზღვევა, შემიძლია, ვისარგებლო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით?**

– დიახ, თუ მუშაობთ და არ გაქვთ კორპორატიული დაზღვევა, შეგიძლიათ ჩაერთოთ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში.

**– ცნობილია, რომ ჯანდაცვის ხარჯების მნიშვნელოვან წილს შეადგენს მედიკამენტების შეძენაზე დანახარჯები. გასაგებია, რომ ეს პრობლემა ერთ დღეში ვერ გადაწყდება, თუ აპირებთ ამ მიმართულებით მუშაობას?**

– ამ მიმართულებით მუშაობა ძალიან აქტიურად მიმდინარეობს და საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის გაფართოვების პარალელურად, მოსახლეობისთვის ცნობილი გახდება მედიკამენტების კუთხით რა დახმარება შეიძლება შევთავაზოთ.

**– ჯანდაცვის დანახარჯები, საერთაშორისო კვლევებით, ჩვენს ქვეყანაში გაღარიბების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია. ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამა როგორ იმოქმედებს შექმნილ რეალობაზე?**

– რადგან პროგრამა ფარავს გადაუდებელი მდგომარეობების მართვას, ვფიქრობთ, რომ გავლენა ძალიან პოზიტიური იქნება და მნიშვნელოვნად შემცირდება იმ ოჯახების რაოდენობა, რომლებიც გაღარიბების საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ ჯანმრთელობის მდგომარეობის მოულოდნელი, გაუთვალისწინებელი გაუარესების გამო.

**როდესაც პაციენტი საავადმყოფოში 24 საათზე ნაკლები დროით ყოვნდება, იფარება ისეთი მდგომარეობები, როგორიცაა: ჭრილობები, მოტეხილობები, დამწვრობა, მოყინვა**

**– ორიოდ სიტყვა რომ გვითხრათ მშობიარობასთან დაკავშირებულ ინიციატივაზე? რა ფინანსდება პირველ ივლისამდე და რატომ უნდა დავფეხმძიმდეთ უფრო დიდი ენთუზიაზმით პირველი ივლისიდან?**

– პირველი ივლისიდან მშობიარობა და მასთან დაკავშირებული სამედიცინო მომსახურების ხარჯები მთლიანად ანაზღაურდება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში. ეს სახელმწიფოს მხრიდან დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის პროგრამების პრიორიტეტულობას უსვამს ხაზს და პროგრამის გაფართოვების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია.

**– ყველა სტაციონარი იღებს მონაწილეობას ამ პროგრამაში?**

– თითქმის ყველა სტაციონარული დაწესებულება უკვე არის მიმწოდებლად დარეგისტრირებული და თუ რომელიმე არ არის, როგორც წესი, იმდენად ვიწრო პროფილის კლინიკებია, რომლებიც გადაუდებელ პაციენტებს არ ემსახურებიან. თუ დაზღვეულებს შეექმნებათ პრობლემები სამედიცინო მომსახურების მიღებაში, დაგვიკავშირდნენ სამინისტროს ცხელ ხაზზე – 1505, რომ შევძლოთ რეაგირება და თუ მართლაც პრობლემა იყო, მისი მოგვარება.

**ნინო ხაჩიძე**



**მართალია, აქამდე გვეგონა, „ათასად კაცი დაფასდა, ათი ათასად ზრდილობაო“, თუმცა დამოუკიდებლობის 20-ზე მეტმა წელიწადმა დაგვანახვა, რომ უფრო პირიქითაა. მეტიც, ბილწსიტყვაობა არათუ ჩვენი ყოფითი ცხოვრების ორგანულ ნაწილად იქცა, მან თავისი ადგილი საჯარო მეტყველებაშიც დაიკავა. ბილწსიტყვაობის უდავო პიონერი და ყველაზე აქტიური მიმდევარი კახა ბენდუქიძეა (სხვათა შორის, იმ დროიდან, რაც საჯარო მოხელე ბრძანდებოდა). სწორედ მის სახელს უკავშირდება სატელევიზიო ეთერში ოპონენტისთვის შეგინება. სულ ბოლოსაც მისგან, ახლა უკვე საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის როლში მყოფისგან, გავიგეთ ბილწსიტყვაობა პირდაპირ ეთერში. ამის პარალელურად, ისიც ცხადია, რომ არაკორექტული მიმართვები ქართველი პოლიტიკოსების ლექსიკის განუყოფელი ნაწილია, ისევე, როგორც მოქალაქეების ლექსიკაში – გამონათქვამი „ჩემი დედა ...“**

**რატომ დაბინძურდა ჩვენს ქვეყანაში საჯარო ენა და რატომ აღარ მიიჩნევა უხამსი სიტყვებით მანიპულირება მიუღებლად, – თემას ფსიქოლოგ გაგა ნიჟარაძესთან ერთად განვიხილავთ.**

# რატომ გახდა საქართველოში მისალმები ქუჩის მეტყველება, როგორ გაახალგაზრდავდა გინების დაწყების ასაკი და რატომ გვაწუხებს დაუხარჯავი უწმაწური სიტყვების მარაგი

ეთ წოდებული კონტრასტის ეფექტი. მახსოვს „პერესტროიკის“ პერიოდის ფილმებში, როდესაც ცენზურა მოიხსნა, სულ გინება იყო.

**– რაც გვაკლდა.**

– დიახ, კონტრასტის ეფექტია: ადრე არ შეიძლებოდა და ახლა შეიძლება – ამიტომ იმაზე მეტს ამბობ, ვიდრე საჭიროა.

**– ერთ-ერთ საბავშვო წიგნშია, თოჯინას აალაპარაკებენ და სამ დღეს განუწყვეტლად ამბობს უაზროდ სიტყვებს. ექიმი იტყვის: დაუხარჯავი სიტყვების მარაგი აწუხებს და როგორც კი ამოწურავს, ნორმალურად ილაპარაკებსო. ჩვენც ასე უნდა ამოვწუროთ უხამსი სიტყვების მარაგი?**

– რამდენიმე ფაქტორია: უცხო ხილია, მისადმი ინტერესია; მესამე, უბრალოდ ეს არის გამოუცდელობა და არცოდნა იმის, რა შეიძლება და რა არ შეიძლება.

**– და პოპულარობის სურვილი? სხვას ვერაფერს აკეთებ, მაგრამ დედას შეიგინები პირდაპირ ეთერში და ყველა შენზე ილაპარაკებს.**

– თქვენ რა მაგალითიც მოიტანეთ, კახა ბენდუქიძის, არ მგონია, ამ მიზანს ემსახურებოდეს.

**– ასეთ მიმართვებში აუდიტორიისადმი პატივისცემის ნაკლებობა არ გამოსჭვივის?**

– ცხადია, რომ გამოსჭვივის, მაგრამ ზოგი ისეთი ფიგურაა საჯარო, როგორც მთავრობაში, ისე ოპოზიციაში, რომ ესეც საზოგადოების შეურაცხყოფაა. ასე რომ, გამონაკლის შემთხვევებში, მგონია, რომ ასეთი ექსცესები ბუნებრივია.

**– თბილისის მერის მიერ ჩუკენობის ხსენებაც ყურადღების მიქცევის საშუალება იყო?**

– დიახ, თან, იშვიათი სიტყვაა და ბევრმა არც კი იცოდა ამის მნიშვნელობა. ეს არის შაქარმოყრილი უხამსობა.

**– 20 წელი რატომ არ გვეყო ბილწსიტყვაობით გულის მოსაჯერებლად?**

– მგონი, უფრო პირიქითაა. ძალიან დაიწია გინების დაწყების ასაკმა. ეს ცალკე და ვრცელი საუბრის თემაა.

**– შეიძლება, ეს იყოს მძიმე სოციალური ყოფის, განათლების დეფიციტის შედეგი?**

– ყოველთვის არსებობდა მძიმე სოციალური ყოფის, გაუნათლებლობის პრობლემა, მაგრამ ისეთი უხამსობა, რაც დღეს არის, არ ყოფილა, გარკვეულ რეგიონებს თუ არ ჩავთვლით. მაგალითად, რუსეთშიც იგივე ხდება და ჩვენზე უარესიც. იქაც ყოველთვის ასე არ ყოფილა, მაგრამ დღეს ასეა. მგონია, რომ კულტურის სიძლიერის საზომი უნდა იყოს: თუ ამას მოერევა, გადახარშავს და მისალმებ ფორმაში გადაზრდის, კარგია, თუ არადა, ძალიან ცუდი იქნება.

**– არაეთიკური და უხამსი მეტყველება მიანიშნებს მოსაუბრის ლექსიკური მარაგის სიმწირეზე?**

– ლექსიკური მარაგის სიმწირე სერიოზული პრობლემაა. თუ, მაგალითად, რუსულ და ქართულ სპორტულ რეპორტაჟებს შევადარებთ, რუსი კომენტატორი 50-100 პროცენტით უფრო მეტ სიტყვას იყენებს, ვიდრე ქართველი. საერთოდ, საჯარო გამოსვლის კულტურის დეფიციტია. ისიც პრობლემაა, რომ საქართველოში ენა, რადგან ის გახდა იდენტიფიკაციისა და თვითმყოფადობის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი, რაღაცნაირად გალმერთდა და ლიტერატურული ენა ძალიან დაშორდა სალაპარაკოს. იმავე რუსულისა და ინგლისური ენისგან განსხვავებით, იწვევს ამ ექსცესებს. როდესაც ლიტერატორი, კომენტატორი თუ მეცნიერი ლაპარაკობს კონსტანტინე გამსახურდიას ენით, არ გჯერა მისი.

**– ქართული თეატრალური ენაც.**

– ახლა მიდის ლიტერატურული და სალაპარაკო ენის დაახლოება. ძალიან კარგად ახერხებს ამას აკა მორჩილაძე. ქართულ ენაში არ არის, სამწუხაროდ, მიმღეობა, რაც ძალიან გააადვილებდა მეტყველებას.

**– მგონი, არის და, რაც მთავარია, ქართულ ენაში ზმნას აქვს მეორე და მესამე სერიის ფორმები.**

– რაც ძალიან იშვიათად იხმარება.

**– იმიტომ, რომ არ იციან გამოყენების წესი. არადა, ერთი ზმნით გამოხატავ ნებისმიერ აზრს მეტყველების დანარჩენი ნაწილების გარეშეც.**

– მართალია, ყველა ენას აქვს თავისი ძლიერი მხარეები და შედარებით – სუსტი.

**– საჯარო გამოსვლების გამოცდილება არ გვაქვს, მაგრამ ზრდილობის გამოცდილება ხომ გვქონდა?**

– ეტყობა, არ გვაქვს ზრდილობა-თავაზიანობის გამოცდილება, იმიტომ რომ ფეოდალური საზოგადოებიდან პირდაპირ მოვხვდით იქ, სადაც მოვხვდით. მაგალითად, ჩვენთან სტატუსით უფრო მაღალი ადამიანის მიერ შენობით მიმართვა არის ჩვეულებრივი რამ, რასაც 100 პროცენტით აკეთებენ ექიმები, პოლიციელები და ასე შემდეგ. ადრე აკეთებდნენ მოლარეები, რომლებიც ხელფასებს გასცემდნენ.

**– ისინი რატომღაც სტატუსით მაღლა იდგნენ?**

– მათ ხელში იყო ფული, უნდოდა მოგცემდა იმ ფულს და უნდოდა – არა. ექიმიც ასეა: უნდა გიმკურნალებს, უნდა – არა. მოლარეების პრობლემა აღარ არის აქტუალური, მაგრამ ექიმებისა და პოლიციელების ისევ აქტუალურია. 3-4 წლის წინათ დამაჯარიმეს 100 ლარით იმის გამო, რომ 10-ლარიანი

**– უცენზურო და არაეთიკური გამონათქვამების სიმცირეს არ უჩივის ჩვენი საჯარო ცხოვრება. ჩვენი ასეთი უმწიფარობა საჯარო ქცევისა რას გამოხატავს, იმას, რომ გამოცდილება არ გვაქვს?**

– სწორედ ამას, იმიტომ რომ საჯარო ენა უნდა ჩამოყალიბდეს თაობების განმავლობაში. მაგრამ, სხვათა შორის, დემოკრატიისა და სიტყვის თავისუფლების განვითარებასთან ერთად, მდაბიური ენა ხდება სულ უფრო...

**– მისალმები?**

– მისალმები თუ არა, უფრო ხშირად იხმარება.

**– სიძულვილის ენის ფენომენა დასავლეთში და რადიკალური განსხვავება ამერიკულ და ევროპულ მიდგომას შორის: ამერიკაში, თუ სიძულვილის ენის გამოყენებას არ მოსდევს მყისიერი საფრთხე, დასაშვებია, ევროპაში ისჯება პატიმრობითაც კი.**

– სიძულვილის ენა სულ სხვა ფენომენია, მაგრამ, ზოგადად, ამერიკული მიდგომა, როგორც წესი, უფრო ლიბერალურია. იმიტომ რომ ფილმებშიც გინება და უწმაწური სიტყვები ყოველ ნაბიჯზეა, თუმცა ძალიან მკვეთრად აწერია ხოლმე მაყურებლის ასაკი.

**– და მკაცრადაც აკონტროლებენ ამ ნორმის დაცვას.**

– ძალიან მკაცრად იცავენ მშობლებიც და ვისაც ეს ეხება. ჩვენთან მოხდა ქუჩის ენის გადატანა პარლამენტში, იმიტომ რომ ბევრი ქუჩიდანაა მოსული და სხვანაირად საუბარი არ შეუძლია.

**– ქუჩიდან, ანუ ქუჩის პოლიტიკოსს გულისხმობთ?**

– ბირჟის პოლიტიკოსებს. ჩვენთან ან ბიბლიური ენით უნდა ილაპარაკო, ან მთლად ქუჩის ენით, შუა არ გვაქვს. იმედი მაქვს, ეს პრობლემა მოგვარდება და, არ მგონია, სერიოზული პრობლემა იყოს, თუმცა მნიშვნელოვანია.



**ჩვენთან ყურადღება არ ექცევა, მაგრამ მდაბიური ენა საინტერესო რამაა, რადგან ბევრ ისეთ რამეს გადმოსცემს, რის გადმოცემაც ლიტერატურული ენით შეუძლებელია**

**– ენობრივი სივრცე ის გარემოა, რომელშიც ადამიანი აზროვნებს, შესაბამისად, როგორ ენობრივ სივრცესაც შევქმნით, ისეთები ვიქნებით ჩვენც.**

– რა თქმა უნდა, მაგრამ ენაც, სოციუმიც და მედიაც ამას გადახარშავენ და რაღაცნაირად გამომუშავდება ის, თუ რის თქმა შეიძლება და რის – არა. ბოლოს და ბოლოს, ეს მედიასაშუალებებზეა დამოკიდებული. თუ არ მოგწონს, რას ლაპარაკობს ადამიანი, ის არ უნდა დაპატიჟო გადაცემაში. მეორეა, რომ ასეთი გამოსვლები ეპატაჟის, პოპულარობისა და სენსაციის ამბავიცაა.

**– სენსაცია რატომ არის უცენზურო სიტყვები? ბავშვის მიერ უხამსი სიტყვების წარმოთქმა ერთგვარი ანანიზმია, ჩვენი მიდრეკილებაც უხამსი სიტყვებისკენ, აი, ამ ინფანტილური ანანიზმის გამოხატულებაა?**

– ინფანტილური რომ არის, ცხადია. მეორე მხრივ, თუმცა ჩვენთან ყურადღება არ ექცევა, მაგრამ მდაბიური ენა საინტერესო რამაა, რადგან ბევრ ისეთ რამეს გადმოსცემს, რის გადმოცემაც ლიტერატურული ენით შეუძლებელია. მაგალითად, არ არსებობს სიტყვა „მაყირის“ ლიტერატურული სინონიმი. უწმაწური არ არის, მაგრამ ვულგარული გამონათქვამია.

**– თუმცა რაც გვესმის, იმის ფონზე, შენ განაცვალე.**

– ცხადია. უხამსი გამონათქვამი სენსაციაა. იმიტომ, რომ ნებისმიერი რამ, რაც დაკავშირებულია უწმაწურობასთან და რაც არ არის მიღებული, ყოველთვის სენსაციად აღიქმება. მე რომ უშარვლოდ მივიდე უნივერსიტეტში, რამდენიმე ტელეარხი მოცვივდება. სენსაციაც არის, მედიის ყვითელი სტილიც და მეორე მხრივ, ეს არის თავისუფლების ფასიც. ამას გარდა, არსებობს ეგრ-

# საცხოვრებელი კომპლექსი „მ2 იპოდრომთან“: ასაშენებელი 9 კორპუსიდან 7 კორპუსის კარკასი აშენებული და გადახურულია

დეველოპერულმა კომპანიამ „მ2 უძრავი ქონება“ ჟურნალისტებისთვის მედია-ტური გამართა. მისი მიზანი იყო, პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლებს დეტალური წარმოდგენა შექმნოდათ მშენებლობის შესახებ, თუ რამდენად წარმატებულად და დროულად მიმდინარეობს სახლების შენება. პროექტის – „მ2 იპოდრომთან“ მშენებლობა 2012 წლის აპრილში დაიწყო და ის სრულად არის დაფინანსებული ჰოლანდიის განვითარების ბანკის (FMO) მიერ, რომელმაც პროექტისთვის 20 მილიონი ამერიკული დოლარი გამოყო. რაც შეეხება კომპლექსის დასრულებას, ბინების რემონტების ჩათვლით, მომავალი წლის სექტემბრისთვის არის დაგეგმილი. აღსანიშნავია, რომ, „ჰოლანდიის განვითარების ბანკის“ მოთხოვნით, მშენებლობის მონიტორინგს ახორციელებს ამერიკული სამშენებლო-საინჟინრო კომპანია „აეკომი“. ინფორმაცია კომპანიის შესახებ შეგიძლიათ, იხილოთ შემდეგ ვებ-გვერდზე: www.aecom.com. მედიატურს ესწრებოდა „აეკომის“ წარმომადგენელი პრაკაშ კაუშიკი: „მე აქ ვიმყოფები მსესხებლის სახელით და მევალება მშენებლობის მონიტორინგი. მინდა აღვნიშნო, რომ ვარ ძალიან კმაყოფილი, რადგან, კომპლექსის – „მ2 იპოდრომთან” მშენებლობა მიმდინარეობს უმაღლესი ხარისხის მასალებით; ასევე, ადგილი აქვს თანხების სწორ და მიზნობრივ ხარჯვას, უფრო მეტიც: შენების ვადები უსწრებს დაწესებულ გრაფიკს. „აეკომი“ – ეს არის საერთაშორისო კომპანია, რომელსაც აქვს 8 მილიარდი ბრუნვა წელიწადში და 400 ოფისი მსოფლიოში, მათ შორის ერთ-ერთი არის თბილისში. მე, როგორც მისმა წარმომადგენელმა, მინდა აღვნიშნო, რომ „მ2 იპოდრომთან” თბილისში ერთ-ერთი საუკეთესო პროექტია.“



ჟურნალისტების შეკითხვაზე, თუ რამდენად მოთხოვნადია მათ მიერ აშენებული ბინები, კომპანიის წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ გაყიდვების ტემპი საკმაოდ მაღალია. დეველოპერული კომპანია „მ2 უძრავი ქონების“ დირექტორის, გიორგი ვახტანგიშვილის თქმით „საცხოვრებელი კომპლექსის – „მ2 იპოდრომზე“ მშენებლობა სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს და სრულად დაფინანსებულია FMO-ს მიერ; შესაბამისად, ბინების გაყიდვის ტემპიც საკმაოდ მაღალია; მათ კი, ვისაც სურს ბინის შეძენა, მოუწევთ აჩქარდნენ, რადგან, ამ დროისთვის, კომპლექსში ბინების ნახევარი უკვე გაყიდულია“.

ბინების სწრაფ რეალიზებას განაპირობებს ის დეტალიც, რომ პირობები მყიდველზეა მორგებული, რადგან, მოქმედებს შიდა განვადება. შიდა განვადების სარგებლობის შემთხვევაში, მინიმალური თანამონაწილეობა შეადგენს ბინის ღირებულების 35 პროცენტს, განვადების ვადა კი 2014 წლის სექტემბრამდე, ანუ, მშენებლობის დასრულებამდე გრძელდება. ბინის მფლობელი სრულ თანხას მხოლოდ კომპლექსის დასრულებისას იხდის, ხოლო უზრუნველყოფას მხოლოდ შესაძენი უძრავი ქონება შეადგენს.

საცხოვრებელი კომპლექსი „მ2 იპოდრომთან“ შენდება თამარაშვილის ქუჩა №13-ში, ყოფილი იპოდრომის ტერიტორიასთან. რაც შეეხება დაგეგმარებას, ის ეფუძნება ყოველი კვადრატული მეტრის ეფექტურად გამოყენებას და მათი ფართი მერყეობს 47-სა და 172 კვადრატულ მეტრს შორის, მომხმარებლის არჩევანისამებრ. ბინები ბარდება დასრულებული რემონტით. კომპლექსი შედგება 9 დამოუკიდებელი შენობისგან, რომლებიც განთავსებულია 15 000 კვადრატულ მეტრ მიწის ნაკვეთზე. კომპლექსს ექნება 6 000 კვადრატული მეტრი მოცულობის სარეკრეაციო ზონა და 237 მანქანაზე გათვლილი მიწისქვეშა ავტოსადგომი, ასევე, მოეწყობა შიდა ეზო, საბავშვო მოედანი და სხვა სახის გასართობი ინფრასტრუქტურა. იფუნქციონირებს: 24-საათიანი დაცვის, სადარბაზოს, ლიფტების, ეზოს დასუფთავების, გამწვანებისა და მოვლის სამსახურები.

***დაინტერესებულ პირებს აქვთ შესაძლებლობა, ყველა დეტალური ინფორმაცია იხილონ შემდეგ ვებ-გვერდზე www.m2.ge.***

**სოფი ლორია**

---

დარღვევა ჩავიდინე. პატრულმა გამაჩერა და დარღვევისთვის 10-ლარიანი ჯარიმა გამომიწერა. მომმართა შენობით, როდესაც ვუთხარი, რატომ მომმართავთ შენობით-მეთქი, გამომიწერა 100-ლარიანი ჯარიმა. მეტი არაფერი მითქვამს მისთვის, არც მისი მშობლები მიხსენებია და არც მათი ანატომიური ნაწილები, მაგრამ მან 100-ლარიანი ჯარიმით გადაწყვიტა, რომ ეჩვენებინა, ვინ იყო იქ შეფი. ეს მომენტი არის და მაინც მგონია, რომ, ადრე თუ გვიან, თავისთავად მოგვარდება.

**– თავისთავად – როგორ?**

– ენა მოხარშავს რაღაცნაირად. ასე ხდება საერთოდ. რაღაც სიტყვები გახდება ლიტერატურული, რაღაც – არა, რაღაც კოდექსი ჩამოყალიბდება, ვიღაც დაიცავს, ვიღაც – არა, ვინც არ დაიცავს, არაპრესტიჟული იქნება და არ დაიშვება იმ სფეროში, სადაც არ იცის მოქცევა და ლაპარაკი. ასე ხდება ყველგან.

**– დასავლეთში მოქალაქეებს აქვთ უფლება, რა სიტყვებითაც უნდათ, მოიხსენიონ პოლიტიკური ლიდერები და ეს არ მიიჩნევა შეურაცხყოფად. იმ ლიდერებს აქვთ უფლება, საჯაროდ ასე მოიხსენიონ მოსახლეობა? თუმცა ჩვენთან, მაგალითად, პოლიტიკოსები ბრბოსაც კი უწოდებენ ამომრჩეველს.**

– ცხადია, რომ არა. ერთ ანეკდოტს მოგიყვებით ინგლისური პარლამენტის ისტორიიდან: ლორდთა პალატის სხდომაზე ერთი წევრი მიმართავს თავმჯდომარეს. ბატონო თავმჯდომარევ, ჩვენი რეგლამენტით, მაქვს უფლება, რომ ლორდ ჩესტერფილდს ვუწოდო ბინძური, ქონიანი ლორი? თავმჯდომარე პასუხობს: ჩვენი რეგლამენტით, თქვენ ამის უფლება არ გაქვთ. კარგი, ბატონო თავმჯდომარევ, მაშინ მე აღარ ვუწოდებ ლორდ ჩესტერფილდს ბინძურ და ქონიან ლორს.

**– არადა, ორჯერ უწოდა. მეც ამას ვამბობ, ყველაფრის თქმა შეიძლება, ფორმას გააჩნია.**

– ამას თანდათან მოიტანს განათლების დონე, მაგრამ შეიძლება, დასჭირდეს წლები.

**– რატომ არ აღიქმება უცხო ენაზე თქმული უწმაწური სიტყვა უწმაწურობად?**

– მეტიც, ქართული ტრადიციული გინება, რომელიც ყველამ ვიცით, რომ გადაასხვაფერო და სხეულის სხვა ნაწილი ჩასვა, სრულიად აუტანლად გეჩვენება, როგორც ქმედება, თუმცა იქნება

> **ქართული ტრადიციული გინება, რომელიც ყველამ ვიცით, რომ გადაასხვაფერო და სხეულის სხვა ნაწილი ჩასვა, სრულიად აუტანლად გეჩვენება, როგორც ქმედება, თუმცა იქნება ნაკლებად უწმაწური**

ნაკლებად უწმაწური. უცხო ენაზე გინება არ არის ჩამჯდარი კონტექსტში, არ აქვს სოციალური დატვირთვა და არ გამოიყენება იმ მიზნით, როგორც მშობლიურ ენაში, ამიტომ არ აღიქმება მძიმედ.

**– გამონათქვამი, „ჩემი დედა“, რატომ გახდა აქტუალური და აუტანლად პოპულარული?**

– თავიდანვე აუტანელი იყო. არსებობს მოსაზრება, რომ ეს არის ქართულ კულტურაში მამის როლის სისუსტის გამოვლინება. იმიტომ რომ „ჩემი დედა“, უპირველესად, არის შეურაცხყოფა არა დედის, არამედ მამის.

**– მამაკაცებს გაუჭირდათ? თუმცა ჩვენი რუკითაც ჩანს, რომ გაუჭირდათ.**

– ინფანტილიზმის გამოხატვაა. თავისთავად გაქრება, როგორც კი კაცი გაძლიერდება. ჯერჯერობით კი მამაკაცის როლის სისუსტეზე მეტყველებს, ამიტომ ასახიერებდა გამსახურდია თავის დროზე სამ სოციალურ როლს: შვილის, მამისა და ქმრის.

**– თუმცა შემდეგ შევარდნაძესთან ეს დაიკარგა.**

– მაგრამ რამდენადმე აღორძინდა სააკაშვილის დროს, თუმცა მას უფრო ხუთოსანი ბიჭის იმიჯი აქვს.

**– ივანიშვილი?**

– ჯერ არ ვიცი.

**– სხვა ქვეყნებმა ხომ გაიარეს ეს გზა, ჩვენ რა რეცეპტები შეიძლება, გამოვიყენოთ, რაში მივბაძოთ ევროპას, რომ საბოლოოდ არ ვიქცეთ მდაბიურ ენაზე მოლაპარაკე ბილწსიტყვა არსებებად?**

– რაღაცნაირად უნდა შემუშავდეს ეთიკის კოდექსი პარლამენტში, მედიაში და მისი დარღვევისთვის რეალური სანქციები დაწესდეს. წითელ შუქზე აღარ მიდიან მანქანები, იმიტომ რომ ამის გამო რეალური სანქციებია. ასეთი რაღაცეების გამოსწორებისთვის უფრო უკეთესად მოქმედებს დამსჯელი და არა აღმზრდელობითი ზომები.

**ნინო ხაჩიძე**

ნდობის ტელეფონი
0902200200
SMS – 93094
დარეკვა შეგიძლიათ ნებისმიერი ქსელიდან

ზარი ფასიანია

**სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით, ჩვენი 15 წლამდე მოსახლეობის რაოდენობა 758 200-ია, მათგან ვაჟი 399 600-ია, გოგონა – 358 600. ფაქტობრივი მონაცემებით კი, 15 წლამდე მოზარდების რაოდენობა 739 200-ია, ვაჟი 384 900-ია, გოგონა – 354 300. შედარებისთვის, მაგალითად, 1970 წელს საქართველოში 15 წლამდე ასაკის მოსახლეობა თითქმის მილიონნახევარი იყო: ვაჟი – 718 600, გოგონა – 692 300. კლება 1993 წლიდან დაიწყო, თუმცა, მაგალითად, 1994 წელს 15 წლამდე მოსახლეობის ოდენობა მილიონ 49 700-ს შეადგენდა, 1995 წელს – 995 100-ს. 2011-ში კი 15 წლამდე მოსახლეობის რეალური რაოდენობა 739 200 იყო. ეს ციფრებიც მოწმობს, რომ ქვეყანაში დემოგრაფიული ვითარება კატასტროფულია. ამიტომაც დემოგრაფიული ფონდი შეიქმნა, რომლის მიზანიც ამ ვითარების გამოსწორებაა. რა დემოგრაფიული პრობლემები აქვს ქვეყანას, როგორ შეიძლება მათი მოგვარება და რა როლის შესრულება მოუწევს დემოგრაფიულ ფონდს ამ პროცესში, – ამ კითხვებზე პასუხის მიღებას დემოგრაფ ავთანდილ სულაბერიძისგან შევეცდებით.**

# როგორ მოხვდნენ ვალერი მელაძე და თამარ გვერდწითელი დემოგრაფიული ფონდის სამეურვეო საბჭოში და რატომ ვერ უჩენს ოჯახს ბევრი შვილის ყოლის სურვილს კეთილდღეობა

**– როგორ წარმოგიდგენიათ დემოგრაფიული ფონდის მუშაობა და თუ ეთანხმებით მის ძირითად კონცეფციას?**

– როგორც დემოგრაფი, მივესალმები ყველა ახალ კონცეფციას. პატრიარქის მხარდაჭერის შედეგია ამ ფონდის დაფუძნება. ეს ჩვენ დიდი ხანია, გვინდოდა. იცით, რომ მანამდე დემოგრაფიული საზოგადოება არსებობდა, რომელიც საქართველოს მწერალთა კავშირის წიაღში წარმოიშვა და ძალიან ბევრი რამ გააკეთა. თუნდაც, ის, რომ „გმირი დედის“ წოდება შეიცვალა „ქართლის დედის“ წოდებით, თუმცა, რადგან არანაირი დებულება არ არსებობს, მკვდარი ნორმაა. ასევე, დავაწესეთ დედის დღეც, მაგრამ სულ სხვანაირ პროექტი იყო შეტანილი. დედის დღე უნდა ყოფილიყო გაზაფხულის პირველი უქმე დღე 6 მარტის ჩათვლით. ამ დღეს ყველა იმუშავებდა და შემოსული თანხა გადაირიცხებოდა დემოგრაფიულ ფონდში. ეს იყო კეთილშობილური იდეა, მაგრამ ძალიან არეული დრო იყო, აღარ გავართულეთ სიტუაცია და...

**– დარჩა 3 მარტი ქეიფის დღედ?**

– დიახ. ამის შემდეგ დაარსდა დემოგრაფიული საზოგადოება, ძირითადად, ენთუზიაზმზე ვმუშაობდით და მე არ მინდა, იგივე ბედი გაიზიაროს ამ დემოგრაფიულმა ფონდმაც.

**– კერძო ფულით იქმნება ფონდი?**

– დიახ, ეს არის კერძო ფონდი, რომელსაც გამოცდილი ბიზნესმენები და მოღვაწეები უდგანან სათავეში. როგორც პრეზენტაციებზე ამიხსნეს, ფონდის დამფუძნებლები არიან პარლამენტის წევრები, საკმაოდ მაღალი თანამდებობის პირები, მანანა კობახიძე, ზაქარია ქუცნაშვილი, დიმიტრი ხუნდაძე, თამარ ჩიბურდანიძე და დემოგრაფი ანზორ თოთაძე. შეიქმნა სამეურვეო საბჭო, რომელშიც შედიან თამარ გვერდწითელი, ვალერი მელაძე, ლევან ვასაძე და ალბათ, აქაური ბიზნესმენებიც გაწევრიანდებიან.



**უნდა განისაზღვროს ქვეყანაში დედის სტატუსი, შესაბამისად, მარტოხელა დედის სტატუსი. ჩვენთან განქორწინებულსაც მარტოხელა დედას უწოდებენ, არადა, ეს ასე არ არის**

**– ფონდის მიზანი რა არის? მატერიალურად დაეხმარებიან მრავალშვილიან ოჯახებს?**

– კონცეფცია ასეთია: მესამე ბავშვის გაჩენა ოჯახისთვის შემოსავლის შემცირების წყარო კი არ უნდა იყოს, არამედ – გაზრდის. ამიტომ, როგორც ითქვა, 200 ლარს მისცემენ ყოველთვიურად მესამე ბავშვისთვის. ითქვა, რომ 16 წლამდე, თუმცა ბოლომდე ჩამოყალიბებული არ არის მიდგომა.

**– მთელი ამხელა ფონდის მიზანია, რომ 200-200 ლარი გაიცეს მესამე შვილზე?**

– ალბათ, ასე იქნება. მიზანია, მომრავლდეს სამშვილიანი ოჯახები. ეს კეთილშობილური იდეაა, რადგან მესამე და მეტი ბავშვის წილი დაბადებულთა მთელ რაოდენობაში 33-35 პროცენტი უნდა იყოს, რომ გაფართოებული აღწარმოების დონე გვქონდეს. პატრიარქის ხელშეწყობით ეს მაჩვენებელი 10-დან 15-პროცენტამდე ავიდა და ჩვენ მარტივი აღწარმოების დონეს მივუახლოვდით. 5-10 პროცენტითაც რომ გავზარდოთ ეს მაჩვენებელი, საქართველოსთვის ძალიან დიდი პროგრესი იქნება, რომ დეპოპულაცია ავიცილოთ თავიდან.

**– გაეროს სავალალო პროგნოზი რომ ავიცილოთ თავიდან?**

– გაეროზე სავალალო პროგნოზი ჩვენ გავაკეთეთ. გაეროს პროგნოზით, საქართველოს მოსახლეობა 4 მილიონს 2025 წელს ჩამოსცილდება, რადგან გაერო ანგარიშობს ოფიციალური მონაცემებით. ჩვენ კი ვანგარიშობთ ფაქტობრივი მოსახლეობით. დემოგრაფ გია წულაძის პროგნოზით, 2003 წელს აღინიშნა საქართველოში 3 მილიონ 995 ათასი ფაქტობრივი მოსახლე. ეს 700 ათასით ნაკლები იყო ოფიციალურ მონაცემებზე. ეს 700 000 იძლევა სხვაობას გაეროსა და ჩვენს მონაცემებს შორის და ჩვენი პროგნოზი უფრო ცუდ პერსპექტივას გვაჩვენებს, ვიდრე გაეროს პროგნოზი, მაგრამ ჩვენ არავინ გვიჯერებს, რადგან შინაურ მღვდელს შენდობა არ აქვს.

**– რამდენად ეფექტიანი იქნება ფულადი დახმარება?**

– ფონდს კეთილშობილური მიზნები აქვს. სიამოვნებით ვიმუშავებ, თუ დააფინანსებენ გამოკვლევებს, რომელთა საფუძველზეც დავასკვნით, რა ღონისძიებები უნდა გატარდეს. თორემ კახეთის მაგალითზე ვნახეთ, რომ ნასეტყვარის ანაზღაურებისთვის მოიკლეს თავი, მომავალ წელს როგორ მოვიყვანოთ მოსავალიო და კომპენსაციის თანხით იყიდეს მანქანები.

მე მეშინია, არ დავუბრუნდეთ საბჭოთა ოჯახს, ანუ მომხმარებლურ ოჯახს. ჩვენ კურსი უნდა ავიღოთ მწარმოებლური ოჯახის რეაბილიტაციისკენ. რას ნიშნავს ეს? ოჯახი შემოსულ ფულს თავიდან ბოლომდე მოიხმარს და აღარ ფიქრობს არც მეორე და არც მესამე შვილზე. საერთოდ, მთელი რიგი გამოკვლევები, მაგალითად, ამერიკელი დემოგრაფის, კოულის გამოკვლევები ადასტურებს, რომ შემოსავლის ზრდა არ უწყობს ხელს შობადობის ამაღლებას, პირიქით, ზრდის ოჯახის პასუხისმგებლობას. ანუ ოჯახი ზრუნავს, მეტი განათლება მისცეს შვილს, ამიტომ მას ურჩევნია, ჰყავდეს ერთი ლომი, ვიდრე ხუთი კურდღელი. ამან, თავის დროზე, საქართველოში შემოიტანა ბავშვის დეფიციტი: ერთი შვილი ჰყავდათ, ბებიას ის დაჰყავდა ცურვაზე, მამას – ინგლისურზე, დედას – რუსულზე და ასე შემდეგ. უნდოდათ, რომ ბავშვი ყოველმხრივ განვითარებული ყოფილიყო. ეს პროცესი ძალიან ასინქრონულად მიდიოდა და ბავშვი არაფერს სწავლობდა. ამდენად, ვერანაირი შედეგი ვერ მივიღეთ. ამიტომ აქ თავისი სიტყვა სახელმწიფოსაც ეკუთვნის, თუმცა ეს ფონდი არ არის სახელმწიფო.

**– დემოგრაფიული თვალსაზრისით, რა პრობლემები გვაქვს საქართველოში?**

– ჩვენ საქართველოში ორი პრობლემა გვაქვს: ერთი, შობადობის ძალიან დაბალი დონე და დეპოპულაცია საქართველოს ყველა რაიონში, სამხრეთ საქართველოს გარდა, მაგრამ სამხრეთ საქართველოში, ქვემო ქართლსა და მესხეთ-ჯავახეთში, აჭარის გარდა, მაღალია ჩვილთა მოკვდაობა დედათა მოკვდაობის თანდართვით. ფონდმა, მე თუ მკითხავთ, ამ კუთხითაც უნდა იმუშაოს და ჩვილთა მოკვდაობა შეამციროს აზერბაიჯანულ და სომხურ ოჯახებში.

**– უფასო მშობიარობის სახელმწიფო პროგრამა ამ პრობლემას მოაგვარებს?**

– ალბათ. კურსი უნდა ავიღოთ დეპოპულაციის მქონე რაიონებისკენ, განსაკუთრებით, ყურადღება მისაქცევია მთიანი რაიონები. ამ თემაზე დისერტაცია 1982 წელს დავიცავი, რაც მაშინ ვთქვი, ის ღონისძიებები არ გატარებულა და დღესაც იგივეა გასაკეთებელი. როგორც გითხარით, ხელი უნდა შევუწყოთ მწარმოებლური ოჯახის შექმნას. როდესაც ტურიზმის განვითარებაზე ვსაუბრობთ, ტურისტს მომსახურება ხომ უნდა?! ჩემი აზრით, სამშვილიან ოჯახს უნდა დავეხმაროთ სახლის სასტუმროს მოწყობაში, მეღორეობის, მეცხოველეობის განვითარებაში. იქვე გადამამუშავებელი მრეწველობის დარგებია განსავითარებელი, ანუ კერძო მეურნეობების განვითარებას უნდა შევუწყოთ ხელი.

**– რომ თვითონ იშოვოს ის 200 თუ მეტი ლარი?**

– დიახ, თორემ სხვა შემთხვევაში, ჩვენ მივიღებთ ჰომოსოვეტიკუს ოჯახებს, რომლებიც ხელგაშვერილები იყვნენ და სახელმწიფოსგან იღებდნენ დახმარებას. ეს საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს ეწინააღმდეგება, ჩვენ კი მწარმოებლური ოჯახები უნდა შევქმნათ, რომ ოჯახი ეკონომიკურად გაძლიერდეს. თუ ბავშვების მოთხოვნილება არ აქვს ოჯახს, მესამე შვილს არ იყოლიებს. ამ კუთხით, სამუშაო უნდა ჩაატარონ სახელმწიფოს მხრიდან, მათ შორის, სკოლებში. არ მიწყენს ქალბატონი ნანუკა ჟორჟოლიანი, თუ ბილბორდებიდან მის სურათს ჩამოვხსნით და პატრიარქის სურათს გავაკრავთ, როდესაც ჩვილს ნათლავენ. გინახავთ ბილბორდზე პატრიარქის სურათი, როდესაც ბავშვს ნათლავს?! ანუ წინა მთავრობის პოლიტიკა არ იყო დემოგრაფია. ბევრმა არც იცის რეგიონებში, რომ პატრიარქი ნათლავს მესამე და შემდეგ ბავშვებს. როდესაც ჩვენ, დემოგრაფები შევხვდით პატრიარქს, გამოსვლისას ვუთხარი პატრიარქს, ერთადერთი პიროვნება, ვის მოწოდებასაც გაჰყვება ერი, თქვენ ბრძანდებით და კიდევ ერთი მძიმე ჯვარი უნდა აიღოთ, თქვენ უნდა მოუწოდოთ მესამე ბავშვის ყოლისკენ. ჩემდა გასაოცრად პატრიარქმა თქვა, მე მოვნათლავ მესამე და მეოთხე ბავშვებს. იმის თქმა მინდა, რომ მივაწოდეთ პრობლემა და მოინახა გამოსავალი. დღეს მესამე ბავშვის პრობლემა გვაქვს, მაგრამ მალე მეორე ბავშვი გაგვიხდება პრობლემა, თუ შობადობის სტრუქტურას გადავხედავთ. შესაბამისად, ჩემი აზრით, დემოგრაფიულმა ფონდმა უნდა იმუშაოს პირველი და მეორე შვილის სტიმულირებაზე და მწარმოებლური ოჯახისკენ უნდა აიღოს კურსი.

**– კახეთის გამოცდილების გათვალისწინებით, ხომ არ აჯობებდა, რომ ფულის ნაცვლად პამპერსებზე, ბავშვის საკვებზე გადანაწილებულიყო ეს თანხა?**

– 2000 თუ 2001 წელს თბილისის საკრებულოში შევიტანე პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა ნოემბრიდან აპრილამდე ჩვილბავშვიანი ოჯახებისთვის 30-30 ლარის დარიგებას პამპერსებისთვის, რადგან სწორედ იმ პერიოდში იყო ყველაზე მაღალი ჩვილთა მოკვდაობა. მთელი დღის ნამუშევარი დედა ღამით ველარ იღვიძებდა, ბავშვს ვერ უცვლიდა და ის ავად ხდებოდა, ამიტომ ჩვილთა სიკვდილიანობა მაღალი იყო. ლადო კახაძე გახლდათ მაშინ საკრებულოს თავმჯდომარე, მაგრამ ეს პროექტი არ დაამტკიცეს. იმიტომ რომ არ იყო პოლიტიკური ნება. ახლა, რაც მთავარია, პოლიტიკური ნება გამოჩნდა.

# „100 წიგნი შენს თაროზე“ – საჩუქარი მკითხველს „პალიტრა მედიისგან“

*წიგნი ყველა დროში იყო, არის და იქნება ნამდვილად ფასდაუდებელი საჩუქარი. „პალიტრა მედია” რამდენიმე წელია, წარმატებით ზრუნავს მკითხველის გემოვნების დახვეწაზე და მუდმივად ანებივრებს მას კარგი ავტორებით. როგორც თავად მესვეურებმა განაცხადეს, ძირითადად, მოთხოვნა უფრო კლასიკოსებზეა. საქართველოს შემთხვევაში, 50 წიგნის ცნობილ სერიაში ბევრი ქართველი გენიოსის ნაწარმოებიც შედის უცხოელ ავტორებთან ერთად.*

*კვირას, 10 მარტს, „პალიტრა მედიის” ხელმძღვანელობამ, კერძოდ კი ქალბატონმა **მარიკა დარჩიამ**, კიდევ ერთი საინტერესო რამ მოიფიქრა: გარდა იმისა, რომ გამომცემლობის სტამბა „კოლორში” შედგა ბევრისთვის ძალიან საყვარელი ავტორის – ერიხ მარია რემარკის წიგნის – „ჟამი სიცოცხლისა და ჟამი სიკვდილისა” პრეზენტაცია (უკვე 49-ე წიგნი, რომელიც გაზეთთან ერთად გამოდის პროექტის ფარგლებში), ჟურნალისტები თავად დავესწარით საწარმოო პროცესს, უფრო სწორად, მონაწილეობაც მივიღეთ მასში, რამაც ძალიან გაგვახალისა. ჟურნალისტებს „პალიტრა მედიისგან“ საჩუქრად გადმოგვეცა ერიხ მარია რემარკის რომანი, ასევე, „ვეფხისტყაოსნის“ ახალი და საინტერესო გამოცემა, ბატონ ირაკლი ოჩიაურის მიერ ილუსტრირებული ოფორტებით.*

*ჩვენ, რა თქმა უნდა, ჩავწერეთ „პალიტრა მედიის” ხელმძღვანელობა.*



**დავით ბეგიაშვილი** *(სტამბა „კოლორის” გენერალური დირექტორი):*

– ეს არის, ფაქტობრივად, გაგრძელება პროექტისა – „50 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ”. ეს პროექტი ერთნაირად მნიშვნელოვანია როგორც მკითხველისთვის, ასევე, წარმოებისთვის, რადგანაც, აქ დასაქმებული გვყავს რამდენიმე ასეული თანამშრომელი. საკმაოდ მაღალი ტირაჟია – დაახლოებით 50 000. პროცედურა თქვენ უკვე ნახეთ. წიგნი გამოდის კვირაში ერთხელ, გაზეთთან ერთად და მომხმარებელი ძალიან მომგებიან პოზიციაშია. რაც შეეხება წიგნს გაზეთის გარეშე, ღირს შედარებით ძვირი და, შეგიძლიათ, შეიძინოთ „ბიბლუსის” მაღაზიებში.

**– მოთხოვნა როგორია თავად ამ წიგნებზე?**

– ძალიან დიდი. როგორც ვიცი, თავად მკითხველის მოთხოვნით გაგრძელდა ეს პროექტი. შესულია ისეთი წიგნები, რომლებიც მკითხველს აინტერესებდა და ვრცელდება რეგიონებშიც.

**მარიკა დარჩია** *(„პალიტრა მედიის” კრეატიული დირექტორი):*

– ყველაფერი სამი წლის წინ დაიწყო. ეს ძალიან მნიშვნელოვანი და პოპულარული საერთაშორისო პროექტია და ჰქვია – „50 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ გარდაიცვლები”. როდესაც ამ პროექტს შევუერთდით, გადავწყვიტეთ, ცოტათი გაგვეკეთილშობილებინა და იმედიანი გაგვეხადა დასახელება. ამიტომ, დავარქვით „50 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ.” ამ პროექტს ჰქონდა თავისი წესები: უნდა ყოფილიყო გამოკითხვა და ამ გამოკითხვით სიმრავლეში ამოსული ის 50 წიგნი უნდა ყოფილიყო ერის ლიტერატურული მეხსიერების სარკე. როგორც წესი, ეს პროექტები 10-15 წლის მერე მეორდება, რომ ნახო, როგორია ცვლილებები. რა თქმა უნდა, დიდი მოთხოვნა იყო „ბიბლიაზე” და ჩვენ ვერაფრით ვერ მივცემდით თავს უფლებას, ის სხვა წიგნების რიგითობაში შესულიყო. ამიტომ, საპატრიარქოსთან ერთად გავიარეთ კონსულტაციები და გამოვიდა როგორც მთავარი წიგნი. ხშირად იყო



მოთხოვნა, რომ გაგრძელებულიყო პროექტი და მასში შესულიყო იმავე ავტორების სხვა ცნობილი და საინტერესო ნაწარმოებებიც. გამოკითხვა გრძელდება და გადავწყვიტეთ, გაგვეკეთებინა პროექტი – „კიდევ 50 წიგნი”; ასე რომ, საბოლოო ჯამში, გამოვიდა „100 წიგნი შენს თაროზე”. გვინდოდა, საწარმოო პროცესი, რომელიც ძალიან ცოცხალია, თავად ეხილათ ჟურნალისტებს და მიეღოთ მასში მონაწილეობა, ამიტომაც დაიგეგმა ეს პრეს-ტური.

**– უკვე ყველა წიგნი ცნობილია?**

– არა, ყველა წიგნი არ არის ცნობილი, ჯერჯერობით გამოკითხვა მიმდინარეობს. გვაქვს ჩვენი გვერდი „ფეისბუქზე“. მინდა გითხრათ, რომ ჩვენი საზოგადოების გემოვნება მსოფლიოს მკითხველის გემოვნებას ძირითადად ემთხვევა, რადგანაც, უფრო კლასიკაზეა მოთხოვნა – იქ არის დასახელებული შექსპირი, რემარკი, სერვანტესი, ბალზაკი. თუმცა, სხვაობაა იმ მხრივ, რომ კონკრეტულ ქვეყანაში შედარებით ჭარბობს იმ ქვეყნის ავტორები.

**ქეთი დიდებულიძე**

---

**– ჩვენ ვისაუბრეთ სოფლად მცხოვრები ოჯახების დემოგრაფიული მხარდაჭერის მიმართულებებზე, ქალაქებში?**

– აქ ყველაზე დიდი პრობლემაა უბინაობა. ვერ ქორწინდებიან, რადგან არ აქვთ საბინაო პირობები. მესმის, რომ ბინათმშენებლობა კერძო ბიზნესია, მაგრამ სახელმწიფოს შეუძლია, გამოუყოს მიწის ნაკვეთი ფონდს, ფონდმა კი ხელშეკრულება გააფორმოს სამშენებლო კომპანიასთან. თითო აშენებული სახლიდან ორი-ორი ბინა რომ გამოყონ ახალგაზრდა ოჯახებისთვის, ამ პრობლემას თანდათან მოაგვარებდა. იმის თქმა მინდა, რომ დემოგარფიულ ფონდს მხარი უნდა აუბან მშენებლებმა, კერძო სტრუქტურებმა. არის კიდევ ერთი საკითხი: გარეუბნებში არის ავტოფარეხები, ზოგი 20-50 კვადრატული მეტრი. მისი მდგრადობა უნდა შეისწავლონ სპეციალისტებმა და დართონ ნება დასაქორწინებელ წყვილებს, იმ ავტოფარეხზე დააშენონ, ან ავტოფარეხის ადგილას აიშენონ სახლი. იცით, რომ ბენდუქიძე დიდი დიღმის ბოლოს აშენებს ეგრეთ წოდებულ სტუდენტურ კამპუსებს, 16 კვადრატულ მეტრია პირველი სართული, იმდენივე – მეორე. არის 64 კვადრატულმეტრიანებიც. თუ მან მოიფიქრა და შენ, ქალაქის მერიამ დაუმტკიცე, სხვა ოჯახებსაც მიეცი ამის საშუალება?! თუ, მაინცდამაინც, ბენდუქიძეს უნდა გადაუხადონ 26 000 დოლარი, რომ ისეთი კამპუსი აუშენოს?! აი, ამ საკითხსაც დავაყენებ დემოგრაფიული ფონდის წინაშე.

ჩვენ ვდგავართ სიღატაკის პრობლემის წინაშე. გასული საუკუნის 90-იან წლებში ოჯახმა მეტ-ნაკლებად დაძლია ეს სიღარიბე, ანუ მიდის ოჯახის ტრანსფორმაციაც. ესეც შესასწავლია. იმით არ მოგვარდება პრობლემა, რომ მესამე ბავშვზე 200 ლარს მივცემ და ამიტომ იყოლიებს. იქნებ ის ბავშვი, როდესაც გაიზრდება, ქურდი გამოვიდეს და არ გამოადგეს ქვეყანას? ანუ მთელ ამ პროცესს თავიდან ბოლომდე სჭირდება სახელმწიფოს ყურადღება. უნდა განვსაზღვროთ მცირეშვილიანი, საშუალოშვილიანი და მრავალშვილიანი ოჯახები. მრავალშვილიანი ოჯახისკენ კურსის აღება დიდი შეცდომა იქნება, იმიტომ რომ ძალიან რთულია, უმჯობესია, საშუალოშვილიან ოჯახებზე ვიმუშაოთ.

სწორი სტრატეგია აქვს ფონდს, რომ კურსი აიღო იმ რაიონებზე, სადაც დეპოპულაციაა, შობადობა აღემატება მოკვდაობას. მაგალითად, რაჭაში დემოგრაფიული დაბერება 30 პროცენტამდეა ასული. სამხრეთ საქართველოში კი უნდა შევამციროთ ჩვილთა მოკვდაობა.

**– ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მგონია მარტოხელა დედების პრობლემა. თუ არავინ მოიყვანა ცოლად, რა ქნას ქალმა? ხომ შეიძლება, რომ სახელმწიფო განსაკუთრებულად დაეხმაროს მარტოხელა დედებს, თუნდაც, დემოგრაფიული მოტივით?**

– ეს რთული თემაა და ადამიანის უფლებებს ეხება. ჯერ ერთი, უნდა განისაზღვროს ქვეყანაში დედის სტატუსი, შესაბამისად, მარტოხელა დედის სტატუსი. ჩვენთან განქორწინებულსაც მარტოხელა დედას უწოდებენ, არადა, ეს ასე არ არის. ასევე, ჯვრისწერა უნდა გაუთანაბრდეს სამოქალაქო ქორწინებას. მაგალითად, 2006 წელს ბავშვების 53 პროცენტი ქორწინების გარეშე იყო დაბადებული. თუმცა ამდენი მარტოხელა დედა არ გვყოლია, უბრალოდ ჯვარი ჰქონდათ მხოლოდ მშობლებს დაწერილი, თორემ მარტოხელა დედების რაოდენობა 5-7 პროცენტამდე იყო. ჩვენთან არსებობს ქალთა გათხოვების პრობლემა. ეს ქალის ემანსიპაციამ მოიტანა: ქალი უცხოეთში იღებს განათლებას, ჩამოდის, იწყობს კარიერას, აქვს კარგი სამსახური, ბინა, მანქანა, შემდეგ ახსენდება ქმარი, გადის საქორწინო ბაზარზე, მაგრამ ისეთი ქმარი, როგორიც მოსწონს, აღარ არის. შემდეგ ან ვიღაცის ოჯახის დანგრევის ხარჯზე ქმნის ოჯახს, ან ვერ ქმნის. ეს უკვე მორალური საკითხია. ჩავატარეთ გამოკითხვა და აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა 67 პროცენტი ამართლებს, რომ ქალმა, რომელიც 35 წლისაა და ვერ გათხოვდა, იყოლიოს შვილი, მაგრამ ამას ეკლესია გმობს.

მეორე მხრივ, მრავალცოლიანობა საქართველოში ბოლო დრომდე იყო, როდესაც კაცს არ ჰყავდა ვაჟი, მახშვის თანხმობით მოჰყავდა მეორე ცოლი. ამასთან, ჩვენ ძალიან ბევრი გასათხოვარი გვყავს მთიან რაიონებში, იქ ტრადიციებს უფრო მისდევენ და შეიძლება, თავში ჩაგარტყას ქალმა, რომ უთხრა, ქორწინების გარეშე გააჩინე შვილიო. თუმცა, თუ ვინმემ გადაწყვიტა, გახდეს მარტოხელა დედა, სახელმწიფომ მას ხელი უნდა შეუწყოს.

**ნინო ხაჩიძე**

# როგორ ამთავრებენ სიცოცხლეს დიქტატორები



ვენესუელელი ლიდერის, უგო ჩავესის გარდაცვალების შემდეგ, მსოფლიო პოლიტიკის ისტორიაში კიდევ ერთი დიქტატორის ხანა დასრულდა. ჩავესი ვენესუელელების აზრით, ნამდვილი მოვლენა და ღმერთისგან მოვლენილი ადამიანი იყო, რომელიც მხოლოდ ქვეყნის კეთილდღეობაზე ფიქრობდა და სიცოცხლე უმძიმეს სენთან ბრძოლაში დაასრულა. სიმონ ბოლივარის მსგავსად, ჩავესი მავზოლეუმში დაასვენეს. ამიერიდან, ის სამუდამოდ დაიკავებს ადგილს ვენესუელისა და მსოფლიო ისტორიის მატიანეში, როგორც იმპერიალიზმთან და დასავლურ ღირებულებებთან მებრძოლი რაინდი. კომუნისტი ჩავესისგან განსხვავებით, სულ სხვა ხვედრი ერგო მის თანამოაზრე ექსდიქტატორებს, რომელთა შესახებ ამ ნომრიდან შეიტყობთ.

რუმინეთის პრეზიდენტი ნიკოლაე ჩაუშესკუ, რომელიც აკრიტიკებდა საბჭოთა კავშირს და საკუთარ ქვეყანაში დიქტატურას ავითარებდა, ტრიბუნალმა ყოველგვარი მოკვლევის გარეშე დახვრიტა ცოლთან ერთად. ჩაუშესკუს ბრალად ბუქარესტსა და ტიმიშოარაში მშვიდობიანი მომიტინგეებისთვის ცეცხლის გახსნის ბრძანება წაუყენეს. მიუხედავად იმისა, რომ დიქტატორი გაქცევას ცდილობდა, დააკავეს და დახვრიტეს დაპატიმრებიდან ორ დღეში. ცხედრები კი ნაციონალური ტელევიზიის ეთერში აჩვენეს. დახვრეტის წინაც კი ჩაუშესკუმ დანაშაული არ აღიარა.

იტალიის ფაშისტური რეჟიმის დიქტატორი ბენიტო მუსოლინი და მისი მეგობარი ქალი – კლარეტა პეტაჩი პარტიზანებმა მილანთან ახლოს 1945 წელს დახვრიტეს. მოგვიანებით, მათი გვამები ქუჩის განათების ბოძებზე თავდაყირა დაკიდეს. მუსოლინის დანაშაულთა ჩამოთვლა უადგილო იქნება, საკმარისია ფაშისტური რეჟიმის თავკაცობა.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კომუნისტ ბელადს, ერიხ ჰონეკერს აღმოსავლეთ გერმანულმა პროკურატურამ რამდენიმე ბრალდება წაუყენა, მათ შორის უფლებამოსილების გადამეტება, სახელმწიფოს ღალატი და ქონების მიტაცება. თუმცა, ასაკოვანი დიქტატორი იმ დროისთვის უმძიმესი ავადმყოფი იყო და ჯერ ბერლინის კლინიკა „შარიტეში" იწვა, შემდეგ კი საბჭოთა ჰოსპიტალში. საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრის, დიმიტრი იაზოვის ბრძანებით, 1991 წლის 13 მარტს ჰონეკერი საიდუმლო ვითარებაში ჩამოიყვანეს მოსკოვში. თუმცა, აგვისტოს პუტჩის შემდეგ, იაზოვი დააპატიმრეს და ჰონეკერს პოლიტიკური თავშესაფრის მიღება გაუჭირდა. 1992 წლის ზაფხულში ჰონეკერი გერმანიაში ჩავიდა, სადაც 169 დღე წინასწარი დაკავების საკანში გაატარა. შემდგომ ის გაათავისუფლეს და ჩილეში გაგზავნეს შვილთან, სადაც გარდაიცვალა კიდეც. ჰონეკერის კუბოს ზედ გდრ-ის დროშა ეფარა, სამგლოვიარო მუსიკად კი „ინტერნაციონალი" უკრავდა.



პოლონეთის სამხედრო დიქტატორი, გენერალი ვოიცეხ იარუზელსკი 1970 წელს გდანსკში, მშვიდობიანი მომიტინგეებისთვის ცეცხლის გახსნის გამო, სამხედრო ტრიბუნალს გადასცეს. ქვეყნის სათავეში მოსულმა მემარცხენე ცენტრისტებმა ყოფილი დიქტატორის ასაკის გათვალისწინებით, სასამართლო სხდომა გადადეს და იარუზელსკი დღემდე ცოცხალია. პოლონელების ნაწილი მიიჩნევს, რომ მოძრაობა „სოლიდარნოსტის" დაშლით და 1981 წელს მოწყობილი სამხედრო გადატრიალებით, იარუზელსკიმ ხელი შეუშალა საბჭოთა კავშირს საკუთარი პოლიტიკა გაეტარებინა სოციალისტურ პოლონეთში. ვოიცეხ იარუზელსკი უკანასკნელი ცოცხალი დიქტატორია 1980-იანების დასაწყისის აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტურ ლიდერებს შორის.

ბულგარეთის ყოფილი ლიდერი ტოდორ ჟივკოვი 1990-იანი წლების დასაწყისში გადასცეს პროკურატურას, თუმცა ყველა წაყენებული ბრალდება აბსოლუტურად უსაფუძვლო იყო. მათ შორის, პროკურატურამ ვერ დაამტკიცა კორუფციის ფაქტები და იძულებული გახდა, ჟივკოვი გაეთავისუფლებინა. სიკვდილამდე ჟივკოვი სოფიაში, ფეშენებელურ აპარტამენტებში ცხოვრობდა და მემუარებზე მუშაობდა. ის დარწმუნებული იყო, რომ თუკი საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის უფლებას მისცემდნენ, აუცილებლად გაიმარჯვებდა.

ჩილეს დიქტატორმა აუგუსტო პინოჩეტმა დაკავებული თანამდებობა 1990 წელს, საკუთარი ნებით დატოვა. სამაგიეროდ, მიიღო იმუნიტეტი და სენატორის სამუდამო თანამდებობა. მოგვიანებით, ჩილეს პროკურატურამ მოკვლევა დაიწყო და 2000 წელს ექსდიქტატორს ასამდე საბრალდებო პუნქტით წაუყენა ბრალი. პინოჩეტს ბრალად ედებოდა იარაღით უკანონო ვაჭრობა, ნარკოტიკებით ვაჭრობა, მკვლელობათა დაკვეთა, ადამიანების წამება და რეპრესიები. ხანგრძლივი დროის განმავლობაში პინოჩეტის საქმე მსოფლიო მასმედიის ყურადღების ცენტრში იყო. საბოლოოდ, 2006 წელს 91 წლის დიქტატორი ისე გარდაიცვალა, რომ სასამართლომ მისი სისხლიანი რეჟიმის დანაშაულებრივი სისტემის გამოძიება ვერ დაასრულა.



ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის მმართველმა ჟან-ბედელ ბოკასამ სახელი ორი რამით გაითქვა: კლავდა და შემდეგ ჭამდა ოპოზიციონერებს და ასევე, იმდენად იყო ნაპოლეონით გატაცებული, რომ 1971 წელს ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა იმპერიად გამოაცხადა. კანიბალი დიქტატორი ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფრანგული მხარის დახმარებით ახერხებდა ძალაუფლების შენარჩუნებას. თუმცა, 1979 წელს ის მაინც გადააყენეს. ციხის ნაცვლად ბოკასა საფრანგეთში აღმოჩნდა. ამბობენ, ბოკასა საფრანგეთის პრეზიდენტ ვალერი ჟისკარ დ'ესტენთან იყო დაახლოებული და ბრილიანტებით ასაჩუქრებდაო. სწორედ ბრილიანტების საშუალებით გაექცა ბოკასა მართლმსაჯულებას. თუმცა, მცირე ხნით. საბოლოოდ ის მაინც მოხვდა ციხეში, სადაც 7 წელი გაატარა. გათავისუფლების შემდეგ ის კვლავ პარიზში დაბრუნდა. ბოკასა ინფარქტით გარდაიცვალა 1996 წელს პარიზთან ახლოს მდებარე სასახლეში.

ერაყის პრეზიდენტი სადამ ჰუსეინი 1979 წლიდან 2003 წლამდე ერთპიროვნულად მართავდა რესპუბლიკას და ამერიკელების ჩარევით, ჩამოაგდეს. ჰუსეინს ერაყის სასამართლომ სიკვდილი მიუსაჯა და 2006 წლის 30 დეკემბერს ჩამოახრჩეს. ჰუსეინის სიცოცხლის ბოლო წუთები ვიდეოზეა გადაღებული და ჩამოხრჩობის სცენა ინტერნეტში მალევე გავრცელდა.

ლიბიის ჯამაჰირიის ლიდერი და ბელადი, მუამარ კადაფი 42 წლის განმავლობაში ედგა სათავეში მთავრობას და თუნდაც ხუთი წლის წინ, მსოფლიოში ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ის მოწამეობრივი სიკვდილით აღესრულებოდა. ერთ დროს ფუფუნებაში მცხოვრები და მსოფლიო ლიდერების მეგობრად წოდებული კადაფი თავისივე მოქალაქეებმა სიკვდილით დასაჯეს. მუამარ კადაფის ცხედარი ქალაქ მისურატის ცენტრში სამეურნეო მაცივარში მოთავსებული საჯაროდ გამოფინეს. ამის შემდეგ კი ლიბიის უდაბნოში დამარხეს.



დიქტატორთა უმეტესობამ საერთოდ დააღწია თავი მართლმსაჯულებას. უგანდის სისხლიანი მმართველი – იდი ამინი, რომლის მმართველობის პერიოდში ნილოსის ჰიდროსადგურის ტურბინებში მდინარეში ჩაგდებული გვამები იჭედებოდა, საუდის არაბეთში გაიქცა. ეთიოპიელი დიქტატორი მენგისტუ ჰაილე მარიამი ზიმბაბვეში დაემალა გამოძიებას. ჰაიტელი მმართველი ჟან-კლოდ დიუვალიე პარიზში გაიქცა. გაქცევამდე კი დიდი ზეიმი მოაწყო სასახლეში. განსხვავებულად წარიმართა პანამის სამხედრო დიქტატორის, მანუელ ნორიეგას ცხოვრება. 1989 წლიდან სხვადასხვა ციხეში იხდის სასჯელს ჩადენილ დანაშაულთა გამო.

ბოლოს უნდა ითქვას, რომ პოლიტიკური და სამხედრო დამნაშავეების, ყველა დროის ყველაზე სანიმუშო სასამართლოდ, ნიურნბერგის პროცესი მიიჩნევა, სადაც ნაცისტური გერმანიის ლიდერებს სხვადასხვა სასჯელი შეუფარდეს. მათ შორის კარლ დენიცს, რომელმაც სულ ათი დღე გაატარა ქვეყნის სათავეში და ერთადერთ პოლიტიკურ აქტს, კაპიტულაციას მოაწერა ხელი, 10-წლიანი სასჯელი მიუსაჯეს.

**უშანგი რუხაძე**


**გამოიწერეთ ჟურნალი „თბილისელები"**

***შინიდან გაუსვლელად ყოველ ორშაბათს ფოსტალიონი მოგართმევთ სახლში***

„მაცნე" – 214-39-06;
„პლანეტა" – 251-75-21;
„ელვასერვისი" – 238-80-02;
„ინფოსერვისი" – 234-11-40, 234-09-35;
„ჯეომედია" – 295-51-70;
ქ. ბათუმი, „სალუქვაძე და კომპანია" – 294-32-32

# რომელი ბიზნესით დაიწყო კარიერა დავით იაკობაშვილმა და რა აკავშირებს მას საქართველოს ყოფილ ელჩთან ამერიკის შეერთებულ შტატებში – თემურ იაკობაშვილთან

დავით იაკობაშვილის სახელმა ბოლო პერიოდში არაერთ სკანდალურ საქმეში გაიჟღერა, იქნებოდა ეს ნავთობკომპანია „გალფის" წილების გაზრდის თუ კაზინო „აჭარასთან" დაკავშირებული ამბები. იაკობაშვილი რუსეთის ბიზნესსამყაროში ოდიოზურ ფიგურად ითვლება და მის სახელთან რამდენიმე წარმატებული პროექტი ასოცირდება, მაგალითად, კომპანია „ვიმ ბილ დანი," რომელიც 2011 წელს მან ამერიკულ „პეპსიკოს" მიჰყიდა.

დავით იაკობაშვილი დაიბადა 1957 წლის 2 მარტს, საქართველოში, ქართველი ებრაელების ოჯახში. მამამისი, მიხეილ იაკობაშვილი, ეგრეთ წოდებული „ცეხავიკი" იყო და ედუარდ შევარდნაძის „ცეკას" მდივნად მუშაობის დროს ჩეჩნეთში გადაიხვეწა. დავით იაკობაშვილს დამთავრებული აქვს თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სამრეწველო და სამოქალაქო მშენებელ-ინჟინრის სპეციალობით. 1980-იანი წლების დასაწყისში იაკობაშვილი „მეტრომშენში" და არასამთავრობო დაცვაში მუშაობდა, დაკავებული იყო რადიოტექნიკის შეკეთებითა და ავტომაგნიტოლების მონტაჟით. პარალელურად, „პერესტროიკის" პერიოდში ის ბიზნესით დაინტერესდა და ღორების გაყიდვა დაიწყო; ასევე, აწყობდა სამოგზაურო ტურებს უცხოელებისთვის. 1988 წელს მან მოსკოვში გახსნა სილამაზის სალონი „ჟენშენი," რომელიც „ჩისტიე პრუდიზე" მდებარეობდა. 1990-იანი წლების დასაწყისში ბიზნესპარტნიორთან, გაბრიელ იუშვაევთან ერთად, რომლის ნათესავზეც მოგვიანებით დავითი დაქორწინდა, მან დააარსა „ტრინიტი-მოტორსი", რომელიც ამერიკიდან ჩამოყვანილი ავტომობილების, გაყიდვაზე იყო ორიენტირებული. ცნობისთვის გაბრიელ იუშვაევი, რომლის კაპიტალი 1,2 მილიარდ ამერიკულ დოლარად არის შეფასებული, 1980-1989 წლებში სასჯელს იხდიდა ყაჩაღობისთვის, თუმცა, გავრცელებული ვერსიის თანახმად, ის საბჭოთა კავშირში გამეფებული ანტისემიტიზმის მსხვერპლი იყო და გამოგონილი ბრალდებით იყო გასამართლებული.

1992 წლიდან დავით იაკობაშვილი გასართობი ცენტრის – „მეტელიცას" და კაზინო „ჩერის" თანამფლობელია. იმავე 1992 წელს, იუშაევთან ერთად, მან დააფუძნა კომპანია „ვიმ ბილ დანი". იაკობაშვილმა და იუშვაევმა ფული დააბანდეს სერგეი პლასტინინისა და მიხაილ დუბინინის პროექტში – „ლიანოზოვის რძის კომბინატში წვენების ჩამოსხმა". ასე შეიქმნა კომპანია „ვიმ ბილ დანი", რომელიც რუსეთისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ერთ-ერთ ლიდერ კომპანიად ითვლება რძის პროდუქტებისა და წვენების წარმოებაში. 2011 წელს დავით იაკობაშვილმა თავისი აქციები ამერიკულ კომპანია „პეპსიკოს" მიჰყიდა 600 მილიონ დოლარად და იმავე წელს შექმნა კორპორაცია „ბიოენერგია" (ცენტრალურ რუსეთში ტორფის გადამამუშავებელი კომპანია). ასევე, იაკობაშვილი მთლიანად ჩამოშორდა რძის პროდუქტების ბიზნესს და ნავთობზე გადაერთო. ამჟამად ის ფლობს კომპანია „პეტროკას ენერჯი გრუპის" აქციათა საკონტროლო პაკეტს; კომპანია ნავთობტრეიდინგით არის დაკავებული ყაზახეთსა და საქართველოში. მის საკუთრებაშია ფოთის ნავთობტერმინალი. მხოლოდ 2012 წელს კომპანიამ საქართველოს ტერიტორიაზე სარკინიგზო ტრანსპორტით 7,5 მილიონი ტონა ნავთობპროდუქტები გადაზიდა. თავად იაკობაშვილი „პეტროკას ენერჯი გრუპის" შეძენას ბოლო წლებში თავის ყველაზე საინტერესო და პერსპექტიულ პროექტს უწოდებს. საინტერესოა, რომ დავით იაკობაშვილი ყალმუხეთის რესპუბლიკაშია ჩაწერილი – მას პირადად კირსან ილიუმჟინოვმა სთხოვა ამის შესახებ და 2012 წელს მან, დეკლარაციის თანახმად, ყალმუხეთის ბიუჯეტში, როგორც ფიზიკურმა პირმა, 2,4 მილიარდი რუბლი გადაიხადა გადასახადების სახით, ეს თანხა კი ყალმუხეთის რესპუბლიკის მცხოვრებთა საერთო სახელმწიფო გადასახადების ტოლი გამოდგა. მსხვილი ბიზნესმენების მხრიდან მსგავსი ქმედება რუსეთში აპრობირებული მეთოდი ყოფილა. მაგალითად, რომან აბრამოვიჩი გადასახადებს ჩუკოტკაზე იხდიდა, მიხაილ პროხოროვი – კრასნოიარსკის მხარეში, სულეიმან ქერიმოვი – დაღესტნის რესპუბლიკაში, ხოლო იაკობაშვილის ყოფილი პარტნიორი „ვიმ ბილ დანში" სერგეი პლასტინინი – არხანგელსკის ოლქში.





რუსეთის მოქალაქეობასთან ერთად, იაკობაშვილი შვედეთის მოქალაქეც გახლავთ. 1980-იან წლებში იგი შვედეთში სამუშაოდ იყო ჩასული, უვლიდა მძიმე ავადმყოფებს, გადმოჰყავდა ავტომობილები გასაყიდად. შვედეთში იაკობაშვილმა გაიცნო სამშენებლო კომპანიის მფლობელი – ბილ ლიდვალი, რომელმაც, გავრცელებული ვერსიის თანახმად, მას თავისი უნიკალური მექანიკური მუსიკალური საკრავების კოლექცია აჩვენა, რის შემდეგაც იგი ანტიკვარული ნივთების კოლექციონირებით დაავადდა. მოგვიანებით ლიდვალმა იაკობაშვილს მიჰყიდა თავისი კოლექცია, რომელიც ბიზნესმენმა კიდევ უფრო გაამდიდრა და დღეს დავით იაკობაშვილი ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი კერძო კოლექციის მფლობელია, რომელშიც 400-მდე უნიკალური ნივთია თავმოყრილი. იგი ფლობს ორ უნიკალურ, მცირე ზომის ფრანგულ მექანიკურ ორღანს, რომელთა მფლობელები ფრანგი მონარქები – ლუი მეჩვიდმეტე და ლუი მეთვრამეტე იყვნენ. იგი, ასევე, ფლობს არღნების უნიკალურ კოლექციას, მათ შორის, მეთვრამეტე საუკუნის იტალიელი არღნის ოსტატის – ბაჩი გალუპოს ინსტრუმენტებს და მეცხრამეტე საუკუნის თბილისში მცხოვრები მეარღნე ქიტესოვის არღნებს. იაკობაშვილის საკუთრებაშია ადოლფ ჰიტლერის ნაქონი სიმფონია. დავით იაკობაშვილი, ასევე, გატაცებულია მოტოციკლებით, კარტინგით, ცურვითა და დაივინგით. იგი არის რუსეთის ებრაელთა კონგრესის პრეზიდიუმის წევრი და ევრაზიის ებრაელთა კონგრესის ვიცე-პრეზიდენტი. დავით იაკობაშვილის მეუღლე, შვილთან ერთად, საფრანგეთში ცხოვრობს. ცნობისთვის, საქართველოს ყოფილი ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში და ყოფილი სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში თემურ იაკობაშვილი დავით იაკობაშვილის ნათესავია. ბოლო მონაცემებით, დავით იაკობაშვილის პირადი კაპიტალი 950 მილიონ ამერიკულ დოლარს შეადგენს.

**უშანგი რუხაძე**

„ოქსფორდის აკადემია"
აცხადებს მიღებას სხვადასხვა სერტიფიცირებულ პროგრამებზე:
**ზოგადი ინგლისური** – გრამატიკა, საუბარი, მოსმენა, წერისა და კითხვის უნარების გაუმჯობესება;
**სასაუბრო ინგლისური** – ერთთვიანი პროგრამა უცხოელ სპეციალისტთან ერთად;
**ბუღალტერია** – თეორია და პრაქტიკა; ORIS & SuperFin.
**ორგანიზაციული მენეჯმენტი** – სრული კურსი, სადაც ისწავლება: ზოგადი მენეჯმენტი; HR მენეჯმენტი და PR მენეჯმენტი, პროექტების მართვა, სტრატეგიული დაგეგმვა, პრეზენტაციის უნარები და სხვა.
დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: ტელ. 2 30-59-30
ან გვეწვიეთ: მის. კოსტავას №20 (ფილარმონიასთან).
www.oxfordacademy.ge
Facebook.com/OxfordAcademy.ge

**ავთანდილ ცქვიტინიძეს მოდის სახლ „ავთანდილში" ვესტუმრეთ. ის, როგორც ყოველთვის, საქმიანი, კომპეტენტური და კომუნიკაბელურია. რა სიახლეებია ცნობილი დიზაინერის კარიერაში და რა ტენდენციებია აქტუალური 2013 წლის გაზაფხული-ზაფხულისთვის, ჩვენი ინტერვიუდან შეიტყობთ.**

# რისთვის ამზადებს ავთანდილი ქალიშვილს და როგორ ვითარდება მისი კარიერა

**– ავთანდილ, როგორ ხართ, რა შემოქმედებითი სიახლეები გაქვთ?**

– ძალიან დატვირთულები ვართ შემოქმედებითად. ჩვენი სახლი უკვე ძალიან სერიოზულ რაღაცეებს შეეჭიდა – ეს არის ევროპის ბაზრის დაპყრობა, აზიური ბაზარი, რუსეთის ბაზარი. ამ ყველაფერზე ერთად ვმუშაობთ, პლუს, ვაკეთებთ გამოფენებს პარიზში – ტრენოიზე; გვაქვს საკუთარი შოუ-რუმი პარიზში, ასევე მილანში. ძალიან სერიოზულად ვამუშავებთ კოლექციებს და გავდივართ ნაბიჯ-ნაბიჯ. მართალია, ძალიან რთულია ყოველივე ეს, მაგრამ, სხვა გამოსავალი, უბრალოდ, არ გვაქვს, რადგან, კომპანია გაიზარდა და მას უკვე ბევრ რამეზე აქვს პრეტენზია. ასევე, გავაკეთეთ საქართველოში „მასმარკეტის" ხაზი, რომელიც გათვლილია საშუალო და დაბალშემოსავლიანი ადამიანების ფენაზე, რამაც ძალიან გაამართლა და ძალიან მოსწონს საზოგადოებას. ეს, რაც ქართულ ბაზარს შეეხება. ჯერჯერობით ორი მაღაზიაა და აბსოლუტურად ყველა ახალ თუ არსებულ ცენტრთან გვაქვს მოლაპარაკება, სადაც ქსელური სახით იქნება წარმოდგენილი ეს ხაზი. ჩვენ სამი დღის წინ ჩამოვედით გამოფენიდან.



**ზოგადად, მოდის ბრმად მიმდევრობა არც ისეთი მისაღებია და ცოტა სასაცილოდ და აბსურდულად მიმაჩნია ეს ყველაფერი**

**– გვიამბეთ, ამ გამოფენის შესახებ.**

– ეს გამოფენა ტარდებოდა პარიზში. პარალელურად, მილანში მიმდინარეობს ხოლმე. ჯერ მილანში ვაჩვენებთ, სადაც კომპანია „ავთანდილმა" აიღო ვიტრინა და უკვე შევიდა მილანის ძალიან სერიოზულ მაღაზიებში. ეს არის „მილან 30", რომელიც საოცარ ადგილას მდებარეობს – „ლანვინისა" და „დოლჩე გაბანას" მაღაზიებს შორის, სადაც უკვე სერიოზული ვიტრინა გაკეთდა „ავთანდილის".

**– მოკლედ, ძალიან დატვირთულები ხართ შემოქმედებითად. რაც შეეხება პირად ცხოვრებას?**

– რაც შეეხება პირად ცხოვრებას, ცოლ-ქმარი ძირითადად შვილით ვართ დაკავებული, მის განვითარებაზე, განათლებაზე გვაქვს ორიენტირი. ძალიან გვინდა, რომ კარგად ფლობდეს ფრანგულს, რადგან, ბევრი გეგმა გვაქვს პარიზთან დაკავშირებით და, მინდა, რომ ანასტასია თავიდან ბოლომდე მზად იყოს ამისთვის. ის არაჩვეულებრივად ხატავს. მეც კარგად ვხატავდი ბავშვობიდან, მაგრამ, გამოდის, რომ არაფერს არ ვხატავდი. ანასტასიას საოცრად კარგი შეგრძნება აქვს ფერის, ქსოვილის და სერიოზულად არის ყოველივე ამით დაკავებული. არ ვიცი, რას აირჩევს ანასტასია საბოლოო ჯამში, თუმცა, მე მას ყველანაირად შევუწყობ ხელს – ძალიან მინდა, ჩემი გზა გააგრძელოს.

**– ჩვენ ზემოთ საკმაოდ ყურისმომჭრელი სახელები ვახსენეთ. ზოგადად, ბებერი ევროპა განებივრებულია მაღალი დონის დიზაინერებით. როგორ ფიქრობთ, რა მოსწონთ მათ „ავთანდილში"?**

– ძალიან რთული გზა ავირჩიეთ. მე არ წავედი არც ლონდონის ბაზარზე, არც ამერიკის, სადაც შედარებით მარტივად იღებენ დიზაინერებს. ჩემი ოცნება და მიზანი იყო, პარიზში გამეკეთებინა შოუ-რუმი. პირველი ჩვენების შემდეგ, რომელიც სასტუმრო „პრისტოლში" გაკეთდა, სადაც ძალიან სოლიდური საზოგადოება დაესწრო, წამოვიდა იდეა, რომ მე სერიოზულად დამეწყო მუშაობა პარიზის შოუ-რუმებთან და მქონოდა ხშირი გამოფენები, სადაც სპეციალურად ვიწვევდით ბაერებს სხვადასხვა ქვეყნიდან. ორი-სამი სეზონი იყო ძალიან რთული, რადგან, ეს იყო დაკვირვების პერიოდი, როცა აკვირდებიან დიზაინერს, თუ როგორ ვითარდება, რა სიახლეები აქვს, სწორად ავრცელებს თუ არა კოლექციებს, აქვს თუ არა სწორი ფიარი და, საერთოდ, აბსოლუტურად ყველაფერი... რა თქმა უნდა, ეს ძალიან რთულია. არ ვიცი, ალბათ, არსებობს „ავთანდილში" რაღაც ისეთი, რაც ყველაზე ძალიან მოსწონთ. ახლა განსაკუთრებით მოეწონათ ახალი თემა, – „ოლეგ ტიმჩენკო ავთანდილისთვის", სადაც ოლეგმა გააკეთა ინფანტები და ანგელოზები სპეციალურად ჩემთვის. ჩვენ ეს უკვე შევიტანეთ ქსოვილში და გავაკეთეთ კოლექცია, რომელმაც საოცარი წარმატება მოიპოვა. უკვე ძალიან სერიოზულ მაღაზიებში შევიდა ეს კოლექციები, სადაც ისეთი სერიოზული ბრენდები იყიდება, როგორებიცაა: „ჟივენში", „ალექსანდრ მაქქუინი", „ლანვინი" და, ამ ბრენდებთან ერთად შერეულ, კონცეპტუალურ მაღაზიებში, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანამ უკვე შეიძინა ეს კოლექცია.

**– როგორ და როდის შედგა თქვენი და ტიმჩენკოს ტანდემი?**

– მე ძალიან მინდოდა, რამე გამეკეთებინა ჩემს რომელიმე საყვარელ მხატვართან ერთად. ყველაზე ახლოს ჩემს სულიერ სამყაროსთან ოლეგი იყო, ვთხოვეთ და დაგვთანხმდა.

**– მანამდე იცნობდით?**

– არა. ვიცნობდი მხოლოდ მის შემოქმედებას. ჩემს მეუღლეს უყვარს ძალიან. ხომ როგორი რთული ადამიანები არიან მხატვრები, მაგრამ, ის დიდი სიამოვნებით წამოვიდა ამ ექსპერიმენტზე, რომელმაც გაამართლა. ვფიქრობთ, რომ ჩვენ კიდევ არაერთხელ ვითანამშრომლებთ. ასევე, გეგმაში მაქვს და უკვე მოლაპარაკება მიმდინარეობს სხვადასხვა ცნობილ ადამიანთან – პოპულარულ ქალბატონებთან, მომღერლებთან, რომლებიც სხვადასხვა დროს გააკეთებენ ჩემთვის იდეებს. ახლა იყო „ოლეგი ავთანდილისთვის", მალე კი, შეიძლება, რომელიმე ძალიან სერიოზული ქართველი დიზაინერი ნახოთ „ავთანდილისთვის".

**ნუ შეეშინდებათ ქალებს, ვისაც დიდი თეძოები აქვთ. მცდარია აზრი, თითქოს კლოში ქვედაბოლოები ადიდებს თეძოებს. არა! – თუ წელი არსებობს, ჩათვალეთ, რომ თეძო აღარ ჩანს კლოშ ქვედაბოლოში**

**– გაზაფხულდა, დათბა და, ამინდთან ერთად, განწყობაც შეიცვალა. შესაბამისად, ყველა ქალბატონი ახლის ძიებასა და მოლოდინშია. უნდა, ახალი შტრიხები შეიტანოს თავის ჩაცმულობაში, რათა, უკეთ გამოიყურებოდეს. რა არის მოდაში ამ სეზონზე?**

– საერთოდ, ძალიან ინდივიდუალურია ეს ყველაფერი. ალბათ, ყველა ქალი შინაგანად გრძნობს, რა უნდა, რა სჭირდება. ზოგადად, მოდის ბრმად მიმდევრობა არც ისე მისაღებია და ცოტა სასაცილოდ და აბსურდულად მიმაჩნია ეს ყველაფერი. შენ უნდა კარნახობდე მოდას, უნდა ატარო ის ტანსაცმელი, რაც შენია, ამისთვის კი არსებობს სარკე და ვიზუალი, რომელსაც შენ თვითონ აკონტროლებ. ზოგადი ტენდენციები კი ასეთია: ახლა არის ძალიან ქალური სილუეტები მოდაში, 60-იანი წლების – ოდრი, სოფი ლორენი, ჯინა ლოლობრიჯიდა – აი, ეს პერიოდი: წელი დაფიქსირებული, კლოში ქვედაბოლოები, შრიალა, ფრიალა, რაც ძალიან უყვართ ქალებს. ის ძალიან ქალური და ნაზია. ნუ შეეშინდებათ ქალებს, რომელთაც დიდი თეძოები აქვთ. მცდარია აზრი, თითქოს კლოში ქვედაბოლოები ადიდებს თეძოებს. არა! თუ წელი არსებობს, ჩათვალეთ, რომ თეძო აღარ ჩანს კლოშ ქვედაბოლოში. მეორე უკიდურესობასაც გვთავაზობს ეს ტენდენცია: ცოტა მამაკაცური პიჯაკები, ოდნავ გაზრდილი მხრები, ბანანი შარვლები, რომელიც კოჭთან მთავრდება; ასევე, სლაქსები, რომელიც ძალიან რთული მოსარგებია და ალბათ საქართველოში ძალიან ცოტა ადამიანი თუ ჩაიცვამს. ამიტომ, ვამბობ: იმხელა ინფორმაციაა ზოგადად ტენდენციის შესახებ, რომ ქალმა ყოველთვის თვითონ უნდა აირჩიოს, რა არის მისი.

ფერთა გამას რაც შეეხება, არასდროს ასეთი აქტუალური არ ყოფილა ამგვარი ბეჟის გრადაცია; წითელი, რომელიც ოდნავ გადადის სტაფილოსფერში და საოცარი ფირუზისფერი, რომელიც ნაცრისფერსა და მწვანეს შორის მერყეობს – ეს საოცრად ახალი ფერია, რომელსაც, იმედია, კარგად მიიღებს ქართული საზოგადოება, განსაკუთრებით – ზაფხულში და ყველა დაელოდება გარუჯვას. განსაკუთრებით იმ ქალბატონებს მოეწონებათ, ვისაც ნათელი ფერის თვალები აქვს. ძალიან აქტუალური იქნება ტიული და გაშლილი ქვედაბოლოები.

**– ერთფეროვანი, სადა ქსოვილებია მოდაში თუ?..**

– მე მიყვარს ტონალობის დაცვა და ამ სეზონზე სიჭრელეს ვახერხებ ჩვენი პრინტით – ოლეგის ნამუშევრებით, ანგელოზებით, რომელიც იქნება ახლი თემა და მას ვერ ვუხამებთ სიჭრელეს. თუმცა, ძალიან დიდი ყვავილები, ვარსკვლავები, კოპლები, ზოლები, ძალიან აქტუალურია ამ სეზონზე, განსაკუთრებით – შავისა და თეთრის კომბინირება, კუბიკების კომბინირება. ძალიან დიდი ხანია, ზოლები ასეთი პოპულარული არ ყოფილა. ჩვენ უკვე დაგვავიწყდა კუბოკრული ქსოვილების ასეთი დიდი დოზით გამოყენება. მომავალი შემოდგომა-ზამთრისთვის „შოტლანკები" იქნება უკვე ძალიან აქტუალური.

**– მართალია, თქვენ ფეხსაცმელზე არ მუშაობთ, მაგრამ თუ თქვენს ზემოთ შემოთავაზებულ რჩევებს გავითვალისწინებთ, როგორი ფეხსაცმელი შეიძლება მოვირგოთ ამ ჩაცმულობაზე?**

– წელს მოდაშია ძალიან წვეტიანი, ქალური, მაღალქუსლიანი, ღრმაჭრილიანი სექსუალური ფეხსაცმელები; ასევე, ბატილიონები, რომელიც კოჭზე მთავრდება და, „ქართულ" ფეხზე, ცოტა არ იყოს, ცუდად მოსარგები ფეხსაცმელია. ფერადი ფეხსაცმელებია მოდაში.

**– როგორია მეუღლის წილი თქვენს წარმატებაში?**

– მეუღლეები დიდ როლს თამაშობენ ერთმანეთის ცხოვრებაში. ჩემს ცხოვრებაში ჩემი მეუღლის გამოჩენით აღმასვლა დაიწყო ცხოვრებაშიც, კარიერაშიც და ჩემს ჩამოყალიბებაშიც სხვა ეტაპი დაიწყო – ჩემი კოლექციები უფრო ნაზი, ქალური და ელეგანტური გახდა, იმიტომ, რომ კარგი მუზა მყავს.

**ეკა სალაღაია**

# ჰქონდა თუ არა კავშირი სამხედრო ხუნტასთან ახალ რომის პაპს – ფრანცისკს და რა აზრი აქვს მას სომხების გენოციდთან დაკავშირებით

„დანო და ძმანო! საღამო მშვიდობისა!" – ეს იყო პირველი ფრაზა, რომლითაც ვატიკანში, წმიდა პეტრეს მოედანზე შეკრებილ მორწმუნე კათოლიკეებს კონკლავის მიერ ახლად არჩეულმა რომის პაპმა მიმართა. რიგით 266-ე რომის პაპი, ხორხე მარიო ბერგოლიო, 2013 წლის 13 მარტს აირჩიეს კათოლიკური ეკლესიის წინამძღვრად და არჩევისთანავე, ინტრონიზაციის შემდგომ სახელად მან ფრანცისკი აირჩია. არგენტინელი ფრანცისკი ისტორიაში პირველი პაპია კონტინენტური ამერიკიდან, უკანასკნელი 1200 წლის განმავლობაში პირველი არაევროპელი პაპი და პირველი პაპი იეზუიტი.

ხორხე მარიო ბერგოლიო დაიბადა 1936 წლის 17 დეკემბერს ბუენოს-აირესში, იტალიელი ემიგრანტის, რკინიგზის მუშის ოჯახში. ფრანცისკი ხუთშვილიან ოჯახში უმცროსი შვილი იყო. მას ქიმიკოს-ტექნოლოგის დიპლომი ჰქონდა, როდესაც 1958 წელს იეზუიტების ორდენის წევრი გახდა. ბერგოლიო ფილოსოფიას, თეოლოგიასა და ლიტერატურას ასწავლიდა ბუენოს-აირესის სამ კათოლიკურ კოლეჯში. ესპანურის გარდა, ის მაღალ დონეზე ფლობს გერმანულ და იტალიურ ენებს. 1969 წლის 13 დეკემბერს ბერგოლიო მღვდლად აკურთხეს და კურთხევის ცერემონია არქიეპისკოპოსმა რამონ ხოსე კასტელანმა ჩაატარა; 1970-იან წლებში ბერგოლიო სხვადასხვა თანამდებობას იკავებდა იეზუიტების ორდენში. 1980-1986 წლებში ის წმიდა იოსების სემინარიის რექტორად მსახურობდა, შემდგომ კი გერმანიაში დაიცვა დისერტაცია თეოლოგიის საკითხებში. დიდი იშვიათობაა, რომ იეზუიტმა არამისიონერულ ქვეყანაში ეპისკოპოსის ტიტული მოიპოვოს, თუმცა ბერგოლიომ ეს მოახერხა. 1992 წელს ის ბუენოს-აირესის ეპისკოპოსად და აუკის ტიტულარულ ეპისკოპოსად დაინიშნა; 1997 წელს ბუენოს-აირესის არქიეპისკოპოსის კოადიუტერად, ხოლო 1998 წელს – სრულუფლებიან არქიეპისკოპოსად. 2001 წელს რომის პაპმა იოანე პავლე მეორემ არქიეპისკოპოსი ხორხე მარიო ბერგოლიო კარდინალად აკურთხა. კარდინალის რანგში ხორხე მარიო ბერგოლიო ვატიკანში რამდენიმე თანამდებობაზე დაინიშნა; გარდა ამისა, იგი ლათინური ამერიკის კომისიის წევრი და ოჯახის საკითხებში პაპის საბჭოს წევრი გახდა. გავრცელებული ვერსიის თანახმად, კარდინალად მსახურობის პერიოდში, ხორხე მარიო ბერგოლიო დოქტრინული კონსერვატიზმით, მოკრძალებული ცხოვრების წესითა და სოციალური თანასწორობის პრინციპების დაცვით ცხოვრობდა. ის უბრალო იყო ყველა საქმეში: ცხოვრობდა პატარა ბინაში; უარი განაცხადა არქიეპისკოპოსის რანგის მღვდელთმსახურისთვის განკუთვნილ აპარტამენტებზე; უარი თქვა პერსონალურ „ლიმუზინსა" და მძღოლზე; სარგებლობდა საზოგადოებრივი ტრანსპორტით და, ზოგიერთი ცნობის თანახმად, თავად იმზადებდა საკვებს. სწორედ კარდინალად მსახურობის პერიოდს უკავშირდება სკანდალი, როდესაც ხორხე მარიო ბერგოლიოს 1976 წელს არგენტინის სათავეში მყოფ სამხედრო ხუნტასთან კავშირსა და ორი იეზუიტი მღვდლის გატაცებაში მონაწილეობა ედებოდა ბრალად, თუმცა, ეს ბრალდება არ დადასტურდა.





რომის პაპ იოანე პავლე მეორის გარდაცვალების შემდეგ, კარდინალი ბერგოლიო კონკლავის სხდომაზე იყო მიწვეული და გავრცელებული ვერსიის თანახმად, სწორედ ის ითვლებოდა პაპაბილად, ანუ ყველაზე რეალურ კანდიდატად რომის პაპის ტახტის დასაკავებლად, თუმცა, 2005 წელს ჩატარებულ კონკლავზე, მცირე უპირატესობით, რომის პაპი იოზეფ რატცინგერი, იგივე ბენედიქტე მეთექვსმეტე გახდა. კონკლავის შეკრებამდე ბერგოლიო მონაწილეობდა იოანე პავლე მეორის დაკრძალვის ცერემონიალში, სარგებლობდა რეგენტის სახელით და ახალი პაპის არჩევამდე ასრულებდა ტახტის დროებითი მმართველის ფუნქციას. არსებობს ვერსია, რომ მაშინ იოზეფ რატცინგერის არჩევა რომის პაპის თანამდებობაზე დიდი მოულოდნელობა იყო, როგორც კონკლავის წევრებისთვის, ისე თავად რატცინგერისა და ბერგოლიოსთვის, რომელიც, ფაქტობრივად, უკვე მზად იყო, ტახტი დაეკავებინა. სამართლიანობა 2013 წლის 13 მარტს აღდგა, როდესაც კონკლავმა ხორხე მარიო ბერგოლიო, რომელიც კვლავ პაპაბილად იყო დასახელებული, რომის პაპად აირჩიეს.

ახალი პონტიფიკოსი ფრანცისკი აბორტებისა და ევთანაზიის წინააღმდეგია. იგი მიიჩნევს, რომ ერთსქესიანი ქორწინებები ეწინააღმდეგება კათოლიკურ რწმენას და, ასევე მიაჩნია, რომ გეი-წყვილების მიერ შვილის აყვანა ბავშვის დისკრიმინაციას ნიშნავს. ამ ფაქტის გამო ჯერ კიდევ კარდინალი ხორხე მარიო ბერგოლიო მსუბუქად გააკრიტიკა არგენტინის პრეზიდენტმა კრისტინა დე კირშნერმა, რომელმაც არქიეპისკოპოსის ტონი ინკვიზიციასა და შუასაუკუნოვან აზროვნებას შეადარა. ფრანცისკის სახელს კიდევ ერთი სკანდალური ფრაზა უკავშირდება: ამერიკაში გამოცემული სომხური გაზეთის – „დაშნაკციუტუნის" ცნობით, ჯერ კიდევ 2006 წელს, ბუენოს-აირესის არქიეპისკოპოსმა ხორხე მარიო ბერგოლიომ განაცხადა, რომ აუცილებელია, თურქეთმა აღიაროს 1915 წელს სომხების გენოციდი. ჯერჯერობით, ოფიციალური ვატიკანის პოზიცია აღნიშნულ საკითხთან და ბერგოლიოს წარსულ გამონათქვამებთან დაკავშირებით, არ არის ცნობილი, თუმცა, ფაქტი ნამდვილად საყურადღებოა.

გთავაზობთ რამდენიმე საინტერესო ფაქტს რომის პაპ ფრანცისკის შესახებ:

* პონტიფიკოსი ფრანცისკისთვის იღბლიანი გამოდგა რიცხვი 13 – ის 1969 წლის 13 დეკემბერს აკურთხეს მღვდლად და 2013 წლის 13 მარტს აირჩიეს კათოლიკური ეკლესიის წინამძღვრად.

* ფრანცისკი 266-ე რომის პაპია. ჰოროსკოპით ის „მშვილდოსანია"; მისთვის დამახასიათებელია აქტიურობა, სიმამაცე, პატივმოყვარეობა.

* ბუენოს-აირესის ჰოსპისის მონახულების დროს ხორხე მარიო ბერგოლიომ შიდსით დაავადებულ 12 პაციენტს დაუკოცნა ფეხები.

* უცხოეთში ვიზიტების დროს ხორხე მარიო ბერგოლიო უარს აცხადებდა ვატიკანის მიერ დაფინანსებაზე და საკუთარი ჯიბიდან იხდიდა მგზავრობისა და სასტუმროს ხარჯებს.

* რომის პაპად არჩევამდე ხორხე მარიო ბერგოლიოს „ტვიტერზე" 335 ჩანაწერი ჰქონდა გაკეთებული და „ფეისბუქის" ოფიციალურ გვერდზე 56 „ფრენდი" ჰყავდა.

* ფრანცისკს ფეხბურთი ძალიან უყვარს და ბუენოს-აირესის საფეხბურთო კლუბ „სან-ლორენსოს" ქომაგია. 2008 წლიდან ბერგოლიო ამ გუნდის ქომაგთა კლუბის საპატიო წევრია.

* ვატიკანის ეკლესიის სპიკერის, ფედერიკო ლომბარდის ცნობით, 1960-იან წლებში ხორხე მარიო ბერგოლიოს ფილტვებთან დაკავშირებული პრობლემები ჰქონდა და მას ერთი ფილტვი მოკვეთილი აქვს, მაგრამ, ახალი რომის პაპი ამჟამად სრულიად ჯანმრთელია და, ასაკის მიუხედავად, თავს კარგად გრძნობს.

* იმავე ფედერიკო ლომბარდის ცნობით, რომის პაპის ტახტზე ხორხე მარიო ბერგოლიო ფრანცისკის სახელით ავიდა და არა ფრანცისკ პირველის, როგორც ამას მედია იუწყებოდა. „იგი არის ფრანცისკი და არა ფრანცისკ პირველი. ფრანცისკი და ბასტა," – განაცხადა ლომბარდიმ.

***P.S.* თავისი მოკრძალება ახალმა პაპმა უკვე გამოამჟღავნა, კონკლავის დასრულების შემდეგ ახლადარჩეული პაპი და კარდინალები სავახშმოდ გაემართნენ და ყველა ელოდა, რომ ფრანცისკი პირველად ჩაჯდებოდა ფეშენებელურ „ლიმუზინში", „პაპამობილში", თუმცა რომის პაპმა კარდინალებთან ერთად ჩვეულებრივი მიკროავტობუსით იმგზავრა რომის ერთ-ერთ რესტორანში.**

**უშანგი რუხაძე**

# ადვოკატი გირჩევთ

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, როგორ წყდება საკითხი, როდესაც მოხდა პირის უკანონო დაკავება და ამ უკანონო დაკავების შედეგად ადამიანმა დიდი ოდენობით მატერიალური ზარალი განიცადა?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ ამ შემთხვევაში ბრალდებულს უფლება აქვს, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით მოითხოვოს და მიიღოს უკანონოდ ჩატარებული საპროცესო მოქმედების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, ოჯახური ძალადობის ფაქტის დადგენისას, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მეუღლე ჩაითვლება თუ არა ოჯახის წევრად?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად და ამ კანონის მიზნებისთვის ოჯახის წევრებად ითვლებიან: დედა, მამა, ბებია, ბაბუა, მეუღლე,



შვილი (გერი), შვილობილი, მშვილებელი, მშვილებლის მეუღლე, ნაშვილები, მიმღები ოჯახი (დედობილი, მამობილი), შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობლები, სიძე, რძალი, ყოფილი მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირები და მათი ოჯახის წევრები, მეურვე. შესაბამისად არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მეუღლე ითვლება ოჯახის წევრად.

**კითხვა: მაინტერესებს, კონკრეტულად რა ქმედებების განხორციელება ჩაითვლება პირის მიმართ ეკონომიკურ ძალადობად და ზოგადად რას ნიშნავს ეკონომიკური ძალადობა?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ ეკონომიკურ ძალადობად ითვლება ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების, აგრეთვე, თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლების შეზღუდვას.

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, როგორ შეუძლია არასრულწლოვანს, დაიცვას თავი მის მიმართ განხორციელებული ოჯახური ძალადობის შემთხვევაში?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში, არასრულწლოვანს, 14 წლის ასაკიდან, უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს თავისი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად. ამ შემთხვევაში სასამართლო ნიშნავს საპროცესო წარმომადგენელს და განიხილავს საქმეს. არასრულწლოვან მოსარჩელეს უფლება აქვს, არ დაეთანხმოს თავის საპროცესო წარმომადგენელს და თვითონ დაიცვას თავი. სასამართლო ვალდებულია, ასეთ საქმეში ჩააბას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო. იმ შემთხვევაში კი, თუ არსებობს არასრულწლოვნის მიმართ ძალადობის კვალი, სასამართლოს წინაშე შეიძლება დაისვას დროებითი ღონისძიების სახით მოძალადე მშობლისგან (ან მშობლებისაგან) არასრულწლოვნის განცალკევების საკითხი, სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ იმ მოქმედებათა ჩამონათვალი, რა შემთხვევაშიც მოქალაქე ვალდებულია გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი.**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ სახელმწიფო ბაჟი გადაიხდევინება: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში განსახილველ საქმეებზე; საერთო სასამართლოებში განსახილველ სასარჩელო ან სხვა განცხადებებსა და საჩივრებზე; მეზღვაურის წიგნაკისა და ავიასპეციალისტის მოწმობის გაცემისთვის; საქართველოს ტერიტორიაზე გაცემული ოფიციალური დოკუმენტების აპოსტილით დამოწმებისთვის, გარდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ დოკუმენტების აპოსტილით დამოწმებისა; საქართველოს სახელმწიფო სასაზღვრო-გამტარ პუნქტებში საქართველოს ორდინარული ვიზის გაცემისთვის; საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ დოკუმენტების გამოთხოვისთვის; დოკუმენტების ლეგალიზაციისთვის, გარდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საგარეო საქმეთა სამინისტროს და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ საქართველოში შედგენილი დოკუმენტების ლეგალიზაციისა.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, რა შემთხვევებში ექვემდებარება დაბრუნებას გადახდილი სახელმწიფო ბაჟის თანხა და რა პროცედურებია საჭირო სახელმწიფო ბაჟის დაბრუნებისთვის?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი ექვემდებარება მთლიანად ან ნაწილობრივ დაბრუნებას საქმის წარმოების შეწყვეტისას ან სარჩელის განუხილველად დატოვებისას, თუ საქმე სასამართლოში განხილვას არ ექვემდებარება; აგრეთვე, როდესაც მოსარჩელე არ იცავს მოცემული კატეგორიის საქმეებისთვის წინასწარი დავის გადაწყვეტის დადგენილ წესს ან აღიარებულია ქმედუუნარო პირად. რაც შეეხება დაბრუნებას, სახელმწიფო ბაჟი, რომელიც ექვემდებარება დაბრუნებას,



**რუბრიკას უძღვება ადვოკატი ირაკლი გაბრიჭიძე**

*უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*
**ანატოლ ფრანსი**

უნდა გაიცეს ფიზიკურ ან იურიდიულ პირზე შესაბამისი ბიუჯეტიდან. თანხა გაიცემა ერთი თვის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც მიღებულია გადაწყვეტილება მისი დაბრუნების შესახებ.

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, როგორ ხდება სასამართლოში ტერიტორიული განსჯადობის საკითხების გარკვევა სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისას?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ სისხლის სამართლის საქმე სასამართლოში განიხილება იმ ადგილის მიხედვით, სადაც ბრალდებული პირველად წარედგინა სასამართლოს.

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებული პირი იმალება, როგორ ხდება მის მიმართ ბრალის წაყენება და, შეიძლება თუ არა, მიმალვამ ხელი შეუშალოს ბრალის წარდგენის პროცედურას?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ, თუ ბრალდებული თავს არიდებს სამართალდამცავ ორგანოში გამოცხადებას, ბრალდების შესახებ დადგენილების ასლი გადაეცემა მის ადვოკატს, რაც ითვლება ბრალის წაყენებად.

**კითხვა: მაინტერესებს შეიძლება, თუ არა, ბრალდებულს შეეზღუდოს დუმილის უფლება და მოხდეს მისი დავალდებულება, მისცეს ჩვენება კონკრეტულ ფაქტთან დაკავშირებით ან დუმილი მიჩნეულ იქნეს კონკრეტული ფაქტზე თანხმობად?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ არ შეიძლება, ბრალდებულს შეეზღუდოს დუმილის უფლება. ბრალდებულს შეუძლია, ნებისმიერ დროს გამოიყენოს დუმილის უფლება. თუ ბრალდებული ირჩევს დუმილის უფლებას, ეს არ შეიძლება შეფასდეს მისი ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად.

**კითხვა: მაინტერესებს, პირის დაკავებისას არის თუ არა სავალდებულო, დაკავებულ ადამიანს ჩაუტარდეს სამედიცინო შემოწმება?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ დაკავებისას, მოთხოვნის შემთხვევაში, ბრალდებულს უფლება აქვს, შესაბამის დაწესებულებაში მიყვანისთანავე, ჩაუტარდეს უფასო სამედიცინო შემოწმება.

# მარი მჭედლიძე „ფონდ ნატახტარის“ მხარდაჭერით სასწავლო ცენტრ „ნატალის“ კურსდამთავრებული გახდა

**კომპანია „ნატახტარმა“ 2011 წლის ნოემბერში „ფონდი ნატახტარი“ დააფუძნა და საქველმოქმედო პროექტის – „იზრუნე მომავალზე“ – განხორციელება დაიწყო. ფონდის მიზანია მზრუნველობამოკლებული ახალგაზრდების დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადების პროცესში ხელშეწყობა. პროექტი ხორციელდება ასოციაცია „ჩვენი სახლი – საქართველოს“ მხარდაჭერით და საქართველოს პატრიარქის თანადგომითა და ლოცვა-კურთხევით.**

ფსიქოლოგების მუშაობის შედეგად გამოიკვეთა 16-18 წლის მოზარდების ჯგუფი და სწორედ მის წევრებზე გადანაწილდა ფონდის თანხის უდიდესი ნაწილი. ფსიქოლოგების დახმარებით, თითოეული ბენეფიციარისთვის განისაზღვრა ის მიმართულებები, რომლებიც მათთვის საინტერესო იყო – სასკოლო საგნებში მომზადება, სწავლა კოლეჯებსა და პროფესიულ სასწავლებლებში, მოსამზადებელი კურსები მართვის მოწმობის ასაღებად, კომპიუტერის შემსწავლელი კურსები და მრავალი სხვა. ფონდის ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა მოზარდების ტრანსპორტირებაც. 2012 წლის ბოლოსთვის რამდენიმე მოზარდმა პროექტის დახმარებით შეძლო სრულფასოვანი, დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყება. ჩვენი სტუმარია პროექტის ბენეფიციარი **მარიამ მჭედლიძე** (ქალაქ ხაშურიდან), რომელიც კომპანია „ნატახტარის“ დახმარებით პროფესიას დაეუფლა და სამომავლო გეგმებიც საკმაოდ სერიოზული აქვს.



გვანცა მეტივიშვილი

„მართალი გითხრათ, ბავშვობაში არასდროს მიოცნებია, რომ ცნობილი და პოპულარული ადამიანი გავმხდარიყავი. უფრო „პრაქტიკული“ პროფესიები მიტაცებდა. მაგალითად, დაწყებით კლასებში ძალიან მინდოდა ექიმობა. მაგრამ, ერთადერთი სფერო,

## მარიამი: „მინდა, ვიყო ქველმოქმედი და მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს დავეხმარო“

რომელიც ყოველთვის მაინტერესებდა, იყო სამოდელო სამყარო. მომწონდა დახვეწილი და ლამაზი გოგონები, მათი სამოსი და გარეგნობა. მინდოდა მეც მეზრუნა მათ გარეგნობაზე, მონაწილეობა მიმეღო მათი „გალამაზების“ პროცესში. ამ ოცნების რეალიზებას ბავშვობაში თოჯინების მორთვა-მოკაზმვით ვახერხებდი: ხშირად ახალ ტანსაცმელს ვუკერავდი, ვარცხნილობას ვუცვლიდი და მაკიაჟსაც კი ვუკეთებდი. „ფონდი ნატახტარის“ მხარდაჭერით ოცნება ჯერ მიზნად, შემდეგ კი რეალობად მექცა. სასწავლო ცენტრ „ნატალიში“ კოსმეტოლოგიურზე ვსწავლობდი – ეს იყო ორთვიანი სასწავლო კურსი და აღნიშნულ სფეროში საკმაოდ დიდი გამოცდილება მივიღე. ამ ხნის განმავლობაში თბილისში ვცხოვრობდი. სწავლის საფასურთან ერთად, „ფონდმა ნატახტარმა“ ბინითაც უზრუნველმყო. დღეს უკვე დარწმუნებული ვარ, ადვილად შევძლებ სამსახურის პოვნას და ბავშვობის მეორე ოცნების ასრულებას – ძალიან მინდა, ფსიქოლოგიურზე ჩავაბარო,“ – გვიამბობს მარიამი და ხაშურის მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლში გატარებულ დღეებს იხსენებს. მარიამი ამ ყველაფერს ოცნებად მაინც არ მიიჩნევს, მისთვის ეს ყველაფერი მიზნებია და არა ოცნებები: „მიზანდასახული ვარ და, თუ რამეს ძალიან მოვინდომებ, ყოველთვის ვაღწევ. დარწმუნებული ვარ, რომ ერთ დღესაც, ჩემთვის საყვარელი ადამიანები ჩემით იამაყებენ.“

ბავშვთა სახლში გატარებულ დღეებს მარიამი დიდი სიყვარულით იხსენებს: „ბავშვთა სახლში ძალიან ბევრი მეგობარი შევიძინე. ზოგი იქ დარჩა, ზოგიც, ჩემსავით საკუთარ სახლს დაუბრუნდა. მათთან ურთიერთობა დღემდე მაქვს. ამჟამად ვცხოვრობ გორში დეიდასთან და ძმებთან ერთად. ძალიან მინდა, ქველმოქმედი გავხდე და მზრუნველობამოკლებულ პატარებს დავეხმარო – ამით მიღებულ სიამოვნებას არაფერი შეედრება.“



მარიამ მჭედლიძე

მარიამი თავისუფალ დროს მეგობრებთან ატარებს. უყვარს კითხვა, განსაკუთრებით – პოეზია. თავადაც წერს, თუმცა, თავისი ნამუშევრების ჩვენთვის გაზიარება არ ისურვა: „ეს მხოლოდ ჩემთვის, თანაც, როცა მარტო ვარ, როცა რაღაცის თქმა მსურს და ვერავის ვუმხელ. ეს, ალბათ, მხოლოდ ჩემთვისაა ღირებული!“

„მარი დაბნეული იყო, თუმცა ზუსტად იცოდა, რა უნდოდა – აკვიატებული ჰქონდა კოსმეტოლოგია. ჩვენც ხელი შევუწყეთ და შარშან მივამაგრეთ ერთ-ერთ სილამაზის სალონს, სადაც მუშაობდა დამხმარედ, აკვირდებოდა პროცესებს, პროექტის ფარგლებში კი სტიპენდიის სახით ერიცხებოდა 100 ლარი. მოგვიანებით სწავლა დაიწყო სასწავლო ცენტრ „ნატალიში“. მიიღო პროფესიული განათლების დამადასტურებელი სერტიფიკატიც. პროექტის ფარგლებში, ის მიიღებს პროფესიული საქმიანობისთვის საჭირო აპარატურას და ამის შემდეგ, შეეძლება, იმუშაოს ნებისმიერ სილამაზის სალონში“ – გვეუბნება ფსიქოლოგი გვანცა მეტივიშვილი.

„პროეტის ფარგლებში, მას ამ ეტაპზე ყოველთვიურად 500 ლარი ერიცხება ელემენტარული საცხოვრებელი პირობების შესაქმნელად. ცხოვრობს დეიდასთან და ძმებთან ერთად. ფონდმა „იავნანამ“ მათ გადასცა ბინა, რომელიც მოსაწესრიგებელია, „ნატახტარის“ ფონდის მხარდაჭერით კი მათ მალე საცხოვრებელი პირობები გაუუმჯობესდებათ. პროექტი მართლაც უნიკალურია – მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს იმედი მიეცათ. უნდა ნახოთ, როგორ ელოდებიან 14-15 წლის მოზარდები, იმ დღეს, თუ როდის ჩაერთვებიან ამ პროექტში (ანუ, როდის გახდებიან 16-17 წლისანი). ეს კი ძალიან დიდი სტიმულია.“

# სად არის არჩილ თალაკვაძის ყველაზე ძვირფასი გაჩერება და რა არის მისი წარმატების ფორმულა

**ჩვენი რესპონდენტი წარმატებული და მთავრობაში ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა თანამდებობის პირი, 30 წლის არჩილ თალაკვაძეა. ის ქალაქ ოზურგეთში დაიბადა, სადაც, როგორც თავად აღნიშნა ძალიან დიდი ყურადღება ექცევა განათლებას, იუმორს, ტრადიციებს, ადამიანებს შორის ურთიერთობებს. ეს გარემო კი მას ძალიან დაეხმარა, საკუთარი ცხოვრება ამ ღირებულებებზე აეგო. მის ოჯახს შეიძლება აკლდა ფუფუნების სხვადასხვა საგნები, თუმცა იქ ყოველთვის ჰქონდათ წიგნების უზარმაზარი რაოდენობა, რადგან, ოჯახის უპირველესი პრიორიტეტი განათლება იყო. ამიტომაც, ჩვენი რესპონდენტის მშობლებმა მაქსიმუმი გაიღეს იმისთვის, რომ მათ შვილებს კარგი განათლება მიეღოთ. შესაბამისად, სწავლობდნენ ქალაქის საუკეთესო სკოლაში, შემდეგ კი საუკეთესო რეპეტიტორების დახმარებით უმაღლესი განათლების მისაღებადაც მოემზადნენ. არჩილმა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტი დაამთავრა, რაც მის ცხოვრებაში 6 საინტერესო წელს ითვლის. მეხუთე კურსის სტუდენტი USAID-ის მიერ დაფინანსებულ ჯანმრთელობის პროგრამაში, პროგრამის ასისტენტის პოზიციაზე აიყვანეს და სწორედ ეს იყო მისი სამუშაო გამოცდილების საწყისი ეტაპი. შემდეგ წლების განმავლობაში მუშაობდა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში, ასევე, სოროსის ფონდში სხვადასხვა პროექტის მენეჯერად; შემდეგ – ისევ USAID-ის დემოკრატიული მმართველობის პროგრამაში. რამდენიმე თვის წინ კი სახელმწიფო სექტორში გადასვლაზე მიიღო შემოთავაზება და დღეს ის საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროში მინისტრის მოადგილის პოსტზე მუშაობს. მის პორტფოლიოში შეტანილია სასჯელაღსრულებისა და საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სისტემების ჯანდაცვა.**

**არჩილ თალაკვაძე**: ძალიან საინტერესო გუნდთან მიწევს მუშაობა. გაკეთებული გვაქვს 18-თვიანი გეგმა, საიდანაც სამ თვეზე მეტი უკვე გავიდა. ჩვენი ამოცანაა, სასჯელაღსრულების შიგნით არსებული ჯანდაცვის სტანდარტი გაუთანაბრდეს სამოქალაქო ჯანდაცვის სტანდარტს.

**– მთავრობაში ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა თანამდებობის პირი ხართ.**

– 29 წლის ვიყავი, როცა ამ თანამდებობაზე გადმოვედი, 16 იანვარს კი 30 წლის გავხდი. ის რომ ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა თანამდებობის პირი ვარ მთავრობაში, ორჯერ მეტ პასუხისმგებლობას მაკისრებს. ერთი მხრივ, უნდა მოვუსმინო იმ ხალხს, ვისაც მეტი გამოცდილება აქვს, მეორე მხრივ კი ამ გუნდს რაღაც ისეთი უნდა შევმატო, რაც მხოლოდ ახალგაზრდებს შეუძლიათ, გააკეთონ. ვფიქრობ, ასაკი მნიშვნელოვანია, მაგრამ, არ არის გადამწყვეტი საქმიანობაში წარმატებების მისაღწევად. ჩემი აზრით, მთავარია პასუხისმგებლობა და შრომისმოყვარეობა. ვფიქრობ, ახლანდელი სამსახური ჩემთვის არის ძალიან დიდი შანსი და გამოწვევა, რომ რაღაც გავაკეთო, რაღაც შევცვალო და შევამოწმო, სად გადის ჩემი შესაძლებლობების ზღვარი. ამიტომ, შრომისმოყვარეობა, პასუხისმგებლობა და თავისუფლება მნიშვნელოვანია. პიროვნული თავისუფლება ძალიან ბევრს ნიშნავს, მაგრამ, ეს ჩემთვის გამართლებულია მაშინ, თუ მას თან ახლავს პასუხისმგებლობა. სტუდენტობის წლებში მამაჩემის ბევრი მეგობარი მეხმარებოდა, რათა მქონოდა სახლი და ის მინიმალური, რაც სტუდენტს სჭირდება. ამ ადამიანების მიერ ჩადებული ინვესტიციები ჩემს პასუხისმგებლობას ერთიორად ზრდის. ამიტომ, ყოველთვის ვფიქრობ ჩემ მიერ გადადგმულ თითოეულ ნაბიჯზე, თუ რამდენად გამართლებულია ის გადაწყვეტილებები, რომელსაც მე ვიღებ და რამდენად პირნათელი ვარ იმ ადამიანების წინაშე, ვისაც ჩემი იმედი აქვს. მგონი, მათ იმედებს აუცილებლად გავამართლებ.



ვფიქრობ, ახლანდელი სამსახური ჩემთვის არის ძალიან დიდი შანსი და გამოწვევა, რომ რაღაც გავაკეთო, რაღაც შევცვალო და შევამოწმო, სად გადის ჩემი შესაძლებლობების ზღვარი

**– რაც შეეხება ოჯახს, რომელსაც ადამიანის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს...**

– ოჯახი ჩემთვის ძალიან ძვირფასი გაჩერებაა, სადაც ძალებს აღვიდგენ და სტრესს ვანიავებ ჩემი ფსიქიკიდან. მყავს მეუღლე – ქეთი ბუბუტეიშვილი და ორი ქალიშვილი, 4 წლის ელე და 3 თვის ანა-ბეატრისი. ამ საზოგადოებაში თავს ძალიან კომფორტულად ვგრძნობ. მთავარია, მოვახერხო, რომ ჩემი ცხოვრება ჩემი შვილებისთვის მაგალითი გახდეს, ისევე, როგორც ჩემი მშობლების ცხოვრება არის ჩემთვის მაგალითი. ჩემი მეუღლე 24 წლის არის და სწავლის დასრულების შემდეგ სხვადასხვა ორგანიზაციაში მუშაობს. პირველ ყოვლისა, ვიტყოდი, რომ ოჯახში ჩვენი პოლიტიკა დამოუკიდებლობისკენ არის მიმართული. ჩვენი მიდგომაა, ოჯახის ყველა წევრი რაც შეიძლება დამოუკიდებელი, რეალიზებული და წარმატებული იყოს. გვჯერა, რომ ოჯახი, როგორც გუნდი მაშინ შეიძლება იყოს წარმატებული, თუ მისი ყველა წევრი საკუთარ ფუნქციას ძალიან კარგად ასრულებს. დრო ძალიან მკაცრად გვაქვს განაწილებული: დილით მე და ჩემი მეუღლე სამსახურში მივდივართ, ელე – ბაღში, ანა-ბეატრისი კი რჩება ბებოსთან. მოკლედ, ყველამ ვიცით ჩვენი საქმე და მანდატი. ასევე, ძალიან მკაცრი მენეჯმენტი გვაქვს რესურსების კუთხითაც – ჩვენ არ ვაძლევთ თავს უფლებას, ფუფუნებისთვის გარკვეული რესურსები დავხარჯოთ. ის მინიმალური, რაც ყველა ოჯახს სჭირდება ფუნქციონირებისთვის, ყველაფერი გვაქვს, რაც ჩემი აზრით, ცხოვრების ამ ეტაპზე საკმარისია. ვშრომობთ და იმედი გვაქვს, რომ შევქმნით მეტ დოვლათს, პირველ ყოვლისა კი შევქმნით მეტ საზოგადოებრივ სიკეთეს.

როგორც ყველა გურულის ცხოვრებაში ჩემს ცხოვრებაშიც ერთ-ერთი წამყვანი ადგილი იუმორს უკავია. იუმორი ძალიან მეხმარება ურთიერთობებში. მგონია, რომ ბევრს მოსწონს ჩემი ეს თვისება.

**– რამე საინტერესოს ხომ არ გაიხსენებთ?**

– როცა ქეთი ელეზე იყო ორსულად, შეთანხმებული ვიყავით, რომ ერთად წავიდოდით სამშობიაროში. იმის გამო, რომ დრო არ გვქონდა და რესურსებშიც ძალიან შეზღუდულები ვიყავით, ვერ დავგეგმეთ, მშობიარობა მთელი თავისი ტრადიციებით უზრუნველგვეყო – ყველასთვის დაგვერეკა, სუფრა გაგვეშალა და ერთკვირიანი ლხინი მოგვეწყო და ასე შემდეგ. ამიტომ, როდესაც ქეთის ტკივილები დაეწყო, ჩავსხედით მანქანაში ორივე და სამშობიაროში წავედით. მეც სამშობიარო ბლოკში ვიყავი მასთან ერთად. ელე რომ დაიბადა, ტრადიციულად, ბებიაქალი გაიქცა – უნდოდა, ბავშვის დაბადება ვინმესთვის ეხარებინა. ეგონა, გარეთ ბევრი ნათესავი გველოდებოდა. ამ დროს მეანმა დაუძახა – ტყუილად მიდიხარ, გარეთ კაციშვილი არ არისო. როცა ქეთი მეორე შვილს აჩენდა, მეანს დაველაპარაკე, რომელმაც მითხრა, სანამ იმშობიარებს, დაახლოებით 1 საათი და 20 წუთი გაქვსო. ამ დროის განმავლობაში ჯანდაცვის მინისტრს, ბატონ სერგიენკოს შევხვდი, დავბრუნდი შეხვედრიდან სამშობიაროში და 10 წუთში ანა-ბეატრისიც დაიბადა.



როცა ქეთი მეორე შვილს აჩენდა, მეანმა მითხრა 1 საათი და 20 წუთი გაქვსო. ამ პერიოდში ჯანდაცვის მინისტრს, ბატონ სერგიენკოს შევხვდი, დავბრუნდი სამშობიაროში და 10 წუთში ანა-ბეატრისიც დაიბადა

**– მიუხედავად იმისა, რომ დღის განმავლობაში ძალიან გადატვირთულ რეჟიმში გიწევთ ყოფნა, ბავშვებისთვის თუ გრჩებათ დრო?**

– ელე დღემდე ჩემი მოგონილი ზღაპრებით იძინებს. ადრე ზღაპრებს მე თვითონ ვუყვებოდი, მაგრამ დღეს ამის დროც აღარ მრჩება. ამიტომ, კვირის განმავლობაში ტელეფონში ვუწერ ხოლმე, და მერე ამას ძილის წინ უსმენს და ისე იძინებს. ასე რომ, გამოსავალი ყოველთვის არის, მთავარია მონდომება.

**– ლიტერატურითაც ხართ გატაცებული როგორც გავიგე.**

– ლიტერატურა ჩემი ერთ-ერთი ჰობი და საყვარელი სფეროა. ერთი წიგნიც მაქვს გამოცემული. მეგობრებთან ერთად დაარსებული მაქვს ყველაზე დიდი ლიტერატურული ელექტრონული ბიბლიოთეკა – lib.ge.

**– თქვენი სამაგიდო წიგნი რა არის?**

– ჩემს მაგიდაზე რამდენიმე წიგნი დევს, რომელიც კარიერის ამ ეტაპზე ძალიან მეხმარება. ეს არის გრეგორი მენქიუს „ეკონომიკის პრინციპები," ნაპოლეონ ბონაპარტეს ბიოგრაფია, ასევე „ადამიანის უფლებათა აქტების კრებული" და წიგნი, რომელიც ახლახან ჩამომივიდა – „ჯანმრთელი, მდიდარი და ბრძენი," სადაც აღწერილია 5 ნაბიჯი, რომელიც წარმატებული ჯანდაცვის შექმნისთვის არის საჭირო. ეს 4 წიგნი ჩემს ყოველდღიურ სამუშაო პროცესში დიდ ადგილს იკავებს.

**– ნაპოლეონ ბონაპარტეს ბიოგრაფია რატომ?**

– ნაპოლეონის ბიოგრაფიაში სამხედრო კამპანიებით მოტანილი მსხვერპლი და უბედურება, რაც ომს მოაქვს ზოგადად, ის კი არ მიტაცებს, არამედ, ის, თუ რამდენად ეფექტურად გეგმავდა და ახორციელებდა ის ამ კამპანიებს. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია ამ ადამიანის ენერგეტიკა, რომელიც ჩემთვის მართლაც გადამდებია. ყოველი გამარჯვების შემდეგ მისი გეგმები და შესაძლებლობები ათმაგდება, ხოლო, ყოველი მარცხის შემდეგ ის ახერხებს, რომ ძალიან სწრაფად აღდგეს, გააკეთოს მობილიზება, რესურსებს მოუყაროს თავი და გადაერთოს ახალ კამპანიაში. ეს კი ძალიან სერიოზული და მნიშვნელოვანი თვისებაა გამარჯვებისთვის. ამიტომ, ხშირად ვკითხულობ-ხოლმე მისი ბიოგრაფიიდან სხვადასხვა პასაჟს.

**მარიკა ხიდურელი**

**წლების წინ, როდესაც ბექა ელბაქიძე ერთ-ერთ ინტერვიუში იტალიელ ბებიაზე და მისი ფესვების ძებნაზე მიყვებოდა, ვერაფრით წარმოიდგენდა, რომ მსახიობი გახდებოდა, რომში იცხოვრებდა და იტალიურ კინოში ნაპო ელბანოს ფსევდონიმით ითამაშებდა. არადა, ყველაფერი ასე უცნაურად და, ამავე დროს, კანონზომიერად მოხდა – ბევრი ძიების შემდეგ ბექამ იპოვა ადგილი, სადაც თავს არაჩვეულებრივად გრძნობს და უზომოდ დიდი შემოქმედებითი ენერგიით მუშაობს.**

# სად იგრძნო თავი ნამდვილ ვარსკვლავად ბექა ელბაქიძემ და როგორ იქცა ნაპო ელბანო საბჭოთა „კაგებეშნიკად“

**ბექა ელბაქიძე:** ყველაფერი ფილმიდან „ქიფ სმაილინგ ანუ გაიღიმეთ“ დაიწყო. ეს იყო ჩემი პირველი როლი დიდ, სრულმეტრაჟიან კინოში, სატელევიზიო ფილმებს თუ არ ჩავთვლით. ფილმის ქასთინგიაო – მითხრა ჩემმა მეგობარმა, ნინი დედალამაზიშვილმა და მეც მივედი. სხვათა შორის, ეს ჩემი პირველი ქასთინგი იყო. სიმბოლურია, რომ რუსუდან ჭყონიასთვის პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმი იყო, ისევე, როგორც ჩემთვის – პირველი როლი. ფილმი ძალიან იღბლიანი აღმოჩნდა, პირველ ყოვლისა, იმიტომ, რომ ფილმის პრემიერა შედგა ვენეციაში, სალა დარსენას დარბაზში. მთელი ფესტივალის ყურადღება ამ ფილმისკენ იყო მიპყრობილი, აპლოდისმენტები თხუთმეტი წუთის განმავლობაში გრძელდებოდა, მთელი დარბაზი ფეხზე იდგა, წითელ ხალიჩაზე გაგვატარეს და ვიყავით უბედნიერესები, ნამდვილი ვარსკვლავები *(იცინის)*. ვენეციის ფესტივალზევე დაიწყო ძალიან საინტერესო შემოთავაზებები, ჩემთან, როგორც მსახიობთან. გავიცანი რამდენიმე მნიშვნელოვანი პროდიუსერი, რომელთაგან ერთ-ერთი იყო პატრიცია ფრეგონეზე, „ინდიჩინემას“ რეჟისორი, პროდიუსერი და სცენარისტი. მან ფილმის ჩვენების შემდეგ გამართულ აპერიტივზე შემომთავაზა რომში ქასთინგზე ჩასვლა. ამ ქასთინგზე ჩავედი კიდეც დეკემ-



ბერში. მათი მხრიდან დაინტერესება წამოვიდა, თუმცა, ისე მოხდა, რომ საბოლოოდ მე ვთქვი უარი. საკმაოდ ბევრი ინტიმური სცენა იყო სათამაშო და ჩემმა იტალიელმა მეგობრებმა მითხრეს, რომ კარიერის ასე დაწყება საკმაოდ სარისკოა, რადგან, შეიძლება, გაგიმართლოს და ვარსკვლავი გახდე, მაგრამ, შესაძლოა, კარგ კინოში შენი გადაღება აღარავინ მოინდომოსო. მოკლედ, საწყის ეტაპზე ამ რისკზე არ წავედი და უარი ვთქვი. ამ ფილმს მოჰყვა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კოპროდუქცია – ფილმი ფარაჯანოვზე, რომლის პრემიერაც მაისში კანში შედგება.

– **ქართულ-იტალიური კოპროდუქციაა?**

– საქართველო-საფრანგეთი-უკრაინა-ნორვეგია. უბრალოდ, იტალიელი თამაშობდა მარჩელო მასტროიანის როლს. პირველად ვითამაშე ამ ფილმში იტალიურად, ვასახიერებ საბჭოთა „კაგებეშნიკს“, მასტროიანის თარჯიმანს. ამას მოჰყვა ორი მოკლემეტრაჟიანი ფილმი და მაშინ უკვე საბოლოოდ გადავწყვიტე, რომ დიდ კინოში უნდა წავსულიყავი. ბევრჯერ მითქვამს, რომ ბავშვობიდან ჩემი ოცნება მსახიობობა იყო, მქონდა კიდეც ჩაბარების მცდელობა, მაგრამ, ამ გადმოსახედიდან შემიძლია, ვთქვა, რომ კმაყოფილიც კი ვარ, მაშინ ჩაბარება რომ ვერ მოვახერხე...

– **რატომ?**

– ერთმა იტალიელმა რეჟისორმა მკითხა, ზოდიაქოთი რა ხარო. სასწორი-მეთქი, რომ ვუპასუხე, მითხრა, შენში რაღაც ძალიან დიდი ენერგიაა, შემოქმედებითი ენერგიაო. ამას როცა გახსნი და გამოუშვებ, დამიჯერე, ძალიან დიდი მსახიობი გახდებიო. კმაყოფილი ვარ ალბათ, ამიტომ, რომ ეს ენერგია და ენთუზიაზმი გახარჯული არ მაქვს. 26-27 წლის ასაკში, როცა ზუსტად იცი, რა გინდა, ჩამოყალიბებული ხარ შენს მიზნებსა და სურვილებში. სწორედ ეს ეტაპი მაქვს ახლა, ზუსტად ვიცი, რომ მინდა კინო; ვიცი, რომ ძალიან რთული გზა მაქვს გასავლელი და მიზნის მიღწევა უცხოელისთვის განსაკუთრებით რთულია.

– **რა შანსები არსებობს, იტალიურ კინოში რომ მწვერვალს მიაღწიო, რამდენად დიდია კინობაზარი?**

– ძალიან ძველი გამოთქმაა, რომ ყველა გზა რომში მიდის და მეც ეს გზა ავირჩიე *(იცინის)*. აქ დუღს შემოქმედებითი ცხოვრება. მართალია, იტალიელები ამბობენ, რომ თანამედროვე იტალიური კინო აღარ არსებობს, თუმცა, არის რამდენიმე რეჟისორი, რომლებიც საკმაოდ საინტერესოდ მუშაობენ. ამავდროულად ყვავის თეატრი. მაგრამ, ეს არის ოცნებების ასრულების ქვეყანა. იტალიაში დაიწყო ყველაფერი – იტალიაში წარმადგინეს პირველად, როგორც მსახიობი და, მინდა, ეს გზა ნაყოფიერად გავიარო. რა თქმა უნდა, ბაზარი, კონკურენცია დიდია, სირთულეები არსებობს და დიდი მნიშვნელობა აქვს კავშირებს. სხვათა შორის, ჩემმა ერთმა ნეაპოლელმა მეგობარმა მითხრა, რომ რომში თავს მეც უცხოელად ვგრძნობო. ჩემზე წინ ყოველთვის იქნება იტალიელი, ჩემზე წინ ყოველთვის იქნება ჯანკარლო ჯანინის შვილი ადრიანო ჯანინი, ვიტორიო გასმანის შვილი ალესანდრო გასმანი და სხვები, იმიტომ, რომ ისინი არიან იტალიელები და ცნობილი მსახიობების შვილები, მაგრამ, არსებობს ბევრი „მაგრამ“... შანსი მაინც დიდია. იტალიაში მიცნობენ როგორც ნაპო ელბანოს, ნაპო, ანუ ნაპოლე-

**ძალიან ძველი გამოთქმაა, რომ ყველა გზა რომში მიდის და მეც ეს გზა ავირჩიე. აქ დუღს შემოქმედებითი ცხოვრება**

ონი ერქვა ბაბუაჩემს და, ძალიან უნდოდა, ეს სახელი ჩემთვისაც დაერქმიათ. პრაქტიკულად ჩემი მეორე სახელია. ელბანო კი ელბაქიძის შემოკლებული ვერსიაა, რადგან, ჩემი გვარის წარმოთქმა ძალიან უჭირთ. მოკლედ, სამყაროში ყველაფერი კანონზომიერია, არაფერი იკარგება, მათ შორის, ჩემი იტალიელი ბებიის ამბავიც.

– **მგონი, სწავლობ კიდეც, ხომ?**

– კი, ამჟამად ვსწავლობ ენისა და კულტურის სამთვიან კურსებზე. პარალელურად, საკმაოდ სერიოზულ მასტერკლასებს გავდივარ თეატრში. ვითამაშე ერთი სპექტაკლი რომეო და ჯულიეტას მოტივებზე – „პირველი კოცნა“, რეჟისორია ფრანჩესკო ძეკა. რომეო და ჯულიეტა არ ნიშნავს, რომ შექსპირი ვითამაშეთ, ნაწარმოების მხოლოდ გარკვეული მოტივები იყო დარჩენილი. ძალიან საინტერესო მასტერკლასი იყო ძეკასთან, ის საკმაოდ სერიოზული თეატრის რეჟისორია, რომელმაც ახლახან გამოუშვა სპექტაკლი ლუიჯი პირანდელოს მოთხრობის მიხედვით. მას ჰქონდა მასტერკლასები მსახიობებისთვის და მასტერკლასების ბოლოს დაგვადგმევინა ეს სპექტაკლი, რომელიც ჩემი პირველი სპექტაკლი იყო იტალიურად. პარალელურად, ტარდება ძალიან ბევრი ქასთინგი. წინასწარ არ მინდა ბევრი რამის თქმა, მაგრამ, შემიძლია, უკვე გავახმაურო ერთი ფილმის ამბავი, სადაც უკვე ამიყვანეს – ეს არის „რაის“ პროდუქცია, ფილმს ჰქვია „ჩაკ... ამორე“. მასში რეალური ისტორიაა ასახული. ვთამაშობ გმირს, რომელსაც ჰქვია მარკო.

– **იტალიელებისთვის შენი გარეგნობა მისაღები იქნება – იტალიელს ჰგავხარ.**



**საკმაოდ ბევრი ინტიმური სცენა იყო სათამაშო და ჩემმა იტალიელმა მეგობრებმა მითხრეს, რომ კარიერის ასე დაწყება სარისკოა; შეიძლება, გაგიმართლოს და ვარსკვლავი გახდე, მაგრამ, შესაძლოა, კარგ კინოში შენი გადაღება აღარავინ მოინდომოსო**

– სხვათა შორის – არა. ძალიან უცნაურია იტალიელების დამოკიდებულება ჩემ მიმართ – ძველეგვიპტელს მეძახიან. ეს ერთი მხრივ, კარგიც არის, რომ მათთვის უცხო გარეგნობა მაქვს. ძალიან ცნობილი რეჟისორია რენატო კაპიტანი, რომელთან ერთადაც დავიწყე სპექტაკლზე მუშაობა. სპექტაკლი არის ჩეხოვზე, ანტონ ჩეხოვის ცხოვრების უკანასკნელ დღეებზე, რომლებიც მან გერმანიაში გაატარა და ვასახიერებ თავად ჩეხოვს. სპექტაკლი ოქტომბერში გამოვა. პარალელურად ვმუშაობ მოკლემეტრაჟიან ფილმზე და კიდევ ერთ სრულმეტრაჟიანზე. მოკლედ, ახალბედასთვის საკმაოდ ბევრი სამუშაო მაქვს, შემიძლია ვთქვა, რომ ძალიან გამიმართლა. გამიმართლა მეგობრებში, წრეში, სიტუაციებში. პარალელურად ვმუშაობ ჩემს მესამე რომანზე – „ყვითელი ველოსიპედი“, რომლის მოქმედებაც იტალიაში ხდება და მთავარი პერსონაჟი იტალიელია. ინსპირაცია დიდია.

– **შენი რომი როგორია, შენ როგორ მიგიღო?**

– ჩემი რომი არის ქალაქი, სადაც ყველაზე დიდხანს ვიცხოვრებ ერთადერთი ქალაქის – თბილისის შემდეგ. ეს არის ყველაზე ღია ქალაქი, ხანდახან ნაცრისფერი, მაგრამ, ყველაზე თბილი და მაგნიტური. თუ აჰყვები რომის ტემპს მიხვდები, რომ ნამდვილი ქალაქია, ქალაქი სადაც ერთ დროს იმპერატორები ცხოვრობდნენ და ახლა შენ ხარ ერთი უბრალო წერტილი, რომელსაც, თუ ბედი გაგიღიმებს, შენს საქმეში იმპერატორად იქცევი. კამპო დეი ფიორიზე ვცხოვრობ – მოედანზე, სადაც ჯორდანო ბრუნო დაწვეს.

– **იტალიელ გოგონებზე რას იტყვი?**

– ჩემი იტალიელი გოგოები?! *(იცინის)* სულ ვოცნებობდი და მინდოდა, რომ იტალიელი ცოლი მყოლოდა... ჰოდა, ველოდები *(იცინის)*.

– **განსაკუთრებით კარგები ოცდაათ წელს ზემოთ ქალები არიან.**

– აბსოლუტურად გეთანხმები, ზუსტად ეგრეა. უფრო პატარები ვერ გამოიყურებიან როგორც საჭიროა, თითქოს მერე უფრო პოულობენ თავიანთ სტილს, უფრო მიმზიდველები და გემოვნებიანები ხდებიან. ოცდაათი წლიდან ამჟღავნებენ თავის შარმსა და ელეგანტურობას. სამი წელი მაკლია ოცდაათ წლამდე და ეგ არის *(იცინის)*, თუმცა, ახლაც არიან, პეპლები დაფრინავენ.

**სალომე გველესიანი**

# რას გრძნობს „ჩამოწერილი“ ქალი და ვისთან აქვს მას სერიოზული პრობლემა



**თუ არ გინდა, იმედგაცრუებული დარჩე, ცხოვრებისგან ბევრს არ უნდა მოელოდე და ეს ეხება ურთიერთობებსაც. თუკი მზად ხარ, სიყვარულისთვის მსხვერპლი გაიღო, შესწირო მას ყველაფერი, ნუღარ იწუწუნებ იმაზე, რომ სანაცვლოდ იგივე ვერ მიიღე. ცხოვრება არ არის სასიამოვნო სიურპრიზებით სავსე, ის საკმაოდ მტკივნეულია და ზოგჯერ სასტიკადაც გვექცევა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ვარდისფერ სათვალეს ვირგებთ და საკუთარი თავის მოტყუებას ვცდილობთ. საყვარელ ადამიანებსაც შეუძლიათ, თავი „ჩამოწერილებად“ გვაგრძნობინონ და საერთოდ არ იფიქრონ იმაზე, რა შეიძლება ამას მოჰყვეს. ვინ უნდა იზრუნოს პიროვნების ღირსების დაცვაზე, თუ არა თავად ამ პიროვნებამ?!**

თეიკო *(40 წლის):* ზოგჯერ ვფიქრობ, რომ მარტო ყოფნა სულაც არ არის საშინელება. იმ მდგომარეობას მაინც ჯობია, რომელშიც ახლა მე ვარ. თავს სრულიად უსარგებლო ნივთად ვგრძნობ და ამაში წვლილი მიუძღვის ადამიანს, რომელიც ჩემი ცხოვრების მთავარი მონაპოვარი მეგონა. ასეა, დიდი იმედები არავისზე არ უნდა დაამყარო, საკუთარ შვილზეც კი. თუ არ გინდა, რომ იმედგაცრუებული და გულნატკენი დარჩე. ძალიან ბანალურია ეს ყველაფერი, ჩემი ტკივილიც ბანალურია და, ალბათ, ვერავის გააკვირვებ. თუმცა, იმდენად მტკივნეულ სიცარიელეში აღმოვჩნდი, რომ მინდა, ეს ცუდი სიზმარი იყოს. არავის ვუსურვებ იმას, რასაც ახლა მე განვიცდი. სულიც მტკივა და სხეულიც. ზოგჯერ მგონია, რომ ცხოვრება დასრულდა და კარგი აღარაფერი მოხდება. დავჯდებოდი და ვიტირებდი, მაგრამ, ესეც არ უშველის საქმეს.

**– ფიზიკურადაც მარტო ხართ?**

– საქმეც ისაა, რომ ფიზიკურად მარტო არ ვარ – ქმარიც მყავს და შვილებიც. ასეა, ყველაზე საყვარელი ადამიანი გტკენს გულს, თორემ, უცხომ ისეთი რა უნდა დაგიშავოს? ალბათ, ჩემი ბრალიც არის – მეტისმეტად არ უნდა გადავყოლოდი. შეიფერა და ვერც გაამტყუნებ – ის ხომ კაცია...

**– ანუ, კაცი არც უნდა შეიყვარო და არც უნდა გაანებივრო?**

– მე ამის მწარე გამოცდილება მაქვს. რა გითხრათ? შეიძლება, არსებობენ ისეთი კაცები, რომლებიც ყველა სიკეთეს იმსახურებენ. მაგრამ, მე მათ არ ვიცნობ. კაცებს არ ვლანძღავ, ეს არაფერში მჭირდება, მაგრამ მენანება ის წლები, რომლებიც ილუზიების ტყვეობაში გავატარე.

**– რის ილუზიას იქმნიდით?**

– იმის ილუზიას, რომ ყველაფერი კარგად არის და ვუყვარვარ იმ ადამიანს, ვინც მე მიყვარს. ტყუილში გავატარე ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები.

**– ქმარი გატყუებდათ?**

– უარესი: მე თვითონ ვიტყუებდი თავს. აღარც მეგობრები მინდოდა, აღარც ახლობლები... შემიყვარდა და მორჩა – გადავწყვიტე, რომ მისი მოვლა და გაფრთხილება იყო ჩემი ცხოვრების მთავარი მიზანი.

**– ეს თქვენი, პირადი გადაწყვეტილება იყო და არა იძულებითი, ხომ მართალია?**

– მართალია, მაგრამ, ბოროტად რომ გამოიყენებენ შენს გრძნობასა და უსაზღვრო თავდადებას, ეს უკვე სხვაა... ყველა გვეუბნებოდა, რომ ძალიან შესაფერისი წყვილი ვიყავით. ახლა უკვე სასაცილოდ ჟღერს – „ყველა გვეუბნებოდა“. ვინ იცის, რა ხდება მოღიმარ წყილს შორის რეალურად. არადა, პროფესიით ფსიქოლოგი ვარ. სხვას ვურჩევ, საკუთარი თავისთვის კი ვერ ვივარგე მრჩევლად. თურმე, შეიძლება, დარდისგან მოკვდე კიდეც. რამდენჯერმე მართლაც მქონდა განცდა – ახლა მოვკვდები-მეთქი. ისეთი დეტალები მახსენდებოდა... მაგალითად, როგორ წვიმდა ჩვენი ქორწინების დღეს და როგორ მეუბნებოდნენ, ეს კარგის ნიშანიაო. ისეთი ბედნიერი ვიყავი მაშინ... საკუთარ თავს ვეუბნებოდი, ძალიან გაგიმართლა, შენ ამის ღირსი არ იყავი-მეთქი. საკუთარი თავის შური გაგიგიათ? – ეს დამემართა. ჩემს ქმარს რომ ვუყურებდი და ვეფერებოდი, თავი ინგლისის დედოფალი მეგონა. ექვსი წლით უფროსი ვარ ქმარზე და ეს მაკომპლექსებდა. სულელი ვიყავი. ჩემი თავის საწინააღმდეგოდ ვმოქმედებდი და ჩემს ქმარს ისეთი ფონი შევუქმენი, რომ თავი იდეალურ არსებად ეგრძნო. ჭკვიანი ქალი ასე არ იქცევა. ჯერ საკუთარი თავი უნდა გიყვარდეს და მერე ყველაფერი დანარჩენი. ვისაც საშუალებას მისცემ და აგრძნობინებ, ამის გაკეთება ნებადართულიაო, ყველა თავზე დაგაჯდება. განსაკუთრებულად იმიტომ მტკივა, რომ ყველაფერი გავიღე ჩემი ოჯახისა და სიყვარულისთვის, რისი გაღებაც კი შეიძლებოდა. როცა თავი უბედნიერესი ქალი მეგონა, სწორედ მაშინ მაგრძნობინეს, „ჩამოწერილი“ ხარო.

**– რას ნიშნავს „ჩამოწერილი“?**

– იმას, როცა შენ გარშემო სრული გულგრილობა და სიცივეა. სული მეყინება და სასოწარკვეთილი ვარ. პიროვნულად მიღალატეს. ჩემს თავზე ქარიშხალი მაშინ დატრიალდა, როცა ამას ყველაზე ნაკლებად ველოდი. შეიძლება, ეს ჩემი დიდი პასუხისმგებლობის ბრალი იყო, რომელსაც ქმრის მიმართ ვგრძნობდი; უფრო სწორად, კი არ ვგრძნობდი, ამის ვალდებულება ავიღე, თუმცა, გაუგებარია, რატომ. ცოლ-ქმრის ურთიერთობა სრულფასოვანი და თანაბარი უნდა იყოს. მხოლოდ ერთს კი არ უნდა ჰქონდეს ვალდებულებები, მეორესაც ზუსტად იგივე უნდა მოეთხოვებოდეს.

> შემიყვარდა და მორჩა – გადავწყვიტე, რომ მისი მოვლა და გაფრთხილება იყო ჩემი ცხოვრების მთავარი მიზანი

**– ჰო, მაგრამ, ეს ხომ ბუნებრივად უნდა მოხდეს?**

– ალბათ. თუმცა, მიმაჩნია, რომ ადამიანმა უნდა დაინახოს და დააფასოს შენი სიყვარული. ცოლად ხომ საკუთარი ნებით მომიყვანა, ხომ არაფერი დამიძალებია?!

**– გქონდათ ქორწინებამდე ამაზე საუბარი?**

– რაზე, ვის მეტად უყვარდა? ამაზე ვინმე ლაპარაკობს ქორწინებამდე? საერთოდ, არის ეს სალაპარაკო თემა? შინაგანად უნდა იყო მზად იმისთვის, რომ თავი მიუძღვნა შენს პარტნიორს. ბუნებრივია, იმასაც იგივე განცდა უნდა ჰქონდეს. ამიტომ, როცა ადამიანი სურვილს გამოთქვამს, ცხოვრება შენ დაგიკავშიროს, აღარ ეკითხები, რამდენად მაღალია მისი სიყვარულის ხარისხი. ცხრა წლის წინ მე 31 წლის ვიყავი, ის – 25-ის. 25 წლის მამაკაცს პასუხისმგებლობები გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს. უკვე ეჭვი მაქვს, რომ ცოლად სხვა რამის გამო მომიყვანა.

**– კონკრეტულად?**

– მე ვერ ვიტყვი, რომ მიზეზი ფული იყო... მაგრამ, ძალიან აქტიური ადამიანი ვარ და, როცა გავთხოვდი, კარიერა უკვე აწყობილი მქონდა. ჩემი ქმარი აქტიურობაში მაგრად მოიკოჭლებს – ძალიან ზარმაცია და ინერტული. ერთხელ, ვითომ სხვათა შორის, თქვა, ზუსტად ვიცი, ჩემი ცოლი მაგრად „გამქაჩავსო“. მართალია, ძალიან ბევრი გავაკეთე, მისთვის კარიერა რომ ამეწყო – ტყავიდან გამოვძვერი და შეუძლებელი შევძელი. ძალიან გვიან მივხვდი, რომ დიდი შეცდომა დავუშვი უნდა გამეთვალისწინებინა, რომ ამას კარგი არაფერი მოჰყვებოდა. სანამ არაფერს წარმოადგენდა, წყნარად იყო და თვალებში შემომციცინებდა. არც არავინ იროდა მასზე, მაგრამ, მოვლილ, კარგად ჩაცმულ-დახურულ და წარმატებულ მამაკაცს ყველამ ყურადღება მიაქცია. ზოგადად, ასე ხდება, ხომ იცით – მოვლილ და ფეხზე დაყენებულ კაცებზეა მოთხოვნილება. იმას აღარავინ კითხულობს, რამდენი შრომა და წვალებაა დახარჯული, ასეთი რომ გამხდარიყო. ცოლები „შავი მუშებივით“ ვართ. ჩვენი ჯოჯოხეთური შრომის ნაყოფით სხვები ტკბებიან, ჩვენ კი გაწბილებულები, იმედგაცრუებულები და მტკივანი გულებით ვრჩებით. იცით, რაში შევცდი? საკუთარ თავზე უნდა მეზრუნა, ქმარი „შნირად“ მყოლოდა და აუცილებლად დამაფასებდა. დამეთანხმეთ, რომ ასეა.

**– ანუ, ქმრებს არ უნდა მოვუაროთ?**

– უნდა მოვუაროთ, მაგრამ, ზომიერების ფარგლებში. ზედ არ უნდა გადაჰყვე, იმაზე მეტი არ უნდა გაუკეთო, რასაც შენს თავს უკეთებ. ხვდებით, ხომ, რასაც ვგულისხმობ: ქმარზე უკეთესად უნდა გამოიყურებოდე. ერთი წუთით არ უნდა მოდუნდე. ძალიან მაგრად უნდა იცვამდე, თავს უნდა უვლიდე, ყველას თვალებს უბრმავებდე.

**– ეს იმას ნიშნავს, რომ ქმართან ჯიბრში იცხოვრო. ომი გამოუცხადო მას. ასე ხომ ძალიან ძნელია, პრაქტიკულად – შეუძლებელი.**

– ის ხომ შესაძლებელია, რომ „ჩამომწერა“, აღარ ვჭირდები და აღარაფრად მაგდებს? ისე იქცევა, თითქოს სიტუაციის ბატონ-პატრონია და ამ ყველაფერს თვითონ მიაღწია. უსინდისო! წესიერად ლაპარაკიც კი არ იცოდა. ჩემი ახლობლები დამცინოდნენ, ეგ უცხვირპირო როგორ შეგიყვარდაო. მე იმდენად ემოციური და ენერგიული ვარ, ჩემს ფონზე საცოდავად გამოიყურებოდა, ისე სასაცილოდ იცვამდა... სტილიც კი მთლიანად შევუცვალე. ბრენდების სახელწოდებები ჩემგან ისწავლა და ახლა მე მაკრიტიკებს ირონიული ტონით – ისე ვერ გამოიყურები, როგორც ჩემს ცოლს ეკადრებაო. ახია ჩემზე, მაგრამ, ახლა ძალიან გვიანია. ზოგჯერ, რომ ვუყუ-

# როგორ იპოვა საბერძნეთში მცხოვრებმა ქართველმა ქალბატონმა ციმბირში სამუშაოდ წასული ძმა 22 წლის შემდეგ

***60 წლის თამარ ვლადიმერის ასული წყაროაშვილი ეძებდა 52 წლის ომარ ვლადიმერის ძე წყაროაშვილს.***

**ისტორია**: ვეძებ ჩემს ძმას – 1960 წლის 16 აპრილს დაბადებულ ომარ ვლადიმერის ძე წყაროაშვილს. ოთხი დედმამიშვილი ვართ – ორი და და ორი ძმა, ომარი ჩვენი უმცროსი ძმაა. 1991 წლის აპრილში ომარი სამუშაოდ წავიდა ციმბირში, კემეროვოს მხარეში და მას შემდეგ ჩვენ ის აღარ გვინახავს, მისგან წერილიც არ მიგვიღია. ძალიან გთხოვთ, ძმის პოვნაში დამეხმაროთ. ამჟამად მე საბერძნეთში, ქალაქ ათენში ვიმყოფები და ყოველთვის ვკითხულობ თქვენს რუბრიკას. იმედია, ძმის პოვნაში დამეხმარებით.



**ჟურნალისტის შენიშვნა**: ეს ისტორია დაიბეჭდა რუბრიკა „დაკარგულებში“. საბედნიეროდ, დედმამიშვილებმა იპოვეს ერთმანეთი და მათ შორის კავშირი აღდგენილია. ომარ ვლადიმერის ძე წყაროაშვილი თავად დაუკავშირდა თავის ოჯახს, განშორების 22 წელი დასრულდა. რუბრიკა „დაკარგულები“ ულოცავს ქალბატონ თამარს ძმის პოვნას. დაწვრილებით კი თავის ისტორიას ჩვენს მკითხველს თავად ქალბატონი თამარი გააცნობს, რომელიც ამჟამად საბერძნეთში, ქალაქ ათენში იმყოფება.

**– ქალბატონო თამარ, გვიამბეთ, როგორ იპოვეთ ძმა და რა იყო თქვენი დაშორების მიზეზი.**

– ომარი რუსეთში მსახურობდა ჯარში. ჯარის დასრულების შემდეგ მან გადაწყვიტა, სამუშაოდ ციმბირში, კემეროვოს მხარეში წასულიყო. ჩვენ ერთმანეთს 1991 წლის აპრილში დავშორდით. საქართველოდან წასვლის შემდეგ ძმასთან კავშირი შეწყდა. მერე მეც მომიწია სამუშაოდ საბერძნეთში წასვლა, მაგრამ, აქაც არ დამვიწყებია ჩემი ძმა. ვდარდობდი მასზე. სულ ვფიქრობდი, სად არის და რატომ არ გვიკავშირდებოდა წლების განმავლობაში-მეთქი. ძალიან რთულია, როცა დედმამიშვილთან კავშირი არ გაქვს. როგორც წინა ინტერვიუში გითხარით, ომარის მოძებნა ძალიან მინდოდა, მაგრამ, ეს ვერაფრით ვერ მოხერხდა. მადლობა ღმერთს, ომარი თვითონ გამოჩნდა. უფრო სწორად, ის დაუკავშირდა ჩვენს ოჯახს, შემდგომ კი მეც დამირეკა. ბუნებრივია, პირველი, რაც მე მას ვკითხე, ის იყო, თუ რატომ არ გვიკავშირდებოდა 22 წლის განმავლობაში. აღმოჩნდა, რომ მას საკმაოდ რთული მატერიალური მდგომარეობა ჰქონდა და ეს იყო მიზეზი.



**– დღესდღეობით სად ცხოვრობს თქვენი ძმა და აპირებს თუ არა საქართველოში დაბრუნებას?**

– აღმოჩნდა, რომ ომარი დღემდე კემეროვოს მხარეში ცხოვრობს. უბრალოდ, ის საერთო საცხოვრებელშია და ამის გამო თქვენმა ნებაყოფლობითმა დამხმარეებმა ვერ იპოვეს საცხოვრებელი მისამართის მიხედვით (ანუ, ჩაწერის მიხედვით) – ის სულ სხვაგანაა ჩაწერილი. მთავარი კი ჩემთვის ისაა, რომ ის ცოცხალია და ჯანმრთელადაა. მთელი ამ წლების განმავლობაში მე სულ ცუდზე ვფიქრობდი. იმდენად ვდარდობდი ძმასთან დაუკავშირებლობას, რომ სხვა მიზეზი აზრადაც არ მომსვლია. როგორც კი ომარი ჩვენთან კავშირზე გამოვიდა, მაშინვე გადავწყვიტე თქვენთან დარეკვა, რადგან, ვიცოდი, რომ ჩემს ძმას დღემდე ეძებდით. მინდა, მადლობა გადაგიხადოთ ერთგულებისა და გულისხმიერებისთვის, რადგან, მთელი ამ ხნის განმავლობაში არ მაძლევდით სასოწარკვეთილებაში ჩავარდნის უფლებას. არ ვიცი, რა იქნება მომავალში. საქართველოში ჩამოსვლა კი მეც მინდა და ჩემს ძმასაც – ორივეს ძალიან გვენატრება ჩვენი სამშობლო.

**– თქვენმა ძმამ თუ იცის, მას ოფიციალურად რომ ეძებდით?**

– რა თქმა უნდა, ვუთხარი, რომ ვეძებდი, რომ უკვე კარგს არაფერს ვფიქრობდი და ძალიან ვნერვიულობდი. თავად ომარიც წუხს, ამდენი ხნის განმავლობაში რომ ვერ შეძლო ჩვენთან დაკავშირება, მაგრამ, ამჟამად ისეთი გახარებული და დაწყნარებული ვარ, აღარ მინდა იმაზე ფიქრი, რატომ არ გვეხმიანებოდა.

**– რას უსურვებდით სხვა ადამიანებს, ვინც თავის ახლობლებს დღემდე ეძებენ?**

– მინდა, ყველას ვუსურვო, ეპოვოთ დაკარგული ახლობლები და ნათესავები – ეს მართლაც დიდი სიხარულია!

***თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 233-42-24; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.***

**ნატალია მახარაშვილი**

---

რებ, საშინლად ვმწარდები საკუთარ თავზე: რისგან რა შევქმენი და მადლიერების ელემენტარული განცდა არ გააჩნია. თუმცა, ოთხი წლის წინ, თუნდაც სამი წლის წინ, ჯერ კიდევ არ იყო ასეთი – თვალებში შემომციცინებდა, ჩემს უკითხავად ნაბიჯს არ დგამდა. ხელჩაკიდებული დამყვებოდა ყველგან; ამაყობდა, რომ ასეთი ცოლი ჰყავდა.

**– გინდოდათ, მუდმივად თქვენზე ყოფილიყო დამოკიდებული? იცით, რამხელა სხვაობაა 25 წლის და 35 წლის მამაკაცს შორის?**

## როცა თავი უბედნიერესი ქალი მეგონა, სწორედ მაშინ მაგრძნობინეს, „ჩამოწერილი“ ხარო

– ვხვდები, რისი თქმაც გინდათ, მაგრამ, ეს არ არის პრობლემა, აქ სხვა შემთხვევასთან გვაქვს საქმე: ჩემმა დაჟინებულმა მცდელობებმა და იმან, რომ მის იმიჯმეიკერად ვიქეცი, შედეგად ის გამოიღო, რომ საკუთარ შესაძლებლობებზე გადაჭარბებული წარმოდგენა შეექმნა, გლეხურად რომ ვთქვა, თავში აუვარდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა მთელი განყოფილება ჩააბარეს და ჩემზე ორჯერ მეტი ხელფასი დაუნიშნეს. იმ მომენტიდან უკვე აშკარად მაგრძნობინებდა საკუთარ უპირატესობას.

**– შვილებთან ურთიერთობაშიც შეიცვალა?**

– შვილებთან ურთიერთობაში რაც იყო, ისევ ისეთად დარჩა. არასდროს გიჟდებოდა მათზე. ცხადია, უყვარს ისინი, მაგრამ, განსაკუთრებული მზრუნველობით არ გამოირჩევა, ათასში ერთხელ თუ წაიყვანს სადმე. გიჟი მამა ნამდვილად არ არის. იყო დრო, როცა ჩემს ქმარს ყველა მივლინებაში თან დავყავდი – ადრე ამისი არ რცხვენოდა, ახლა კი მიმტკიცებს, რომ ეს მის თავმოყვარეობაზე დამთრგუნველად მოქმედებს, რომ მამაკაცები ასე არ იქცევიან. მაინტერესებს, როგორ ექცევიან მამაკაცები იმ ადამიანებს, რომლებმაც მათთვის ყველაფერი გააკეთეს? თუ, ეს ჩემი ვალდებულება იყო? ჩემი ქმარი სულელია. მაგას ჰგონია, რადგან „ნაშოჩკების“ ყურადღების ცენტრში მოექცა, მასზე უკეთესი კაცი ამქვეყნად მეორე აღარ დადის და უმაგრესი ტიპია. დებილი... იმ „ნაშოჩკებს“ რაც უნდათ, მე ვიცი. რატომ არიან კაცები ასეთი ერთუჯრედიანები? ნუთუ ეს უბედურება ყველა კაცს სჭირს? ალბათ, მხოლოდ ისეთ დაკომპლექსებულებს, როგორიც ჩემი ქმარია.

**– რისი კომპლექსები გგონიათ, რომ აქვს?**

– ისევ ის, რაც ჰქონდა – არასრულფასოვნების და ახლა ივსებს ამ დეფიციტს. როცა შეუმჩნეველი, უფერული არსება ხარ და ერთბაშად რაღაც სიმაღლეზე მოექცევი, გგონია, რომ ყველაფერი დამსახურებულად მიიღე. შეიძლება, ჩემს დანახვაზე ის პერიოდიც ახსენდება, როცა არაფერს წარმოადგენდა და სიძულვილის განცდა უჩნდება.

**– ფიქრობთ, ღალატობთ?**

– კი არ ვფიქრობ, ზუსტად ვიცი. მღალატობს რომელია, ანგარიშვალდებულადაც არ მიიჩნევს თავს. როცა ვუსაყვედურე, მე ასე არ უნდა მომექცე, ზედ გადამიარე-მეთქი, ირონიულად მიპასუხა, შენი საკუთრება ხომ არ გგონივარო. ჯერ კიდევ ორი წლის წინ ერთობლივი გეგმები გვქონდა, ცხოვრება მიხაროდა. ახლა საკუთარ თავს მაყვედრის. მეუბნება, რომ შემიძლია, მშვიდად ვიყო; რომ ოჯახის დანგრევაზე არ ფიქრობს და არც იფიქრებს, თუკი მე მომაბეზრებელი დედაკაცივით არ მოვიქცევი, მასზე საკუთარ უფლებებს არ გამოვაცხადებ და მშვიდად ყოფნის საშუალებას მივცემ. ძალიან ცუდად ვარ. არ ვიცი, როგორ მოვიქცე...

**დალი მიქელაძე**

## რედაქციაში წერილი მოვიდა

**ჩემი ოჯახური ცხოვრება თითქოს სტაბილურია, მაგრამ, ძალიან მოსაწყენი – რომანტიკა აკლია. ერთფეროვნება უკვე ისეთი დამღლელია, ჩხუბიც კი ერთნაირია. მომენატრა ჩვენი ქარიშხალივით სკანდალები და შერიგებები. ქმარს სახლიდან გასვლაც აღარ უნდა – აქაც კარგად ვარო. არსად აღარ დამყვება, აღარც კი ეჭვიანობს ჩემზე. როგორ მოვიქცე?**

**გამოხმაურება:** პირდაპირ უთხარით ქმარს, რომ, გინდათ, სიახლე შეიტანოთ თქვენს ურთიერთობაში. აუხსენით, რომ მრავალფეროვნება ორივეს ძალიან წაგადგებათ, ნაპერწკალი უნდა გაჩნდეს, რომ მერე ის გაღვივდეს. მოწყენილობა ცოლ-ქმრის ურთიერთობაში ცუდი ნიშანია.

**ფსიქოლოგი**
**მაგდა როზაქიძე**

**ჯგუფ „შინის“ პერკუსიონისტი, მამუკა ღალანიძე, ამ კოლექტივის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი, ემოციური და საინტერესო წევრია. ის ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად საქართველოდან 90-იანი წლების შუა ხანებში წავიდა. გერმანია ძალიან მოსწონს, თუმცა, ამბობს, რომ იქაურობას დღემდე ვერ შეეჩვია. ემოციური ქართული ხასიათი გერმანულ ფლეგმატურობას ვერ გუობსო, – ხუმრობით თქვა.**

# რამ დააკომპლექსა გერმანიაში ჩასული მამუკა ღალანიძე და როგორ გვიდა ის ტროტუარს შვილთან ერთად

– ალბათ, ზაზა მიმინოშვილმა გითხრათ, რომ რიგაში გვქონდა „არაჩვეულებრივი გამოფენის“ პრემიერა მცირე ხნის წინ. ლიეპაის ორკესტრთან ერთად გაკეთდა ეს პროექტი, ულამაზესი ქალაქია ლიეპაი და ერთ-ერთი უძველესი ორკესტრი ჰყავს – ვიყავით „შინი“, ასევე, სიმფონიური ორკესტრი. დიდი ხანია, გვინდოდა ქართული კინომუსიკის, კერძოდ, გია ყანჩელის მუსიკის „შინისეული“ ინტერპრეტაციის გაკეთება, ზაზა იყო ამ ყველაფრის მოთავე. ქართული კინომუსიკა ჩვენებური, სხვანაირი, „შინური შხამებით“ შევაზავეთ და გავუკეთეთ არანჟირება – შხამს, ხომ იცი, სხვა მულამი აქვს. ჩვენთან ერთად მღეროდა რიგის ხუთი ყველაზე ძლიერი მომღერალი „ოლ სტარზის“ ფარგლებში. ისეთი სამეგობრო წრე შევიძინე რიგაში... ძალიან უყვართ ქართველები. ადრე გავაკეთეთ ალბომი „ესარი“. უცნობილესი ლატვიელი კომპოზიტორია, ვალტ პუტცე და მასთან ერთად ჩავწერეთ. ქართველი მსმენელისთვის ის ნაკლებად არის ცნობილი, არადა, რიგაში, მუსიკალურ ჩარტებში, პირველი ადგილი დაიკავა. რიგა-შტუტგარდტის მატარებელში ბევრი მუსიკოსი გავიცანით ***(იცინის).*** გია ყანჩელს რაც შეეხება, დიდი მეგობრები ვართ და, პირდაპირ, ვკანკალებდით, ისე ვნერვიულობდით, რა რეაქცია ექნებოდა. ჩამოსული იყო და, სხვათა შორის, ძალიან მოეწონა. ძალიან გულს მტკენს ის ამბავი, რომ ქართველებს ერთმანეთის მხარდაჭერა არ შეგვიძლია – ჩვენც ბევრჯერ ვყოფილვართ ასეთ სიტუაციაში... იმის თქმა მინდა, რომ, ვინც კარგი გვყავს, იმის დაფასება არ ვიცით. აქ რომ ჩამოვედი, მივხვდი, რომ ცნობიერების შეცვლა აუცილებლად არის საჭირო, არადა, ვერა და ვერ გადავრთეთ ეს პატარა ჭანჭიკი ***(იცინის).*** არასდროს მიფიქრია, რომ, სადაც კარგად ვარ, ჩემი ქვეყანა ის არის-მეთქი. რა ვქნა, ვერ გავისამშობლოე გერმანია ***(იცინის).*** სულ მიკვირს, როგორ ააშენეს ასეთი ქვეყანა... რამდენჯერ მსმენია ძველი გერმანელებისგან, ნანგრევებად ქცეული ბერლინი და ქვეყანა ფეხზე დავაყენეთ და ყველანი გვერდიგვერდ დავდექითო... რამდენჯერ შემშურებია ამ ხალხის!

**– 2008 წლის ომის დროს „შინის“ თავს რა ხდებოდა?**

– საოცარი ისტორიაა. ზუსტად მაგ დროს შვეიცარიაში ვიყავით, კონცერტი გვქონდა „ეგარის“ პროექტით... სცენაზე უნდა გავსულიყავით, უამრავი ქართველი გვეხვია გარს. მახსოვს, ერთი პატარა ბიჭი ველოსიპედით დაქროდა აქეთ-იქით, ამბები მოჰქონდა: სად იყვნენ რუსები, რა ხდებოდა... ფოთის დაბომბვა რომ დაიწყო, ზუსტად მაშინ გავედით სცენაზე. ბურთი გვაწვებოდა ყელში, ვერ ვმღეროდით, ზურას გავხედე, ზაზას – ყველას ცრემლები გვქონდა თვალებში, ვტიროდით. მაგრამ, მაინც საოცარი კონცერტი გამოვიდა, დამუხტული... ვფიქრობდი, ჩვენ სად ვართ და საქართველოში რა ხდება-მეთქი. სიმართლე გითხრა, ევროპაში არაფერიც არ იცოდნენ, აქ რა ხდებოდა – საქართველო სად იყო, ისიც არ იცოდნენ... „მესამე მსოფლიოდ“ მოიხსენიებენ. არადა, ქართველი კაცი, იცი, როგორ ბრწყინავს იქ დანარჩენ ემიგრანტებში?! ქართველებს ძლიერად გამოხატული ინდივიდუალიზმი გვახასიათებს ***(იცინის).*** ყველა არის, მაგალითად, დირექტორი... ერთხელ, პარიზში რომ ვიყავით, კონცერტის შემდეგ ქართულ რესტორანში დაგვპატიჟეს – წარმოიდგინე, რესტორნის დირექტორი მინისტრი ბობოლასავით შარვალ-კოსტიუმით იჯდა კაბინეტში და ხალხი არ იყო რესტორანში! გვერდით კი ჩინური რესტორნის მეპატრონე ასფალტს გვიდა და მინებს წმენდდა. გვაქვს ეს „შეფობა“ ყველას. პირადად ჩემს თავშიც დამიჭერია – მაღაზიაში კალათის აღებაც მეთაკილებოდა, მქონდა „გრუზინული“ მომენტები... გერმანიამ ბევრი რამე მასწავლა – პირველ ყოვლისა, ის, რომ უბრალო ადამიანი უნდა იყო – გამოვალ, ჩემს 4 წლის ლუკას გამოვიყვან ხოლმე და ერთად ვგვით სადარბაზოსა და ტროტუარს ღიღინ-ღიღინით, გაფორმებით ***(იცინის).***

**– აქედან შენც 90-იანებში წახვედი...**

– 96-ში წავედი, აქ არაფერი ხდებოდა და სტუდენტი ვიყავი, მაგას თუ სწავლა ერქვა ***(იცინის).*** ვიდექი ბირჟაზე და მზესუმზირის ჭამით ვერთობოდი სხვა ბიჭებთან ერთად... „ადიო“ იყო პირველი ჯგუფი, რომელიც საქართველოდან უცხოეთში გავიდა. ამ ჯგუფში იყვნენ: დათო მალაზონია, ზაზა მიმინოშვილი, ზურა გაგნიძე, მერაბ სანოძე... გენო მამედოვს ცნობილი სტუდია ჰქონდა მარჯანიშვილში, ყველა იქ დადიოდა და წერდა, იქიდან ვიცნობდი. ზაზამ დამირეკა გერმანიიდან – გული კინაღამ გამისკდა, ისე გამიხარდა... ჩამოვალ კი არა, ახლავე გამოვიქცევი-მეთქი, ვუპასუხე. ასე მოვხვდი გერმანიაში და „ადიოში“. ოფენბურგში გვქონდა პირველი კონცერტი, „ადიო“ „შინისგან“ ძალიან განსხვავებულ მუსიკას უკრავდა – ჯაზს უფრო. ვერ ვიტყვი, რომ გერმანიაში ძალიან უყვართ ჯაზი, უფრო კლასიკური



**ასე გახდა ჩემი ძმაკაცი ჩემი სიმამრი**

მუსიკა მოსწონთ. გერმანიაში რომ ჩავედი, თავიდან საშინლად გამიჭირდა. ჯერ ერთი, გერმანულიც არ ვიცოდი და ინგლისურით კი აქ თავს ვერ გაიტან – ერთი-ორჯერ ინგლისურად რომ გამოველაპარაკე, ისეთი რეაქცია ჰქონდათ, ძალიან დავკომპლექსდი ***(იცინის).*** მატერიალურადაც ძალიან მიჭირდა, მაგრამ, თბილისშიც ხომ არ ვიყავი უკეთესად – კაპიკი არ მქონდა ჯიბეში! ვსვამდით, ვქეიფობდით და სულ ეგ იყო. „აჭარაში“ იყო ჯაზ-კლუბი და იქ თუ მივიდოდით ხოლმე.

ძალიან მიყვარს გერმანია. 17 წელია, აქ ვარ, მაგრამ, ბევრგან მაინც არ ვყოფილვარ ***(იცინის).*** ბადენ-ვურტემბერგი, სადაც ვცხოვრობ, საქართველოსხელაა. კიდევ კარგი, შტუტგარდტი თბილისს ჰგავს – მთებშია, ფერდობებით. რამდენჯერ მითქვამს, ნახე, წყნეთის ასახვევს როგორ ჰგავს, აი, კოჯორი-მეთქი ***(იცინის)...***

**– ესე იგი, გაგიჭირდა გერმანულის სწავლა...**

– წელიწად-ნახევარი ხმა არ ამომიღია, მარტო ვუსმენდი... მერე ნელ-ნელა ვისწავლე...

**– ევროპულ ვოიაჟზე მომიყევი...**

– ბევრგან ვიყავით ძალიან, ბევრი ვიმოგზაურეთ. ვერც ერთს ვერ გამოვარჩევ, ევროპული ქვეყანა ყველა ერთმანეთს ჰგავს. უფრო იტალია და ესპანეთი მომწონს... ჩვენთვის ახლობელი მენტალიტეტის ხალხია, თბილი, ტემპერამენტიანი, ემოციური. მე თვითონაც ემოციური ვარ და ფლეგმატიკთან ურთიერთობა არ შემიძლია – რაღაცას რომ ელაპარაკები, აჩვენებ და რეაქცია არ აქვს... სამზარეულოც იმათი მომწონს, გერმანული სამზარეულო დიდად არ გამოირჩევა ღირსშესანიშნავი რეცეპტებით!

**– ისე ლაპარაკობ, თითქოს კარგი განაფული მზარეული იყო.**

– კი, კარგი მზარეული ვარ, ყველაფერს კარგად ვაკეთებ, მათ შორის ხინკალსაც. გიჟდებიან გერმანელები, რუმინელები! რომ დავურეკავ და, ხინკალი-მეთქი – ვეტყვი, კარლსრუედან მორბიან კისრისტეხით ჩვენი რუმინელი მეგობრები ***(იცინის).*** რას იზამ, მარტო ცხოვრებამ მასწავლა, თან, ნოსტალგიამაც იცის.

**– კაცები არ ტირიანო, ამბობენ... შენ გიტირია გერმანიაში?**

– ნამდვილად ვიტირე, გულით... რა სისულელეა, ტირილი სირცხვილი არ არის, მით უმეტეს, თუ ალალი ცრემლით ტირი... სცენაზე რომ ვუკრავდი, ცრემლი მომდიოდა, ერთმანეთს თვალებში ვერ ვუყურებდით, თორემ, ყველას ერთად აგვიტყდებოდა ბღავილი... რას იზამ, მუსიკოსი თუ ხარ, ვალდებული ხარ, სხვის განწყობაზე იზრუნო. არ გინდა და კარგად იყავი!

**– ეგზოტიკურ ქვეყნებშიც ყოფილხართ, როგორც ვიცი...**

– მალაიზიაში, სინგაპურში... ინდოეთში არ ვყოფილვართ და ძალიან გვინდა. ჩვენ ინდურ მუსიკას ხშირად ვიყენებთ შემოქმედებაში. არის უძლიერესი მუსიკალური ჯგუფი – „შაქტი“, რომლის სულისჩამდგმელია უდიდესი გიტარისტი – ჯონ მაკლაჰლინი, სხვათა შორის, ორჯერ იყო თბილისში „კოკა-კოლა ჯაზ-ფესტივალზე“ ჩამოსული. ეს კაცი ნამდვილი ცოცხალი ლეგენდაა და ინდოეთში დიდხანს ცხოვრობდა. საოცარია ინდური მუსიკა, მით უმეტეს – რიტმი, პერკუსიული მომენტები... არის ინდური ჩანართი-ტაქტი „არეგამა“. ინდოელ შემსრულებელთან, შანკარ ლალისთან, არაერთი კონცერტი გვქონდა გერმანიაში. წასვლა აღარ უნდოდა საქართველოდან, საოცრად კარგი ადამიანია შანკარი, ტკბილი ***(იცინის).*** ყველაზე ემოციური მსმენელი საქართველოშია, რთულიც... მასობრივი მსმენელისთვის ნამდვილად არ არის ჩვენი მუსიკა, მაგრამ, მაინც ძალიან მოსწონს ხალხს. ძალიან გვინდა, რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობის აღდგენაშიც ჩავერთოთ აქტიურად... შარშან ვიყავით რუსეთში, ხუთ ქალაქში და სრული ანშლაგით ჩაიარა. მოდიოდნენ, გვეფერებოდნენ – რატომ არ ჩამოდიხართ, ძალიან გვენატრება ქართული კულტურაო. თუმცა, არც ერთი ქვეყნის პოლიტიკოსებს არ ვიცნობ. ძალიან მინდა რუსეთთან ურთიერთობის აღდგენა, მაგრამ, არა „უმცროსი ძმის“ სტატუსით. სხვათა შორის, გვაქვს ძალიან მაგარი აფხაზური პროექტი – რამდენიმე წელია, გვიდევს; გვინდა, ენგურს იქით გავიტანოთ ეს პროექტი. სამეგრელოში ვიყავით, იქ იყვნენ აფხაზები ჩამოსულები ჩვენს კონცერტზე. შერიგება ძნელია, მაგრამ, შესაძლებელი.

**– მეუღლეს მოსწონს თქვენი მუსიკა?**

– დიახ, რჩევებსა და შენიშვნებს მაძლევს ხოლმე და ვასწორებ მერე. ჩემი მეუღლე, ნატა, ჩემივე თანაჯგუფელის – ზურაბ გაგნიძის შვილია, ჩემზე 13 წლით უმცროსი. საკმაოდ პატარა ასაკიდან მახსოვს. შემდეგ სასწავლებლად ჩამოვიდა აქ და დავახლოვდით. მერე ნატას ვუთხარი, მივდივარ და ზურას უნდა ვუთხრა, რომ ჯვარს ვიწერთ-მეთქი. თურმე, რაღაცას კი უგრძნობდა გული ***(იცინის).*** ასე გახდა ჩემი ძმაკაცი ჩემი სიმამრი.

**– ლექსო ჭუმბურიძეზე მინდა, გკითხო.**

– ლექსო მაგარი, უნივერსალური მოცეკვავეა – ორი წელი იყო ზაარბრიუკენში, ლაშა ონიანის „მიმოდრამის“ თეატრში მუშაობდა პანტომიმის მსახიობად; დათუნიკა სხირტლაძე სამეჯლისო ცეკვებსაც გადასარევად ცეკვავს და ქართულსაც; ლექსო მიმიც არის მოკლედ, ამოხტა სცენაზე, ამოხტა და ამოხტა ***(იცინის)...*** და, დარჩა მას მერე. გადასარევი პლასტიკა აქვს...

**– გერმანულ რადიოსადგურებში ტრიალებს თქვენი კომპოზიციები?**

– დიახ. ხშირად მირეკავენ და მეუბნებიან, რადიოში იყო თქვენი კომპოზიცია, მოგისმინეთო.

**ქეთი დიდებულიძე**

# რომელი ცნობილი ტაძარი აშენდა რუსეთის იმპერიის საუკეთესო ხუროთმოძღვრის დავიდ გრიმის პროექტით თბილისში და სად ცხოვრობდა თბილისელი არქიტექტორი ალბერტ ზალცმანი

*მეცხრამეტე საუკუნის დასასრულისა და მეოცის დასაწყისის თბილისელი არქიტექტორები იმდენად ცნობილები იყვნენ, რომ შენობებს მათი ავტორების გვარებით მოიხსენიებდნენ. ეს ტრადიცია თბილისის ძირძველ მოქალაქეებში დღემდეა შემორჩენილი და, ამიტომ, შესაძლოა, გსმენიათ კიდეც ზალცმანის, ბილფელდისა და სხვათა გვარები, რომელთა მიერ შექმნილმა ნაგებობებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თბილისის განაშენიანებასა და მისი ისტორიული ნაწილისთვის ერთგვარი ხიბლის წარმოქმნაში. დღევანდელ „ფოტოისტორიაში" იმ თბილისელი არქიტექტორების შესახებ მოგითხრობთ, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს თბილისის გალამაზებაში.*



საქართველოს ხელოვნების მუზეუმი (არქიტექტორები – ძმები ბერნარდაცები; მეცხრამეტე საუკუნე)



ალექსანდრ ნეველის სახელობის სამხედრო ტაძარი – სობორო (არქიტექტორი – დავიდ გრიმი; მეცხრამეტე საუკუნე)

## ჯოვანი და ჯუზეპე ბერნარდაცები

ერთ-ერთი პირველები უცხოელ არქიტექტორებს შორის, რომლებმაც თბილისში რამდენიმე პროექტი განახორციელეს, იყვნენ იტალიელი ძმები – ჯოვანი და ჯუზეპე ბერნარდაცები. ბერნარდაცების დინასტია პამბიოდან, შვეიცარიის იტალიური ნაწილიდან იღებდა სათავეს, რუსეთის იმპერიაში კი ამ გვარის წარმომადგენლები პირველად იმპერატორ ალექსანდრე პირველის დროს გამოჩნდნენ. ჯოვანი და ჯუზეპე სანქტ-პეტერბურგში მუშაობდნენ, შემდგომ პიატიგორსკში დასახლდნენ, საიდანაც თბილისში ჩამოსულან და რამდენიმე პროექტი განუხორციელებიათ, მათ შორის ყველაზე ცნობილია ამჟამინდელი საქართველოს ხელოვნების მუზეუმის შენობა ერევნელის, ამჟამინდელ თავისუფლების მოედანზე, სადაც მანამდე სასულიერო სემინარია და სასტუმრო იყო გახსნილი. მათი კიდევ ერთი პროექტი – გუდიაშვილისა და პუშკინის ქუჩების კუთხეში მდგარი სამსართულიანი სახლი – ამჟამად დანგრეულია. არქიტექტორი ძმები 1840-1842 წლებში გარდაცვლილან და, ცნობილია, რომ მიხეილ ვორონცოვს დიდი გულისტკივილი გამოუხატია მათი მოულოდნელი გარდაცვალების გამო. ძმები ბერნარდაცები პიატიგორსკის ძველ სასაფლაოზე – „ნეკროპოლზე" არიან დაკრძალულნი.



დავიდ გრიმი

## დავიდ გრიმი

დავიდ ივანეს ძე გრიმი დაიბადა პეტერბურგში, 1823 წლის 22 მარტს და იქვე გარდაიცვალა 1898 წლის 21 მაისს. ის ითვლებოდა ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ხუროთმოძღვრად რუსეთის იმპერიაში. თბილისში გრიმის პროექტით ალექსანდრე ნეველის სახელობის სამხედრო ტაძარი აშენდა. გოლოვინის პროსპექტზე, ლენინის მოედანზე, სობოროს აგება გრიმის 1866 წელს შექმნილი პროექტით, 1871 წელს დაიწყო, თუმცა, მშენებლობა რამდენჯერმე შეჩერდა და, საბოლოოდ, ტაძრის კურთხევა გრიმის გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე, 1897 წლის 21 მაისს შედგა. 1930 წელს, ლავრენტი ბერიას ბრძანებით, სობორო დაანგრიეს და მის ადგილზე ყოფილი პარლამენტის შენობა ააგეს.

გრიმი სანქტ-პეტერბურგის სმოლენსკის ლუთერანულ სასაფლაოზეა დაკრძალული.



ლუთერანული ეკლესია – კირხე (არქიტექტორი – ლეოპოლდ ბილფელდი; 1900-იანი წლები)

## ლეოპოლდ ბილფელდი

ლეოპოლდ ბილფელდი (1838-1921) ჰანოვერში იყო დაბადებული. მამამისს, ინჟინერ-არქიტექტორს, ქალაქ ოლდენბურგის აშენებისთვის თავადის წოდება მიანიჭეს. ლეოპოლდს განათლება გერმანიასა და დანიაში ჰქონდა მიღებული, სწავლა კი 1867 წელს დაუსრულებია სანკტ-პეტერბურგში. თბილისში ლეოპოლდ ბილფელდი 1868 წელს დასახლებულა – მას მიწის ნაკვეთი შეუძენია კიროჩნის ქუჩაზე და სახლი აუშენებია (აწინდელი მარჯანიშვილის ქუჩა), რომელშიც ოჯახთან ერთად ცხოვრობდა. მისი მეუღლე გახლდათ მინე ბორნემანი. ბილფელდის სახელს უკავშირდება თბილისის რამდენიმე ისტორიული შენობა-ნაგებობა: ლუთერანული ეკლესია მიხეილის პროსპექტზე; ქაშუეთის ეკლესიის რესტავრაცია 1910 წელს და სასტუმრო „ვეტცელის" აშენება მიხეილის პროსპექტზე 1911 წელს. გარდა ამისა, ბილფელდი კერძო საცხოვრებელი სახლების დაპროექტებითაც იყო დაკავებული. მისი პროექტით გაშენდა მაიერის პარკი მიხეილის პროსპექტზე, რომელსაც ამჟამად „ვარდების ბაღის" სახელით ვიცნობთ. თბილისის არქიტექტურაში შეტანილი წვლილისთვის ლეოპოლდ ბილფელდი წმიდა სტანისლავის მესამე ხარისხისა და წმიდა ანას მესამე ხარისხის იმპერიული ორდენებით დააჯილდოვეს. ბილფელდს იმდენად დიდი ავტორიტეტი ჰქონდა, რომ მისი დამკვეთები თბილისის ყველაზე შეძლებული მოქალაქეები იყვნენ.



ლეოპოლდ ბილფელდი



ალბერტ ზალცმანი

## ალბერტ ზალცმანი

თბილისში, გერმანელი კოლონისტების ოჯახში დაბადებული ალბერტ ზალცმანი (1833-1897) ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი არქიტექტორი იყო, რომელსაც განათლება პეტერბურგში ჰქონდა მიღებული. მამამისი, ტეოდორ

(გაგრძელება 31-ე გვერდზე)

„განმავლობასა შინა დიდისა მარხვისასა, ყოველდღე წირვაზედ, ლოცვაზედ, მწუხრზედ და ცისკარზედ არა ერთ-გზის გესმისთ თქვენ, ძმანო ქრისტიანენო, მოკლე ლოცვა: უფალო და მეუფეო ცხოვრებისა ჩემისაო... ამ ლოცვას ასე ხშირად წმიდა ეკლესია მისთვის განიმეორებს წირვა-ლოცვაზედ, რომელ იგი არს ფრიად საჭირო და სასარგებლო ყოველთა ქრისტიანეთათვის. ვინც კარგად გაიგებს აზრსა ამ ლოცვისასა და ეცდება, რომ შეითვისოს იგი და მერმე აღასრულოს თავის ცხოვრებაში, ის მიიღებს დიდს სულიერ სარგებლობას“. ის ადამიანები, ვინც აღდგომის მარხვას ინახავენ, ლოცულობენ, დიდმარხვის პირველ კვირაში კითხულობენ ანდრია კრიტელის სინანულის კანონს, ხოლო მთელი მარხვის განმავლობაში დილისა და ძილის წინ ლოცვების შემდეგ კითხულობენ ეფრემ ასურის ლოცვებს, რომელიც ადამიანებს ბევრ საკითხზე დაფიქრების საშუალებას აძლევს. ამ საკითხის შესახებ გვესაუბრება ნარიყალას წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა გიორგი (თევდორაშვილი):

# რა ცოდვაში ვარდება ადამიანი ულოცველობის გამო და როდის ებრძვის მას ვნებიანი აზრები



ვნებათა შორის ყველაზე ბუნებრივი არის ნაყროვანება, რადგან ის წარმოიშობა ჩვენი ორგანიზმის ფიზიოლოგიური მოთხოვნილებებიდან

– მარხვის პერიოდში უნდა განვერიდოთ ამქვეყნიურ ამაღლებას, რათა საკუთარ ცოდვებზე ვიფიქროთ, უფლის წინაშე ცრემლი ვღვაროთ და მოვემზადოთ წრფელი აღსარებისთვის, რომელიც აუცილებლად წარხოცავს ჩვენს ცოდვებს. გარდა იმისა, რომ მარხვის დღეებში უნდა მივიღოთ სამარხვო საკვები, ამავდროულად, აუცილებელია კეთილი საქმეების კეთება: გლახაკებისთვის ხელის გამართვა, სნეულთა მონახულება, ქველმოქმედება. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მარხვა უფლის მიერაა მოცემული როგორც ხორცისთვის, ასევე სულისთვისაც, რადგან, როგორც საზრდელის გარეშე დაუძლურდება, მოკვდება ხორცი, ასევე, აუცილებლად დაჩიავდება მარხვის გარეშე სული. ზოგ ქრისტიანს მიაჩნია, რომ ღმერთთან ურთიერთობისთვის მთავარია მხოლოდ სიყვარული, დანარჩენი – მარხვა, ლოცვა, სინანული – მეორეხარისხოვანია. მარხვა ერთადერთი საშუალებაა, რომელიც ადამიანს ეხმარება, თანხმობა და ჰარმონია დამყარდეს მის სულსა და ხორცს შორის.

**– მამაო, ადამიანის ვნებებს შორის ყველაზე გავრცელებული სწორედ ნაყროვანების ცოდვაა და მასზე განსაკუთრებულად უჭირთ უარის თქმა.**

– ვნებათა შორის ყველაზე ბუნებრივი არის ნაყროვანება, რადგან ის წარმოიშობა ჩვენი ორგანიზმის ფიზიოლოგიური მოთხოვნილებებიდან. შიმშილსა და წყურვილს გრძნობს ყველა ნორმალური ადამიანი, მაგრამ, არანორმალურად მიღება საკვებისა, სასმლისა, ნორმალურ მოთხოვნილებას გადააქცევს უნორმოდ, ბუნებრივის საწინააღმდეგოდ. ბიწიერად ნაყროვანება, ესე იგი, უნორმო კვება, ბუნებრივად აღძრავს ხორციელ სურვილს, სექსუალურ მისწრაფებებს, რომელსაც, თუ არ მოვიკვეთთ, მივყავართ სიძვის ვნებამდე. ამ გზით იშვება ყოველგვარი ბილწი აზრი, სურვილი, ოცნება და ასე შემდეგ. ამ სამარცხვინო ვნების დასაკმაყოფილებლად ადამიანს სჭირდება მატერიალური საშუალება, რაც, თავის მხრივ, შობს ვერცხლისმოყვარეობის ვნებას, რომლისგანაც იღებს სათავეს ყველა ის ცოდვა, რაც ფულთან არის დაკავშირებული: ფლანგვა, ფუფუნება, სიძუნწე, ნივთმოყვარეობა, სიხარბე, შური. ჩვენი ცხოვრების მატერიალური წარუმატებლობა გვაგდებს მრისხანებაში, გვეუფლება მწუხარება და სასოწარკვეთილება. მრისხანებისგან წარმოიშობა ყველა ცხოვრებისეული ცოდვა, რომელიც ვლინდება ნერვიულობით, თავშეუკავებლობით, შფოთვით, ჩხუბით, გაბოროტებით.

**– მამაო, აღდგომის მარხვაში იკითხება ანდრია კრიტელის სინანულის კანონი და ეფრემ ასურის ლოცვა. რა მნიშვნელობა აქვს ლოცვებს მარხული ადამიანებისთვის?**

– ანდრია კრიტელის კანონი ადამიანს მოუწოდებს და შეამზადებს არა მხოლოდ ბრწყინვალე აღდგომის შესახვედრად, არამედ, უნერგავს გაგებას იმისა, რომ არის ცოდვილი ადამიანი. 9 კანონში, რომელიც 4 ნაწილად იყოფა, არის ისეთი მომენტები, რომლებიც ადამიანს ახსენებს დაცემას, ადამისა და ევას გამოდევნას სამოთხიდან; მეორე ნაწილის საკითხავები – გალობები, მიანიშნებს წარღვნის, ნოეს პერიოდს; მესამე ნაწილში არის დავითის პერიოდი – რჩეული ერის შესვლა აღთქმულ მიწაზე; მეოთხე, ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდი გვახსენებს, რომ ჩვენ უკვე მივუახლოვდით ყველაზე აღმატებულს, ძვირფასს – მაცხოვრის მოსვლას, მის მოღვაწეობას, ჯვარცმასა და აღდგომას. ფაქტობრივად, ეს არის ადამიანის სულიერი მზადება და მასში სინანულის გაღვიძება. თუ მარხვაში არ ექნება სინანულის განცდა, ბუნებრივია, ეს მარხვა ქრისტიანისთვის ნაყოფის მომტანი არ იქნება. თუ იგი ამ მსახურებაზე ეკლესიაში დასწრებას ვერ ახერხებს, რომ არ მოსწყდეს იმ სულიერ მდგომარეობას, რაც ამ მსახურებას ახლავს თან, შეუძლია, ლოცვები სახლში წაიკითხოს. მაგრამ, ამან არ უნდა მიიღოს ყოველდღიური ხასიათი. იმით არ უნდა ინუგეშოს თავი, ვერ ვახერხებ ეკლესიაში წასვლას და ამიტომ ანდრია კრიტელის კანონს, ეფრემ ასურის ლოცვას, პირველშეწირულებას სახლში აღვასრულებო. თანაც, სახლში მხოლოდ კი არ უნდა წაიკითხოს, არამედ, უკეთ უნდა გააცნობიეროს, რომ ყველას გვჭირდება ღვთის შეწევნა. რაც შეეხება ეფრემ ასურის ლოცვებს, მათი წაკითხვა მთელი დიდმარხვის განმავლობაში აუცილებელია. ამ ლოცვის მთავარი შინაარსი საკუთარი ცოდვების დანახვაა, თუ რა მდგომარეობაში იმყოფება ჩვენი სული. თანამედროვე ადამიანები ხშირად ვართ ჩავარდნილი უსაქმურობის ცოდვაში, რომლისგან დახსნასაც შევთხოვთ უფალს ამ ლოცვის დასაწყისში. აქ საუბარია არა მხოლოდ ხორციელ უსაქმურობაზე, არამედ, სულიერზეც, როდესაც არ ვლოცულობთ, არ ვადიდებთ უფალს, არ ვმარხულობთ. ჩვენი სულიერი უმოქმედობა იწვევს ჩვენს ფიზიკურ უმოქმედობას და ეს, თავის მხრივ, მრავალ ცოდვას წარმოშობს, მაგალითად, ისეთს, როგორიც არის მიმწვილველობა, ანუ მოწყენილობა. ეფრემ ასურის ლოცვაში ასევე ნახსენებია მთავრობისმოყვარეობა. ამ ცოდვაში შეიძლება ჩავარდეს ნებისმიერი, ვინც, დიდებისმოყვარეობისკენაა მიდრეკილი; სურს, რომ ყველა მის გარშემო ტრიალებდეს და, რადგან ეს ასე არ ხდება, ამიტომ უკვე ის ვარდება მრისხანების ცოდვაში. მრისხანება კი წარმოშობს ცუდმეტყველებას: საერონი ხშირად ბილწსიტყვაობენ, ხოლო სასულიერონი მრავლისმეტყველებაში ვვარდებით. ლოცვის მომდევნო მუხლებში ვითხოვთ, რომ უფალმა მოგვმადლოს: სული სიწმიდისა, სიმდაბლისა, მოთმინებისა და სიყვარულისა. რადგან ადამიანი არის ხატება და მსგავსება ღვთისა, ის აუცილებლად უნდა იყოს წმიდა. უფალი ამას მოითხოვს ჩვენგან: წმიდა ვარ და წმიდა იყავით თქვენც. ადამიანი ამქვეყნიურ ცხოვრებას სიწმიდით იწყებს და, როდესაც გარდაიცვლება, ის უფალს სიწმიდით მიეახლება. თუ ადამიანი სიწმიდით არ ცხოვრობს, რაც უნდა გააკეთოს, მას არანაირი კავშირი არ შეიძლება ჰქონდეს უფალთან, სიწმიდეში კი მხოლოდ სულიერი სიწმიდე არ იგულისხმება, ადამიანი გარეგნულადაც უნდა იყოს მოწესრიგებული; ის სულზეც უნდა ზრუნავდეს და ფიქრობდეს და საკუთარ სხეულზეც, რომელიც უფლის ტაძარია. რაც მთავარია, უნდა ვიყოთ თავმდაბლები და ეს არ უნდა იყოს მოჩვენებითი, ეს სიწმიდიდან, უფლის სიყვარულიდან უნდა მომდინარეობდეს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მძიმე განსაცდელში მხოლოდ ბოლომდე მომთმენები ცხონდებიან. თუ ქრისტიანი არ იცხოვრებს სიწმიდეში, ვერ მიხვდება საკუთარ შეცოდებებს, მას არ ექნება სიყვარული, ვერ დაინახავს საკუთარ ცოდვებს და მუდმივად მოყვასის, სხვების განკითხვაში იქნება. თუ ღმერთი გიყვართ, მისი მცნებები უნდა დაიცვათ და ის მოგცემთ ჭეშმარიტ, ღვთაებრივ და არა ვნებიან სიყვარულს, რომელიც კეთილი საქმეების აღსრულებაში დაგეხმარებათ. მცნებების დაცვაში კი ერთ-ერთია სხვის განკითხვაზე უარის თქმა. ჩვენთვის ძალიან იოლია, დავინახოთ სხვისი ცოდვა, განვიკითხოთ და ვერ შევძლოთ იმის დანახვა, თუ როგორ ვცოდავთ ჩვენ, როგორ ვართ ცოდვის ჭაობში ჩაფლული და სხვისი განკითხვით კიდევ უფრო მეტ ცოდვას ვიმატებთ...

ადამიანი გარეგნულადაც უნდა იყოს მოწესრიგებული; ის სულზეც უნდა ზრუნავდეს და ფიქრობდეს და სხეულზეც, რომელიც უფლის ტაძარია

**ნათია უტიაშვილი**

# მცირესა ლოცვასა დიდი ძალა აქვს

იყო ვინმე ბერი წმიდა: განშორებული სოფლისაგან, მთასა შინა დაყუდებული და უდაბნოსა მოქალაქე, ფრიადითა მარხვითა, სამარადისოითა ლოცვითა და სიწმიდითა გულისათა, მსგავსად ილიასა. და ჰყუა მისთანა ერთი მოწაფე. მარადის ილოცვიდნენ და იტყოდნენ მხურვალედ: „უფალო, შეგვიწყალენ, უფალო შეგვიწყალენ!“ განა თუ მეტანიასა იქმოდენ, გინა თუ ხელთსაქმარსა შურობდნენ, ანუ, რაისაცა მოქმედებდენ, დაუცხრომლად პირით და გულით მასვე ილოცვიდნენ. და თუესა შინა ერთგზის წარიღებდა მოწაფე იგი ხელთსაქმარსა და მიართმიდა მამასა თვისსა სულიერსა. ხოლო ერთგზის, შთავიდა რა ქალაქად ჩვეულებისაებრ, იხილა ეკლესიასა შინა გალობა სძლისპირით, კანანარხი და ყოველი წესი ეკლესიისა. მო-რა-ვიდა, ჰრქუა მამასა თვისსა:

– შემინდვე, წმიდაო მამაო, პატიოსანო, რამეთუ ქალაქსა შინა ვიხილე გალობა, ღაღადება და ფსალმუნებაი და ჩუენ აქა ვიტყვითოდენ: „უფალო შემიწყალენ“. მნებავს მუნ ყოფაი და ვითხოვ შენდობასა ღუთივსულიერისა მამობისაგან შენისა.

ხოლო მან ჰრქუა:

– შვილო ჩემო საყუარელო, უკეთუ მტკიცედ დაადგრე ამას მცირესა ლოცუასა, არა უსასყიდლო იქმნე ღუთისა მიერ! გარნა ვინათგან იგი უფროის სათნო გიჩნს, ნება შენი იყავნ და მე ვესავ ღმერთსა, რომელ ადრე მოხვიდე აქავე. გარნა ჟამსა ხელთსაქმარისა ჩემისა განსყიდვისასა, ნუ დამიტევებ მამასა შენსა.

მოწაფემან მიიღო შენდობა სულიერი მამისაგან და წარვიდა ქალაქად და განეწესა ეკლესიისა მნათედ. ხოლო შემდგომად მცირედისა, დღესა ერთსა, ჰსდგენ რა ლოცუასა და გალობასა, იძრა ქუეყანა. მყის დაუტევეს ლოცუა და გალობაი და გარე განილტვოდეს ყოველნი და შიშისაგან ღაღადჰყვეს: „უფალო შეგვიწყალენ, უფალო შეგვიწყალენ!“

ესე რა იხილა მოწაფემან ბერისამან, წარვიდა კუალად მამისა მიმართ თვისისა სულიერისა და ჰრქუა:

– აჰა, ჭეშმარიტებაა ბაგეთა შენთა, ღმერთშემოსილო მამაო!

და მიუთხრა ესე ყოველი, ვითარმედ:

– ოდეს იქმნა განსაცდელი, თვისი გალობა დაუტევეს და ჩუენი ესე მცირეი ლოცუაი იპყრეს ყოველთა და იტყოდის: „უფალო შეგვიწყალენ!“.

ხოლო წმიდა ბერმან მიუგო:

– ღუთივსულიერო შვილო ჩემო, გულისხმა ჰყავ, რამეთუ ამას მცირესა ლოცუასა დიდი ძალა აქვს, უკეთუ ვინ გულითა წმიდითა ილოცვიდეს, რამეთუ მცირესა ზედა სარწმუნო, მრავალთა მლოცველთა გულსმოდგინებასა და მიანიჭებს შრომისაებრ სასყიდელსა, მეტყუელი: გიხაროდენ, რამეთუ სასყიდელი თქუენი მრავალ არს ცათა შინა.

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: აუცილებელია თუ არა სასულიერო პირისთვის წვერის ტარება?**

**პასუხი:** ეს არ არის აუცილებელი, თუმცა, ქრისტიანული ტრადიციით, ეკლესიურად მცხოვრები პირები ხშირად ატარებენ წვერს, რათა გარეგნულად მიემსგავსონ თავიანთ მოძღვარს – იესო ქრისტეს.

**კითხვა: ჩამეთვლება თუ არა შენდობილად ის ცოდვა, რომელიც აღსარებაზე მოვინანიე, მაგრამ წვრილმანები არ დამიკონკრეტებია?**

**პასუხი:** ჯერ უნდა გაარკვიოთ დაუკონკრეტებლობის მიზეზი: სირცხვილის იყო ეს თუ მიჩქმალვის გამო. უნდა გათავისუფლდეთ ყალბი სირცხვილის გრძნობისგან. მართალია, ყოველი ცოდვის დეტალებში აღწერა არ არის აუცილებელი, მაგრამ, თუ ფიქრობთ, რომ ჩადენილი ცოდვის რომელიმე ნიუანსს არსებითი მნიშვნელობა აქვს, მაშინ ის აუცილებლად უნდა თქვათ მოძღვართან, მით უფრო, თუ მისი უთქმელობა შემდგომში სინდისის ქენჯნას იწვევს.

**კითხვა: როდის არ არის ოთხშაბათი და პარასკევი სამარხვო დღეები?**

**პასუხი:** ოთხშაბათი და პარასკევი სამარხვო არ არის: მეზვერისა და ფარისევლის კვირაში (აღდგომის მარხვამდე, ყველიერისა და ხორციელის წინა კვირა); ქრისტეს აღდგომის შემდგომ ბრწყინვალე შვიდეულში; სულთმოფენობის დღესასწაულის მომდევნო შვიდეულში; ქრისტეშობიდან 17 იანვრის ჩათვლით.

**კითხვა: შეიძლება თუ არა, 15 წლის მოსწავლეს მოძღვარმა მოზარდის მშობლების დაუკითხავად მისცეს კურთხევა და წაიყვანოს მონასტერში?**



**პასუხი:** მშობლების დაუკითხავად არასრულწლოვანი მოზარდის ბედის გადაწყვეტა, თუნდაც მოძღვრის მიერ, ყოვლად დაუშვებელია.

**კითხვა: ყველაზე უკეთ როგორ შევეწევით ურწმუნო ადამიანს?**

**პასუხი:** ურწმუნო ადამიანისთვის ყველაზე საუკეთესო, რასაც გავაკეთებთ, არის მისთვის ლოცვა, რათა მოვაქციოთ ჭეშმარიტებისკენ.

# მამათა შეგონებანი

**პაისი მთაწმინდელი:** ფაქიზი სულის მქონე, ღვთისმოსავ და მგრძნობიარე ადამიანებს სიფრთხილე მართებთ, იმიტომ, რომ ეშმაკი თავის კუდს ახვევს მათ გარშემო, რომ კიდევ უფრო მგრძნობიარენი გახადოს ისინი და მოწყინებამდე და ღმერთო დაიფარე და – თვითმკვლელობამდე მიიყვანოს ისინი. თუმცა, ეშმაკი გამუდმებით გვიბიძგებს, რომ დავუპირისპირდეთ და ვეჩხუბოთ მოყვასს, მაგრამ თვითონ დაპირისპირებაზე არასოდეს მიდის, დაუდევარს უმეტეს დაუდევრობაში აგდებს, ამშვიდებს მას ასეთი აზრებით: „შენ თავი გტკივა და ავად ხარ, არაფერი დაშავდება, თუ ლოცვაზე არ დადგები“. ღვთისმოსავს ეშმაკი კიდევ უფრო ღვთისმოსავად აქცევს, რომ მისი ამპარტავნება აღძრას და ანდა მის ძალებზე აღმატებული ღვაწლის აღებას აიძულებს, რომ ოდესღაც გულმოდგინე მოღვაწეს ძალები გამოეცალოს, შედეგად კი სულიერი იარაღი დაყაროს და დანებდეს. უწყალო გულის მქონე ეშმაკი კიდევ უფრო მოწყალოდ მიდის, ხოლო მგრძნობიარე ადამიანში უზომო მგრძნობელობას ნერგავს.

**ბერი პორფირე:** მოწამენი წამების დროს ძლიერ ტკივილებს განიცდიდნენ. ჩვეულებრივ ადამიანებსაც იგივე ტკივილი ექნებოდათ. განსხვავება ის არის, რომ მოწამენი მუდმივად ლოცვით ქრისტესთან იყვნენ შეერთებული და მისგან იღებდნენ ძალას, რომელიც მათ ტკივილს აღემატებოდა და ამით აღწევდნენ გამარჯვებას. მათ რომ ლოცვა შეეწყვიტათ, თუნდაც ერთი წამით, ტკივილი აუტანელი გახდებოდა და ისინიც მზად იქნებოდნენ უფლის უარსაყოფად. მაგრამ, ვინაიდან ლოცვით იყვნენ ქრისტესთან კავშირში, ძალაც ემატებოდათ და ბოლომდე ითმენდნენ ტკივილებსა და ყველა სატანჯველს.

**ზოსიმე პალესტინელი:** თუ ჩვენ ვინმესგან შეგვემთხვევა რაიმე ბოროტება, არა ღირს მწუხარებად. წუხილი გვმართებს იმაზე, რომ ძმას ევნო სულიერად. რა გვავნო ჩვენ ქვეყნიურმა ჭირმა, რომელიც შეგვემთხვა? პირიქით, უფრო გვარგო მან, როგორც ამას თვით უფალი გვეუბნება: „გიხაროდენ და მხიარული იყვენით, რამეთუ სასყიდელი თქვენი დიდ არს ცათა შინა“. ხოლო ჩვენ იმას კი არ ვწუხვართ, რისთვის ევნო უფალი ჩვენი იესო ქრისტე, არამედ ბოროტი გულისთქმებისთვის, რის გამოც სამართლიანად ვისჯებით. რადგანაც ერთ, სხეულის ასოებად გაგვაჩინა ყველანი ღმერთმა, რომლის მეთაურია თავად ქრისტე ღმერთი. როგორცა თქვა მოციქულმა: „ყოველნი ისინი გვამისანი, ყოფილნი იგი ერთ გვამ არიან და თავ ყოველთასა აქვს ქრისტე“.

**ნეტარი ავგუსტინე:** თუკი ცოდვის საქმნელად დაგიმოძღვრავს და გიბიძგია მოყვასისთვის, ნუ იფიქრებ – მკვლელი არა ვარო... ამით შენ გახრწნი ცთუნებულ სულს და მოსტაცებ ყოველივე იმას, რაც მარადიული კუთვნილებაა.

**გაბრიელ ეპისკოპოსი:** ყოველ ცოდვას ადამიანისთვის ხორციელი ან სულიერი უბედურება მოსდევს. დიდი ცოდვა დიდ უბედურებას შეამთხვევს კაცს, მცირედი – მცირედს. პირველი, ყველაზე საშინელი შედეგი, ანუ ნაყოფი ცოდვისა, ისაა, რომ იგი კაცს ღმერთის მადლს მოაკლებს და ამგვარად წარწყმედს მას.

# მსოფლიოს ყველაზე მაღალანაზღაურებადი სპორტსმენები „ფორბსის" ტოპ-ათეულში

*სპორტი თანამედროვე მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე შემოსავლიანი და სანახაობრივი სფეროა, სპორტსმენები კი გარდა იმისა, რომ სპორტულ ფორმას ინარჩუნებენ, მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მაღალშემოსავლიანი საქმით არიან დაკავებულნი. გთავაზობთ 2013 წლის ყველაზე მაღალანაზღაურებადი სპორტსმენების ჩამონათვალს, რომელიც გავლენიანმა ჟურნალმა „ფორბსმა" შეადგინა.*

## პეიტონ მენინგი

1976 წელს დაბადებული ამერიკული ფეხბურთის ვარსკვლავი, რომელიც კვოტერბეკის




პოზიციაზე თამაშობს. მენინგი ნაციონალური საფეხბურთო ლიგის ერთადერთი მოთამაშეა, რომელიც ლიგაში ოთხჯერ დასახელდა სეზონის ყველაზე ძვირად ღირებულ მოთამაშედ. მისი წლიური შემოსავალი 42,4 მილიონ დოლარს შეადგენს, აქედან ხელფასი 34 მილიონია, ხოლო დანარჩენ თანხას ცნობილ ბრენდებთან თანამშრომლობით გამოიმუშავებს: მაგალითად, „რიბოკთან", „სონისთან", „გეტორადთან" და „პაპა ჯონთან".

## კრიშტიანუ რონალდუ

მადრიდის „რეალისა" და პორტუგალიის ნაკრების ლიდერი, კრიშტიანუ რონალდუ თანამედროვე ფეხბურთის სუპერვარსკვლავი და



ყველაზე ძვირად ღირებული ფეხბურთელია, რომელიც მსოფლიოს ათ ყველაზე მაღალანაზღაურებად ფეხბურთელს შორის სახელდება. რონალდუს წლიური შემოსავალი 42,5 მილიონი დოლარია, აქედან ხელფასზე 20,5 მილიონი მოდის, ხოლო დანარჩენი თანხა უგროვდება „ნაიკთან", „კასტროლთან", „კონამისთან" და სხვა სარეკლამო ფირმებთან სარეკლამო კონტრაქტებით.

## დევიდ ბექჰემი

37 წლის „პარი სენ ჟერმენის" ახალწვეული, ლეგენდარული დევიდ ბექჰემი, ინგლისის ნაკრების რეკორდსმენი და ყველა დროის ერთ-




ერთი ტირაჟირებული ვარსკვლავია. სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ერთი დღით ადრე, მან 5-თვიანი კონტრაქტი გააფორმა პარიზულ გრანდთან, თუმცა თავიდანვე გაცხადდა, რომ მთელი ხელფასი ქველმოქმედებას მოხმარდება. ბექჰემის წლიურმა შემოსავალმა 46 მილიონი დოლარი შეადგინა, აქედან ხელფასის სახით მან 9 მილიონი დოლარი მიიღო, ხოლო მნიშვნელოვანი წილი სარეკლამო კონტრაქტებზე მოდის „ბურგერ კინგთან", „სეინსბერთან", „სამსუნგთან" და სხვებთან. ასაკის მიუხედავად, ბექჰემი სარეკლამო თვალსაზრისით, მაინც ყველაზე საინტერესო ფეხბურთელად ითვლება.

## ფილ მიკელსონი

ფილ მიკელსონი პროფესიონალი მეგოლფეა, ის გოლფის დიდების დარბაზის წევრი და



მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონია. 42 წლის სპორტსმენის ვარსკვლავური კარიერა 40 გამარჯვებას მოიცავს მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟულ გათამაშებებში. მისი წლიური შემოსავალი 47,8 მილიონი დოლარია. აქედან ხელფასი 4,8 მილიონს შეადგენს, ხოლო 43 მილიონი სარეკლამო კონტრაქტების წილია ისეთ კომპანიებთან, როგორიცაა: „კელევეი", „ბარკლეი", „ექსონი", „როლექსი" და სხვა.

## კობი ბრაიანტი

ამერიკის ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის ხუთგზის ჩემპიონი, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი და NBA-ის ორგზის სეზონის საუკეთესო მოთამაშე – ლეგენდარული კობი ბრაიანტი მთელ კარიერას ერთ კლუბში „ლოსანჯელეს ლეიკერსში" ატარებს და სავარაუდოდ, იქვე დაასრულებს. მისმა წლიურმა შემოსავალმა 52,3 მილიონი დოლარი შეადგინა, აქედან ხელფასი 20,3 მილიონია, ხოლო სარეკლამო კონტრაქტებიდან შემოსავალი 32 მილიონ დოლარს უდრის.

## როჯერ ფედერერი

ყველაზე მდიდარი და მაღალანაზღაურებადი სპორტსმენების ხუთეულს „მხიარული როჯერი," იგივე როჯერ ფედერერი ხსნის. შვეი-



ცარიელი ჩოგბურთელი ამ მომენტისთვის მსოფლიოს მეორე ჩოგანია. თუმცა, ის ყველა დროის ერთ-ერთ ყველაზე ტიტულოვან და უდიადეს ჩოგბურთელად მიიჩნევა, რომელსაც ზურგს უმაგრებს უდიდესი გამოცდილება მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟულ ტურნირებში. ფედერერის წლიურმა შემოსავალმა 52,7 მილიონი დოლარი შეადგინა. კორტებზე მან 7 მილიონი დოლარი გამოიმუშავა, ხოლო 45 მილიონი სარეკლამო კონტრაქტებმა მოუტანა.

## ლებრონ ჯეიმსი

„მაიამი ჰითის" მძიმე ფორვარდი ლებრონ ჯეიმსი 1984 წელს დაიბადა. ის ორგზის ოლიმპიური ჩემპიონია და ერთი საჩემპიონო ბეჭდის მფლობელი ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში. ჯეიმსის წლიური შემოსავა-




ლი 53 მილიონი დოლარია. ხელფასის სახით ის 13 მილიონს იღებს, ხოლო სარეკლამო კონტრაქტებიდან – 40 მილიონს. ლებრონთან თანამშრომლობენ „მაკდონალდსი", „ნაიკი", „კოკა-კოლა" და სხვა ცნობილი ბრენდები. სარეკლამო კონტრაქტების გათვალისწინებით, ჯეიმსი ყველაზე საინტერესო კალათბურთელია.

## ტაიგერ ვუდსი

ყველა დროის ყველაზე ცნობილი მეგოლფე. 2000 და 2001 წლების მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენი ტაიგერ ვუდსი ბოლო წლებში მსოფლიოს ყველაზე მაღალანაზღაურებად სპორტსმენად ითვლებოდა. თუმცა, სკანდალურმა ისტორიებმა და სარეკლამო კონტრაქტების გაწყვეტამ „ჟილეტთან" და „ტაგ ჰაუერთან," თავისი დაღი დაასვა ვუდსის შემოსავალს. „ნაიკთან" მიმდინარე კონტრაქტის გათვალისწინებით, ვუდსი მაინც ინარჩუნებს პოზიციებს საუკეთესო სამეულში. მისი წლიური შემოსავალი 59,4 მილიონი დოლარია, საიდანაც 55 მილიონი მხოლოდ რეკლამის თანხაა.

## მენი პაკიაო

მსოფლიოს ჩემპიონი და სხვადასხვა ტურნირების მრავალგზის გამარჯვებული, 34 წლის ფილიპინელი მენი პაკიაო უკანასკნელი ათწლეულის საუკეთესო მოკრივედ ითვლება. მისი წლიური შემოსავალი 62 მილიონი დოლარია, სადაც 56 მილიონი საპრიზოებისა და ხელფასის წილია, ხოლო 6 მილიონი შესდის სარეკლამო კონტრაქტებიდან „მონსტერ ენერჯისსა" და „ჰენესისთან".



## ფლოიდ მეივეზერი

მსოფლიოს ყველაზე მაღალშემოსავლიან სპორტსმენად ითვლება მოკრივე ფლოიდ მეივეზერი. 36 წლის პროფესიონალი მოკრივე ნახევრად მსუბუქ



წონაში ასპარეზობს და წონის მიუხედავად მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო მოკრივედ მიიჩნევა. მისი წლიური შემოსავალი 85 მილიონ დოლარს შეადგენს. ეს თანხა მან ორი შეხვედრისთვის მიიღო ვიქტორ ორტისთან (40 მილიიონი) და მიგელ კოტტოსთან (45 მილიონი).

## ნადალი კუნძულზე ისვენებს

ესპანელმა ჩოგბურთის ვარსკვლავმა რაფაელ ნადალმა მძიმე ტრავმა მოიშუშა და ახლახან მექსიკაში, აკაპულკოს საერთაშორისო ტურნირზე მოიპოვა გამარჯვება. ტურნირის დასრულების შემდეგ ნადალმა ერთი კვირა მექსიკურ კუნძულ კოსუმელოს სანაპიროზე დაისვენა, სადაც მას თან მეგობარი გოგონა – ხისკა ახლდა. ცნობილია, რომ ხისკა საკუთარი კარიერის აწყობით არის დაკავებული – ის სადაზღვევო ბიზნესში მუშაობს და ამის გამო ვერ ახერხებს ნადალთან ერთად მოგზაურობას ტურნირებზე, თუმცა, ამჯერად გამონაკლისი დაუშვა და ერთკვირიანი შვებულება საყვარელ ადამიანთან ერთად გაატარა. მიუხედავად იმისა, რომ რაფაელს უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავს სუსტი სქესის წარმომადგენელთა შორის, მისი გული, როგორც ჩანს, ხისკას ეკუთვნის, რასაც უამრავი პაპარაცული ფოტო ადასტურებს.



## კლუბზე ძვირი იახტა

რომან აბრამოვიჩის გიგანტური იახტა „ეკლიფსი", რომლის ფასი ნახევარ მილიარდ ამერიკულ დოლარს შეადგენს, რუს ოლიგარქს ათჯერ უფრო ძვირი დაუჯდა, ვიდრე ის თანხა, რაც მან ლონდონის „ჩელსიში" გადაიხადა. 2003 წელს შეძენილ კლუბს აბრამოვიჩმა რამდენიმე ასეული მილიონი დოლარი დაახარჯა, თუმცა, როგორც ჩანს, იახტა კვლავ უფრო ძვირად ფასობს, ვიდრე ჩემპიონთა ლიგის შარშანდელი გამარჯვებული „ჩელსი". ამჟამად აბრამოვიჩის იახტა ნიუ-იორკის პორტში დგას და, გავრცელებული ცნობის თანახმად, უახლოესი პერიოდის გატარებას ოლიგარქი ნიუ-იორკში აპირებს.

## კუნ აგუეროს ახალი რომანი



არგენტინის ნაკრებისა და „მანჩესტერ სიტის" ფორვარდმა კუნ აგუერომ თავისი ახალი გერლფრენდის ვინაობა გაამხილა. აღმოჩნდა, რომ აგუეროსა და დიეგო მარადონას ქალიშვილს, ჯანინას, ოჯახი 27 წლის არგენტინელმა მომღერალმა კარინა ტეხედამ დაუნგრია. განქორწინებამდე აგუერო ამტკიცებდა, რომ ბედნიერია ჯანინასთან ერთად და არგენტინელ ჟურნალისტებს ბინძური ჭორების გავრცელებაში ადანაშაულებდა, ხოლო თავად კარინა ასევე უარყოფდა რომანს აგუეროსთან და ამ ინფორმაციას გამოგონილ ჭორს უწოდებდა. თუმცა, რამდენიმე დღის წინ, კარინას მამამ ოფიციალურად განაცხადა, რომ მის შვილს რომანი აქვს „მანჩესტერ სიტის" ვარსკვლავთან და წყვილი დაქორწინებაზე ფიქრობს.

## ნიგერიული უცნაურობა

ნიგერიის ქალთა საფეხბურთო ლიგის პრეზიდენტმა, დილიჩუკუ ონიედინმა განაცხადა, რომ ამიერიდან ლესბოსელებს აეკრძალებათ ფეხბურთის თამაში და ისინი ვეღარ მიიღებენ მონაწილეობას ოფიციალურ ტურნირებში: „ჩვენ ავუკრძალავთ ფეხბურთის თამაშს ნებისმიერ ნიგერიელ ქალს, თუკი ის შემჩნეული იქნება არატრადიციულ სექსუალურ კავშირში". „ფიფამ" უკვე გადაგზავნა მოთხოვნა, რათა ნიგერიის მხარემ ახსნა-განმარტება გააკეთოს აღნიშნულ ინიციატივასთან დაკავშირებით, რადგან, ნიგერიელები „ფიფას" ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკის საწინააღმდეგოდ მოქმედებენ.

## ბარბარა ბერლუსკონი – „მილანის" სექს-სიმბოლო

„მილანის" დირექტორთა საბჭოს წევრმა, სილვიო ბერლუსკონის 28 წლის ქალიშვილმა, ბარბარამ, ახლო მომავალში, შესაძლოა, კლუბის მმართველის თანამდებობა დაიკავოს. ამის შესახებ პირველი განცხადება სილვიო ბერლუსკონიმ გააკეთა, რომელმაც აღნიშნა, რომ მის შვილს ხელმძღვანელისთვის საჭირო ყველა თვისება აქვს. ბარბარა ფილოსოფიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულია, თუმცა, ცნობილი მას შემდეგ გახდა, რაც რომანი გააბა „მილანის" აწ უკვე ყოფილ ფეხბურთელთან, ბრაზილიელ ალეშანდრო პატოსთან. მომხიბლავი ბარბარა ფეხბურთელებ-ის მიმართ გულგრილი რომ არაა, მის შესახებ გავრცელებული ჭორებიც მოწმობს, რომელთა გადაფარვა სილვიო ბერლუსკონის არაერთი მილიონი დოლარი უჯდება.



## ყველაზე ასაკოვანი ჩემპიონი

ამერიკელი მოკრივე ბერნარდ ჰოპკინსი მსოფლიო კრივის ისტორიაში ყველაზე ასაკოვანი ჩემპიონია. 48 წლის მოკრივემ, IBF-ის ვერსიით, მსოფლიოს მეტოქე – ჩემპიონის ტიტულისთვის ფინალურ შეხვედრაში 17 წლით უმცროსი 31 წლის ამერიკელი ტავორისა კლაუდი დაამარცხა და თავისივე რეკორდი მოხსნა. აღსანიშნავია, რომ შეხვედრის დაწყებამდე ჰოპკინსი არ ითვლებოდა ფავორიტად და კრივის ექსპერტები ჩემპიონობის რეალურ კანდიდატად კლაუდის ასახელებდნენ, თუმცა, ჰოპკინსმა, მსაჯების ერთსულოვანი შეფასებით, ქულებით დაამარცხა მოწინააღმდეგე და ჩემპიონის ქამარს დაეპატრონა.

## ჯორდანი ქორწინდება

ლეგენდარული ამერიკელი კალათბურთელი და კლუბ „შარლოტ ბობკეთსის" მფლობელი, 50 წლის მაიკლ ჯორდანი ქორწინდება. 2011 წლიდან სპორტსმენი დანიშნული იყო კუბელ მოდელ ივეტ პრიეტოზე და, როგორც, ჩანს წყვილმა თავისი ურთიერთობისთვის ოფიციალური სახის მიცემა გადაწყვიტა. ლეგენდარული მაიკლისთვის ეს მეორე ქორწინება იქნება – 1989-2006 წლებში იგი ხუანიტა ვანიზე იყო დაქორწინებული, რომლისგანაც სამი შვილი ჰყავს, ორი ვაჟი და ერთი ქალიშვილი.

## „ჰარლემ შეიკმა" მსოფლიო სპორტშიც შეაბიჯა

ინტერნეტ-ვიდეომ – „ჰარლემ შეიკმა," ბოლო ერთი თვის განმავლობაში არაერთი ცნობილი და სახელოვანი სპორტსმენი ჩაითრია და „იუთუბის" ყველაზე პოპულარულ ვიდეოდ აქცია. ბერლინის „ჰერტამ", „მანჩესტერ სიტიმ", „მაიამი ჰითმა", „სუონსიმ", იან რაშმა, დირკ ნოვიცკიმ და კიდევ უამრავმა სხვა სპორტსმენმა, უკვე მოასწრო ვიდეოს ჩაწერა და ინტერნეტში განთავსება. ვიდეოს მთავარი ხიბლი იმაში მდგომარეობს, რომ, სხვადასხვა კოსტიუმში გამოწყობილი სპორსტმენები ელექტრონულ მუსიკაზე უცნაურ მოძრაობებს აკეთებენ. მსგავსი ვიდეო უკვე გადაიღო ქართულმა სარაგბო გუნდმა „დევებმა", რომელთა ვიდეოს უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავს ქართველ ინტერნეტ-მომხმარებლებში.

გვერდები მოამზადა უშანგი რუხაძემ



## ჰიპერტონიის დროს მიირთვით კანიანად შემწვარი კარტოფილი, მოწამვლის დროს კი მოხარშული

მენიუში კარტოფილის ჩართვით, თქვენს ორგანიზმს აუცილებელი და შეუცვლელი ამინომჟავებით ამარაგებთ, განსაკუთრებით კი, ლიზინით, ნახშირწყლებით, მინერალური ნივთიერებებითა და ვიტამინებით.

სრულფასოვანი კვებისთვის საკმარისია, მიირთვათ დღეში 100-120 გრამი კარტოფილი. ძველი, ხალხური მედიცინის რეცეპტით, მისი წვენის კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის განსაკურნებლად იყენებდნენ.

კიდურების შეშუპების დროს, გაფცქვენით უმი კარტოფილი და გახეხეთ. მიღებული მასა დაახლოებით 20 წუთის განმავლობაში დაიდეთ შესიებულ ადგილზე და შეიხვიეთ.

თუ ჰიპერტონია გაწუხებთ, ხშირად მიირთვით აირლუმელში კანიანად შემწვარი კარტოფილი.

ოსტეოქონდროზის დროს კარგია გახეხილი კარტოფილისა და თაფლის ნარევის კომპრესი, რომელსაც ტკივილგამაყუჩებელი ეფექტი აქვს. კომპრესი დაახლოებით საათ-ნახევარი უნდა გაიჩეროთ.

თუ თავი გტკივათ და გული გერევათ, დალიეთ უმი კარტოფილის წვენი, დღეში ორჯერ, ნახევარი ჭიქა. თუ კარტოფილის წვენს სტაფილოსა და ნიახურის წვენსაც შეურევთ, ორგანიზმს წიდებისგანაც გაწმენდთ.

სამკურნალოდ კარტოფილის სახამებელიც გამოიყენება. კუჭ-ნაწლავის დაავადებების დროს მას ანთების საწინააღმდეგო საშუალებად იყენებენ.

მძიმე ფორმის მოწამვლისას კი მხოლოდ მოხარშული კარტოფილის ჭამა წამლად შეგერგებათ.

## ყვავილოვანი კომბოსტო, ისპანახი და მჟაუნა ორგანიზმისთვის სასარგებლო ნივთიერებებს შეიცავს

ყვავილოვან კომბოსტოში არ არის გოგირდი, რომელიც იწვევს გაზების წარმოქმნის პროცესის გაძლიერებას კუჭ-ნაწლავში. მას ადამიანის ორგანიზმი ადვილად ინელებს და, რადგან გაცილებით მცირე რაოდენობით უჯრედისს შეიცავს, არც ისე ძლიერად აღიზიანებს კუჭის ლორწოვან გარსს. მაგრამ, ყვავილოვანი კომბოსტო მდიდარია აზოტოვანი ნივთიერებებით, რის გამოც მარილების დალექვის დროს მისი ჭამა მხოლოდ შეზღუდული რაოდენობით არის რეკომენდებული.

ყვავილოვანი კომბოსტო, ისპანახი და მჟაუნა მდიდარია ვიტამინებით, მინერალური მარილებით, სხვა სასარგებლო და საჭირო ნივთიერებებით.

ისპანახი შეიცავს დიდი რაოდენობით სრულფასოვან ცილებს, ვიტამინებს, რკინას. მაგრამ, ვისაც მიდრეკილება აქვს ისეთი დაავადებებისადმი, როგორიცაა მარილების გაძლიერებული დალექვა პოდაგრისა და დიათეზის დროს, არ არის რეკომენდებული ისპანახის ჭამა. ისპანახში სხვა ბოსტნეულზე ბევრად მეტია აზოტოვანი ნივთიერებები, მათ შორის, პურინული ფუძეები, რომელიც ხელს უწყობს ორგანიზმში შარდმჟავასა და მისი მარილების წარმოქმნას.

არ გირჩევთ მჟაუნას წვნიანების ხშირად შეტანას მენიუში, რადგან მჟაუნას მჟავა კუჭისა და ნაწლავების ლორწოვანი გარსის გაღიზიანებას იწვევს. ის, ასევე, დიდი რაოდენობით შეიცავს აზოტოვან ნივთიერებებს, რაც ნიშნავს, რომ სახსრების დაავადებების, პოდაგრის, თირკმელებისა და ნაღვლის კენჭოვანი დაავადებების დროს, არ უნდა მიირთვათ.

## გასტრიტი საშიში დაავადებაა

კუჭის ლორწოვანი გარსის ანთება, ანუ გასტრიტი, საკმაოდ საშიში დაავადებაა. განარჩევენ მწვავე და ქრონიკულ გასტრიტს.

მწვავე გასტრიტის ერთ-ერთი ფორმა მედიკამენტებით გამოწვეული პათოლოგიაა. ზოგიერთი პრეპარატი მნიშვნელოვნად ამცირებს კუჭის ლორწოვანი გარსის დამცავ ფუნქციას, რითაც მწვავე ანთებითი პროცესების განვითარება იწყება. მწვავე გასტრიტი შეიძლება, ასევე, ბაქტერია ჰელიკობაქტერპილორით იყოს გამოწვეული. მას სპირალის ფორმა აქვს და სწორედ ეს მიკრობი ასრულებს მნიშვნელოვან როლს მწვავე და ქრონიკული გასტრიტის ზოგიერთი ფორმის, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის ჩამოყალიბებაში.

კუჭში მიკრობი, ძირითადად, ლორწოვანი გარსის ზედაპირულ შრეშია განთავსებული. ის ბევრ მნიშვნელოვან ნივთიერებას გამოიმუშავებს, რომელიც საუკეთესო პირობებს ქმნის გასტრიტის განვითარებისთვის. მიკრობით გამოწვეული გასტრიტი ხშირად უსიმპტომოდ მიმდინარეობს. ასევე, არსებობს ინფექციური გასტრიტი, რომელიც სხვა ბაქტერიებითა და ვირუსებითაა გამოწვეული, მაგალითად, მარტივი ჰერპესით და ციტომეგალოვირუსით.

ქრონიკული გასტრიტი ანთებითი პროცესის გახანგრძლივებული მიმდინარეობით ხასიათდება. პირველ ეტაპზე პათოლოგიური პროცესი ლორწოვანის ზედაპირულ, შემდეგ კი ჯირკვლოვან შრეში ლოკალიზდება. დაავადების განვითარებისას მიმდინარეობს ჯირკვლების რღვევა, გალევა და გადაგვარება. ამ დროს ლორწოვანი მნიშვნელოვნად თხელდება.

განვითარების მიხედვით, არსებობს ორი ტიპის ქრონიკული გასტრიტი, კერძოდ, A და B ტიპის.

A ტიპის ქრონიკული გასტრიტი შედარებით ნაკლებად გავრცელებული დაავადებაა. ის ხშირად სისხლნაკლებობის, ანუ ანემიის დროს გვხვდება, როცა ორგანიზმში არ არის $B_{12}$ ვიტამინის საკმარისი რაოდენობა.

B ტიპის ქრონიკული გასტრიტის შემთხვევები უფრო ხშირია. ის წლების მატებასთან ერთად ხშირდება. მის განვითარებაში კი წამყვანი როლი აკისრია ჰელიკობაქტერპილორს. ამ ბაქტერიის წინააღმდეგ ჩატარებული მკურნალობის შემდეგ ლორწოვანი გარსი განახლებას იწყებს, ხოლო კუჭის განმეორებითი ინფიცირების შედეგად, პროცესი კვლავ გრძელდება. B ტიპის ქრონიკული გასტრიტის დროს კუჭის წვენის გამოყოფა დაქვეითებულია.

გასტრიტის სპეციალური მკურნალობის მეთოდი ჯერ შემუშავებული არ არის. A ტიპის დროს ინიშნება $B_{12}$ ვიტამინის პრეპარატები. ბაქტერიის აღმოჩენის შემთხვევაში კი, ანტიბიოტიკებით ხდება კურსის ჩატარება.

ატროფიული, ანუ განლევითი პროცესებით მიმდინარე გასტრიტის დროს ძალიან მაღალია სიმსივნური პროცესის განვითარების რისკი. ამიტომ, თავი რომ დაიზღვიოთ და პროცესი არ გაართულოთ, საჭიროა, დროულად მიმართოთ შესაბამის სპეციალისტს და მისი მეთვალყურეობის ქვეშ დაიწყოთ მკურნალობა.

## უზმოზე ნივრის ჭამა სისხლძარღვებს ამაგრებს

ბევრი ადამიანი უჩივის ქრონიკულ დაღლილობას. არსებობს სპეციალური წესები, რომ შრომამ ძალიან არ გადაგღალოთ და თავი მხნედ და ჯანმრთელად იგრძნოთ მთელი დღის განმავლობაში. კერძოდ:

* ყოველ საღამოს დაიზილეთ ტანი ცივ წყალში დასველებული პირსახოცით და მიიღეთ B ვიტამინი; ძილის წინ კი გაიკეთეთ ფეხების აბაზანა;
* დიდი რაოდენობით მიირთვით კალციით მდიდარი საკვები, მაგალითად: ნედლი ბოსტნეული, ხილი, რძე, კვერცხის გული;
* თუ გონებრივად დატვირთული სამუშაო გაქვთ, ჭამეთ ნიგოზი, ნუში და თევზი;
* თუ საღამოს ფეხებში ტკივილი იგრძენით, ესე იგი, სისხლძარღვების სპაზმი გაქვთ. ეს ძირითადად იმათ აწუხებთ, ვისაც დიდი ხნით უწევს სამსახურში ფეხზე დგომა. სახლში დაბრუნებისას, დაახლოებით ნახევარი საათით, დაჯექით სკამზე და ფეხები მეორე სკამზე შემოაწყვეთ;
* ყოველ დილით დალიეთ ერთი ჩაის ჭიქა რძე, რომელშიც ერთი ჩაის კოვზი თაფლი იქნება გარეული. კარგია, პიტნის ჩაიც;
* დალიეთ დღეში ერთი ჩაის ჭიქა, წყალში გაზავებული ყურძნის ნატურალური წვენი ან ერთი ჭიქა წითელი ღვინო.
* ინტელექტუალური შრომით გამოწვეული თავის ტკივილის მოსახსნელად კარგია, სადილად ქაშაყის ჭამა.
* სისხლძარღვების გასამაგრებლად სასურველია, ორი კვირის განმავლობაში ჭამოთ დღეში ერთი კბილი ნიორი. ეს უზმოზე უნდა მოახერხოთ. სისხლძარღვების გამაგრებით ტვინთან და გულთან დაკავშირებული პრობლემებიც

მოგეხსნებათ. ასევე, სისხლძარღვების გასამაგრებლად და ნერვული სტრესის დროს, თბილ რძეში გახსენით კვერცხის გული, დაუმატეთ ცოტა თაფლი და დალიეთ დღეში ორჯერ.

### საუზმეზე, სადილსა და ვახშამზე მხოლოდ ერთი ჯგუფის პროდუქტები ჭამეთ

სწორი კვება გულისხმობს პროდუქტების სწორ ურთიერთშეთავსებასაც. ამიტომ, თუ გსურთ, ჯანმრთელობა და შრომისუნარიანობა დიდხანს შეინარჩუნოთ, აუცილებლად გაითვალისწინეთ ქვემოთ მოყვანილი რჩევები.

არ შეიძლება, პურეული და პროტეინის შემცველი პროდუქტების, მაგალითად, რძის, ყველის, ხორცის, კვერცხის, თევზის ერთად ჭამა. პროტეინები გადამუშავდება მაღალი სიმჟავის კუჭის წვენით, რომელშიც პურეული ნაწარმი დუღილს იწყებს. ამ პროდუქტების ერთმანეთში არევა კი საჭმლის მომნელებელი პროცესის დისბალანსს იწვევს. არ შეიძლება, შეათავსოთ ერთმანეთთან, მაგალითად, თევზი და ყველი, ქათმის ხორცი და კარტოფილი, მაკარონი და ბიფშტექსი.

საუზმეზე, სადილსა და ვახშამზე მხოლოდ ერთი ჯგუფის პროდუქტები უნდა ჭამოთ. მაგალითად, ცომეული ან ტკბილეული.

პროტეინების ზედმეტი რაოდენობა ორგანიზმში შარდოვანას მომატებულ გამომუშავებას იწვევს, რომლის მიზეზითაც ვითარდება რევმატიზმი და პოდაგრა. შეგიძლიათ, ჭამოთ ხორცი ან თევზი, ხორცი ან ნიგოზი, კვერცხი ან შებოლილი ხორცი, კვერცხი მაიონეზით. არ შეიძლება ომლეტისა და ყველის, ომლეტისა და შებოლილი ხორცის ერთად მირთმევა.

ერთ ჯერზე მიიღეთ მხოლოდ ერთი სახის პურეული ნაწარმი. ყველა ადამიანისთვის, განსაკუთრებით კი მათთვის, ვინც ნაკლებად მოძრაობს, ზედმეტად კალორიული საკვების მიღება მავნე და საშიშია, ამიტომ, ერთ ჭამაზე ერთი სახის პურეულ საკვებს დასჯერდით: მიირთვით პური ან მაკარონი, კარტოფილი ან ბრინჯი.

არ შეიძლება პურეული პროდუქტებისა და მჟავე ხილის შეთავსება. ასეთ ხილს ორგანიზმი მაღალმჟავიანი კუჭის წვენით ამუშავებს. ამიტომ, არ არის რეკომენდებული მიირთვათ ვაშლის, ჭერმის, მარწყვის ან სხვა ხილის ღვეზელი.

რაც შეეხება ნესვს, მისი შეთავსება არ შეიძლება არც ერთ საკვებთან. ამიტომ, ის ცალკე უნდა მიირთვათ. განსაკუთრებით მოერიდეთ მასთან ერთად სხვა ხილისა და ტკბილეულის მიღებას.

მაწონი, რძე, იოგურტი, ნაღები, ნესვის მსგავსად, ასევე ცუდად ეგუება სხვა პროდუქტებს, ამიტომ, ისინიც ცალკე უნდა მიირთვათ.

რძე და რძის ნაწარმი პროტეინშემცველი პროდუქტებია, რომლებიც ცუდად უთავსდება პურეულ და სხვა პროტეინშემცველ პროდუქტებს. ამიტომ, ნუ მიირთმევთ ერთად კარტოფილსა და რძეს, ბრინჯსა და რძეს, თევზსა და რძეს.

უპირატესობა მიანიჭეთ მცენარეულ ცხიმს. ასეთი სახის ცხიმი შეიცავს ცხიმოვან მჟავებს, რაც ხელს უშლის ქოლესტერინის წარმოქმნას და კარგად ესადაგება როგორც პურეულ, ასევე პროტეინშემცველ ნებისმიერ პროდუქტს.

# ექიმის რჩევები

**კითხვა: ჩემი გოგონა 14 წლისაა. გუშინ შემთხვევით აღმოიჩინა სარძევე ჯირკვალში ბარდისოდენა უმტკივნეულო გამკვრივება. ვარ პანიკაში. ეს აუცილებლად ონკოლოგიაა თუ, შეიძლება რამე სხვა იყოს?**

**პასუხი**: ამ ასაკში ონკოლოგია უაღრესად იშვიათი შემთხვევაა, მაგრამ, რადგან გამკვრივება არის, აუცილებელია გამოკვლევა: მამოლოგისა და გინეკოლოგის კონსულტაცია; სარძევე და ფარისებრი ჯირკვლების ულტრაბგერითი კვლევა. უნდა დაისვას დიაგნოზი და, საჭიროების შემთხვევაში დაინიშნოს შესაბამისი მკურნალობა.

**კითხვა: აუცილებელია თუ არა სარძევე ჯირკვლის ფიბროადენომის ამოკვეთა, თუკი არ მაწუხებს?**

**პასუხი**: სარძევე ჯირკვლის ფიბროადენომის შემთხვევაში ნაჩვენებია ქირურგიული ოპერაცია, რომელიც ინიშნება კვანძის ბიოფსიის შემდეგ.

**კითხვა: ვარ 36 წლის ქალი. ძალიან მაწუხებს ჭარბი ოფლიანობა. ამბობენ, რომ ოფლიანობა ხშირად არასტაბილური ნერვული სისტემის მქონე ადამიანებს აქვთო. მიშველის თუ არა ნევროლოგთან მკურნალობა?**

**პასუხი**: დიახ, ნერვული რეგულაციის დარღვევის ერთ-ერთი გამოვლინებაა ჰიპერჰიდროზი (ჭარბი ოფლიანობა). შესაძლოა, ნევროლოგთან მკურნალობა ეფექტური აღმოჩნდეს (თუ მიზეზი რამე სხვა არ არის, მაგალითად, ენდოკრინული).

**კითხვა: ვარ 46 წლის. გამუდმებით მაქვს ტკივილი კისრის არეში, თავის ტკივილები, ხელების დაბუჟება. რა გამოკვლევები უნდა ჩავიტარო?**

**პასუხი**: დიაგნოზის დასადგენად საჭირო იქნება კისრის მალების რენტგენი, ბრაქიოცეფალური სისხლძარღვების დოპლერული კვლევა, სისხლის ბიოქიმიური ანალიზი.

**კითხვა: სამი წელია, ღამით, ძილში, კბილებს ვაკრაჭუნებ, დილაობით კი ყბები და კისერი მტკივა. მეგონა, ჭიების ბრალი იქნებოდა, მაგრამ, ანალიზის პასუხი უარყოფითია. ვის მივმართო?**

**პასუხი**: ბრუქსიზმი, ანუ, კბილების კრაჭუნი, ბავშვებში უფრო ხშირად გვხვდება. ბრუქსიზმი ყველაზე ხშირად ახასიათებს იმ ადამიანებს, რომლებიც ხშირად არიან სტრესის ქვეშ, განიცდიან შინაგან დაძაბულობასა და შფოთვას, ნერვულ აღგზნებას ძილის წინ. ეს თანაბრად ეხება როგორც მოზრდილებს, ისე ბავშვებს. ნევროპათოლოგი დაგეხმარებათ ბრუქსიზმის მიზეზების დადგენასა და მკურნალობაში, ხოლო სტომატოლოგი – კბილების მინანქრის ცვეთისგან დაცვაში სპეციალური კაპების საშუალებით.

**კითხვა: დაახლოებით 1 წელია, ჩემმა 5 წლის ბიჭმა ხვრინვა დაიწყო, ზოგჯერ სუნთქვასაც კი აჩერებს. მირჩიეთ, არის თუ არა ეს საგანგაშო და ვის მივმართო?**

**პასუხი**: მიმართეთ ყელ-ყურ-ცხვირის სპეციალისტს – ქირურგს. ხვრინვა და სუნთქვის შეფერხება ბავშვებში, როგორც წესი, დაკავშირებულია ადენოიდებთან ან ცხვირ-ხახის სხვა ანატომიურ პათოლოგიასთან, რაც ქირურგიულად მარტივად სწორდება. უფრო იშვიათად მიზეზი ჭარბი წონაა. ყველა შემთხვევაში, მკურნალობა დროულად უნდა დაიწყოთ, რადგან, ხვრინვა და სუნთქვის შეფერხება იწვევს ძილის დროს ჟანგბადის უკმარისობას, რაც, საბოლოო ჯამში, აფერხებს ბავშვის განვითარებას.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი**
**მაია ნუცუბიძე**



**გვერდები მოამზადა ნონა დათეშიძე**

# როგორ აღმოჩნდა ბიძინა მახარაძის საწოლში სექსის დროს ბრეჟნევი



*„ჩემი ტკივილი, შეიძლება, იყოს ვინმეს სიცილის მიზეზი, მაგრამ, ჩემი სიცილი არასოდეს იქნება ვინმეს ტკივილის მიზეზი... ახლოდან დანახული ცხოვრება ტრაგედიაა, შორიდან კი კომედიას უფრო ჰგავს!” – ჩარლი ჩაპლინი.*

*ქართველებს ახლა – ყველაზე მეტად გვჭირდება იუმორი, სიცოცხლის ელექსირი – სიცილი, თორემ, ცხოვრება ძალიან დამძიმდა. ჩვენს ქვეყანაში ახალდაბადებულიც პოლიტიკოსია. მართალია, ჩაპლინის ხელოვნებით მიღებული სიამოვნების მსგავსს ვერავინ მოგვგვრის – ის ხომ ერთადერთი იყო, მაგრამ, კარგი გუნება-განწყობის შესაქმნელად ჩვენც გვყავდა და გვყავს ადამიანები, ვინც სცენიდან და ეკრანიდან ახერხებდნენ ამას. ბიძინა მახარაძე ყოველთვის ხალხის გახალისების სამსახურში იდგა. პაროდიისა და იუმორის ნიჭი ძალით არ მოდის, ის ან გაქვს, ან არ გაქვს. მოკლედ, დღეს ბიძინა მახარაძის სცენის მიღმა ცხოვრებას დაგანახვებთ.*



ბიძინა დასთან ერთად

**– 90-იან წლებში ძალიან პოპულარული იყავით. ხშირად იმართებოდა კონცერტები, რომლებიც შოუ-ბიზნესის წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობდით. მერე კი დიდხანს არ ჩანდით – რუსეთში წახვედით, ჩამოხვედით, ისევ წახვედით... როგორ გახსენდებათ ის დრო?**



– ეს იყო თბილისის ომის შემდგომი პერიოდი, დაქცეული რომ იყო მთელი საქართველო. მაშინ ყველას ერთნაირად უჭირდა, არავის აღარ ეკონცერტებოდა. კონცერტი კი არა, ექვსი თვე პური არ მეჭამა. მაკარონი მიყიდა ძმაკაცმა რამდენიმე კილოგრამი, მარტო იმას ვჭამდი, ვიწექი ჩემთვის და ვფიქრობდი: მიცვალებული ვარ, აბა, რა ჯანდაბა ვარ. შუქი არ მაქვს, წყალი არ მაქვს, მცივა, გაყინული ვარ, მშიერ-მწყურვალი... ერთი, მიწაში არ ვწევარ, თორემ, დანარჩენი... ამ დროს უკვე ცოლ-შვილი მყავდა მოსკოვში და, სულ მთხოვდნენ, გადმოდიო. მერე ავდექი და წავედი. ორი კვირა ვიმუშავე მტვირთავად აგურის ქარხანაში, იმიტომ, რომ საერთოდ არანაირი სამუშაო არ იყო იქაც. გეგმაში მქონდა ცხრა ტონა აგურის გადაზიდვა. მე კი არა, იცით, ვის გაუჭირდა?! ვიცინსა და მორგუნოვს – ერთად გამოვდიოდით კონცერტებზე. მერე „გოსენერგოში” დავიწყე მუშაობა. იცით, ალბათ, მათემატიკური სკოლა და „გეპეი” მაქვს დამთავრებული ინჟინერ-ელექტრიკოსის სპეციალობით. ინჟინრები ბევრი ჰყავდათ და მუშა უნდოდათ. შვიდი წელი ვიმუშავე. ეს პერიოდიც, რა თქმა უნდა, ძნელი იყო – სად მსახიობობა და სად „მონტიორობა”?! წარმოიდგინეთ რა ხალხში მექნებოდა საქმე, პროლეტარიატში ვიყავი. ამან დიდი ფსიქოლოგიური გავლენა იქონია ჩემზე, რაც დღემდე მომყვება – ცუდად შემორჩა მეხსიერებას. ამის პარალელურად, ჩემი მინიატურული თეატრი მქონდა და ეს მასულდგმულებდა. მერე, კონცერტები რომ არ იყო, სიმღერების მოძიება დავიწყე. შევიძინე ორი სპეციალური ჟურნალი, რომელშიც ორასი ქართული სიმღერაა შესული. ფორტეპიანოზე მაინცდამაინც კარგად არ ვუკრავ, მაგრამ, აკორდები ვიცი და, ხანდახან, რომ მომენატრებოდა ქართული სიმღერა, ვიჯექი და ვუკრავდი საათობით. ეს ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ მერე მეც დავიწყე სიმღერების წერა. კომპოზიტორი არ ვარ, მაგრამ, რაღაც მცდელობები მქონდა და სცენაზეც შემისრულებია ჩემი სიმღერები.



**– ახლა გადავიდეთ თქვენი ცხოვრების კიდევ ერთ მნიშვნელოვან ეტაპზე – პაროდიაზე, რითაც, ფაქტობრივად, ცნობილი სახე გახდით.**

– პირველი იყო ლუი დე ფიუნესის პაროდია, რომელიც ძალიან მიყვარდა, შემდეგ რამაზ ჩხიკვაძეზე დამემართა იგივე. ვბაძავდი, აგრეთვე, სპარტაკ ბაღაშვილს, აკაკი ვასაძეს, ბუბას, რაიკინს, ბიულბიულ ოღლის... ძალიან მინდოდა სცენაზე თამაში, იმდენად, რომ ხანდახან ქუჩაში წამომივლიდა ეს სურვილი. ერთხელ, მე და ჩემი ნათესავი ქალი მოვდივართ ქუჩაში და უცბად დავიწყე დებილის განსახიერება. ისეთი რეალური გამოვიდა, რომ შეეშინდა და გამეცალა.



**– თქვენ მოსკოვში დაოჯახდით, გყავთ ორი ვაჟი, მაგრამ, რამდენიმე წლის შემდეგ ცოლს დაშორდით. გავიდა რაღაც პერიოდი და თბილისში შეხვდით ქალს, რომელიც დღეს თქვენი მეორე ნახევარია. ესეც კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია თქვენს ცხოვრებაში. როგორი წარმოგედგინათ პირადი ცხოვრება სანამ ამ ყველაფერს გამოივლიდით?**



ბიძინა მახარაძე დედასთან, დასთან და ნათესავებთან

– ცხოვრებაში არასდროს მიფიქრია ცოლის მოყვანაზე – აი, ახლა დიდი გავხდები, ვიღაც შემიყვარდება და დავოჯახდებიმეთქი. თავისუფლებაზე ვაფრენდი და, მიზეზიც, ალბათ, ეს იყო. ყველაფერი დაიწყო ჩვეულებრ-


ბიძინა მახარაძის მშობლები და ახლობელი (ხელმარჯვნივ)


ბიძინა მახარაძე მშობლებთან


ბიძინა მახარაძე რუსეთში შვილებთან

ივ, როგორც ხდება რუსეთში ქართველ მამაკაცსა და რუს ქალს შორის. გაგრძელდა იმით, რომ გაჩნდა ბავშვი. დედაჩემის დაჟინებული თხოვნით, ხელიც მოვაწერე და ბავშვს გვარიც მივეცი. მერე წამოვედი. როგორც უკვე გითხარით, ცოტა ხანს ვიყავი აქ, მერე საქართველოში არეულდარეულობა რომ იყო, ისევ დავბრუნდი, შევუერთდი ოჯახს და გაჩნდა მეორე ბავშვი. არ გამოვიდა ერთად ცხოვრება და საბოლოოდ წამოვედი. მან დაწერა განცხადება გაყრაზე. სასამართლო იყო, ორივეს მოფიქრების დრო მოგვცეს, მაგრამ, აზრი აღარ ჰქონდა. საერთოდ, რუსულ ოჯახში ხომ ყველაფერს ქალი წარმართავს, მამაკაცს არ აქვს ოჯახის უფროსის სტატუსი, იქ ყველაფერში ქალი დომინირებს. რაც უფრო მეტი ფული გაქვს, მით უფრო გადასარევი მამაკაცი ხარ. საბჭოთა კავშირში ქართველ მამაკაცზე უკეთესი მამაკაცი არ არსებობდა. რატომ?! იმიტომ, რომ რესტორანში წაიყვანდა ქალს, მანქანას, ბინას უყიდდა და კაცი იყო კაცური. აქ დაბადებული რომ ხარ და გაზრდილი, რამდენი ფულიც არ უნდა გქონდეს, მერე სხვაგან მიდიხარ, მაგრამ, ასაკში რომ შედიხარ, წინაპრები გეძახიან, სისხლი გეძახის – ეს ყველაფერზე მაღლა დგას. ჩვენი უთანხმოების მთავარი მიზეზი მაინც ალბათ იყო ის, რომ ერთმანეთი არ გვიყვარდა და დავქორწინდით, თუმცა, ყოველთვის ვცდილობდი, ოჯახი შემენარჩუნებინა. ერთ ბერძენ ფილოსოფოსს ჰკითხეს, რა არის სიყვარულიო და მან უპასუხა: როცა ორი შტერი აკეთებს მესამესო. კაცს, ალბათ, ორი ცოლი უნდა ჰყავდეს: დღისით ქართველი და ღამით – რუსი, იმიტომ, რომ დღისით – ქართველი ცოლები არიან მორჩილები, ღამით – რუსები. ფელეტონშიც მაქვს ეს შეტანილი, სხვათა შორის: კაცი ამბობს – რუსი ცოლი მყავდა და ოჯახში ორი ქმარი ვიყავით, როგორც ელტონ ჯონის ოჯახშიო. ოჯახი მეგობრობაზე უნდა იყოს დამყარებული, ის კი ჩემი მეგობარი არ იყო. რაც შეეხება მეორე ქორწინებას, გავიცანი ჩემი მომავალი მეუღლე, არაჩვეულებრივი მანდილოსანი და დაიწყო ურთიერთობები. მერე დასვა საკითხი – ან ერთად ვიქნებით, ან – არაო. ვიფიქრე, რაღა დროს ჩემი თავისუფლებაა-მეთქი და დავთანხმდი ერთად ყოფნაზე. რუსებს აქვთ ერთი ასეთი გამოთქმა: „მუჟჩინი ჟენიატსია ოტ უსტალოსტი...” საერთოდ, რამდენადაც სერიოზულად ვეკიდები ჩემს პროფესიას, იმდენად არასერიოზულად ვუყურებ ქორწინებას. ერთხელ გასტროლებზე ვიყავი და ერთი-ორჯერ ერთ ქალთან შემთხვევითი კავშირი მქონდა. ვკითხე – „ცეკას“ პირველ მდივანთან, ბრეჟნევთან თუ ხარ ნამყოფი-მეთქი. გაიკვირვა – ბრეჟნევთანო?! შუა „კონტაქტში“ ვარ და, უცებ, გავხდი „ბრეჟნევი”. იმ ქალს ისეთი სიცილი აუტყდა, რომ სექსი გადავიდა კომედიაში. სექსუალური აქტის დროს ისეთი მონოლოგები მომდიოდა, ერთად რომ შეკრიბო, კარგი მონო-სპექტაკლი გამოვა.

**ეკა პატარაია**

# რომელი ცნობილი ტაძარი აშენდა რუსეთის იმპერიის საუკეთესო ხუროთმოძღვრის დავიდ გრიმის პროექტით თბილისში და სად ცხოვრობდა თბილისელი არქიტექტორი ალბერტ ზალცმანი

(23-ე გვერდიდან)

ზალცმანი, პირველი თაობის კოლონისტი იყო და თბილისში ლუდის წარმოებით იყო დაკავებული. 1860-იან წლებში ზალცმანი სტაჟირებაზე იმყოფებოდა ევროპის რამდენიმე ქვეყანაში, მათ შორის – გერმანიაში, ბელგიასა და


დიდების ტაძარი – „ცისფერი გალერეა” (არქიტექტორი ალბერტ ზალცმანი; 1900-იანი წლები)

ინგლისში, სადაც პროექტირებაში საჭირო გამოცდილება მიიღო. მისი პროექტით ტფილისში უამრავი ცნობილი შენობა აიგო: „ცისფერი გალერეა” (იგივე „დიდების ტაძარი“) გოლოვინის გამზირზე; მიხეილის საავადმყოფო აღმაშენებლის გამზირზე; წმიდა პეტრესა და პავლეს კათოლიკური ეკლესია ივანე ჯავახიშვილის ქუჩაზე, რომელიც კონსტანტინე ზუბალაშვილის დაკვეთით 1877 წელს ეკურთხა; ამჟამად დანგრეული სასტუმრო „ორიანტი” რუსთაველის გამზირზე და, ასევე, უამრავი კერძო სახლი. თავად ალბერტ ზალცმანი მიხეილის (აწინდელ აღმაშენებლის) გამზირის №115-ში ცხოვრობდა.

## ვიქტორ შრეტერი

წარმოშობით ბალტიელმა გერმანელმა ვიქტორ შრეტერმა, თბილისის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი შენობა დააპროექტა – საუბარია რუსთაველის გამზირზე მდებარზე ოპერისა და ბალეტის თეატრის შენობაზე. შრეტერმა, რომელსაც განათლება ბერლინში ჰქონდა მიღებული, რუსეთის იმპერიაში პირველმა დაიწყო ფასადის მოპირკეთებისას გამომწვარი აგურის გამოყენება. შრეტერთან ერთად ოპერის თეატრზე მუშაობდნენ თბილისში მოღვაწე სხვა ცნობილი არქიტექტორები: ალექსანდრ შიმკევიჩი, პაულ შტერნი და ალბერტ ზალცმანი. ვიქტორ შრეტერი 1901 წელს გარდაიცვალა, მას დარჩა რვა შვილი, რომელთაგან ორი მამის კვალს გაჰყვა და არქიტექტორები გახდნენ. შრეტერი სანკტ-პეტერბურგში, სმოლენსკის ლუთერანულ სასაფლაოზეა დაკრძალული.


ვიქტორ შრეტერი


თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი (არქიტექტორი – ვიქტორ შრეტერი; 1890-იანი წლები)

**უშანგი რუხაძე**



**ყველას თავისი სადარდებელი, საიდუმლო თუ სასიხარულო აქვს. ყველა ცდილობს, პრობლემებს თავი აარიდოს და ბედნიერად იცხოვროს, ირგვლივ სანდო და ერთგული ადამიანები შემოიკრიბოს, მაგრამ, სამწუხაროდ, ყოველთვის ასე როდი ხდება. უმრავლესობას, ცხოვრებაში არ უმართლებს და სადარდებელი მეტი აქვს, ვიდრე გასახარელი. თუმცა, როგორც პარაფსიქოლოგი, ქალბატონი მარინა ამბობს, ცხოვრება არც ისე რთულია. თუ მისი მართვა იცი და შეგიძლია, მოვლენები შენს სასარგებლოდ შემოატრიალო. როგორ მოვახერხოთ ეს, როგორ გავთავისუფლდეთ ცუდისგან და დავიბედოთ სამომავლოდ ბედნიერება, ამაზე თავად ქალბატონი მარინა მოგვცემს რეკომენდაციებს.**

# ცვლის თუ არა ადამიანის ბედს სხვისი ნივთის ან ტანსაცმლის ტარება და რა იწვევს ღამით საცხოვრებელში ბოროტების გავრცელებას

**მარინა**: ჩვენ გარშემო უამრავი ადამიანი დადის, ყველა თავის წილ სიხარულს, დარდს, საიდუმლოსა და ტკივილს დაატარებს. ძნელია თვალებში ამოიკითხო მათი სურვილები და წუხილი. თუმცა, ყველაფერი ისედაც სახეზე აწერიათ. არადა, ეს ცხოვრება არც ისე რთულია, რასაკვირველია, თუ მას თავად ვმართავთ და ამ საქმეში კომპეტენტური ადამიანების რჩევებს გავითვალისწინებთ.

**– თქვენი თქმით, ადამიანს საკუთარი ცხოვრების მართვა თავად შეუძლია?**

– რასაკვირველია, ცხოვრების მართვა ნებისმიერ ჩვენგანს შეუძლია, უფრო სწორად, შეგვიძლია, ჩვენი ცხოვრება უფრო სასიამოვნო, სახალისო, ბედნიერი და წარმატებული გავხადოთ. არსებობს წესები, ყველა ოჯახში რომ უნდა დაიცვან. ამით უბედურებას, უიღბლობასა და უფულობას აიცილებენ თავიდან. მაგალითად, საღამოს მაგიდაზე თავლია ჭურჭლის დატოვებამ, ღამით საცხოვრებელში ბოროტების გავრცელება იცის; გაბზარული ან გატეხილი ჭურჭლის შენახვას უბედურება მოაქვს; ღამით მაგიდაზე დანის ან რაიმე მჭრელი საგნის დატოვებას უსიამოვნებები მოსდევს ოჯახის წევრებს შორის; სხვისი ნივთის ან ტანსაცმლის ტარებამ, ბედის შეცვლა იცის; ნუ დაგვით იატაკს მაშინ, თუ ოჯახის რომელიმე წევრი გზაშია; ნუ გექნებათ სახლში ორი ცოცხი, ის ბედზე ცუდად აისახება და არ არის გამორიცხული, საყვარელი ადამიანისგან ღალატი გაიგოთ. მოკლედ, ასეთი უამრავი რჩევა შემიძლია, მოგცეთ. ასევე, გეტყვით, რომ ბედისწერა მჭიდროდაა დაკავშირებული ავგაროზებზე. თუმცა, ხშირად ავგაროზისა და თილისმის მნიშვნელობები გაიგივებულია. არადა, ისინი ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან. თილისმა არის ნივთი, რომელიც რაიმე კონკრეტული შემთხვევისთვისაა შექმნილი. მისი დამზადებისას გათვალისწინებულია ფორმა, მასალა და შეფერილობა. ამის შემდეგ, თილისმა იწყებს საჭირო ენერგიის გადმოფრქვევას მასზე, რომელიც მას ატარებს. ავგაროზი კი ნებისმიერი ნივთი შეიძლება იყოს. თუ მას დადებითი ენერგიით დამუხტავთ, ის კოსმიურ პროგრამირებასთან დაგაკავშირებთ, ანუ ბედისწერასთან.

**– დღეს უამრავი ავგაროზი იყიდება, რომელსაც აწერია, კერძოდ, რისთვის არის მისი ტარება სასურველი. მისაღებია მათი ასე გაუთვითცნობიერებლად შეძენა და ტარება?**

– მართალია, დღეს უამრავი ავგაროზი იყიდება, რომელსაც აწერია, რისთვის უნდა ატაროს ადამიანმა, მაგალითად – ბედის გასახსნელად, სიყვარულის საპოვნელად, ოჯახის გასამყარებლად, მატერიალური კეთილდღეობისთვის თუ კარიერის მოსაწყობად. თუ დამიჯერებთ, ასეთი ავგაროზის ტარებას არ გირჩევთ. არასწორად შერჩეული ავგაროზი არღვევს კავშირს ბედისწერასთან და მისი გავლენა შესაძლოა, უკიდურესად ნეგატიურიც კი აღმოჩნდეს. მაგალითად, ევროპის ბევრ ქვეყანაში, ყოველ წელს ახალ ავგაროზს ყიდულობენ და ამით მთელი წლის განმავლობაში წარმატებები გარანტირებული აქვთ. იქ ასეთი რამეების მეტად სჯერათ. განსაკუთრებით დიდი მოთხოვნა ბიზნესის დამცავ ავგაროზზეა. ბიზნესმენი, რომელიც ასეთ ამულეტს ატარებს, მას თავისთავად თავისი ენერგიით მუხტავს. ის კი გადასცემს ინფორმაციას მოსალოდნელი არასასურველი მომენტების შესახებ, რომელიც მისი ქვეცნობიერისთვის კოსმიური პროგრამების საშუალებითაა ცნობილი. ჩვენთან ავგაროზები კუსტარულად მზადდება და მას არანაირი დანიშნულება არ აქვს. უცხოეთში კი ამაზე პარაფსიქოლოგ-ეზოთერიკოსთა მთელი ჯგუფი მუშაობს. ავგაროზი მუდამ თან უნდა გქონდეთ, უნდა ეხებოდეთ, ხედავდეთ, გრძნობდეთ. ავგაროზი, რომელიც წარმატებების მოტანია ერთი პიროვნებისთვის, მეორისთვის შესაძლოა, სრულიად გამოუსადეგარი აღმოჩნდეს. ამიტომ, სხვისი ავგაროზი თქვენ არ გამოგადგებათ. ის ინდივიდუალურია და ყველას თავისი უნდა ჰქონდეს.

> **ნუ დაგვით იატაკს მაშინ, თუ ოჯახის რომელიმე წევრი გზაშია და ნუ გექნებათ სახლში ორი ცოცხი, ის ბედზე ცუდად აისახება**

**– იქნებ დაგვაკვალიანოთ და მოგვცეთ რჩევა, როგორ შევარჩიოთ სწორად ავგაროზი, რომ მან მთელი წლის განმავლობაში წარმატება და ბედნიერება მოგვიტანოს?**

– შერჩევისას ფორმას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. თუმცა, უმჯობესია, გლუვი იყოს და მახვილი კუთხეები არ ჰქონდეს. მახვილი კუთხეები ხელს უწყობს ნივთიდან ენერგიის გამოდინებას. აუცილებელია, რომ ავგაროზი, როგორც ნივთი, ძალიან მოგწონდეთ, გსიამოვნებდეთ მისი ყურება და შეხება. ასე მისი დამუხტვაც ადვილად ხდება, რადგან ენერგეტიკული კავშირი მყარდება ნივთსა და თქვენ შორის. სხვათა შორის, ავგაროზის დამუხტვის ყველაზე იოლი ხერხია, ის, რომ ნივთი აუცილებლად ეხებოდეს სხეულს. ამიტომ, უმჯობესია, ის გულზე დაიკიდოთ. ძილის წინ ადამიანი კონკრეტულ საკითხზე ფიქრობს, საკუთარ თავში იკეტება, აკეთებს ანალიზს, აწყობს გეგმებს. ძილის დროს ქვეცნობიერი განაგრძობს ამაზე მუშაობას. გულზე დაკიდებული ავგაროზი კი ნელ-ნელა იმუხტება. დილით მას უდიდესი დახმარების გაწევა შეუძლია მისი მფლობელისთვის. ასე რომ, ავგაროზსა და ბედისწერას შორის უდიდესი კავშირია და ეს უნდა გახსოვდეთ.

**– გამიგია, თითქოს დიდ როლს თამაშობს ადამიანზე თილისმის ფერი. ამაზე რას გვეტყვით?**

– მართალია, თილისმის ფერს დიდი მნიშვნელობა აქვს. უძველესი მაგიური ფერებია ცისფერი და წითელი. მე დიდი ხანი რუსეთში ვცხოვრობდი. იქ ვსწავლობდი და შემდეგ ვმუშაობდი კიდეც. წარმოიდგინეთ, რუსეთში წითელი ლენტებით დღესაც რთავენ ცხოველებსა და ბოსტანში დარგულ მცენარეებს. ასევე, გათვალვის საწინააღმდეგოდ გამოიყენებოდა თეთრი და შავი ფერები. უფრო რთულად იყო საქმე ყვითელ ფერთან. გადმოცემის თანახმად, ადამიანი, რომელიც ოკულტური გავლენისადმი მგრძნობიარეა და ადვილად იღებს თვალს, არ იცვამს ყვითელ ტანსაცმელს. უფრო მეტიც, საერთოდ, ყვითელი ფერის საგნების გარემოცვაში თავს მოუსვენრად გრძნობს. ძველად, საქართველოში მიაჩნდათ, რომ ხმაურით ავ და ბოროტ სულებს ადვილად დააფრთხობდნენ. კერძოდ, ხმაურის საშუალებით ადვილად აძევებდნენ ბოროტ ძალას და მის ავ საქმეებს უშლიდნენ ხელს. ასევე, ბოროტებას ადვილად აფრთხობს ხელების ტკაცუნი და ძაღლის ყეფა. გეტყვით იმასაც, რომ გათვალვის არიდება უფრო იოლია, ვიდრე მისგან განკურნება. ასეთი დაავადება ხომ ჩვეულებრივი წამლებით არ იკურნება. ამიტომაც გათვალული ადამიანები, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ ავი თვალი აიღეს და ამის გამო ცხოვრებაში სირთულეები შეექმნათ ან ბედი ჩაეკეტათ, მაშინვე მიმართავდნენ უძველეს მეთოდს, კერძოდ, წყლის, ნახშირისა და დანის საშუალებით ცდილობდნენ მის მოგვარებას. სხვათა შორის, ამ მეთოდს დღესაც იყენებენ მთიან სოფლებში, ჩვილი ბავშვის დასამშვიდებლად და მოზარდებში ღამის ძილის მოსაწესრიგებლად.

**ნონა დათეშიძე**

## მართე სიტუაცია!

ამბობენ, რომ ქალებს სიტუაციის მართვა შეუძლიათ. მაგრამ, არსებობს ერთი პირობა: ქალმა ჯერ საკუთარი თავისა და გუნება-განწყობის მართვა უნდა ისწავლოს. პრინციპში, ქალებს ეს მეტ-ნაკლებად ეხერხებათ, უბრალოდ, ზოგიერთი ამას ვერ აცნობიერებს. როგორ უნდა გააცნობიერო?! მარტივად წაიკითხეთ და მიჰყევით ინსტრუქციას:

ჩვენი ცხოვრების ნებისმიერი მოვლენა ჩვენშივე იწვევს სხვადასხვანაირ, ბუნებრივ და ადეკვატურ რეაქციებს. ფსიქოლოგიაში ამას რეაქტიული განწყობა ჰქვია. კარგია, თუ რეაქცია პოზიტიურია. ის სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის და დამტკიცებულია, რომ ამაღლებს შრომისუნარიანობას. თქვენ შეგიძლიათ, „დააპროგრამოთ“ განწყობილება დადებითი მუხტით. მაგალითად, თუ დილით უგუნებოდ გაგეღვიძათ, ნუ აჰყვებით ამ განწყობას და ნეგატივს ნუ გაიღრმავებთ. წამალი არსებობს: დალიეთ რომელიმე ცხელი სასმელი, ის, რაც გიყვართ – ცხელი შოკოლადი, ყავა, სურნელოვანი ჩაი. საერთოდ, შოკოლადი გუნება-განწყობას აუმჯობესებს. შავი, ურძეო შოკოლადი მშვენიერი დილის შესანიშნავი დასაწყისია. არ მისცეთ საშუალება ნეგატივს, იმძლავროს თქვენზე. თუ ამას შეძლებთ, მერე სიტუაციის მართვასაც მოახერხებთ. ანტიდეპრესანტია და ძალიან მოგიხდებათ გამამხნევებელი ვარჯიში.

შეცდომებს ვუშვებთ ყველა. უბრალოდ, წუწუნს და სინანულს, ჯობია, კარგად გააანალიზო ისინი, რათა მეორედაც არ დაუშვა. სახლში მაქსიმალურად ეცადეთ, ნაკლებად იფიქროთ პრობლემებზე და საღამოს რამდენიმე საათი მყუდროდ გაატაროთ.

მუდმივად აკონტროლეთ ემოციები. არსებობს ცნება – „შინაგანი ღიმილი“. მისი ათვისება ძნელი არ არის: მოეშვით, რაღაც მომენტში არაფერზე იფიქროთ და გაუღიმეთ კეთილ მოგონებებს. თუ პოზიტიური ფონი თქვენი მეგზური იქნება, სიტუაციის ბატონ-პატრონადაც იგრძნობთ თავს.

## იპოვე სიახლე!

წარმოიდგინე, რომ შენი ცხოვრება სასწორს ჰგავს: საკმარისია, ერთი ნაბიჯი ან მარჯვნივ გადადგა, ან მარცხნივ, რომ წონასწორობა დაირღვევა. ემოციური „საწყობი“, გნებავთ, სასწორის პინა, ზოგჯერ ბოლომდე ივსება და მაშინ უკვე პოზიტივის მიღებაც რთულდება. სამაგიეროდ, მეორე პინაზე ყოველთვის მოიძებნება ადგილი სიახლისთვის. ბოლომდე შევსებული ფურცელიც აუცილებლად უნდა გადაშალო, რათა განაგრძო გზა და იარო წინ... წარსულს ვერასდროს მოიშორებ, ის მუდმივად შენი თანმდევი იქნება, მაგრამ არ უნდა მისცე საშუალება, გავლენა მოახდინოს შენზე. „დაგიტოვოს“ თავისთან და ვეღარ შეძლო განახლება, განვითარება.

თვის დასაწყისში ერთხელ მაინც ჩამოწერეთ თქვენთვის, რისი გაკეთება გინდოდათ ყოველთვის და ახლაც გინდათ. შეიტანეთ ამ სიაში პატარა, თუნდაც უმნიშვნელო სურვილები, კონკრეტული მიზნები, ერთი შეხედვით აუხდენელი ოცნებები და მერე უკვე ნელ-ნელა დაიწყეთ მათი რეალიზება, გადადგით პატარ-პატარა ნაბიჯები – მწვერვალებს ერთბაშად და დიდი ნახტომით არ იპყრობენ.

რეალურად შეაფასეთ საკუთარი პერსპექტივები როგორც საქმეში, ასევე, პირად ურთიერთობაში. თუნდაც დღეს მარტო იყოთ, ეს არაფერს ნიშნავს – თქვენ მაინც წარმოადგენთ ერთ დიდ მთლიანობას. თუ წყენა და გულისტკივილი დაგიგროვდათ, იტირეთ და გათავისუფლდით მისგან. თუ ვინმემ ისე გაწყენინათ, რომ ამის დავიწყება გიჭირთ, მიდით მასთან, უთხარით, რასაც ფიქრობთ და ბოლომდე გაარკვიეთ ყველაფერი... ერთი სიტყვით, გაზაფხულია და იპოვეთ სიახლე სიახლეებისთვის, თუნდაც განწყობის ასამაღლებლად ჭურჭლის დამტვრევა დაგჭირდეთ – პოზიტიური ემოციებისთვის ამასაც აქვს გამართლება.

## დროით გამოცდილი

ყველაზე ადრეული ქორწინება, რომლის ოფიციალური დოკუმენტი დღემდე შემოინახა, 1853 წლით თარიღდება და საკმაოდ უცნაური წყვილის ოფიციალურ ურთიერთობას ეხება: პატარძალი 5 წლის იყო, სიძე – 8-ის. ტემულდიჯიმ და ნარიმე ბხიკაჯებმა ერთად 87 წელი იცხოვრეს. მერე კიდევ იტყვიან, ადრეულ ასაკში ქორწინება გაუმართლებელიაო. აი, ბატონო, თვალსაჩინო მაგალითი, რომელიც სრულიად საპირისპიროს ამტკიცებს. თანამედროვე ქორწინების მაგალითებიც ბევრი გვაქვს, რომლებსაც ცნება – „ადრეა“, ან „გვიანია“ – არანაირად არ ეხება. ინგლისში, ქალაქ ბრედფორდში ცხოვრობს წყვილი, რომელმაც ექვსი წლის წინათ იქორწინა. დღეს ცოლი, კარენ ჩანდი, 106 წლისაა, მისი მეუღლე – კარტარი ჩანდი – 99 წლის... ანუ, რა გამოდის? – ამით მხოლოდ იმისკენ მოგიწოდებთ, რომ სასწრაფოდ იზრუნოთ ოჯახის შექმნაზე; აღარ გადადოთ ის ხვალისთვის, თუკი დღეს უკვე მიხვდით ამის აუცილებლობას. სად უნდა გაიცნოთ თქვენი მეორე ნახევარი? პრინციპში, ყველგან, მთავარია, ამის რეალური სურვილი გქონდეთ. მაგალითად, პატრიკ სვეიზმა თავისი მომავალი მეუღლე, 15 წლის ლიზ ნიემი, ბალეტის გაკვეთილებზე გაიცნო. როცა თავად 18 წლის იყო. ოთხი წელი ხვდებოდნენ ერთმანეთს და მერე დაქორწინდნენ. ერთად 34 წელი გაატარეს, სანამ ისინი სიკვდილმა არ დააშორა ერთმანეთს – ზუსტად ისე, როგორც საქორწინო ფიცშია.

მართალია, სტატისტიკა ამბობს, რომ ადრეული ქორწინებების 82 პროცენტი განქორწინებით მთავრდება, მაგრამ, იქნებ, თქვენ დანარჩენ 18 პროცენტში ხართ? მართალია, ოჯახის შექმნა მაინც რისკია, თუმცა, ვინც არ რისკავს, ის არც შამპანურს მიირთმევს.

## სასწაული მოლოდინში

გაზაფხული განსაკუთრებულია წელიწადის დროებს შორის. ამ პერიოდში შეუცნობლად მოველით რაღაც განსაკუთრებულს და, როგორი პრაგმატულებიც არ უნდა ვიყოთ, სასწაულის არსებობის მაინც გვჯერა. მაგრამ, სასწაული რომ მოხდეს, მინიმუმ, არ უნდა შეგეშინდეთ, ბოლომდე გაუხსნათ მას გულისა და სულის კარიბჭენი.

ფლირტი გაზაფხულზე მარტო სასურველი კი არა, ექიმის დანიშნულებასავით არის. ის ძალიან სასარგებლოა, მაგრამ გონივრული და ყოველგვარი შორს მიმავალი გეგმების გარეშე. უნდა გაითვალისწინოთ ძირითადი ნიუანსები. მთავარია, ამ ფლირტმა არ დააზიანოს თქვენი საქმიანობა და ის სერიოზული ურთიერთობა თუ კავშირები, რომლებიც ახლა გაქვთ.

გაათავისუფლეთ გრძნობები და ემოციები მარწუხებისგან – სწორედ ახლაა ამის დრო. რა უნდა გააკეთოთ იმისთვის, რომ ყველა მოხიბლოთ?! – არაფერი, უბრალოდ, იყავით ისეთი, როგორიც ხართ – ბუნებრივი, ძალდაუტანებელი და გახსნილი.

გადაუწყვეტელობა და ყოყმანი ამჯერად არაფერში გამოგადგებათ. მართალია, სასწაულები ყოველთვის მოულოდნელად ხდება, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა ჯერ უნდა დაიჯერო, რომ მერე მოხდეს.

არავის თქვენ გარდა, არ შეუძლია, მოაგვაროს პირადი ურთიერთობები; შეცვალოს დამოკიდებულება მეგობრებთან, ოჯახის წევრებთან, თანამშრომლებთან. თუ ვინმე თქვენგან პატიებას ელის, ნუ გააწბილებთ მას – პატიების ნიჭი ყველაზე დასაფასებელი ნიჭია.



გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძემ

# რას იპარავდა სკოლაში სწავლის პერიოდში ჯეიმს ფრანკო და რომელ საჩუქარზე უთხრა მან უარი სკანდალურ ლინდსი ლოჰანს

*მსოფლიოს კინოეკრანებზე გამოვიდა ახალი ბლოქბასტერი, 200 მილიონი დოლარის ბიუჯეტის მქონე „ოზი: დიდებული და ძლევამოსილი," რომელმაც კინოგაქირავების პირველ დღეებში 80 მილიონამდე დოლარის მოგება მოიტანა. ტრილოგია „ადამიანი-ობობას" შემქმნელისგან, რეჟისორ სემ რეიმისგან, დიდი ხნის განმავლობაში ელოდნენ ამ ფილმს მაყურებლები და, როგორც ჩანს, რეჟისორმა მათი მოლოდინი გაამართლა. ფილმის მთავარი გმირის როლს ჰოლივუდის ახალი თაობის ვარსკვლავი – ჯეიმს ფრანკო ასრულებს, რომლის შესახებ გავრცელებულ საინტერესო ცნობებსაც დღევანდელ ნომერში მოგაწვდით:*

* ჯეიმს ედვარდ ფრანკო დაიბადა 1978 წლის 19 აპრილს პალო-ალტოში, კალიფორნიაში. მისი მშობლები არიან ბეტსი ვერნე და დაგ ფრანკო. ჯეიმსს პორტუგალიური, ებრაული და შვედური ფესვები აქვს. დედა რუსეთიდან ემიგრირებული ებრაელების შთამომავალია. ჯეიმსი უმცროს ძმებთან – ტომთან და დევიდთან ერთად იზრდებოდა.

* 1996 წელს ჯეიმს ფრანკომ პალო-ალტოს სკოლა დაამთავრა, სადაც თანაკლასელებმა „საუკეთესო ღიმილის" მქონე მოსწავლედ დაასახელეს.

* ჟურნალისტ ტერი გროსოსთვის მიცემულ ინტერვიუში ჯეიმს ფრანკომ აღიარა, რომ უფროს კლასებში სწავლის პერიოდში პოლიციამ წვრილმანი ქურდობისთვის დააკავა – ფრანკო მეგობრებთან ერთად ოდეკოლონებს იპარავდა და სკოლაში ყიდდა.

* სამსახიობო ოსტატობას ჯეიმს ფრანკო ივანა ჩაბაკასთან ეუფლებოდა, რომლის მოსწავლეებიც სხვადასხვა დროს იყვნენ: შარლიზ ტერონი, ჰელი ბერი, კერი-ენ მოსი, ჯონ ვოიტი და ელიზაბეთ შუ.

* პირველი მთავარი როლი ჯეიმს ფრანკომ შეასრულა 2000 წელს ეკრანებზე გამოსულ ფილმში – „ნებისმიერ ფასად." ახალგაზრდულ კომედიაში ჯეიმსის პარტნიორი იყო მისი ყოფილი გერლფრენდი მარლა სოკოლოფი.

* ჯეიმს ფრანკო კომპანია „გუჩის" პარფიუმის სახეა – „გუჩი ბაი გუჩი პოურ ჰომე".

* ჯეიმსის ოცნებაა, ბავშვებისთვის წიგნების წერა დაიწყოს.

* ჟურნალმა „ფიფლმა" ჯეიმს ფრანკო მსოფლიო კინოს ყველა დროის ერთ-ერთ ყველაზე სექსუალურ მსახიობად დაასახელა, თუმცა, შეეშალა მისი ნამდვილი სიმაღლე – 180 სანტიმეტრის ნაცვლად, 167 სანტიმეტრი დაუწერა და ყველაზე დაბალ მსახიობებში გაიყვანა.

* როდესაც ჯეიმს ფრანკოს ჟურნალისტებმა ჰკითხეს, თუ რის გამო აირჩია მსახიობის პროფესია, მან უპასუხა: „არ მიფიქრია ამაზე, უბრალოდ, ჩემს ოთახში გაკრული მქონდა გოგოების პოსტერები და, სურვილი გამიჩნდა, რომ მათ ჩემი პოსტერები ჰქონოდათ გაკრული".

* ჯეიმს ფრანკოსთვის ყველაზე მიუღებელია გადასაღებ მოედანზე მოუმზადებელი მისვლა. ადამიანებში ის პროფესიონალიზმს აფასებს.



* კინოკრიტიკოსები ჯეიმს ფრანკოს „ახალ ჯეიმს დინს" უწოდებენ.

* 2007 წელს ჯეიმს ფრანკოს სარეჟისორო დებიუტი შედგა ფილმით – „მხიარული მაქსი".

* ფრანკოს საყვარელი გატაცება ღამის ქალაქში ავტომობილით მაღალი სიჩქარით სიარულია.

* კარიერის დასაწყისში ჯეიმს ფრანკო „მაკდონალდსის" რესტორანში მუშაობდა სალაროსთან.

* თავდაპირველად ჯეიმს ფრანკო კრისტოფერ ნოლანის მიერ განიხილებოდა ერთ-ერთ მთავარ როლზე ფილმში „დასაწყისი", თუმცა, გახმაურებულ ბლოკბასტერში ფრანკოსთვის განკუთვნილი როლი ჯოზეფ გორდონ-ლევიტმა შეასრულა.

* ჟურნალ „ქენდისთვის" მოწყობილ ფოტოსესიაში ჯეიმს ფრანკომ ტრანსვესტიტის ფორმაში იპოზიორა.

* „ესკადრილია ლაფაიეტის" გადაღების პერიოდში ჯეიმს ფრანკო პროფესიულ დონეზე დაეუფლა სამხედრო თვითმფრინავის მართვას და პილოტის მოწმობა მიიღო.

* თავდაპირველად ჯეიმს ფრანკო პიტერ პარკერის „ადამიანი-ობობას" როლზე განიხილებოდა, თუმცა, მოგვიანებით რეჟისორმა სემ რეიმ მთავარ როლზე ტობი მაგუაიერი დაამტკიცა, ხოლო ფრანკოს მეორე მთავარი პერსონაჟის – ჰარი ოსბორნის როლის შესრულება მოუწია ტრილოგიაში.

* ჯეიმს ფრანკო ფერწერის კურსებზე დადიოდა და „ადამიანი-ობობას" მესამე ნაწილში, ერთ-ერთ კადრში, იგი თავად ხატავს.

* 2008 წელს ჯეიმს ფრანკომ ლოს-ანჯელესში კალიფორნიის უნივერსიტეტის ბაკალავრის დიპლომი მიიღო ინგლისურ ენაში. სადიპლომო ნაშრომი მან მწერალ მონა ფილიპსის ხელმძღვანელობით დაწერა. მოგვიანებით ჯეიმსმა ნიუ-იორკში, კოლუმბიის უნივერსიტეტში, ინგლისური ლიტერატურის მაგისტრის წოდება მიიღო. ამჟამად ის ნიუ-იორკის უნივერსიტეტში ფილმების წარმოების ფაკულტეტზე სწავლობს.

* ბავშვობაში ჯეიმს ფრანკოს თავისი არასწორი კბილების რცხვენოდა.

* 2008 წელს ჯეიმს ფრანკომ ნარკოდილერის როლი შეასრულა კომედიაში „ანანასის ექსპრესი". ფილმის გამოსვლის შემდეგ ფრანკოს ქუჩაში უცნობები აჩერებდნენ და მათთვის მარიხუანის მიყიდვას ითხოვდნენ.

* ჯეიმს ფრანკო, ენ ჰეთუეისთან ერთად, „ოსკარების" 2011 წლის დაჯილდოების წამყვანი იყო.

* გას ვან სენტის ბიოგრაფიულ ფილმში – „მილკი," შონ პენის პერსონაჟის, ჰარვი მილკის საყვარლის, სკოტ სმიტის როლის შესრულებისთვის, ჯეიმს ფრანკო კინოჯილდოს – „დამოუკიდებელი სულის" მფლობელი გახდა.

* ფილმ „127 საათის" გადაღებების დაწყებამდე ჯეიმს ფრანკო თავისი გმირის რეალური პროტოტიპის – ალპინისტ არონ როლსტონის პირადი ჩანაწერების დიდ არქივს გაეცნო. ფილმში ფრანკომ კანიონებს შორის გაჭედილი ახალგაზრდა განასახიერა, რომელსაც, სიცოცხლის გადარჩენის მიზნით, საკუთარი ხელის ბლაგვი დანით ამპუტირება მოუხდა.

* ერთი პერიოდი ცნობილ ჰოლივუდელ ლამაზმანს, სკანდალებით განთქმულ ლინდსი ლოჰანს, ჯეიმს ფრანკოსთან რომანის გაბმა სურდა და გაცნობის მიზნით მისთვის ძვირად ღირებული საათის ჩუქება გადაწყვიტა, რაზეც მსახიობისგან თავაზიანი უარი მიიღო.

* ჯეიმს ფრანკოს გატაცებებია: ფერწერა, ფსიქოლოგია, ფრანგული ენა, ინგლისური ლიტერატურა.

* ცნობილია, რომ ჯეიმს ფრანკოს არ უყვარს საწოლში ძილი – ის დივანზე იძინებს ლეპტოპით ხელში, რომელიც სპეციალურად აქვს შეფუთული, რომ არ გატყდეს, რადგან, ჩაძინების მომენტში ხელიდან უვარდება.

* 2013 წელს კინოეკრანებზე ჯეიმს ფრანკოს მორიგი სარეჟიროსო ნამუშევარი „ღვთის შვილი" გამოვა. ესაა ფსიქოლოგიური დრამა, რომელშიც ფრანკო თავად ასრულებს მთავარ როლს.

* ფილმისთვის – „ოზი: დიდებული და ძლევამოსილი" – ფრანკოს რამდენიმე ფოკუსის შესრულების შესწავლა მოუწია. რამდენიმეკვირიანი მუშაობის შემდეგ, ფრანკომ ცილინდრიდან ბაჭიებისა და მტრედების ამოყვანა, ნივთების ლავირება და სხვა ელემენტარული ფოკუსები ისწავლა.

* 2006 წლიდან 2011 წლამდე ჯეიმსი მსახიობ ანა რაილის ხვდებოდა, ამჟამად ის მსახიობ ემლი ბენსონს ხვდება.

**უშანგი რუხაძე**

**კოლხი წინასწარმეტყველი და პარაფსიქოლოგი ნათია უფლისადმი უსაზღვრო სიყვარულით, სათნოებითა და მორჩილებით მოგიხსნით ყველანაირ პრობლემას, დაგისვამთ სწორ დიაგნოზს (ყველანაირს), ამზადებს თილისმას, რომელიც დაგიცავთ ბოროტი ძალებისგან, მოგიხსნით ჯადოს, გათვალვას.**

**მან მრავალი ქვეყანა მოიარა და ყველგან დაამტკიცა საკუთარი პროფესიონალიზმი.**



**ჩაწერა ხდება წინასწარ ტელეფონებზე:**
**599-98-74-25, 514-45-18-81.**
**skype-bulvarzelioni**

# როგორ აღმოჩნდა თემიკო ჭიჭინაძე სერიალში „ჩემი ცოლის დაქალები" და რაში არ ზღუდავს ის შვილს

**ჩვენი რესპონდენტი შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის მსახიობი თემიკო ჭიჭინაძეა, რომელიც ბოლო დროს გამოჩნდა მაყურებლის საყვარელ სერიალში „ჩემი ცოლის დაქალები." ის ახალგაზრდა მფრინავის, ლაშას როლს ასახიერებს და ამ ეტაპზე ჯერ მხოლოდ განვითარების პროცესშია. ინტერვიუს ჩასაწერად თემიკოს თეატრში ვეწვიეთ. რა სიახლეები აქვს, რაზე მუშაობს და სხვა დანარჩენსაც, უკვე ინტერვიუდან შეიტყობთ.**

**– გარდა იმისა, რომ მშობლიურ რუსთაველის თეატრში აქტიურად ხარ დაკავებული, ბოლო დროს სერიალის გადაღებებიც დაგემატა. მაყურებელმა გნახა თავის საყვარელ სერიალში „ჩემი ცოლის დაქალები".**

– ძალიან საინტერესო სამუშაოში ჩავერთე. იმ შემოქმედებით კოლექტივთან, ვისთანაც ახლა ვმუშაობ, წლების განმავლობაში ვთანამშრომლობდი. ძალიან კარგი ჯგუფია, გიორგი ლიფონავას ხელმძღვანელობით. მასთან ადრეც მიმუშავია – იყო სერიალი „კლინიკა" და ფილმი „ჭამა და სექსი." მოკლედ, გიორგისთან ტრადიციული თანამშრომლობა მაკავშირებს.

**– „ჩემი ცოლის დაქალების" მაყურებელი თუ იყავი?**

– ჩემი გრაფიკიდან გამომდინარე, დანიშნულ დროს ვერ ვხვდები ტელევიზორთან. რამდენიმე სერია მქონდა ნანახი. ჩემი გრაფიკის გამო „კლინიკის" ყველა სერიაც არ მაქვს ნანახი.

**– სერიალში დადებითი გმირის სახით გამოჩნდი.**

– ჯერჯერობით კი, მერე არ ვიცი, რა იქნება. ცოტა უცნაური მფრინავის როლი მერგო, ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. ყოველ შემთხვევაში, ამ სეზონში ჩემს გმირს რაღაც პერსპექტივა აქვს. მერე რა იქნება, არ ვიცი, ჩემზე არ არის დამოკიდებული.

**– მართალია, ლაშა ჯერ სულ რამდენიმე სერიის წინ გამოჩნდა სერიალში, მაგრამ მაინც, რას გვეტყვი შენს გმირზე?**

– ჯერჯერობით ერთად ვეძებთ ამ გმირის ხასიათს. ლაშა მეორე სეზონის მიწურულს გამოჩნდა სერიალში და ახლა იწყებს განვითარებას. საით წავიყვანთ ამ გმირს, ეს უკვე სცენარისტზე, რეჟისორსა და ჩემზეა დამოკიდებული. ამ ეტაპზე დადებითი, ცოტა ძველმოდური, ტრადიციების მიმდევარი ადამიანია. ცხოვრობდა უცხოეთში, მიიღო განათლება და მფრინავის პროფესიას დაეუფლა. ყველაფერთან ერთად, მგონი, ცოტა უცნაური ადამიანიცაა.

**– ბავშვობაში მაინც არ გიოცნებია მფრინავის პროფესიაზე?**

– სიმართლე გითხრა, კოსმონავტობაზეც კი არ მიოცნებია, რომელიც ჩვენს ბავშვობაში ძალიან პოპულარული და პრესტიჟული პროფესია იყო. უფრო სხვა რაღაცეებზე ვფიქრობდი.

**– მსახიობები იმით მაინც ხართ განებივრებული, რომ ცხოვრების განმავლობაში ძალიან ბევრი პროფესიის ადამიანად შეგიძლიათ გარდაიქმნათ.**

– ეს ჩვენი პროფესიის ერთ-ერთი პლუსია. შეგვიძლია, არაერთი პროფესია მოვირგოთ.

**შეიძლება, სულაც არ იყოს ესა თუ ის გმირი ჩემი ტემპერამენტისა და ხასიათის გამომხატველი, მაგრამ უნდა მოვირგო და განვასახიერო**

**– შენთვის ყველაზე უცნაური რა პროფესია ყოფილა?**

– „კლინიკაში" ექიმს რომ ვთამაშობდი, ჩემთვის ისიც უცნაური პროფესია იყო. არავითარი შეხება არ მაქვს ამ სფეროსთან, გარდა იმისა, რომ ბევრი ექიმი მეგობარი მყავს. თეთრი ხალათის ჩაცმაზე არასდროს მიოცნებია, რადგან სისხლი და ასეთი რაღაცეები ჩემთვის ძალიან რთულად გადასატანია. მკვლელიც მითამაშია, ბოროტიც, რაც ასევე შორსაა ჩემგან. მეფეც ვყოფილვარ და კიდევ ბევრი პროფესიის პერსონაჟი. ასე რომ, შეიძლება, სულაც არ იყოს ესა თუ ის გმირი ჩემი ტემპერამენტისა და ხასიათის გამომხატველი, მაგრამ უნდა მოვირგო და განვასახიერო.

**– თეატრს რაც შეეხება, გასტროლზე ხომ არ მიდიხართ?**

– თეატრი ერთ თვეში მიდის გასტროლზე კიევსა და მოსკოვში. ორი სპექტაკლი მიაქვს ჩვენს თეატრს. სამწუხაროდ, მე არ ვმონაწილეობ ამ სპექტაკლებში და შესაბამისად, არც მივემგზავრები. სამაგიეროდ, ჩემი მეუღლე მიდის, რომელიც ერთ-ერთ სპექტაკლშია დაკავებული.



**საქართველოში არ ვართ ისეთი განებივრებული, რომ პაპარაცები ქუჩაში კამერით დაგვდევდნენ და პირად ცხოვრებაში იქექებოდნენ. ამიტომ, ყურადღება, რომელიც მაყურებლისგან მოდის, ჩემთვის პირადად, ძალიან სასიამოვნოა**

**– ოჯახში გადავინაცვლებ და გკითხავ, როგორი მამა და მეუღლე ხარ?**

– საკუთარი თავი იდეალურად არ მიმაჩნია, ალბათ, მეტის გაკეთებაა საჭირო. შეიძლება სიზარმაცის ან სხვა რამის გამო, რაღაცაში მოვიკოჭლებ. თუმცა, დღემდე ისე მოვედით, მათგან ისეთი პრეტენზიები არ ყოფილა, ან ერთს, ან მეორეს, რადიკალური ზომები მიგვეღო.

**– ალბათ, ისიც დიდი პლუსია, როცა ცოლ-ქმარი ერთი პროფესიისაა, მათ ბევრი საერთო ინტერესი აქვთ და უკეთ ესმით ერთმანეთის.**

– რა თქმა უნდა, ძალიან ბევრ რაღაცაში უკეთ ვუგებთ ერთმანეთს. ცოტა ძნელია სხვა პროფესიის ადამიანისთვის სახლში მსახიობის ატანა. თუმცა, ყველა პროფესიას თავისი გაგება სჭირდება. ოჯახის წევრები თუ ერთი პროფესიის არიან, მაშინ, რა თქმა უნდა, ბევრი საერთო ინტერესიც აქვთ და უფრო ადვილია კომუნიკაცია.

**– თქვენი შვილი რამდენი წლისაა?**

– 21 წლის გახდა.

**– რა პროფესიისაა?**

– სამხატვრო აკადემიაში სწავლობს, მხატვარ-დიზაინერის პროფესიას ეუფლება. ძალიან არ ვერევი და სიმართლე გითხრა, ბევრს ვერაფერს გავიგებ, მაგრამ როგორც ვამჩნევ, მონდომებულია და უყვარს თავისი პროფესია.

**– მშობლების პროფესიას რომ გაჰყოლოდა, ამის სურვილი არ ჰქონია?**

– რაღაც ეტაპზე ჰქონდა. რამდენიმე ფილმშიც გადაიღეს, ახალგაზრდულ სერიალშიც მონაწილეობდა. ჩვენი პროფესიის რაღაც ნიუანსები უფრო ახლოს რომ ნახა, იმ სფერომ უფრო დააინტერესა, რაც საბოლოოდ აირჩია. მსახიობობა რომ მოენდომებინა, წინააღმდეგი არავინ წავიდოდა ოჯახში. თუმცა, არც არავინ დაახია კალთები, გინდა თუ არა, თეატრალურში ჩააბარეო. ასე რომ, მე და ნინომ ძალიან მშვიდად მივიღეთ მისი გადაწყვეტილება, გულის სიღრმეში გაგვიხარდა კიდეც.

**– მკაცრი მამა ხარ?**

– ჩემს შვილს რომ ჰკითხო, ენა არ მოუბრუნდება იმის სათქმელად, მკაცრი მამა მყავსო. ნამდვილად არაფერში ვზღუდავთ და თვითონაც არ იძლევა იმის საბაბს, მის მიმართ სიმკაცრე გამოვიჩინო. ძალიან მშვიდი და გაწონასწორებული ადამიანია. ასე რომ, ჯერჯერობით შეშფოთებისა და სიმკაცრის საბაბს არ მაძლევს.

**– ისეთ ასაკშია, უკვე თავისუფლად შეუძლია ოჯახის შექმნა. მშობლებისთვის შვილის გათხოვება კი, ცოტა არ იყოს, რთული შესაგუებელია.**

– რა თქმა უნდა, ცოტა რთული მომენტია და ძნელად გადასახარში, მაგრამ ცხოვრების კანონს ვერ გაექცევი. ბუნებას წინ ვერ აღუდგები და ვერაფერს აიძულებ. ალბათ, სერიოზული გრძნობებიც გაჩნდება მის ცხოვრებაში, რისი დროც მოვა. ამისთვის ნელ-ნელა ვემზადებით. თუმცა, სიმართლე რომ გითხრა, ეს მთლად ადვილი არ არის.

**– წლების განმავლობაში ძალიან ბევრი გულშემატკივარი ჰყავს თქვენს ოჯახს, რადგან იქ ორი ნიჭიერი მსახიობი ცხოვრობს. ბევრს გაუხარდა თემიკო ჭიჭინაძის გამოჩენა სერიალში „ჩემი ცოლის დაქალები."**

– ძალიან მიხარია, თუ ვინმეს ვუყვარვარ, რადგან მსახიობი ამით საზრდოობს. არ მჯერა, რომ ამბობენ, ძალიან შეწუხებული ვარ ხალხის ყურადღებით და პოპულარობითო. ზოგჯერ იმასაც ამბობენ, ეს მოსაბეზრებელიაო. სადღაც ამერიკაში შონ პენი თუ ჟურნალისტებს ეჩხუბება, მესმის, რადგან იქ სხვა რიტმი, სხვა შეწუხებაა, მოვლენებიც სხვაგვარად ვითარდება. იქ მსახიობები ზეპოპულარულები არიან და ალბათ, იქაური ჟურნალისტების ყურადღება მათ მიმართ მართლაც შემაწუხებელია. საქართველოში კი არ ვართ ისეთი განებივრებულნი, პაპარაცები ქუჩაში კამერით დაგვდევდნენ და პირად ცხოვრებაში იქექებოდნენ. ამიტომ, ის ყურადღება, რომელიც მაყურებლისგან მოდის, ჩემთვის პირადად, ძალიან სასიამოვნოა. შეიძლება, ვიღაცამ იპირფეროს და თქვას, შემჭამეს ამ ჟურნალისტებმაო, ან ქუჩაში თავისუფლად ვერ გავდივარ, ყველა ავტოგრაფს მთხოვსო. ჩემთვის ეს შეწუხება კი არა, პირიქით, დიდი სიამოვნებაა და იმის შეგრძნება, რომ, რასაც აკეთებ, შეუმჩნეველი არ რჩება. ვიღაც, ალბათ, გაგაკრიტიკებს, ვიღაცას მოეწონები, მაგრამ არიან ადამიანები, შენი შექმნილი სახეები თეატრში თუ ეკრანზე დადებით ემოციას რომ აღუძრავს. ამიტომ, რომ დაგინახავს გიღიმის, ან მოგესალმება. ჩემთვის ეს ნორმალური პროცესია, რადგან მსახიობის პროფესიას რომ ირჩევ, უნდა იცოდე, მას ეს ყველაფერი თან ახლავს. უბრალოდ, ძალით არ უნდა შეეტენო ყველგან და არც იყვირო – რა მაგარი ხარ. ყოველთვის დიდი რიდით და ძალიან დიდი სიყვარულით ვექცევი მათ, ვინც მაფასებს.

**მარიკა ხიდურელი**

# ინტიმური საუბრები

## ჩემს ქმარს პატიება არ დაუმსახურებია

გავთხოვდი სიყვარულით, სხვათა შორის, იმ კრიტიკულ ასაკში, როცა ქალი უფრო მეტს ყოყმანობს ხოლმე ამ ნაბიჯის გადადგმას, რადგან, ეშინია, ვაითუ, სწორად არ იქცევა. მოკლედ, 32 წლის ვიყავი. სიყვარულის მიუხედავად, მაინც მეშინოდა, მომავალში როგორ აეწყობოდა ჩვენი ურთიერთობა, მაგრამ, ისევ ლაშამ გადამაწყვეტინა და, არა ხვეწნა-მუდარით ან დარწმუნებითა და პირობების დადებით, არამედ, თავისი უშუალო ხასიათით, კომუნიკაბელურობით, უკომპლექსობითა და ურთიერთობაში გახსნილობით. ერთი სიტყვით, გავყევი ცოლად და პირველი ორი წელიწადი, მართლაც ბედნიერი ვიყავი, მაგრამ, ბავშვის გაჩენის შემდეგ ჩემი ქმარი მთლიანად შეიცვალა, თუმცა, მხოლოდ ჩემ მიმართ. ახლა რომ ვუფიქრდები და ვაანალიზებ ჩვენს მაშინდელ სიტუაციებს, ის დასკვნა გამომაქვს, რომ შვილზე ეჭვიანობდა, უფრო სწორად, ვერ იტანდა, რომ ჩემი ყურადღება, სითბო და მზრუნველობა, რაც მანამდე მხოლოდ მას ეკუთვნოდა, ახლა შუაზე გაიყო და ბავშვზე გადანაწილდა. მაშინ კი ამას ვერ ვხვდებოდი და ძალიან განვიცდიდი. ვერ ვიგებდი, რატომ იყო სახლში სულ გაღიზიანებული; რატომ არ მოსწონდა ჩემი არც ნათქვამი და არც გაკეთებული. ვერ ვიტყვი, რომ შვილი არ უყვარდა, მაგრამ, ეს არ იყო ის გრძნობა, რომელიც მამას უნდა ჰქონოდა ერთადერთი მემკვიდრის მიმართ. თუ სახლში იყო, სულ ბუზღუნებდა, შენიშვნებს მაძლევდა, ყველაფერზე იგინებოდა, ყვიროდა; შეეძლო, აბსოლუტურად უმნიშვნელო მიზეზის გამო (მაგალითად, ჩაი რომ დავუსხი, რატომ არ მოვურიე) სერიოზული ჩხუბი მოეწყო. მიუხედავად იმისა, რომ დაუმსახურებელი წყენის გამო ძალიან ხშირად მიტირია, არც არავისთვის მომიყოლია მისი საქციელის შესახებ და არც მისთვის მითქვამს საყვედური – ჩუმად ვყლაპავდი ყველანაირ შეურაცხყოფას, თვალებში შევცქეროდი და ვცდილობდი, რამით მაინც მომეგო მისი გული, მაგრამ, როგორც ჩანს, შეცდომას ჩავდიოდი, რადგან, ჩემი ასეთი საქციელით საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ყველაფერში თვითონ არის მართალი; რომ ისეთი არ გამოვდექი, როგორიც ეგონა; რომ არჩევანში შეცდა და, ასეთი ცოლის ხელში დაჩაგრულია, როგორც მამაკაცი; რომ სათანადო ყურადღებას არ ვაქცევ და ასე შემდეგ. არადა, სინამდვილეში, ამ ყველაფერზე მე უნდა მქონოდა პრეტენზია, რადგან, ბავშვის გაჩენის შემდეგ, წლების განმავლობაში, არასდროს გახსენებია არანაირი თარიღი, რომელიც მე მიკავშირდებოდა. საერთოდ არ ახსოვდა ჩემი დაბადების დღე (თუმცა ჩემი კი არა, ერთადერთი შვილის დაბადების დღე არც არასდროს გახსენებია და, როცა მე შევახსენებდი, არც მაშინ მიულოცავს თუნდაც სიმბოლური საჩუქრით. მხოლოდ ერთ სიტყვას ეტყოდა ბავშვს – გილოცავ – და სახლიდან გადიოდა). სამაგიეროდ, თავისი დაბადების დღე არ ავიწყდებოდა: ორი თვით ადრე იწყებდა შეხსენებასაც და სამზადისსაც და, ვაი ჩემი ბრალი, თუ სათანადო პურმარილს არ გავაწყობდი და რამე განსაკუთრებულ საჩუქარს არ მივართმევდი.

სახლში ხომ ასეთი უჟმური, უხასიათო და უცხვირპირო იყო, სამაგიეროდ, როგორც კი გარეთ გავიდოდა, მოჭმუხნილი და უკმაყოფილო სახე გაუსწორდებოდა, ნათელი ღიმილი გადაეფინებოდა და ზრდილობიად და კეთილშობილებად იღვრებოდა. მეზობლებით დაწყებული, მისი მეგობრების ცოლებითა და ჩემი მეგობრებით დამთავრებული, ყველა შემომნატროდა: ბედნიერი ქალი ხარ, ასეთი ქმარი რომ გყავს. მთელ ქალაქში ასეთი ერთადერთი იყო და ისიც შენ შეგხვდა, ნამდვილად ბედის რჩეული ხარო. რადგან არავის არაფერს ვეუბნებოდი, არავინ იცოდა, რა უბედურ დღეში აყენებდა ამ „ბედის რჩეულს“ ეს ორსახოვანი იანუსი.

მაგრამ, ეს ყველაფერი, თურმე, „ყურნალი“ ყოფილა. მთავარი უბედურება მას შემდეგ დაიწყო ჩემს ოჯახში, როცა ერთ დღეს ლაშა გალეწილი მთვრალი მოვიდა სახლში და მითხრა, ჩემი სამსახური დაიხურა და უმუშევარი დავრჩი. ხვალიდან შენ უნდა მარჩინო, რადგან, არსად მუშაობის დამწყები აღარ ვარო. გულს შემომეყარა, მაგრამ, მაინც დავამშვიდე – ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება, რამე გამოჩნდება-მეთქი. მან კი მიპასუხა, მაგაზე აღარც იფიქრო, სამსახური აღარ მინდა, მე შინაგანი თავისუფლება მჭირდება. შენ და შენმა შვილმა რაც გინდათ, ის ქენით, მე კი ჩემს თავს უნდა მივხედოო. ვიფიქრე, ნასვამია, რომ გამოფხიზლდება, მერე დაველაპარაკები-მეთქი, მაგრამ, მეორე დღიდან, შემიძლია ვთქვა, რომ, პრაქტიკულად აღარც გამოფხიზლებულა: ყოველდღე სადღაც, ვიღაც უცნობებთან თუ ნაცნობებთან ერთად სვამდა, სახლში შუაღამისას მოდიოდა (ან საერთოდ არ მოდიოდა) და სკანდალებს მიწყობდა. მერე ნელნელა სახლიდან ნივთების გატანა დაიწყო ჩუმად – ყიდდა და თავის ლოთ მეგობრებს პატიჟებდა საქეიფოდ. ყველა ზღვარს რომ გადააბიჯა, მის უახლოეს ძმაკაცებს დავურეკე და დახმარება ვთხოვე. მათაც ერთიორჯერ მოინახულეს, პატარა ლექცია წაუკითხეს და, ვერაფერს რომ ვერ გახდნენ, თავი დაანებეს. ერთ დღეს კი, როცა სახლიდან ჩუმად აიღო ბავშვის ნათლობის ჯვარი და გასაყიდად აპირებდა წაღებას, შემთხვევით დავინახე, ხელიდან წავართვი და ვუთხარი, ამას არ გაგატან, რომც მომკლა-მეთქი. როგორ თუ ეს გამიბედეო და ისეთი გამარტყა სახეში, დავეცი, თავი მაგრად დავარტყი და ბეწვზე გადავურჩი სიკვდილს, თუმცა, ტვინის შერყევით ვიწექი მთელი კვირა. არც ამ შემთხვევის შესახებ მითქვამს ვინმესთვის, მაგრამ, როგორც კი ფეხზე დავდექი და სიარული შევძელი, მეორე დღესვე შევიტანე გაყრაზე განცხადება. რომ გაიგო, ცოტა კი შეცბა, თუმცა, იხტიბარი არ გაიტეხა და მითხრა, კარგი გიქნია, შენთან ცხოვრება აღარ მინდაო. ძალიანაც არ უნდოდა, მაგრამ, ბინა შუაზე გავყავით, რადგან, ერთად გვქონდა შეძენილი.

უკვე ერთი წელია, გაყრილები ვართ და ერთხელაც არ მოუკითხავს შვილი, თუმცა, სადღა აქვს ამის თავი – სულ მთვრალია. არ ვიცი, რით ირჩენდა თავს, ალბათ, რაც ნივთები დარჩა, ისიც გაყიდა. ამას წინათ კი გავიგე, ბინა დაუგირავებია, პროცენტს ვეღარ იხდის და ბანკი ბინას უყიდისო. სიმართლე გითხრათ, მის მიმართ მხოლოდ სიბრალულის გრძნობა მაქვს დარჩენილი. მეცოდება, რომ ასეთი თავისთავის უბედური გამოდგა, მაგრამ, ნამდვილად არ მინდა, ქუჩაში რომ დარჩება, ისევ მე მომადგეს. ჯერ ერთი, არანაირად არ დაუმსახურებია ჩემგან ყველაფრის პატიება; თანაც, ჩემი შვილი მოზარდია და რა მაგალითი უნდა მისცეს ასეთმა მამამ? არ ჯობია, რომ მამა საერთოდ არ ჰყავდეს?!

**მაკა, 45 წლის.**



**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბები და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის“ SMS-ები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 595 40-76-78. ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@yahoo.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

## კრიზისის დასაძლევად ესპანელები გაძევებულ ებრაელებს იხმობენ

ესპანეთმა, სადაც მეთხუთმეტე საუკუნეში ებრაელთა ყველაზე დიდი დიასპორა იყო, გადაწყვიტა, გამოასწოროს 500 წლის წინათ დაშვებული შეცდომა – როგორც ცნობილია, 1492 წელს, ინკვიზიციამ 100 ათასამდე ებრაელი-სეფარდი გააძევა ქვეყნიდან, რამაც საკმაოდ ცუდად იმოქმედა სახელმწიფოს ეკონომიკაზე.



ახლა კი, 2013 წლის დასაწყისში, როდესაც ესპანეთი კვლავ კრიზისის წინაშე აღმოჩნდა, ხელისუფლებამ გაიხსენა ინკვიზიციის გაკვეთილები და გადაწყვიტა, კვლავ დააბრუნოს ებრაელები. თუ მეთხუთმეტე საუკუნის ბოლოს ესპანეთში 300 ათასი ებრაელი ცხოვრობდა, ახლა მათი რიცხვი 50 ათასს არ აღემატება. დღეს ებრაელებს შეუძლიათ ესპანეთში დაბრუნება, ოღონდ, მათ უნდა დაამტკიცონ, რომ იმ სეფარდების შთამომავლები არიან, რომლებმაც 500 წლის წინათ დატოვეს ქვეყანა და იუდაიზმს აღიარებენ. ამასთან, მათ მხოლოდ ესპანური პასპორტი ექნებათ. აღსანიშნავია, რომ სეფარდებს შორის მსოფლიოში ცნობილი ადამიანებიც არიან.

სხვათა შორის, მუსლიმანურმა ერთობამ შეახსენა ესპანეთის ხელისუფლებას, რომ ინკვიზიციამ არა მხოლოდ იუდეველები, არამედ, ისლამისტებიც განდევნა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სამართლიანობის აღდგენა მუსლიმანთა მიმართ არ განიხილება.

## და მანშის ფსკერზე „მზის კომპასი" იპოვეს

ინგლისური ხომალდის ნამსხვრევებში, რომელიც კუნძულ ოლდერნისთან 1592 წელს ჩაიძირა, იპოვეს კრისტალი. ის ძალიან ჰგავს ისლანდიურ საგებში მოხსენიებულ „მზის ქვას", რომელსაც ვიკინგები ნავიგაციისთვის იყენებდნენ.

ისლანდიური შპატის ამ მოგრძო, სიგარეტის კოლოფის ზომის კრისტალით, შესაძლებელია მზის მდებარეობის განსაზღვრა ძლიერ მოღრუბლულ ამინდშიც კი, – ამტკიცებენ საფრანგეთის რენის უნივერსიტეტის მკვლევრები.



ეს აღმოჩენა ამაგრებს აზრს, რომ ამ მინერალის საშუალებით, ადრეულ შუა საუკუნეებში, ანუ, გაცილებით ადრე, ვიდრე მაგნიტურ კომპასს გამოიგონებდნენ, სკანდინაველი ზღვაოსნები აღწევდნენ ახლანდელი გრენლანდიის, ისლანდიის, რუსეთის, ჩრდილოეთ ამერიკის სანაპიროებს, ანუ, ვიკინგების მიღწევათა საიდუმლო სწორედ „მზის ქვაში" იმალება. ვიკინგების ეპიკურ თქმულებებში ეს ინსტრუმენტები სპორადულადაა ნახსენები. ძველი ისლანდიური ლეგენდები კი მოგვითხრობენ, როგორ ეძებდნენ ღრუბლებით დაფარულ ცაზე მზეს „მზის ქვით". ამასთან, კრისტალი ნაპოვნია გაცილებით გვიანდელ ხომალდზე, შტანგენინსტრუმენტთან, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ის სწორედ ნავიგაციური დანიშნულებით გამოიყენებოდა.

ისლანდიური შპატი ცნობილია სინათლის სხივის ორად გაყოფის თვისებით. ფრანგმა მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ, თუ კრისტალს დავატრიალებთ, შეიძლება, ვიპოვოთ წერტილი, სადაც ორივე სხივი ერთმანეთს ემთხვევა. სწორედ ეს მიმართულება მიუთითებს მზის მდებარეობაზე. ეს მეთოდი მაშინაც მოქმედებს, როდესაც მზე სქელი ღრუბლითაა დაფარული.

ვიკინგების მოგზაურობათა პიკი მეცხრე-მეათე საუკუნეებზე მოდის, თუმცა, მეცნიერები ვარაუდობენ, რომ „მზის ქვას" ევროპელი ზღვაოსნები მოგვიანებითაც გამოიყენებდნენ არცთუ საიმედო მაგნიტური კომპასის ალტერნატივად, რომელიც ევროპაში მეცამეტე საუკუნეში შემოიტანეს.

## უნიკალური შემთხვევა: 2 წლის გოგონა შიდსისგან განიკურნა

ამერიკაში, მისისიპის შტატში, დაფიქსირდა უნიკალური მოვლენა – სრულიად გამოჯანმრთელდა იმუნოდეფიციტის ვირუსით დაბადებული ბავშვი. მას დაავადების ბოლო სტადია – შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი ჰქონდა.

ორწლინახევრის გოგონა გამოჯანმრთელდა. მას დაბადებიდანვე დაუწყეს შესაბამისი პრეპარატებით აგრესიული მკურნალობა. ლაპარაკია მაღალაქტიურ ანტისეტროვირუსულ თერაპიაზე, რომელიც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდებული, ერთდროულად სამიოთხი ძლიერმოქმედი პრეპარატისგან შედგება.



ზოგადად, ის არ გამოიყენება ახალდაბადებულებთან, რადგან, ზუსტი დიაგნოზის დასმის ალბათობა მხოლოდ 15-დან 45 პროცენტამდეა.

შიდსის ვირუსით განკურნების პირველი შემთხვევა დაფიქსირდა 2007 წელს, ბერლინში, როდესაც მამაკაცს ძვლის ტვინის ტრანსპლანტაცია გაუკეთდა.

„საოცარია! ასეთი მკურნალობის შეწყვეტის შემდეგ, რამდენიმე კვირაში, დაავადების სიმპტომები ისევ იჩენს ხოლმე თავს. ამ შემთხვევაში კი ინფექციის კვალიც არ დარჩა. მაგრამ, ეს მხოლოდ ერთი შემთხვევაა და მკურნალობის ახალ მეთოდზე დარწმუნებით საუბარი ნაადრევია", – განაცხადა კვლევის წამყვანმა სპეციალისტმა დებორა პერსომ. თუმცა, იმუნოდეფიციტის ვირუსის მკურნალობისადმი ახალმა მიდგომამ შეიძლება გაამართლოს და ფართო გავრცელებაც პოვოს.

## ავღანეთში 33 წლის წინ დაკარგული საბჭოთა ჯარისკაცი იპოვეს

სამარყანდელი საბჭოთა ჯარისკაცი – ბახრეტდინ ხაკიმოვი, რომელსაც ახლა შეიხ აბდულა ჰქვია, მეომარ-ინტერნაციონალისტთა საქმეების კომიტეტის ძალისხმევით იპოვეს. კომიტეტი 1992 წლიდან არსებობს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების მთავრობების ხელმძღვანელთა საბჭოსთან. სხვა ამოცანებთან ერთად, მისი მიზანია ავღანეთში ბრძოლების დროს – 1979-1989 წლებში დაკარგულ ჯარისკაცთა მოძიება. ბახრეტდინ ხაკიმოვი 1980 წელს დაიკარგა. ის მხოლოდ ახლა, 23 თებერვალს აღმოაჩინეს ჰერათის პროვინციაში. ასე რომ, 264 ადამიანს, რომლებიც ავღანეთში უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლებოდნენ, ერთი ჯარისკაცი მოაკლდა. ბახრეტდინი 101-ე მოტომსროლელ პოლკში მსახურობდა. 1980 წლის სექტემბერში ის მძიმედ დაიჭრა. ადგილობრივებმა ის იპოვეს, უხუცესმა კი თავისი მფარველობის ქვეშ აიყვანა და სწორედ მან უმკურნალა ბალახებით. ამ საქმიანობით კი ახლა თავად შეიხ აბდულაა დაკავებული. ის მომთაბარე ცხოვრებას ეწევა, საბუთები არ აქვს და ძნელად იგებს რუსულ ლაპარაკს. ხაკიმოვს ძალიან უნდა, ნახოს თავისი ნათესავები, თუ ამის სურვილს ისინიც გამოთქვამენ. თუმცა, მეუღლე, რომელთანაც შვილი არ ჰყოლია, უკვე გარდაცვლილია.

ყოფილმა ჯარისკაცმა სურათებზე სხვა დაკარგული მეომრებიც ამოიცნო, ზოგიერთზე კი მიუთითა, რომ ავღანეთში არაერთხელ უნახავს, რაც იმის იმედს იძლევა, რომ, შეიძლება, სხვებიც მოინახონ.

კომიტეტმა ავღანეთში დაკარგული სულ 29 სამხედრო იპოვა, რომელთაგან 22 სამშობლოში დაბრუნდა, 7-მა კი დარჩენა ამჯობინა. ექსჰუმაცია გაუკეთდა 15 ნეშტს, რომელთაგან მხოლოდ 5-ის იდენტიფიკაცია მოხდა.

**გვერდი მოამზადა**
**ლაშა გაბელია**

**ფილმ „ჯინსების თაობის“ გადაღებას, პირადად მე, მოუთმენლად ველოდები, რადგან, გარდა იმისა, რომ ეს თემა ჩვენი ისტორიის მნიშვნელოვან ეტაპს ეხება, ფილმზე ნამდვილი პროფესიონალები იმუშავებენ – ისინი, ვისაც არაერთი წარმატებული პროექტი გაუკეთებიათ და ძალიან ბევრ ჯილდოს ფლობენ. როგორც ფილმმეიკერი ნიკა ხომასურიძე ამბობს, გადაღებები ახლო მომავალში აუცილებლად დაიწყება, როდესაც მთავარი გმირის, გეგა კობახიძის როლზე ერთ-ერთ, მსოფლიოში ცნობილ მსახიობთან შეთანხმებას მიაღწევენ. ასე რომ, წესით, სულ მალე თბილისში „ვარსკვლავთცვენა“ დაიწყება.**

# რის გაკეთება მოსთხოვა თბილისში ჩამოსულ ვინი ჯონსს ნიკა ხომასურიძემ და ვინ იქნება მსახიობი ქალი, რომელსაც ის ახლო მომავალში საქართველოში ჩამოიყვანს

**ნიკა ხომასურიძე**: გუშინ ლოს-ანჯელესიდან ჩამოვედი ***(ინტერვიუ ჩაწერილია 11 მარტს – ავტორი)***, სადაც ძალიან წარმატებული შეხვედრები მქონდა აგენტებთან, მსახიობებთან. სერიოზული მოლაპარაკებები ვაწარმოეთ და კიდევ დამატებით ჩაერთნენ საინტერესო მსახიობები. ამ კვირის განმავლობაში ვაპირებთ ფინანსური სიტუაციების „ჩაკეტვას“. 20 მარტისთვის ისევ ლოს-ანჯელესში ვბრუნდები და საბოლოო შეთანხმება უნდა დავდო ჯგუფის წევრებთან, მსახიობებთან, რეჟისორთა გილდიასთან, მსახიობთა გილდიასთან. მეც ვხდები რეჟისორთა გილდიის წევრი, ოფიციალურად ვაწერ ხელს. ეს, პირადად ჩემთვის, ძალიან კარგია. წარმოიდგინე, მე, რიდლი სკოტი, სტივენ სპილბერგი ერთ გილდიაში ვიქნებით – ამაზე მეტი რაღა უნდა გინდოდეს. ამის მერე, გილდიის გარეთ ველარ იმუშავებ და შენი ანაზღაურება კონკრეტულ თანხაზე დაბალი აღარ იქნება. როცა გილდიის წევრი ხარ, რომელიღაც წარმატებული სააგენტო უფრო მეტად ინტერესდება შენით და გთავაზობს თავის მომსახურებას. მოკლედ, მთელი ინდუსტრიაა ერთმანეთზე აწყობილი.

**– ახალი მსახიობები თუ დაემატნენ? მთავარი გმირის საკითხი ბოლომდე არ იყო გარკვეული. ახლა რა ეტაპზეა ეს საკითხი?**

– მთავარი გმირის როლზე ისევ მოლაპარაკებები მიმდინარეობს. ჯერ ვერ ვიტყვი სახელს, მაგრამ საკმაოდ წარმატებული და ცნობილი მსახიობია. ზოგადად, მსახიობების ძალიან კარგი, ძლიერი დასი გვყავს, მაგრამ მთავარ, ანუ, გეგას როლზე გვინდოდა ისეთი მსახიობი, რომელიც საუკეთესო მსახიობთა თხუთმეტეულში, ათეულში შედის. ეს, რა თქმა უნდა, ურთულესია. მაგრამ ჯობია, ერთი წელი არაფერი გააკეთო და დაელოდო იმ ადამიანს როდის ეცლება, რომ ეს პროექტი შედგეს, ვიდრე იჩქარო და გადაიღო. ასე, წარმატება უფრო მეტად გექნება გარანტირებული. ძალიან მაგარი პროექტია, თან, მით უმეტეს „არგომ“ მოიგო წელს „ოსკარი“. ბენ აფლეკი რომ გამოაკლო „არგოს“, დაახლოებით იგივეა „ჯინსების თაობაც“. ბენ აფლეკს, რომ უმატებ უკვე სხვა მასშტაბს იძენს. მიდის მოლაპარაკება, რომ დაახლოებით ბენ აფლეკის რანგის მსახიობი დავაინტერესოთ. რამდენიმე ვარიანტი გვაქვს, ჯერ ერთზე ვმუშაობთ. დღეს მივიღე წერილი, რომ ის ჩვენს პროექტს განიხილავს. რომ ჩავალ, უკვე ერთმანეთს შევხვდებით. გაყიდვების აგენტებისგანაც საკმაოდ დიდი ინტერესია. თავად გამოდიან კონტაქტზე, მთხოვენ კონტრაქტი გავაფორმოთ, მაგრამ ჯერ არ მინდა. ამ ადამიანს რომ „ჩავკეტავთ“, მერე სულ სხვა რაღაც წავა. დებორა ანგერი ითამაშებს ნათელა მაჭავარიანის როლს, თინას როლზეც რამდენიმე ვარიანტია: რეიჩელ ჰარდ-ვუდი, ჯესიკა ბრაუნ-ფინდლი და ემი თინგარდენი. ჩვენ რეიჩელ ჰარდ-ვუდს ვანიჭებთ უპირატესობას, უკვე მოლაპარაკებულებიც ვართ, ისევე, როგორც ემისთან. ჯესიკა სტივენ სპილბერგის ქასთინგ-დირექტორმა შემოგვთავაზა. ბილი ზეინზთანაც ვამთავრებთ მოლაპარაკებას, კონკრეტულ დეტალებზე უნდა შევთანხმდეთ და ის „ჯინსების თაობაში“ ერთ-ერთ საინტერესო როლს შეასრულებს. ძალიან მოეწონა სცენარი. ამ წასვლაზე ისეთ დონეზე მოვხვდი, რომ თვითონაც გაოცებული ვარ. რაც მთავარია, ეს საქმე ისეთ შედეგს იღებს, რისკენაც აქამდე მივდიოდი. ძალიან რთული გზაა, მაგრამ ნელ-ნელა ისეთი რაღაცები ჩნდება, იხსნება... 5 წლის წინ რომ მარცვალი ჩააგდე, იმას ახლა იმკი. გასაძლები პერიოდია და უნდა გაუძლო. ისეთ სიტუაციებში ხვდები, ისეთი ადამიანების გვერდით, რაც შენთვის წლების წინ წარმოუდგენელი იყო. ეკრანზე უყურებდი – აუ, რა მაგარია და მერე სადილზე ერთად ხვდებით. თუ სწორად მიდიხარ, უკან არ იხევ, არავის უსმენ და შენსას აკეთებ, შედეგს აუცილებლად მიიღებ. თუმცა ძალიან ძნელია. ჩემი შემდეგი პროექტი იქნება მწერალზე, რომელიც ციხის შესახებ წერს და ციხეში მოხვდება. მოკლე ფილმი უკვე გადავიღეთ და ახლა სრულმეტრაჟიანი ფილმის გადაღებას ვაპირებთ. როცა ლოს-ანჯელესის კინოსკოლაში ვსწავლობდი, ფილმი გვაჩვენეს, რომელსაც ჰქვია „ბნელი სამეფო“, სადაც თამაშობდა კრისტანა ლოკენი. კარგი მსახიობია, მეომარი, „ტერმინატორ 3-შიც“ თამაშობს – ტერმინატორის მოწინააღმდეგეა. როდესაც ეს ფილმი ვნახე, მაშინ „დიდგორზე“ ვმუშაობდი და ვიფიქრე: რა კარგი იქნება, ეს ქალი ჩვენს ფილმში-მეთქი. იმის მერე 4 წელი გავიდა და ახლა, იქ რომ ვიყავი, შევხვდით, ვისაუბრეთ, ძალიან უნდა, რომ ითამაშოს ჩვენს პროექტში. ის, რაც 4 წლის წინ წარმოუდგენელი იყო, ჩვეულებრივი გახდა, მაგრამ ამისთვის ძალიან დიდი გზა მქონდა გასავლელი. დიდი სურვილი მქონდა, კრისტა-



**მეც ვხდები რეჟისორთა გილდიის წევრი, ოფიციალურად ვაწერ ხელს. ეს, პირადად ჩემთვის, ძალიან კარგია. წარმოიდგინეთ, მე, რიდლი სკოტი, სტივენ სპილბერგი ერთ გილდიაში ვიქნებით. ამაზე მეტი რაღა უნდა გინდოდეს**

ნას „ჯინსების თაობაშიც“ ეთამაშა, მაგრამ ისეთი ასაკი აქვს, თინასთვის უფროსია, ნათელასთვის – უმცროსი. პატარა როლს კი ვერ შევთავაზებ. აქედან გამომდინარე, „დიდგორში“ ითამაშებს ერთ-ერთ როლს, რომლის გადაღებასაც, სავარაუდოდ, ოქტომბერ-ნოემბერში დავიწყებთ.

**– როდის დაიწყება „ჯინსების თაობის“ გადაღებები?**

– ფაქტობრივად, მზად ვართ. აპრილის ბოლოს გვინდა, დავიწყოთ გადაღებები, თუ ის ადამ-

**ფაქტობრივად, მზად ვართ. აპრილის ბოლოს გვინდა, დავიწყოთ გადაღებები, თუ ის ადამიანი, რომელთანაც გეგას როლზე მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ, თანახმა იქნება და იმ დროს ეცლება**

იანი, რომელთანაც, როგორც უკვე გითხარი, გეგას როლზე მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ, თანახმა იქნება და იმ დროს ეცლება. თუმცა, როცა მოიცლის, მაშინ დავიწყებთ გადაღებებს და ეს რომ დასრულდება, მერე დავიწყებთ და „დიდგორზე“ ვიმუშავებთ.

**– საკმაოდ გამოცდილ და სერიოზულ სტაფთან მოგიწევს მუშაობა, ვგულისხმობ გადამღებ ჯგუფს.**

– ჩვენ ჯერ არაფერი ვიცით, ესენი კი, ყველანი თავის მიმართულებით ტოპ-ათეულის ფილმმეიკერები არიან. ისეთი პროდუქტის შექმნაში გეხმარებიან, მსოფლიოს ნებისმიერ კინოდარბაზში რომ გაუშვა, კარგი იქნება და იამაყებ. სასწავლი ბევრია და ჩვენი მიზანია, ყველაფერი უმაღლეს დონეზე იყოს. თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ ტოპ-ათეულის ფილმმეიკერებში აუცილებლად ვიქნები. ეს გეგმაა და განვახორციელებ. ყველაფერი მონდომების, ნებისყოფის, სწავლის, სწორად გათვლის შედეგია. ვინც ასე მოიქცევა, ყველას შეუძლია, მიაღწიოს წარმატებას, მარტო „მინდაზე“ არაფერი ხდება. ბევრი მაქვს სასწავლი, იმ დონემდე რომ მივიდე, მაგრამ აუცილებლად მივალ.

**– გარდა ფილმებისა, უკვე რეკლამებზეც დაიწყე მუშაობა. ცოტა ხნის წინ ვინი ჯონსიც ჩამოიყვანე სპეციალურად ერთ-ერთ რეკლამაში გადასაღებად.**

– ჩემი სურვილია, პროდუქტი, რაზეც ჩვენ ვმუშაობთ, საქართველოდან გავიდეს. ძალიან ძნელია, ქართველი ინვესტორი დააჯერო იმაში, რომ ამხელა რაღაცის გაკეთება შეგიძლია. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში კინოს არ ექცევა ყურადღება, სამაგიეროდ, რეკლამას აქვს დიდი მნიშვნელობა. ამიტომ, გავხსენით სარეკლამო ბაზარზე ჩვენი მიმართულება. გვინდა, გავაკეთოთ მსოფლიო დონის პროდუქტი მსოფლიო ვარსკვლავებთან ერთად. კლიპი ჯერ არ გადამილია, მაგრამ ჩვენ გვაქვს მომსახურება და ერთ-ორ წელიწადში შემეძლება, როგორც ქართულისთვის, ისე უცხოური პროდუქტისთვის შევთავაზო არჩევანი: რომელი მსახიობი ან მომღერალი, მოდელი უნდათ გადასაღებად და ისინი დავაინტერესო. ასე მოხდა ამ შემთხვევაშიც. ბანკმა „კონსტანტამ“ თავისი პროდუქტისთვის „ინბოქსისთვის“ გააკეთა ეს რეკლამა. სერიოზული რამაა, აქამდე არავის გაუკეთებია. მე და ლაშა გოგუა, რომელიც „ინბოქსის“ მარკეტინგის მენეჯერი და აზრზე მოსული ადამიანია, შევთანხმდით და „ინბოქსის“ „გასამარიაჟებლად“ ჩამოვიყვანეთ ვინი ჯონსი. 5 დღის განმავლობაში ამ პროდუქტის შესახებ ყველამ გაიგო. ვინი ჯონსთან უშუალოდ მე ვაწარმოებდი მოლაპარაკებას და ვიცი, როგორ უნდა წავიყვანო მოლაპარაკებები. ამიტომ, თუ მე ვაკეთებ, ბოლომდე მე უნდა გავაკეთო, სხვას არ გავაკეთებინებ. მოკლედ ავუხსენი ყველაფერი და ფინანსურ დეტალებზეც შევთანხმდით. რა თქმა უნდა, იოლად არავინ არაფერზე მოდის, მაგრამ შენ ისეთი კომფორტი უნდა შეუქმნა, მოანდომო ის, რაც გინდა, რომ გააკეთო. ეს უნდა იცოდე. დღეს მე და ვინი ახლო მეგობრები ვართ. ძალიან მოეწონა ქვეყანა და „ჯინსების თაობაშიც“ ითამაშებს გია ტაბიძის როლს. მაისში ჩამოვა გადაღებებზე. ყოველ შაბათს სახლში აკეთებს ფართის – მსახიობები, მომღერლები, მისი მეგობრები, კინოსა და შოუ-ბიზნესის წარმომადგენლები იკრიბებიან, პოკერს თამაშობენ. მეც ვიყავი ორჯერ, საინტერესო ხალხი გავიცანი. პოკერს არ ვთამაშობ, მაგრამ ჩემი ძმაკაცი წავიყვანე, რომელიც თამაშობს. ახლა მეორე კომპანია დაინტერესდა, რომელიც ითხოვს ძალიან ცნობილ მანდილოსანს, მასთან უკვე დაიწყო მოლაპარაკებები და რომ ჩავალ, დავამთავრებთ საქმეს. ზაფხულში მასაც ჩამოვიყვანთ.

**ნათია უტიაშვილი**

**„რუსთავი 2-ის“ დილის კულინარიული რუბრიკის წამყვანი ნათია მონტგომერი საოცრად კარგი, თბილი და საინტერესო რესპონდენტი აღმოჩნდა. რამდენიმე წლის წინ მიიწვიეს ამერიკაში კონფერენციაზე, მუშაობა დაიწყო ერთ-ერთ კომპანიაში და სულაც არ მოელოდა, რომ ცხოვრებას კულინარიას დაუკავშირებდა. ერთ-ერთ ამერიკულ ოჯახში მოხვედრამ კი მისი გეგმები რადიკალურად შეცვალა. როგორ გაიცნო მომავალი მეუღლე ამერიკაში და რა ცვლილებები მოხდა მის ცხოვრებაში, ამას თავად ნათია გვიამბობს.**

# რამ შეცვალა ნათია მონტგომერის ცხოვრება რადიკალურად, რომელი ქალაქით აღფრთოვანდა ამერიკაში და რა სიურპრიზებს უწყობდა მას ამერიკელი მეუღლე

**ნათია მონტგომერი**: 1998 წელს გავემგზავრე შეერთებულ შტატებში. ვმუშაობდი ამერიკულ კომპანიაში. ეს იყო დიეტური დანამატებისა და ვიტამინების კომპანია. ყველაფერი დაიწყო იმით, რომ გავგზავნე სივი ერთ-ერთ კომპანიაში, რის შემდეგ მომივიდა მოწვევა კონფერენციაზე. ეს იყო ნეშვილის შტატში. მივედი კონსულთან, მივიღე მისგან საოცნებო „ვიზა“ და გავემგზავრე. მახსოვს, ზამთარი იყო, იანვარი. მოვხვდი სასტუმროში, რომელიც იყო სულ შუშებში, ნომრამდე მივდიოდი გონდოლებით და ისმოდა ჩიტების საოცარი ჭიკჭიკი. მაშინ ჩვენთან „კერასინკების“ დრო იყო, უშუქობა და აქედან იქ მოხვედრა იყო ნამდვილი სასწაული. რაღაც ჯადოსნურ სამყაროს ჰგავდა. საქართველოდან წავედი სულ მარტო. ჯიბეში მხოლოდ 200 დოლარი მქონდა.

– **ამერიკულ კომპანიაში მუშაობის დაწყება ადვილი არ იქნებოდა.**

– თავიდან კონფერენციაზე ვიყავი მიწვეული, რადგან ვიცოდი რუსული და ინგლისური. ალბათ ჩემში რაღაც მოეწონათ, რადგან ამიყვანეს. კომპანიაში დიდხანს არ დავრჩენილვარ. ხელფასი არც ისე დიდი იყო და მერჩივნა სხვა სამსახური მომეძებნა. შემდეგ სხვა შტატში გადავედი საცხოვრებლად. ვიპოვე სამსახური ერთ-ერთ ძალიან მდიდარ ოჯახში და ამიყვანეს როგორც პერსონალური შეფი. ყოველთვის მეხერხებოდა კულინარია, თუმცა, მაშინ წარმოდგენაც არ მქონდა, რომ კულინარიის ფაკულტეტზე ჩავაბარებდი და ამ სფეროში გავიღრმავებდი ცოდნას. ძალიან გამიმართლა, რადგან, გადასარევ ოჯახში მოვხვდი. გამონათქვამია ასეთი: „იპოვე სამსახური, რომელიც გიყვარს და შენ არასდროს არ იმუშავებ“. ასე მოხდა ჩემს შემთხვევაშიც. კაცი, რომელთანაც ვმუშაობდი, იყო ფინანსური მრჩეველი და ზოგადად ძალიან განათლებული ადამიანი. ის, ასევე, იყო არაჩვეულებრივი კულინარი, ძალიან ბევრი რამ მასწავლა კულინარიაში, საოცრად დამხვეწა.

– **ალბათ, თქვენც იცოდით კერძების მომზადება პროფესიონალურ დონეზე, რადგან შეფად აგიყვანეს.**

– მე მხოლოდ ქართული სამზარეულო ვიცოდი, დავაინტერესე იმით, რომ ბევრი ვისაუბრეთ. პირველი, რაზეც ვილაპარაკე, იყო ნიგვზიანი ბადრიჯანი. აღფრთოვანებით ვყვებოდით, თუ რა საოცარი გემო აქვს ნიგვზიან ბადრიჯანს და, ზოგადად, ნიგვზით მომზადებულ კერძებს. სიამოვნებით მისმენდნენ, მაგრამ, ბოლოს მითხრეს, რომ ნიგოზს არ მიირთმევდნენ, რადგან ნაღველთან დაკავშირებით პრობლემები ჰქონდათ ***(იცინის).*** ამ ადამიანს იუმორი ჰქონდა განვითარებული იმდენად მაღალ დონეზე, რომ ძალიან მსუბუქად გამოიყვანა ეს თემა და ბევრი ვიხარხარეთ ***(იცინის).*** რატომღაც, მოვეწონე. მაშინ არ მქონდა დიპლომი ამ სფეროში, მაგრამ, მაინც ამიყვანა, შანსი მომცა. პირველი კერძი, რაც იქ მოვამზადე, ეს იყო ბულგარული წიწაკის ტოლმა. აღფრთოვანდა, ისე მოეწონა. სულ მეუბნებოდა, რომ ძალიან კარგი მონაცემები მქონდა და კულინარიის ინსტიტუტში უნდა ჩამებარებინა, მაგრამ იქ სწავლა ძალიან ძვირი ღირდა. არასდროს მიფიქრია კულინარიის ინსტიტუტში ჩაბარებაზე, თუმცა ისე მოხდა, რომ რამდენიმე წლის შემდეგ ამ კაცმა დააფინანსა ჩემი სწავლა. ეს გახლდათ ფრანგული კულინარიის ინსტიტუტი ნიუ-იორკში. როცა პირველად შევედი ამ ინსტიტუტში, მივხვდი, რომ თურმე აქამდე საჭმლის გემოს არასრულფასოვნად ვაფასებდი. კერძები იყო საოცრად გემრიელად შეზავებული. ერთი ინგრედიენტი არ უნდა ჯაბნიდეს მეორეს, ყველამ თავისი სიტყვა უნდა თქვას კერძში. მაგალითად, მწვანილის გემო არ უნდა იყოს წინ წამოსული, ჭამისას ყველა ინგრედიენტის გემოს ცალ-ცალკე უნდა იგებდე. ამ ინსტიტუტში ვისწავლე, რამდენად არაჩვეულებრივი გემო ეძლევა კერძს, თუკი მას ხარისხიანად და სწორად მოამზადებ.

– **თქვენ თვითონ რომელი ქვეყნის სამზარეულო მოგწონთ ყველაზე მეტად?**

– ძალიან მომწონს ფრანგების დამოკიდებულება კულინარიის მიმართ – უყურებენ როგორც ხელოვნებას, მუსიკას, ფერწერას. თუმცა, გამოვარჩევდი იაპონურ სამზარეულოს. ძალიან ჯანმრთელი კერძები აქვთ და ამავდროულად მსუბუქი, ჰაეროვანი.

– **თქვენი და თქვენი მეუღლის გაცნობას ძალიან საინტერესო ისტორია აქვს...**

– ჩემი მეუღლე გავიცანი იმ ოჯახში, სადაც ვმუშაობდი. ის იყო მისტერ პერონის მეგობარი და ძალიან ხშირად მოდიოდა მასთან. თავიდან, უბრალოდ, ვმეგობრობდით, შემდეგ კი გაჩნდა სიმპათიები. ჩემი მეუღლე არის საინვესტიციო სადაზღვევო კორპორაციაში ერთ-ერთი განყოფილების მენეჯერი. როგორც შემდეგ გავიგე, თვითონაც არაჩვეულებრივი კულინარი ყოფილა. ძალიან მოიხიბლა ჩემს მიერ მომზადებული კერძებით. როდესაც ის მოდიოდა სტუმრად, ვცდილობდი, ყველაფერი განსაკუთრებული გამომსვლოდა. მახსოვს, „მისტერიული უცხოელი“ შემარქვა. მისთვის ძალიან ამოუცნობი იყო საქართველო. ნამყოფიც არ იყო. როგორც იცით, ამერიკაში არის ასეთი შტატი ჯორჯია და ეს შტატი განსაკუთრებით ცნობილია გემრიელი ატმით. ვინაიდან ჩვენს ქვეყანასაც იგივე სახელი ჰქვია, „ჯორჯიას ატამს“ მეძახდა *(იცინის).*



**საქართველოდან წავედი სულ მარტო, ჯიბეში მხოლოდ 200 დოლარი მქონდა**

– **შემდეგ როგორ განვითარდა თქვენი ურთიერთობა, როგორ გადაიზარდა მეგობრობა სიყვარულში?**

– ის ძალიან რომანტიკული და თბილი ადამიანია. მას შემდეგ, რაც სიმპათიები გაუჩნდა ჩემს მიმართ, ცდილობდა სიურპრიზები მოეწყო. ჩვენ ერთი წლის განმავლობაში ვხვდებოდით ერთმანეთს და შემდეგ დავქორწინდით. მახსოვს, ერთხელ წამიყვანა ნიუ-ჯერსის შტატში. „შეყვარებულების ქალაქს“ ეძახიან იმ ქალაქს, სადაც მთელი მსოფლიოდან ჩადიან დამსვენებლები, რადგან, იქ არის საუკეთესო რესტორნები და თითოეული მათგანი ხუთვარსკვლავიანია. ძველი სახლები დგას. ადრე თავადებს რომ სახლები ჰქონდათ, ისეთი. სხვათა შორის, თბილისურ სახლებსაც მაგონებდა. რესტორნებში ძალიან რომანტიკული ოთახები იყო, სპეციალურად მოწყობილი, ყვავილებიანი შპალერებით. ძალიან სასიამოვნო იყო იქ აივანზე ჯდომა. მივირთმევდით კოქტეილს, ამ დროს კი ჩვენ წინ დადიოდა ცხენებიანი ფაეტონი... კერძებიც, რასაკვირველია, არაჩვეულებრივი იყო. მოგვართვეს „კრაბ-ქეიქები“. როგორც იცით, კრაბს ცოტა ხორცი აქვს და ძალიან დიდი რაოდენობაა საჭირო, რომ კოტლეტივით შეკრა. უფრო სწორად გუფთის ფორმა ჰქონდა, ეს კი იყო მრგვალი გუნდა დიდი ხორცებით და საოცრად შეზავებული კვერცხით, საფანელით, მწვანილითა და სხვადასხვა სანელებლით. შემდეგ სურნელოვან ზეთში იწვება და, მოკლედ, ძალიან ჰაეროვანი და გემრიელი კერძია. მე მისი გემო არასდროს დამავიწყდება. ვფიქრობ, ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე საოცარი კერძი, რომელიც კი ოდესმე გამისინჯავს. ძალიან მინდა, აქ გავაკეთო ეს „კრაბ-ქეიქი“, მაგრამ, აქ არ არის ის კრაბი, რომელიც საჭიროა და როდესაც შემოვა, აუცილებლად მოვამზადებ ამ კერძს ჩვენი მაყურებლისთვის.

**პირველი ატმის მწარმოებელი შტატი არის ჯორჯია და ყველგან აქვს ექსპორტი. ვინაიდან ჩვენს ქვეყანასაც იგივე სახელი ჰქვია, „ჯორჯიას ატამს“ მეძახდა**

– **რატომ გადაწყვიტეთ საქართველოში დაბრუნება და როგორ მოხვდით „რუსთავი 2-ში“ დილის კულინარიის წამყვანად?**

– როდესაც დავამთავრე ინსტიტუტი, შემდეგ გავაჩინე ბავშვი – ალექსი, რომელიც 3 წლისაა. იქ ინგლისურად ვლაპარაკობთ, არადა ყოველთვის მინდოდა, ჩემს შვილს ქართული სცოდნოდა. ამიტომ, გადავწყვიტე, ცოტა ხნით ჩამოვსულიყავი საქართველოში. თანაც, მინდოდა, ალექსს გაეცნო ჩემი და, დისშვილები, მათი შვილები... ჩემმა მეუღლემ უპრობლემოდ გამომიშვა. როგორც იცით, თვითონ იქ მუშაობს და ასე ადვილად ვერ დატოვებდა ყველაფერს. ამიტომ მე და ალექსი წამოვედით. შემდეგ გადავწყვიტე აქ დავსაქმებულიყავი. მინდოდა, ჩემი ცოდნა და გამოცდილება კულინარიის სფეროში სხვებისთვის გამეზიარებინა. ქართული კულინარია არის კლასიკა და ხელშეუხებელი თემა, მაგრამ, როგორც იცით, ბაზარზე უამრავი პროდუქტი შემოვიდა და სწორედ ახალი ინგრედიენტების სიჭარბემ გახადა აუცილებელი, რომ შექმნილიყო ახალი კერძები. სწორედ ამიტომ, დავწერე და ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ გამოსცა კრებული – „ახალი ქართული კერძები“. თუმცა, წიგნი არ არის საკმარისი იმისთვის, რომ ჩემი გამოცდილება და პრაქტიკა ხალხს გავაცნო. ყველაზე კარგი საშუალება ამისთვის იყო მედია. ამიტომ, გადავწყვიტე წერილი მიმეწერა ქალბატონი ნინო არაზაშვილისთვის, თუმცა თავი არ წარმიდგენია კულინარად. მაშინ ქალბატონი თათული დოლიძე და ბატონი ჟანრი ლოლაშვილი იყვნენ დილის კულინარიული რუბრიკის წამყვანები. ნინო არაზაშვილს მივწერე, რომ შემიძლია ოჯახში გასათვალისწინებელი ასობით პრაქტიკული რჩევა მივცე-მეთქი მაყურებელს. ანუ სასარგებლო რჩევების რუბრიკას ვთავაზობდი. ამის შემდეგ ქალბატონმა ნინომ დამიბარა და ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც ხედავთ. „რუსთავი 2-ის“ დილის გადაცემის გუნდი მისი ლიდერის მსგავსად მაყურებლის წინაშე უდიდეს პასუხისმგებლობას გრძნობს. დღე და ღამე მუშაობენ, რომ ძალიან საქმიანი და საინტერესო გადაცემა წარუდგინონ ყოველ დილით მაყურებელს. „დილა მშვიდობისა საქართველოს“ სტაბილურად მაღალი რეიტინგი ამაზე მეტყველებს. ამ გუნდში ესმით, რომ მათ ბევრი ჭკვიანი, აზრიანი, გემოვნებიანი და მომთხოვნი ადამიანი უყურებს. ამიტომ ცდილობენ მათი ინტერესების დაკმაყოფილებას. ეს მაღალი სტანდარტის მანიშნებელია. მიხარია, რომ მათი ჯგუფის ერთ-ერთი წევრი ვარ და წვლილი უნდა შევიტანო საერთო მიზნის სრულყოფაში.

– **როგორია თქვენი სამომავლო გეგმები; თქვენი მეუღლე ხომ არ აპირებს საქართველოში საცხოვრებლად ჩამოსვლას?**

– ჩემი მეუღლე წელიწადში ორჯერ ახერხებს ჩამოსვლას – ამერიკაში შვებულებით არ არიან გათამამებულები. ახლა ძალიან მალე ჩამოვა; შვებულების დროს ალბათ მეც წავალ იქ. ძალიან მინდა, რომ ჩემი მეუღლეც აქ ჩამოვიდეს და იპოვოს რამე სამსახური. მას ძალიან მოსწონს საქართველო. იქ ძალიან კარჩაკეტილად ცხოვრობენ, ყველას თავისი ცხოვრება აქვს და, აქედან გამომდინარე, ძალიან მოეწონა ჩვენი ტრადიციები და კულტურა. „ეს არის ის ქვეყანა, სადაც მე დიდი ხნით ვიცხოვრებდი, სადაც ვგრძნობ, რომ ცოცხალი ვარ, სადაც ყველაზე სასიამოვნო ემოციები ილვიძებს ჩემში“, – ასე ამბობს ხოლმე ***(იცინის).***

**ხატია კარანაძე**

# თეატრები

## შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**რუსთაველის გამზირი №17. ტელ.: 272-68-68**

21 მარტი, **ხუთშაბათი** 19.45 - **„სტუმარ-მასპინძელი"** - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი ვალერიან გორგოშაძე. მონაწილეობენ: ბაჩო ჩაჩიბაია, ია სუხიტაშვილი, მანანა აბრამიშვილი, ლევან ხურცია, გელა ლეჟავა. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი;***

22 მარტი, **პარასკევი** 19.45 - **„რა საოცარი დღეა..."** (ჩრდილების თეატრი) - (ბილეთის ფასი - 6, 8 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი გელა კანდელაკი. მონაწილეობენ: ვადიმ შუბითიძე, ელენე მურჯიკნელი, პაატა შენგელია, ანჟელა აბშილავა, გიორგი ჭანტურია, ელენე ზურაბაშვილი. ***ხანგრძლივობა 1სთ. 20წთ.;***

22 მარტი, **პარასკევი** 19.45 - **„ვთამაშობთ სტრინდბერგს"** - (ბილეთის ფასი - 8 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორები: რობერტ სტურუა და ანდრო ენუქიძე. მონაწილეობენ: თათული დოლიძე, ზუკა პაპუაშვილი, ლევან ხურცია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 10 წუთი;***

23 მარტი, **შაბათი** 19.45 - **„ჯარისკაცი, სიყვარული, დაცვის ბიჭი და... პრეზიდენტი".** (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), რეჟისორი რობერტ სტურუა. მონაწილეობენ: ნინო არსენიშვილი, გოგა ბარბაქაძე, პაატა გულიაშვილი, ბესო ზანგური, ნინო თარხან-მოურავი, გაგი სვანიძე, ია სუხიტაშვილი, ნიკა ქაცარიძე. კომედია. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 50 წუთი;***

24 მარტი, **კვირა** 19.45 - **„პრინცი ჰომბურგი".** (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), რეჟისორი გოშა გორგოშიძე. მონაწილეობენ: ირაკლი მაჭარაშვილი, მარინა ჯანაშია, ია სუხიტაშვილი, ზურა ინგოროყვა, სანდრო მიკუჩაძე-ღაღანიძე, დავით უფლისაშვილი, ბაჩო ჩაჩიბაია, ბაჩი ლეჟავა, ბექა სონღულაშვილი, მანანა აბრამიშვილი; დრამა. ***ხანგრძლივობა: 2სთ.***

## კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**მარჯანიშვილის ქუჩა №8, ტელ.: 295-59-66.**

19 მარტი, **სამშაბათი** 20.00 - **„კოტე მარჯანიშვილი".** თეატრის შექმნის ამბავი - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 6 - 16 ლარი), რეჟისორები: ლევან წულაძე, დიმიტრი ხვთისიაშვილი. მონაწილეობენ: აკაკი ხიდაშელი, ეკა ჩხეიძე, მანანა კოზაკოვა, ნინო დუმბაძე, ლილე ფილფანი, ლიკა ქობულაძე, ზურა ბერიკაშვილი, დიმიტრი ტატიშვილი, როლანდ ოქროპირიძე, ნიკა კუჭავა. ***ხანგრძლივობა: 3სთ.***

21-22 მარტი, **ხუთშაბათი-პარასკევი** 20.00 - **„სამი პიესა"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 8, 10, 14, 16 ლარი), ქორეოგრაფები: ტრიშა ბრაუნი, ხავიერ დე ფრუტოსი, ვენდი ჰიუსტონი. „ქენდუკო" ინტეგრირებული ქორეოგრაფიული კომპანია დიდი ბრიტანეთიდან; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

23 მარტი, **შაბათი** 20.00 - **„როგორც გენებოთ"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 6 - 16 ლარი), რეჟისორი ლევან წულაძე. მონაწილეობენ: მანანა კოზაკოვა, ნატო კახიძე, ქეთევან შათირიშვილი, ქეთევან ცხაკაია, ნატა მურვანიძე, თამარ ბუხნიკაშვილი, ნიკოლოზ თავაძე, მალხაზ აბულაძე, ბესო ბარათაშვილი, დავით ხურცილავა, ნიკა კუჭავა, ზურაბ ბერიკაშვილი, როლანდ ოქროპირიძე, ონისე ონიანი. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

23 მარტი, **შაბათი** 20.00 - **„პეიზაჟს აკლია სითბო"** (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), დამდგმელი რეჟისორი დიმიტრი ხვთისიაშვილი. მონაწილეობენ: ეკა ჩხეიძე, ვალერი კორშია, ლილე ფილფანი, დიმიტრი ტატიშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

24 მარტი, **კვირა** 12.00 - **„თოვლის დედოფალი"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 8 - 14 ლარი), რეჟისორი ციცინო კობიაშვილი. მონაწილეობენ: ზაზა გოგუაძე, გიორგი კიკნაძე, მარლენ ეგუტია, თამარ სხირტლაძე, ანი გუჯეჯიანი, ნიკა გუჯეჯიანი, ლელა მებურიშვილი, ნინო დუმბაძე, ეკა მჟავანაძე; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 10 წუთი;***

24 მარტი, **კვირა** 20.00 - **„ჰამლეტი"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 6 - 16 ლარი), რეჟისორი თემურ კუპრავა. მონაწილეობენ: კოკო როინიშვილი, პაატა პაპუაშვილი, მალხაზ აბულაძე, ალეკო მახარობლიშვილი, ეკა ჩხეიძე, მარიამ ნადირაძე; ***ხანგრძლივობა: 4სთ. 20 წუთი;***

24 მარტი, **კვირა** 20.00 - **„ტანგო ნაბიჭვართან"** - (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორები: ქეთევან ხარშილაძე, გურამ ვაშაკიძე. მონაწილეობენ: კოტე თოლორდავა, ია შუღლიაშვილი, ეკა ნიჟარაძე, ლილე ფილფანი, ნინო გომართელი, ნინო დუმბაძე, თამარ ბუხნიკაშვილი, ნიკუშა ჩიქოვანი, ლევან გელბახიანი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი.***

## თავისუფალი თეატრი
**რუსთაველის გამზირი №2, ტელ.: 298-58-21.**

19 მარტი, **სამშაბათი** 19.00 - **„ჯინსების თაობა"** - (ბილეთის ფასი - 6, 12, 14 ლარი), რეჟისორი დათო დოიაშვილი. მონაწილეობენ: მარინა ჯანაშია, ნანა დარჩიაშვილი, გოგა ჩხეიძე, დიმა მერაბიშვილი, მერაბ ყოლბაია, აპოლონ კუბლაშვილი, ლელა მეტრეველი, ჯაბა კილაძე, მარიამ ნადირაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 45 წუთი;***

20 მარტი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„საძაღლე"** - (ბილეთის ფასი - 6, 10, 12 ლარი), რეჟისორი ვანო ხუციშვილი. მონაწილეობს: სლავა ნათენაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

21 მარტი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„რვა მოსიყვარულე ქალი"** - (ბილეთის ფასი - 6, 10, 12 ლარი), რეჟისორი მაია ჩართოლანი. მონაწილეობენ: მარინა ჯანაშია, ლალი ბადურაშვილი, ანი ზამბახიძე, ნინო კიკაჩეიშვილი, მაია ხორნაული, სალომე ჭულუხაძე, ფიქრია ნიქაბაძე, ანა მღებრიშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

22 მარტი, **პარასკევი** 20.00 - **„მიყვარხარ! მიყვარხარ! მიყვარხარ!"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), პიესის ავტორი და რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: მარიამ ჯოლოგუა, აპოლონ კუბლაშვილი, ანი ალადაშვილი, გიორგი ჯიქია, კახა მიქიაშვილი, მამუკა მუმლაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;***

23 მარტი, **შაბათი** 19.00 - **„ვალსი ძილის წინ"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: ქეთა ლორთქიფანიძე, მაია დობორჯგინიძე, მარიამ ჯოლოგუა, თამუნა ნიკოლაძე, თიკო კორძაძე, სალომე ჭულუხაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

24 მარტი, **კვირა** 19.00 - **„წვიმის გამყიდველი"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი ნუგზარ ლორთქიფანიძე. მონაწილეობენ: ქეთა ლორთქიფანიძე, სანდრო მარგალიტაშვილი, მამუკა მუმლაძე, გიორგი ჯიქია, ლაშა გურგენიძე, შაკო მირიანაშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.***

## ახმეტელის თეატრი
**ვეკუას ქუჩა №8. ტელ.: 262-59-73, 262-61-97.**

21 მარტი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„მაგიის საოცრებანი"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), მონაწილეობენ: გოგა თავაძე, ზურა ავსაჯანიშვილი, აკაკი ხიდაშელი, გვანცა დადიანიძე, კახა ჯოხაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;***

22 მარტი, **პარასკევი** 19.00 - **„ღია შუშაბანდი"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი დიმიტრი ხვთისიაშვილი. მონაწილეობენ: ნუგზარ ყურაშვილი, თამარ ბეჟუაშვილი, ამირან ქაჩიბაია, გვანცა კანდელაკი, მზია ტალიაშვილი, მამუკა მაზავრიშვილი, ზურაბ წიკლაური. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

23 მარტი, **შაბათი** 19.00 - **„პანთეონი"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი დიმიტრი ხვთისიაშვილი. მონაწილეობენ: მამუკა მაზავრიშვილი, თამარ ბეჟუაშვილი, შალვა ბახტაძე, ნელი ბადალაშვილი, კახა ჯოხაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

24 მარტი, **კვირა** 19.00 - **„გასროლა"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი გიორგი ქანთარია. მონაწილეობენ: თამარ ბეჟუაშვილი, მამუკა მაზავრიშვილი, გვანცა კანდელაკი, კახა ჯოხაძე, ჯაბა ჯაფარიძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

## ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრი
**აღმაშენებლის გამზირი №182. ტელ.: 234-80-90.**

21-22 მარტი, **ხუთშაბათი-პარასკევი** 20.00 - **„გაყრა"** - ვოდევილი - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი დავით დოიაშვილი. მონაწილეობენ: გიორგი ყველაშვილი, ლაშა რამიშვილი, ცისია მეტრეველი, ნინო მითაიშვილი, არჩილ სოლოღაშვილი, გოგა მოძმანაშვილი, ბუბა გოგორიშვილი, მარინა ჯოხაძე, შორენა კურტანიძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

23-24 მარტი, **შაბათი-კვირა** 20.00 - **„(შუა) ზაფხულის ღამის სიზმარი"** - (ბილეთის ფასი - 10, 15 ლარი), რეჟისორი დავით დოიაშვილი. მონაწილეობენ: ბუბა გოგორიშვილი, კახა კინწურაშვილი, არჩილ სოლოღაშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.***

## ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრი
**ჭავჭავაძის გამზირი №32. ტელ.: 229-47-15.**

22 მარტი, **პარასკევი** 20.00 - **„ბლეზი" ვოდევილი სამ მოქმედებად** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი სანდრო ელოშვილი. მონაწილეობენ: ქეთი ძოწენიძე, მეგი ჯამასპიშვილი, გიორგი ჭუმბურიძე, ნიკუშა გიორგაძე, სალომე მიქაძე, ნუცა ხვედელიძე, მაგდა ხურციძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ. 10 წუთი;***

23 მარტი, **შაბათი** 20.00 - **„ფსიქოზი 4:48"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისურა, მხატვრობა და მუსიკალური გაფორმება ბუბა ბასიშვილისა და გოგა ქაჩიბაიასი. მონაწილეობენ: ეკა აბშილავა, ნინო ლეჟავა. ***ხანგრძლივობა: 1სთ.;***

24 მარტი, **კვირა** 20.00 - **„ჭკუისა მჭირს"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი ოთარ ეგაძე. მონაწილეობენ: ნიკა გიორგაძე, მაკა ძაგანია, კახა გოგიძე, ვასიკო ოდიშვილი, დათო გიგოლაშვილი, სოსო მჭედლიშვილი, ლევან მამნიაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი.***

## გრიბოედოვის თეატრი
**რუსთაველის გამზირი №2 ტელ.: 293-11-06.**

22 მარტი, **პარასკევი** 18.00 - **„ხოლსტომერი. ცხენის ისტორია"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი ავთანდილ ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: ვალერი ხარიუტჩენკო, ლუსია არტიომოვა, აპოლონ კუბლაშვილი, მარიშა კიტია, არჩილ ბარათაშვილი, მიშა არჯევანიძე, სანდრო მარგალიტაშვილი, ლაშა გურგენიძე, სოფიო ლომჯარია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი.***

23 მარტი, **შაბათი** 18.00 - **„ინგლისური დეტექტივი"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი ვახტანგ ნიკოლავა. მონაწილეობენ: არჩილ ბარათაშვილი, ნანა დარჩიაშვილი, მიხეილ არჯევანიძე, ირინა კვიჟინაძე, ინა ვოროზიოვა. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

24 მარტი, **კვირა** 12.00 - **„ზღაპარი სალთან მეფეზე"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი ავთანდილ ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: მარი კიტია, მიხეილ არჯევანიძე, კარინა ყენია, სოფო ლომჯარია, აპოლონ კუბლაშვილი, ლუდმილა არტიომოვა-მღებრიშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 10 წუთი.***

**დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.info-tbilisi.com.**
**ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.**

ინფო-თბილისი
თქვენი ზღაპრული თბილისში
INFO-TBILISI
YOUR GUIDE TO TBILISI
www.info-tbilisi.com

## ორშაბათი 18 მარტი

**06.30** დ/ფ ,"მომეცით ხმა" **07.30** "ჩვენი დილა" (პ/ე) **09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.35** "მოამბე" **11.00** "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) **12.45** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" **15.00** დ/ფ "ადამიანი – პლანეტა" **17.00** დ/ფ "მეცნიერების ისტორია" **18.00** "პეპე და მეგობრები" **19.05** დ/ფ "ისტორიის შექმნა" – განგსტერები **21.00** სპორტული პროგრამა – "ევროპა **2013**" – სპეცგამოშვება (პ/რ) **22.00** "დიალოგი დავით პაიჭაძესთან" **23.00** "კომენტატორი" **00.00** "საფარი" **00.30** მხ/ფ "**პირადი მცველი**" (ტიტ.) (უ.ჰიუსტონი) **02.50** დ/ფ " მშვიდობით ამხანაგებო".

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ."**იღბლიანი მოახლე**" **11.20** სერ. "**მაფიის ქვრივი**" **13.00** სერ. "**24 – 6**" **14.40** კონცერტი: "ვალერი მელაძე პიაცაზე" **16.00** სერ."**დამალული სიმართლე**" **17.50** სერ. "**თილისმა**" **18.50** სერ. "**სახიფათო ვნება**" **21.00** სერ. "**მარტოსული**" **22.00** ქ/სერ "**ცხელი ძაღლი**" **9** სერ. **23.00** მხ/ფ "**შეცვლა**" (ჯ.გოლდბლუმი) **01.05** მხ/ფ "**ქვის მთლელი**" (ჯ.პაკულა) (ტიტ) **02.30** მუსიკა.

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**სიყვარული მშვენიერია**" **11.00** სერ. "**იდუმალი ქალი**" **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** შერეკილები **17.00** სერ."**ვნების უფსკრული**" **18.45** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **20.05** სერ"**ერთგულების ძალა**" **22.00** ქ.მხ/ფ "**ცელქი ბავშვები**" **00.00** შიშის ფაქტორი **01.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერი დაიჯესტი.

**7.00** ახალი ამბების კოლაჟი (გამ) **7.30, 11.30, 12.30, 15.30, 17.10, 18.45, 5.55, 6.35** უცხოეთის ამბები **7.55, 10.55, 11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 6.55** უკომენტაროდ+ამინდი **8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 0.00** ახალი ამბები **8.10, 9.10, 10.15** მაღვიძარა **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **13.15, 14.15, 4.00** თავისუფალი დრო **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **16.10** მაესტროს პრესკლუბი **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **19.00** ახალი ამბები ინგლისურ ენაზე **19.05, 0.30** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **20.00** ამბები მოკლედ **20.05, 1.40** თოქ-შოუ - "არგუმენტები" **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.00, 1.20** "ყოველდღიური აბები" **22.20, 2.30** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი" **5.35, 6.00** ახალი ამბების კოლაჟი.

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05** საეკლესიო კალენდარი **06.10** კონცერტი-აღდგომიდან ამაღლებამდე "სანკტუსი" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.15** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.30** ისტორიის დღიური **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.30** უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა **10.35** ლექსით ქებათა ქება **10.40** კვირიაკე **12.10** კალმის წვერი,ბულბულის ნისკარტი **12.15** დოკ/ფ "წმინდა ოთხთავი" I ნაწ. **14.05** კონცერტი-ვერდის რექვიემი **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმრები **15.25** დოკ/ფ "მესაზღვრე ბერები" **17.05** საწინასწარმეტყველო საკითხავის განმარტება (გ. გვასალია) **17.20, 19.20, 01.00** ანდრია კრიტელის კანონი **18.10** დიდ ხარ შენ,უფალო **18.30** ქრისტიანული სწავლება **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.10, 02.30** სიახლენი **19.35** დოკ/ფ "საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** სალვთისმეტყველო საუბრები **21.55** უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა **22.25** საქართველოს ისტორია **22.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **22.55** კალმის წვერი,ბულბულის ნისკარტი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** სალვთისმსახურო წელიწადი **23.40** კვირიაკეს სიუჟეტი "საქართველოს ეკლესიის ისტორია" მეუფე ანანია **00.30** ისტორიის დღიური **00.35** განთიადის სტუმრები **01.35** დოკ/ფ "ხვამლი".

## სამშაბათი 19 მარტი

**06.30** "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** "ჩვენი დილა" (პ/ე) **09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 20.00, 01.10** "მოამბე" **11.00** "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) **12.45** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" **15.00** დ/ფ "თანამედროვე იარაღი/ **17.00** "საფარი" **17.30** თავისუფალ ჭიდაობაში ევროპის ჩემპიონატის ცერემონიალის გახსნა (პ/რ) **17.00** ევროპის ჩემპიონატი თავისუფალი ჭიდაობაში. ფინალები (პ/რ) **21.00** ტ/სერ "**მიმინო**" **22.00** "აქცენტები" **23.30** მხ/ფ "**მისტერ ვუდქოქი**" (ს.სარანდონი) **01.30** დ/ფ " მშვიდობით ამხანაგებო".

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. "**იღბლიანი მოახლე**" **11.20** სერ. "**მაფიის ქვრივი**" **13.00** სერ. "**24 – 6**" **14.40** დოკ/ფ "მაფიის დაუწერელი კანონი" **1** ნაწ. **16.00** სერ. "**დამალული სიმართლე**" **17.50** სერ. "**თილისმა**" **18.50** სერ. "**სახიფათო ვნება**" **21.00** სერ. "**მარტოსული**" **22.00** მხ/ფ "**ბაზა**" (ს.ელ ჯექსონი) **00.15** მხ/ფ "**წვრილფეხა თაღლითები**" (მ.რაპაპორტი) **01.45** მუსიკა.

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**სიყვარული მშვენიერია**" **11.00** სერ. "**იდუმალი ქალი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** ვანოს შოუ (გ/ჩ) **17.00** სერ."**ვნების უფსკრული**" **18.45** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **20.05** სერ"**ერთგულების ძალა**" **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** პოზიცია **01.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერი დაიჯესტი.

**7.00, 5.35, 6.00** ახალი ამბების კოლაჟი **7.30, 12.30, 15.30, 17.10, 18.45, 5.55, 6.35** უცხოეთის ამბები **7.55, 10.55, 11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 6.55** უკომენტაროდ+ამინდი **8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 0.00** ახალი ამბები **8.10, 9.10, 10.15** მაღვიძარა **11.30, 22.00, 0.55** ყოველდღიური აბები **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **13.15, 14.15, 4.00** თავისუფალი დრო **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **16.10** მაესტროს პრესკლუბი **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **19.00** ახალი ამბები ინგლისურ ენაზე **19.05, 0.30** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **19.30, 1.20** თოქ-შოუ - "არგუმენტები" **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.20, 2.30** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი".

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05** საეკლესიო კალენდარი **06.10** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **06.25** დოკ/ფ "მესაზღვრე ბერები" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.30** უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა **10.35, 21.25** ლექსით ქებათა ქება **10.40** ქრისტიანული სწავლება **10.50** საქართველოს ისტორია **10.20** სალვთისმეტყველო საუბრები **12.05** ამინდი **12.10** კალმის წვერი,ბულბულის ნისკარტი **12.15** დოკ/ფ "წმინდა ოთხთავი" II ნაწ. **13.15** კონცერტი-ლიანა ისაკაძე **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "ველური ბუნება" **15.55** დოკ/ფ "ფურცლები ფრანგული დღიურიდან" **16.55** სალვთისმსახურო წელიწადი **17.15, 18.30, 01.45** ანდრია კრიტელის კანონი **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** ჩვენი ტრაპეზი **19.30** დროის ჩანაწერები **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** მარხვა და ლოცვა - მეუფე დანიელი **21.55** უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **22.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **22.55** კალმის წვერი,ბულბულის ნისკარტი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა **23.20** დოკ/ფ "საქართველოს ეკლესიის წმინდა მღვდელმთავარნი" **23.50** ფოტოგალერეა **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** ერთსულოვნების სალონი.

გაგრძელება 48-ე გვერდზე

# კინოთეატრები

**კინოთეატრი „რუსთაველი"**
**რუსთაველის გამზირი №5.**
**ტელ.: 293-22-53, 255-50-00.**

**18 – 24 მარტი**

*დარბაზი 1*

12.00, 14.30, 17.20, 20.00, 22.30 - **„ოზი: დიდებული და ძლევამოსილი"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 10 წუთი;*

*დარბაზი 2*

12.00, 14.00, 16.00, 18.15, 20.00 - **„ცელქი ბავშვები"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

*დარბაზი 3*

12.00, 14.00, 16.00 - **„დედამიწიდან გაქცევა"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

18.00, 20.15, 22.30 - **„ანუ გაიღიმეთ"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

*დარბაზი 4*

12.00, 14.00 - **„ანუ გაიღიმეთ"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

17.30, 20.00, 22.30 - **„არგო"**, *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

*დარბაზი 5*

12.00, 14.35, 17.20, 19.50, 22.30 - **„პის ცხოვრება"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 10 წუთი;*

(ბილეთის ფასი: 6,50 - 11,50 ლარი).

**კინოთეატრი „ამირანი"**
**კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55.**

*დიდი დარბაზი*

12.00, 14.35, 17.20, 19.50, 22.30 - **„ოზი: დიდებული და ძლევამოსილი"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 10 წუთი;*

*მცირე დარბაზი*

12.00, 14.30, 19.45 - **„პის ცხოვრება"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 10 წუთი;*

17.00, 22.30 - **„ანუ გაიღიმეთ"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

(ბილეთის ფასი: 6,50 - 11,50 ლარი).

**კინოთეატრი „საქართველო"**
**გურამიშვილის გამზ. 2/9,**
**ტელ: 230-80-80; 269-66-47.**

12.00, 14.00, 16.00 - **„დედამიწიდან გაქცევა"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

17.30 - **„მთავარი სამიზნე"**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 40 წუთი;*

20.00, 22.00 - **„ანუ გაიღიმეთ"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

(ბილეთის ფასი: 4 - 8 ლარი).

**მისი სახელის ხსენებისას, რა თქმა უნდა, პირველი, ძალიან პოპულარული „ახლა მოდაშია ჩურჩულები" და ლეგენდარული „ყვავის" არია გვაგონდება მიუზიკლიდან „ჩხიკვთა ქორწილი". გოჩა ლორია, „რეროს", „ვია 75"-ის და „ივერიის" წევრი, დღეს არც სცენაზე ჩანს და არც ტელეეკრანზე. თუმცა ის საყვარელ საქმეს აგრძელებს და უამრავი პროექტი აქვს ჩაფიქრებული. სურს, რომ საკუთარი ნიჭის გამოვლენის საშუალება ჰქონდეს სამშობლოში. ბატონი გოჩას წარსულზე, აწმყოსა და მომავალ გეგმებზე ინტერვიუდან შეიტყობთ.**

# როგორ მოხვდა თვითმფრინავში გველებთან ერთად გოჩა ლორია და როგორ შეიქმნა მისი ლეგენდად ქცეული ჰიტი „ახლა მოდაშია ჩურჩულები"

## ფოთიდან როსტოვის ფილარმონიამდე

ფოთში დავამთავრე საშუალო სკოლა. ვიყავი ჩელისტი, თუმცა ხელებზე ოპერაციის გაკეთება მომიწია და ველარ გავაგრძელე ჩელოზე დაკვრა. მოხდა ისე, რომ ფოთიდან თბილისში ახალი ჩამოსული ვიყავი უმაღლესში ჩასაბარებლად – ხან სად მირჩევდნენ ჩაბარებას და ხან სად. ბოლოს ჩემით, მეორე მუსიკალურ სასწავლებელში ჩავაბარე. ბავშვობაში სულ ვმონაწილეობდი სასკოლო კონცერტებში და იმედი მქონდა, ვოკალურზე მოხვედრას მოვახერხებდი. მართლაც ისე, მოხდა, რომ მოეწონათ ჩემი მონაცემები და მიმიღეს. მაშინ მუსიკალური სასწავლებელი არ უკეთებდა „ჯავშანს" ჯარიდან დასახსნელად სტუდენტებს და მესამე კურსიდან წამიყვანეს. არადა, ჯარში არ უნდა წავსულიყავი, რადგან ბრტყელტერფიანი ვიყავი და ვიცოდი, ჯარში ასეთები არ მიჰყავდათ. თუმცა, ასეთი უსამართლობა მოხდა ***(იცინის).*** ჩემი გიტარით ვიყავი წასული და მაშინვე ჯარის ანსამბლში ჩამწერეს. ბევრს ვმოგზაურობდი ანსამბლთან ერთად. ერთხელ რიგასა და ტალინში მოგვიწია კონცერტებით წასვლა და უკან რომ ვბრუნდებოდით, მატარებელში როსტოველი მუსიკოსები ამოვიდნენ. დაინახეს, რომ გიტარით ვიყავი და აქეთ-იქით შემომისხდნენ. მითხრეს, რას დაუკრავო. მე მაშინ ტომ ჯონსს, ენგელბერტ ჰამპერდინკს ვუკრავდი. წარმოიდგინეთ, ტომ ჯონსის „დილაილა" დავუკარი და ვიმღერე. ძალიან მოეწონათ, მკითხეს რუსული რეპერტუარი ხომ არ გაქვსო. არა, მაგრამ, ქართულები ვიცი-მეთქი და დავუკარი. მოკლედ, აღმოჩნდა, რომ ეს მუსიკოსები როსტოვის ფილარმონიის ანსამბლის წევრები იყვნენ და ისე „შემაბეს", რომ მატარებლიდან როსტოვში ჩამოვედი. ცოტა ხანში, როსტოვის ფილარმონიაში გამაფორმეს სამუშაოდ. პარალელურად, სამშენებლო ტექნიკუმში მომაწყვეს და მოკლედ, დავრჩი როსტოვში. შემდგომ ეს ანსამბლი დაიშალა და ისე მოხდა, უსამსახუროდ ვრჩებოდი. ამ დროს, სრულიად შემთხვევით, ჩემს ნათესავთან ერთად აღმოვჩნდი რესტორან „იუჟნიში", სადაც საკმაოდ კარგი ორკესტრი იყო. ჩემმა ნათესავმა ფული გადაუხადა მათ და სთხოვა, რომ მე მემღერა. ავდექი და ტომ ჯონსის „დილაილა" ვიმღერე, ზუსტად იგივე ტონალობაში. წარმოიდგინეთ, 1969 წელს, ინგლისურ ენაზე ვმღეროდი და მთელი რესტორანი ფეხზე იდგა, ისე მისმენდა. შემომთავაზეს ამ რესტორანში მუშაობა და თან, „პიშევოი" ინსტიტუტში გამაფორმეს. მოკლედ, ჩავრჩი როსტოვში სამი წლით და ერთ მშვენიერ დღეს როსტოვში გასტროლებზე ჩამოვიდა „რერო". მაშინ რეპერტუარში მქონდა მუსლიმ მაგომაევის სიმღერა „ბლაგოდარიუ ტებია." ვმღერი ამ სიმღერას და უცებ ვხედავ ჩემკენ გენო ონაშვილი მოდის, „რეროს" სოლისტი. თავისთან, „კუპეში" შემიყვანა, სადაც კონსტანტინე პევზნერი და სხვები ისხდნენ, მათ გააცნო ჩემი თავი და პევზნერმა მითხრა: როცა საღამოს მორჩები, ჩათვალე, რომ „რეროში" ხარ აყვანილიო. ასეთ შემოთავაზებაზე, რა თქმა უნდა, უარს ვერ ვიტყოდი. ასე მოვხვდი სოლისტად „რეროში". სახლშიც კი არ იცოდნენ. დედაჩემი და მამაჩემი ძალიან ძლიერი ფოლკლორისტები იყვნენ. ბაბუაც – ირაკლი სიხარულიძე თავის დროზე გურიაში პირველი კრიმანჭული იყო. ასე ჩავირიცხე „რეროში".

## „რერო", „ვია 75", „ივერია"

„რეროში" 2-3 წელი ვიყავი, შემდეგ დაიშალა ანსამბლი და ერთი თვე რესტორან „არაგვში" მომიწია მუშაობა. ერთსაათიანი კონცერტი მქონდა და საკმაოდ კარგი ანაზღაურება იყო. ერთ საღამოს, ვხედავ, მაგიდასთან სხედან უჩა კორძაია და რობერტ ბარძიმაშვილი. რობერტს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა ჩემი აყვანა და სწორედ მაშინ „ვია 75-ის" პირველი პროგრამა მზადდებოდა, რომელიც გემზე „შოთა რუსთაველი" დავუკარით. „75-ში" სერიოზული პროგრამა მქონდა. თუმცა, შემდეგ შეიცვალა და გადავწყვიტე, „ივერიაში" გადასვლა, მივედი ალექსანდრე ბასილაიასთან და პირდაპირ ვუთხარი, რომ მის ანსამბლში მინდოდა გადასვლა. თავიდანვე „ყვავის" როლზე დამამტკიცეს და 10 წელი ვიყავი „ყვავი". 1 500 კონცერტი შევასრულე „ჩხიკვთა ქორწილში" და 80-იანების შუა პერიოდში წამოვედი „ივერიიდან". წამოვედი და შევქმენი საბავშვო ანსამბლი „მშვიდობის მტრედები". 6 პატარა გოგო მღეროდა ჩემთან, ხშირად გვიწვევდნენ გასტროლებზე, ტელევიზიაში, მოსკოვის პროფკავშირებმა პირველ ადგილზეც კი დაგვასახელა, თუმცა შემდეგ აირია სიტუაცია ქვეყანაში, ომი დაიწყო და „მშვიდობის მტრედებიც" დაიშალა.



„75"-ში სერიოზული პროგრამა მქონდა. თუმცა, შემდეგ პროგრამა შეიცვალა და გადავწყვიტე, „ივერიაში" გადასვლა. მივედი ალექსანდრე ბასილაიასთან და პირდაპირ ვუთხარი, რომ მის ანსამბლში მინდოდა გადასვლა

## ფოთის კლუბი

1992-1993 წლებში მქონდა საკონცერტო გაერთიანება „ფილარმონიაში". პირველი თაობის მოდელები – ლალი ტოტიკაშვილი, თამუნა ჯაფარიძე – კახა თარგამაძის მეუღლე, თეა გობეჯიშვილის ბალეტი, დათო ფორჩხიძის „სახე" – გავაკეთე მათთან ერთად ერთგვარი შოუ. ეს იყო სინთეზი – ჩემს სიმღერებზე მოდელების მოძრაობა, „პაკაზი" ახალი ხილი იყო მაშინდელ თბილისში. ფოთში ცენტრალურ სტადიონზე გავაკეთეთ დიდი კონცერტი. ძალიან ახალი იყო ის, რასაც ვაკეთებდით: სიმღერა, მოდელი, დისკოთეკა. დიდი მოწონება დაიმსახურა, ჩვენ თვითონ ვაკეთებდით ყველაფერს – სიმღერებს ვწერდი, გოგონები ტანსაცმელს იკერავდნენ, სამჯერ იცვლიდნენ შოუს დროს. მოკლედ ძალიან კარგი იყო ეს შოუ სულ სამ ქალაქში: ფოთში, სამტრედიასა და მარნეულში გავაკეთე, მაგრამ არავის აინტერესებდა იმ დროს ესტრადა. დაფინანსება ვერ მოხერხდა და ბოლოს ფოთის მერმა ნუგზარ ნადარაიამ შემომთავაზა იქ დარჩენა. დავრჩი ფოთში და გავხსენი კლუბი. მაშინ იქ რამდენიმე ტვირთმზიდი სააგენტო მუშაობდა და ამ ხალხისთვის თბილისიდან დავიწყე მომღერლების ჩაყვანა. მერე აირია სიტუაცია, ფოთის პორტის უფროსი ვალერი გეგიძე მოკლეს. ეს ადამიანი მეხმარებოდა ძალიან. შემდეგ სხვებმაც დაიწყეს ხელის ფათური ამ საქმეში. ჩამოჰყავდათ მომღერლები და მე ორ თვეში ერთ კონცერტს თუ მოვარტყამდი. ნამდვილი „ბესპრედელი" იყო, „მხედრიონელები" დაჰყვებოდნენ ამ ხალხს. ავდექი და წამოვედი თბილისში.

## „ჩურჩულები"

ფოთიდან ჩამოვედი და დავიწყე ჩემი სოლოკონცერტის მზადება. თეა გობეჯიშვილის ბალეტი, ბექ-ვოკალი, დათო ფორჩხიძე, თემურ თათარაშვილი, ნუგზარ კვაშალი და თამუნა ამონაშვილი მეხმარებოდნენ კონცერტის ორგანიზებაში. ასე გაკეთდა 1999 წელს გოჩა ლორიას სოლო კონცერტი – „ჩურჩულები", რომელზეც კარგა ხანი ლაპარაკობდნენ თბილისში. თვითონ სიმღერა „ჩურჩულები" ფოთში დაიწერა. ფოთში მუშაობს ჩემი კლასელის შვილი. იყო მდივნად ჩემთან – ახალგაზრდა, ლამაზი გოგო, დაიწყეს ქალაქში ჭორაობა, კუდი გამოაბეს ამ საქმეს და სწორედ ამ ჭორაობაზე დავწერე „ჩურჩულები". ახლაც პოპულარულია ეს სიმღერა, სხვადასხვა შოუებში იყენებენ. ჩემია ტექსტიც და მუსიკაც. „ჩურჩულების" შემდეგ დიდი კონცერტი არ გამიკეთებია, თუმცა სპექტაკლი დავწერე. მზად მაქვს მუსიკა, ტექსტები. „ბიორდს ფართი" დავარქვი – „ფრინველთა დღესასწაული." გათვლილი მქონდა, მთავარი როლები ზუკა ხუციშვილს, თიკა ჯამბურიას და კაბუს შეესრულებინათ. კლასიკა, როკი, რეპი, ესტრადა, ქართული ცეკვები და სხვა მრავალი – ნამდვილი სინთეზი. სულ 17 სიმღერაა, თავიდან ბოლომდე ჩემი გაკეთებული. თუმცა, ჯერჯერობით განუხორციელებელია, დაფინანსებას საჭიროებს.

## მსოფლიოს გარშემო

სინგაპურზე გავგიჟდი, დღესაც თვალწინ მიდგას ეს ქალაქი. ერთხელ კინაღამ ტრამვაი დამეჯახა ქუჩაში, ისე ჩუმად მოდიოდა, რომ ვერც გაიგებდი. საოცარი შენობებია. ქუჩებში კაციშვილი არ დადიოდა. მხოლოდ შესვენებაზე გამოდიოდნენ საჭმელად. ეს იყო 1980-იანების დასაწყისი. დღემდე მახსოვს სინგაპური. ლაოსი მახსოვს კიდევ კარგად. მოგვაწყვეს სასტუმროში, რომლის უკანა კედელი სულ დაცხრილული იყო. ტაილანდს და ლაოსს ერთი მდინარე ყოფდათ და როცა ტაილანდელი თვრებოდა, ლაოსში ისროდა თოფს ***(იცინის)***. თვითმფრინავით რომ წამოვედით ლაოსიდან, საშინელ „კუკურუზნიკში" ჩაგვსვეს. მას შემდეგ ფრენის შიში გამიჩნდა. ჩვენს გიდს კი კალათაში გველები, ცოცხალი კობრები ჰყავდა წამოყვანილი.

**ტომ ჯონსის „დილაილა" ვიმღერე, ზუსტად იგივე ტონალობაში. წარმოიდგინეთ, 1969 წელს ინგლისურ ენაზე ვმღეროდი და მთელი რესტორანი ფეხზე იდგა, ისე მისმენდა**

თვითმფრინავი, ხან ერთ მხარეზე გადაიწეოდა ხან მეორეზე, საჰაერო ორმოებში ვარდებოდა, საშინელება იყო... რა გვექნა, აღარ ვიცოდით. დათო აბულაძემ ჩანთიდან ერთი ბოთლი არაყი „პშენიჩნი" ამოიღო. დავარტყით და გავითიშეთ. სხვა გზა არ იყო ***(იცინის).*** ჩავფრინდით ვიეტნამში, ჰანოიში. კონცერტი იქ არ გვქონდა, მაგრამ ხო ში მინის მავზოლეუმში წაგვიყვანეს ექსკურსიაზე. აზიის გარდა, აფრიკაშიც ვარ ნამყოფი: მუმბასა, მაპუტუ, დურბანი, კეიპტაუნი, რუანდა, მონროვია, დაკარი, კასაბლანკა, ალჟირი, ტუნისი, ტრიპოლი, ალექსანდრია. თითქმის მთელი მსოფლიო მაქვს მოვლილი – ლათინური ამერიკა, ევროპა, კანადა, ამერიკა. ერთადერთი, თურქეთში არ ვარ ნამყოფი ***(იცინის).***

**უშანგი რუხაძე**

# გამომცხვარი ფარში








**საჭირო ინგრედიენტები:** 300 გრამი მჭლე ღორის ხორცის ფარში, 8 ცალი თხელი ლავაში, 200 გრამი ფხვიერი ყველი, 400 გრამი ბადრიჯნისა და სტაფილოს კონსერვი, 150 გრამი ტომატ-პასტა, 2 თავი ხახვი, 40 გრამი ნიორი (ერთი თავი), 20 მილილიტრი ზეითუნის ზეთი, ორეგანო, წითელი წიწაკა, შავი პილპილი, მარილი – გემოვნებით, 150 მილილიტრი წყალი.

**მომზადების წესი:** სქელძირიან ტაფაზე ზეთში მოშუშეთ წვრილად დაჭრილი ხახვი და ამოიღეთ პატარა თასზე. იმავე ტაფაზე მოათავსეთ ფარში და მოშუშეთ. მზა ფარშზე (ტაფაშივე) ზემოდან მოათავსეთ ბადრიჯანი და სტაფილო. ტომატ-პასტა გააზავეთ წყლით, კარგად აურიეთ და მოასხით ტაფაში, კარგად ამოურიეთ, დაუკელით ცეცხლს და შუშეთ. პერიოდულად მოურიეთ. ნელ-ნელა ჩაუმატეთ მოშუშული ხახვი, ორეგანო, წითელი წიწაკა. შავი პილპილი და მარილი – გემოვნებით. სულ ბოლოს ჩაუმატეთ წვრილად დაჭრილი ნიორი. დაახურეთ თავსახური, შუშეთ 3-4 წუთის განმავლობაში და სოუსი მზად არის.

ფორმას ფსკერზე წაუსვით ცოტა სოუსი. დააფინეთ ლავაშის პირველი ფენა, წაუსვით სოუსი, მეორე ლავაში გადააფარეთ და ასე განაგრძეთ, სანამ სოუსი დამთავრდება. ბოლო ფენა სოუსი უნდა იყოს, რომელსაც ზემოდან დაფხვნილ ყველს მოაყრით. ფორმას მჭიდროდ გადააკარით ფოლგა და გამოაცხვეთ 180 გრადუს ტემპერატურაზე 20 წუთის განმავლობაში. შესანიშნავია გურმანებისთვის. სანამ დაჭრიდეთ, მოხსენით ფოლგა და აცადეთ, ცოტათი გაცივდეს.

# ბლინები ხაჭოთი

    



**საჭირო ინგრედიენტები:** 1,5 ჭიქა ფქვილი, 4 ცალი კვერცხი, 3 სადილის კოვზი კარაქი, 2 ჭიქა რძე, 1 ჩაის კოვზი მარილი, 20 ცალი მწვანე სალათის ფოთოლი, 50 გრამი არაჟანი, 440 გრამი ხაჭო, 160 გრამი შაქარი, 20 მილილიტრი სიმინდის ან ზეითუნის უსუნო ზეთი.

**მომზადების წესი:** ჯერ მოამზადეთ ცომი ბლინებისთვის: კვერცხის გულები ჯერ კარგად ასრისეთ კარაქთან და შაქართან, შემდეგ კი რძეში გათქვიფეთ. ურიეთ გამუდმებით და ისე შეურიეთ ფქვილი. ერთგვაროვან მასას რომ მიიღებთ, დაუმატეთ გათქვეფილი ცილა და ცოტა მარილი. გამოაცხვეთ ბლინები ზეთწასმულ, საშუალო ზომის ტაფაზე, ორივე მხრიდან (თხელები უნდა იყოს). მზა ბლინებზე მოათავსეთ ხაჭოს ფარში, გადაახვიეთ. ბლინის დარჩენილი ცომი ჩაასხით თუნდაც კეტჩუპის ცარიელ ბოთლში, მთავარია, წვრილად გადმოისხას. გამოაცხვეთ რამდენი ბლინიც გაქვთ, იმდენი „ლენტი“(ორივე მხრიდან უნდა შეწვათ). უკვე გადახვეულ ბლინებზე ზემოდან დააფინეთ სალათის ფოთლები და ცომის ლენტებით გადაახვიეთ. მიირთვით თბილი. არაჟანი სუფრაზე ცალკე მიიტანეთ.

# შებოლილი ქათმის სალათა

    



**საჭირო ინგრედიენტები:** 500 გრამი ქათმის შებოლილი ფილე, 200 გრამი წვრილად დაჭრილი სტაფილოს მწნილი, 1 ჭიქა მოხარშული წითელი ლობიო, მაიონეზი – გემოვნებით. სალათის ფოთლები – მოსართავად, 3 ცალი საშუალო ზომის პომიდორი, ცოტა მარილი.

**მომზადების წესი:** ფილე დაჭერით კუბიკებად, სტაფილო – მოზრდილ ჩხირებად. ეს ყველაფერი მოათავსეთ თასში და დაუმატეთ ლობიო. აურიეთ და ჩაუმატეთ ცოტა მაიონეზი და მარილი. გადმოიღეთ ფართოპირიან თეფშზე. მორთეთ სალათის ფოთლებითა და პომიდვრით.

# მსხლის ტორტი











**საჭირო ინგრედიენტები:** 5 ცალი მომცრო ზომის მსხალი, 250 გრამი გაყინული ფენოვანი ცომი, 200 გრამი სქელი იოგურტი, 3 სადილის კოვზი სქელი არაჟანი, 2 ცალი კვერცხი, 150 გრამი შაქარი (75 გრამი შიგთავსში, 75 გრამი სიროფში), 500 მილილიტრი წყალი, შაქრიანი ვანილი.

**მომზადების წესი:** მსხალი გათალეთ, გაჭერით შუა-შუა და ამოაჭერით კურკები. წყლის, შაქრისა და ვანილისგან მოამზადეთ სიროფი და მსხლები ცხელშივე ჩაუშვით. აცალეთ, დარბილდეს. დროის ხანგრძლივობა დამოკიდებულია მსხლის სიმწიფეზე. მთავარია, მოთუთქვა არ მოაკლდეს. შემდეგ ამოიღეთ და დააწყვეთ ქაღალდის ხელსახოცზე. ცომი გააბრტყელეთ და ჩაჩხვლიტეთ ჩანგლით. დააფინეთ გამოსაცხობი ქაღალდი და ზემოდან ხმელი ლობიოს ან მუხუდოს მარცვლები მოაყარეთ. წინასწარ გააცხელეთ აირღუმელი 180 გრადუსამდე და გამოაცხვეთ. 10 წუთის მერე გამოიღეთ და მოაშორეთ გამოსაცხობი ქაღალდი და ლობიოს (ან მუხუდოს) მარცვლები.

პარალელურად მოამზადეთ კრემი: კარგად გათქვიფეთ შაქარი და იოგურტი. შემდეგ ჩაუმატეთ კვერცხის გული და არაჟანი. ათქვიფეთ კარგად. ცომზე სიმეტრიულად დააწყვეთ დაშაქრული მსხლები (წვეტებით ცენტრისკენ) და მსხლებს შორის სივრცე აკურატულად შეავსეთ კრემით. მოათავსეთ აირღუმელში 220 გრადუსზე და აცხვეთ, სანამ შეწითლდება. 30 წუთში მზად იქნება.



სომელიე
თეიმურაზ ბენიძე

# ხბოს ნეკნები აღმოსავლურად

**საჭირო ინგრედიენტები:** 1 კილოგრამი ხბოს ნეკნები, 5 თავი ხახვი, 1 ჩაის კოვზი კურკუმა, 1 ჩაის კოვზი პაპრიკა, 2 სადილის კოვზი კარაქი, 1 კბილი ნიორი, პილპილი და მარილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ხბოს ნეკნები დაჭერით, დააყარეთ დაჭრილი ხახვი, დაასხით იმდენი წყალი, რომ დაიფაროს და ხარშეთ მაღალ ცეცხლზე წყლის ამოშრობამდე, შემდეგ დაუმატეთ კარაქი და მოშუშეთ. შუშვისას შეურიეთ კურკუმა, პაპრიკა, ნიორი, მარილი, პილპილი და 1 ჭიქა წყალი. ადუღეთ 5 წუთი და კერძი მზადაა.



# კეცზე შემწვარი ქათამი ნაღებითა და ყვითელი კოჭათი



**საჭირო ინგრედიენტები:** 1 ცალი ქათამი, 2 სადილის კოვზი ერბო, 1 თავი ნიორი, 1,5 ჭიქა ცხელი წყალი, 0,5 ჭიქა ნაღები, მწიკვი ყვითელი კოჭა, წიწაკა და მარილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ქათამი კარგად გარეცხეთ, გააშრეთ, გაჭერით შუაზე, წაუსვით მარილი, წიწაკა და ერბოში შეწვით. წყალში გახსენით ნაღები, მარილი, წიწაკა, ყვითელი კოჭა და დანაყილი ნიორი. ქათმის ხორცი დაჭერით და კეცზე მოათავსეთ. ტაფაზე დარჩენილი ცხიმი წყალში არეულ ინგრედიენტებს დაუმატეთ, ქათმის ხორცს მოასხით და კეცი 10-15 წუთით შედგით გახურებულ ღუმელში.

# არაბული ფუნთუშები

**საჭირო ინგრედიენტები:** 4 ჩაის ჭიქა ფქვილი, 450 მილილიტრი წყალი, 1 სადილის კოვზი მშრალი საფუარი, 1 სადილის კოვზი შაქარი, 0,5 ჩაის კოვზი მარილი, 1 კვერცხი, 2 სადილის კოვზი ზეთი; ასევე, კიდევ 2 ჭიქა შაქარი, 1 ჭიქა წყალი, 1 ლიმონის წვენი, 1 სადილის კოვზი ვარდის წყალი, ზეთი – შესაწვავად.



**მომზადების წესი:** ფქვილი გაცერით, კვერცხი მსუბუქად ათქვიფეთ. თბილ წყალში გახსენით საფუარი, შაქარი და მარილი, შემდეგ დაუმატეთ გათქვეფილი კვერცხი და ეს მასა შეურიეთ ფქვილს. მოზილეთ ცომი, ზემოდან გადაუსვით ზეთი და დადგით, რომ აფუვდეს. ამასობაში მოამზადეთ ვაჟინი (სიროფი): 1 ჭიქა წყალში გახსნილი 2 სადილის კოვზი შაქარი დადგით ცეცხლზე. როცა ადუღდება, ჩაუმატეთ ვარდის წყალი, ლიმონის წვენი და ხარშეთ 5 წუთი, შემდეგ კი გადმოდგით ცეცხლიდან. აფუებული ცომი ზეთიანი ხელებით კაკლისოდენა ბურთულებად დაყავით და შეწვით ბლომად ზეთში. შემწვარი ფუნთუშები ამოავლეთ თბილ ვაჟინში და გადაიტანეთ საწურზე, რომ დაიწრიტოს.

**ქართველებისთვის კარგად ცნობილი ავტორ-შემსრულებელი, გიგა კვენეტაძე უკვე 5 წელია, მოსკოვში გადავიდა საცხოვრებლად. ამ დროის განმავლობაში, რუსულ შოუ-ბიზნესში თავს, როგორც კომპოზიტორი ისე იმკვიდრებს. არაერთი ცნობილი ადამიანი ასრულებს მის სიმღერებს, თუმცა საკუთარი თავისთვის ველარ იცლის და უკვე ძალიან იშვიათად მღერის. მიუხედავად ამისა, არც ეს არის მისთვის პრობლემა, რადგან უკვე საკმაოდ წარმატებული კომპოზიტორია რუსეთში. ჩვენი რესპონდენტი საქართველოს აპრილში ეწვევა, მანამდე კი მისი ინტერვიუს საშუალებით შეიტყობთ, თუ რაზე მუშაობს და როგორ ცხოვრობს ის ამ ეტაპზე.**

# რა აკავშირებს გიგა კვენეტაძეს ფილიპ კირკოროვთან და იმღერებს თუ არა მის სიმღერას დიმა ბილანი

**– რაზე მუშაობ ახლა?**

– ვმუშაობ ფილიპ კირკოროვის სიმღერაზე, ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ქეთა თოფურიას, რომელმაც კირკოროვთან დამაკავშირა. ამ ეტაპზე უკვე პირდაპირი კავშირი მაქვს ფილიპთან. შემიძლია, პირადად მას გავუგზავნო რამდენიმე სიმღერა, რომელსაც მოუსმენს და არჩევანს თავად გააკეთებს. ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ რუსული შოუ-ბიზნესის მეფე შეასრულებს ჩემს რომელიმე სიმღერას. კირკოროვთან პირდაპირი კავშირი ყველა კომპოზიტორს არ აქვს, მე კი გამიმართლა და მომეცა შანსი, პირადად მოისმინოს ჩემი სიმღერები, შეაფასოს და დასკვნა გამოიტანოს. ამისთვის კი მადლობა ქეთას, რომელიც ყოველთვის მეხმარება.

**– კიდევ რაზე მუშაობ?**

– დიმა ბილანსაც უნდა გავუგზავნო სიმღერა, რომელთან ურთიერთობაშიც ცნობილი რეჟისორი, კონსტანტინ ჩერებკოვი მეხმარება. კონსტანტინ ჩერეპკოვს რაც შეეხება, მასთან დაკავშირებით ერთი საინტერესო ამბავი ვითარდება. კოსტია მოკლე ხანში, სერიოზულბიუჯეტიანი ფილმის გადაღებას გეგმავს ჰოლივუდში, რომლის მუსიკალური გაფორმებაც მე შემომთავაზა. რა თქმა უნდა, დიდი სიამოვნებით დავთანხმდი. ეს პროექტი ჯერ დამტკიცების პროცესშია, მაგრამ 60-70 პროცენტით უკვე გადაწყვეტილია. საინტერესო პერსპექტივაა. მანამდე მე და კოსტია ვთანამშრომლობდით. ჩემს სიმღერებზე გადაღებული აქვს რამდენიმე მუსიკალური კლიპი. ჩვენ ასევე ვთანამშრომლობთ სარეკლამო ბიზნესში. ის სხვადასხვა სერიოზული კომპანიისთვის სარეკლამო კლიპებს იღებს, მე კი მუსიკალურ გაფორმებას ვუკეთებ.

**– ეს ფილმი, რომელსაც ჰოლივუდში გადაიღებენ, ალბათ, საკმაო ტრამპლინი იქნება შენი შემოქმედებისთვის.**

– ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი მიზანიც ის არის, რომ რომელიმე სერიოზული ფილმისთვის დავწერო მუსიკა. ეს ჩემთვის ძალიან საინტერესო თემაა. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. მთავარი და მნიშვნელოვანი მაინც პირველი ნაბიჯია.

**– გამოდის, რომ 2013 წელი შენთვის ძალიან კარგად დაიწყო.**

– კი, ძალიან ნაყოფიერად დაიწყო ეს წელი ჩემთვის. ნიკალაი ტიმოფეევის ალბომზე ვმუშაობ და უკვე თითქმის ნახევარი გაკეთებული მაქვს. მალე ის ამ სიმღერებზე კლიპების გადაღებას იწყებს. მოკლედ, ყველაფერი კარგად მიდის. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ იღბალი ძალიან დიდ როლს თამაშობს ადამიანის ცხოვრებაში. საჭირო დროს, საჭირო ადგილას თუ არ აღმოჩნდი, ისე არაფერი გამოვა. სხვათა შორის, რამდენიმე დღის წინ, ირაკლი ფირცხალავას ველაპარაკე, რომელმაც თავის სტუდიაში დამპატიჟა და თანამშრომლობა შემომთავაზა. ირაკლის სტუდიაში უამრავი ცნობილი სახე დადის. მე კი შემომთავაზა, ჩემი პროდუქცია მივიტანო, რომელსაც სხვადასხვა მომღერალს მოასმენინებს. მგონი, სულ მალე თვითონაც შეასრულებს ჩემს სიმღერას. ამის წინაპირობაც არის. ასე რომ, ჯერ ყველაფერი წინაა.

**– მოკლედ, რუსეთში ქართული მაფიაა, რომელიც აქტიურად მუშაობს.**

– კი, ასეა.

**– საქართველოში ჩამოსვლას როდის გეგმავ?**

– მინდა აპრილში ჩამოვიდე. სურვილი მაქვს, დასვენებასთან ერთად, ჩემი ვიზიტი საქმიანიც იყოს. არის ერთი პროექტი, რომლის გადაღებაც საქართველოში უნდა შედგეს. თან, წინა ჩამოსვლაზე ვერ მოვასწარი ყველასთან დარეკვა და მონახულება, რადგან მხოლოდ 10 დღით ვიყავი კლიპის პრეზენტაციისთვის. ვანო ჯავახიშვილმაც დამპატიჟა თავის შოუში, მაგრამ, უკვე მოვფრინავდი მეორე დღეს. მაია ასათიანის „პროფილშიც” უნდოდათ ჩემი მიწვევა, მაგრამ ვერც იქ მოვასწარი მისვლა. ასე რომ, ამ ჩამოსვლაზე, ყველას წინასწარ დავურეკავ და ყველაფერს ერთად ავინაზღაურებ.



**სვეცკური საღამოების გარეშე აქ თითქმის არც ერთი დღე არ არსებობს. სიმართლე გითხრა, ცოტა დავიღალე ამ სვეცკურ საღამოებზე სიარულით**

**– რა ხდება გიგას პირად ცხოვრებაში?**

– პირად ცხოვრებაში ისეთი სიმშვიდეა, როგორც არასდროს. თვითონვე მიკვირს, სიმღერებს რომ ვწერ, მუზა საიდან მოდის. დროებით გატაცებებს არ ვთვლი, რა თქმა უნდა. ყოველდღიურ ცხოვრებაში არსებობს ისტორიები, მოკლე დროში რომ მთავრდება. პირადი ცხოვრება ისაა, როცა ნორმალური, ჩამოყალიბებული ურთიერთობა გაქვს ადამიანთან, რომელსაც ყველაფერს უძღვნი. საბედნიეროდ, მუზა არ მტოვებს და სიმღერებსაც ვწერ. ვნახოთ, მომავალში რა იქნება. იქნებ, ერთ დღეს ძალიან შეყვარებულმა გავიღვიძო.

**– მგონი უკვე დროა.**

– ნამდვილად დროა. ოჯახის წევრებიც შეწუხდნენ უკვე. აი, მაგალითად, დედაჩემს რომ ვურეკავ, თან ყოველდღე, პირველი კითხვა ის არის – რა ხდება, ხომ არაფერია ახალი პირადშიო? თან, ძალიან გადატვირთული გრაფიკი მაქვს – საქმეები, წასვლა-წამოსვლა. შოუ-ბიზნესში რაც ხდება, შენც კარგად იცი, მით უმეტეს, აქ. სვეცკური საღამოების გარეშე აქ თითქმის არც ერთი დღე არ არსებობს. სიმართლე გითხრა, ცოტა დავიღალე ამ სვეცკურ საღამოებზე სიარულით. კარგია, როცა კარიერასთან ერთად, პირადი ცხოვრებაც მოწესრიგებული გაქვს. კარგია, როცა გაქვს მისასვლელი იქ, სადაც ყოველთვის გელოდებიან. ეს ძალიან სასიამოვნოა.

**– სიმღერებს წერ ცნობილი შემსრულებლებისთვის, თუმცა ამასობაში საკუთარი თავისთვის ველარ იცლი როგორც მომღერალი.**

– სამწუხაროა, მაგრამ ასეა. სხვათა შორის, ძალიან ბევრ მომღერალს, რომელთანაც ვთანამშრომლობ, უპირველესად კი, ბორიას, „ა სტუდიოს” შეფს, ხშირად უკითხავს: გიგა, რატომ არ მღერი, იქნებ მეც დაგეხმარო რამეშიო. დიდი მადლობა მინდა, გადავუხადო ამ ადამიანს, უპირველესად კი ქეთას. მან იმდენი გააკეთა, რომ „ა სტუდიოც” მღერის ჩემს სიმღერებს, 2012 წელს „კაზახსტანი“ გამოვიდა ჩემი სიმღერით იურმალაში.

რაც შეეხება ჩემს სიმღერას, მართლა ყველა მეკითხება, რატომ არ ვმღერი. მგონი, უკვე დადგა ამის დრო. დროდადრო სხვადასხვა კონცერტებში მივიღებ მონაწილეობას. ალბათ, მერე გამოჩნდება ადამიანი, რომელიც ჩემს გაფიარებასა და პროდიუსინგს მოჰკიდებს ხელს. ყველაფერი იქნება, თუ მოინდომებ. აბა, სიმღერები თუ არ ჩავწერე და რეპერტუარი არ მექნა, ისე ვინ გამაფიარებს?!

**– შენი ძველი სიმღერები თუ აქვთ მანდ მოსმენილი?**

– კი, როგორ არა. ერთხელ მანქანაში რადიო „ვასტოკი” ჩავრთე, რომელიც მთელ მოსკოვში ძალიან პოპულარული ტალღაა. გაკვირვებული დავრჩი, როცა რადიო „ვასტოკის” ეთერში მოვისმინე ჩემი სიმღერა – „როგორ მინდა, მოგეფერო.” იმედი მაქვს, ახალ სიმღერებს რომ ჩავწერ, უფრო აქტიურად მოვისმენ საკუთარ ხმას ეთერში. ახლახან ბოლო სიმღერა გავუგზავნე ნიკოლაი ტიმოფეევს, რომელმაც დამირეკა და ერთგვარი კომპლიმენტი მითხრა: გიგა ცოტა კი მრცხვენია, შენი ნამღერის მერე მე რომ უნდა ვიმღეროო.

**– რაც დრო გადის, გიგა კვენეტაძე უფრო იმკვიდრებს ადგილს რუსულ შოუ-ბიზნესში.**

– ვნახოთ, ჯერ ყველაფერი წინაა, ძალიან ბევრი სამუშაოა. უკვე მეხუთე წელია, მოსკოვში ვარ, ისეთ წრეში ვტრიალებ და ისეთ ხალხთან მაქვს ურთიერთობა, უკვე არის იმის საშუალება, როგორც კომპოზიტორმა, სერიოზული ადგილი დავიმკვიდრო რუსულ შოუ-ბიზნესში. სოლო მომღერლის კარიერისთვისაც არის წინასწარი ძვრები. იმედია, ესეც კარგად განვითარდება. თავდაუზოგავად ვმუშაობ და ალბათ, შედეგიც არ დააყოვნებს.

**– იმედია, სულ მალე საკმაოდ ძვირადღირებული კომპოზიტორის სახელსაც დაიმკვიდრებ.**

– ამის იმედი მეც მაქვს, ძვრები ნამდვილად არის...

**მარიკა ხიდურელი**

41-ე გვერდიდან

## ოთხშაბათი 20 მარტი

**06.30** "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** "ჩვენი დილა" (პ/ე) **09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 20.00, 01.00** "მოამბე" **11.00** "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) **12.45** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" **15.00** დ/ფ "სახელგანთქმული თვითმფრინავები" **17.00** "გურმანია" **18.00** ევროპის ჩემპიონატი თავისუფალი ჭიდაობაში. ფინალები (პ/რ) **21.00** ტ/სერ **"მიმინო"** **22.00** "დიალოგი დავით პაიჭაძესთან" **23.00** მხ/ფ **"რიპლის თამაში"** (ჯ.მალკოვიჩი) **01.20** დ/ფ " მშვიდობით ამხანაგებო".

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. **"იღბლიანი მოახლე"** **11.20** სერ. **"მაფიის ქვრივი"** **13.00** სერ. **"24 – 6"** **14.40** დოკ/ფ "მაფიის დაუწერელი კანონი" 2 ნაწ. **16.00** სერ.**"დამალული სიმართლე"** **17.50** სერ. **"თილისმა"** **18.50** სერ. **"სახიფათო ვნება"** **21.00** სერ. **"მარტოსული"** **22.00** ქ/სერ **"ცხელი ძაღლი"** 10 სერ. **23.00** კონცერტი: "მღერის ირმა სოხაძე" **00.35** მხ/ფ **"წინასწარმეტყველი"** (ჯ.ბილი) (ტიტ.) **02.05** მუსიკა.

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"სიყვარული მშვენიერია"** **11.00** სერ. **"იდუმალი ქალი"** **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** იღბლიანი ბორბალი (გ/ჩ) **17.00** სერ. **"ვნების უფსკრული"** **18.45** სერ. **"ცრემლების გვირგვინი"** **20.05** სერ**"ერთგულების ძალა"** **22.00** ნანუკას შოუ. **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი დაიჯესტი.

**7.00, 5.35, 6.00** ახალი ამბების კოლაჟი **7.30, 12.30, 15.30, 17.10, 18.45, 5.55, 6.35** უცხოეთის ამბები **7.55, 10.55, 11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 6.55** უკომენტაროდ+ამინდი **8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 0.00** ახალი ამბები **8.10, 9.10, 10.15** მაღვიძარა **11.30, 22.00, 1.20** "ყოველდღიური აბები" **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **13.15, 14.15, 4.00** თავისუფალი დრო **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **16.10** მაესტროს პრესკლუბი **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **19.00** ახალი ამბები ინგლისურ ენაზე **19.05, 0.30** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **20.00** ამბები მოკლედ **20.05, 1.40** თოქ-შოუ - "არგუმენტები" **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.20, 2.30** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი".

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **06.25** დოკ/ფ "ველური ბუნება" **07.00** დოკ/ფ "ფურცლები ფრანგული დღიურიდან" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 18.55, 21.55, 22.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.30** უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა **10.35, 21.25** ლექსით ქებათა ქება **10.40** მარხვა და ლოცვა - მეუფე დანიელი **11.00** დოკ/ფ "საქართველოს ეკლესიის წმინდა მღვდელმთავარ-ნი" **11.30** მგზავრები წუთისოფლისა **12.05** ამინდი **12.10** კალმის წვერი,ბულბულის ნისკარტი **12.15** დროის ჩანაწერები **13.25** ქრისტია-ნული სწავლება **13.40** დოკ/ფ "წმინდა ოთხთავი" III ნაწ. **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "ველური ბუნება" **15.55, 19.25, 01.00** ანდრია კრიტელის კანონი **16.50** კვირიაკე **18.05** დიდ ხარ შენ,უფალო **18.30** დეკორატიული ფლორა **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.40** დოკ/ფ "დავით გარეჯი" I ნაწ. **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** ეპოქის სახელები **21.55** უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა **22.25** ქართული ალბომი **22.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **22.55** კალმის წვერი,ბულბულის ნისკარ-ტი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** პირველშეწირული წირვის განმარტება მამა ბიძინა **23.30** დოკ/ფ "ვარძია" **00.35** განთიადის სტუმარი **01.55** დოკ/ფ "ხვამლი".

## ხუთშაბათი 21 მარტი

**06.30** "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** "ჩვენი დილა" (პ/ე) **09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 20.00, 02.00** "მოამბე" **11.00** "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) **12.45** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" **15.00** დ/ფ "ანტიკური მსოფლიო" **17.00** "ჩვენი ფერმა" **17.30** "AGVA - GEORGIA" **18.00** ევროპის ჩემპიონატი თავისუფალი ჭიდაობაში. ფინალები (პ/რ) **21.00** ტ/სერ **"მიმინო"** **22.00** "დიალოგი დავით პაიჭაძესთან" **23.00** სპორტული თოქ-შოუ: "არენა" **00.00** მხ/ფ **"ატლანტა"** (ტიტ.) **02.20** დ/ფ " მშვიდობით ამხანაგებო".

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. **"იღბლიანი მოახლე"** **11.20** სერ. **"მაფიის ქვრივი"** **13.00** სერ. **"24 – 6"** **14.40** კაცების შოუ (გ/ჩ) **15.35** რომ გადახვალ, გააჩერე **16.00** სერ.**"დამალული სიმართლე"** **17.50** სერ. **"თილისმა"** **18.50** სერ. **"სახიფათო ვნება"** **21.00** სერ. **"მარტოსული"** **22.00** მხ/ფ **"ჯარისკაცები"** (დ.ლუნდგრენი) **00.15** მხ/ფ **"ცუდი სიზმრები"** (გ.პელტროუ) (ტიტ.) **01.50** მუსიკა.

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"სიყვარული მშვენიერია"** **11.00** სერ. **"იდუმალი ქალი"** **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** კომედი შოუ (გ/ჩ) **17.00** სერ.**"ვნების უფსკრული"** **18.45** სერ. **"ცრემლების გვირგვინი"** **20.05** სერ**"ერთგულების ძალა"** **22.00** პროფილი **23.30** ტოპ გოგო **01.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერი**Ჰ** დაიჯესტი.

**7.00, 5.35, 6.00** ახალი ამბების კოლაჟი **7.30, 12.30, 15.30, 17.10, 18.45, 5.55, 6.35** უცხოეთის ამბები **7.55, 10.55, 11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 6.55** უკომენტაროდ+ამინდი **8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 0.00** ახალი ამბები **8.10, 9.10, 10.15** მაღვიძარა **11.30, 22.00, 1.20** "ყოველდღიური აბები" **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **13.15, 14.15, 4.00** თავისუფალი დრო **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **16.10** მაესტროს პრესკლუბი **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **19.00** ახალი ამბები ინგლისურ ენაზე **19.05, 0.30** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **20.00** ამბები მოკლედ **20.05, 1.40** თოქ–შოუ - "არგუმენტები" **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.20, 2.30** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი".

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **06.35** დოკ/ფ "ველური ბუნება" **07.00** დოკ/ფ "დავით გარეჯი" I ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.10** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.30** უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა **10.35, 21.05** ლექსით ქებათა ქება **10.40** დოკ/ფ "ვარძია" **11.05** დოკ/ფ "ორაგულის ბედი" **11.15** ჩვენი ტრაპეზი **11.30** ეპოქის სახელები **12.05** ამინდი **12.10** კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი **12.15** დოკ/ფ "წმინდა ოთხთავი" IV ნაწ. **13.25** კონცერტი - ქართული მუსიკის ფესტივალი **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "ველური ბუნება" **15.55** კონცერტი - შავლეგ შილაკაძე "ლოცვა" **17.05, 19.20, 01.00** ანდრია კრიტელის კანონი **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.30** ქრისტიანული სწავლება **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.40** დოკ/ფ "დავით გარეჯი" II ნაწ. **20.40** ძილი ნებისა **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.10** ერთსულოვნების სალონი **21.55** უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა **22.20** შაბათის სახარების განმარტება **22.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **22.55** კალმის წვერი,ბულბულის ნისკარტი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** მარხვის კარიბჭესთან **23.30** დოკ/ფ "ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შესამოსელი" **00.35** განთიადის სტუმარი **01.50** დოკ/ფ "ჯიხეთი,დედათა მონასტერი".

## პარასკევი 22 მარტი

**06.30** "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** "ჩვენი დილა" (პ/ე) **09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 20.00, 01.50** "მოამბე" **11.00** "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) **12.45** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" **15.00** დ/ფ "მუზეუმის საიდუმლოებანი" **17.00** დ/ფ "ისტორიის შექმნა/ – ნოსტრადამუსი **18.00** ევროპის ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. ფინალები (პ/რ) **21.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **22.00** "აქცენტები" **23.30** დ/ფ "ფეხბურთის მეამბოხეები" **23.55** **ფეხბურთი**. მსოფლიოს **2014** წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი: **საფრანგეთი – საქართველო** (პ/რ) **02.10** მხ/ფ **"ზუსტად ის კაცი"** **03.30** დ/ფ " მშვიდობით ამხანაგებო" **00.30** მხ/ფ **"ბერლინის საქმე"**.

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. **"იღბლიანი მოახლე"** **11.20** სერ. **"მაფიის ქვრივი"** **13.00** სერ. **"24 – 6"** **14.40** ღამის შოუ (გ/ჩ) **16.00** სერ. **"დამალული სიმართლე"** **17.50** სერ. **"თილისმა"** **18.50** სერ. **"სახიფათო ვნება"** **21.00** სერ. **"მარტო-სული"** **22.00** თოქ შოუ – ღია ეთერი **00.15** მხ/ფ **"სნაიპერი"** (ბ.ზეინი) **02.00** მუსიკა.

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"სიყვარული მშვენიერია"** **11.00** სერ. **"იდუმალი ქალი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** ეკი ვოკი (გ/ჩ) **17.00** სერ.**"ვნების უფსკრული"** **18.45** სერ. **"ცრემლების გვირგვინი"** **20.05** სერ**"ერთ-გულების ძალა"** **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** პოზიცია **23.00** ვანოს შოუ **01.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერი დაიჯესტი.

**7.00, 5.35, 6.00** ახალი ამბების კოლაჟი **7.30, 12.30, 15.30, 17.10,**

18.45, 5.55, 6.35 უცხოეთის ამბები 7.55, 10.55, 11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 6.55 უკომენტაროდ+ამინდი 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 0.00 ახალი ამბები 8.10, 9.10, 10.15 მაღვიძარა 11.30, 22.00, 0.55 ყოველდღიური აბები 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.15, 14.15, 4.00 თავისუფალი დრო 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.10 მაესტროს პრესკლუბი 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 0.30 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" 19.30, 1.20 თოქ–შოუ - "არგუმენტები" 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.20, 2.30 თოქ-შოუ "პოლიტმეტრი".

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.35 დოკ/ფ "ველური ბუნება" 07.00 დოკ/ფ "დავით გარეჯი" II ნაწ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.30 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.45 დოკ/ფ "ჯიხეთი,დედათა მონასტერი" 11.20 დოკ/ფ "ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შესამოსელი" 11.45 ქრისტიანული სწავლება 12.05 ამინდი 12.10 კალმის წვერი,ბულბულის ნისკარტი 12.15 დოკ/ფ "სიაუშ ქართველი" 13.15 კონცერტი - საგალობლების საღამო 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ "ველური ბუნება" 15.55 დეკორატიული ფლორა 16.05 დიდი მარხვის სამოციქულო სახარების განმარტება - გ. სარია 16.10 კონცერტი-ნატალია გუტმანი და ელისო ვირსალაძე 18.05 დიდ ხარ შენ,უფალო 18.35, 23.15 ფოტოგალერეა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.15 მარხვის კარიბჭესთან 19.30 დოკ/ფ "მაცხოვრის სუდარა" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 მოგზაურობა სამშობლოში 21.55 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 22.25 ჩვენი ფონდი 22.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 22.55 კალმის წვერი,ბულბულის ნისკარტი 23.00 საღამოს ლოცვა 22.20 დიდი მარხვა 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 კვირიაკე 02.15 ირაო.

## შაბათი 23 მარტი

08.00 დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" 08.30 "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) 09.30 საბ. ან/ფ "ბუს ძახილი" 11.00 "ეთნოგრაფიული ნარკვევები" 11.30 საბ. ტ/სერ "**პირველყოფილი**" 12.00, 14.00, 16.00, 20.00, 02.50 "მოამბე" 12.30 "AGVA-GEORGIA" 13.00 ქართ. მხ/ფ "**არასერიოზული კაცი**" 15.00 "ეტალონი" 16.30 "ჩემპიონთა ლიგის დღიური" 17.00 "აღმოაჩინე საქართველო" 17.30 დ/ფ "რუკების სილამაზე" 18.00 ევროპის ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. ფინალები (პ/რ) 21.00 "ევროვიზიის დღიური" 21.30 დ/ფ "ფოტო" 22.00 "ქართული დოკუმენტალისტიკა" – ოკუპაცია: "ორი კატინი" 23.00 "ახალი ქართული კინო" 23.30 დ/ფ "ბახმარო" 00.00 მხ/ფ "**სიცრუის ერთობლიობა**" (ლ.დიკაპრიო) 02.25 დ/ფ " მშვიდობით ამხანაგებო".

08.00 ან/ფ "სალადინი" 09.00 მხ/ფ "**პატარძალი და ცრურწმენა**" 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ან.ფ. "ავატარი" 12.00 ქ.სერ. "**შუა ქალაქში**" 13.00 იუმორინა 14.20 მხ/ფ "**საქორწინო წვეულება**" 16.00 სერ. "**ყინული**" 1 სერ. 17.50 სერ. "**თილისმა**" 18.50 სერ. "**სახიფათო ვნება**" 21.00 სერ. "**მარტოსული**" 22.00 ქ.სერ. "**შუა ქალაქში**" 23.00 კაცების შოუ 00.00 მხ/ფ "**დედოფალი მარგო**" (ვ.პერესი) 02.35 მხ/ფ "**საბედისწერო მოგზაურობა**" (ო.უაილდი) (ტიტ.) 04.10 მუსიკა.

08.00 კურიერი დაიჯესტი 08.30 MTV ROOM RAIDERS 09.00 ანიმაცია "პატარა პრინცი" 09.30 სერ. "**კლუბი**" (ს1) 10.30 შერეკილები 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00 კურიერი 12.30 ბიზნეს კურიერი 15.30 სერ. "**სიყვარული და საიდუმლო**" 16.30 "ნანუკას შოუ" - (გ/ჩ) 18.45 სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" 20.05 სერ."**ერთგულების ძალა**" 22.00 სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" 23.00 რა? სად? როდის? 00.00 პოკერის ტურნირი 00.30 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 01.00 "Latin Angels" 02.00, 04.30 მხ/ფ.

7.00, 0.00, 1.00, 3.00, 5.00, 5.55 ახალი ამბების კოლაჟი 7.30, 13.25, 14.25, 15.30, 16.25, 16.35, 17.25, 18.45, 19.10, 21.40, 0.30, 4.30, 5.25, 6.20 უცხოეთის ამბები 8.30 კვირის არგუმენტები (გამ) 10.00 მაღვიძარა (კოლაჟი) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 12.30, 13.05, 14.05, 16.05, 17.05 ყოველდღიური აბები 12.55, 13.55, 14.55, 15.55, 16.55, 17.55, 20.55, 6.55 უკომენტაროდ+ამინდი 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00 ამბები მოკლედ 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 20.10, 1.30 სტუდია მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 2.00 "პრეს-პრესი" 23.00, 3.30 "ჩვენ" - თამარ ჩიქოვანთან ერთად.

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.35 დოკ/ფ "პლანეტა დედამიწა" 07.35 მოგზაურობა სამშობლოში 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ჩვენი ფონდი 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.05, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 10.40 კვირიაკე 12.05 ამინდი 12.10 კალმის წვერი,ბულბულის ნისკარტი 12.15 დოკ/ფ "მაცხოვრის სუდარა" 13.25 ქრისტიანული სწავლება 13.35 დოკ/ფ "პირველად იყო სიტყვა" 14.30 საღვთისმსახურო წელიწადი 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.10 ოპერა-"**ნაბუქო**" 18.10 ფოტოგალერეა 18.15 აქტუალური თემა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 გამოყენებითი ხელოვნება 19.35 ქართული ალბომი 20.00 ერთსულოვნების სალონი 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 ლექსით ქებათა ქება 21.30 "კარაბადინი" 21.55 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 22.25 პორტრეტი "ერთსულოვნების" გალერეიდან 22.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 22.55 კალმის წვერი,ბულბულის ნისკარტი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 სიმღერის კვალდაკვალ 00.30 დოკ/ფ "სინას მთა".

## კვირა 24 მარტი

08.00 საბ/ფ "**მარსიანელი ბავშვი**" 10.00 "ეტალონი" 11.00 "ჩვენი ექსპრესი" 11.30 საბ. ტ/სერ "**პირველყოფილი**" 12.00, 16.00 "მოამბე" 12.30 "ჩვენი ფერმა" 13.00 "სპექტაკლის დრო" – თავისუფალი თეატრის სპექტაკლი: "რვა მოსიყვარულე ქალი" 15.00 დ/ფ "რომაული ელეგანტურობა" 16.30 "ჩვენი ეზო" 17.30 "ვაშინგტონი დღეს" 18.00 ევროპის ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. ფინალები (პ/რ) 20.00 შოთა მილორავა – 85 22.00 "ქართული დოკუმენტალისტიკა" – ოკუპაცია: "სამგზის ოკუპაცია" 23.00 "აღმოაჩინე საქართველო" 23.30 "უცნობი მუსიკა" 00.30 კონცერტი 01.30 მხ/ფ "**ტროა**" (ბ. პიტი).

08.00 ან/ფ "სალადინი" 09.00 მხ/ფ "**ჰანი დენიელსი**" 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ბასტი ბუბუ 12.00 ქ.სერ. "**შუა ქალაქში**" 13.00 იუმორინა (გ/ჩ) 14.20 ქ.მხ/ფ "**საბუდარელი ჭაბუკი**" 16.00 სერ. "**ყინული**" 2 სერ. 17.40 იმედის გმირები 18.00 კონცერტი: "ვია 75" 21.00 ღამის შოუ 22.00 ქ.სერ. "**შუა ქალაქში**" 23.00 რომ გადახვალ, გააჩერე 23.25 მხ/ფ "**გრინსთრითელი ხულიგნები**" (კ.ფორლანი) 01.20 მხ/ფ "**აგვისტო**" (ნ.ჰარისი) (ტიტ.) 02.45 მუსიკა.

08.00 კურიერი დაიჯესტი 08.30 MTV ROOM RAIDERS 09.00 ანიმაცია "პატარა პრინცი" 09.30 სერ. "**კლუბი**" 10.30 შიშის ფაქტორი 12.00, 15.00, 18.00, 04.00 კურიერი 12.30 დოკ/ფ (ფრაგმენტი) 15.30 სერ. "**სიყვარული და საიდუმლო**" 16.30 პროფილი (გ/ჩ) 19.00 ეკი ვოკი 20.00 იღბლიანი ბორბალი 21.00 P.S. 22.00 სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" 23.00 კომედი შოუ 00.00 კარდაშიანების ოჯახი (ს2) 01.00 ტოპ გოგო (გ/ჩ) 02.00, 04.30 მხ/ფ.

7.00, 23.00, 0.00, 1.00, 3.00, 4.00, 5.00, 6.00 ახალი ამბების კოლაჟი 7.30, 12.30, 14.05, 15.30, 17.35, 20.45, 22.00, 0.25, 2.30, 3.30, 4.30, 5.30, 6.30 უცხოეთის ამბები 10.00 მაღვიძარა (კოლაჟი) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 17.55, 20.55, 6.55 უკომენტაროდ+ამინდი 13.00 პრეს-პრესი (გამ.) 14.00, 16.00, 17.00, 20.00 ამბები მოკლედ 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.05 "ჩვენ" თამარ ჩიქოვანთან ერთად (გამ.) 17.05 მონიტორის ჟურნ. გამოძიება (გამ) 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00, 1.30 დისკუსია - სტუდია "რე" 20.10, 23.25 ღია კარის დღე 21.00 ახალი ამბები 9 საათზე.

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.35 მულტფილმი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ქრისტიანული სწავლება 08.45 დეკორატიული ფლორა 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.05, 21.25 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 12.10, 22.55, 00.05 ისტორიის დღიური 10.15 სიახლენი 10.40 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 10.45, 21.35 ლექსით ქებათა ქება 10.50 სიმღერის კვალდაკვალ 11.30 ქართული ალბომი 12.05 ამინდი 12.10 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 12.15 დოკ/ფ "ათონის ქართველთა სავანე" 13.00 ძველი აფიშა "ჩემი პატარა ქალაქი" 13.30 "ჩვენი ტრაპეზი" 13.40 ქართული მულტფილმი 13.55 დიდი მარხვა 14.30 კარაბადინი 15.05, 18.05, 21.05 პატრიარქის ქადაგება 15.25 მგზავრები წუთისოფლისა 15.50 ერთსულოვნების სალონი 16.35 ეპოქის სახელები 17.00 დოკ/ფ "საქართველოს მფარველი ანგელოზები" 17.20 საღვთისმეტყველო საუბრები 18.30 დროის ჩანაწერები 19.40 დოკ/ფ "ექვთიმე" 21.30 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 21.40 "კვირიაკე" 22.55 კალმის წვერი,ბულბულის ნისკარტი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ "მებრძოლი ეკლესია" 00.10 პატრიარქის ქადაგება 00.35 დოკ/ფ "მონასტრის ბინადარნი".

**ორივე ლამაზია, ენერგიული, ხალისიანი... მათ გვერდით კაცი ნამდვილად არ მოიწყენს. ერთმანეთს გარეგნობით არ ჰგვანან, თუმცა, ხასიათში ბევრი საერთო თვისება აქვთ. ისინი გოგიჩაიშვილების მხიარული, თბილი ოჯახის ყველაზე უმცროსი და ლამაზი წევრები – ნანუკა და ნინი გოგიჩაიშვილები არიან.**

# რატომ უმალავდნენ ნინი გოგიჩაიშვილს ხეზე გაკრულ განცხადებებს და რა საკითხშია არაადეკვატური ნანუკა გოგიჩაიშვილი



**ნინი: „ჩემს ცხოვრებაში რა ხდება, ოჯახში ამას ბოლო ეტაპზე იგებენ, მაგრამ, სად დავდივარ, ვინ არიან ჩემი მეგობრები – ამის შესახებ ყოველთვის საქმის კურსში არიან“**

**ნანუკა**: ნინი ძალიან ძლიერი ადამიანია, დამოუკიდებელი, მიზანდასახული, ბავშვობიდან ყველაფერს დამოუკიდებლად აკეთებს. ისეთი ხასიათი აქვს, რომ, მგონია, იურისტი უნდა იყოს. ისეთია, საკუთარ თავს ყველგან რომ გაიტანს. ბებიაჩემი ამბობდა: ხეზე რაც არის გაკრული (ანუ, ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სადღაც ტარდება რამე ოლიმპიადა ან კონკურსი), ჩამოხსენით, რომ არ ნახოს, ხეები გადაუმალეთ ბავშვსო, რადგან ყველა კონკურსში იღებს მონაწილეობას. ჩვენ სახლში ვსხედვართ და, უცებ, ვიგებთ: ნინიმ გუშინ „ოსკარი“ აიღო. უი, მართლა? ახალი კაბა იმიტომ შეიკერა? სულ სწავლობს და თავის გზას თვითონ იკვალავს. ყველამ იცის, ჩვენი მშობლები როგორი დაკავებულები არიან და ეს ყველაფერს თავისით აკეთებს, ხან პირველ ადგილს იღებს, მიდის, მოდის... მშობლებისგან ვიცი, რომ ნინის ბავშვობაში ძალიან ვუყვარდი. ყოველთვის ჩემზე უფროსი მგონია, ყველა სიტუაციას სწორად უდგება და თავისზე უფროსს ისე დაარიგებს, რომ ის აუცილებლად მიიღებს.

**ნინი**: მშობლები სულ დაკავებულები არიან. ყველანაირად გვიწყობენ ხელს, მაგრამ, ის, რომ ცნობილი სახეები არიან, ჩვენ არასდროს გამოგვიყენებია. ნანუკა, ასე თუ ისე, თავის საქმეში წარმატებულია და, რაც აქვს, ყველაფერი თავისით გააკეთა. ჩემს შემთხვევაშიც ასე მოხდა. მშობლების მადლიერი ვარ, რომ ასეთები გავიზარდეთ; რომ ვარდისფერი სათვალეებით არ ვუყურებთ არაფერს და ყველანაირი წინააღმდეგობისთვის მზად ვართ.

**ნანუკა**: ნინი მთელი ცხოვრება სწავლაგანათლებაშია, თუმცა, გართობასაც ასწრებდა და, საერთოდ, ყველაფერს. როცა ინტერვიუში მასზე ვსაუბრობდი, ნინი ყველას ეგონა სათვალეებიანი გოგო, რომელიც თავს არ სწევს მაღლა, დღის შუქზე არ გამოდის, მზის ალერგია აქვს. მაგრამ, აღმოჩნდა, რომ საერთოდ არ არის ასეთი – შეუძლია, კაბაც ჩაიცვას, ღამითაც გაერთოს. უბრალოდ, არსად არ ჩანდა აქამდე, რადგან, ერჩივნა, ესწავლა, თავისი სამსახური ჰქონოდა.

**ნინი**: ადრეულ ასაკში დავიწყე სამი ენის სწავლა. როცა რაღაცის კეთებას ვიწყებ, მინდა, ბოლომდე სრულფასოვნად მივიყვანო. რადგან ენებს ვსწავლობდი, დაკავებული ვიყავი, სამოდელო სააგენტოებს ყურადღებას არ ვაქცევდი.

**ნანუკა**: არადა, ყველა სააგენტოსგან მქონდა შემოთავაზება: ნინი წამოიყვანეო, აქ მოიყვანეო, მაგრამ, უარს ამბობდა.

– **ნინი, გარკვეული პერიოდის განმავლობაში გერმანიაშიც ცხოვრობდი.**

**ნინი**: გერმანიაში გავხდი 16 წლის. 4 თვე ვსწავლობდი კოლეჯში. მერე ჩამოვედი, გამოცდები ჩავაბარე და მოვხვდი იქ, სადაც მინდოდა, ანუ „ჯიპაში“ ვსწავლობ სოციოლოგიაზე. საერთოდ, ჩემს ცხოვრებაში რა ხდება, ოჯახში ამას ბოლო ეტაპზე იგებენ. მაგრამ, სად დავდივარ, ვინ არიან ჩემი მეგობრები – ამის შესახებ ყოველთვის საქმის კურსში არიან. უბრალოდ, როცა სერიოზულ გადაწყვეტილებას ვიღებ, სანამ ბოლომდე არ დავრწმუნდები, რომ გამოვა, წინასწარ არ მიყვარს ლაპარაკი.

**ნანუკა**: ამაში ვგავართ ერთმანეთს. ჩემი მეგობრები ამბობენ ხოლმე: ალბათ, ისე გათხოვდები, რომ სულ ბოლოს დარეკავ: ჩამოდით, დღეს გავთხოვდი და მივდივართო.

– **ნინი, შენც ასე აპირებ გათხოვებას?**

**ნინი**: გათხოვებაზე ფიქრი ჩემთვის ჯერ ადრეა, წინ ძალიან ბევრი გეგმა მაქვს. ვერ წარმომიდგენია, ამდენი წელი ერთ ადამიანთან როგორ უნდა ვიცხოვრო, მიუხედავად იმისა, რომ სახლში ამის კარგი მაგალითი მაქვს დედისა და მამის სახით. თან, მინდა, უცხოეთში ჩავაბარო მაგისტრატურაში.

**ნანუკა**: მე ჩემი თავი გასათხოვრად იმდენად პატარა მგონია, რომ, ვფიქრობ, ჯერ ნინი უნდა გათხოვდეს. ბებიისა და ბაბუის სიყვარულის ისტორია ყველას აქვს მოსმენილი, ისევე, როგორც დედისა და მამის. მაგრამ, რეალურად, მე ხომ უკეთ ვიცი ეს ყველაფერი: 24 საათის განმავლობაში ერთმანეთს რომ შესციცინებენ თვალებში, ერთი წამი არ შეუძლიათ ერთმანეთის გარეშე. რა თქმა უნდა, მეც იგივე მინდა, მაგრამ ასეთ საკითხებში იმდენად არაადეკვატური ვარ, შეიძლება, უცებ: ააა! – და გადავწყვიტო რაღაც.

– **არასდროს გამიგია, ნანუკა გოგიჩაიშვილი შეყვარებულიაო.**

– მინდა, ერთადერთი გამორჩეული ადამიანი იყოს და, როცა დავრწმუნდები, რომ ეს ადამიანი მიყვარს, მერე ყველგან ვიტყვი. 15 წლიდან ინტერვიუებს ვაძლევ და ამ ხნის განმავლობაში ყოველთვის იყვნენ ბიჭები, რომლებიც ძალიან კარგად მექცეოდნენ, ჩემ მიმართ გამოხატავდნენ გრძნობებს, მაგრამ, მინდა, იყოს ის ერთადერთი ადამიანი, რომელსაც ექნება განსაკუთრებული ყურადღება, სტატუსი, მასზე მოხდება აფიშირება... მიდებ-მოდებები არ შემიძლია.

**ნანუკა: „მინდა, მართლა ერთადერთი ადამიანი იყოს, გამორჩეული; შეიძლება, ოჯახი არ შევქმნათ, მაგრამ, სერიოზულად იყოს საქმე. უკვე მინდა, ვინმემ მომაწონოს თავი“**

– **ნანუკა, ნინიც ისეთივე მხიარული და ჟრიამულის მოყვარულია, როგორც თქვენი ოჯახის დანარჩენი წევრები?**

**ნინი**: ძალიან კარგად ვეწყობით ერთმანეთს, ვაბალანსებთ და ყველგან კარგად ვერთობით. მაგრამ, როცა რაღაცას ვყვებით!.. – ღმერთო ჩემო... არავის არაფერი ესმის. შეიძლება, ძალიან დიდხანს ვილაპარაკოთ იმაზე, თუ როგორი გემრიელია ბამბის ნაყინი.

**ნანუკა**: თან, ხომ იცი, სხვის თვალში ეს როგორი საინტერესოა. იმდენად ჩართულები ვართ, გვეკითხებიან: რა, რამე მოხდა? სულ ვამბობ ხოლმე: ნინი, რომ გათხოვდება, მის ქმარს უნდა ერქვას მამუკა – ეს სახელი კარგად ეწყობა ნანუკას.

**ნინი**: იცი, როგორი ეჭვიანია? ვინმე რომ დამირეკავს, მაშინვე მეკითხება: ვინ გირეკავს? ერთად რომ დავდივართ, ვინმე რაღაცას თუ იტყვის, ეს რომ გადმოდგება და მიცავს, ამაზე ძალიან ვხალისობ.

**ნანუკა**: ნინის მიმართ ცოტა ეგოისტური მომენტები მაქვს. ვერ ვიტან, ვიღაც რომ ეპრანჭება, თან, ისე, რომ ვერ შეატყოს და ვითომ ემეგობრება. ჩემს ცხოვრებაშიც ზუსტად ასე ხდებოდა – ყველა ჩემი მეგობარი იყო. გავა ერთი-ორი წელი და მერე, უცბად, ყველა მისი მეგობარი ვარდებით ხელში დაადგება თავზე.

**ნინი**: ნანუკა ჩემზე ბევრად ემოციურია, რეაქციებს არასდროს მალავს. ყველა ემოცია ეტყობა სახეზე. რაღაც თუ არ მოსწონს – მორჩა და, მერე მე ვარ სიტუაციის გამსწორებელი: არა, ხალხო, კარგ ხასიათზეა ნანუკა!

– **როგორი უნდა იყოს ბიჭი, თქვენ რომ მოგეწონოთ?**

– მინდა, ბიჭებმა ცოტა იწვალონ, ამიტომ, ყველა კარტს არ გავხსნი, რადგან, ისე კარგად ვიცნობ ნანუკას, შემიძლია, მე ავურჩიო ვინმე. აუცილებლად უნდა იყოს განათლებული, ჩამოყალიბებული, ჭკვიანი, გაზრდილი, უაზროდ რომ არ იეჭვიანებს, პირიქით, დაგარიგებს; გარეგნობას დიდ ყურადღებას არ აქცევს და, ყველაზე მთავარი: ბიჭი ძალიან თავდაჯერებული უნდა იყოს. არ აქვს მნიშვნელობა იმას, რომ ნანუკა წარმატებულია, ჯერ ის უნდა იყოს და მერე უნდა მოჰყვებოდეს ნანუკა. ნანუკას უყვარს სიურპრიზების გაკეთება, ოღონდ, ისე, რომ მისი ნაჩუქარი ერთი ფურცელიც კი, ძვირფას მანქანას უნდა გერჩივნოს.

**ნანუკა**: ალბათ, ხასიათი უნდა ჰქონდეს სიურპრიზებით სავსე. მე არ ვმეორდები არც მეგობრებთან ურთიერთობაში და არც არავისთან, ყოველდღე სხვადასხვანაირი ვარ და, ალბათ, ბიჭისგანაც ამას ველი.

**ნინი**: ერთია, როცა ადამიანს იცნობ და იცი, ამა თუ იმ საკითხზე როგორი რეაქცია აქვს, მაგრამ, მეორეა – როდესაც მისგან ყოველდღე ახალს ელოდები. ნანუკას სჭირდება თავისი ბიჭივარიანტი.

**ნანუკა**: ნინის ყველაფერი უნდა ასპროცენტიანი. რა თქმა უნდა, ბიჭი განათლებული უნდა იყოს, სხვა შემთხვევაში – შეჭამს, რადგან, ვინც მას გაესაუბრება თუნდაც ორი წუთით, მიხვდება, რომ სხვასთან აქვს საქმე. გარეგნული ფაქტორიც ბევრს ნიშნავს მისთვის. შეიძლება, ბანალურად ჟღერდეს, მაგრამ, ძალიან მნიშვნელოვანია ოჯახის მომენტი: სად, როგორ ოჯახში იზრდება. მგონია, რომ ფეხბურთელი შეეფერება, თან, ისე უყვარს....

**ნინი**: ფეხბურთს რომ ვუყურებ, ჩვეულებრივი მამაკაცი ვხდები. ისე, როდესაც ბიჭებთან ურთიერთობას ეხება საქმე, ძირითადად, დამკვირვებლის როლი მაქვს, თუმცა, ჩემს აზრს არასდროს ვახვევ თავზე. მიმაჩნია, რომ ყველა საქციელს აქვს თავისი ახსნა, უბრალოდ, საქმე ისაა, მიიღებ ამას თუ არა. ნანუკა ისეთი ემოციურია, შეიძლება, უცებ გაბრაზდეს და, ამიტომაც, მე ბიჭების დამცველი გამოვდივარ.

**ნანუკა**: ფილმივით ვიწყობ ხოლმე ცხოვრებას, ბუდესავით ვიკეთებ, რომ, რაც ჩემია, ჩემთან იყოს. მინდა, მართლა ერთადერთი ადამიანი იყოს, გამორჩეული. შეიძლება, ოჯახი არ შევქმნათ, მაგრამ, სერიოზულად იყოს საქმე. უკვე მინდა, ვინმემ მომაწონოს თავი. ჩელენტანოს ფილმებზე ვგიჟდები, მაგალითად, „ჭირვეულის მორჯულებაში“ როგორც არის – ყველა ქალი იხიბლება, როცა მამაკაცი თავის პოზიციებს იცავს და აზრს აფიქსირებს.

**ნათია უტიაშვილი**

**„მგზავრების“ წევრი გიგი დედალამაზიშვილი დიდი ხანია, არ გამოჩენილა ჟურნალების ფურცლებზე. ამ ბოლო დროს ბევრი სიახლეა მის მუსიკალურ ცხოვრებაში... ჩაწერა ახალი ალბომი, გადაიღო კლიპი, კონცერტებს გეგმავს სხვადასხვა ქვეყანაში და, ასევე, თბილისში... მოკლედ, ამ ყველაფერზე გიგი თვითონ გვესაუბრება.**

# როდის ჰქონდა „ჩაკეტვის“ პერიოდები გიგი დედალამაზიშვილს და რას არ აუკრძალავს ის მეუღლეს არასდროს

**– რა ხდება შენკენ ახალი და კარგი?**

– სიახლე ისაა, რომ, გამოდის ჩვენი ახალი ალბომი, რომელიც უკვე დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოვა გასაყიდად. ახლა ვაპირებთ რადიოებში მიტანას. ალბომი შედგება თორმეტი სიმღერისგან. ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ მსმენელს მოეწონება. ჩემი აზრით, საკმაოდ მრავალფეროვანი ალბომია. ჩვენი მიზანი იყო, გაგვეკეთებინა რაღაც ცოტათი განსხვავებული. გარდა ამისა, გადავიღეთ ახალი კლიპი, რომლის პრემიერაც „პროფილის“ ეთერში იყო. რამდენიმე დღეში კიევში მივდივართ „იუნას“ დაჯილდოებაზე. ეს არის უკრაინული მუსიკალური კონკურსი, რომელიც ყოველ წელს იმართება. ძალიან ვნერვიულობ, რადგან, ისეთი ჯგუფები იღებენ მონაწილეობას, რომლებსაც ბავშვობიდან ვუსმენ და, უცბად, ჩვენც მათთან ერთად უნდა წარვდგეთ. თბილისშიც ვგეგმავთ კონცერტს – დაახლოებით, აპრილის ბოლოსკენ.

**– უცხოეთში ჩატარებულ კონცერტებზე უფრო ნერვიულობ ხოლმე თუ საქართველოში?**

– ორივეს სხვადასხვა ნერვიულობა აქვს. ბევრ ქვეყანაში არ ვართ ნამყოფი. ძირითადად, უკრაინაში და აზერბაიჯანში გვიწევს ხოლმე კონცერტების გამართვა. ყველაზე კარგი მსმენელი მაინც უკრაინაშია. უკრაინელებს ერთი პლუსი აქვთ: თუ შეუყვარდები, ბოლომდე შენთან არიან. ნერვიულობა მაინც არის, რადგან, სხვა ქვეყანაში ხარ, საქართველო უნდა წარადგინო და სხვა პასუხისმგებლობაა. რაც შეეხება აქაურ კონცერტებს, როცა მსმენელი უკვე გიცნობს, ბევრი სიახლე უნდა შესთავაზო, სულ უნდა გააოცო, თუმცა, „ტრიუკებსა“ და „სალტოებს,“ ალბათ, ვერ გააკეთებ *(იცინის)*.

**– თაყვანისმცემლებისგან თუ გრძნობ სიმპათიებს და როგორ გამოხატავენ?**

– დაახლოებით ერთი წლის წინ, კიევში ქუჩაში მივდიოდი. ვიღაცამ გამაჩერა და მთხოვა, სურათი გადამეღო მასთან ერთად. თავიდან ვერ მივხვდი, არ მოველოდი, კიევში თუ მიცნობდნენ. ძალიან დავიბენი და ერთი საათი ვუხდიდი იმ გოგოს მადლობებს *(იცინის)*. ახლა უკვე ხშირად ჩავდივართ ხოლმე უკრაინის პატარ-პატარა ქალაქებში და ვატარებთ კონცერტებს.

**– რომელია შენი საოცნებო ქვეყანა?**

– ყოველთვის უფრო მარტივია ისეთ ქვეყნებში წასვლა, სადაც საქართველოს იცნობენ და დაახლოებითი სტერეოტიპი შექმნილი აქვთ, თუმცა, ძალიან საინტერესო იქნება ისეთ ქვეყანაში ჩასვლაც, სადაც ჩვენი ქვეყნის შესახებ არაფერი იციან. შემოთავაზებები გვაქვს პოლონეთიდან, ლიტვიდან, ლატვიიდან, ყაზახეთიდან... ამერიკაზე არც ვოცნებობ *(იცინის)*. მართალია, დღეს-დღეობით ბევრად უფრო ადვილია იქ წასვლა, ვიდრე წინათ, მაგრამ, მე ამაზე ნამდვილად არ ვფიქრობ *(იცინის)*. ჯერჯერობით, ევროპა უფრო რეალურად მიმაჩნია.

**– საერთოდ ყველაფერს წინასწარ გეგმავ თუ ექსპრომტად იღებ ხოლმე გადაწყვეტილებებს?**

– ერთადერთი, რაც დაგეგმილი მაქვს, კონცერტებია – სამ თვეში ერთხელ უკრაინაში ვატარებთ კონცერტებს, დანარჩენი კი ყოველთვის ექსპრომტად ხდება ხოლმე. ცოტა ცვალებადი ხასიათი მაქვს. შეიძლება, ერთი პერიოდი ძალიან გახსნილი ვიყო, სულ მხიარულად, კარგ ხასიათზე, მაგრამ, ხანდახან, შეიძლება, ჩავიკეტო. პერიოდები მაქვს ხოლმე „ჩაკეტვის“ *(იცინის)*.

**– ძალიან დიდი ხანია, შენი ინტერვიუ არსად ყოფილა. ეს „ჩაკეტვის“ პერიოდის ბრალი ხომ არ არის?**

– რომ არ მოგატყუო, მეზარება ხოლმე. ბოლო ინტერვიუ შარშან მქონდა. ხანდახან თემები არ მომწონს, მაგალითად – როგორ ტანსაცმელს ანიჭებთ უპირატესობას ან როგორ ისვენებთ ოჯახთან ერთად... ასეთ თემებს არ ვთანხმდები ხოლმე. ასეთი ინტერვიუები, ალბათ, უფრო პოპმომღერლებთან უნდა ჩაწერონ. შეიძლება, შორიდან ძალიან გახსნილი და მხიარული ვჩანვარ, მაგრამ, ყოველთვის ასე არ არის. ცოტა უცნაური ვარ, ოღონდ, ძალიან უცნაურიც არა *(იცინის)*.



**ძალიან დავიბენი, ერთი საათი ვუხდიდი იმ გოგოს მადლობებს**

**– როგორც ვიცი, ძალიან აქტიური ადამიანი ხარ.**

– საერთოდ, გარეთ იშვიათად გავდივარ, თუ საქმე არ მაქვს. რატომღაც, მიყვარს სახლში ჯდომა. რაც ცოლი მოვიყვანე, ძირითადად სახლში დავჯექი *(იცინის)*. გარეთ მარტო მაშინ გავდივარ, როცა მაქვს ჩაწერა, კონცერტი ან რამე სხვა საქმე. ძირითადად, საქართველოში არ ვარ ხოლმე. ერთი თვიდან, საშუალოდ რომ ავიღოთ, ორი კვირა უცხოეთში ვარ, ორი კვირა – საქართველოში.

**– მეუღლესთან ერთად დადიხარ ხოლმე თუ მარტო?**

– ძირითადად, ცალ-ცალკე დავდივართ. მასაც თავისი საქმეები აქვს და, როცა ის მიფრინავს, არ დავყვები. ის უფრო ხშირად დამყვება ხოლმე. მარინა ძალიან კარგი ფოტოგრაფია და ხშირად უწევს უცხოეთში წასვლა გადაღებებზე. თითქმის ყველაფერს იღებს – პორტრეტებს, პორტფოლიოებს... ჩემზე მეტს ის მოგზაურობს.

**– ანუ, რაიმე აკრძალვები არ გაქვს და ყველაფერში ხელს უწყობ?**

> **თავს იმით ვიმშვიდებ, რომ თითქმის ყველას ასე ემართება ხოლმე, ყველა ნერვიულობს და მე გამონაკლისი არ ვარ. ძალიან რთულია, როცა ხელოვნებასთან გაქვს საქმე**

– კი, ნამდვილად არაფერს ვუშლი. ჩემს ოჯახშიც ყოველთვის ასე იყო: დედაჩემიც და მამაჩემიც მუშაობდნენ და მამაჩემს არასდროს აუკრძალავს არაფერი. მე ასე ვუყურებ ამ ყველაფერს: თუ შენს ცოლს აქვს იმის სურვილი, რომ იმუშაოს, აუცილებლად უნდა შეუწყო ხელი; თუ არ აქვს ამის სურვილი, რა თქმა უნდა, ამაშიც არაფერია ცუდი. მარინას ხანდახან ეზარება ხოლმე სადმე გაფრენა, მე კი ყოველთვის ვეუბნები, რომ უნდა წავიდეს, იმუშაოს, განვითარდეს. ხელი რატომ უნდა შევუშალო? მე ძალიან მეამაყება, რომ მყავს ცოლი, რომელიც რაღაც საქმეს აკეთებს; არ აქვს მნიშვნელობა, კარგად თუ ცუდად, მთავარია, ის ცდილობს განვითარდეს და მე ამით ძალიან კმაყოფილი და ბედნიერი ვარ. ძალიან არ მომწონს, როდესაც ადამიანი არ არის რეალიზებული.

**– მარინა ხომ არ ეჭვიანობს ხოლმე, რა აზრის არის შენს გასტროლებზე, მოგზაურობაზე?**

– მარინა არასდროს ეჭვიანობს, რადგან, ძირითადად ჩემთან ერთად დადის ხოლმე. სხვათა შორის, ჩვენი ჯგუფის წევრების ცოლები ვერ იტანენ, როცა უკრაინაში დავდივართ გასტროლებზე *(იცინის)*. ისეც არ გამოდის, ყველანი ცოლებით რომ გავფრინდეთ ხოლმე. ასე რომ, ეს თემა ყოველთვის არის – რამდენი ხნით მივდივართ, როდის ჩამოვალთ *(იცინის)*...

**– რამე ისეთი თვისება თუ გაქვს, რომელიც ცხოვრებაში ხელს გიშლის?**

– ძალიან ემოციური ვარ. ეს თვისება, ალბათ, თითქმის ყველა ხელოვანს აქვს. მე ძალიან რადიკალი ვარ: რაღაც ან ძალიან მიხარია, ან ძალიან მწყინს. საშუალო არ მაქვს. ყველა ამას მეუბნება, რომ ძალიან ემოციური ვარ. ეს ძალიან ცუდია. ყველაფერზე ზედმეტად ვნერვიულობ. როდესაც რაღაც საქმე კარგად მთავრდება, მერე ვფიქრობ ხოლმე, რა მანერვიულებდა-მეთქი. იმდენად ემოციური ვარ, რომ აბსოლუტურად ყველაფერზე შემიძლია, ვინერვიულო – პატარა, უმნიშვნელო რაღაცაზეც კი. რომ გითხრა, ეს თვისება ძალიან მაფერხებს-მეთქი, არა, რადგან, მყავს პროდიუსერი, რომელიც ყველაფერს აკეთებს ჩვენი კომფორტისთვის.

**– ამდენი ნერვიულობა დეპრესიაში ხომ არ გაგდებს ხოლმე?**

– არა, დეპრესიები არ მახასიათებს. თავს იმით ვიმშვიდებ, რომ თითქმის ყველას ასე ემართება – ყველა ნერვიულობს და მე გამონაკლისი არ ვარ. ძალიან რთულია, როცა ხელოვნებასთან გაქვს საქმე. არარეალურ სამყაროში ცხოვრობ – ეს არის სამყარო, სადაც არ არის არანაირი წესები; სულ ვარაუდში ხარ; რასაც აკეთებ, არასდროის იმალება – შენ მიერ დაშვებულ ერთ შეცდომასაც კი ყველა ხედავს და ეს ადვილი ნამდვილად არ არის. სიმართლე რომ გითხრა, ცოტათი მთრგუნავს პოპულარობა.

**– რატომ გთრგუნავს?**

– სულ მრცხვენია. როდესაც ადამიანი მცნობს და სითბოს გამოხატავს, მინდა ხოლმე, რომ ერთიასად დავუბრუნო. სიტყვები არ მყოფნის და ხშირად ვვარდები უხერხულ მდგომარეობაში. ასაკით უფროსი ბევრი ადამიანი მეუბნება ხოლმე კომპლიმენტებს და, მინდა მივიდე, ჩავეხუტო. ამ ბოლო პერიოდში ვცდილობ, არ გავიდე ისეთ ადგილებში, სადაც ბევრი ხალხია.

**ხატია კარანაძე**

# რაში უშლიდნენ ხელს ძველი ქართველი ბოლშევიკები სტალინსა და ბერიას



**თანამედროვე გაგებით, თბილისმა ქალაქის იერსახე სწორედ ბერიას მოღვაწეობის წლებში მიიღო. იგი უშუალოდ ხელმძღვანელობდა ქალაქის დაგეგმარებას**

***ერთადერთი სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ბოლშევიკი ლიდერი იოსებ ჯუღაშვილი იყო. საერთოდ, ბოლშევიკური პარტია ყოველთვის განიცდიდა სახელმწიფოებრივად მოაზროვნე კადრების ნაკლებობას. თვით ვლადიმირ ლენინიც კი, არ შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფოებრივად მოაზროვნედ. ასეთები იყვნენ სხვა ბოლშევიკი ლიდერებიც. ხელისუფლების სათავეში მათი მოსვლის შემდეგ აშკარა გახდა სახელმწიფო მოღვაწეთა ნაკლებობა. ჯერ საბჭოთა რუსეთის, ხოლო შემდეგ საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში დამკვიდრდა პარტიული აზროვნება. ბოლშევიკი ლიდერების მიზანი იყო არა სახელმწიფოს სიძლიერე, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემის დახვეწა, არამედ ბოლშევიკური (კომუნისტური) პარტიის გაძლიერება, რომელსაც უნდა ებატონა სახელმწიფოზე. ასე იქცა ბოლშევიკური პარტია სახელმწიფოდ სახელმწიფოში; მონსტრად, რომელმაც დათრგუნა ყველაფერი. სწორედ ამ თემაზე ვიმსჯელებთ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორის, ისტორიკოს ვახტანგ გურულის მასალებზე დაყრდნობით.***

უკვე მეოცე საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისისთვის ნათელი გახდა, რომ ბოლშევიკებს ლენინის მეთაურობით კარგად შეეძლოთ ნგრევა და არა – შენება. ნგრევა მიმდინარეობდა ყველაფრის, ერთადერთი მიზნით – ძალაუფლების შესანარჩუნებლად. იოსებ სტალინი იმთავითვე მიხვდა, რომ, თუ ნგრევას ბოლო არ მოეღებოდა, ბოლშევიკები ძალაუფლებას დაკარგავდნენ და სახელმწიფოც კვდომას დაიწყებდა. ყოველივე ამის თავიდან აცილების მიზნით, მან ნელ-ნელა დაიწყო მნიშვნელოვანი სახელმწიფო თანამდებობებიდან გაუნათლებელი, მხოლოდ რევოლუციური წარსულის გამო დაწინაურებული ადამიანების ჩამოშორება. დღეს, შეიძლება, დაუჯერებლად მოგვეჩვენოს, რომ მაშინდელ უმაღლეს პარტიულ და სახელმწიფო ეშელონებშიც კი, იყვნენ ადამიანები, რომლებსაც ჰქონდათ 2 ან 4 კლასის განათლება. სტალინი ახალი კადრების ძიებას შეუდგა. ეძებდა ისეთ კადრებს, რომლებიც შეძლებდნენ სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის დაწყებას. ამ პროცესში ლავრენტი ბერია სტალინის აღმოჩენა იყო. მეოცე საუკუნის 20-იან წლებში ქართველი ბოლშევიკები: ფილიპე მახარაძე, მიხა ცხაკაია, მიხეილ კახიანი, მამია ორახელაშვილი, ლავრენტი ქართველიშვილი, სამსონ მამულია და სხვები ტიპური პარტიულად მოაზროვნეები იყვნენ. უმაღლეს პარტიულ და სახელმწიფო ხელისუფლებაში დამკვიდრდა დაუსრულებელი ლაყბობა, კამათი ისეთ საკითხებზე, რომლებიც არანაირად არ უკავშირდებოდა საქართველოს. ქართველ ბოლშევიკებს შეეძლოთ, დაუსრულებლად ეკამათათ გერმანიის ან ჩინეთის რევოლუციის პერსპექტივებზე, მაშინ, როცა თბილისს არ ჰქონდა სასმელი წყალი, სატელეფონო ქსელი, ნორმალური გზები და საქალაქო ტრანსპორტი; კოლხეთის დაბლობზე კი მოსახლეობა მალარიისგან იტანჯებოდა. აი, ასეთ ვითარებაში მოუხდა ლავრენტი ბერიას საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობის სათავეში მოსვლა. სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში ათ წელზე მეტი ხნის წარმატებული მოღვაწეობის შემდეგ, 1931 წელს, სტალინის რეკომენდაციით ბერია საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად დაინიშნა. მალე ბელადმა მას კიდევ უფრო მნიშვნელოვანი თანამდებობა მიანდო – ლავრენტი ბერია საკავშირო კომპარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩიეს. გავრცელებულია ვერსია, თითქოს ბელადთან ბერიას რეკომენდაცია ორჯონიკიძემ გაუწია, მაგრამ, ეს ვერსია მცდარია. ბერია, როგორც პერსპექტიული მუშაკი, სტალინს გაცილებით ადრე წარუდგინა ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის თავმჯდომარემ – რედენსმა. არ არის გამორიცხული, რომ ბელადთან ბერიას სიტყვა შეაწია ცნობილმა ბოლშევიკმა მირჯაფარ ბაგიროვმა. ბაგიროვი და ბერია ერთად მოღვაწეობდნენ აზერბაიჯანში. ლავრენტი ბერიას გაპირველკაცება იმთავითვე ცუდად აღიქვა ქართველი ბოლშევიკების ძველმა გვარდიამ. მათ სტალინთან დაჩივლება ვერ გაბედეს, მაგრამ, საყვედურებით აავსეს სერგო ორჯონიკიძე. მართალია, ორჯონიკიძესაც არ ეხატებოდა გულზე ბერია, მაგრამ, ფილიპე მახარაძისა და სხვებისგან განსხვავებით, ბელადის ფავორიტის წინააღმდეგ მოსკოვში სიტყვაც არ დაუსველებია. შემდგომში, ალბათ, სერგო ორჯონიკიძე ნანობდა კიდეც, რომ ლავრენტი პავლეს ძის წინააღმდეგ ბრძოლა არ დაიწყო, მაგრამ, უკვე გვიან იყო. ბერიას დაწინაურებით განსაკუთრებით აღშფოთებული დარჩნენ ფილიპე მახარაძე, მიხეილ კახიანი, სამსონ მამულია, ლავრენტი ქართველიშვილი და მამია ორახელაშვილი. სტალინმა ბერია დიდი უფლებებით აღჭურვა და დიდი გეგმებიც დაუსახა. ლავრენტი ბერია სწორად მიხვდა, რომ ბელადის მიერ დასახული გეგმების განხორციელებას ქართველ ბოლშევიკთა ძველ გვარდიასთან ერთად ვერ შეძლებდა. ამიტომ, გადაწყვიტა მათი გზიდან ჩამოცილება. ბერია დიდ რისკზე წავიდა, როდესაც ძველ ბოლშევიკთა რეპრესია დაისახა მიზნად. შეიძლება, მას ეს სარისკო ნაბიჯი არ გადაედგა, მაგრამ, წარუმატებლობის შემთხვევაში, მას სტალინი არ დაინდობდა და ქართველი ბოლშევიკებიც ყველაფერს გააკეთებდნენ იმისთვის, რომ სტალინს ბერია სამაგალითოდ დაესაჯა. ბერია ცდილობდა ბელადი დაერწმუნებინა, რომ ქართველ ბოლშევიკთა ლიდერები პირადად სტალინის პოლიტიკურ ხაზს ეწინააღმდეგებოდნენ. ყველაფერი დამოკიდებული იყო იმაზე, თუ როგორი ოსტატობით შექმნიდა ბერია მათგან მტრის ხატს – ის სტალინის შესანიშნავი მოწაფე აღმოჩნდა.

ბერია მიზანმიმართულად ავრცელებდა ხმებს, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში ორჯონიკიძე და მახარაძე იყვნენ გარეულნი. ცალკეული ბოლშევიკისგან მტრის ხატს ისე ოსტატურად ქმნიდა, რომ რეპრესირებული ბოლშევიკები ლამის თვითონვე იჯერებდნენ ხალხის მტრობას. მაგალითად: მამია ორახელაშვილის წინააღმდეგ გავრცელებულ ბრალდებაში ფიგურირებდა, რომ მამიას მამა ძველი რეჟიმის დროს ქუთაისში გოროდავოი, ანუ პოლიციის დაბალი რანგის მოხელე – უთოფო პოლიციელი იყო. გასაგებია, რატომაც კეთდებოდა ეს მინიშნება. სამსონ მამულიას „მეგრელ ნაციონალისტებთან" კავშირი დასდეს ბრალად; ფილიპე მახარაძეს მუდამ აყვედრიდნენ, რომ ის ქართველ „უკლონისტთა" ლიდერი იყო და სტალინის მიერ წამოწყებულ ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნას ეწინააღმდეგებოდა. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ბერიას ფანტაზია ძალზე შორს მიდიოდა. მაგალითად, ცნობილ დირიჟორს, ევგენი მიქელაძეს, ერთ-ერთ ბრალდებად წაუყენეს, რომ მის სახლში ცხოვრობდა მეუღლის ნათესავი, რომელიც თითქოსდა თურქეთის დაზვერვის რეზიდენტი იყო. ბერიას შუა გზაზე შეჩერება არ ახასიათებდა. მის წინააღმდეგ ბრძოლის უპერსპექტივობაში დარწმუნებული ორახელაშვილი და მამულია გაეცალნენ და მოსკოვში გადაბარგდნენ, თუმცა, ამით თავს მაინც ვერ უშველეს – ისინი დააპატიმრეს და თბილისში დააბრუნეს.

საქართველოში სახელმწიფოებრივი აღმშენებლობაც ლავრენტი ბერიას დროს დაიწყო და ყველაზე უფრო მეტად ეს დაეტყო თბილისს. ქალაქის დაგეგმარებას იგი უშუალოდ ხელმძღვანელობდა. იმ პერიოდში აგებულთაგან, ჩვეულებრივ, მიანიშნებენ ხოლმე ცირკისა და ფოსტის შენობებზე, მაგრამ, იყო უფრო მნიშვნელოვანი პროექტებიც, კერძოდ, მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროების მშენებლობის დაწყება, სპორტული ბაზების მშენებლობა, თბილისის წყალმომარაგების გაუმჯობესება, საკანალიზაციო მეურნეობის მოწესრიგება, ქალაქისა და მისი შემოგარენის გამწვანება და სხვა. აღსანიშნავია, რომ უზარმაზარი ტერიტორია მთის ფერდობზე – წყნეთიდან, ვიდრე მთაწმინდის პარკამდე, ხრიოკად იყო ქცეული. იქ ტყე ლავრენტი ბერიას ინიციატივით გაშენდა.

ბერიას მოღვაწეობის დაწყებამდე თბილისის მოსახლეობაში ქართველთა ხვედრითი წილი ძალზე მოკრძალებული იყო და ბერიამ სარისკო ნაბიჯი გადადგა: მან სხვადასხვა საშუალებით დაიწყო თბილისში ქართველთა რიცხვის გაზრდა, ძირითადად კი ეს ხდებოდა უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა კონტინგენტის ზრდითა და ახალი სასწავლებლების გახსნით.

ბერიას მოღვაწეობის დაწყების პერიოდში ძალზე სავალალო მდგომარეობა იყო კოლხეთის დაბლობზე: გურიაში, სამეგრელოში, აფხაზეთსა და აჭარის ნაწილში. აქ სასოფლო-სამეურნეო სავარგულები პრაქტიკულად არ არსებობდა. ძირითადად მოჰყავდათ სიმინდი. იქაური ნესტიანი ჰავა აუტანელს ხდიდა ცხოვრებას. ბერიამ დაიწყო გრანდიოზული პროექტის განხორციელება – ჭაობების ამოშრობა და ციტრუსების გაშენება. მან საბჭოთა დაზვერვას უცხოეთიდან კონტრაბანდული გზით შემოატანინა ჩაის განსაკუთრებული ჯიშები, რომლებიც შემდგომში ფართოდ გავრცელდა დასავლეთ საქართველოში.

ცხადია, ლავრენტი ბერიას ყოველი ნაბიჯი ბელადთან იყო შეთანხმებული. საკავშირო ბიუჯეტიდან საქართველოსთვის დამატებითი თანხების ასე ხელაღებით გამოყოფას ბერია სტალინის თანადგომის გარეშე ვერ შეძლებდა. სტალინმა კარგად იცოდა, თუ რისთვის იხარჯებოდა თითოეული კაპიკი. ბელადი კიდეც ამაყობდა თავისი შეგირდის წარმატებებით. მოსკოვში ყველა კარგად გრძნობდა, რომ ლავრენტი ბერიას სტალინი უფრო დიდი მისიისთვის ამზადებდა. ბერია სტალინის ხატი იყო. უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი ხატები ბელადმა სხვა რესპუბლიკებში ვერ შექმნა.

დადგა დრო, როდესაც ბერიამ საქართველოსა და ამიერკავკასიაში თავისი მისია დაასრულა. 1938 წლის 31 აგვისტოს ბერიამ ბოლო სხდომა ჩაატარა თბილისში. ამიერიდან ბელადს იგი მოსკოვში სჭირდებოდა.

**მოამზადა**
**ანრი შავლაძემ**

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

**სულთანიშვილი**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **სულთანი**, რომელიც წარმოიშვა არაბულ ქვეყნებში და მეფის ტიტულის აღმნიშვნელია.

1569 წლის ყმების შეწირულობის წიგნში, რომელიც კახთა მეფეს, ლეონ მეორეს მცხეთის სვეტიცხოვლის ეკლესიისადმი მიუცია, მოიხსენიება ღანუკელი **სულთანა.**

ბასილა, გიორგი და კაცია **სულთანიშვილები** მოიხსენიებიან 1743 წლის ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნში, რომელსაც იასე საგინაშვილი აძლევს თავის ძმისწულს, როსტომ ბეჟანიშვილს.

საქართველოში 633 **სულთანიშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 363, ონში – 98, რუსთავში – 62. არიან სხვაგანაც.

**დუშუაშვილი**

**დუშუაშვილი** ძირძველი ქართული გვარია. „ამათნი წინაპარნი ჩანან ადგილსა სურამის სამთავროსა შინა და აზნაურის ხარისხით არიან მიღებულნი“.

**დუშია** გაუვრცობელი ფორმით, სუფიქსის გარეშე იყო გავრცელებული და მოიხსენიება როგორც ქვემო, ისე შიდა ქართლსა და სამეგრელოში. დღეს შემორჩენილია მხოლოდ გვარი **დუშუაშვილი**.

საქართველოში 148 **დუშუაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 51, საჩხერეში – 41, ქუთაისში – 28. არიან სხვაგანაც.

**გაბაძე**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **გაბა.**

ამავე ძირისაა გვარი **გაბაშვილი**.

1853 წელს სოფელ ბორბალოში მოიხსენიება კიკოლა **გაბაძე**.

1843 წლის აღწერაში, დიდ თონეთში მოიხსენიება მაკარ **გაბაძე.**

საქართველოში 936 **გაბაძე** ცხოვრობს: საჩხერეში – 497, თბილისში – 203, ლაგოდეხში – 32. არიან სხვაგანაც.

**არჩაია**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **არჩა**, რომელიც კოლხეთში ფართოდ იყო გავრცელებული.

**არჩა** საკუთარი სახელის – **არჩილის** კნინობითი ფორმა უნდა იყოს, **არჩილი** კი ძველი ქართული საკუთარი სახელია.

მსგავსი ფუძით ნაწარმოები გვარებია: **არჩავა, არჩვაძე, არჩვანიძე.**

1637-1660 წლების ისტორიულ დოკუმენტებში მოიხსენიება ბაბუშარა **არჩაია**.

საქართველოში 634 **არჩაია** ცხოვრობს: სენაკში – 176, თბილისში – 60, ქუთაისში – 50. არიან სხვაგანაც.

**ვაჩაძე**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ვაჩე, ვაჩა.**




ამავე ძირისაა გვარები: **ვაჩეიშვილი, ვაჩნაძე, ვაჩენაძე, ვაჩაბერიძე, ვაჩიბერიძე.**

1700 წელს ისტორიულ დოკუმენტებში მოიხსენიება ვინმე **ვაჩაძე**.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი გვარი დამოუკიდებლადაა გაჩენილი, მათ ნათესაური კავშირი არ აქვთ კახეთის თავადურ გვართან – **ვაჩნაძესთან.**

საქართველოში 525 **ვაჩაძე** ცხოვრობს. თბილისში – 195, ამბროლაურში 124, ქუთაისში 71. არიან სხვაგანაც.

**ტერტერაშვილი**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ტერტერა**. სომეხთა მღვდელსაც **ტერტერა** ჰქვია.

„ავთანდილ **ტერტერაშვილი** 1685 წლის ღალის ამოკვეთის წიგნში მიცემული იყო მუხრანის ბატონის შვილის ბოვნელ ეპისკოპოსის ნიკოლოზის მიერ დოლმაზა შანშიაშვილისთვის“.

1721 წლის აღწერით, **ტერტერაშვილები** ყაფლანიშვილების აზნაურებად მოიხსენიებიან, მათ უცხოვრიათ და ყმები ჰყოლიათ ქცია-ყარაბულაში, გარისის მიწაზე, სოფელ ლიპში.

„დათუნა **ტერტერაშვილი**, 1701-1711 წლების აღწერით, ყაფლანიშვილების მემამულე, ცხოვრობდა და ყმები ჰყავდა დილამაშენში“.

მოგვიანებით, **ტერტერაშვილები** რუსული დაბოლოებით – **ტერტეროვებად** გაუფორმებიათ.

საქართველოში 1 124 **ტერტერაშვილი** ცხოვრობს: გორში – 464, ახმეტაში – 350, საგარეჯოში – 86. არიან სხვაგანაც.

**კონიაშვილი**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **კონა.**

**კონიაშვილი** მოხსენიებულია 1789 წელს გიორგისაშვილი სიმონას მიერ ვახტანგ ყაფლანიშვილისადმი გაცემულ ნასყიდობის წიგნში.

საქართველოში 359 **კონიაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 138, საგარეჯოში – 132, კასპში – 52. არიან სხვაგანაც.

**ზადიკაშვილი**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ზადიკა.**

საკუთარი სახელი **ზადია** გვხვდება გვარში **ზადიაშვილი**. ვარაუდობენ, რომ გვარი **ზადიკაშვილი** აქედანაა ნაწარმოები.

1672 წელს დავითა **ზადიკაშვილი** მოიხსენიება მითარას მიერ ალავერდა საფარიშვილის სახელზე გაცემული მამულის ნასყიდობის წიგნში.

საბარათიანოში, ბატონის დედოფლის სახასოში, 1721 წელს მოიხსენიება პაპუა **ზადიკაშვილი.**

ამავე ძირისაა გვარები: **ზადიაშვილი, ზვადიაშვილი, ზადიშვილი.**

საქართველოში 20 **ზადიკაშვილი** ცხოვრობს.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მიერ მოწოდებული მასალების მიხედვით მოამზადა ნონა დათეშიძემ**

# ელენე (ლენა) ნადარეიშვილი-ასლანიდი

საქართველოს მეცნიერთა რიგებს გამოაკლდა კიდევ ერთი თვალსაჩინო მეცნიერ-მკვლევარი და დიდებული პრაქტიკოსი ქალბატონი ელენე (ლენა) ნადარეიშვილი-ასლანიდი. წავიდა ჩვენგან ღირსეული მანდილოსანი, რომელმაც ამ კეთილშობილურ საქმეში – პედაგოგიკურ მეცნიერებაში გალია მთელი თავისი ცხოვრება და ყველგან ნათელი კვალი დატოვა, სადაც კი უმუშავია.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, ქალბატონი ელენე სხვადასხვა დროს მუშაობდა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ტერმინოლოგიის განყოფილებაში; რამდენიმე რედაქციაში – ლიტმუშაკად; ამიერკავკასიის რკინიგზის მხატვრული აღზრდისა და ტექნიკური პროპაგანდის სახლის ლიტერატურული კაბინეტის გამგედ; ორჯონიკიძის რაიონის ალმასკომის ინსპექტორ-ორგანიზატორად, სადაც, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა მოსწავლე-ახალგაზრდობასთან.

1968 წლიდან მუშაობდა იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ექსპერიმენტული დიდაქტიკის ლაბორატორიაში უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად, 1975 წლიდან კი, უკვე პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატს, მიენიჭა უფროსი მეცნიერ-მუშაკის წოდება. 1976 წლიდან დაინიშნა ინსტიტუტის სამეცნიერო-პედაგოგიური ინფორმაციის სექტორის გამგედ და პედაგოგიკურ მეცნიერებაში კვლევის რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭოს სწავლულ მდივნად.

1987 წლიდან არის პედაგოგიური ინფორმაციისა და კოორდინაციის განყოფილების გამგე და პედაგოგიკურ მეცნიერებებში კვლევის რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭოს სწავლული მდივანი.



დიდიდან ინსტიტუტში მუშაობისა, ელენე ნადარეიშვილი აქტიურად ჩაება ექსპერიმენტულ კვლევებში, კითხულობდა ლექცია-მოხსენებებს სკოლებსა და წარმოებადაწესებულებებში „ოჯახში ბავშვთა აღზრდის საკითხებზე“. იგი იყო მრავალი ნაშრომის ავტორი, რომლებიც ოჯახში უმცროსკლასელთა და მათში დამოუკიდებელი სასწავლო აქტივობის აღზრდის საკითხებს ეხებოდა. ასევე, აქტიურად ეწეოდა რესპუბლიკაში ახლად გამოსული პედაგოგიური ლიტერატურის პოპულარიზაციასაც; მჭიდრო კავშირი ჰქონდა პრაქტიკოს პედაგოგებთან, ეხმარებოდა და კონსულტაციას უწევდა მას.

ელენე ნადარეიშვილი მრავალი წლის განმავლობაში კითხულობდა ლექციებს სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში. იგი ხუთჯერ იყო რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციების სწავლული მდივანი; კოორდინაციას უწევდა რესპუბლიკაში დასაცავ საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების თემებს; ხელმძღვანელობდა რესპუბლიკაში გამოცემულ სამეცნიერო-პედაგოგიური ლიტერატურის რეფერირებასა და საკავშირო სარეფერატო ჟურნალში გამოქვეყნებას. ამიტომაც, თავდაუზოგავი შრომის შედეგად, მრავალი ჯილდო ჰქონდა მიღებული როგორც საკავშირო, ისე ადგილობრივი მთავრობისგან.

ჩვენ, მისმა თანამშრომლებმა და მეგობრებმა, დავკარგეთ გულისხმიერი, ყველას მოყვარული, მომაგე, უსაზღვროდ კეთილი, ყურადღებიანი, გაჭირვების ტალკვესი ქალბატონი, რომელიც თავისი პიროვნული თვისებებით ოთარაანთ ქვრივს მოგაგონებდათ. ამიტომ, ყოველთვის მოკრძალებით გავიხსენებთ ძვირფას კოლეგას...

ქალბატონი ელენეს (ლენას) ხანგრძლივი ცხოვრება დაუცხრომელი ძიების, თავდადებული შრომის, საქმისადმი ერთგული, თავდაუზოგავი სამსახურის მაგალითია, რომელზეც თაობები უნდა იზრდებოდნენ.

ნათელში იყოს მისი სპეტაკი სული!

**ინსტიტუტის მეცნიერთა სახელით თამარ გოგოლაშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ი. გოგებაშვილის სახელობის მეცნიერებათა ინსტიტუტის მეცნიერ-მკვლევარი, პედაგოგიკის დოქტორი, პროფესორი, განათლებისა და მეცნიერების აკადემიის აკადემიკოსი, ი. გოგებაშვილის პრემიის ლაურეატი**

# იყო თუ არა შორენა ბეგაშვილი ლონდონში გენო მალაზონიასთან, აქვს თუ არა მაისში ნიშნობა რუსა ჩაჩუას და ვისთან ჩადის კიევში ქრისტინე იმედაძე

*პოლიტიკურმა მდგომარეობამ, სკანდალებმა და ჭორებმა ქართული შოუ-ბიზნესი თითქმის მთლიანად დაჩრდილა. დარწმუნებული ვარ, საინტერესო ამბების გარეშე შოუ-ბიზნესის ცხოვრებაც არ მიდიოდა, მაგრამ ჟურნალისტებს ეს ამბები რომ გამოგვრჩა, ფაქტია. რამდენიმე დღის წინ კი სამი ქართველი ლამაზმანის პირადი ცხოვრების შესახებ საინტერესო ამბები შევიტყვე. წყარო, რა თქმა უნდა, ანონიმურია და ამიტომ, მისი მონაყოლის სისწორე მხოლოდ მთავარ მოქმედ გმირებთან შეგვიძლია გადავამოწმოთ.*



პირველი ისტორია რუსა ჩაჩუას ეხება. რუსა უკვე დიდი ხანია, რაც თავის მეუღლეს, არჩილ სახვაძეს გაშორდა, რომელთანაც ორი შვილი – თაზი და ნასტია ჰყავს. რუსას ცხოვრებაში ახლა სიახლეებია. როგორც თბილისში ჭორაობენ, გაზაფხულთან ერთად, მის ცხოვრებაში ახალი და ძალიან თბილი პერიოდი დადგა. ამბობენ, რუსას მაისში ნიშნობაც კი აქვს. მისი რჩეული კომპანია „კაპიტალ ვოსტოკის" დამფუძნებელი და გენერალური დირექტორი, დიმა ნაფეტვარიძეაო. „კაპიტალ ვოსტოკი" ის კომპანიაა, რომელსაც ეკუთვნის პირველი სკოლის უკან აშენებული, ულამაზესი საცხოვრებელი კორპუსი „რუსთაველი რეზიდენს". მან 2012 წელს ლონდონში მშენებლობის დარგში ხარისხის საერთაშორისო სტანდარტის დაცვისთვის „ხარისხის საერთაშორისო გვირგვინი" აიღო. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ისინი უკვე დიდი ხანია, შეყვარებულები არიან. ერთი პერიოდი მათ ურთიერთობას ბზარიც კი გაუჩნდა და დაშორდნენ კიდეც, მაგრამ, ახლა შერიგებულან და ურთიერთობის ახალ, უფრო სერიოზულ ეტაპზე გადასაყვანად ემზადებიან. ამ ინფორმაციის გადასამოწმებლად რუსას დავუკავშირდით. მან არ უარყო, რომ დიმა ნაფეტვარიძესთან ურთიერთობა აქვს, თუმცა, იქვე დასძინა, რომ სასიყვარულო ურთიერთობა არც ისე ღრმად არის წასული, როგორც ეს ჩვენმა წყარომ გვიამბო. მათ შორის ურთიერთსიმპათიები ნამდვილად არსებობს, თუმცა ნიშნობამდე თუ მივა საქმე, როგორც რუსამ გვითხრა, არ დამალავს და ამის შესახებ თავად გვიამბობს.







სიახლეებია ქრისტინე იმედაძის ცხოვრებაშიც. მისმა ბოლოდროინდელმა გახშირებულმა ვიზიტებმა კიევში, ეჭვები გააჩინა იმის შესახებ, რომ ეს ამბავი სიყვარულს უკავშირდებოდა. საკმაოდ ბევრი დრო გავიდა იქიდან, ქრისტინესა და ცნობილი ვატო ყიფიანის სასიყვარულო ისტორიის შესახებ პრესაში რომ იწერებოდა. გავიდა დრო და ახლა აქტიურად დაიწყეს საუბარი ქრისტინესა და კალათბურთელ ვიკა სანიკიძის შესახებ. მაგრამ, როგორც გაირკვა, ქრისტინეს გული ამდენი წლის განმავლობაში ერთგულად ეკუთვნის ვატო ყიფიანს, რომელიც ციხიდან გამოსვლის შემდეგ საცხოვრებლად ჯერ თურქეთში წავიდა, შემდეგ კი – უკრაინაში. ამჟამად ვატო ყიფიანი კიევში ცხოვრობს და ახერხებს თუ არა თბილისში ჩამოსვლას არ ვიცით, მაგრამ ქრისტინე რომ მის სანახავად კიევში ჩადის, ამის შესახებ უკვე ცნობილი გახდა. სასიყვარულო ურთიერთობა გრძელდება, მაგრამ დაზუსტება ვერ მოვახერხეთ, რადგან ქრისტინეს ვერ დავუკავშირდით.



ასევე ემიგრაციაში იმყოფება რუსთავის „აზოტის" ყოფილი ხელმძღვანელი, გენო მალაზონია, რომელიც ფინანსური მაქინაციების გამო, გახმაურებულ სკანდალში გაეხვია და სასჯელიც მოიხადა. ციხიდან გამოსვლის შემდეგ, გენო ლონდონში გადავიდა საცხოვრებლად. ლონდონში იმყოფებოდა ცოტა ხნით შორენა ბეგაშვილიც. გენოს მეგობრები ამბობენ, რომ მათი სასიყვარულო ისტორია დიდი ხნის წინ, „ბამბა რუმსში" დაიწყო, კლუბში, რომლის ერთ-ერთი მეწილეც გენო მალაზონია იყო. მათი ურთიერთობა იმ პერიოდიში არ გაღრმავებულა, მაგრამ როგორც გაირკვა, ციხიდან გენო შორენასთან დაკავშირებას ყოველთვის ცდილობდა. ციხიდან გამოსვლის შემდეგ კი, ყველაფერს ეცადა ურთიერთობის აღსადგენად. როგორც ამბობენ, ეს შეძლო კიდეც და წყვილმა ლონდონში ბედნიერი დღეები გაატარა. რამდენად სერიოზულია ეს ურთიერთობა და აპირებს თუ არა შორენა საყვარელ ადამიანთან საცხოვრებლად გადასვლას, ეს ჩვენთვის უცნობია. ამ ინფორმაციის გადასამოწმებლად შორენა ბეგაშვილს დავუკავშირდით.



შორენა: „რა სისულელეა, არავითარი ურთიერთობა არ მაქვს გენო მალაზონიასთან. ამჟამად სხვაზე ვარ შეყვარებული და ძალიან დიდი ხანია, თბილისიდან არ გავსულვარ. ამის დაწერას არავითარი აზრი არ აქვს, ამით ჩემს ნამდვილ ურთიერთობას ამიწეწავთ და დამაცადეთ".

**ქეთი დიდებულიძე**



# დიეტა – სილამაზისთვის გაღებული მსხვერპლი?!

ჩვენ არაერთხელ გვითქვამს, რომ მკაცრი დიეტის დროს ორგანიზმის თითოეული უჯრედი განიცდის სტრესს, რის შედეგადაც, „დაშინებული“ უჯრედები მარაგში ინახავენ ცხიმების საკმაოდ სოლიდურ ნაწილს „შავი დღისთვის“ და ამ გადანახული ცხიმების დაწვა არ ხდება მაშინაც კი, თუ ინტენსიურად ვარჯიშობთ და, პარალელურად, თითქმის არაფერს მიირთმევთ. უფრო მეტიც, როდესაც უბრუნდებით ჩვეულებრივ კვებას, დაკარგული რამდენიმე კილოგრამი ორმაგად „უბრუნდება“ ორგანიზმს და, გარდა წვალებისა და კიდევ უფრო მეტი წონისა, ხელში არაფერი გრჩებათ.

ამიტომ, ისეთ სერიოზულ საქმეს, როგორიც არის ჯანმრთელად და ხანგრძლივად გახდომა, სერიოზულად, გონივრულად და სრული პასუხისმგებლობით უნდა მიუდგეთ.



ორგანიზმმა სტრესი რომ არ განიცადოს, ნელ-ნელა უნდა ამოიღოთ რაციონიდან ცხიმი, პური, ტკბილეული, ცომეული, მლაშე, ცხარე და მწარე საკვები და ასე ეტაპობრივად უნდა დაიყვანოთ თითოეული მათგანი მინიმალურ რაოდენობამდე, ზოგიერთი კი მთლიანად უნდა გამორიცხოთ. მაგალითად: თუ თითო კვებაზე მიირთმევდით 2-3 ან მეტ ნაჭერ პურს, თავდაპირველად, შეეცადეთ, თითო ჯერზე მხოლოდ ერთი ნაჭრით (ისიც, შავი ცეხვილი პურით) შემოიფარგლოთ, ბოლოს კი 1 ნაჭერი მიირთვით სადილზე და ერთიც – სამხარზე (საუზმე და ვახშამი უპუროდ მიირთვით).

ცხარე და მწარე საკვებზე, შეგიძლიათ, პირდაპირ თქვათ უარი – ამით ორგანიზმი სტრესს არ განიცდის. რაც შეეხება მარილიანს, ყოველ შემდგომ ჯერზე გამოიყენეთ სულ უფრო ნაკლები მარილი და, სასურველია, თუ ბოლოს უმარილო საკვებზე გადახვალთ; უკიდურეს შემთხვევაში, შეგიძლიათ, სიმბოლურად მოაყაროთ კერძს.

შაქართან დაკავშირებით, გირჩევთ, გადახვიდეთ თაფლზე: 1 ფინჯან ყავაში გახსენით ნახევარი ჩაის კოვზი ნატურალური თაფლი. თუ გამძაფრებული გაქვთ ტკბილეულის მოთხოვნილება, მიირთვით შავი (მწარე) შოკოლადის ნატეხი ან ხილის ჩირი (აუცილებლად ქართული ჩირი). ასევე, ჩვეულებრივი შაქრის ნაცვლად, გამოუვალ შემთხვევაში, გამოიყენეთ ფრუქტოზა, რომელიც, მართალია, გაცილებით ძვირი ღირს (1 კილოგრამი – 9 ლარი), მაგრამ, სამაგიეროდ, დიდხანს გეყოფათ და, თან, დიეტურია.

რაც შეეხება ცომეულს, სახლში ნურაფერს გამოაცხობთ, სტუმრად ყოფნისას კი, შეეცადეთ, ერთი ნაჭერი ხაჭაპურითა და პატარა ნაჭერი ნამცხვრით შემოიფარგლოთ, მაგრამ, სამაგიეროდ, მეორე დღეს ნუღარაფრით გაინებივრებთ თავს. ლომი და მჭადიც კი ცომეულში გადის და ამ ორი პროდუქტის ჭამაც კი მცირე რაოდენობით შეგიძლიათ.

ქალებისთვის ყველაზე ადვილია ცხიმიან საკვებზე თავის შეკავება. ნებადართულია ყველანაირი თევზეული და ხორცეული (ღორის ხორციც კი), ოღონდ – მჭლე. თუ მაინცდამაინც შემწვარი მოგენატრათ, მოხარშული ხორცი ოდნავ გადაბრაწეთ ტაფაზე (უცხიმოდ).

თუ ასე ნელ-ნელა გამორიცხავთ რაციონიდან ყველა იმ საკვებს, რომელიც ხელს უშლის გახდომას, გვერწმუნეთ, შედეგი საოცარი იქნება. თქვენი ორგანიზმიც აღარ „გაგებუტებათ“ და, დიეტა იქნება არა სილამაზისთვის გაღებული მსხვერპლი, არამედ, კვებით მიღებული სიამოვნების დოზების ზომიერების ფარგლებში მოქცევა და შედეგით განცდილი სიხარული.

# გაზაფხული დადგაო...

გაზაფხული უკვე მთელი მონდომებით იკრებს ძალებს და, შესაბამისად, ქალბატონებმაც მთელი ძალით უნდა მოინდომონ, რომ ზამთრის ცივი დღეების მიერ სახის კანისთვის მიყენებული ხარვეზები გამოასწორონ.

პირველ ყოვლისა, უნდა გაითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ, ბუნებასთან ერთად, გაზაფხულზე ვირუსები და ბაქტერიებიც ილვიძებენ და, რომ არ მოხდეს ამა თუ იმ დაავადებით დასნებოვნება, თვით მაკიაჟის გაკეთების დროსაც კი უნდა დავიცვათ ელემენტარული წესები, მაგალითად: სანამ მაკიაჟს გაიკეთებთ, ხელებზე წაისვით ანტიბაქტერიული გელი, რომელიც სპობს მიკრობთა 99,99 პროცენტს. თუ ასე არ მოიქცევით, შესაძლოა, თვალის ფანქრის ან ტუშის წასმის დროს კონიუნქტივიტი „აიკიდოთ“, სახეზე ტონალური კრემის წასმისას კი – აკნე.



ახლა, რაც შეეხება სახის კანს. ნუ გაგათამამებთ მზიანი ამინდი. დილა-საღამოს ჯერ კიდევ იკბინება სუსხი, რაც კანზე არცთუ კარგად მოქმედებს, განსაკუთრებით კი – მშრალ კანზე. ამიტომ, დილით შესაბამისი გაწმენდის შემდეგ, სასურველია, წაისვათ სქელი კონსისტენციის კრემი, რათა კანი დაიცვათ სიცივისა და გამოშრობისგან. თუ თქვენ ისედაც მშრალი კანი გაქვთ, შეარჩიეთ კრემი, რომლის შემადგენლობაში იქნება: ლეციტინი, ალფა და ბეტაჰიდროქსიმჟავები, რომლებიც უჯრედებში „კეტავენ“ სინოტივეს და ხელს უშლიან კანიდან მის აორთქლებას, ანუ, მექანიკურად უნარჩუნებენ კანს ტენიანობას.

კვირაში ერთხელ, დაძინებამდე 1-2 საათით ადრე, წაისვით დამატენიანებელი კრემი და გაიჩერეთ სახეზე დილამდე. საერთოდ, გახსოვდეთ, რომ კანი ღამით უკეთ ტენიანდება. ოღონდ, არ დაგავიწყდეთ, რომ ღამით დამატენიანებელი კრემი არავითარ შემთხვევაში არ წაისვათ თვალების გარშემო, რადგან, შესაძლოა, კრემის იმ ნარჩენმა, რომელსაც კანი ბოლომდე არ შეიწოვს, შესაძლოა, გამოიწვიოს თვალების გარშემო შეშუპება.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ თქვენ სახეზე გამონაყარი გაქვთ, ცივ ამინდში (მით უფრო, თუ გარეთ აპირებთ გასვლას) არ გაიწმინდოთ სახე სპირტის შემცველი საშუალებებით. კანის გასაწმენდად საუკეთესო საშუალებაა, თანაბარი რაოდენობით შეურიოთ ერთმანეთში თხის უმი რძე და მინერალური წყალი და ამ ნარევისგან გააკეთოთ ყინულის კუბიკები. სკრაბის ნაცვლად კი გამოიყენოთ მსხვილად დაფხული „ჰერკულესი“, რომელიც ძალიან ფრთხილად და საფუძვლიანად წმენდს ფორებს. ძალიან კარგ შედეგს მიიღებთ, თუ სხეულზე მონაცვლეობით წაისვამთ შესაფერის კრემებსა და მცენარეულ ზეთებს, რის შემდეგაც უნდა დაიცადოთ 15-20 წუთი და მხოლოდ ამის მერე ჩაიცვათ ტანსაცმელი, რადგან, ცხიმიან კრემებს კანი უფრო ნელა შეიწოვს. გარდა ამისა, ურიგო არ იქნება, თუ გარეთ თხელ ქუდს დაიხურავთ. გახსოვდეთ, რომ თმის დაელექტროება მისი ბრალი კი არ არის, არამედ, შენობებში არსებული გამომშრალი ჰაერისა და, ასევე, ვიტამინების ნაკლებობის.

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: ძალიან ხშირად მიჩნდება სახეზე გამონაყარი. როგორ ვიმკურნალო?**

**პასუხი:** პირველ ყოვლისა, უნდა გამოარკვიოთ მიზეზი. შეიძლება, ეს იყოს ალერგიის გამოვლინება, კუჭ-ნაწლავის ან სხვა პრობლემა. შესაძლოა, გამონაყარი ნაღვლის ბუშტის გაღიზიანებამაც გამოიწვიოს. პროფილაქტიკისთვის აუცილებელია საჭმლის მომნელებელი სისტემისა და ნაღვლის ბუშტის მოწესრიგება; რაციონიდან უნდა ამოიღოთ მწარე, ცხარე, ცხიმიანი და ალერგიული საკვები. გარდა ამისა, დილა-საღამოს კარგად უნდა გაიწმინდოთ სახე არა ტონიკით, არამედ, ქლორჰექსიდინით, რომელიც შეიცავს თუთიას. მას აქვს ანტიბაქტერიული ზემოქმედება. თუ რამდენიმე პროცედურის შემდეგ გამონაყარი ისევ გაგიჩნდათ, აუცილებლად მიმართეთ ექიმს.

**კითხვა: მაინტერესებს, გამოიყენება თუ არა კოჭა („იმბირი“) სახის კანის მოსავლელად და როგორ?**

**პასუხი:** კოჭასა და ლიმონისგან მზადდება ნებისმიერი ტიპის კანის გამწმენდი ნიღაბი: ნახევარი ჩაის კოვზი გახეხილი კოჭა შეურიეთ ნახევარი ლიმონის წვენს, შეაზილეთ მომცრო ზომის გახეხილი ავოკადოს ნახევარი და წაისვით მთელ სახეზე. 15 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ თბილი წყლით და წაისვით თქვენი კანის შესაფერისი კრემი.

**კითხვა: გთხოვთ, მირჩიოთ რაიმე ხალხური საშუალება ხელების მოსავლელად.**

**პასუხი:** ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი მეთოდია ზღვის მარილის აბაზანები, მაგრამ, უნდა გამოიყენოთ ზღვის მარილი საღებავების, არომატიზატორებისა და სხვა დანამატების გარეშე, რადგან ამ მინარევებმა შეიძლება გამოიწვიოს ფრჩხილების ფერის შეცვლა.

მშრალი და მტვრევადი ფრჩხილებისთვის კარგია შემდეგი სახის აბაზანა: 2 ჩაის კოვზი ზღვის მარილი გახსენით 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალში, შეურიეთ 2 ჩაის კოვზი ლიმონის წვენი და 1 სადილის კოვზი ზეითუნის ზეთი. როდესაც ეს ნაზავი ოდნავ შეგრილდება (ხელები არ უნდა დაგეწვათ), გაიკეთეთ 15-წუთიანი აბაზანა. შემდეგ გადაივლეთ თბილი წყალი და შემშრალებისთანავე წაისვით გლიცერინი.

**კითხვა: როგორ უნდა გავიკეთო ფრჩხილების პოლირება სახლის პირობებში?**



**პასუხი:** ფრჩხილების პოლირებისთვის უნდა წაისვათ დამატენიანებელი ზეთი და გამოიყენოთ სპეციალური ქლიბი. პროცედურა უნდა ჩაიტაროთ თვეში ერთხელ. ეს მეთოდი იცავს ფრჩხილებს აქერცვლისა და მტვრევისგან.

**მოამზადა თამრიკო ზამთარაძემ**

# ვინ და როგორ შეიპყრო შეიარაღებული ბანდის მეთაური მეტეხის ხიდის ქვეშ

## ძარცვა

– არ გაინძრეთ, თორემ, დაგხოცავთ! – დაიღრიალა პისტოლეტით შეიარაღებულმა ნიღბიანმა მამაკაცმა, რომელიც როსტოვის №6 შემნახველ სალაროში შეიჭრა თანამზრახველებთან ერთად და მათ უბრძანა:

– ჩქარა, ფული გამოიტანეთ!

სამმა მძარცველმა ბრძანება შეასრულა: მათ სეიფებს ჩამოუარეს, ფულის დასტები ტყავის ჩანთებში ჩაყარეს და გასასვლელისკენ დაიძრნენ. მაგრამ, ერთ-ერთმა მცველმა პისტოლეტი შეუმჩნევლად ამოაცურა ჯიბიდან და მიმავალ მძარცველებს ჯერ შეჩერება უბრძანა, შემდეგ ცეცხლი გაუხსნა და ერთ-ერთი მძარცველი ფილტვში დაჭრა. მძარცველებმა საპასუხო ცეცხლი გახსნეს და სალაროში მყოფი თორმეტი ადამიანიდან ხუთი მოკლეს, ექვსი მძიმედ დაჭრეს და მხოლოდ ერთი მილიციელი გადარჩა უვნებლად, რომელიც სეიფის უკან იყო დამალული და არ განძრეულა. მძარცველები გაიქცნენ, დაჭრილი მეგობარი თან წაიყვანეს და ნაძარცვი 70 ათასი მანეთიც გააყოლეს ხელს.

ეს სისხლიანი ძარცვა როსტოვში 1972 წლის 14 მარტს მოხდა. შემთხვევის ადგილზე მისულმა ოპერჯგუფმა მოკვლევა დაიწყო. სერჟანტმა კოვალიოვმა, რომელიც სეიფის უკან იყო დამალული, მაიორ კაპანაძეს ჩვენება მისცა და ბოლოს დაამატა:

– ერთ-ერთი თავდამსხმელი ზურგის მარცხენა არეშია დაჭრილი.

გურამ კაპანაძე როსტოველი „ოპერი“ იყო, ის შემნახველი სალაროების მძარცველ ბანდას დასდევდა, რომლებმაც ბოლო სამი თვის განმავლობაში ხუთი ძარცვა ჩაიდინეს, რომელთაგან წინა ოთხი უსისხლოდ განახორციელეს. მათ, საერთო ჯამში, 360 ათასი მანეთი ჰქონდათ გატაცებული.

– ვნახოთ, იქნებ, დაჭრილი მძარცველის მეშვეობით გავიდეთ კვალზე, – თქვა კაპანაძემ.

ბოლო ძარცვის მერე როსტოვსა და როსტოვის ოლქში შემნახველი სალაროების ძარცვა შეწყდა, დაჭრილი მძარცველის კვალს კი ვერსად მიაგნეს.

## მამაკაცის გვამი

სისხლიანი ძარცვიდან სამი თვის შემდეგ, 1972 წლის 13 ივნისს, მდინარე დონის მარცხენა ნაპირზე, მეთევზეებმა, რომლებიც ჭიაყელებს ეძებდნენ, მიწაში ჩაფლული ადამიანის გვამი აღმოაჩინეს და მილიციას შეატყობინეს. იმ დღეს დონი ადიდებული იყო და ნაპირის რელიეფი ჩამორეცხა, რაც გვამის აღმოჩენის მიზეზი გახდა. ცხედარი ნახევრად გახრწნილი იყო და სახის აომცნობა არ ხერხდებოდა, თუმცა, ტატუების მეშვეობით დადგინდა, რომ გვამი 41 წლის იური გრომოვს ეკუთვნოდა. გრომოვი ქალაქ შახტის მკვიდრი იყო, ოთხჯერ ნასამართლევი და ციმბირის კოლონიიდან გაქცეული. გვამს მარცხენა ბეჭში ჭრილობა ჰქონდა და ექსპერტებმა დაადგინეს, რომ სწორედ ის ბანდიტი იყო, რომელიც როსტოვის შემნახველი სალაროს ძარცვისას დაიჭრა. გრომოვის სიკვდილის მიზეზი, სისხლისგან დაცლა იყო. როდესაც ეს კაპანაძემ შეიტყო, თქვა:

**სალაროში შეჭრილმა მძარცველებმა ხუთი ადამიანი მოკლეს, ექვსი დაჭრეს და ფული გაიტაცეს**

– მართლაც რომ კაციჭამიებთან გვაქვს საქმე. ჩაშვების შიშით, მათ თავიანთი ძმაკაცი გაწირეს.

რეციდივისტ გრომოვის ირგვლივ ჩატარებულმა ძიებამ მილიციას ახალი ვერაფერი მისცა და გამოძიება ერთ ადგილზე გაჩერდა. თუმცა, ერთი კვირის შემდეგ, კაპანაძეს ოცდაათიოდე წლის ქალი ჯერ ტელეფონით დაუკავშირდა, მერე მილიციაში მივიდა და უთხრა:

– მე იურას საყვარელი ვარ. პაბეგში ყოფნისას ჩემთან იმალებოდა და იმიტომ მოვედი, რომ დაგეხმაროთ.

ქალი 30 წლის როსტოველი ოლგა ბონდარენკო იყო. ის რძის კომბინატში მუშაობდა და როსტოვის გარეუბანში, კერძო სახლში ცხოვრობდა.

## საყვარლის ჩვენება

ოლგა ბონდარენკო კაპანაძის პირისპირ დაჯდა, სიგარეტს მოუკიდა და უთხრა:

– იურა რომ ფრთიანი ანგელოზი არ იყო, კარგად ვიცი. მაგრამ, ჯერ კიდევ 15 წლის ვიყავი, როცა შემიყვარდა და ბოლომდე მისი ერთგული დავრჩი. ბოლო სროკიდან რომ გამოიქცა, პირდაპირ მე მომადგა. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მასაც ვუყვარდი და მენდობოდა; თანაც, ჩვენი ურთიერთობის ამბავი არავინ იცოდა და ჩემი მყუდრო ბინა კარგი თავშესაფარი იყო მისთვის.

– თქვენ საკმაოდ სახიფათო განცხადებას აკეთებთ, რადგან, ძებნილის შეფარება დანაშაულია. თუმცა, თუკი ძიებას დაეხმარებით, შეიძლება, ციხეს გადაურჩეთ, – უთხრა კაპანაძემ ბონდარენკოს.

ქალს მწარედ ჩაეცინა და მაიორს უთხრა:

– ფეხებზე მკიდია ციხეც და სხვა დანარჩენიც, მათ შორის – მილიციაც.

– აბა, აქ რატომ მოხვედით?

– იმიტომ, რომ იმ შაკლებზე ვიძიო შური. როსტოვი პატარა ქალაქია და ჩემამდეც მიაღწია ხმებმა, რომ იურა შემნახველ სალაროზე თავდასხმის დროს დაიჭრა, მისმა პაძელნიკებმა კი მის გადასარჩენად თითიც არ გაანძრიეს. აი, ამის გამო მინდა დაგეხმაროთ.

– თქვენ იცნობთ გრომოვის თანამზრახველებს?

– არა, მაგრამ, შემიძლია, ქალი განახვოთ, რომელიც მათზე გაგიყვანთ.

– დარწმუნებული ხართ?

– ასი პროცენტით.

– ბრძანეთ, გისმენთ.

– როგორც უკვე გითხარით, იურა ძალიან შემიყვარდა და, შესაბამისად, ვეჭვიანობდი. თუმცა, ნამდვილად არ ვიცოდი, რომ ის სალაროს მძარცველთა შეიარაღებული ბანდის წევრი იყო და ამის შესახებ არც მას უთქვამს ჩემთვის. ერთხელ, სამსახურიდან მოვდიოდი და ჩემი იურა ვალია პავლოვას მანქანაში შევნიშნე. ვალია ჩემი ძველი მეზობელია, 39 წლისაა და შემნახველი სალარ-



## ქალის ასაყვანად მისულ მილიციელებს ბანდიტებმა ცეცხლი გაუხსნეს და ორმხრივი სროლა გაიმართა

ოების სამმართველოს ბუღალტერია. მე მხოლოდ ახლა მივხვდი, რომ სწორედ ვალია აძლევდა ამ ხალხს ნაკოლს. მაშ-ინ კი იურას საყვარელი მეგონა და, სახლში რომ დაბრუნდა, სკანდალი მოვუწყვე. ის კი მომეფერა და დამარწმუნა, რომ ქალი შემთხვევითი ნაცნობი იყო. ორი დღის შემდეგ კი სისხლიანი ძარცვა მოხდა და იურა უგზო-უკვლოდ გაქრა. ერთი პერიოდი ვალია პავლოვასთან მინდოდა საქმის გარკვევა, მაგრამ, როცა ყველაფერი ავწონ-დავწონე და იურას გვამიც აღმოაჩინეთ, მივხვდი, რომ თქვენთან უნდა მოვსულიყავი.

კაპანაძემ ყურადღებით მოუსმინა ქალს და უთხრა:

– წესით, მე თქვენ უნდა დაგაპატიმროთ. თუნდაც იმიტომ, რომ პავლოვას ამბავი არსად წამოგცდეთ და ოპერაცია არ ჩაგვიშალოთ, მაგრამ თქვენი იმედი მაქვს და გენდობით. ეცადეთ, არსად არაფერი წამოგცდეთ.

– კარგი. კრინტს არსად დავძრავ, – თქვა ბონდარენკომ და წავიდა.

იმავე დღეს როსტოვში მეექვსე ძარცვა მოხდა:. ოთხმა შეიარაღებულმა ნიღბიანმა სალაროდან 230 ათასი მანეთი გაიტაცა და მძარცველები მიიმალნენ. ამჯერად ძარცვამ უსისხლოდ ჩაიარა და არავინ დაშავებულა.

### გაქცეული მეთაური

კაპანაძე და მილიციის „ოპერები“ ვალია პავლოვას დასაპატიმრებლად მცირე შემადგენლობით მივიდნენ, რადგან ყურადღების მიქცევა არ უნდოდათ. თუმცა, რომ სცოდნოდათ, რა დღეში ჩაცვივდებოდნენ, ალბათ, თან „ომონის“ რჩეულ ქვედანაყოფს წაიყვანდნენ. გარეუბანში მისულმა ოპერჯგუფმა პავლოვას ეზოში შესვლა რომ დააპირა, ორსართულიანი სახლიდან ცეცხლი გაიხსნა. სიბნელეში ავტომატური იარაღიდან ისროდნენ და კაპანაძეს ერთი თანამშრომელი დაეღუპა, ორი კი მძიმედ დაეჭრა. ქართველმა მაიორმა აყვანის ოპერაცია მარტო განაგრძო და ერთი კაცი მოკლა, ორი კი მძიმედ დაჭრა, მათ შორის პავლოვაც. ორი ადამიანი კი ღამის წყვდიადში მიიმალა. შემთხვევის ადგილზე მილიციის დამატებითი ძალები მივიდნენ. მოკლულები პროზექტურაში წაიღეს, დაჭრილები – კი საავადმყოფოში. როგორც გაირკვა, ორივე დაჭრილი მილიციელი და ერთი მოკლული ვალიას ნახელავი იყო. ერთი შეხედვით უწყინარი ბუღალტერი, სინამდვილეში შეიარაღებული ბანდის წევრი იყო და ბოლო საქმეში პირადად იღებდა მონაწილეობას. ვალია პავლოვამ და მეორე დაჭრილმა აღიარეს დანაშაული და კაპანაძეს უთხრეს, რომ შეიარაღებულ ბანდას ვინმე არტურ პეტროსიანი მეთაურობდა. პეტროსიანმა და არმენ პოღოსიანმა გაქცევა მოახერხეს. მაგრამ, მეორე დღეს მილიციამ პოღოსიანის ცხედარი აღმოაჩინა ერთ-ერთ პარკში და გაირკვა, რომ ბანდის მეთაური პეტროსიანი 600 ათასი მანეთით გაუჩინარდა...

### ჩაძინებული მძარცველი

36 წლის როსტოველი არტურ პეტროსიანი წარსულში თაღლითობისთვის იყო ნასამართლევი. მოგვიანებით მან მძარცველთა ბანდა ჩამოაყალიბა. მათ ექვსი ძარცვის შედეგად თითქმის 600 ათასი მანეთი გაიტაცეს და მან სწორედ ეს ფული წაიღო. პეტროსიანზე საკავშირო ძებნა გამოცხადდა. 1972 წლის 16 სექტემბერს, თბილისში, მილიციის სამმართველოს სპეცჯგუფმა არტურ პეტროსიანი თავისი ბიძაშვილის, რობერტ პეტროსიანის სახლში, ავლაბარში მიაკვლია და სახლი ალყაში მოაქცია. მილიციელები იერიშისთვის ემზადებოდნენ, როდესაც სახლიდან პატარა ბავშვის ტირილი და რობერტ პეტროსიანის ღრიალი მოისმა:

– არ ისროლოთ! მას ჩემი ბობიკა ჰყავს და, თუ არ გაუშვებთ, მოკლავს!

მილიციამ იერიში გააუქმა. სახლიდან კი ბავშვის მამა გამოვიდა, მილიციელებს მუხლებში ჩაუვარდა და სთხოვა, იერიში არ დაეწყოთ. პოლკოვნიკმა ხმალაძემ რუპორი მოიმარჯვა და არტურ პეტროსიანს მიმართა:

– ბავშვს ნურაფერს დაუშავებ. გამოდი და მანქანაში ჩაჯექი, რომელიც კართან დაგხვდება. უკან არავინ გამოგყვება, მაგრამ, ბავშვი გზაში ჩამოსვი და წადი!

ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ხმალაძემ თქვა და პეტროსიანისთვის წინააღმდეგობა არავის გაუწევია. ის ბავშვთან ერთად გამოვიდა და ხელში გახსნილი ხელყუმბარა ეჭირა. ზურგზე ფულით სავსე ჩანთა ეკიდა, ქამარში კი პისტოლეტი ჰქონდა გარჭობილი. ბანდიტი „გაზ 21-ში“ ჩაჯდა და დიდი სისწრაფით მოშორდა იქაურობას. მძევალი ბავშვი მტირალა კლდესთან ჩამოსვა და ბარათაშვილის ხიდისკენ განაგრძო გზა. თუმცა, მილიციის ჯგუფმა, რომელიც იმ კვადრატში იმყოფებოდა, ცეცხლი გაუხსნა ბოროტმოქმედს და პეტროსიანი მტკვარში გადავარდა. ბინდდებოდა და მილიციის ოპერჯგუფმა მდინარის ჩხრეკა დაიწყო. აღმოაჩინეს მხოლოდ მანქანა, პეტროსიანი და ფულით სავსე ჩანთა კი გაქრა.

ბოროტმოქმედის დაკავება მეორე დღეს მოხერხდა – მას მეტეხის ხიდის ჯებირში ეძინა და კაპიტანმა გოგოლაძემ თავისი ფულიანად ხელბორკილდადებული მიიყვანა მილიციაში...

პეტროსიანი და პავლოვა გაასამართლეს და დახვრიტეს...

**ნიკა ლაშაური**

## რა მოხდა ამ დღეს

### 18 მარტი

1891 – პარიზსა და ლონდონს შორის დამყარდა სატელეფონო კავშირი.

1899 – დიმიტრი მენდელეევმა განაცხადა მის მიერ ქიმიურ ელემენტთა პერიოდული სისტემის შექმნის შესახებ.

1900 – დაარსდა ჰოლანდიური საფეხბურთო კლუბი „აიაქსი“.

1965 – საბჭოთა კოსმონავტი ლეონოვი პირველად გავიდა ღია კოსმოსში.

### 19 მარტი

1831 – პირველად დაფიქსირდა ბანკის ძარცვა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

1859 – პარიზში შედგა შარლ გუნოს ოპერა „ფაუსტის“ პრემიერა.

1945 – იაპონიაში დაიხურა ყველა სკოლა. 6 წელზე უფროსი ბავშვები სამხედრო სამუშაოებზე გაგზავნეს.

1953 – შედგა „ოსკარების“ გადაცემის ცერემონიალის პირველი ტელეჩვენება.

### 20 მარტი

1852 – გამოქვეყნდა ამერიკელი მწერლის, ჰარიეტ ბიჩერ-სტოუს რომანი „ბიძია თომას ქოხი“.

1854 – ამერიკის შეერთებულ შტატებში დაარსდა რესპუბლიკური პარტია.

1969 – შედგა ჯონ ლენონისა და იოკო ონოს ქორწილი.

### 21 მარტი

1925 – ამერიკის შეერთებულ შტატ ტენესში მიიღეს კანონი, რომელიც კრძალავდა დარვინიზმის სწავლებას (1950 წლიდან გაუქმებულია).

1963 – დაიხურა სახელგანთქმული ციხე – ალკატრასი.

1990 – გამოცხადდა აფრიკის ტერიტორიაზე უკანასკნელი კოლონიის – ნამიბიის დამოუკიდებლობა.

### 22 მარტი

1786 – ეკატერინე მეორემ ბრძანა, რომ ამიერიდან ქვეშევრდომებს მისთვის თავი წარედგინათ არა როგორც მონა, არამედ „ერთგული ქვეშევრდომი“.

1956 – ელვის პრესლი პირველად მოხვდა მუსიკალურ ჰიტ-პარადში.

1967 – ალექსანდრ სოლჟენიცინმა გამოაქვეყნა „არქიპელაგი გულაგი“.

### 23 მარტი

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 86 – რომაელმა სარდალმა სულამ შტურმით აიღო და გაძარცვა ათენი. საბერძნეთი საბოლოოდ დამორჩილდა რომს.

1839 – ბოსტონურ გაზეთ „მორნინგ პოსტში“ პირველად გამოჩნდა დღეს უკვე გავრცელებული გამოთქმა „ო’კეი“.

1919 – ბენიტო მუსოლინიმ ქალაქ მილანში დააარსა ახალი პოლიტიკური მოძრაობა „Fasci di Combatimento“. ასე გაჩნდა ტერმინი „ფაშიზმი“.

### 24 მარტი

1603 – ინგლისში ტიუდორების დინასტია შეცვალა სტიუარტების დინასტიამ.

1882 – რობერტ კოხმა აღმოაჩინა ტუბერკულოზის ჩხირები.

1955 – ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დააყენა მსოფლიოში პირველი საზღვაო ნავთობჭაბურღილი.

# რატომ გამოჭრა მამამ შვილს ყელი ხერხით და რა როლი შეასრულა სასტიკ მკვლელობაში მოღალატე რძალმა

სოფელ ჭოგნატის მოსახლეობა დილაუთენია გააღვიძა ქალის განწირულმა კივილმა. ხმა ქ-შვილების მრავალშვილიანი ოჯახიდან ისმოდა. იმის მიუხედავად, რომ ისინი სოფლის მოსახლეთაგან მოშორებით ცხოვრობდნენ, კივილი ისე მკაფიოდ გაისმა, თანასოფლელებს ეჭვი არ შეუტანიათ, რომ ხმა ქ-შვილების სახლიდან მოდიოდა. ამისი მიზეზი ისიც იყო, რომ ჩხუბი და ხმაური სოციალურად დაუცველ ოჯახში ბოლო დროს ჩვეულებრივი მოვლენა იყო: მამა – 68 წლის ნუგზარ ქ-შვილი და მისი შვილი – 38 წლის ემზარი, ერთმანეთში ხშირად ჩხუბობდნენ, ბოლო პერიოდში კი ისინი უფრო მეტად გადაეკიდნენ ერთმანეთს, რისი მიზეზიც ბინასთან დაკავშირებული ისტორია იყო.

სამართალდამცველების მისვლამდე შემთხვევის ადგილზე, რამდენიმე მეზობელი მივიდა, რომლებსაც პატარა, ღარიბულ ბინაში საზარელი სურათი დახვდათ: ემზარ ქ-შვილი საწოლში იწვა ყელგამოჭრილი, საწოლი კი სისხლით იყო მოსვრილი. იქვე ეგდო დანაშაულის იარაღი – საყოფაცხოვრებო დანიშნულების მქონე პატარა ხერხი. დაწიოკებული მცირეწლოვანი ბავშვები გარდაცვლილი მამის ცხედრის ირგვლივ ტრიალებდნენ: იქვე იყვნენ სისხლში ამოსვრილი ოჯახის სხვა წევრებიც: გარდაცვლილის მამა და მეუღლე – შორენა კ-ძე, რომელიც მეუღლეს დასტიროდა და ამბობდა, რომ ემზარმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. ამას გამოძიების პროცესშიც ადასტურებდნენ თვითმხილველებიც, რომლებიც შემთხვევის ადგილზე პირველები მივიდნენ.

ამონაწერი მოწმის, ლეილა ტულუშის ჩვენებიდან: „ჩემი სახლი ქ-შვილების ბინასთან ყველაზე ახლოს მდებარეობს. როცა ქალის კივილი შემომესმა, მეუღლე გავაღვიძე და ვუთხარი: შორენას ხმაა, ალბათ, რამე ხდება და გადავალ-მეთქი. ჩემმა ქმარმა სასტიკად იუარა, რომ გამომყოლოდა – მე მაგათი თავი არ მაქვს, შენ რაც გინდა, ის ქენიო. ამ ოჯახზე ყველას აცრუებული ჰქონდა გული, მაგრამ ქალებს გვეცოდებოდა ბავშვები, რომლებიც სიღარიბეში იზრდებოდნენ და, რითაც შეგვეძლო, ვეხმარებოდით ხოლმე. ნუგზარი სოფელში ცუდი რეპუტაციით სარგებლობდა – ახალგაზრდობაში ორჯერ იყო ნასამართლევი მეზობლების ბინების გაქურდვისთვის. მთელი ცხოვრება უსაქმოდ, ჩხუბსა და აყალმაყალში ჰქონდა გატარებული. მას შემდეგ, რაც დაქვრივდა, ორჯერ მოიყვანა ცოლი, მაგრამ, ვერც ერთმა ქალმა ვერ გაძლო ამ ოჯახში რამდენიმე თვეზე მეტი. ბოლო დროს ნუგზარი და ემზარი ხშირად ჩხუბობდნენ, ორივე სასმელს ეტანებოდა და, როგორც კი რომელიმე დალევდა, ჩხუბი გარდაუვალი იყო. ბავშვებს ხან რომელ მეზობელთან უწევდათ ღამის გათევა, ხან – რომელთან. ბოლო ორი თვე მამა-შვილს შორის ურთიერთობა უფრო მეტად დაიძაბა. ისე, რომ ემზარმა არაფერი იცოდა, ნუგზარმა და შორენამ სახლი და ეზო ჩუმად მიჰყიდეს ჩვენს სოფელში ჩამოსულ ფერმერს, რომელსაც იქვე ახლოს ფერმისთვის მიწები ჰქონდა ნაყიდი. როცა ემზარმა ეს გაიგო, ცოლს სასტიკად სცემა, მამასთან კი დიდი შეხლა-შემოხლა მოუვიდა. სოფელი ემზარის მხარეზე იყო –. სად უნდა წასულიყვნენ ოთხი მცირეწლოვანი ბავშვით, ამაზე არც მამამთილმა იფიქრა და არც ბავშვების დედამ, რომელიც გონებრივად შეზღუდული იყო. მეზობლები ემზარს ვანუგეშებდით – მაგ ფულით რამე პატარა ბინა მოგივათ და იქ გადახვალთ საცხოვრებლადო, მაგრამ, ის ისე იყო გამწარებული, ცოლსა და მამას მოკვლით ემუქრებოდა. იმ დილით, როცა კივილი გავიგე, ვიფიქრე, რომ ემზარმა მუქარა სისრულეში მოიყვანა-მეთქი, მაგრამ როცა სახლში მივედი, თავად ვნახე ყელგამოჭრილი და გარდაცვლილი. შორენა ტიროდა – ემზარმა თავი მოიკლაო. არ ვიცი, რატომ, მაგრამ, ეს ვერ დავიჯერე. შემთხვევის ადგილზე მეზობლები მოგროვდნენ, ვიღაცამ პოლიცია გამოიძახა. ემზარის მამა, ნუგზარი, ხმას არ იღებდა, მხოლოდ შორენა ყვებოდა იმ დეტალებს, თუ როგორ გამოეღვიძა მომაკვდავი მეუღლის ხროტინის ხმაზე, რომელსაც ყელი საკუთარ საწოლში ჰქონდა გამოჭრილი."

დანაშაულის იარაღი – პატარა ხერხი, თავიდანვე გახდა საეჭვო თემა. სამართალდამცველების განცხადებით, ადამიანი ასეთი ხერხით საკუთარ თავზე სასიკვდილო დაზიანებას ვერ მიიყენებდა. სამართალდამცველებმა დაკითხეს ინციდენტის თვითმხილველებიც, ნუგზარ ქ-შვილმა განაცხადა, რომ შვილის თვითმკვლელობის შესახებ რძლისგან მაშინ შეიტყო, როდესაც შორენამ ის საწოლში გარდაცვლილი აღმოაჩინა. შორენა კ-ძემ პირველივე დაკითხვისას დეტალურად მოუთხრო გამოძიებას ინციდენტის შესახებ (ამონაწერი მისი ჩვენებიდან): „იმ საღამოს ყველა ადრე დავწექით დასაძინებლად. ემზარი ნასვამი იყო და შემეშინდა, მამასთან კიდევ არ მოსვლოდა კონფლიქტი, ამიტომაც, საწოლამდე მივიტყუე. როგორც კი დაწვა, მაშინვე დაეძინა. მე იმავე ოთახში, მეორე საწოლში ვიწექი ბავშვთან ერთად, ჩემი მამამთილი კი გვერდით ოთახში იწვა. გამთენიისას უცნაური ხმა შემომესმა – ხროტინს ჰგავდა. გავიგე დავარდნის ხმა. საწოლიდან წამოვდექი, შუქი ავანთე და საწოლში სისხლით მოსვრილი ემზარი დავინახე, იქვე ეგდო პატარა ხერხი, რომლითაც ემზარს ყელი გამოეჭრა. მაშინვე ჩემი მამამთილის ოთახში შევვარდი. ნუგზარს ეძინა, გავაღვიძე და ვუთხარი, რომ ემზარმა თავი მოიკლა. ჩემს კივილზე ბავშვებსაც გამოეღვიძათ და ტირილი დაიწყეს. მალე ჩვენს ბინაში მეზობლებიც მოგროვდნენ და პოლიციაც მოვიდა“.

> **ქალმა აღიარა, რომ მამამთილთან სქესობრივი ურთიერთობა ბოლო ორი წელი რეგულარულად ჰქონდა**

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და დაიწყო გამოძიება. თვითმხილველთა ჩვენების მიუხედავად, თვითმკვლელობა საკმაოდ ბევრ კითხვის ნიშანს აჩენდა: როგორ გამოიჭრა ყელი ემზარ ქ-შვილმა საკუთარი ხელით ისე, რომ ვერავინ ვერაფერი გაიგო პატარა ოთახში, სადაც ოთხ ბავშვსა და მეუღლეს ეძინათ, ძნელი წარმოსადგენი იყო. ბევრ საეჭვო გარემოებას შეიცავდა გარდაცვლილის მამისა და მეუღლის ჩვენებებიც, რომლებიც ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდა, თუმცა, ჩანდა, რომ რძალ-მამამთილი ერთმანეთთან შეთანხმებულები იყვნენ. ყველაზე მეტი ინფორმაცია გამოძიებას გარდაცვლილის უფროსმა შვილმა – 12 წლის ნანა ქ-შვილმა მიაწოდა, რომელმაც მასწავლებლის თანხლებით დაკითხვის დროს განაცხადა, რომ დაინახა, როგორ ეჭიდავებოდა პაპა მამას და როგორ „დაახტა" მას ზურგზე შორენა კ-ძე. რისი დანახვის შემდეგაც, შეეშინდა და საწოლში დაიმალა. საბოლოოდ, გამოძიების მიერ ჩიხში მოქცეულმა რძალ-მამამთილმა აღიარა, რომ ემზარ ქ-შვილი თავად მოკლეს და ეს მკვლელობა ინციდენტამდე ერთი თვით ადრე დაგეგმეს. ნუგზარ ქ-შვილმა ჩადენილი დანაშაული აღიარა. როგორც გამოძიებისთვის გახდა ცნობილი, დანაშაულის მოტივი იყო ეჭვიანობა, რომელიც გარდაცვლილ მამაკაცს გასჩენია მამისა და ცოლის ურთიერთობაზე. მოგვიანებით, მამამთილთან ინტიმური ურთიერთობა აღიარა შორენა კ-ძემაც. მან განაცხადა, რომ მამამთილთან სქესობრივი კავშირი ბოლო ორი წლის განმავლობაში რეგულარულად ჰქონდა.

ამონაწერი შორენა კ-ძის ჩვენებიდან: „ორი წლის წინ მამამთილმა ჩემთან სქესობრივი კავშირი იძულებით დაამყარა, ამის შემდეგ ჩვენ შორის ასეთი ურთიერთობა რეგულარული გახდა. ორივეს გვეშინოდა, რომ ემზარს ამის შესახებ არ გაეგო, რადგან, რამდენჯერმე იეჭვიანა ჩვენზე. ბოლო პერიოდში, როცა მე და ჩემმა მამამთილმა სახლი ჩუმად გავყიდეთ, იფიქრა, რომ ახალ სახლში მას აღარ წავიყვანდით. ამის შემდეგ ჩვენი ურთიერთობა უფრო მეტად დაიძაბა – ჩვენს სახლში სულ ჩხუბი იყო. მამამთილმა გადაწყვიტა, რომ ემზარი თავიდან მოგვეშორებინა. გადავწყვიტეთ, ის მოგვეკლა და ისე გაგვეკეთებინა, თითქოს თავი მოიკლა. ემზარი თითქოს გრძნობდა ამას და მითხრა კიდეც: სანამ თქვენ მომიშორებთ, მე დაგხოცავთ ორივესო. ეს რომ ჩემს მამამთილს ვუთხარი, მითხრა, რომ უნდა დაგვეჩქარებინა მკვლელობა. იმ ღამეს ემზარი ნასვამი მოვიდა. ღამით სასმელში ძილის წამალს ვუყრიდი ხოლმე და იმ ღამესაც ჩავუყარე წამალი. მაშინვე დაეძინა. მე ჩემი მამამთილის ოთახში გავედი. საწოლში ვიწექით, როცა უცებ ემზარი დაგვადგა თავზე. მამა და შვილი ერთმანეთს ეცნენ და იატაკზე გაგორდნენ. მივხვდი, რომ ემზარი ჯობნიდა მამას, უკნიდან შევახტი და ხელები დავუჭირე. ამ დროს ნუგზარმა იქვე, კუთხეში მიგდებული პატარა ხერხი აიღო და ემზარს ყელში გამოუსვა. სისხლმა იფეთქა და ემზარმა ხროტინი დაიწყო. ის მაშინვე თავის საწოლში ჩავაწვინეთ იქაურობა სისხლიანი იყო, მაგრამ, ამაზე ეჭვს ვერავინ აიღებდა. როცა დავრწმუნდი, რომ მკვლელობის კვალი წავშალე, კივილი ავტეხე, რის შემდეგაც ჩვენს სახლში მეზობლები მოცვივდნენ".



ჩადენილი დანაშაულის დეტალები აღიარა ნუგზარ ქ-შვილმაც, რომელმაც განაცხადა, რომ შვილის მოკვლა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც საკუთარი რძალი შეუყვარდა, თუმცა, ცხადია, ამ აღიარებამ მას ვერ უშველა – განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის ნუგზარ ქ-შვილს სასამართლომ 14 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, მკვლელობის თანამონაწილე შორენა კ-ძეს კი 9 წლით პატიმრობა შეეფარდა.

**ეკა ბარაბაძე**

# რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს



რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი
მევლუდ მელაძე

კითხვა: **მყავს ავტომობილი „ვოლვო 740", 2.3, მართვის ავტომატური კოლოფით, 1987 წლის გამოშვება მექანიკურ „ვსპრისკზე". ყოველი გავლილი 500-600 კილომეტრის შემდეგ, აქვს დაქოქვის პრობლემა. ბენზინის მიწოდება უზრუნველყოფილია თორმეტი ატმოსფეროთი, როგორც ეს მექანიკურ „ვსპრისკს" სჭირდება. ავტომობილი ზეთს არ ჭამს, საჰაერო დროსელი მუდმივად ჭუჭყიანია ზეთის ნარჩენით, მიუხედავად იმისა, რომ საქშენსაც და დროსელსაც ხშირად ვწმენდ. ხელოსანი მეუბნება, რომ მუდმივად იჭედება საჰაერო სისტემა. ხშირია, ისეთი შემთხვევა, როცა მანქანა დილით ჩვეულებრივ იქოქება და ტრასაზე შეიძლება, მოულოდნელად ჩაქრეს ან აღარ დაიქოქოს. ზოგჯერ შველის „ვსპრისკის" საწმენდი, ისიც დროებით. „სვეჩები" და „სვეჩის კაბელები" ახალი გამოცვლილი და ხარისხიანია, შემოწმებულია „ტრამლიორიც". გთხოვთ, მიპასუხოთ, რა არის ამის მიზეზი და რა იქნება გამოსავალი? იმდენად, შეწუხებული ვარ ამ პრობლემით, მინდა, კარბურატორზე გადაყვანა და შესაძლებელია თუ არა აღნიშნულ მოდელზე „ავტომატიკის" გადაყვანა კარბურატორზე. ბენზინის ხარჯს უკვე აღარ აქვს მნიშვნელობა, ოღონდ სადმე არ დავრჩე.**

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
>
> მიხაილ შუმახერი

**პასუხი**: ეგრეთ წოდებული მექანიკური „ვსპრისკი" საკმაოდ არასტანდარტული და რთული კონსტრუქციაა. თუმცა, ის ძალიან პოპულარული იყო იმ წლებში, რომელშიც თქვენი ავტომობილია გამოშვებული. მაშინ „ვსპრისკის" სისტემით აღჭურვილი ძრავა კარბურატორთან შედარებით გაცილებით მაღალ სიმძლავრეს გამოიმუშავებდა ნაკლები საწვავის გამოყენებით. ამ კონსტრუქციის სირთულეა პრიმიტიული, მაგრამ უზუსტესი დეტალების თანწყობა, რაც, როგორც მინიმუმ, კარგად გაფილტრულ საწვავს მოითხოვს, რადგან, ჭუჭყის მცირედი ნაწილაკებიც კი იოლად აზიანებს მას. მისი რეგულირება შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური სტენდის დახმარებით. რაც შეეხება თქვენს კონკრეტულ შემთხვევას, უპირველესად, გადასამოწმებელია ჰერმეტულია თუ არა მექანიკურ „ვსპრისკსა" და შემშვებ კოლექტორში არსებული სივრცე. მექანიკური „ვსპრისკის" შეფრქვევის დოზას განსაზღვრავს სწორედ ამ სივრცეში შექმნილი ვაკუუმი. ვაკუუმის წარმოქმნის სიდიდე ზემოქმედებს სპეციალურ დიაფრაგმაზე და მექანიკური „ვსპრისკი" ძრავას საწვავს სათანადო დოზით აწვდის. ამ სივრცის ჰერმეტულობის გადამოწმება შესაძლებელია სპეციალური მოწყობილობით, რომელსაც აერთებენ შემშვებ კოლექტორთან და ბოლის შეშვებით ამოწმებენ გასდის თუ არა მას. ხშირ შემთხვევაში „ჭრილობა" საიდანაც ჰერმეტულობა ირღვევა, დაფარულია ან მოძრაობაზე რეაგირებს, რაც ზოგჯერ მსგავსი სისტემით აღჭურვილ ავტომობილებში ჩაქრობას იწვევს. რაც შეეხება დროსელთან მოხვედრილ ზეთს, ამის გამომწვევი მიზეზი შეიძლება სხვადასხვა იყოს, ყველაზე ხშირი კი თქვენი ავტომობილის მოდელებში საქშენის ფილტრის გაბიდვნაა. ანუ, ძრავადან გამომავალ მილამდე პატარა სივრცემ სადაც სპეციალური გამფილტრავი ღრუბელია განთავსებული, კარგი მუშაობის შეთხვევაში, უნდა გამოატაროს მხოლოდ გაზები, ხოლო ზეთი უკან უნდა ჩაღვაროს. ყველაფერ ამის მოგვარების შემდეგ, თუ პრობლემა არ აღმოიფხვრა, კარბურატორის სისტემაზე გადასვლაც არ არის ურიგო იდეა. თქვენ შეგიძლიათ, მარტივად გადააკეთოთ შემშვები კოლექტორი ისე, რომ ზედ კარბურატორის დამონტაჟება შეიძლებოდეს. ასეთ შემთხვევაში ავტომობილი ნაკლები სიმძლავრით, მაგრამ გამართულად იმუშავებს.

კითხვა: **მყავს ავტომობილი „ჰონდა სივიკი", რამდენ გავლილ კილომეტრზე უნდა შევცვალო ძრავას ღვედი?**

**პასუხი**: რეკომენდაციების მიხედვით, ძრავას ღვედი ყოველ გავლილ 40 ათას კილომეტრზე უნდა შეიცვალოს, მაგრამ „სივიკის" შემთხვევაში, შეგიძლიათ ის მაინცდამაინც რეკომენდაციის მიხედვით არ შეცვალოთ. ღვედის გაწყვეტის შემთხვევაშიც კი სერიოზულად არაფერს დააზიანებს – რომელიმე ხელსაწყო აინთება, ხმას გაიგებთ და ავტომობილი გაჩერდება. ამით მიხვდებით, რომ პრობლემაა. თუ გვინდა, რომ ეს არ დაგემართოთ და ავტომობილი ავარიულ რეჟიმში არ ამუშაოთ, უმჯობესია, კბილებიან ღვედთან ერთად, გამოიცვალოს ყველა დანარჩენი ღვედი, მიუხედავად იმისა ეტყობა თუ არა დაზიანება. ამ ღვედებს, საჭის გამაძლიერებელი მოჰყავს მოქმედებაში, რომელიც თავისთავად წყლის ბრუნვას, აკუმულატორის დამუხტვას იწვევს.

კითხვა: **მყავს ავტომობილი „მაზდა 6", 2006 წლის, 2.3-იანი ძრავათი, ტიპტრონიკის ტიპის გადაცემათა კოლოფით (ამერიკული ვარიანტი). უკვე ერთი წელია, ვამჩნევ, რომ მას შემდეგ, რაც დაახლოებით 30-45 წუთს გავივლი, მესამედან მეოთხე სიჩქარეში ჩაგდებისას, გადართვა საკმაოდ უხეშად ხდება, იგრძნობა მკვეთრი დარტყმა. ცივზე კი ეს პრობლემა არ აქვს. თან, ეს მხოლოდ მესამედან მეოთხეში გადართვისას ხდება. სხვა სიჩქარეებში კი უპრობლემოდ გადადის. ბოლოს, როცა უკვე საგრძნობლად მოიმატა კოლოფის დარტყმამ, ზეთი მთლიანად გამოვცვალე, მასში „მაზდას" „ატეეფი" ჩავასხი – ერთ-ერთ ბრენდ კომპანიაში შევიძინე, მაგრამ არ უშველა. ხომ ვერ მეტყვით, რა შეიძლება, იყოს ამის გამომწვევი მიზეზი და საერთოდ, თუ შეგიძლიათ, ეს მოდელი დამიხასიათეთ, როგორია საქართველოს პირობებში?**

**პასუხი**: შეიძლება ითქვას, უკვე ისეთ სიტუაციაში ხართ, როცა კოლოფი სერიოზულადაა დაზიანებული. ამ მხრივ არ გაგიმართლდათ. დაზიანება შეიძლება იყოს რამდენიმე სახის – რთული, მაგრამ მარტივად მოსაგვარებელი; მარტივი დაზიანება, მაგრამ რთულად მოსაგვარებელი; ან რთული დაზიანება – რთულად მოსაგვარებელი; მაგრამ კოლოფში არაფერია ისეთი, რომლის შველა და გამოსწორება არ შეიძლება. კოლოფის დაშლა აუცილებლად მოგიწევთ. თქვენს ავტომობილს ავტომატური კოლოფის კარგი სპეციალისტი სჭირდება. ზოგადად, „მაზდა" გამოირჩევა ამტანობით და საკმაოდ კარგი მანქანაა. თუმცა, საქართველოში საკმაოდ მცირე რაოდენობითაა, რაც ნიშნავს, რომ ნაწილების შოვნაც რთულია და ხელოსნებსაც ნაკლები შეხება აქვთ მასთან. შესაბამისად, არც ცოდნა აქვთ. სულ ცოტა ხანში, „მაზდას" ოფიციალური წარმომადგენლობა იხსნება საქართველოში, რასაც, რა თქმა უნდა, სერვისიც მოჰყვება. თუმცა, ჩვეულებრივი მოდელებისთვის შესაძლოა სერვისი საკმაოდ ძვირი დაჯდეს. გირჩევთ, დაშლილებში მოიძიოთ მთლიანი კოლოფი და გამოცვალოთ. მოხსნა, გაკეთება და აწყობა შესაძლოა, ახალი კოლოფის ფასი დაჯდეს. მაგრამ თუ ვერ იშოვეთ, მაინც მისი გადაკეთება მოგიწევთ.

**ჟურნალი „თბილისელები" გირჩევთ:**

** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*

** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*

** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*

** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*

*გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

**მოამზადა**
**სალომე გველესიანმა**

პიერ რიშარის ფილმი
საყვარელი
მადამ ბოვარი
ნიკოლოზი / ბახვა ფულავას ცოლი
უარყოფითი ნაწილაკი / გველი
იაპონური ორთაბრძოლა
ფეხბურთელს ანერია ზურგზე
დასაწყისი / სუსტი
საშინაო....
ბალებინი დედოფალი
ქურქელი
გალაკტიონის ლექსი
„კავკასიურ ცარცის წრეში“
ინტენსიურად
მარიამი ძველ თბილისში
(.......) დამაცადე!
რიგითობის კითხვა
დომინოს "პატი"
ძვ.არგენტინელი ფეხბურთელი
(.......) ანრი, ფრანგი ფეხბურთელი
იხილე ფოტო
ქარიშხლის სახეობა



ზღაპრული ცხენი
სოფელი ონის რაიონში
საფოსტო ატრიბუტი
პროზაული ნაწარმოები
პუგაჩოვა
ჩვენი ანბანის ძველი ასო
მწერალი (.......) ბუაჩიძე
იქით მხარეს
(.....) პაჩინო / ჩვენი ანსამბლი
რუსთველის კალამი
ამფიბია
ყვავილები
მხატვარი ჯაფარიძე / სრული სიბნელე
წურბელებით მოვაჭრე „ბურატინოში“
მუცლის მოშლის სპეციალისტი
გრანდიოზული / კალატოზიშვილი
მუქარა რქებით
ცოცხალი სხეულის ნაწილი / ლარი
ეპოქა, დიდი დრო
მაჩაიძე
გრამატიკული კავშირი
ესპანეთის რეგიონი
კავკასიონზეა მიჯაჭვული
რუსთველი / თბილისის ტაძარი
ქალის სახელი
ქალაქი ესპანეთში
ალალი / ქალაქი ესპანეთში
(.......) ისაკაძე
მკითხავი
საერთო წარმოშობის ხალხი
ნამყო დრო
რუმინეთის რეგიონი
მთლად, ყველა / ციმბირის მდინარე
ლენინმა დაუბარა ბავშვებს
უუფლებო პირი
შუღლი, სიძულვილი
ფერი / ქალის რუსული სახელი
ჩეხური ავტომობილი
ქათმის გაგდება / მითი
ჩვენი ტელეფესტივალი
ყარაჩოხელების საკრავი
დამუხტული ნაწილაკი
აბაშის რაიონის სოფელი
ლაბა, ნიკორა / თურქეთ. ქალაქი
მუხა, იფანი / ზემოდან ანუ?
ქალაქის ტრანსპორტი / ყვავილი
ჩვენი რაიონი
ლატვიის დედაქალაქი / ახლა
თვალის ნაწილი / რელსი
ოსკარ უაილდის (.......) გრეი
ბურთი ბადეში / წნევას ზომავს
ქვირფასი ქსოვილი / ჭრის
პომეროსის პოემა
ლალიძეს ჩხეიძეს

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | 3 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | 3 | 1 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | 3 | 2 | 1 | 6 | 2 | | | 2 | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | 3 | 1 | 1 | 1 | 4 | 5 | | 11 | 3 | 3 | 2 | 1 | | | 8 | 9 | | | 10 | | 1 | | 5 | 3 | 3 | | |
| 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 11 | 2 | 18 | 15 | 10 | 8 | 8 | 9 | 2 | 4 | 15 | 13 | 2 | 15 | 7 | 2 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | 1 |
| | | | | 2 |
| | | | 3 | 4 |
| | | | 3 | 4 |
| | | | 2 | 4 |
| | | | | 4 |
| | | | | 6 |
| | | 1 | 1 | 4 |
| | | | | 8 |
| | | 1 | 6 | 6 |
| | | 1 | 1 | 16 |
| | 1 | 1 | 14 | 2 |
| | | 3 | 14 | 1 |
| | | | 14 | 1 |
| | | | 14 | 1 |
| | | | 13 | 2 |
| | | | 13 | 2 |
| | | 6 | 6 | 2 |
| | | 3 | 5 | 1 |
| | | 3 | 2 | 2 |
| | | 2 | 2 | 2 |
| | | 2 | 3 | 2 |
| | | 2 | 2 | 2 |
| | | 3 | 3 | 3 |
| 9 | 2 | 2 | 2 | 5 |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

## ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 4 | 5 | | 6 | 2 | | 1 | 9 |
| 9 | 3 | 1 | | 5 | 4 | | 7 | |
| | | 6 | 1 | | 9 | | 4 | 8 |
| 7 | 8 | 4 | | 2 | 5 | 1 | | |
| | 6 | | 9 | 8 | | 4 | 2 | 5 |
| 5 | 2 | | 4 | 1 | | 6 | 8 | |
| 6 | | 2 | 3 | | 8 | 7 | | 4 |
| 4 | | | 2 | | 6 | 9 | 3 | 1 |
| | 9 | 7 | 5 | 4 | | | | 2 |

## რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | | | 5 | | 6 | | | 3 |
| | | | | 1 | | | | |
| | 5 | 4 | 3 | | 7 | 8 | 2 | |
| 1 | | 5 | | | | 3 | | 9 |
| | | | 1 | | 5 | | | |
| 4 | | 2 | | | | 5 | | 8 |
| | 2 | | 8 | | 4 | | 3 | |
| 5 | | | | 2 | | | | 6 |
| 3 | | | 9 | | 1 | | | 7 |

# ისწავლეთ ხატვა ზალიკოსთან ერთად



1. დაიწყეთ ფრინველის ნისკარტის ხატვა



2. ნისკარტს ქვემოთ მიახატეთ დოქის ფორმის ყელი



3. ფრინველს მიახატეთ თავი



4. შემდეგ – თვალი



5. მიახატეთ ტანი, კლანჭები და ფრთები



6. მიახატეთ კუდი და ხის ტოტი



7. გააფერადეთ



ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია
თამარაშვილის №36
ტელ.: 272 9191

# იპოვეთ ათი განსხვავება





# იპოვე ორი ერთნაირი ცხენი



# რომელი ონკანით უნდა გადაკეტოს წყალი ბაყაყმა




# ბატონი და მონა

## (იგავ-არაკი)

ერთმა ბატონმა შავკანიანი მონა იყიდა. იფიქრა: შავი ფერი, ალბათ, ძველი ბატონის ხელში დაედო მოუვლელობითა და დაუბანლობითაო. მისდგა იმ საწყალსა, ხეხა და ხეხა, მთელი წყალი და საპონი ზედ გადაალია, მაგრამ, მონას არა ეშველა რა, თვითონ ბატონს კი ამდენი ჯაფით გული შეუღონდა.

რაც ბუნებას უბოძებია, იმას ვერავითარი ძალა ვერ შეცვლისო.

არ გათეთრდების ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითა.

# რიცხვრებუსი

,20, 1,,, ,,0



# ვეტერინარის რჩევები

**კითხვა: რა ჯიშის ძაღლის აყვანას გვირჩევთ იმ შემთხვევაში, თუ ოჯახში პატარა ბავშვიც ცხოვრობს? ანუ, მაინტერესებს, ბავშვებს რომელი ძაღლები ეწყობიან უკეთესად?**

**პასუხი:** თუ პატარა ბინაში ცხოვრობთ, ამ შემთხვევაში ბავშვი და ძაღლი ერთად ვერ იცხოვრებენ. თუ საკმარისი ფართი გაქვთ, მაშინ ლაბრადორი, სპანიელი, „ავჩარკა" და ზოგჯერ კანე კორსოც, ბავშვებთან თამაშობენ და კარგად ეწყობიან მათ. პრინციპში, გააჩნია, ძაღლს როგორ გაზრდი, თორემ, აგრესიული, შეიძლება, ნებისმიერი ძაღლი იყოს. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ძაღლის აღზრდას და გარემო სიტუაციას.

**კითხვა: თუ ძაღლი ცოფზე აცრილია, გაკაწვრის ან კბენის შემთხვევაში, მაინც საჭიროა დაზარალებულისთვის აცრის გაკეთება? დაკბენის შემთხვევაში კიდურის რომელი ადგილებია განსაკუთრებით საშიში?**

**პასუხი:** შეიძლება, ცხოველი აცრილი იყოს, მაგრამ, აცრა ასპროცენტიანი დაცვა არ არის. ცოფის გარდა, ძაღლს აქვს გაჭუჭყიანებული პირის ღრუ, რადგან ეხება მიწას, არასტერილურ გარემოს. ამიტომ, თუ ძაღლმა კბილი გაგკრათ, აუცილებლად უნდა მიაკითხოთ ექიმ რაბიოლოგს, რომელიც გადაწყვეტს, საჭიროა თუ არა აცრის გაკეთება. აუცილებლად გამოგკითხავთ, აცრილია თუ არა ძაღლი, როდის არის აცრილი და ასე შემდეგ. არსებობს სხეულის ადგილები, რომლებიც საშიშ ზონებად ითვლება. ამ შემთხვევაში, 10 დღის ინტერვალში გაუკეთებს პიროვნებით აცრებს. საშიში ადგილებია: ხელის თითები, ცხვირ-სახე, თავი, გამრავლების ორგანოები, ნერვული დაბოლოებები; დანარჩენი კი მეორე კატეგორიის დაინფიცირებად ითვლება.

**კითხვა: მაინტერესებს, დედალი ძაღლისთვის წელიწადში რამდენჯერ არის მიზანშეწონილი დართვა?**

**პასუხი:** ძუს წელიწადში ორჯერ აქვს გამრავლების საშუალება, რადგან ციკლი 6 თვეში ერთხელ აქვს. მაგრამ, თუ ლეკვების გაყიდვით არ ხართ დაინტერესებული, მაშინ, უმჯობესია, წელიწადში ერთხელ შეაჯვაროთ. ლაქტაციის დროს ძაღლი ძალიან ბევრ ენერგიას ხარჯავს და ძალიან ბევრი ვიტამინისა და მიკროელემენტისგან იცლება, რასაც აღდგენა სჭირდება, ამისთვის კი გარკვეული პერიოდია საჭირო. ამიტომ, სასურველია, ცხოველს გამრავლების ერთი ციკლი გამოვატოვებინოთ და შემდგომში შევაჯვაროთ.

**კითხვა: ჩემს ძაღლს ძალიან უყვარს ნამცხვრები და შოკოლადები. მაინტერესებს, ეს მის ჯანმრთელობაზე უარყოფითად ხომ არ იმოქმედებს?**

**პასუხი:** არ გირჩევთ ამის გაკეთებას, რადგან, ტკბილეულის ჭამა ძაღლისთვის დაუშვებელია. შეიძლება მხოლოდ ათასში ერთხელ, მცირე დოზით მივცეთ მას ტკბილეული, მაგრამ, არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიიღოს ამან ყოველდღიური სახე. თუ თქვენი ძაღლი მაინცდამაინც ვერ ძლებს ტკბილეულის გარეშე, უყიდეთ ძაღლების სპეციალური შოკოლადი და ის მიეცით.

**კითხვა: როგორც ვიცი, ცხოველებში საკმაოდ გავრცელებულია ჭიის პრობლემა. იქნებ, მითხრათ, როგორ უნდა მივხვდეთ, რომ ცხოველს ჭია ჰყავს? ანუ, რა გარეგანი მაჩვენებლები აქვს მას?**

**პასუხი:** როგორც კი ცხოველს შეიძენთ, უპირველესად, აუცილებლად უნდა ჩაუტაროთ დეჰელმინთიზაცია – ეს არის ჭიების საწინააღმდეგო პროფილაქტიკა. შინაგან პარაზიტებზე დამუშავება 3 თვეში ერთხელ ხდება. თუ ამ ყველაფერს დაიცავთ და ცხოველს ჭიაზე 3 თვეში ერთხელ დაამუშავებთ, ის დაზღვეული იქნება ამ პრობლემისგან, რადგან, ეს ის პერიოდია, როცა ჭია განვითარებას ვერ ასწრებს. რაც შეეხება იმას, თუ როგორ უნდა მიხვდეთ ჭიის არსებობას, ეს სხვადასხვანაირად ვლინდება. არის შემთხვევები, როცა ცხოველი ჭიას განავალს გამოაყოლებს, ან ამოაღებინებს, რაც თვალით შესამჩნევია. პატრონმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა დატოვოს უყურადღებოდ ჭიის საკითხი, რადგან, ეს საკმაოდ საშიშია. არ არის გამორიცხული, ჭიამ კუჭი გახვრიტოს და ღვიძლში გავიდეს; დაფიქსირებულია გულის გახვრეტის შემთხვევაც და ასე შემდეგ.



რუბრიკას უძღვება ლექსო ამირანაშვილი

ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.

**ჯეიმს დუგლასი**

მოამზადა
**მარიკა ხიდურელმა**

# ფლორის სამყაროში



რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბიწაძე

ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.

**გოეთე**

**კითხვა: როგორ მოვუარო სოლეიროლიას?**

**პასუხი:** სოლეიროლია ჭირვეული მცენარე არ არის. მისთვის მთავარია, მიწა არ გამოუშრეს. თუ მას სიგრილესა და ტენიან გარემოში ამყოფებთ, ზრდას მალევე დაიწყებს. მის გასამრავლებლად რამდენიმე ძირი ფესვიანად ფრთხილად ამოიღეთ ქოთნიდან და ახალ ქოთანში გადარგეთ.

**კითხვა: რა ტემპერატურაზე ძლებს კოლეუსი?**

**პასუხი:** მას სჭირდება ნორმალური ტემპერატურა, 18-20 გრადუსი, ხოლო ზამთარში მისთვის მინიმუმია 11-12 გრადუსი. მცენარე მოარიდეთ ამაზე უფრო დაბალ ტემპერატურას, რადგან, შეიძლება, ფოთლები დასცვივდეს. თუკი ფესვები ტენიანი აქვს, ზოგჯერ მზისგულზე ყოფნასაც იტანს.

**კითხვა: როგორი სინათლე მოსწონს ზამიოკულკასს?**

**პასუხი:** ეს აფრიკული მცენარე იოლად გასაზრდელია. ადვილად ეგუება ოთახის პირობებს, ჩრდილში ყოფნასაც კარგად იტანს და გაბნეულ შუქზეც უკეთ იზრდება. სასურველია, თუ მას აღმოსავლეთის ან დასავლეთის ფანჯარაზე დადგამთ.

**კითხვა: რა ზომის შეიძლება გაიზარდოს ჰემიგრაფისი?**

**პასუხი:** ჰემიგრაფისი დაბალი და კომპაქტური მარადმწვანე მცენარეა. მისი სიმაღლე არ აღემატება 30 სანტიმეტრს. მართალია, ის ნაკლებად ეფექტურია, მაგრამ, კარგად გამოიყენება დიდ ქოთნებში ჩარგული მცენარეების მიწის საფარად.

**კითხვა: ჩემს ექევერიას ფოთლები უჭკნება. რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი?**

**პასუხი:** თქვენ, ალბათ, წყალი დააკელით – დარბილებული და დამჭკნარი ფოთლები იმის მანიშნებელია, რომ ექევერიას წყალი სჭირდება. ზაფხულობით ნიადაგს შეშრობა აცადეთ და ისე დაასხით წყალი, რომ მიწა კარგად დასველდეს, ზამთარში კი იშვიათად მორწყეთ.

**კითხვა: ჩემს ქლოროფიტუმს მიწის ზედაპირზე ფესვები გამოუჩნდა. რისი ბრალია?**

**პასუხი:** მიწის ზედაპირზე ფესვების გამოჩენა მცენარის გადარგვის აუცილებლობის ნიშანია. ფოთოლს სიმშრალისა და უჰაერობისგან გაყავისფრებული ბოლოები წააჭერით. ქლოროფიტუმი კარგად იტანს ოთახის პირობებს, თუ კარგი დრენაჟი და ნოყიერი მიწა აქვს.

**კითხვა: მაქვს ახალი ნაყიდი ქრიზანთემა. რა მიზეზით არ იზრდება?**

**პასუხი:** თუ მცენარე ახლად ნაყიდი გაქვთ, ის შეკრეჭილი და ზრდის შემაჩერებელი ნივთიერებით იქნება დამუშავებული, რათა მოხდენილი და კომპაქტური იყოს. როგორც კი ნივთიერების ზემოქმედება გაივლის, ქრიზანთემა ზრდას დაიწყებს და გამაღლდება, ხოლო, თუ ბაღში გადარგავთ, მაქსიმალურ სიმაღლესაც მიაღწევს და შედარებით მეტხანს იყვავილებს.

მოამზადა
**თეონა გოგალიშვილმა**

**საბჭოთა კავშირსა და მის „განუყოფელ“ ნაწილში საქართველოში ბოლშევიკური ტერორი (რეპრესიები) განსაკუთრებით მეოცე საუკუნის 30-იან წლებში მძვინვარებდა. ბოლშევიკი ჯალათების სამიზნე ხდებოდნენ ეროვნულად და თავისუფლად მოაზროვნე ადამიანები. დასმენა-შპიონაჟი საბჭოთა რეჟიმის თანმდევი გახდა. დანაშაულის აღიარების მიზნით, პატიმრებზე სასტიკი ფსიქოლოგიური და ფიზიკური ზეწოლა მიმდინარეობდა. რეპრესიების სუსხი განსაკუთრებით ქართველმა მწერლებმა და საზოგადო მოღვაწეებმა იწვნიეს. ამჯერად მკითხველის ყურადღებას ერთ-ერთ ასეთ რეპრესირებულ პოეტზე, პუბლიცისტსა და მწიგნობარზე – ნიკოლო მიწიშვილზე შევაჩერებთ. ჩვენი რესპონდენტია ისტორიის დოქტორი ლევან ჯიქია.**

# როგორ მოხვდა ნიკოლო მიწიშვილის სახელი დასახვრეტთა სიაში

**ლევან ჯიქია**: ნიკოლოზ (ნიკოლო) იოსების ძე მიწიშვილმა თექვსმეტი წლის ასაკში გამოაქვეყნა თავისი პირველი ლექსი. სხვადასხვა დროს ის რედაქტორობდა გაზეთებს – ჯარისკაცის ხმა“ და „ფიგარო“, ჟურნალს „ქართული მწერლობა“. მიწიშვილი 1918 წელს შეუერთდა „ცისფერყანწელთა“ ორდენს. ის აქტიურად თანამშრომლობდა სიმბოლისტთა ბეჭდვით ორგანოებთან („მეოცნებე ნიამორები“, „პოეზიის დღე“, „ბახტრიონი“, „ბარიკადი“, „რუბიკონი“).

**– რა პოზიცია ეკავა მიწიშვილს საბჭოთა ხელისუფლებასა და პატრიოტი ქართველი მწერლების დაპირისპირებაში?**

– ის ძლიერ განიცდიდა ამ დაპირისპირებას, ამიტომ მიზნად დაისახა, ერთგვარი შუამავლის როლი შეესრულებინა მათ შორის. ამ მიზნით, 1922 წელს ის უცხოეთში მიემგზავრება და სტამბულის გავლით, საფრანგეთში ჩადის. ნიკოლო მიწიშვილი ცდილობდა ემიგრანტები დაებრუნებინა დაცარიელებულ საქართველოში, რადგან დასავლეთის ქვეყნებისგან საქართველოსთვის რეალური დახმარების იმედი მას არ ჰქონდა. ეს გარემოება, გარკვეულწილად, საბჭოთა ხელისუფლებასაც აწყობდა, რადგან ამის შემდეგ უფრო გაადვილდებოდა საერთაშორისო არენაზე მისი სამართალსუბიექტად აღიარება. ამიტომ, ამ თვალსაზრისით, წინააღმდეგობა არ შეხვედრია, უფრო მეტიც, მიწიშვილის უცხოურ პასპორტს პირადად ლავრენტი ბერია აწერდა ხელს.

**– როგორ შეხვდნენ ნიკოლო მიწიშვილს ემიგრანტები?**

– მინდა გითხრათ, რომ საკმაოდ სკეპტიკურად. ბევრს ეგონა, რომ მიწიშვილი საბჭოთა სპეცსამსახურების დავალებით მოქმედებდა. მას ემიგრანტებთან კონფლიქტიც კი მოუვიდა, რის გამოც ფრანგებმა ის „სანტეს“ ციხეში ჩასვეს. საფრანგეთში ჩასულ მიწიშვილს მიზნად ჰქონდა დასახული, გამოეცა ჟურნალი, თუმცა საამისოდ არანაირი სახსრები არ გააჩნდა და ამიტომ გადაწყვიტა, „რენოს“ ქარხანაში დაეწყო მუშაობა, სადაც ავტომობილებს ღებავდა. მიუხედავად ასეთი სიძნელეებისა, მან მოახერხა ჟურნალის დაარსება. მასთან თანამშრომლობდნენ: დავით კაკაბაძე, ლადო გუდიაშვილი, ნიკო მარი, ასევე ფრანგი, იტალიელი და ესპანელი მწერლები, მხატვრები, პოეტები. რაც შეეხება ქართულ ემიგრაციას, ისინი როგორც მიწიშვილს, ისე მის მიერ დაარსებულ ჟურნალს, ეჭვის თვალით უყურებდნენ და მასთან არ თანამშრომლობდნენ.

**– საბოლოო ჯამში, იყო თუ არა მიწიშვილის ევროპული ვოიაჟი წარმატებული?**

– შეიძლება ითქვას, რომ მიწიშვილის ევროპული ვოიაჟი წარუმატებელი აღმოჩნდა. მან, ფაქტობრივად, ვერ შეასრულა შუამავლის როლი ქართველ ემიგრანტებსა და საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებას შორის. 1925 წელს ის საქართველოში გულგატეხილი დაბრუნდა.

**– იყო თუ არა ნიკოლო მიწიშვილის ევროპაში გამგზავრება მართლაც საბჭოთა ხელისუფლების დავალება?**

– გადაჭრით ამის თქმა ძნელია. თუმცა, ამ ფაქტორმა მას ცუდი სამსახური გაუწია, რაც მის საბრალდებო დასკვნაშიც აისახა.

**– კონკრეტულად, რას ედავებოდა მიწიშვილს საბჭოთა ხელისუფლება?**

– სანდრო შანშიაშვილის ოჯახში გამართულ წვეულებაზე მიწიშვილს ხმამაღლა უგინებია ბერია. ეს ამბავი უმალვე ბერიას მიუტანეს. ამას დაემატა კიდევ ერთი გარემოება – ბერიამ მიწიშვილს პაოლო იაშვილის საწინააღმდეგო ჩვენების მიცემა მოსთხოვა, რაზეც უარი მიიღო. ეს კი სავსებით საკმარისი იყო მისი ფიზიკური ლიკვიდაციისთვის. ბერიამ სტალინს ხელმოსაწერად წარუდგინა დასახვრეტთა სია, რომელშიც ნიკოლო მიწიშვილის სახელიც ფიგურირებდა. მანამდე კი 1937 წლის მაისში, საქართველოს კომუნისტური პარტიის მეათე ყრილობაზე ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, ლავრენტი ბერიამ აღნიშნა: „...ზედმეტი არ იქნება, სერიოზულად ჩაუფიქრდნენ თავის საქციელს, აგრეთვე: გამსახურდია, ჯავახიშვილი, მიწიშვილი, შევარდნაძე და კიდევ ზოგიერთები. საბჭოთა მწერალი, უპირველესად, ის ადამიანი უნდა იყოს, რომელიც ყველაფერს საბჭოთა ხელისუფლებას, სოციალისტურ სამშობლოს, ლენინისა და სტალინის პარტიას მიუძღვნის. მას უნდა უყვარდეს საბჭოთა ხალხი, საბჭოთა სამშობლო და ღრმად სწამდეს მისი ძალა და ძლიერება... ჩემ მიერ ჩამოთვლილმა მწერლებმა უნდა იცოდნენ, რომ მათი შემდგომი საქციელი, ის გარემოება, თუ რა სწრაფად გარდაიქმნებიან და დაჰგმობენ თავიანთ წარსულ საქმეებსა და კავშირურთიერთობას, განსაზღვრავს ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულებას მათდამი“. ამით ყველაფერი ნათქვამი იყო. 1937 წლის 2 ივნისს მიწიშვილი დააპატიმრეს.



**ბერიამ მიწიშვილს პაოლო იაშვილის საწინააღმდეგო ჩვენების მიცემა მოსთხოვა, რაზეც უარი მიიღო. ეს კი სავსებით საკმარისი იყო მისი ფიზიკური ლიკვიდაციისთვის**

**ბევრს ეგონა, რომ მიწიშვილი საბჭოთა სპეცსამსახურების დავალებით მოქმედებდა. მას ემიგრანტებთან კონფლიქტიც კი მოუვიდა, რის გამოც ფრანგებმა ის „სანტეს“ ციხეში ჩასვეს**

**– რა ბრალდება წაუყენეს კონკრეტულად მას?**

– მიწიშვილისთვის წაყენებული ბრალდების ნუსხა საკმაოდ ვრცელია, ამ ბრალდებაში ვკითხულობთ, რომ: მიწიშვილს ბრალი ედება ანტისაბჭოთა ფაშისტურ-ნაციონალისტური ორგანიზაციის წევრობაში. 1923 წელს ის პარიზში დაუკავშირდა მენშევიკური ემიგრაციის თავმჯდომარეს, ნოე ჟორდანიას, რომლისგანაც მიიღო მითითება საბჭოთა კავშირში კონტრრევოლუციური საქმიანობის განხორციელების შესახებ. მიწიშვილი დაუკავშირდა ერთ-ერთი უცხოური ქვეყნის დაზვერვას, რომელსაც აწვდიდა პოლიტიკური და ეკონომიკური ხასიათის საიდუმლო ცნობებს. საქართველოში დაბრუნებული მიწიშვილი დაუკავშირდა ნაციონალისტურად განწყობილ მწერლებს: მიხეილ ჯავახიშვილს, ტიციან ტაბიძეს, გიორგი ლეონიძეს, კონსტანტინე გამსახურდიას, პაოლო იაშვილს, იაკინთე ლისაშვილს, ლეო ქიაჩელს და სხვებს. მათი მიზანი იყო საბჭოთა ხელისუფლების დამხობა და საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა.

**– აღიარა თუ არა მან წაყენებული ბრალი?**

– ბრალდებულის აღიარებითი ჩვენების მიღწევა საბჭოთა სინამდვილეში პრობლემას არ წარმოადგენდა საპყრობილეებში აპრობირებული წამების მეთოდების გათვალისწინებით. ცხადია, მიწიშვილსაც იმავე მეთოდებით გაუსწორდნენ, რის შემდეგაც, მათ „ნანატრი“ აღიარება მიიღეს. აქვე, უნდა შევნიშნოთ, რომ დაპატიმრებული მიწიშვილი საგამოძიებო ორგანოებმა 16-ჯერ დაკითხეს. თუმცა, მისი დაკითხვის ოქმი მხოლოდ ორჯერ გაფორმდა. მიწიშვილს 1937 წლის 12 ივლისს საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის გამსვლელმა სესიამ, მიუსაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაციით.

**– როდის მოხდა მიწიშვილის რეაბილიტაცია?**

– 1956 წლის 28 აპრილს სსსრ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ მიწიშვილი რეაბილიტირებულად გამოაცხადა და მისი საქმის წარმოება შეწყვიტა დანაშაულის არარსებობის გამო.

**ეკა სალაღაია**

# მე – დაქირავებული მკვლელი

## უშიშროების პოლკოვნიკის ჩანაწერების მიხედვით

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №28(550)-11(637)

ისტორია მკაცრი მსაჯულია და შეცდომებს არავის აპატიებს. ამერიკელი იდეოლოგი-სტრატეგები შეცდნენ, როდესაც მსოფლიოზე ბატონობის სატანური გეგმა შეიმუშავეს და ამის მთავარ წინაპირობად ჯერ საბჭოთა კავშირის, შემდეგ კი რუსეთის დაშლა დაისახეს მიზნად. დაშლა ჯაჭვურ რეაქციას ჰგავს და, თუკი რუსეთმა რეალური რღვევა დაიწყო, მაშინ ეს პროცესი თერმობირთვული აფეთქების ტოლფასი იქნება როგორც გადატანითი, ასევე, პირდაპირი მნიშვნელობით... ამას წინათ ჩემს ძველ ნაცნობს შევხვდი, რომელიც მძვინვარე ანტისაბჭოელი იყო, რუსეთს ვერ იტანდა, ამერიკას კი აღმერთებდა. ბოლოს მას საბჭოთა კავშირის დაშლის წინ შევხვდი და კარგად მახსოვს, როგორ ხარობდა იმ საშინელი, დამანგრეველი პროცესებით, რომელიც მაშინ ვითარდებოდა. მან, რა თქმა უნდა, არ იცოდა, რომ „კაგებეს“ საიდუმლო თანამშრომელი ვიყავი და შეხვედრისას მითხრა:

– ხედავ, ჩემო კოკი, მსოფლიო ჩვენ თვალწინ იცვლება. იმპერია ინგრევა, რუსეთი სუსტდება, გერმანია ერთიანდება და სულ მალე, ჩვენი ტურფა საქართველო თავისუფალი ჩიტივით ინავარდებს და ვარდივით აყვავდებაო...

ჩემს ნაცნობს ჯიმი ჰქვია და მსგავს უცნაურ მეტაფორებს ხშირად იყენებდა ხოლმე. მის სიტყვებზე გულში გამეცინა, მას კი მივუგე:

– ღმერთმა ქნას, ჩემო ჯიმი, რომ არაფერი გაგვიჭირდეს. საქართველო პატარა ქვეყანაა, რუსეთზე საკმაოდ დამოკიდებულები ვართ და შევძლებთ კი ასე მალე აყვავებას?

ჯიმი ადგილზე შეხტა და უცნაურად ალტყინებულმა მითხრა:

– „კაგებე“ რომ აღარ იქნება და ჩვენი სული და გონება პოლიციური წნეხისგან გათავისუფლდება, შენ ვერც კი წარმოიდგენ, რა სიდიდის მწვერვალებს დავიპყრობთ. ქართველი კაცის ამბავი არ იცი?!

– ღმერთმა გისმინოს, ჩემო ჯიმი, შენს პირს შაქარი. აბა, კარგად იყავი, მეჩქარება, – ვუთხარი ჯიმის და წამოვედი, რადგან კიდევ ბევრს ილაპარაკებდა და მისი მოსმენა ნამდვილად არ მინდოდა.

ახლახან რომ შევხვდი ჯიმის, ის ჩაფიქრებული მოდიოდა ქუჩაში და, რომ არ შევხმიანებოდი, გვერდით ჩამივლიდა. მას მკლავზე მოვკიდე ხელი და ვუთხარი:

– გამარჯობა, ჯიმი. რა ჩაფიქრებული მიდიხარ, მოხდა რამე? როგორ ხარ?

ძველად ჯიმიმ ძალიან ემოციური შეხვედრა იცოდა – კისერზე ჩამოგეკიდებოდა, გადაგკოცნიდა, მოგიკითხავდა და რადიოსავით ჩაირთვებოდა, ახლა კი ზანტად ჩამომართვა ხელი და კოპებშეკრულმა მითხრა:

– როგორ უნდა ვიყო, კოკი, ვერ ხედავ, რა ხდება?

– რა ხდება? – ისე ვკითხე ჯიმის, რომ მასში ძველი აზარტი გამეღვიძებინა და დამექოქა, რადგან მართლა მაინტერესებდა, „რა ხდებაში“ რას გულისხმობდა. მან კი პესიმისტურად ჩაიქნია ხელი და მომიგო:

– დავიღუპეთ, მსოფლიო ისტორიიდან ვქრებით და მხოლოდ ქაღალდზეღა დავრჩებით. შემდეგ ამ ქაღალდსაც დახევენ და ვერავინ შეიტყობს, რომ ოდესღაც არსებობდა ღვთივკურთხეული ერი, რომელსაც საკუთარი ანბანი გააჩნდა და ამ ანბანით დაიწერა „ვეფხისტყაოსანი“.

ჯიმის სიტყვები შხამიანი ისარივით მომხვდა გულში, რადგან, სწორედ მეც ასე ვფიქრობდი. თანაც, მიმაჩნდა, რომ ჩვენი უბედურება ჯიმისნაირი ადამიანების ბრალი იყო. მე ძალიან მაინტერესებდა ჯიმის ასეთი ტრანსფორმაცია. ამიტომ, რესტორანში დავპატიჟე და, სუფრას რომ მივუსხედით, ვუთხარი:

– აბა, ჩემო კარგო, თქვი, რა ხდება.

– ვიღუპებით, კოკი, ვიღუპებით. თავისუფლება შხამად შეგვერგო. ამერიკელებმა მოგვატყუეს. მგონი, ჯობდა, რომ რუსეთთან ერთად ვყოფილიყავით.

– კი მაგრამ, შენ არ ამბობდი, რომ მთავარია, გავთავისუფლდეთ და ვარდივით გავიფურჩქნებითო?

– ვცდებოდი, ჩემო კოკი, ვცდებოდი. ამერიკამ რუსეთის წინააღმდეგ წაგვაქეზა, შემდეგ კი განზე გადგა, გვაომა და ახლა გვეუბნება, მასთან ურთიერთობა გამოისწორეთო. როგორ? მას ჩვენი ტერიტორიის მეხუთედი აქვს დაპყრობილი, დიპლომატიური ურთიერთობები გავწყვიტეთ და თითქმის ყველანაირი ხიდი ჩატყდა ჩვენ შორის. ასეთ პირობებში კი ძალიან ძნელია, თუნდაც პოსტსაბჭოურ სტატუს-კვოს დაუბრუნდე.



– მაინცდამაინც საგანგაშო მდგომარეობა არ უნდა იყოს და გულს ნუ გაიტეხ, – განგებ ვუთხარი ჯიმის, თუმცა, მეც მასავით ვფიქრობდი.

– რას ამბობ, კოკი! – წამოენთო ჯიმი, – როგორ თუ საგანგაშო არაფერია! არაფერი კი არა, სასწრაფოდ გლოვის ზარები უნდა ჩამოვკრათ, დავივიწყოთ ერთმანეთის წყენა, გავერთიანდეთ მთელი ერი და გადავურჩეთ იმ გლობალურ საშიშროებას, რასაც ამერიკანიზაცია ეწოდება. შენ იცი, რას ნიშნავს ამერიკანიზაცია?

– რა ცოდნა უნდა – ამერიკის გავლენას მთელ მსოფლიოში.

– არა, არა, – თავი გააქნია ჯიმიმ და მწარე ღიმილით დაამატა – ამერიკანიზაცია, რუსეთის დაშლას ნიშნავს. ამ საქმეში კი მთავარ იარაღად საქართველოს გამოყენება უნდათ. რუსეთს კი ეს არ აწყობს და, იცი, რატომ? იმიტომ, რომ საქართველოს ნატოში შესვლა კავკასიის რღვევას გამოიწვევს; კავკასიის რღვევა კი რუსეთის დაშლის საწინდარია და, დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთი ამას არ დაუშვებს. გესმის, რა ხდება?

ჯიმის რომ არ ეთქვა, ისედაც კარგად მესმოდა, რაც ხდებოდა. ამერიკა საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ იყენებს და ამ ბრძოლაში ჩვენი განადგურება ფეხებზე ჰკიდია. მე ეს, რა თქმა უნდა, ძალიან კარგად ვიცოდი, მაგრამ, მხრები ავიჩეჩე და მივუგე:

– რას გულისხმობ, რა ხდება?

– რა ხდება, ჩემო კოკი და, ამერიკა ჩვენ რუსეთის წინააღმდეგ საზარბაზნე ხორცად გვიყენებს. უნდა, რომ ჩვენ დავგვატაკოს მასთან, როგორც ეს უკვე ორჯერ ქნა და არ აინტერესებს, ცოცხლები დავრჩებით თუ დავიღუპებით. ახლა გესმის?

– მესმის, მესმის, ჩემო ჯიმი, მაგრამ, რასაც ახლა შენ ამბობ, ის მაშინ უნდა გცოდნოდა, როცა გლობალური ცვლილებები გიხაროდა და ამერიკას აღმერთებდი. მართალი ხარ, ამერიკამ მოახდინა 9 აპრილის პროვოცირება და ეს გახდა საბჭოთა კავშირის დაშლის ერთ-ერთი მთავარი კატალიზატორი. ამერიკამვე დაგვატაკა რუსეთთან 2008 წლის აგვისტოში. შემდეგ განზე გადგა და, ჩვენი ტერიტორიებისა და ადამიანთა მსხვერპლის საფასურად, პამპერსები და წყალი გამოგვიგზავნა. ვალად გამოყოფილი 2 მილიარდი დოლარი კი მთავრობის ვირთხებმა შეჭამეს – იმ ვირთხებმა, ვინც ხალხს სასაკლაოზე მიერეკებოდა, თავიანთი ოჯახები

კი ოქროებითურთ უცხოეთში გახიზნეს.

– მართალი ხარ, ჩემო კოკი, მართალი. უნდა მცოდნოდა, მაგრამ, არ ვიცოდი. ამერიკა ღმერთად არ უნდა დამესახა და უფრო წინ უნდა გამეხედა, – მითხრა ჯიმიმ, თავი ჩაღუნა და თვალებიდან ცრემლები წამოუვიდა.

ჯიმი სულით ხორცამდე პატრიოტი იყო და ასე მტკივნეულად იმიტომ განიცდიდა საქართველოს უბედურებას. მართალია, ის ხშირად ცდებოდა ხოლმე, მაგრამ ესეც პატრიოტიზმის ბრალი იყო და მოვლენებს გულით აფასებდა, ვიდრე გონებით. ჩემთან შეხვედრიდან ერთი კვირის შემდეგ, ჯიმი მოულოდნელად დააპატიმრეს და ჯაშუშობის ბრალდება წაუყენეს. კიდევ ორი კვირის მერე კი, ჯიმი საკანში ჩამომხრჩვალი იპოვეს, ეს შემთხვევა თვითმკვლელობად გამოაცხადეს და საქმე დახურეს... თუმცა, ზუსტად ვიცი, რომ ჯიმი არც რუსეთის ჯაშუში იყო და არც თავი მოუკლავს. ის მოკლეს და იმის გამო, რომ მთავრობას ღალატში, ანტიეროვნულობაში ამხელდა და ჯერ ცრუ ბრალდებით დააპატიმრეს, შემდეგ კი, ბოლო მოუღეს...

ჯიმისნაირი მსხვერპლი ადრეც იყო, ახლაც ბევრია და ალბათ, მომავალშიც იქნება. ასეთია იმპერიული, ტოტალიტალური სახელმწიფოს და მისი სატელიტის ზნე. ნურავინ იფიქრებს, რომ თვით დემოკრატიის შუქურა ამერიკის შეერთებულ შტატებში არ ხოცავენ სახელმწიფოს კრიტიკოსებს. აბა, იქ ხოცავენ, თუ ხოცავენ. ისევე, როგორც ეს საბჭოთა კავშირში ხდებოდა. მაგრამ, ამერიკისა და საბჭოთა კავშირისგან განსხვავებით, საქართველოში პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს არა სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე ხოცავენ, არამედ, როგორც პირად მტრებს და აქ სახელმწიფო ინტერესები არაფერ შუაშია.

მიამიტი და პოლიტიკურად ბეცია ის ადამიანი, ვისაც ჰგონია, რომ რომელიმე იმპერია უანგაროდ, ყოველგვარი პირადი გამორჩენის გარეშე დაეხმარება საქართველოსნაირ პატარა ქვეყანასა და მის მეთაურს. მსგავსი იმედგაცრუება ქართველებმა უკვე განვიცადეთ ჩვენს უახლეს ისტორიაში, როდესაც „დემოკრატიის შუქურამ" ბედის ანაბარა მიგვატოვა, რასაც საშინელი სამოქალაქო ომი, ქვეყნის ოკუპაცია და კანონიერი პრეზიდენტის მკვლელობა მოჰყვა. სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნის მმართველებმა ფახებზე დაიკიდეს ისტორიის გუშინდელი მაგალითი და კვლავ რუსეთს შეასკდნენ, სანაცვლოდ კი ქართველმა ხალხმა მიიღო ახალი ოკუპირებული ტერიტორიები, დახოცილი ხალხი და გაჭირვება. მართალია, მოღალატე მმართველობის საბანკო ანგარიშები ახალი ათეული მილიონობით დოლარით შეივსო, მაგრამ, ხალხს და ქვეყანას რა? რა და, რომ იტყვიან, ვირის თავ-ფეხი...

რუსეთის დაშლის სტრატეგიულ-ტაქტიკურ საიდუმლო გეგმებში საქართველოს ცენტრალური ადგილი უკავია. ასეთი საიდუმლო გეგმა არაერთია, ყველა სისხლისმსმელ კონფლიქტში რუსეთის წინააღმდეგ საქართველო ერთვება და ეს რითი დასრულდება, თქმაც არ მინდა... ჯერ კიდევ საბჭოთის ზეობის ხანაში, „ცეერუს" ერთ-ერთი მაღალჩინოსანი გადმოვიბირეთ, რომელიც იდეური მოსაზრებით მოგვიემხრო. მან თავის უწყებაში შემუშავებული, გრძელვადიანი ტაქტიკურ-სტრატეგიული გეგმების კრებული გადმოგვცა. ერთ-ერთ მათგანში შავით თეთრზე ეწერა, რომ რუსეთის იმპერიასთან სისხლისმღვრელ ომში განადგურებული ქართველების



ადგილს საერთაშორისო მშვიდობისმყოფელი არმია დაიკავებს... ნამდვილად საშინელი პერსპექტივაა და ეს გეგმა გაწერილია 2000-2020 წლებისთვის. არ მგონია, რომ ამ სატანურ გეგმაში ჩვენთვის სასარგებლო რაიმე ცვლილება იყოს შეტანილი და, თუკი ბრმა პროამერიკანიზმს თავს არ დავანებებთ, გადავრჩებით... მაშინ „ცეერუს" ეს კრებული პირადად გადავეცი შჩუკინს და, სანამ მას ჩავაბარებდი, მეც გულდასმით გავეცანი. ვიქტორ იაკოვლევიჩმა თავაუღებლად, ყოველგვარი პაუზების გარეშე წაიკითხა ყველა ფურცელი, შემდეგ მაგიდაზე დაყარა და მითხრა:

– თუ იცი, რა წერია აქ?

– დიახ, გავეცანი.

– მერე, რას იტყვი?

– რა უნდა ვთქვა? ამერიკელების მორიგი ფუჭი, შიზოფრენიული სურვილების საქაღალდო ვარიანტია, – დაცინვით ვთქვი მე, შჩუკინმა კი უარყოფის ნიშნად თავი გააქნია და მომიგო:

– ტყუილად გგონია ასე. ისინი ასეთ გეგმებს ჰაერზე არ წერენ.

ვიქტორ იაკოვლევიჩის სიტყვებზე გადახარხარება მომინდა, მაგრამ, ამას ვერ ვაკადრებდი და თავშეკავებულად ვუთხარი:

– ამხანაგო გენერალო, აქ წერია, რომ ქართველი ერი გაწყდება და მის ადგილს რაღაც გაურკვეველი ჯარის ნაწილები დაიკავებენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირში არ ვიქნებით. თქვენ გჯერათ ამის?

– ჩემო კარგო, ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ეს არ მოხდეს. მაგრამ, ნურც ასეთ რამეს გამოვრიცხავთ.

– არ გეწყინოთ, ვიქტორ იაკოვლევიჩ, მაგრამ, სწორედაც რომ გამოვრიცხავ ასეთ რამეს. ჩვენი დიადი ქვეყნის დაშლა არარეალურია და არ მჯერა.

შჩუკინთან პოლემიკა მაშინ ამით დასრულდა. ვიქტორ იაკოვლევიჩს ჩემთვის არაფერი უთქვამს და მე მისი კაბინეტი დავტოვე. მას „ცეერუს" ეს საიდუმლო გეგმა ანდროპოვისთვის მიუტანია და სერიოზულად განუხილავთ, შემდეგ პოლიტბიუროზეც გაუტანიათ, მაგრამ, დაბერებულ საბჭოთა მმართველებს, თურმე, სასაცილოდაც არ ეყოთ ეს გეგმა და თავდაცვის მინისტრს ის შემოგდებულ დეზინფორმაციადაც კი მოუნათლავს. ერთი სიტყვით, უკვე მერამდენედ, ანდროპოვი უმცირესობაში დარჩა პოლიტბიუროზე და ძვირფასი სადაზვერვო მონაპოვარი არქივში შეინახეს. ცეერუელი წყარო კი, ვინც მე ეს ინფორმაცია გადმომცა, მარტივად რომ ვთქვათ, „ცეერუსვე" ჩააბარეს და ეს ყველაფერი ანდროპოვისა და შჩუკინის გვერდის ავლით განხორციელდა. ამერიკელებმა მოღალატე, რა თქმა უნდა, დააპატიმრეს, გაასამართლეს და ოცდაათწ-



ერთო ჯგუფი
-ლექტორი ბებიის დანატოვარ 5 ოთახიან ბინას ვყიდი ვაკეში, ვართ ორი ძმა, და თან არ გვაქვს ნორმალური სამუშაო და თან ...
-რუსეთიდან ჩამოვედი და მსურს ვიყიდო 5 ოთახიანი ბინა ვაკეში, მყავს ცოლ-შვილი და თან მაქვს კარგი სამსახური და თან ...
მაკლერი:
-კი თქვენ გენაცვალეთ და თან ...
გადაგვიხადეთ 6%.
3 გამყიდველის და
3 მყიდველის მხრიდან.
მარიკა 599 24 28 31

ლიანი პატიმრობა მიუსაჯეს.

შჩუკინი ისე იყო გამძვინვარებული, რომ საკუთარ თავს არ ჰგავდა. იმ პერიოდში მე მის კაბინეტში მომიწია ვიქტორ იაკოვლევიჩის ლოდინი. შჩუკინი ანდროპოვთან იყო გამოძახებული და რომ დაბრუნდა, აყვირდა:

– კრეტინები! იდიოტები! მაგათი დედაც!.. ეს რა ჩაიდინეს ამ სალდაფონებმა, უძვირფასესი და უპერსპექტიულესი აგენტი ჩააგირავეს!..

როგორც შჩუკინის სიტყვებიდან გაირკვა, თავდაცვის მინისტრს „გრუსთვის" დაუვალებია ჩემ მიერ მოპოვებული ინფორმაციის სისწორის გადამოწმება, მათ კი ხეირიანი ვერაფერი მოიფიქრეს, თანაც, არც ჩვენთან შეათანხმეს თავიანთი მოქმედებები და ერთ-ერთ პროსაბჭოთა, ლათინოამერიკულ გაზეთში გამოაქვეყნეს მის მიერ მოპოვებული საიდუმლო დოკუმენტები, რასაც „ცეერუს" მყისიერი რეაგირება მოჰყვა. ძვირფასი აგენტი გაშიფრეს და დიდი ხნით გამოკეტეს ციხეში.

– წარმოგიდგენია, კოკი, ასეთი არაპროფესიონალიზმი და არაკომპეტენტურობა? ეს რა ქნეს, ასეთი უძვირფასესი წყარო როგორ წაგვართვეს?

წლების მერე, პოსტსაბჭოთა პერიოდში, როდესაც აგვისტოს ომიც ჩავლილი იყო, შჩუკინს თბილისში შევხვდი. ჩვენ ერთ-ერთ ღია კაფეში დავსხედით და მან მითხრა:

– გახსოვს, შენ რომ „ცეერუს"ოფიცერი გადმოიბირე და საიდუმლო დოკუმენტაცია მოატანინე?

– ოცდაათი წლით რომ ჩასვეს ციხეში „გრუს" წყალობით? – კითხვითვე ვუპასუხე შჩუკინს. მან თავი დამიქნია და მითხრა:

– გახსოვს, იქ რა ეწერა, რაც შენ არ დაიჯერე?

– საქართველო-რუსეთის ომს გულისხმობთ?

– მერე, არ მართლდება? განა, აგვისტოს მოვლენები ამ ყველაფრის წინაპირობა არ არის?

– როგორც ჩანს.

– აქ საქმეზე ვარ ჩამოსული.

– დაგებარებინეთ და მე ჩამოვიდოდი.

– არა, ასე ჯობია. მოკლედ, მისმინე. შენ რომ გადმოიბირე და საიდუმლო გეგმები მოატანინე, ის კაცი ახლა თბილისშია და თქვენს მთავრობას საიდუმლოდ ჰყავს გამომწყვდეული. შენ მაქსიმალურად უნდა ეცადო, რომ ის გამოიხსნა. წინააღმდეგ შემთხვევაში, პროვოკაციაა მოსალოდნელი და ამერიკელები თქვენი მთავრობის მეშვეობით არასასურველ ოპონენტს მოიშორებენ.

– ოცდაათი წელი გავიდა?

– დიახ. ის რამდენიმე წლის წინ გათავისუფლდა პატიმრობიდან და ანტიამერიკულ კამპანიას ჩაუდგა სათავეში. სხვადასხვა ქვეყანაში დადის და ამბობს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ბოროტებას თესავს ყველგან და ყველას მოუწოდებს, რომ ზურგი აქციონ მას და არ ითანამშრომლონ მასთან. თბილისში ის სამიოდე დღის წინ ჩამოვიდა, რომ აგვისტოს ომზე სიმართლე ეთქვა და მის გაჩაღებაში ამერიკა დაედანაშაულებინა. თუმცა, ის აეროპორტშივე აიყვანეს და, როგორც ვვარაუდობთ, დიდი პროვოკაციისთვის ამზადებენ.

– რა პროვოკაციისთვის?

– ზუსტად არ ვიცი, მაგრამ, ვფიქრობ, რომ მას მოკლავენ, ჩვენ მიერ ოკუპირებული ტერიტორიის საზღვარზე დააგდებენ და იტყვიან, რუსებმა მოკლესო. ამით ამერიკელები ორ კურდღელს დაიჭერდნენ: ერთი მხრივ, თავიდან მოიშორებენ მას, მეორე მხრივ კი, კიდევ ერთხელ „ამხელენ" რუსებს პროგრესულად მოაზროვნე ადამიანების ხოცვა-ჟლეტაში.

– გასაგებია. მე რა უნდა ვქნა?

– ის კაცი უნდა გამოიხსნა და კონსპირაციულ ბინაზე მიიყვანო. იქიდან კი მას საიმედო ადგილზე გადაიყვანენ.

– მის ადგილსამყოფელზე ინფორმაცია გაქვთ?

– აი, აქ ჰყავთ, – შჩუკინმა, წყნეთის ერთ-ერთი, ეგრეთ წოდებული „დახურული" აგარაკის სურათი მიჩვენა და დაამატა – ეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიული აგარაკია.

ამერიკელის გამოსახსნელად რამდენიმე ვარიანტი შევიმუშავე. თან, ძალიან გამიმართლა. იმ დღეს ისეთი თავსხმა წვიმა იყო, რომ ერთ მეტრში არაფერი ჩანდა. ოპერატიული აგარაკის ტერიტორიაზე, რა თქმა უნდა, კარგად შენიღბული, მომმარაგებლის მანქანით შევედი. შეიარაღებულიც ვიყავი, მაგრამ, ერთი გასროლაც არ დამჭირდა. ოთხიოდე მცველი გაზით დავაძინე, მათ შორის, „ჩემი" ამერიკელიც და, როცა კონსპირაციულ ბინაზე მივიყვანე, მხოლოდ მაშინ გაახილა თვალი...



ამერიკელი ჩემთვის უცნობ ხალხს დავუტოვე და წამოვედი, იმათ კი ის სად წაიყვანეს, არ ვიცი. დღესდღეობით, ის კაცი რუსეთში ცხოვრობს და უკვე ორი ანტიამერიკული მიმართულების წიგნი დაწერა და გამოსცა. ერთ-ერთ მათგანში დაწვრილებითაა მოთხრობილი, თუ როგორ დასთანხმდა ის საბჭოთა მზვერავს, საიდუმლო დოკუმენტების გადაცემაზე და როგორ გაატარა მან 30 წელი ამერიკის ციხეში.

წარმოიდგინეთ, რამდენი შინაგანი ძალა და რწმენა სჭირდება კაცს, რომ 30 წელი ციხეში გაატაროს, არ გატყდეს, გამოვიდეს და კვლავ იმ საქმეს მოჰკიდოს ხელი, რისთვისაც ის დასაჯეს. მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესი კატეგორიის სპეცმომზადება მაქვს გავლილი, ნამდვილად არ ვიცი, შევძლებდი თუ არა იმ კაცივით გაძლებას და ყველაფრის გაგრძელებას. თუმცა, კოჯრის სპეცსკოლაში ყველანაირი ექსტრემალის, მათ შორის ციხეში გაძლების კურსიც გავიარე. დავასრულე თუ არა სწავლა, ინსტრუქტორმა მითხრა:

– მაგარი ხარ და, ალბათ, ყველაზე საშინელ ციხეშიც დიდხანს გაძლებ, მაგრამ, სამ რჩევას მოგცემ: ეცადე, რომ ტყვედ არ ჩავარდე; თუ ტყვედ ჩავარდი, სცადე, თავი მოიკლა; ხოლო, თუ მაინცდამაინც ციხეში აღმოჩნდი, გაქცევაზე იფიქრე და პირველივე ხელსაყრელი მომენტი გამოიყენე ამისთვის.

ნამდვილად არ მეგონა, თუ ოდესმე ციხეში ჩაჯდომა მომიწევდა, მაგრამ, ჩემი პროფესიის ადამიანს, შეიძლება, ყველაფერი დაავალონ, მათ შორის ციხეში ჩაჯდომაც. ერთი წელიც არ იყო გასული ავღანეთიდან ჩემი დაბრუნების შემდეგ, რომ შჩუკინმა დამიბარა და მითხრა:

– როგორ ხართ, კოკი, როგორ გრძნობთ თავს?

– გმადლობთ, ამხანაგო გენერალო, კარგად.

– ავღანეთში მძიმე მისია შეასრულეთ და ღირსეულად გაართვით მას თავი. იმედი მაქვს, თქვენდამი დაკისრებულ ყველა მისიას ასევე ღირსეულად გაუმკლავდებით.

იმ პერიოდში შჩუკინთან, რომ იტყვიან, მკაცრი ოფიციალური ურთიერთობა მქონდა და ვიქტორ იაკოვლევიჩი ასეთი მანერით იმიტომ მელაპარაკებოდა.

– ახლა ანდრეი ლუკიჩი მოვა და თქვენი მომავალი მისიის დეტალებს გაგაცნობთ, – მითხრა შჩუკინმა.

ანდრეი ლუკიჩ მუხინთან ერთად ავღანეთში ვასრულებდი სპეცდავალებას. ამიტომ, მასთან უფრო ახლო დამოკიდებულება მქონდა. რომ მოვიდა, ხელი ჩამომართვა და მითხრა:

– სუდანში მოგიწევს გამგზავრება და ციხეში ჩაჯდომა. იქ ერთი ადამიანი ზის და უნდა წამოიყვანო.

სუდანში ევროპელი სტუდენტის სტატუსით ჩავედი და ერთ-ერთ ღამის ბარში მომხდარი ჩხუბის დროს, რომლის პროვოცირებაც, რა თქმა უნდა, მე მოვახდინე, პოლიციას წინააღმდეგობა გავუწიე და დამიჭირეს. მეორე დღესვე გამასამართლეს, მესამე დღეს კი, ათწელიწადმისჯილი, კატორღაზე გამიშვეს. ამ აფრიკულ ქვეყანაში, ისევე, როგორც ამ კონტინენტის უმეტეს სახელმწიფოში, ტირანული მმართველობა, დრაკონული კანონები და ტოტალური უუფლებობა მეფობდა. გამოსახსნელი ობიექტი ევროპაში მოღვაწე საბჭოთა არალეგალი აგენტი იყო. ის სუდანში ვალით იმყოფებოდა და

მხოლოდ იმიტომ დააპატიმრეს და ჩემსავით ათწლიანი სასჯელი მიუსაჯეს, რომ ვიღაც ევროპელ ქალბატონს გამოესარჩლა, როდესაც მას ადგილობრივი, სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი პოლიციელები თმებით ათრევდნენ იმის გამო, რომ ქალმა მათგან სიტყვიერი შეურაცხყოფა ვერ აიტანა და ტირანები უწოდა...

საბჭოთა არალეგალი აგენტის შესახებ, ლუბიანკაზე ბევრი არაფერი უთქვამთ, მხოლოდ მისი გამოხსნა და სამშვიდობოზე გამოყვანა დამავალეს. ანუ, მაშინ მე რიგით ბოევიკ-სუპერმენის ფუნქციებს ვასრულებდი და საქმის კურსში სრულად არავის შევყავდი. გამომგზავრების წინ მუხინმა მითხრა:

– კოკი, კარგად დაიმახსოვრე: რაც არ უნდა მოხდეს, ობიექტი აუცილებლად უნდა გამოიყვანო უსაფრთხო ტერიტორიაზე. დავუშვათ, სროლაში მოყევით და ობიექტი მოგიკლეს. არავითარ შემთხვევაში არ მიატოვო, ასეთ შემთხვევაში, უსაფრთხო ტერიტორიაზე მისი ცხედარი გამოიტანე.

– არის, ამხანაგო გენერალო! – გამოვეჯგიმე მუხინს და თავში აზრადაც არ მომსვლია, მისთვის რამე მეკითხა.

მოგვიანებით შევიტყვე, რომ ობიექტს, რომელიც მე უვნებლად გამოვიყვანე უსაფრთხო ტერიტორიაზე, სხეულზე უამრავი ტატუ ჰქონდა და ეს ძალიან ძვირფასი ინფორმაცია იყო, რომლებიც ამერიკელების საიდუმლო სამხედრო ინფორმაციებს შეიცავდა სტრატეგიულ სფეროში და მუხინმა იმიტომ მიბრძანა მისი ცხედრის გამოტანა...

ობიექტი სამოციოდე წლის მამაკაცი იყო და მას სუდანის უდაბნოში მივაგენი, სადაც ტემპერატურა პლუს ორმოცდაათ გრადუსზე ქვევით არ ჩამოდიოდა. მას მე პაროლით დავეკონტაქტე და სწორედ დროზე მივუსწარი რადგან, მონური შრომისგან ისე იყო დაუძლურებული, რომ გადაადგილება უჭირდა. კატორღაზე ჩვენ ერთად თვე-ნახევარი გავატარეთ. ერთ ღამეს კი ორი ზედამხედველი გავგუდე, მათ პისტოლეტები და ავტომატები ავართვი. შემდეგ „ჯიპი“ გავიტაცე, რომელზეც დაზგური ტყვიამფრქვევი იყო დამაგრებული და კატორღიდან მოვუსვით. ისე მოხდა, რომ გზაში სამხედრო პატრულს გადავაწყდით და მათთან შეტაკება მოგვიწია. აი, იქ გამოგვადგა დაზგური ტყვიამფრქვევი და ავტომატები. სამხედროები გავჟლიტეთ და, კიდევ კარგი, რომ ბენზინი არ გაგვითავდა. ეთიოპიის საზღვრამდე მივაღწიეთ, იქიდან კი უსაფრთხო ადგილას მივედით და დამხმარე ჯგუფმა, ინდოეთის ოკეანის გავლით, სამშობლოში ჩაგვიყვანა.

– ყოჩაღ, ბრწყინვალედ შეასრულებული საქმეა! – შემაქო მუხინმა, როდესაც ლუბიანკაზე მივედი და ანდრეი ლუკიჩს ვეახლე, – წამოდი, შჩუკინი გველოდება.

იმ პერიოდში უფრო ინტენსიური კონტაქტები მუხინთან მქონდა და პირად ინსტრუქტაჟსაც ის მიტარებდა. როგორც მოგვიანებით მითხრა შჩუკინმა, თურმე, თვითონ შორიდან მადევნებდა თვალყურს და მომავალი საბჭოთა სუპერმენის როლისთვის მამზადებდა.

– იცი, რა, კოკი, – მითხრა ერთხელ ვიქტორ იაკოვლევიჩმა, – ადრე რომ ბონდის შესახებ ვკითხულობდი და ფილმებს ვუყურებდი, ყველაფერი ძალიან გადამეტებული და სასაცილო მეჩვენებოდა. ახლა კი, როდესაც შენ გიყურებ და შენ მიერ შესრულებული მისიების დეტალებში ვწვდები, საწყალი ჯეიმს ბონდი შენთან შედარებით ბავშვად მაჩვენება.



შჩუკინის ეს სიტყვები, ჩემი საქმიანობის საუკეთესო აღიარება იყო და მესიამოვნა, ვიქტორ იაკოვლევიჩს კი ვუთხარი:

– გმადლობთ, ამხანაგო გენერალო. ვეცდები, მომავალშიც გავამართლო თქვენი დიდი ნდობა.

– კეთილი, – გაიღიმა შჩუკინმა, – ეს მომავალიც დადგა – ამაღამ პარიზში მიემგზავრები. ხვალ საღამოს შეერთებული შტატების საელჩოში საზეიმო მიღებაა, რომელსაც უამრავი ადამიანი დაესწრება. მათ შორის იქნები შენც – ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო ოფიცერი ჯეიმს ნოლი. შენი მისია, აი, ამ ადამიანის ლიკვიდაციაა, – შჩუკინმა ორმოცდაათიოდე წლის მამაკაცის ფოტოები მაჩვენა.

– ვინ არის? – ვკითხე შჩუკინს.

– უჩინარი კაცი. მას თითქმის თხუთმეტი წელიწადია, ვეძებთ და დანამდვილებით ვიცით, რომ ხვალ იმ მიღებაზე იქნება. ეს ადამიანი ხუთი წლის განმავლობაში გვატყუებდა. ის „ცეერუში“ გვყავდა შეგზავნილი, თუმცა, გაგვყიდა და მტრის მხარეზე გადავიდა. ხუთწლიანმა დეზინფორმაციებმა ჩვენს ქვეყანას დიდი ზარალი მიაყენა და ის უნდა განადგურდეს. იცოდე, კოკი, მისი მოხელთების სხვა შანსი, შეიძლება, არც მოგვეცეს, ამიტომ, ზუსტად და ეფექტურად უნდა იმოქმედო.

– არის! – მოკლედ მივუგე შჩუკინს.

– აბა, შენ იცი, წარმატებას გისურვებ, – მითხრა შჩუკინმა და კაბინეტიდან გამომაცილა...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები



| | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | ჩ | | კ | | ქ | ე | თ | ე | ვ | ა | ნ | ი |
| | | | | ა | ი | ს | ი | მ | | ვ | | ლ | | რ | | ა |
| | | | | | გ | ა | ლ | ა | ვ | ა | ნ | ი | | ბ | | ფ |
| | | | | | ო | რ | ო | კ | | ნ | | ა | ნ | ა | ს | ი |
| | | | | ტ | რ | ა | ვ | ე | რ | ს | ი | | ო | | ვ | |
| | | | | | ი | | ა | | ო | ი | ლ | ო | ვ | ლ | ა | მ |
| | | | | ი | ნ | ა | ტ | ა | კ | | ი | | ა | ი | ს | |
| | | | | ჩ | ი | ვ | ი | ლ | ი | | ა | ს | ტ | ა | ტ | ი |
| პ | | ძ | | ტ | | ტ | | პ | | ზ | | ი | ო | ნ | ი | |
| ო | მ | ა | ლ | ო | | ო | პ | ე | კ | ი | | ა | რ | ი | კ | ა |
| რ | | ბ | | კ | ა | რ | ა | ბ | ა | დ | ი | ნ | ი | | ა | |
| ტ | ა | რ | ა | ს | | ი | ს | ი | ნ | ა | | ი | | ს | | ლ |
| ი | გ | ი | რ | | მ | | ტ | | ა | ნ | ი | | ნ | ო | ნ | ა |
| | ა | | ი | ლ | ე | რ | ო | ქ | | ი | | ა | ი | რ | ა | შ |
| ი | რ | უ | ფ | | კ | ე | რ | ა | | | მ | | მ | ო | ლ | ა |
| ვ | ა | ზ | ი | | ა | მ | ა | ტ | ე | რ | ა | ს | უ | | ე | |
| ე | | ა | | ე | რ | ა | ლ | ო | მ | | რ | | შ | უ | ქ | ი |
| ტ | | დ | | კ | ე | რ | ი | | ქ | | ი | ნ | ი | ს | ი | ს |
| ა | პ | ო | ლ | ო | | კ | | ნ | უ | | კ | | | ი | | ო |
| | ა | | ო | ლ | თ | ი | ს | ი | | | ა | ნ | ა | ნ | ო | |
| ი | რ | ა | მ | ო | | | ო | გ | რ | ა | | ე | ვ | ა | | ბ |
| | ო | გ | ი | გ | | ა | ს | ო | | ლ | | კ | ა | თ | ხ | ა |
| ი | ლ | ო | ს | ი | ვ | | ი | ზ | ა | ფ | ა | ნ | | ლ | | ტ |
| ჰ | ი | ტ | ი | | ი | ნ | ა | ი | ს | ა | | ი | რ | ო | გ | ი |

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 6 | 9 | 1 | 2 | 3 | 8 | 5 | 4 |
| 2 | 4 | 8 | 7 | 5 | 9 | 3 | 6 | 1 |
| 1 | 3 | 5 | 8 | 6 | 4 | 7 | 2 | 9 |
| 8 | 1 | 4 | 9 | 3 | 5 | 2 | 7 | 6 |
| 5 | 9 | 2 | 6 | 8 | 7 | 4 | 1 | 3 |
| 6 | 7 | 3 | 4 | 1 | 2 | 5 | 9 | 8 |
| 3 | 8 | 7 | 2 | 9 | 1 | 6 | 4 | 5 |
| 4 | 5 | 1 | 3 | 7 | 6 | 9 | 8 | 2 |
| 9 | 2 | 6 | 5 | 4 | 8 | 1 | 3 | 7 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 3 | 2 | 7 | 1 | 4 | 9 | 6 | 8 |
| 9 | 4 | 8 | 3 | 5 | 6 | 7 | 1 | 2 |
| 1 | 6 | 7 | 2 | 8 | 9 | 5 | 4 | 3 |
| 6 | 2 | 4 | 1 | 7 | 8 | 3 | 5 | 9 |
| 8 | 5 | 9 | 6 | 4 | 3 | 2 | 7 | 1 |
| 3 | 7 | 1 | 5 | 9 | 2 | 6 | 8 | 4 |
| 2 | 1 | 3 | 4 | 6 | 5 | 8 | 9 | 7 |
| 4 | 8 | 5 | 9 | 2 | 7 | 1 | 3 | 6 |
| 7 | 9 | 6 | 8 | 3 | 1 | 4 | 2 | 5 |

„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები: **1. სიმპოზიუმი. 2. ფრეონი. 3. გრამატიკა. 4. კომუნა. 5. შანსი. 6. ატლასი. 7. „ჯვაროსნული ლაშქრობა“. 8. ნეილონმა. 9. შემცირდა ფრანგული ღვინის მოხმარება – ის ვისკიმ შეცვალა. 10. საუკეთესო ფაკირის.**

# ყველა კაცი ერთნაირია

## თითქოს ჩვეულებრივი დილა

... მიუხედავად იმისა, რომ ბუნება ხშირად გვაშინებს სტიქიური უბედურებებით, კატაკლიზმებით და უამრავ საიდუმლოებასაც მალავს, ვერასდროს იქნება ადამიანივით ცბიერი და ფარისეველი... ქეთიმ ერთხელ კიდევ გადაიკითხა ძლივს დაწყობილი წინადადება და გახსნილ ფაილში საიმედოდ შეინახა. მერე უკმაყოფილო სახით გაიხედა საძინებელი ოთახის ღია კარისკენ. კაბინეტის ამ კუთხიდან საწოლი თითქმის მთლიანად მოჩანდა... ვახოს აშკარად ისევ ეძინა. „არც მაღვიძარა შველის ამ კაცს და არც ტელევიზორის ხმა. თუ არ უნდა, არ იღვიძებს. რა ენაღვლება. ყველაფერი მაინც ჩემს ზურგზე გადადის, ელემენტარულს ვერ მივაჩვიე... მაგალითად, კარადის კარის და უჯრების მიხურვას. ხომ წარმოუდგენლად მარტივია, გონებაჩლუნგსაც გამოუმუშავდებოდა ინსტინქტი და ბოლოს და ბოლოს დახურავდა. ეს კი ჯიბრით იქცევა... ეტყობა, სიამოვნებს, რომ ვეჩხუბები... დეგენერატია, რა... ზოგჯერ გულწრფელად მიკვირს, როგორ შემიყვარდა ასეთი...“

ქეთიმ ამოიოხრა. კომპიუტერი „დააძინა“. სამზარეულოში გავიდა, ელექტროჩაიდანი ჩართო და მთელი ხმით გასძახა:

– ვახო! ვახო! უკვე თერთმეტი საათია... ვახო, ადგომის დროა!

საძინებლიდან ჩქამიც რომ ვერ გაიგონა, მტკიცე ნაბიჯით დაიძრა ქმრის გასაღვიძებლად.

კაცი გულაღმა იწვა, თვალებგახელილი. სახეზე კი უცნაური ღიმილი აღბეჭდვოდა.

– იცი, ახლა რაზე ვფიქრობდი? – მიმართა თავზე წამომდგარ ცოლს.

– დარწმუნებული ვარ, ჩემზე არა და არც იმაზე, როგორ მასიამოვნო ამ დილით, მთელი დღე პოზიტიურად რომ ვიყო დამუხტული.

ვახოს გაეცინა და გაიზმორა.

– კარგი იქნება, დღეს ჩხუბით თუ არ დავიწყებთ.

– აჰა, ეს რა ულტიმატუმია? – სახე გაიმკაცრა ქალმა, – მერე, რა გააკეთე ამისთვის? თერთმეტი საათია და ისევ გძინავს.

– კარგი რა, ქეთი... ნუ დაიწყებ ხოლმე... წუხელის გვიან დავწექი, თან საქმეც არაფერი მქონდა ისეთი... დილაუთენია რისთვის უნდა წამოვფრენილიყავი?!

– გვიან იმიტომ დაწექი, რომ კომპიუტერში იყავი შემძვრალი. ისე მაყვედრი, თითქოს მთელი ღამე ჩემთან სექსით იყავი დაკავებული, – გაანჩხლდა ქეთი, – მძულს კომპიუტერი... ინტერნეტიც მძულს და შენც მძულხარ!

– აუუ, სექსი გაკლია, პატარავ? მერე მთხოვე და აქ არ ვარ?

– მასხრადაც მიგდებ? როგორი ცინიკოსი ხარ. იცი, ახლა რისი გაკეთების სურვილი მაქვს?..

– უმჯობესია, არ ვიცოდე, ისედაც გეტყობა, – ვახომ საბანი ფეხით მიაგდო და ბუზღუნით წამოდგა, – მოკლედ, არ შეგიძლია ჩხუბის გარეშე და ამას უკვე აღარაფერი ეშველება.

– რას ამბობ? ანუ, იმის თქმა გინდა, რომ მე ანჩხლი და აშარი ვარ?

სიტუაცია ნელ-ნელა მძიმდებოდა და საუბარიც საშიშ მიმართულებას იღებდა.

– ეგოისტი, საზიზღარი ურჩხული ხარ. სპეციალურად იქცევი ასე, რომ მოთმინებიდან გამომიყვანო. არადა, რას გთხოვ? გეკითხები, რას გთხოვ-მეთქი ამისთანას... – ქეთი ყვირილიდან სლუკუნზე გადავიდა.

ვახომ ამოიოხრა და ნელა, დამარცვლით თქვა:

– არ ხარ ანჩხლი, არც აშარი... მაგრამ ისე იქცევი, როგორც ანჩხლი და აშარი. ამის თქმა მინდოდა და თუ რაღაც ისე ვერ გამოვიდა, ბოდიშს გიხდი. ბავშვი სად არის?

– ძიძამ ჩაიყვანა ეზოში, სასეირნოდ.

– ესე იგი, სახლში მარტონი ვართ?

– როგორც იქნა, მიხვდი...

– მერე ასე გეთქვა... მოვასწრებთ?!

– შენ ერთი-ორი საათი კიდევ იძინე და აუცილებლად მოვასწრებთ... სამსახურშიც წასასვლელი ვარ. უნდა გავემზადო... – ქეთიმ ტუჩები გაბუსხა, – ამდგარიყავი დროზე...

– გოგო, ამდენ ლაპარაკს, მოსულიყავი, მომფერებოდი... სიყვარულობანა გინდა და ჩხუბობ? ახლა ნორმალური ხარ შენ? გამაგიჟებ, რა!

– ისე იტყვი, აღარ მიჩნდება მოფერების სურვილი.

– მეძინა, გოგო... მეძინა... აბა, ახლა მე მკითხე, ამ უაზრო ჩხუბის მერე მაქვს სექსის სურვილი? – ვახომ ხელი ჩაიქნია და სააბაზანოს კარი შეიჯახუნა.

– იდიოტი ხარ! – მიაძახა ქეთიმ, – ჩემი ჩხუბი მოიტანე მიზეზად, თორემ ისე ხომ გინდოდა და აპირებდი რამეს.

პასუხად სააბაზანოდან წყლის ჩხრიალი გაისმა. გაცეცხლებულმა ქეთიმ ფეხები დააბაკუნა. უცბად ვერაფერი მოიფიქრა, რითაც ვახოს ნერვებს კიდევ უფრო მოუშლიდა, მაგრამ ერთბაშად ჩაცხრა. გუნებაში ისიც კი იფიქრა, რა სულელი ვარ, რა მინდოდა ამ კაცისგანო და ხმისამოუღებლად გავიდა სამზარეულოში. ვახო რომ იქ შევიდა, უკვე მშვიდი სახით სვამდა ყავას. ქმარს შეხედა და გაეღიმა. მერე სთხოვა, – ჩამეხუტე, რა... იცი, როგორ მჭირდება?



ვახომ გაოცებით გადაიქნია თავი.

– ზოგჯერ მგონია, ასე ჩემს გასაგიჟებლად იქცევი, ან მიზანმიმართულად მოქმედებ, რომ ჭკუიდან შემშალო? ანდა, ისევ ბავშვი ხარ, ვერაფრით რომ ვერ გაიზარდა, ან საერთოდ არაფერი მესმის.

– მაგ სამი ვერსიიდან რომელი გირჩევნია? – გაეკეკლუცა ცოლი.

– არც ერთი, – მკაცრად მიუგო კაცმა, – იმიტომ რომ, მშვიდად მინდა ცხოვრება. ყოველგვარი სკანდალისა და მძაფრი ვნებათა ღელვის გარეშე.

ქეთიმ ფინჯანი მისწია. წამოდგა, ქმარს წინ დაუდგა და ქვემოდან მართლაც მიამიტი ბავშვივით ახედა... თან, მაცდურად გაუღიმა.

– აუ, როგორ მიყვარხარ... წამოდი, რა... მოვასწრებთ... ბავშვს კიდევ ნახევარი საათი არ ამოიყვანს ნანა...

ვახომ ხელი ჩაიქნია და ცოლს მოეხვია.

***

კლინიკაში მარტო ნატო იყო. მოწყენილი იჯდა სავარძელში და სიგარეტის გაუხსნელ კოლოფს ათამაშებდა. ქეთის დანახვაზე გაიბადრა.

– სად ხარ ამდენ ხანს. პირველ საათზე უნდა მოდიოდე სამსახურში? სიგარეტიც ვერ მოვწიე მარტომ, „მუღამი“ არ აქვს.

– ლელას ვთხოვე, დამაგვიანდება-მეთქი. სალონში ვიყავი დილით ჩაწერილი. თვითონ სად არის? და საერთოდ, დანარჩენები სად არიან? – ქეთიმ პალტო გარდეროში ჩამოკიდა და ოთახები მოათვალიერა.

– მოდი რა, მოვწიოთ და გეტყვი. ყავასაც მოვადუღებ. ჩემი პაციენტის მოსვლამდე მთელი თხუთმეტი წუთია, ისიც, დროზე თუ მოვიდა. ამ ქალაქში წესრიგს კიდევ დიდი ხანი ვერ მიეჩვევიან. – ნატომ ყავა დაასხა, სიგარეტს მოუკიდა და მხოლოდ ახლაღა შეამჩნია ქეთის ნაჩქარევი ვარცხნილობა.

– აბა, სალონში უნდა გამევლოო? დაკეტილი დაგხვდა?

– ჩემი ქმრის გადამკიდე... – ქეთიმ ყავა მოსვა და ხარბად შეისუნთქა თამბაქოს კვამლი, – რა უცნაურია, სახლში რომ არ მინდება მოწევა.

– არ ხარ შენ მწეველი, ტყუილად აფუჭებ სიგარეტს. რაო, რას ამბობდი? ვახომ გაგაბრაზა? რას ერჩოდი?

– ვერჩოდი თუ მერჩოდა?! – გაბრაზდა ქეთი.

– გიცნობ შენ, აუხირდებოდი რაღაც სისულელეზე, – სიცილით დაუქნია თითი ნატომ, – მოყევი, მოყევი... გადარევ მაგ ბიჭს და გააქცევ, იცოდე.

– გაიქცევა თორემ გამოეკიდებიან დასაჭერად... ეგ შორიდან ჩანს ბუნჩულა და წყნარი, მაგრამ, იცი, რა აუტანელია?! ზოგჯერ ისე მიშლის ნერვებს მაგ მოჩვენებითი სიწყნარით, ლამის გავპუტო. ამ დილითაც ისე იქცეოდა, თითქოს ყველაფერში მე ვიყავი დამნაშავე.

– რა დააშავა ამისთანა... – თვალები მოჭუტა ნატომ და მოსასმენად მოემზადა.

ქეთი დაფიქრდა.

– გოგო, რა არის, იცი?! მარტივად ვერ იტყვი, რას აშავებს... როგორ აგიხსნა... თითქოს წვრილმანებია, რასაც აშავებს, მაგრამ საბოლოოდ, წონასწორობიდან გამოვყავარ.

– აბა, შეეცადე, დააკონკრეტო.

– რისთვის? – მხრები აიჩეჩა ქეთიმ.

– ზოგჯერ ადამიანებს უჭირთ, მიხვდნენ, სად აქვთ პრობლემა. იმის თქმა მინდა, რომ ჩვენ ყველას გვჭირდება საკუთარ თავში გარკვევა, რასაც ვერაფრით მოვახერხებთ სხვების იდეებისა და ვარაუდების გარეშე.

– რა სისულელეს ამბობ, ვარაუდების მოსმენაღა მაკლდა!

– მათქმევინე ბოლომდე. რაღაც ისე ვერ ვთქვი. მოკლედ, მე შეიძლება, შენზე უკეთესად შევაფასო ის სიტუაცია, რომელიც ოჯახში გაქვს და მერე რჩევაც მოგცე.

– შენ რა უნდა მირჩიო, ქმარი არ გყავს და

არც გყოლია, – წამოსცდა ქეთის და მაშინვე ინანა, – აუ, არ გეწყინოს, რა, ცუდად გამომივიდა.

– პრინციპში, მართალი ხარ. მაშინ დეას დაელაპარაკე.

– დეა ვინღაა? – გაუკვირდა ქეთის.

– ჩვენ გვერდით ვალუტის გადამცვლელ ჯიხურში რომ მუშაობს ძალიან ყვითლად შეღებილი თმით და დიდი დეკოლტეთი. როგორ არ იცი?

ქეთიმ თავი გააქნია.

– არასდროს მიმიქცევია ყურადღება. მერე?

– რა, მერე? – ნატომ საფერფლე ურნაში ჩაცალა, – მეოთხე ქმარი ჰყავს, მგონი...

– ჰმ, ოთხი რა ამბავია? ესე იგი, ამ საქმეში არაფერი გაეგება, თორემ პირველზე თუ არა, მეორე წრეზე მაინც მიხვდებოდა, რომ ყველა ერთნაირია.

– ვერ ვიტან მაგ ფრაზას: „ყველა კაცი ერთნაირია“.

– ვერც მე ვიტანდი, მაგრამ რეალობაა და რას იზამ?! – იმედი გადაუწურა ქეთიმ, – თორემ, გათხოვდები და გაიგებ. რა გეეჭვება? ის, რომ გათხოვდები, თუ ის – ამ ფრაზის ჭეშმარიტებას რომ ვერ ჩაწვდები.

– ერთი მეორისგან გამომდინარეობს, – ნატომ საწყლად გაიღიმა, – გეუბნები, გააქცევ-მეთქი მაგ კაცს და ინანებ. ვერავის გადააკეთებ და ვერც შეცვლი. მით უმეტეს, ზრდასრულ მამაკაცს. ადამიანი ისეთი უნდა მიიღო და გიყვარდეს, როგორიც არის. თავისი ნაკლით და ღირსებით.

– თეორიულად გეთანხმები, მაგრამ პრაქტიკაში მაგ ნატურალიზმს ჭკუიდან გადაჰყავხარ... მგონი, შენი პაციენტიც მოვიდა... სხვათა შორის, ქალია თუ კაცი?

– კაცი, – თქვა ნატომ და ორივეს გაეცინა, – რად გინდა, ცოლიანია. ანუ, შენი ჩანაფიქრი ჩანასახშივე განწირულია, ჩემო კარგო. მაინც ვერ გავიგე, რატომ იჩხუბეთ შენ და ვახომ.

ქეთის გაეცინა.

– გეტყვი და არ დამიჯერებ, სექსი მინდოდა.

ნატოს გამღები ღილაკისკენ გაწვდილი თითი გაუშეშდა.

... მას აქვს უნარი, გადალახოს ყველა დაბრკოლება, ერთი შეხედვით სრულიად წარმოუდგენელი სიძნელეები. მაგრამ, საკუთარ შესაძლებლობებში ვიღაცამ აუცილებლად უნდა დაარწმუნოს, სხვანაირად კრახი გარდაუვალია. სამწუხაროდ, ურჩევნია, იდიოტური ზღაპრის ერთ-ერთი გამოგონილი გმირის როლი ითამაშოს, ვიდრე თავდაჯერებულმა საკუთარი ადგილი დაიმკვიდროს ცხოვრებაში... „მას“ – მამაკაცია. „ვიღაც“ კი, ვინც მუდმივად არწმუნებს საკუთარ შესაძლებლობებში – ქალი...

გიგიმ ხმადაბლა წაუსტვინა... მეორედ ცოტა უფრო ხმამაღლა გამოუვიდა... ზუკას არც გამოუხედავს მისკენ. მონიტორს მიშტერებული, მზერაგაქვავებული იჯდა და არ ინძრეოდა. გიგიმ უჯრა ამოქექა, საშლელს მიაგნო და მოპირდაპირე მაგიდისკენ ისროლა.

– რა გინდა? – არ განძრეულა, ისე იკითხა ზუკამ.

– იმ საიტის ლინკი დამიგდე, რა... – სთხოვა გიგიმ.

– იმუშავე... არ გჭირდება.

– ვა, მე გკითხე, მჭირდება თუ არ მჭირდება-მეთქი? დამიგდე, რა...

– მომეშვი. შენს გუნებაზე არ ვარ.

– ვიცი. უკვე მითხრა თიკომ. დეპრესიული პერიოდი აქვსო.

– მიზეზიც ხომ არ ჩაგიკაკანა... ქათამი... – ჩაიღრინა ზუკამ.

– რას ერჩი მაგ გოგოს. მშვენიერ ყავას გვიდუღებს... ნამცხვრებიც მოაქვს ჩვენთვის. მე პირადად, სულაც მის სალეჭ რეზინზე „ვზივარ“.

– რაზეც გინდა, იმაზე იჯექი. ოღონდ ახლა მორჩი ლაქლაქს და იმუშავე. თორემ მოვა ვახო და გეჩხუბება, ის შეკვეთა კიდევ რომ არ დაამთავრე.

– მაქსიმუმ, ათ წუთში მოვრჩები, – გიგიმ სკამი ერთ ფეხზე შეაყენა და მაგიდის კიდეებს მობღაუჭებულმა ქანაობა დაიწყო.

– გააჩერე სკამი და იმუშავე! – მკაცრი ტონით მისცა შენიშვნა ზუკამ.

– რა იცი, რომ სკამს ვაქანავებ, არ მიყურებ.

– ვგრძნობ. მორჩი-მეთქი ლაქლაქს...

– დეპრესიაზე მინდოდა მეთქვა რაღაც, – გიგიმ ყურადღება არ მიაქცია ზუკას მბრძანებლურ ტონს – ისო, დეპრესია შავებში ჩაცმული ქალივით არისო. თუ სტუმრად გეწვევა, გარეთ კი არ უნდა გააგდო და კარი მიუხურო, პირიქით, გვერდით უნდა მოისვა და მოუსმინო, რას მოგიყვებაო.



– მსგავსი დებილობა არასდროს მომისმენია.

– მე რა შუაში ვარ, კარლ იუნგმა თქვა.

– ვინ?

– არ იცი, ტო? შვეიცარიაში ყველაზე მაგარი ფსიქიატრი და კულტუროლოგია. ანალიტიკური ფსიქოლოგიის მამა, – გიგიმ მოზეიმესავით შემართა თითი, – ფაზერ ოფ დი ანალიტიკ!

– შენ მაგას ვინმე გეტყოდა, ინტელექტუალ „ნაშებში“ დაიწყე სიარული, თუ წიგნების კითხვა დაიწყე? – დასცინა ზუკამ. გიგის არ სწყენია, გაიცინა და ოთახში შემოსულ, გრძელფეხება ქალიშვილს ჰაეროვანი კოცნა გაუგზავნა.

– თიკოც მოსულა! როგორ ხარ, ჩვენი ოფისის ვარდო?

– ბიჭებო, აქ ხართ?

– არა, აქ არ ვართ, – უკმაყოფილოდ ჩაიბურტყუნა ზუკამ. თიკო აიმრიზა და ცხვირი შეიჭმუხნა.

– გასაგებია. დეპრესია მძლავრობს. ისე, თუ გინდა...

– არ მინდა. არც ყავა შემომიტანო და საერთოდაც, თავი დამანებე, თუ ჩემთვის მართლა სიკეთე გინდა.

– დიდი უჟმური ვინმე ხარ. შენ ეგ დეპრესია კიდევ დიდხანს გექნება და ღირსიც ხარ, – საბრალდებო დასკვნასავით ჩაარაკრაკა თიკომ. ფანჯარასთან მივიდა და ფეხის წვერებზე აწეულმა ქვემოთ ჩაიხედა. გიგიმ ირიბად გახედა მის გრძელ, სწორ ფეხებს, მოკლე კაბიდან თითქმის მთლიანად რომ მოუჩანდა და დაიგმინა. ზუკამ ორივე ირონიულად შეათვალიერა.

– რა გინდა, გოგო, მაგ ფანჯარასთან, არ იღება.

– მერე, ვინ გითხრა, რომ გადახტომას ვაპირებ? ქვემოთ ჩხუბია და მაინტერესებს.

– ჩხუბია, ცირკი ხომ არა, რა გაინტერესებს? – გიგი ზანტად წამოდგა და ფანჯრისკენ ნელი ნაბიჯით გაემართა, თან გოგოს ფეხების ცქერით ტკბებოდა.

– აი, ის ტიპი ჩხუბობს გვერდით კორპუსში რომ ცხოვრობს და ცოლს რომ შეუსწრო საყვარელთან. არადა, შეხედავ, კაცი გეგონება, – გულდაწყვეტით ჩაილაპარაკა თიკომ.

– ცოლი ღალატობს და კიდევ ეგ არ არის კაცი? – მოულოდნელად აღშფოთდა ზუკა, – გადამრევს ეს ქალური ლოგიკა.

– გაჩუმდი შენ, დეპრესიის მონავ, – თიკო შემობრუნდა და გულზე ხელებდაკრეფილი, თვალებმოჭუტული მიაშტერდა ნირწამხდარ თანამშრომელს. უცებ...

– შენ რატომ დადიხარ ასეთი მოკლე კაბით სამსახურში? – იფეთქა ზუკამ, – ვერ ხედავ, გამოშტერდა ადამიანი?! ოფისია ეს თუ პოდიუმი? კლიენტებზე აღარაფერს ვამბობ. შემოგხედავენ და აქ მოსვლის მიზეზი ავიწყდებათ. დღესვე ვეტყვი ვახოს, „დრესკოდი“ დაგიწესოს.

– ვინ გკითხავს შენ, ჩემი კაბის სიგრძეს? – გამწარდა თიკო, – პირველად კი არ მაცვია, რომ ვახოსთვის მოულოდნელობა იყოს... ნელ-ნელა ქალთმოძულედ ჩამოყალიბდი მაგ შენი კომპლექსებით. გიგის რაც შეეხება, მიყუროს, თუკი უკეთესს ვერაფერს ხედავს. კლიენტებიდან კი, თუ მათ ვინმე აფრთხობს, მხოლოდ შენ – შენი მოჟამული სიფათით. მე კი, პირიქით, ვიზიდავ, ბოღმავ!

– ნუ ჩხუბობთ, რა! თიკო, რა დაგემართა? იხუმრა ადამიანმა, – სიტუაციის განეიტრალება სცადა გიგიმ.

– იხუმრა კი არა, ასეთია ეს – შხამიანი! – გული აუჩუყდა თიკოს, – ძალიან კარგად მოიქცა ის გოგო, უარი რომ სტკიცა. ამას ვინ გაუძლებდა?! წარმომიდგენია, როგორ უმწარებდა სიცოცხლეს. „ეს არ ჩაიცვა“, „ის არ ჩაიცვა“, „აქეთ არ გაიხედო“, „იქით არ მიიხედო“...

ზუკა ჭარხალივით გაწითლდა და თვალები ჩაუსისხლიანდა. გიგიმ იგრძნო ქარიშხლის მოახლოება. თიკოს მკლავში სტაცა ხელი და ოთახიდან თითქმის ძალით გაიყვანა. თიკო გაუძალიანდა.

– გამიშვი, მეტკინა! ასეა, ერთნაირები ხართ ყველანი... ჰო, რას მიყურებ? ყველა კაცი ერთნაირია. სიმართლეს ვერ იტანთ და ცოფდებით, როცა ქალი შტერი არ არის. ზუკას თავი ვინ ჰგონია?! ჩვეულებრივი „სირია“!

– ნუ ბოდავ, გოგო, და ნუ ილანძღები. რთული პერიოდი აქვს. არ შეგიძლია, გაუგო? – გიგიმ მსუბუქად შეანჯღრია აკივლებული გოგო.

– შემიძლია და გამიშვი ხელი, ნუ დამალურჯე!

კარი მძიმედ გაიღო და ოფისში ვახო შემოვიდა დაღლილი სახით.

– ვა, ვახო, მოხვედი? რამე მოხდა? რაღაც, დაღლილივით გამოიყურები.

– არა, არაფერი, ჩვეულებრივი დილაა... ჰო, ჩვეულებრივი, არაფრით განსხვავებული დილა, – უფრო თავისთვის ჩაილაპარაკა ვახომ და თიკოს მიმართა, – ყავა გამიკეთე, რა... უშაქრო, მაგარი ყავა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# ცოლი, დედა თუ საყვარელი?!

*ვინ ხართ მეუღლესთან ურთიერთობაში: მხოლოდ ცოლი, დედის ფუნქციებსაც ითავსებთ თუ – საყვარელი? ან, იქნებ, ყველაფერი ერთად?*

**გულახდილად უპასუხეთ შეკითხვებს:**

**1. ქმარი სამსახურიდან ცუდ გუნებაზე დაბრუნდა. ძალიან სტკივა თავი. თქვენ ეუბნებით:**

ა) დილით უფრო თბილად უნდა ჩაგეცვა. გაცივდი – 1 ქულა;

ბ) სასწრაფოდ ცხელი აბაზანა და მაგარი ჩაი! – 3 ქულა;

გ) ექიმს დავურეკავ, მოგხედავს – 2 ქულა.



**2. სადღესასწაულო დღეებში...**

ა) ბავშვებს ბებოსთან გავუშვებ, მე კი სულით და გულით ვზეიმობ – 3 ქულა;

ბ) ვამზადებ სადღესასწაულო ვახშამს მთელი ოჯახისთვის – 1 ქულა;

გ) მივდივარ რესტორანში – 2 ქულა.

**3. როცა მეუღლეს დაბადების დღე აქვს:**

ა) ვყიდულობ ეროტიკულ თეთრეულს და ქმარს ჯადოსნურ ღამეს ვჩუქნი – 3 ქულა;

ბ) ახალი პერანგი ან ჯემპრი კარგი იქნება – 1 ქულა;

გ) უბრალოდ, ვამზადებ ვახშამს და ვაწყობ სუფრას – 2 ქულა.

**4. ერთ კვირაში შვებულებაა...**

ა) შვილებთან ერთად გარეუბანში ან სოფელში მივდივარ – 1 ქულა;

ბ) კარგია, დავიწყებთ რემონტს – 2 ქულა;

გ) სამოგზაუროდ მივდივარ – 3 ქულა.

**5. შაბათ დილით...**

ა) ქმარს ვუმზადებ საყიდლების სიას და ვუშვებ შოპინგზე – 1 ქულა;

ბ) საყიდლებზე ყველანი ერთად მივდივართ – 2 ქულა;

გ) ერთად ვფიქრობთ, როგორ „ვიცელქოთ“ – 3 ქულა.

**6. მეგობართან ერთად შოპინგზე წახვედით:**

ა) აუცილებლად მეუღლესაც ვუყიდი რაღაცას – 2 ქულა;

ბ) ვიყიდი ახალ, სექსუალურ კაბას – 3 ქულა;

გ) ალბათ, არაფერს ვიყიდი ჩემთვის, მხოლოდ ოჯახს – 1 ქულა.

**7. მაკიაჟისადმი თქვენი დამოკიდებულება...**

ა) საერთოდ რა საჭიროა მაკიაჟი – 1 ქულა;

ბ) საჭიროა, თანაც, ყოველდღიური – 3 ქულა;

გ) ცოტა ზოგჯერ აუცილებელიც არის – 2 ქულა.

**8. კოლეგამ, რომელიც არ გესიმპათიურებათ, ოჯახით თავისთან დაგპატიჟათ:**

ა) რას ვიზამ, უნდა წავიდეთ – 2 ქულა;

ბ) ქმარს არ წავიყვან, რატომ გავტანჯო? – 1 ქულა;

გ) მიზეზს მოვიფიქრებ და არ წავალთ – 3 ქულა.

## ნახეთ შედეგები

*8-13 ქულა: თქვენს ხასიათში „დედა“ დომინირებს. არაჩვეულებრივად უვლით ქმარსაც და ოჯახსაც. მაგრამ ქმრისთვის, ამ როლში მოსაწყენი და უინტერესო იქნებით. გაათავისუფლეთ თქვენი მზრუნველობისგან და იყავით, უბრალოდ, შეყვარებული.*

*14-19 ქულა: ნამდვილი ცოლი ხართ, რომელმაც შეძლო, ოჯახური ბუდე მოეწყო, სადაც სიმყუდროვე და სიმშვიდეა. მოგწონთ ასეთი ცხოვრება. ცოტა ეროტიკაც დაუმატეთ და ყველაფერი კარგად იქნება.*

*20-24 ქულა: მოგწონთ საყვარლობა და სულ არ გაინტერესებთ ის ფაქტი, რომ ოჯახზე ზრუნვა მეუღლეს უწევს. კეკლუცობა გამჯდარი გაქვთ და მიგაჩნიათ, რომ ამით ქმარს სამუდამოდ „დააბამთ.“ მაგრამ, მამაკაცებს უყვართ ოჯახური სიმყუდროვე. მოსწონთ მზრუნველი მეუღლეც და ამისი გაუთვალისწინებლობა შეცდომაა.*

## მწვანეა და ყიყინებს...



***ყველაფერი ბაყაყების შესახებ... ზოგიერთს ისინი ძალიან საზიზღარი ჰგონია. ზოგსაც მოსწონს მწვანე, უწყინარი არსებები. რა იცით მათ შესახებ?***

* ჩვენს პლანეტაზე ცხოვრობს ყველაზე დიდი ბაყაყი – გოლიაფი. იწონის სამ კილოგრამზე მეტს და 90 სანტიმეტრი სიგრძის არის. გოლიაფები ამერიკაში ცხოვრობენ. სამხრეთ კამერუნისა და გვინეის ტერიტორიაზე. ამ გიგანტური ბაყაყის ნახტომის სიგრძე სამი მეტრია.

* გერმანელმა და მალაიზიელმა მკვლევრებმა კუნძულ ბორნეოს ჯუნგლებში აღმოაჩინეს ჯუჯა – 10 მილიმეტრის სიგრძის ბაყაყი. ის ყველაზე პაწაწინა ბაყაყია დედამიწაზე.

* ბაყაყს აქვს უნარი, ერთდროულად იხედებოდეს წინ, გვერდით ორივე მხარეს და ზევით. შეუძლია თვალგახელილი ძილი და თვალებს არასდროს ახამხამებს.

* გომბეშო, ბაყაყისგან განსხვავებით, უკბილო არსებაა. მშრალი კანი აქვს. ყველაზე დიდი გომბეშოა აგა (ცხოვრობს ცენტრალურ აფრიკაში), იწონის ორ, ზოგჯერ ორ კილოგრამზე მეტსაც. აგა ყველაზე შხამიანია გომბეშოებსა და ბაყაყებს შორის.

* ხმელეთზე მობინადრე ბაყაყებს შორის ყველაზე შხამიანია ბაყაყი კოკოი, რომელიც სამხრეთ ამერიკის ჯუნგლებში ბინადრობს. ასევე, კოლუმბიაში. კოკოის შხამი 35-ჯერ უფრო მომაკვდინებელია, ვიდრე კობრის.

* ძველად ბაყაყებს, სოფლებში რძიან ბიდონებში ყრიდნენ, რომ რძე არ ამჟავებულიყო. საქმე ისაა, რომ ბაყაყის კანი ბაქტერიოციდებს გამოყოფს.

* ყველაზე პატარა გომბეშო ბინადრობს ბრაზილიაში. მისი სიგრძეა რვა მილიმეტრი და კლდოვან ადგილებში გვხვდება.

* გომბეშოები, ძირითადად, ხმელეთზე ცხოვრობენ. წყლის სტიქია მათ მხოლოდ გამრავლების პერიოდში სჭირდებათ.

## მოცემულობა – სიმართლე!



* ამერიკაში ყოველწლიურად ერთ სულ მოსახლეზე 200 ლიტრ გაზიან წყალს მოიხმარენ, ორჯერ უფრო მეტს, ვიდრე მსოფლიოს სხვა რომელიმე ქვეყანაში. მეორე ადგილზე ირლანდიაა. იქ თითოეულ მოსახლეზე წელიწადში 125 ლიტრი გაზიანი წყალი მოდის.

* მამაკაცების მხოლოდ 8 პროცენტს შეუძლია გაარჩიოს სილიკონის მკერდი ნამდვილისგან.

* ადამიანები ყოველ წუთში 6 წამს მაინც ვკარგავთ ვიზუალური ინფორმაციის აღქმაზე, როცა თვალებს ვახამხამებთ, ანუ – 150-წუთიანი ფილმის მინიმუმ 15 წუთს ვერ ვუყურებთ.

* ფილმში „მატრიცა“ 17-წუთიანი ეპიზოდის გადაღება 40 მილიონი დოლარი ჯდებოდა. თუმცა, ხარჯმა გაამართლა. პირველივე წელს ფილმმა 740 მილიონი დოლარი მოაგროვა, როგორც კი ეკრანებზე გამოვიდა.

**გვერდი მოამზადა**
**ელენე წულუკიძემ**

# მკვლელი მოდა

## ოლივია დარნელი

ლორა ეშლი შეშფოთებული ჩანდა. მის მეგობარს, კანდიდა დამბრის ეს არ გამოჰპარვია. რომ დაურეკა, უთხრა, ანდერძზე უნდა დაგელაპარაკოო.

– ჩემს ყველა შლაპას, ჩანთასა და სამკაულს გიტოვებ... კიდევ, მინდა, ჩემს ფისუნიაზე იზრუნო.

– ლორა, შენ რა, ხუმრობ?

– არა. ჩემი მოკვლა უნდათ, უკვე ორჯერ სცადეს.

– რა სისულელეა, – გაეღიმა კანდიდას, – ვის უნდა უნდოდეს შენი მოკვლა? არც მდიდარი ხარ, არც მტერი გყავს... აი, შენი ქმარი, სტივენი – სხვა საქმეა. ისეთი პოპულარულია, ისეთი წარმატებული... სამეფო ოჯახიც კი მას უკვეთავს საზეიმო კოსტიუმებს. ნამდვილი მოდის მეტრია.

– ჩემი ქმარი... სწორედ რომ მას უნდა ჩემი მოკვლა, ოღონდ, მიზეზი ვერაფრით გავარკვიე, – ამოიოხრა ლორამ, – ეგ ისეთი ექსტრავაგანტურია... მოკლედ, ორჯერ შემთხვევით ვარ გადარჩენილი სიკვდილს. ჩვენი სახლის კიბე ხომ იცი? ორი თვის წინ წვეულებაზე მივდიოდით და კიბეზე ჩემს დაგორებას შეეცადა – ზურგში მიბიძგა... კიდევ კარგი, წვრილქუსლიანი ფეხსაცმელი მეცვა, ამან გადამარჩინა – ხალიჩას წამოედო და შემაკავა. თან, მე რა წონა მაქვს?! როცა ვკითხე, ეს რატომ გააკეთე-მეთქი, შემთხვევით დაგეჯახეო, მიპასუხა. მერე ვუთხარი, არ არის საჭირო ჩემი სიკვდილი. თუ შენ ჩემი თავიდან მოშორება გინდა, განქორწინებაზე პრობლემას არ შეგიქმნი-მეთქი.

– მერე, რა გითხრა?

– გაიცინა – ეგ სისულელე საიდან მოიტანეო... მაგრამ...

– მაგრამ, რა?

– ერთი კვირის წინ ჩემს საძინებელში უზარმაზარი ჭაღი მოწყდა და საწოლს დაენარცხა. შემთხვევით გადავრჩი: ჩემმა ფისომ რაღაც იგრძნო, კნავილი ატეხა და აივნის კარს ეცა. იძულებული გავხდი, ავმდგარიყავი და გარეთ გამეშვა. სწორედ ამ დროს ჩამოვარდა ჭაღიც. მოკლედ, საშინელ დღეში ვარ. ამიტომ, გთხოვ, თუ რამე დამემართა, ციცუნიას მიმიხედე. სტივენი მას ვერ იტანს. ის ხომ ჩვეულებრივი კატაა, ქუჩაში ვიპოვე, სტივენს კი სძულს ყველაფერი ჩვეულებრივი.

– შენც ხომ ჩვეულებრივი ხარ, მაგრამ, შეუყვარდი, – თავი გააქნია კანდიდამ, – გახსოვს, როგორ გაიცანი? მოდის მუზეუმში მუშაობდი და შემთხვევით დაგინახა. მერე გაზეთებში წერდნენ, ეს ერთი ნახვით შეყვარება იყოო.

ლორამ ისევ ამოიოხრა:

– თავიდან მეც მოვტყუვდი, მაგრამ, ახლა უკვე ზუსტად ვიცი, რატომ გააკეთა ჩემზე არჩევანი. მე მისთვის კარგი მასალა აღმოვჩნდი. შემომხედა და მაშინვე განსაზღვრა, რას გააკეთებდა ჩემგან, ჩვეულებრივი, უფერული გოგოსგან. ორი წლის განმავლობაში თავისი სურვილისამებრ „მძერწავდა“ კოსმეტიკის საშუალებით და სპეციალური სტილის ტანსაცმლით, ხან ჰაეროვანი და საყვარელი ქერა ლამაზმანი ვიყავი, ხან – ეფექტური, შავგვრემანი ქალი-ვამპირი; თმაც კი შეუღებავს ჩემთვის თავისი პიჯაკის ზოლებისფრად, მისი ჰალსტუხის შესაფერისი ლინზებიც მკეთებია... თავიდან ეს მომწონდა კიდეც, მაგრამ, მერე მივხვდი, რომ ქმრის გარემომცველი ინტერიერის დანამატად ვიქეცი. დამიჯერე, ეს საშინელებაა... დარწმუნებული ვარ, ახლაც რაღაც ახალი იდეა აწვალებს. რაღაც ახალი როლი უნდა, რომ მომარგოს – ალბათ, მიცვალებულის.

– ნუ სულელობ. შენ ის მითხარი, სახელგანთქმული ჰერცოგის ბრაბელოუს დაკრძალვის კოსტიუმები შენს ქმარს შეუკვეთეს?

– არ ვიცი, მგონი, ჯერ გადაწყვეტილი არ არის. მე ჩემს თავზე ვდარდობ. წავედი, უნდა მოვემზადო – გრაფმა ეშემმა თავის უძველეს ციხე-კოშკში კოსტუმირებულ წვეულებაზე დაგვპატიჟა.

– საინტერესოა! – გახალისდა კანდიდა, – სტივენი, ალბათ, რამე განსაკუთრებულს მოიფიქრებს შენთვის.

– სწორედ ეგ მაშინებს. მქონდეს შენი იმედი? იზრუნებ ფისოზე?

– გეხვეწები, ნუ მაშინებ. არაფერიც არ მოხდება.

რამდენიმე კვირის განმავლობაში კანდიდამ საკუთარი მეგობარი ველარ ნახა. ლორა აღარც ტელეფონზე პასუხობდა. კანდიდა შეშფოთდა. თავს იმით იმშვიდებდა, რამე უბედურება რომ მომხდარიყო, გავიგებდიო. მერე წაიკითხა კიდეც სკანდალური ამბები სტივენ ეშლიზე, რომელმაც საკუთარი მსახური დანით სასიკვდილოდ დასერა და შეშლილთა თავშესაფარში გამოამწყვდიეს. პრესა წუხდა, რომ მოდის დიდი მეტრი, რომელსაც მოდისა და საზოგადოების გემოვნების განვითარების ისტორიაში ღირსეული ადგილი უნდა დაემკვიდრებინა, ასე სავალალოდ და სამარცხვინოდ დაამთავრებდა სიცოცხლეს. კანდიდა სამი დღე ცდილობდა ამ ინფორმაციის ნამდვილობის გადამოწმებას. ინფორმაციულ ვაკუუმში ყოფნამ ლამის გააგიჟა. მეოთხე დღეს, დილით კი ლორა გამოჩნდა. ხელში ლამაზი ფუთა ეჭირა, შავი და მუქი იასამნისფერი ბაფთებით შეკრული.

– ეს რა არის? ან ამდენ ხანს რატომ არ ჩანდი? ძალიან შემეშინდა.

– გახსენი ფუთა და ყველაფერს მიხვდები, – ლორას დამშვიდებული სახე ჰქონდა.

ფუთაში იშვიათი სილამაზის, საკმაოდ ორიგინალური სტილის სამგლოვიარო კაბა აღმოჩნდა.

– სტივენმა მოგიმზადა ჩემი დაკრძალვისთვის, – აუხსნა ლორამ. ახლა უკვე მაქვს პასუხი კითხვაზე – რატომ უნდოდა მოდის დიდ მეტრს ჩემი მოკვლა. წავიდეთ ჩემთან, რაღაცას განახვებ.

კანდიდა გაოცებული შესცქეროდა დიდ გარდერობში აკურატულად ჩამოკიდებულ სამგლოვიარო კოსტიუმებს. მათ შორის ერთადერთი იასამნისფერი კაბა ეკიდა.

– აი, ამ კაბას მე ჩამაცმევდა კუბოში ლურჯწვერა, – ლორა იცინოდა, – საჩვენებელი ტრაგედია დიდებისთვის. აი, როგორ ურჩხულთან ვცხოვრობდი. მან სამგლოვიარო მოდის სრულიად ახალი სტილი შექმნა და უნდოდა, კოსტიუმირებული პრეზენტაცია საკუთარი ცოლის დაკრძალვაზე მოეწყო.

– შენ როგორ გაიგე ეს ამბავი?

– შემთხვევით გადავაწყდი ამ გარდერობს, მაშინვე ყველაფერს მივხვდი და გადავწყვიტე, თავი დამეცვა. სტივენს კარგად ვიცნობ და საბრძოლველად ის იარაღი გამოვიყენე, რომელიც ყველაზე კარგად იმუშავებდა. გრაფ ეშემის წვეულებაზე სტივენი უდიდეს იმედებს ამყარებდა. სწორედ იქ უნდა გადაწყვეტილიყო, ვის მიანდობდნენ ჰერცოგის ოჯახის წევრები თავისი საგვარეულოს პრესტიჟსა და ღირსებას. სტივენმა თავისთვის და მსახურებისთვის განსაკუთრებული კოსტიუმები შეარჩია. ჯონის, თავის ერთგულ კამერდინერს ანდო ჩემოდნების ჩალაგება, მაგრამ, მე ტანსაცმელი შევცვალე. ხომ წარმოგიდგენია, როგორი საზოგადოება შეიკრიბებოდა სახელგანთქმულ ციხე-დარბაზში. სტივენ ეშლის იქ უნდა ებრწყინა, მაგრამ, კოვზი ნაცარში ჩაუვარდა: იცი, როგორი რეაქცია ჰქონდა, როცა საგულდაგულოდ ჩალაგებული, იშვიათი კოსტიუმებისა და პერანგების ნაცვლად, ჩემოდნებიდან თავისი კონკურენტის, მოდიდან გადასული, ძველი კოლექციის სამოსი ამოალაგა?! ფსიქიკამ ველარ გაუძლო. დანას დაავლო ხელი და საცოდავ ჯონს ეცა. ყველაფერი ისე მოხდა, როგორც გავთვალე. ცუდი მხოლოდ ის არის, რომ ჯონის ჭრილობები სასიკვდილო აღმოჩნდა.

– დიდი ხნით გამოამწყვდიეს შენი ქმარი საგიჟეთში?

– სავარაუდოდ, კი.

– წახვალ მის მოსანახულებლად?

ლორამ მრავალმნიშვნელოვნად გაიცინა:

– ვნახოთ, თუკი გარდერობში შესაფერის კაბას აღმოვაჩენ, აუცილებლად...

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძემ**



# მკვდარი ვერსია

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №7-11(637)**

ამჯერად ზურაბმა ყურადღებით გადაათვალიერა საბანკო დოკუმენტი. მის თანახმად, ანდრო სირაძეს ბანკიდან ჰქონდა მიღებული გრძელვადიანი სესხი, რომელიც ათი წლის განმავლობაში უნდა დაეფარა. სესხის ეტაპობრივად დასაფარავად მას ყოველი თვის ბოლოს ბანკისთვის 8 300 ლარი უნდა გადაერიცხა. ვინაიდან ანგარიშსწორების თარიღიდან ათი დღე იყო გადაცილებული, ბანკი კრედიტის მიმღებს საჯარიმო თანხას უწესებდა, რისთვისაც მას შესაბამისი შეტყობინება გაეგზავნა.

– კეთილი, ამ მხრივ ყველაფერი ნათელია, – ზურაბმა მაგიდაზე დაუშვა გზავნილი და ნანას მიუბრუნდა, – ბანკი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებას ითხოვს. ახლა ისაა გასარკვევი, თუ როგორ დატვირთა ანდრომ აგარაკი თქვენთან შეთანხმების გარეშე.

– წარმოდგენა არა მაქვს, – უპასუხა ნანამ.

– რა იცით „ინტელგრუპჯორჯიას“ შესახებ? – ჰკითხა ზურაბმა.

– არაფერი. ანდრომ მხოლოდ ერთხელ ახსენა ეს კომპანია.

– შეგიძლიათ, დაწვრილებით მიამბოთ, როდის და რა ვითარებაში შემოგთავაზათ მეუღლემ ბანკიდან სესხის აღება?

ნანა მცირე ხნით ჩაფიქრდა და შემდეგ ალაპარაკდა;

– ეს დაახლოებით ექვსი თვის წინ მოხდა. სრულიად მოულოდნელად, ანდრო ბიზნესის გაფართოებაზე ალაპარაკდა. ამან გამაკვირვა. ჩვენ სავსებით გვყოფნიდა 15-16 ათასლარიანი შემოსავალი, რომელსაც ჩვენი ობიექტებიდან ვიღებდით.

– ეს კაპიკებია იმასთან შედარებით, რისი შოვნაც შემიძლია! – უკმაყოფილოდ მიპასუხა ანდრომ.

– კარგი, გააფართოვე ბიზნესი, გამოიტანე ჩვენი დანაზოგი ბანკიდან და...

– ოცდაათი და ორმოცი ათასით ახალ საქმეს ვერ წამოვიწყებ! – შემაწყვეტინა ანდრომ.

– აბა, რამდენი გჭირდება? – გამიკვირდა მე.

– სულ მცირე, ნახევარი მილიონი მაინც!

– რისთვის გჭირდება ამდენი ფული? – გამიკვირდა მე.

ანდრომ ამიხსნა, რომ ფულის სამშენებლო კომპანიაში დაბანდებას აპირებდა. მაშინ ახსენა პირველად „ინტელგრუპჯორჯია“, რომელიც უახლოეს მომავალში დიღმის მიდამოებში საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობის დაწყებას აპირებდა.

– ვინმე ხომ არ უხსენებია, მაგალითად, პიროვნება, რომელმაც დააკავშირა „ინტელგრუპჯორჯიასთან“? – ჰკითხა ზურაბმა.

– არა... – თავი გააქნია ნანამ, – კარგად მახსოვს, არავინ უხსენებია.

– და, მაშინ შემოგთავაზათ ანდრომ ბანკიდან სესხის გამოტანა?

– დიახ, – დაუდასტურა ნანამ, – მაგრამ, მე კატეგორიული უარი ვუთხარი. შევახსენე რამდენიმე ჩვენი ნაცნობი, რომლებიც მსგავსი მანიპულაციებით ცდილობდნენ ბიზნესის წამოწყებას და, საბოლოო ჯამში, ყოველგვარი უძრავ-მოძრავი ქონების გარეშე დარჩნენ. ჩემდა გასაკვირად, ანდროს სესხზე საუბარი აღარ გაუგრძელებია – კარგი, დაივიწყე რაც გითხარი, ჯერჯერობით მეც არაფერი გადამიწყვეტიაო. სულ ეს არის. იმ დღის შემდეგ ანდროს ერთხელაც აღარ უხსენებია „ინტელგრუპჯორჯია“ და ბანკიდან სესხის გამოტანა.

– თქვენ მითხარით, რომ ბანკში ხელშეკრულება გაჩვენეს, – განაგრძო ზურაბმა.

– დიახ...

– როგორ გგონიათ, თქვენი ხელმოწერა გაყალბებულია?

– არა მგონია. მე კარგად ვიცნობ საკუთარ ხელწერას.

– ერთი რამ ამიხსენით: თუ თქვენი ხელმოწერა არ გაუყალბებიათ, როგორ მოხვდა ის ხელშეკრულებაზე?



– მე ბევრი ვიფიქრე ამაზე და, საბოლოოდ, იმ დასკვნამდე მივედი, რომ ეს ანდრომ მოიმოქმედა, – უპასუხა ნანამ.

– როგორ?

– ძალიან მარტივად. ჩვენი რამდენიმე ობიექტი ჩემზე იყო გაფორმებული. მე საქმეში არ ვერეოდი, როგორც წესი, ყველაფერს ანდრო აგვარებდა. მე მხოლოდ პერიოდულად ვაწერდი ხელს გარკვეულ დოკუმენტებზე.

– თქვენ ეჭვობთ, რომ ანდრომ სხვა დოკუმენტებთან ერთად, სესხთან დაკავშირებულ ხელშეკრულებაზეც მოგაწერინათ ხელი? – ჰკითხა ზურაბმა.

– კი არ ვეჭვობ, დარწმუნებული ვარ, რომ ასეც იყო. კარგად მახსოვს ის დღე: ქობულეთში გასამგზავრებლად ვემზადებოდი, რომ მოულოდნელად ანდრო მოვიდა და მითხრა: ობიექტზე საგადასახადო სამსახურს ველოდები და ამ საბუთებზე სასწრაფოდ უნდა მოაწერო ხელიო. საბუთებს ნაჩქარევად მოვაწერე ხელი, არც კი დავკვირვებივარ, რა საბუთები იყო. ოღონდ, მომეჩვენა, რომ დასტა ჩვეულებრივზე სქელი იყო. ანდრო გვერდზე მედგა. საჭირო გვერდზე შლიდა დოკუმენტებს და ხელის მოსაწერ ადგილს მითითებდა.

– შემდეგ თქვენ ქობულეთში გაემგზავრეთ და ანდრო დროდადრო მარტოს გტოვებდათ.

– ასე იყო, – დაეთანხმა ნანა.

– გამოდის, რომ მას ადვილად შეეძლო თბილისში დაბრუნება და ბანკთან სესხის საკითხის მოგვარება. ამისთვის ბანკის კრედიტოფიცერს თქვენი ბინა და აგარაკი უნდა მოენახულებინა და დარწმუნებულიყო, რომ თქვენი ქონების ღირებულება შეესაბამებოდა სესხად გასაცემ თანხას, – თქვა ზურაბმა და ბანკის შეტყობინებას ჩახედა, – სესხი 15 აგვისტოსაა გაცემული. სად იმყოფებოდით ამ დროს?

– ქობულეთში, – ჩაილაპარაკა ნანამ.

– ანდროს საბუთებისთვის ხომ არ გადაგიხედავთ? ბუნებრივია, მას შენახული უნდა ჰქონოდა ხელშეკრულება, სესხის დაფარვისთვის აუცილებელი გრაფიკი, ქვითრები, რომლებიც ადასტურებენ ბანკში გრაფიკით განსაზღვრული თანხების შეტანას.

– მე ყველაფერი დავათვალიერე, მაგრამ, მსგავსი არაფერი მინახავს, – უპასუხა ნანამ.

– იქნებ, რომელიმე ობიექტზე ინახავდა?

– იქაც ვნახე. სეიფში მხოლოდ ობიექტებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია აღმოჩნდა.

– ცუდია... ძალიან ცუდი... – ზურაბი მცირე ხნით ჩაფიქრდა და შემდეგ დაამატა – ასეთ ვითარებაში ძალიან გაგიჭირდებათ სიმართლის დამტკიცება. უფრო მეტიც – მეეჭვება, რომ ვინმე სერიოზულად აღიქვას თქვენი ნაამბობი. დოკუმენტაციის მხრივ ბანკს ყველაფერი წესრიგში აქვს. არსებობს ანდროსთან გაფორმებული ხელშეკრულება, რომელსაც თქვენც აწერთ ხელს. ასევე, ბანკს, თავისთავად, აღრიცხული ექნება ყველა თანხა, რომელიც ანდრომ ექვსი თვის განმავლობაში შეიტანა ბანკში. ამას მიუმატეთ ბანკის თანამშრომლების ჩვენებებიც... მოკლედ რომ ვთქვა, ამ საქმეში რამე პერსპექტივას ვერ ვხედავ.

– კი მაგრამ, როგორ?! – გაოცებით შეხედა ნანამ, – ეს ხომ უსამართლობაა. ბოლოს და ბოლოს, ის მაინც ხომ უნდა გაირკვეს, სად წაიღო ანდრომ ეს ფული?!

– იურიდიულად ამას აფერა ჰქვია. თქვენმა მეუღლემ მოტყუებით მოგაწერინათ ხელი ხელშეკრულებაზე და იპოთეკით დატვირთა ბინა და თქვენს საკუთრებაში არსებული აგარაკი. მაგრამ, ეს კერძო დავის საგანი უფროა, ვიდრე სისხლის სამართლის დანაშაული.

– „ინტელგრუპჯორჯიას“ რომ მივაკით-

ხო? – ჰკითხა ნანამ, – თუ ბანკი, როგორც ანდროს მემკვიდრეს, მე მთხოვს ვალის დაფარვას, კომპანიამაც უნდა გამიწიოს ანგარიში!

– თავისთავად, მაგრამ, რატომ ხართ დარწმუნებული, რომ ანდრომ სწორედ ამ კომპანიაში ჩადო ფული?

– მაშ, სად უნდა წაეღო?

– თქვენ ხომ მის დოკუმენტებში შესაბამის ხელშეკრულებასაც ვერ მიაკვლიეთ, – თქვა ზურაბმა.

– ვერა და სწორედ იმის გარკვევა მინდა, სად გაქრა ის ფული და ანდროს დოკუმენტები.

– მესმის, მაგრამ, მე ვერაფერში დაგეხმარებით, – უპასუხა ზურაბმა, – ფიფიამ უნვე დახურა ეს საქმე. მისი პოზიცია თქვენთვის ცნობილია. მან არათუ ამ საქმის გარკვევა, თქვენთან საუბარიც კი არ მოისურვა. მე კი ამ საქმეში ვერანაირად ვერ ჩავერევი – საამისოდ არც იურიდიული საფუძველი მაქვს და არც უფლებამოსილება.

– აბა, როგორ მოვიქცე? რამე მაინც მირჩიეთ. კმარა, რაც დავკარგე!

ზურაბმა მზერა გაუსწორა და ჰკითხა:

– მე მოვისმინე თქვენი და რეზო ფიფიას საუბრის ჩანაწერი. გულწრფელად მიპასუხეთ, რეზოს სიმართლე უამბეთ?

– დიახ.

– არაფერი დაგიმალავთ?

– არა, – თავი გააქნია ნანამ.

– რომლის სიკვდილმა უფრო დაგწყვიტათ გული?

– ქვის ხომ არ გგონივართ... – ყრუდ ჩაილაპარაკა ნანამ, – ანდრო ჩემი ქმარი იყო და ჩვენ ჩვენი წილი სიხარულიც გვქონდა და ტკივილიც. ძალიან მეცოდება. მართლაც ბედნიერი ვიქნებოდი, ეს საშინელება რომ არ მომხდარიყო და მშვიდად დავშორებოდით ერთმანეთს. ვაჟა კი... ეს ილუზია იყო, ისევე, როგორც მისი ოცნებები. ვიცოდი, რომ მასთან ურთიერთობა უსასრულოდ არ გაგრძელდებოდა, უბრალოდ, მის გვერდით თავს მშვიდად ვგრძნობდი და ყოველდღიურ ტკივილს ვივიწყებდი.

– იცით, რომ მას თქვენზე დაქორწინება სურდა?

– ვიცი, – ამოიოხრა ნანამ, – მაგრამ ეს არასოდეს მოხდებოდა. ის ძალიან კარგი, თბილი, მეოცნებე ადამიანი იყო, თუმცა, ძალიან ცვალებადი ხასიათით. მას არ უყვარდა სხვისი მოსმენა, მხოლოდ მისთვის უნდა ესმინათ. ამიტომაც, მუდამ დაეძებდა ადამიანს, რომელიც მას გაუგებდა.

– რატომ გადაწყვიტეთ ჩვენების ფიფიასთვის მიცემა?

– თქვენ... თქვენ ძალიან უხეშ და სასტიკ ადამიანად მეჩვენეთ, – გაუბედავად უპასუხა ნანამ, – მაშინ ძალიან ცუდად ვგრძნობდი თავს, მაგრამ, ის მაინც დამამახსოვრდა, რომ ფიფია თქვენს შეჩერებას ცდილობდა. მე ყოველთვის მაშინებდნენ სასტიკი და აგრესიული ადამიანები.

– ახლა?

– მივხვდი, რომ ვცდებოდი.

– კეთილი... მაშინ, ასე მოვიქცეთ, – თქვა ზურაბმა, – პროკურატურაში მისვლაში აზრს ვერ ვხედავ. ასეთი მონაცემებით ფიფიამ ძიება უნდა განაახლოს. მან და მისმა ხელმძღვანელმა კი უკვე ჩაიწერეს მადლობები პირად საქმეებში. ასე რომ, ისინი ყველაფერს გააკეთებენ ამ საქმის სამუდამოდ დასასამარებლად. მე სხვა გზას შემოგთავაზებთ: მოველაპარაკები ერთ პიროვნებას. თუ ის ამ საქმით დაინტერესდა, თავად დაგიკავშირდებათ.



– ვინაა ის პიროვნება? – დაინტერესდა ნანა.

– ჩემი ყოფილი თანამშრომელია, ამჟამად კერძო დეტექტივების ასოციაციაში მუშაობს. მას რამდენიმე სერტიფიკატი აქვს. როგორც დეტექტივს, შეუძლია, კერძო გამოძიება აწარმოოს და, თუ საქმე იქამდე მივიდა, როგორც ადვოკატს, შეუძლია, თქვენი უფლებები სასამართლოშიც დაიცვას.

– რომ არ დაინტერესდეს?

– დაინტერესდება, – გაეღიმა ზურაბს, – კარგად ვიცი, როგორი ხიფათის მაძიებელიც არის. დაინტერესდება, მაგრამ, მის ნაცვლად ვერაფერს შეგპირდებით... ახლა შინ წადით და მის ზარს დაელოდეთ.

ნანამ ეჭვით შეხედა, შემდეგ კი მძიმედ წამოიწია სკამიდან. ზურაბმა მოიცადა, ვიდრე ის კაბინეტიდან გავიდოდა. როგორც კი ქალმა კარი გაიხურა, ის ტელეფონს გადასწვდა და ნომერის აკრეფას შეუდგა.

* * *

ნიკა გურული საღამოს რვა საათისთვის ეწვია ზურაბს.

– მოდი, მოდი... – მასპინძელმა მეგობრულად გადაკოცნა ყოფილი თანამშრომელი და სასტუმრო ოთახში შეიპატიჟა.

– ისეთი რა საქმე გაქვთ ჩემთან, რომ ტელეფონში არ ითქმოდა? – ჰკითხა ნიკამ და მოხერხებულად მოეწყო სავარძელში.

– ითქმოდა, როგორ არ ითქმოდა, მაგრამ ტელეფონით ძალიან დიდხანს მოვუნდებოდი ამის თქმას, – ზურაბი კონიაკის ბოთლს გადასწვდა და ჭიქები შეავსო, – მოკლედ აგიხსნი ვითარებას, ნიკა. მინდა ერთ საქმეს მოჰკიდო ხელი, მაგრამ, ამასთან ერთად, გაფრთხილებ, ვიდრე გადაწყვეტილებას მიიღებ, კარგად დაფიქრდი, ღირს თუ არა ამის გაკეთება. ჯერჯერობით კონკრეტულად ვერაფერს გეტყვი, მაგრამ, ინტუიცია მკარნახობს, რომ, შეიძლება, ძალიან სერიოზულ ხალხზე გახვიდე.

– საქმე ძიებაშია?

– უკვე აღარ. პროკურატურამ ორი კვირის წინ შეწყვიტა ძიება.

– ვინ იძიებდა საქმეს? – ჰკითხა ნიკამ.

– ერთობლივი ჯგუფი – ჩემი ხალხი და პროკურატურის გამომძიებელი რეზო ფიფია, – უპასუხა ზურაბმა.

– ფიფია... ფიფია... – ჩაფიქრდა ნიკა, – ასეთს არავის ვიცნობ. ახალია?

– ახალია. მკვლელობის საქმეს პირველად იძიებდა.

– თქვენი ჯგუფის მუშაობის შემდეგ რაღა იქნება გამოსაძიებელი?! – ჩაიცინა ნიკამ.

– ძალიან ბევრი რამ. ეს საქმის მასალების ასლებია. გადახედე. თუ რამე ვერ გაიგე, მკითხე, – თქვა ზურაბმა და საქაღალდე გაუწოდა.

ნიკამ აუჩქარებლად გახსნა საქაღალდე და დოკუმენტების კითხვას შეუდგა.

...ზურაბმა ნიკა ექვსი წლის წინ შემთხვევით გაიცნო. ის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი იყო, როცა საპროტესტო აქციაში მიიღო მონაწილეობა – სტუდენტები პოლიციის მთავარ სამმართველოსთან თანაკურსელის უკანონოდ დაპატიმრებას აპროტესტებდნენ. როდესაც აქციამ შედეგი არ გამოიღო, სტუდენტებმა გზა გადაკეტეს. მათ დასაშლელად პოლიციამ ძალას მიმართა. სტუდენტებსა და პოლიციას შორის მოხდა მცირე შეხლა-შემოხლა, რასაც აქციის ორგანიზატორებისა და შეხლა-შემოხლაში მონაწილეთა დაპატიმრება მოჰყვა. მათ შორის აღმოჩნდა ნიკაც.

ზურაბს პირველი ნახვისთანავე მოეწონა ტანმაღალი, ახოვანი ახალგაზრდა, რომელიც გააზრებულ პასუხებს სცემდა სამართალდამცველებს. შემდეგ საქმეში უნივერსიტეტიც ჩაერთო: ნიკას პედაგოგები, რომელთა უმრავლესობასაც ზურაბი პირადად იცნობდა, კარგად ახასიათებდა სტუდენტს. მათი თქმით, ნიკა ფაკულტეტის საუკეთესო სტუდენტად ითვლებოდა და მისი წინასწარი დაკავების იზოლატორში ყოფნა უნივერსიტეტის წინაშე ჩადენილი დანაშაულის ტოლფასი იყო. საბედნიეროდ, სასამართლომ გაითვალისწინა დაკავებულთა ასაკი, მათი პროფესორ-მასწავლებლების შუამდგომლობა და ახალგაზრდებს მხოლოდ ჯარიმა დააკისრა. იზოლატორში გატარებული ერთი დღის შემდეგ აქციის ყველა მონაწილე გაათავისუფლეს, თუმცა, ზურაბმა მაინც არ დაივიწყა ნიკა. ის პერიოდულად ხვდებოდა წარჩინებულ სტუდენტს, რომელიც საკუთარ ახალგაზრდობას აგონებდა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მას სამსახურის კრიმინალურ ან ოპერატიულ სფეროში გაგრძელებას ურჩევდა, მაგრამ, ყოველ ასეთ შეთავაზებას ნიკა უარით პასუხობდა. ზურაბს უკვე გადაწურული ჰქონდა იმედი, რომ მის დათანხმებას შეძლებდა, მაგრამ, ერთ მშვენიერ დღეს, ნიკა თავად ესტუმრა სამმართველოში და სამსახურში მიღება სთხოვა.

აღმოჩნდა, რომ მისთვის პროკურატურის საგამოძიებო სამსახურში ადგილი არ გამოინახა. სამმართველოში მისვლისას ნიკას ზურაბისთვის არ დაუმალავს, რომ ეს იძულებითი ნაბიჯი იყო და, მაინც ჰქონდა იმედი, რომ, ადრე თუ გვიან, პროკურატურაში გამოჩნდებოდა მისი ადგილი და, როგორც კი ამის შესაძლებლობა მიეცემოდა, ის პოლიციიდან წავიდოდა.

ნიკა ძალიან სწრაფად შეეთვისა ახალ თანამშრომლებს. სამმართველოში ყველას მოსწონდა სიმართლისმოყვარე, პირდაპირი და შეუპოვარი ახალგაზრდა. ზურაბთან მუშაობისას მან არაერთი რთული საქმის გამოძიებაში მიიღო მონაწილეობა. ორი წლის შემდეგ კი მას მართლაც შესთავაზეს პროკურატურაში გადასვლა. მაგრამ, იმ დროისთვის უკვე ისე იყო შეჩვეული ოპერატიულ სამსახურს, რომ შეთავაზებაზე უარი თქვა. კიდევ ერთი წლის შემდეგ კი...

ბედის მწარე ირონიით თვისებები, რომლებიც ნიკას მუშაობაში ეხმარებოდა, მისი სამსახურიდან გათავისუფლების მიზეზად იქცა: საგამოძიებო ჯგუფი, რომლის წევრიც ნიკაც იყო, ახალგაზრდებს შორის მომხდარი ჯგუფური ჩხუბის საქმეს იძიებდა. ჩხუბისას სამი ახალგაზრდა პისტოლეტით დაჭრეს და ერთ-ერთი მათგანი სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს. საგამოძიებო ჯგუფი მართლაც შესაშური ოპერატიულობით მოქმედებდა. სამართალდამცველებმა რამდენიმე დღეში გახსნეს საქმე და ჩხუბის მონაწილეებიც აიყვანეს, გაჭიანურდა მხოლოდ ერთი მათგანის დაკავება. ახალგაზრდა, რომელიც დაჭრაში იყო ეჭვმიტანილი, მიიმალა და ის მხოლოდ ორი თვის შემდეგ დააკავეს. ამ დროისთვის პროკურატურა აქტიურად იყო ჩართული საქმეში. საგამოძიებო ჯგუფის წევრებისთვის უცნობი დარჩა, თუ კონკრეტულად ვისი მითითებით მოქმედებდა სასამართლო პროცესზე პროკურორი. ფაქტი კი ის იყო, რომ მისი შუამდგომლობით სასამართლომ მთავარ ეჭვმიტანილს ბრალდება მოუხსნა და გაათავისუფლა. სიმართლისმოყვარე ნიკამ ვერ მოითმინა და...



მომხდარის ოფიციალური შეფასება ასე გამოიყურებოდა: „სასამართლოს შენობაში ატეხა დებოში; მოსამართლესა და პროკურორს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა. არ დაემორჩილა მანდატურების მოთხოვნას, დაეტოვებინა სასამართლოს შენობა. როდესაც მათ იძულებით სცადეს შენობიდან მისი გაყვანა, ორ მანდატურს მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა". ყოველივე ამისთვის ნიკა სამსახურიდან გაათავისუფლეს. ზურაბი იმ დროს მივლინებაში იმყოფებოდა უკრაინაში და ხელქვეითის დახმარება ვეღარ შეძლო. მიუხედავად ამისა, ნიკამ მაინც აღარ თქვა უარი შესისხლხორცებულ პროფესიაზე – სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ შესაბამისი სერტიფიკატები აიღო და კერძო დეტექტივთა ასოციაციაში გაწევრიანდა.

– როცა ასეთ საქმეებს ვხედავ, აღარ ვნანობ, რომ პროკურატურაში ჩემი ადგილი არ გამოინახა, – ნიკამ უკმაყოფილო სახით დახურა საქაღალდე, – ასეთ იდიოტიზმს ვერ მოვითმენდი. ამ მასალებით საქმის დახურვა არ შეიძლებოდა!

– გეთანხმები, მაგრამ, რუხაძე ვერაფრით ვერ გადავარწმუნე, – უპასუხა ზურაბმა.

– ეჭვი მაქვს, რომ მხოლოდ საგამოძიებო შეცდომასთან ან გულგრილობასთან არ გვაქვს საქმე.

– შეიძლება, თუმცა, ნაჩქარევი დასკვნის გამოტანა მაინც არ ღირს.

– ესე იგი, ნანა სირაძე ამტკიცებს, რომ ბანკიდან სესხის გამოტანის შესახებ არაფერი იცოდა? – განაგრძო ნიკამ.

– მისი თქმით, არაფერი იცოდა, – დაუდასტურა ზურაბმა.

– გჯერა მისი?

– მჯერა... მის მდგომარეობაში ტყუილის თქმას აზრი არა აქვს. რას მოუტანს ამის მტკიცება? პრაქტიკულად არაფერს. მისი ქონება იპოთეკითაა დატვირთული და სესხი დროულად თუ არ დაიფარა, ყველაფერს დაკარგავს.

– მაგრამ, სიყალბე თუ გამოვლინდა, სასამართლო ხელშეკრულებას აღარ ცნობს და ნანა სირაძეს სესხის დაფარვის ვალდებულება მოეხსნება. პროკურატურა კი იძულებული გახდება, აღძრას სისხლის სამართლის საქმე და ზუსტად დაადგინოს, თუ რაში გამოიყენა ანდრო სირაძემ სესხად აღებული თანხა და, შესაძლებლობის შემთხვევაში, ის ბანკს დაუბრუნოს.

– და, შესაძლოა, მისი მკვლელობის ნამდვილი გარემოებები გაირკვეს! – თვალი ჩაუკრა ზურაბმა.

– შენ ეგ უფრო გაინტერესებს? – ჰკითხა ნიკამ.

– ინტუიცია მკარნახობს, რომ სესხი და სირაძის მკვლელობა ერთმანეთთანაა დაკავშირებული. ერთი ეპიზოდის გახსნა თავისთავად გახსნის მეორეს, – უპასუხა ზურაბმა, – საუბრისას რუხაძემ ჩემს მოსაზრებებს დამცინავად უწოდა „მკვდარი ვერსია". მისი აზრით, ეს სრულიად უპერსპექტივო საქმეა, მე კი საპირისპიროს დამტკიცება მინდა!

ნიკა მცირე ხნით ჩაფიქრდა და შემდეგ უპასუხა:

– კარგი, ზურაბ, ავიღებ ამ საქმეს. როგორ დავუკავშირდე ნანა სირაძეს?

– ოღონდ, ერთი პირობით: ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას ჩემთან შეათანხმებ.

– ჩემი იმედი არ გაქვს? – გაეღიმა ნიკას.

– გენდობი, თუმცა, სიფრთხილეს თავი არ სტკივა. გიჟიერი ბიჭი ხარ, კარგი გამომძიებელი, მაგრამ, ჩემზე მეტი გამოცდილება მაინც არ გაქვს, – უპასუხა ზურაბმა და ფურცელი გაუწოდა, რომელზეც ნანა სირაძის ტელეფონის ნომერი ეწერა.

* * *

ზურაბთან საუბრის შემდეგ ნანამ ჩათვალა, რომ მან ფიფიასავით მოიშორა თავიდან. ეჭვი ეპარებოდა, რომ კრიმინალური პოლიციის უფროსი მის დახმარებას მოინდომებდა. მაგრამ, იმავე საღამოს მობილური ტელეფონით უცნობი მამაკაცი დაუკავშირდა. საუბარი რამდენიმე ფრაზით დასრულდა. მამაკაცმა მხოლოდ თავისი სახელი უთხრა – ნიკა მქვიაო და შეხვედრა შესთავაზა. ნანამ თავისი მშობლების ბინაში მისვლა სთხოვა, სადაც ანდროს დაღუპვის შემდეგ ცხოვრობდა, მაგრამ, ნიკამ უარი უთხრა და თან გააფრთხილა, რომ მის შესახებ არავის არაფერი არ უნდა სცოდნოდა, მშობლებსაც კი.

– მაშინ, თქვენ მითხარით, სად გსურთ შეხვედრა, – შესთავაზა ნანამ.

– მითხარით მისამართი, საღამოს რვა საათისთვის სახლთან მოგაკითხავთ, –უპასუხა ნიკამ.

– ფალიაშვილის ბოლოს, ვაკის პარკის შესასვლელთან დაგელოდებით, მაგრამ, როგორ გიცნოთ? – თქვა ნანამ.

– მე გიცნობთ, – მოკლედ უპასუხა ნიკამ და ტელეფონი გათიშა.

შეხვედრაზე მიმავალი ნანა საშინლად ღელავდა. ის, რაც რამდენიმე საათის წინ თავად სურდა, ახლა წარმოუდგენელად რთულ ამოცანად ეჩვენებოდა. უცხო ადამიანთან ისევ უნდა ელაპარაკა ისეთ საკითხებზე, რაზეც სხვა ვითარებაში არასდროს ისაუბრებდა. მაგრამ, იმასაც გრძნობდა, რომ არჩევნის საშუალება არ ჰქონდა. ბანკიდან შეტყობინების მიღების შემდეგ ზურაბი ერთადერთი ადამიანი იყო, ვინც მოუსმინა და დახმარება აღუთქვა. ახლა ამ შესაძლებლობით რომ არ ესარგებლა, ისევ მარტოს მოუწევდა ჯოჯოხეთურ სისტემასთან ბრძოლა.

ვაკის პარკის შესასვლელთან რამდენიმე მანქანა იდგა, მაგრამ, მათში არავინ იჯდა. მარცხნივ ახალგაზრდა ქალი და მამაკაცი საუბრობდნენ, ოდნავ მოშორებით კი სამი ყმაწვილი იდგა და გულიანად იცინოდა. ტროტუარზე გამვლელები მიდი-მოდიოდნენ, მაგრამ, მათ შორის არც ერთი ჰგავდა კერძო დეტექტივს, რომელსაც ნანა ელოდა.

შავი „მერსედესი" უეცრად მიადგა ტროტუარს და ნანას გვერდით შეჩერდა. მინა უხმაუროდ დაეშვა და კარის ჭრილში ახალგაზრდა მამაკაცი გამოჩნდა.

– საღამო მშვიდობისა, ქალბატონო ნანა...
– გამარჯობა.
– მე ნიკა ვარ... დაბრძანდით.

ნანამ უკანა კარი გააღო და სავარძელზე დაჯდა თუ არა, ნიკამ მაშინვე დაძრა მანქანა ადგილიდან და ქუჩას გაუყვა. რამდენიმე წუთი ჩუმად იმგზავრეს, შემდეგ ნიკამ დაარღვია დუმილი.

– ბოდიშს გიხდით, ასე რომ გხვდებით, მაგრამ, საქმისთვის ასეა საჭირო.

– მესმის, – უპასუხა ნანამ. ნიკამ კიდევ ერთი მოსახვევი მოიტოვა უკან, მანქანა ყრუ ქუჩაზე შეაჩერა და ნანას მიუბრუნდა:

– წინააღმდეგი ხომ არ ხართ, რომ მანქანაში ვისაუბროთ?

– არა.

– კარგი, მაშინ, საქმეზე გადავიდეთ: ზურაბმა დაწვრილებით ამიხსნა მდგომარეობა, რომელშიც თქვენ აღმოჩნდით, – განაგრძო ნიკამ, – ილუზიას არ შეგიქმნით, საკმაოდ რთული საქმეა. თქვენი სიმართლის დასამტკიცებლად გააფთრებული ბრძოლა მოგვიწევს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მე საკმარის არგუმენტებს მოვუყარე თავი, სასამართლო განხილვას ვერსად გავექცევით. რვაასი ათასი ლარი სახუმარო თანხა არ არის. ბანკი ბოლომდე დაიცავს თავის ინტერესებს და, მგონი, ორივეს კარგად გვესმის, რომ მას ჩვენზე მეტი ფინანსური სახსრები და გავლენა აქვს. თქვენ მზად ხართ ამისთვის?

– რას გულისხმობთ? – ჰკითხა ნანამ.

– წნეხს, რომლის ქვეშაც შესაძლოა, აღმოჩნდეთ. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ თქვენს წინააღმდეგ ყველა არსებულ მეთოდს გამოიყენებენ – დაშვებულს, აკრძალულს, ბინძურს და ყოვლად მიუღებელსაც კი.

– არ ვიცი, მე წარმოდგენა არ მაქვს, რაზე ლაპარაკობთ, – ჩაილაპარაკა ნანამ.

– გაუაზრებელ პირობას, რომ ყველაფერს გაუძლებთ, ამის მოსმენა ჯობდა, – გაუღიმა ნიკამ, – ახლა ჩვენი ურთიერთობის წესებს აგიხსნით. ნაყოფიერი იქნება თუ არა ჩემი მუშაობა, თქვენზეცაა დამოკიდებული. პირველ ყოვლისა, თქვენ არავისთან არ უნდა ილაპარაკოთ საქმეში ჩემი მონაწილეობის შესახებ და თავად საქმის დეტალებზე, ოჯახის წევრებთან და ახლო მეგობრებთანაც კი.

– ჩემი მშობლებისგან არაფერი მაქვს დასამალი, – გაუბედავად უპასუხა ნანამ.

– მესმის, მაგრამ, ყველა მამას ჰყავს ძმაკაცი და დედას – დაქალი, რომელთანაც ის დარდის გაზიარებას მოისურვებს; იმ ძმაკაცებსა და დაქალებს კი ჰყავთ თავიანთი მეგობრები და ასე იბადება მითქმა-მოთქმა, ჭორები. მითქმა-მოთქმასა და ჭორებს გავუძლებთ, მაგრამ, მე არ მინდა, რომ ჩვენი მოწინააღმდეგისთვის თქვენ თვითონვე იქცეთ ინფორმაციის წყაროდ. თუ ასეთი საუბრებისგან თავს ვერ შეიკავებთ, მე იძულებული გავხდები, არ გაგაცნოთ ჩემ მიერ დადგენილი ფაქტების ნაწილი, ეს კი ხელს შეგვიშლის მუშაობაში, – თქვა ნიკამ, – მქონდეს თქვენი იმედი?

– ჩუმად ყოფნა ძნელი არ არის, მთელი ცხოვრება ასე გავატარე, – ჩაილაპარაკა ნანამ, – სხვას რას დამავალებთ?

– ახლა დავუბრუნდეთ ხელშეკრულებას. თქვენთვის ცნობილია, რომ ხელშეკრულება ორმხრივია და, აქედან გამომდინარე, მისი ორი ეგზემპლარი უნდა არსებობდეს. თქვენ ფიქრობთ, რომ თქვენმა მეუღლემ მოტყუებით მოგაწერინათ ხელი ხელშეკრულებაზე, მაგრამ, მე ვერ გამოვრიცხავ ხელმოწერის გაყალბებასაც. სწორად გამიგეთ, ქალბატონო ნანა. ასეთ საქმეში პროკურატურას ვარაუდებს ვერ წარვუდგენთ. ყველა მოულოდნელობის თავიდან ასაცილებლად ხელშეკრულების მეორე ეგზემპლარი უნდა მოვძებნოთ. რა შეგიძლიათ მითხრათ ამის შესახებ?



– სამწუხაროდ, ვერაფერს გეტყვით. ხელშეკრულება ექვსი თვის წინაა დადებული და მე ამის შესახებ მხოლოდ ათი დღის წინ შევიტყვე, – უპასუხა ნანამ.

– იქნებ, თქვენს მეუღლეს რაიმე სამალავის მაგვარი ჰქონდა მოწყობილი, რომლის შესახებაც თქვენ არაფერი იცოდით? – ჰკითხა ნიკამ.

– არ ვიცი. ჩვენ ბინაში სეიფი გვქონდა, რომელშიც ანდრო სანადირო თოფს, პისტოლეტსა და დოკუმენტებს ინახავდა. სახლში რაიმე სამალავი რომ ყოფილიყო, მე აუცილებლად მეცოდინებოდა.

– ერთ გარემოებას მიაქციეთ ყურადღება: სავარაუდოდ, თქვენმა მეუღლემ ხელშეკრულებაზე მოტყუებით მოგაწერინათ ხელი; ან კიდევ, თქვენი ხელმოწერა გაყალბებულია. ორივე შემთხვევაში, თქვენი მეუღლე შეეცდებოდა, რომ თქვენ არასდროს გენახათ ის დოკუმენტები. აქედან გამომდინარე, ის მათ სეიფში არ დადებდა. მაგრამ, საბუთების დაკარგვის თავიდან ასაცილებლად, შორსაც არ შეინახავდა. გაითვალისწინეთ, რომ სესხი გრძელვადიანი იყო. ის ათი წლის განმავლობაში აპირებდა ამ ამბის თქვენგან დამალვას – მე მხოლოდ ბანკთან დადებულ ხელშეკრულებას არ ვგულისხმობ. სავარაუდოდ, იქვე იქნება დოკუმეტები, რაც იმაზე მიგვითითებს, თუ სად და რა საქმეში დააბანდა თქვენმა მეუღლემ ბანკიდან მიღებული ფული.

– გასაგებია, მაგრამ, მე არაფერი ვიცი ამის შესახებ, – თავი გააქნია ნანამ.

– კიდევ ერთხელ რომ დაგეთვალიერებინათ თქვენი ბინა?! იქნებ, რამე გამოგრჩათ. ან ყურადღება არ მიაქციეთ...

– არ შემიძლია იქ მისვლა, – ამოიოხრა ნანამ, – ანდროს დაკრძალვის შემდეგ ერთხელაც არ მივსულვარ, იქ ყველაფერი იმ საშინელ დღეს მაგონებს. ასე მგონია, რომ იქაურობას აღარასოდეს გაეცლება სისხლის სუნი. მე უკვე ვფიქრობდი ბინის გაყიდვაზე, როცა ბანკიდან შეტყობინება მივიღე.

– მეც გამოგყვებით.

– იქნებ, თქვენ თვითონ დაათვალიეროთ ბინა?

– ეს აკრძალულია. ბინის დათვალიერებას აუცილებლად უნდა ესწრებოდეს მისი მფლობელი, – უპასუხა ნიკამ.

– კარგით, გამოგყვებით, – უხალისოდ უპასუხა ნანამ.

– სხვა ვარიანტებსაც ნუ გამოვრიცხავთ – ხომ შეიძლება, დოკუმენტები რომელიმე ახლო მეგობარს ან თავის დედ-მამას მიაბარა? – განაგრძო ნიკამ.

– ანდრო არასდროს ახედებდა საქმეში თავის მეგობრებს. დედ-მამა კი... – ნანამ პაუზა გააკეთა და შემდეგ დაამატა – ანდრო ძალიან მიჯაჭვული იყო მშობლებს. შეიძლება მან მართლაც დედ-მამის ბინაში შეინახა დოკუმენტები, მაგრამ, ისინი სიახლოვეს არ გამიკარებენ.

– რატომ?! – გაუკვირდა ნიკას.

– მათ იცოდნენ, რომ ანდროსთან განქორწინება მსურდა, მისი დაღუპვის შემდეგ კი ურთიერთობა საბოლოოდ გაგვიფუჭდა. ისინი მე მადანაშაულებენ ანდროს სიკვდილში. ყველგან ლაპარაკობენ, რომ მათი შვილი ჩემს საყვარელს მოვაკვლევინე... – აკანკალებული ხმით თქვა ნანამ.

– დამშვიდდით. ეს იმ წნეხის ერთ-ერთი გამოვლინებაა, რომელზეც გაგაფრთხილეთ. კარგი... ჯერ ბინა დავათვალიეროთ და, თუ ვერაფერს მოვაგენით, ანდროს მშობლებს მივმართოთ.

– არა! – სწრაფად თქვა ნანამ, – გამორიცხულია, მე მათთან ვერ მივალ.

– თქვენ იქ მისვლა არ დაგჭირდებათ, ამ საკითხს მე მოვაგვარებ, – უპასუხა ნიკამ.

ნანამ მადლიერებით აღსავსე მზერა მიაპყრო და ჩაილაპარაკა:

– გმადლობთ...

– პრინციპში, ჯერჯერობით სულ ეს არის, – განაგრძო ნიკამ, – ხვალ შუადღისთვის მოგაკითხავთ და ჩემს ოფისში წაგიყვანთ. ვიდრე ჩემს ორგანიზაციასთან ოფიციალურ ხელშეკრულებას არ გააფორმებთ, მე საქმეზე მუშაობის უფლება არ მექნება.

– ჰო... ხელშეკრულებაზე მეც მინდოდა მეკითხა თქვენთვის, – გამოცოცხლდა ნანა, – მე უნდა ვიცოდე, მეყოფა თუ არა ჩემი დანაზოგი თქვენს დასაქირავებლად. მაინც, რამდენი უნდა გადაგიხადოთ მომსახურებაში?

– მომსახურების ტარიფები ასოციაციის წესდებითაა განსაზღვრული, ოფისში ყველაფერს აგიხსნიან.

– დაახლოებით მაინც მითხარით თანხა.

– ნუ გეშინიათ, იმაზე მეტს არ გამომგართმევთ, ვიდრე ბანკი მოითხოვს, – გაიცინა ნიკამ შემდეგ ძრავა ჩართო და მანქანა ადგილიდან დაძრა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

**გეიშების თემის შემდეგ, ალბათ, ლოგიკურია ჩვენთვის უცხო და საინტერესო იაპონურ კულტურაზე საუბრის გაგრძელება მათი სამოსით, რომელიც არ არის მხოლოდ სხეულის დასაფარავად საჭირო ნივთი ან მოდური აქსესუარი. იაპონელისთვის კიმონო გასულიერებულია; მისი ფერები, მასზე დაქარგული გამოსახულებები თავად საუბრობენ ადამიანზე, რომელიც მას ატარებს. კულტუროლოგი ნინო გოგავა კიმონოს საიდუმლოს აგვიხსნის.**

# რატომ იკრავდნენ იაპონელი ქალები კიმონოს ქვეშ მკერდს და რის გამო ატარებენ ისინი ორქუსლიან ფეხსაცმელს

**ნინო გოგავა**: იაპონელი კიმონოს გარეშე ვერ წარმოგვიდგენია, რადგან, ეს მათი ნაციონალური ხასიათის, თვითმყოფადობის გამოხატულებაა. კიმონო არის დეკორატიული ხელოვნების ულამაზესი ნიმუში. ჯერ კიდევ 712 წლიდან შემორჩენილ იაპონურ ანალებში გვხვდება კიმონოს დასახელება, რომელიც იაპონელს აცვია. მანამდე იაპონელები ჩინური სტილის ხალათს ატარებდნენ, რომელიც მარცხნივ იკვრება, მოგვიანებით კი ამ სამოსმა ცვლილება განიცადა და კიმონოს სახე მიიღო. ჩინეთიდან იღებდნენ აბრეშუმსაც, რადგან, მხოლოდ ამ ქსოვილით შეიძლებოდა კიმონოს შეკერვა. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, კიმონოს უწოდებდნენ – „სამოსი სამეფო გოდან“. გო იყო პატარა სამეფო ჩინეთში, სადაც აბრეშუმს აწარმოებდნენ. ვაფუკუ, კიმონო და გოფუკუ – ეს არის სამი სამოსი, რომელსაც იაპონელები ატარებენ. კიმონო აცვია ყველას – ქალს, კაცს და ბავშვსაც კი. კიმონო არსებობს სპორტული, საშინაო, სარიტუალო, რაუტზე ჩასაცმელი.

**– აბრეშუმის სამოსი, ალბათ, ძალიან ცივი იქნებოდა.**



**თუ კიმონოს სახელო ერთ მეტრზე მეტია, ეს ნიშნავს, რომ გოგონა გაუთხოვარია ან მაიკოა. გათხოვილი ქალის კიმონოზე სახელოს სიგრძე მოკლდება**

– რა თქმა უნდა. ზამთარშიც აბრეშუმის კიმონოები ეცვათ. არსებობდა სპეციალური მოსასხამები, რომელთა ტარების უფლებაც მხოლოდ მამაკაცებს ჰქონდათ. ქალებმა თბილი ჟაკეტი მოგვიანებით ჩაიცვეს. ახლა ქალები ძირითადად ბეწვის ქურქებს ხმარობენ, რაც ადრე იაპონიაში წარმოუდგენელი იყო – მათთვის მიუღებელია ცხოველის ტყავის დამუშავება. მეოცე საუკუნიდან მოყოლებული, ევროპამ თავისი გავლენა იქონია და ახლა ბეწვის ქურქებიც ჩაიცვეს. ქალის კიმონო შედგება თორმეტი ელემენტისგან, რაც დღეს აღარ იხმარება, რადგან, თანამედროვე ქალისთვის მისი ჩაცმა ძალიან რთულია და დიდ დროს მოითხოვს. მამაკაცის კიმონო შედგება ხუთი ელემენტისგან, ხუთი ნაწილისგან, რომელიც იკერება. მამაკაცის კიმონოსთვის დამახასიათებელია უფრო მოკლე სახელო და, რა თქმა უნდა, ქამარი – ობი. მისი შეკვრა ძალიან რთულია. გოგონები სულ პატარა ასაკიდან სწავლობდნენ ობის შეკვრას, სპეციალური სკოლებიც კი არსებობდა ამისთვის. კაცის კიმონო თეძოზე იკვრება და ის მუქია – შავი, მუქი ნაცრისფერი, ყავისფერი, მუქი მწვანე. მხოლოდ სუმოს მოჭიდავეების კიმონოა ბორდო-იასამნისფერი. ამ სამოსში მთავარია კიმონოს დაქარგვა, თუ როგორი მოხატულობა აქვს მას. თუ კიმონოზე ხუთი ღერბია, ეს ნიშნავს, რომ ის სადღესასწაულოა. თუ მამაკაცი მაღალი არისტოკრატიული ოჯახის წარმომადგენელი იყო, მისი ღერბები განლაგებული იყო მხრებზე, ზურგსა და გულისპირზე. ყოველდღიურ კიმონოზე მხოლოდ სამი ღერბი იყო დატანილი. კაცის კიმონოზე აუცილებლად უნდა ყოფილიყო ამოქარგული გველეშაპები, იეროგლიფები, რომლებიც გამოხატავდნენ ძლიერებას, წარმატებას, სიმდიდრესა და დიდებას. დიდი მნიშვნელობა აქვს კიმონოს შეკვრას – ის აუცილებლად მარჯვენა მხარეს იკვრება. მხოლოდ მიცვალებულს უკრავენ მარცხენა მხარეს.

**– ქალის კიმონო, ალბათ, უფრო მრავალფეროვანი იყო.**

– რა თქმა უნდა. კიმონო – ეს არის ქალურობის, სინაზის, მოხდენილობისა და სიკეკლუცის სიმბოლო. ის ძალიან რთული სატარებელია. ამ დროს ქალის ზურგი სწორია, მხრები – მოშვებული, ნიკაპი – ქვემოთ დახრილი და შეწეული, ნაბიჯები კი ძალიან მოკლეა, რადგან მოძრაობას კიმონო ზღუდავს, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ კიმონო საოცრად თავისუფალია. მისი ნაკერებიც კი ისე კეთდება, რომ მასში ზამთარ-ზაფხულ ქარი მოძრაობს.

**– კიმონოს შიშველ სხეულზე იცვამენ?**

– არა, კიმონოს შიგნით ორი ხალათი იცმევა. მიჩნეულია, რომ იაპონელი ქალი საცვალს არ იცვამს. იაპონელები ამბობენ, რომ პატიოსანი ქალი აუცილებლად ატარებს ხალათს კიმონოს ქვეშ. ევროპელის საცვალს, ბიუსტჰალტერს ისინი, რა თქმა უნდა, არ ხმარობდნენ. ევროპაში, როცა ხაზი ესმევა ქალის სხეულის სილამაზეს, აქცენტები მკერდზე, გამოყვანილ წელზე კეთდება. იაპონელისთვის ეს მიუღებელია. ქალი უნდა იყოს აბსოლუტურად შეფუთული და ფიცარივით სწორი, ამობურცული ადგილები მის სხეულზე საერთოდ არ უნდა ჩანდეს. მკერდს პატარაობიდან უკრავდნენ, რომ არ გაზრდოდათ. მით უმეტეს, გამორიცხული იყო, რომ ფეხის ან ხელის ნაწილი გამოსჩენოდათ. ძალიან სექსუალურად ითვლებოდა, როცა გეიშა, მარაოთი ცეკვის დროს, ხელის მტევანსა და კიმონოს შიდა ხალათის კალთებს გამოაჩენდა. ერთ კიმონოს შეკერვას 4-დან 12 მეტრ აბრეშუმამდე სჭირდება. სტანდარტული კიმონო, ძირითადად, 9 მეტრისგან იკერება. იყენებენ ძალიან ნაზ ძაფებს, რათა ქსოვილის დაჭიმვა არ მოხდეს. როდესაც კიმონო გარეცხვას საჭიროებს, ის მთლიანად იშლება თორმეტ ნაწილად, ცალ-ცალკე ირეცხება და მერე თავიდან იკერება. კიმონოს კერავენ და ქარგავენ ხელით და ამიტომაც ღირს ძალიან ძვირი. ის ყველასთვის ხელმისაწვდომი არ არის და არსებობს გაქირავების ცენტრები, სადაც ქალები სადღესასწაულოდ ქირაობენ კიმონოებს. ამჟამად იაპონიაში კიმონოების ბუმია, მათ ტრადიციების შენარჩუნების დიდი სურვილი აქვთ, მაგრამ ყოველდღიურ ცხოვრებაში მისი მოხმარება რთულია.

**– ფერებს რა მნიშვნელობა აქვს?**

– გათხოვილ ქალს აუცილებლად უნდა ჰქონოდა შავი კიმონო, რომელიც მოქარგული იყო ყვავილებით, თაიგულებით. ქორწილში სიძისა და პატარძლის დედები აუცილებლად იცვამენ შავ კიმონოებს. თეთრი მათთვის სამგლოვიარო, უფრო სწორად, სარიტუალო ფერია. ქორწილში პატარძალს თეთრი კიმონო აცვია, რომელზეც აუცილებლად არის ამოქარგული გირლიანდები და წეროები, რაც ბედნიერების ნიშანია. თავზე ახურავს სპეციალური თეთრი ქუდი. იაპონელები ამბობენ, რომ ქალში ეშმაკი ზის და ყველა ქალს აქვს პატარა რქები. ქორწილის დღეს კი ქუდს იმიტომ ვაფარებთ, რომ რქები გავაქროთო. ქორწინების ცერემონიალის დასრულების შემდეგ, პატარძალი იცვლიდა და იცვამდა წითელ კიმონოს. წითელი არის კიმონოს ყველაზე ძვირად ღირებული ფერი. არნახულად ლამაზია ეს ცერემონიალი თავისი წითელი კიმონოთი. ქალის კიმონოსთვის, ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია ობი, რომელსაც მკერდს ქვემოთ იკრავენ. იაპონელები ამბობენ: „ქალმა, რომელმაც ობის შეკვრა არ იცის, მან არაფერი იცის“. თანამედროვე ქალებს ეს, რა თქმა უნდა, აღარ ეხებათ. კიმონოზე ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სახელოს: თუ მისი სახელო ერთ მეტრზე მეტია, ეს ნიშნავს, რომ გოგონა გაუთხოვარია ან მაიკოა. გათხოვილი ქალის კიმონოზე სახელოს სიგრძე მოკლდება. თუ სტანდარტული კიმონოს სიგრძე 1 მეტრი და 50 სანტიმეტრია, გეიშებს და მაიკოებს ორი მეტრის სიგრძის კიმონოები ეცვათ. კიმონო სტანდარტულია და, შეიძლება ქალს მთელი ცხოვრება ეცვას: სანამ პატარაა, ქამარში, ანუ ობიში ისეა მისი სიგრძე ფენა-ფენად ჩაკეცილი, რომ ფეხს უფარავდეს; როცა იზრდებიან, ამ ქამრის დახმარებით მის სიგრძეს არეგულირებენ. კიმონოს აუცილებელი ატრიბუტია საბო, რომელსაც ორი ათსანტიმეტრიანი ქუსლი აქვს – თითებთან და ქუსლთან, აქვს ტყავის თასმები, როგორც „შლოპანცებს”, იმისთვის, რომ მოკლე ნაბიჯები გადადგან, რაც სილამაზის ნიშანია. ჩინეთში, მაგალითად, მაღალი წრის, არისტოკრატ ქალებს ბავშვობიდანვე უკრავდნენ ფეხის თითებს ძალიან მაგარი თასმებით, რომ თითები მოღუნვოდათ. ამის გამო, მათ არ შეეძლოთ სწორად სიარული და დიდი ნაბიჯების გადადგმა, რაც მათ ელეგანტურობად ითვლებოდა.

**– რატომ იყო კიმონოს ჩაცმა ასეთი რთული?**

– ქამარი ძალიან გრძელია, ის თხელი მაუდისგან იკერება და იკვრება თხელი ზონრით, რომელზეც საზღვაო თასმები კეთდება. იჭრებოდა პატარა ოთხკუთხედი ხის ფიცარი, რომელსაც ზურგზე ადებდნენ, რათა ქამარი არ ჩამოვარდნილიყო. ახლა ფიცრის მაგივრად ბაფთებს აკეთებენ. ქალებს კიმონოები სეზონის მიხედვით აცვიათ. გამორიცხულია, რომ საკურას ყვავილების დროს ქალმა ქრიზანთემებით მორთული კიმონო ჩაიცვას. თორმეტი თვეა და ყველა თვეს თავისი დატვირთვა აქვს.

**– რატომ უყვართ იაპონელებს საკურა ასე ძალიან?**

– შუა საუკუნეებში, ერთი სოფლის მამასახლისს, რომელსაც საკურა ერქვა, ფეოდალი ძალიან ცუდად ექცეოდა, მის შვილებს კი სცემდა. საკურა ადგა, წავიდა და ფეოდალი სიუგუნთან დააბეზღა, მერე ბავშვებს გახადა და მათრახებით ნაცემი ზურგი აჩვენა. სიუგუნმა ფეოდალი დასაჯა. ფეოდალმა შურისძიება გადაწყვიტა და ხელქვეითებს უბრძანა, რომ საკურა და მისი შვილები ალუბლის ხეზე მიებათ და სიკვდილამდე ეცემათ. მოხდა ისე, რომ თეთრად აყვავებული ალუბლის ხე წითლად შეიღება. იაპონელებს სჯერათ, რომ საკურა უცოდველი ბავშვების სისხლით არის შეღებილი და მას უდიდესი პატივი უნდა სცენ. მცენარე სულ რამდენიმე დღე ყვავის და ეს მათთვის საოცარი დღესასწაულია, რაც კიმონოშიც აისახება: ვარდისფერი, რძისფერი თეთრი, ოდნავ მუქი ვარდისფერი – ეს გაზაფხულზე სატარებელი კიმონოა და საოცრად ლამაზია. აუცილებელია, ქალმა ატაროს ქოლგა, გაშლილი ქოლგა ნიშნავს, რომ მის ქვეშ მისი სივრცეა.

საიმპერატორო კარს თავისი ფერი აქვს – მათი კიმონოები ყვითელი, ოქროსფერია და მოქარგულია ბამბუკის ყლორტებით, ნაზი იელებით; ასევე, აუცილებლად არის თეთრი საკურა, თეთრი ქრიზანთემები და სხვადასხვა ფორმის მარგალიტები.

**სალომე გველესიანი**



## დედალამაზიშვილების ოჯახში პატარა ელენიკო გაჩნდა

10 მარტს დავით გაგუას კლინიკაში ნინი დედალამაზიშვილს ულამაზესი გოგონა – ელენიკო შეეძინა, რომლის დაბადებასაც დედალამაზიშვილების მთელი ოჯახი სულმოუთქმელად ელოდა. ნინის გადაწყვეტილი ჰქონდა ფიზიოლოგიური მშობიარობა და ამისთვის ექიმი დავით გაგუაც მომზადებული იყო, თუმცა, მდგომარეობა გართულდა და უკვე დაწყებულ მშობიარობაზე სასწრაფო საკეისრო კვეთის ჩატარება გადაწყდა.

**ნინი დედალამაზიშვილი:** „საშინლად ვინერვიულე, მაგრამ, კოტიკო დამიდგა გვერდში, დამამშვიდა და, მივხვდი, ყველაფერი კარგად იქნებოდა. თან, სასწაული ექიმი მყავდა, გამაგიჟა, შემიყვარდა. ყველას ვურჩევ, რომ დავით გაგუასთან მივიდეს სამშობიაროდ“.

საკეისრო კვეთას ნინის მეუღლე, კოტიკო ყიფიანი დაესწრო, რადგან, ასეთ დროს, ახალშობილს მამას აწვენენ გულზე.



**ნინი**: „მამა მშვიდად იყო, მაგრამ, აი, გარეთ თურმე დიდი ამბავი ყოფილა, პანიკაში იყვნენ გიგი და მარინა, საშინლად უნერვიულიათ. ბებიაქალები მე მსაყვედურობდნენ – გარეთ ნამდვილი მიტინგია, რა ამბავიაო“ ***(იცინის).***

პატარასთვის სახელი მამიკომ შეარჩია, რომელიც დედასაც ძალიან მოსწონს. სახლში მისულ დედა-შვილს სიურპრიზად დახვდა უკვე მოწყობილი ოთახი. პატარამ უამრავი საჩუქარი მიიღო.

**ნინი:** „არ ვიცი, ამის გარეშე აქამდე რას ვაკეთებდი და, საერთოდ, რითი ვიყავი დაკავებული. ერთი კვირისაა და ჩემი ცხოვრება უკვე შეცვალა“.

## Tbilisi Open Air ლეგენდარულ Deep Purple-ს უმასპინძლებს

ყოველწლიური მუსიკალური ფესტივალი – Tbilisi Open Air – 2013 წელს განსაკუთრებით საინტერესო პროგრამას გვპირდება. ფესტივალი 5 ივნისს „დინამო არენაზე“ გაიმართება იმ ინტერესის გათვალისწინებით, რომელიც ფესტივალის მიმართ აქვს საზოგადოებას – სტადიონის ტრიბუნები ყველას დაიტევს. გასულ კვირას, „დინამო არენაზე“ გამართულ პრესკონფერენციაზე საჯარო გახდა ფესტივალში მონაწილე ლეგენდარული ჯგუფების ვინაობა. 5 ივნისისთვის თბილისს ეწვევიან: Deep Purple, Tricky, Infected Mushroom, The Subways, Black Strobe და Modeselektor. Tbilisi Open Air იქნება ყველაზე მასშტაბური მოვლენა მთელ ამიერკავკასიაში და ფესტივალის ისტორიის განმავლობაში, მასში მონაწილე არტისტების, ფორმატის, გარემოსა და მასშტაბის გამო. ფესტივალის ორგანიზატორია კომპანია „ალთერ ვიჟენ ჯგუფი“. გასული წელი ფესტივალის ისტორიაში მნიშვნელოვანი ეტაპი იყო, როცა თბილისს ეწვივნენ ჯგუფები – „დედდეტე“ და „დუბ ეფიქსი“. მსმენელების რაოდენობამ, ორი დღის განმავლობაში, ჯამში 60 000 შეადგინა.







## წიგნი, გამთბარი მესხეთის სიყვარულით

უკანასკნელ პერიოდში საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა პროფესორ ამირან მექვაბიშვილის ნაშრომები, რომლებიც აქტუალური პრობლემების მეცნიერული კვლევაძიების სიღრმით გამოირჩევა. ამჯერად კი საზოგადოებამ მიიღო განსხვავებული შინაარსის მქონე საყურადღებო ნაშრომი, რომელიც მემუარულ ჟანრს განეკუთვნება. წიგნი – „ოცი წელი მესხეთში“ – დაწერილია მესხეთის დიდი სიყვარულით. დარწმუნებული ვართ, მესხეთში მცხოვრები ყველა ოჯახისთვის ის ძვირფასი რელიკვია გახდება, რადგან, მასში აისახა მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის უნიკალური მონაკვეთი, სამი რაიონის – ახალციხის, ადიგენისა და ასპინძის სოციალ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების თვალსაზრისით. გამოკვეთილია იდეოლოგიურ სფეროში არსებული ვითარება, ეროვნული დღესასწაულების დაუვიწყარი წუთების განცდა, საქართველოს ამ ისტორიული მხარის განვითარების შთამბეჭდავი ეპიზოდები. წიგნის ყურადღების ცენტრში დგას ადამიანი, მისი ამაღლება და, ზოგადად, ცხოვრება, თავისი ავ-კარგით.

წიგნი წარმოადგენს მცირე მოგონებებს ავტორის მესხეთში მუშაობის დაუვიწყარი დღეების. ესაა სამახსოვრო ეპიზოდები თუ იუმორისტული თვალით დანახული სიტუაციები. ავტორი გვიამბობს საინტერესო ადამიანების შეხვედრებისა და ურთიერთობების შესახებ.

ყველაზე მნიშვნელოვნად კი მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ ბატონი ამირანი თავად არის ადამიანი, რომელსაც ათეული წლების შემდეგაც კი იხსენებენ მესხეთში როგორც კოლორიტულ პიროვნებას. ამ შესანიშნავი გარეგნობისა და მაღალი ზნეობრივი თვისებებით შემკულ ადამიანზე, შეიძლება ითქვას, სიცოცხლეშივე ქმნიდნენ ლეგენდებს... შრომისმოყვარეობისა და ულევი ენერგიის წყალობით მესხეთის ყოველ კუთხე-კუნჭულს თავისი კვალი დაამჩნია, სანაცვლოდ კი ხალხის დიდი მადლიერება მოიპოვა.

წიგნს ენციკლოპედიური ღირებულება გააჩნია. ავტორი შეეცადა, საარქივო მასალების შესწავლა-გაანალიზებასთან ერთად, გამოეყენებინა მეხსიერების წიაღში არსებული ცოცხალი მოგონებები და საკუთარი თვალით ნანახი ფაქტები, რაც უდავოდ დიდ ინტერესს იწვევს მკითხველში.

წიგნში ორიგინალურადაა წარმოდგენილი ადამიანებთან თანადგომის, სიკეთისა და რწმენის განმტკიცების უამრავი მაგალითი.

ვუსურვოთ წიგნის ავტორს ახალ-ახალი წარმატებები.

**ლიანა ხმალაძე, მარეხ დათიაშვილი, ზაალ ცინაძე**



## ეთერ ქელიძის საღამო „მაგთი კლუბში“

20 მარტს „მაგთი კლუბში“ გაიმართება ლეგენდარული ავტორ-შემსრულებლის, ეთერ ქელიძის საიუბილეო საღამო, რომელიც ეძღვნება ამ უნიჭიერესი ქალბატონის 75 წლის იუბილეს. კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ ქართული ესტრადის ის კაშკაშა ვარსკვლავები, რომელთა რეპერტუარშიც ეთერ ქელიძის სიმღერები შედის. ქალბატონი ეთერის ყველაზე მეტი სიმღერა კი მისი შვილიშვილის, ცნობილი მომღერლის – ანი სირაძის რეპერტუარშია, რომელიც განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულით ასრულებს ბებიის მიერ დატოვებულ საოცრად მელოდიურ სიმღერებს. საღამოზე იმღერებენ: ლიზა ბაგრატიონი, ნატო მეტონიძე, ნუკრი კაპანაძე, ნეკა სებისკვერაძე, მერაბ სეფაშვილი, ვერიკო ტურაშვილი და სხვები. კონცერტი ცოცხალი ბენდისა და როიალის თანხლებით ჩაივლის. „მაგთი კლუბში“ ყველა იმ ადამიანს შეუძლია, მივიდეს, ვისაც ქართული ესტრადის რენესანსის ეპოქა ენატრება.



**მოამზადა სალომე გველესიანმა**



რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი

# როგორ მოვიქცეთ, რომ ბოროტმა ადამიანებმა ვერ მოახერხონ ჩვენი ბიოველის გარღვევა და მასში ნეგატიური ინფორმაციის შეტანა

> *„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*
>
> **კურტ ვონეგუტი**

ნებისმიერ ადამიანს სურს, რომ ის დაცული იყოს გარემოს უარყოფითი ფაქტორებისგან, მეტად უმართლებდეს, თავიდან აიცილოს შესაძლო საფრთხეები და ასე შემდეგ. ჩვენს სხეულს გარშემო სპეციალური გარსი აკრავს, რომელიც ჩვენსავე დაცვას უზრუნველყოფს და, მისი დარღვევის შემთხვევაში, უამრავი პრობლემა იჩენს თავს.

ყველა ადამიანს უხილავი ენერგოინფორმაციული ველი აკრავს გარს, რომელიც მას გარე სამყაროს უარყოფითი ძალებისგან იცავს და ის კოსმიური ძალების ზეგავლენით იცვლება. ის თვალით უხილავია და იცავს ადამიანს გარე ძალების არასასურველი ჩარევისგან. სუფთა და უბოროტო ადამიანის ბიოველის გარღვევა და დაზიანება ძალიან რთულია. შესაბამისად, ასეთი ადამიანები მეტად დაცულები არიან გარე ფაქტორების ნეგატიური ზემოქმედებისგან. ასეთი ადამიანების ბიოველში ნეგატიური ინფორმაციის შეტანა რთულია. საერთოდ, აურა ადამიანის გარშემო მანათობელი გარსია, რომელიც ამა თუ იმ ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური მდგომარეობის მიხედვით იცვლის ფერს. ბიოველი კი იგივე აურაა, რომელიც სიმეტრიულად არის განაწილებული ადამიანის სხეულის გარშემო.

ადამიანს აქვს ფარული ენერგიების დიდი მარაგი, რაც ხშირად ფიზიკურ ამტანობაში ვლინდება. ექსტრემალურ სიტუაციაში ორგანიზმში იღვიძებს ფარული რეზერვები, უმჯობესდება ტვინის მუშაობა, მახვილდება ყნოსვა და სმენა. რაც შეეხება ადამიანის ბიოველის ფერს, ის ფერს იცვლის ადამიანის განწყობის მიხედვით. ბიოველს თავისი ფერები აქვს. სწორედ ამ ფერების მიხედვით შეგვიძლია შევიტყოთ, რას განიცდის ადამიანი კონკრეტულ სიტუაციაში. აურის დანახვა ექსტრასენსს ზემგრძნობიარე თვალის საშუალებით შეუძლია და, თუ ის ამბობს, რომ ყავისფერ ან ნაცრისფერ აურას ხედავს, ესე იგი, ადამიანი მძიმედაა ავად და მას განსაცდელი ელის. ასევე, შესაბამის სპეციალისტს შეუძლია, თავისი ძალებით ჩაერიოს და აურის კორექცია მოახდინოს. სხვათა შორის, ბიოველის დარღვევა და დეფორმირება იწვევს ისეთ დაავადებებს, რომელთა განკურნებაც, პრაქტიკულად, შეუძლებელია. ასევე, ბიოველი შთამომავლობით გადაიცემა, ანუ დარღვევები შთამომავლობით, შვილებსა და შვილიშვილებზე გადადის და ეს გადაცემა ენერგეტიკულ დონეზე ხდება.

დადებითი ემოციები ზრდის ბიოველს. მაგალითად, თუ ადამიანი ადვილად ექცევა სხვისი ენერგეტიკული ზემოქმედების ქვეშ, მარტივად რომ ვთქვათ, იღებს თვალს, ანუ, დადის გათვალული, მისი აურა თანდათან დეფორმირდება, ირღვევა და სასიცოცხლო ენერგია კოსმოსში გაედინება. ენერგიის გაცვლა-გამოცვლა ბუნების დაუწერელი კანონია და ნებისმიერი ენერგეტიკული გამონატყორცნი, დადებითი იქნება ის თუ უარყოფითი, ყოველთვის თავის უპირველეს წყაროს უბრუნდება. რწმენა, სიყვარული, იმედი, სიხარული და ასე შემდეგ, ადამიანებს ენერგეტიკულად აძლიერებს, ხოლო უიმედობა, შიში, დეპრესია, შური, ეჭვიანობა თუ სამაგიეროს გადახდის სურვილი – ენერგიას აკარგვინებს და ბიოველს უსუსტებს ადამიანს.

მობილური ტელეფონი, ტელევიზორი, კომპიუტერი თუ სხვა ტექნიკა ჩვენს აურას საგრძნობლად ასუსტებს და ამის გამო უამრავი დაავადება იჩენს თავს, რომელიც ბიოველის დასუსტებით არის გამოწვეული. წარმოიდგინეთ, რამხელა უარყოფითი ენერგიების ნაკადი გროვდება ჩვენს ბინებში, სადაც ტელეფონიც არის, ტელევიზორიც და კომპიუტერიც. ამიტომ, არსებობს მეთოდი, რომელიც დროდადრო უნდა გამოიყენოთ და ამით გაწმინდოთ ბინის ბიოველი, ანუ აურა. მთვარის მილევის პერიოდში, ღამით, გააღეთ ფანჯრები და კარი, საიდანაც ბინაში შემოვა სუფთა ჰაერი და მას კოსმოსიდან შემოჰყვება მილეული მთვარის ენერგია, რომელიც ბინის აურაზე დადებითად მოქმედებს. რაც შეეხება ადამიანის აურას, მთავარია, იზრუნოთ, რომ ის არ დაზიანდეს და არ დეფორმირდეს. ამისთვის კი გირჩევთ, არ ჩაიდოთ გულში ბოღმა, შური და სამაგიეროს გადახდის სურვილი; იყავით მეტად ოპტიმისტი, შეინარჩუნეთ სტაბილურობა და ასე დაეხმარეთ საკუთარ ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს.

ასე რომ, იყავით უბოროტო და სუფთა, რათა ბოროტმა ადამიანებმა ვერ მოახერხონ თქვენი ბიოველის გარღვევა, მასში ნეგატიური ინფორმაციის შეტანა და ამით თქვენი დასუსტება.

# შეკითხვა ასტროლოგს

**კითხვა: ჩემი გოგონა დაიბადა 1995 წლის 1 აპრილს, პირველის წუთებზე. რომელ სფეროში ელის წარმატება და რომელი ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულთან ექნება სტაბილური ოჯახი?**

**პასუხი:** თქვენი შვილისთვის სასიყვარულო-საოჯახო ურთიერთობა მისაღებია შემდეგი ზოდიაქოს ნიშნების ქვეშ დაბადებულ ადამიანთან: მორიელთან, თევზებთან, კუროსთან ან ქალწულთან. არ ვურჩევ ურთიერთობას მშვილდოსანთან. პროფესიებიდან კი მისაღებია: პოეზია, ლიტერატურა, ხელოვნების ფართო სპექტრი, ოკულტიზმი, ფილოსოფია, ფსიქოლოგია, სამეცნიერო კვლევა, მანქანების ბიზნესი, არქიტექტურა, მანქანათმშენებლობა, საინჟინრო საქმიანობა, ფსიქოთერაპია.

**კითხვა: დავიბადე 1986 წლის 20 სექტემბერს. რა არის ჩემი კარმულ-კოსმიური მისია დედამიწაზე?**

**პასუხი:** თქვენი კარმულ-კოსმიური მისიაა, იყოთ სამშობლოს პატრიოტი, კარგად ერკვეოდეთ ადათ-წესებში, ისტორიაში, ტრადიციებში. უნდა შეინარჩუნოთ სტაბილური საოჯახო, პარტნიორული ურთიერთობები. უფრო მეტად დაეყრდნოთ ინტუიციას, იყოთ ფრთხილი და წინდახედული, ისწავლოთ საიდუმლოს დაცვა. ასევე, უნდა იყოთ ორგანიზებული და ერთგული და ირგვლივაც ერთგული ადამიანები უნდა შემოიკრიბოთ. გახდეთ ნებისყოფიანი, მომთმენი, შრომისუნარიანი, ბრძოლისუნარიანი. ასევე, ხარჯოთ ფული ყაირათიანად – ყოველივე ეს თქვენთვის გამარჯვების მომტანი ფაქტორებია.

**კითხვა: დავიბადე 1988 წლის 25 აპრილს, ღამის საათებში. მინდა უცხოეთში წასვლა. რომელი ქვეყანაა ჩემთვის მისაღები?**

**პასუხი:** თქვენი კოსმიური მისია უკავშირდება სამშობლოსა და მის სამსახურს. თუმცა, უცხოეთში წასვლა დროებით საცხოვრებლად და სამუშაოდ არ არის ურიგო. ქვეყნებიდან კი მეტად მისაღებია: ინგლისი, დანია, ავსტრალია, ყაზახეთი, ვიეტნამი, ლაოსი, სინგაპური, მალაიზია, ჩინეთის აღმოსავლეთი ნაწილი, ამერიკის შეერთებული შტატებიდან – დასავლეთი მხარე, შვედეთი, ჰოლანდია, შოტლანდია, თურქეთი, უზბეკეთი, ინდოეთი, იტალიიდან – ვენეცია.

**კითხვა: ჩემი შვილი დაიბადა 2003 წლის 7 თებერვალს. რა არის მისი კარმული მისია?**

**პასუხი:** თქვენი შვილის კარმული მისიაა, წარმოაჩინოს სულიერი თვისებები, იყოს აქტიური, ინიციატივიანი, პრაქტიკული, ენერგიული. უნდა შეძლოს პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება, ლიდერული თვისებების გამოვლენა; ასევე, იყოს უშიშარი და მებრძოლი. სადაც შევა, უნდა შეიტანოს სიმშვიდე, ჰარმონია და არა დეპრესია და აგრესია. მეტად დაეყრდნოს ოპტიმიზმსა და კეთილშობილებას. იყოს კანონმორჩილი, სამართლიანი, დიპლომატიური.

**კითხვა: დავიბადე 1974 წლის 29 ოქტომბერს. რომელი ქვეყნებია ჩემთვის მისაღები და რომელ პროფესიაში მელის მეტი წარმატებები ბარიერების გარეშე?**

**პასუხი:** უცხოეთი თქვენი კარმული მისია ნამდვილად არ არის, ანუ, ზოგადად, ის საშუალოა. ქვეყნებიდან კი შედარებით მისაღებია: გერმანია, იაპონია, ხორვატია, ინდოეთის დასავლეთი მხარე; ლიტვა, საბერძნეთი, ესპანეთის ანდალუზიის მხარე, შვედეთის ჩრდილოეთი ნაწილი; ამერიკის შეერთებული შტატებიდან – ვირჯინიის შტატი; თურქეთის დასავლეთი ნაწილი და ბელორუსია. პროფესიებიდან კი წარმატებების მომტანია: საბანკო, ეკონომიკური, კომერციული, სავაჭრო, საფინანსო საქმე, პედაგოგიური სფერო, ლინგვისტიკა, უცხო ენები, მთარგმნელობითი საქმიანობა, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, მედიცინა, სოციოლოგია, ჟურნალისტიკა, სარეკლამო და საგამომცემლო ინდუსტრია.

**კითხვა: დავიბადე 1993 წლის 12 ნოემბერს. გთხოვთ, მიპასუხოთ, რომელ პროფესიებში ვიქნები წარმატებული?**

**პასუხი:** თქვენთვის წარმატებების მომტანია შემდეგი პროფესიები: ჟურნალისტიკა, რადიო, ტელევიზია, პრესა, სარეკლამო და საგამომცემლო ინდუსტრია, საავიაციო ბიზნესი, პოეზია, ლიტერატურა, ხელოვნების ფართო სპექტრი, საქველმოქმედო საქმე, სასტუმროების ბიზნესი.

## ვერძი

შესაძლებელია ცხოვრების რადიკალურად შეცვლა. ყურადღებით გადაამოწმეთ ფინანსური დოკუმენტაცია. საყვარელ ადამიანთან უთანხმოებას სხვაგვარად მიუდექით და ეცადეთ, ახლებური მეთოდით გამოასწოროთ სიტუაცია. შეძლებისდაგვარად შეცვალეთ კვების რეჟიმი, რათა გაიუმჯობესოთ ჯანმრთელობის მდგომარეობა.

## კურო

ახალი იდეების განხორციელება, ჯობია, სხვა დროისთვის გადადოთ. ნუ გარისკავთ, უარი თქვით მოგზაურობაზე. ეცადეთ, განამტკიცოთ კავშირები, დაუკავშირდეთ ახალ პარტნიორებს და დაამყაროთ კონტაქტი უცხოელებთან. სასიყვარულო და მეგობრულ ურთიერთობებში ოფიციალურობა და თავშეკავება გაუგებრობების მიზეზი გახდება.

## ტყუპები

კარიერაში წინსვლა დროებით შეჩერდება, თუმცა, შესაძლებელია, იპოვოთ გამოსავალი ყველაზე რთული სიტუაციიდანაც კი. ნუ დაარღვევთ კანონს და ნუ გადადებთ საქმეებს სხვა დროისთვის. ჯობია, უარი თქვათ შორეულ მოგზაურობაზე და მოუფრთხილდეთ ჯანმრთელობას, რადგან, თქვენი ენერგეტიკა ჯერ კიდევ დაბალია.

## კირჩხიბი

გაგიჭირდებათ ბევრ ხალხთან ურთიერთობა, ამიტომ, უარი თქვით გართობაზე. ახლობლებთან ურთიერთობისას მეტად ტაქტიანი იყავით. იმოქმედეთ დინჯად. ერიდეთ აზარტულ თამაშებსა და საქმეში რისკს. რთულ სიტუაციაში უსმინეთ ინტუიციას. საქმიან და სასიყვარულო პარტნიორებთან აუცილებელია საკუთარი აზრის გატარება და პოზიციის გამყარება.

## ლომი

არ გირჩევთ ახალი საქმის წამოწყებას. აუცილებლად გადაამოწმეთ ყველა ინფორმაცია, სანამ მას გამოიყენებთ. ნუ დაიწყებთ სასიყვარულო ურთიერთობას ახალგაცნობილ ადამიანთან, რადგან, ამის გამო პრობლემები არ აგცდებათ ძველ პარტნიორთან. კარგია ცოდნის გაღრმავება და უცხოეთში მოგზაურობა.

## ქალწული

კარგია სწავლის დაწყება ან კვალიფიკაციის ამაღლება. ხშირად იყავით საზოგადოებრივ შეკრებებზე – ეს მომავალი მოქმედების სტიმულს მოგცემთ. ეცადეთ, ზედმეტად არ გადაიტვირთოთ და არ აჰყვეთ დეპრესიას. სასიყვარულო პარტნიორისგან კი, დიდი შანსია სასიხარულო ამბავი შეიტყოთ, რაც თქვენს მომავალს უკეთესობისკენ შეცვლის.

## სასწორი

კარგი დროა ახალი იდეების ჩამოსაყალიბებლად და სწრაფად შესასრულებელი საქმეების დასაწყებად. ნუ დაღონდებით, თუ შემოსავლები დააგვიანებს. რთულ სიტუაციაში დახმარებას მეგობრები გაგიწევენ. პირად ურთიერთობებში შესაძლებელია სერიოზული ცვლილებები, საყვარელ ადამიანთან – გაუგებრობები და დამოკიდებულების შეცვლა.

## მორიელი

თავს ენერგიულად იგრძნობთ და, შესაძლოა, დაიწყოთ ფიქრი შემოსავლების გაზრდასა და დამატებით სამუშაოზე. კარგია ცოდნის გაღრმავება, მოგზაურობა, უცხოელებთან მოლაპარაკებები. ასევე, გამოსწორდება ურთიერთობები ოჯახის წევრებთან და საყვარელ ადამიანთან. სასიყვარულო ურთიერთობებში ცლილებები, ჯობია, სხვა დროისთვის გადადოთ.

## მშვილდოსანი

ნუ მიაქცევთ ყურადღებას სხვების აზრს. კარგად წარიმართება იურიდიული საქმეები. ოჯახის წევრები დაგეხმარებიან ფინანსური მდგომარეობის გამოსწორებაში. არ არის გამორიცხული, გაიცნოთ ადამიანი, რომელთანაც მომავალში სასიყვარულო ურთიერთობა ჩამოგიყალიბდებათ. ერიდეთ ხალხმრავალ ადგილებს. კარგია უცხოელებთან კონტაქტი, მოგზაურობა.

## თხის რქა

ინტენსიური შეხვედრების, ახალი ნაცნობობის, ინტელექტუალური კავშირებისა და ინფორმაციის გაცვლისთვის საუკეთესო დროა. ნუ დაიწყებთ ახალ საქმეებს. ამ პერიოდში ნებისმიერი საქმიანობა ნაკლებად ხარისხიანი აღმოჩნდება. ერიდეთ რისკსა და ფიზიკურ გადატვირთვას. არ გირჩევთ ფულის ვალად აღებას. საყვარელ ადამიანთან გულახდილი საუბარი პოზიტიურად წაადგება თქვენს ურთიერთობას.

## მერწყული

დაზოგეთ თანხები და ნუ დახარჯავთ მათ უმიზნოდ. ამ პერიოდში სასიყვარულო ურთიერთობაც კი საქმიან ელფერს მიიღებს. იყავით მეტად პრაქტიკული. დაფიქრდით პროფესიის შეცვლაზე. ოჯახურ ურთიერთობებში გაიზრდება უთანხმოებები და კამათი. ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას.

## თევზები

თქვენი შემოქმედებითი პოტენციალი პიკშია, ამიტომ, ადვილად გაართმევთ თავს ახალი ინფორმაციის მიღებასა და გადამუშავებას. ხელსაყრელი პერიოდია იურიდიული და ოფიციალური საქმეების მოსაგვარებლად. საყვარელ ადამიანზე ნუ იეჭვიანებთ. კარგია მოგზაურობა. ეცადეთ, არ გადაიღალოთ, რადგან ორგანიზმი დასუსტებას იწყებს.

**ახალმთვარეობა – 10 აპრილი, 9 სთ: 36 წთ.**

# კვირის დღეების ასტროპროგნოზი

## ორშაბათი

მაღალია პრობლემების წარმოქმნის ალბათობა. ატარეთ ნარინჯისფერი, ოქროსფერი, ვერცხლისფერი, ნაცრისფერი, კრემისფერი, ცისფერი ან იასამნისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ტოპაზი, საფირონი, ნეფრიტი, იასპი ან სარდიონი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს, რადგან დიდია მათი ახდენის ალბათობა. არ ვარგა სასიყვარულო ურთიერთობები და შეხვედრები, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა; კარგია კონტაქტები, სავაჭრო გარიგებები, ხელშეკრულებების დადება, სწავლა, საბანკო ოპერაციები, სამეცნიერო კვლევა, მშენებლობა. სუსტდება ფილტვები, ბრონქები, ხელები, მხრები.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, სასწორებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის.***

## სამშაბათი
### გეომაგნიტური დღეა

მოიმატებს ილუზიის, დეპრესიის, დაცინვის, ჭორების, ინტრიგების, ქურდობის ალბათობა. აკონტროლეთ აზრები და ფიქრები. ნეგატიური დღეა სასიყვარულო შეხვედრებისთვის, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისთვის. ატარეთ ვერცხლისფერი, ოქროსფერი, ყვითელი, კრემისფერი, ნარინჯისფერი, ნაცრისფერი ან იასამნისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ტოპაზი, ქარვა, ლალი, აკვამარინი ან ციტრონი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია კონტაქტები, მოლაპარაკებები, სავაჭრო გარიგებები, სწავლა, სამეცნიერო კვლევა, საბანკო ოპერაციები, მშენებლობა, გაცვლითი ოპერაციები. მაღალია გაციების ალბათობა. სუსტდება ფილტვები, ბრონქები, ხელები, მხრები, კუჭი.

***პოზიტიური დღეა: ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ქალწულებისთვის, თევზებისთვის.***

## ოთხშაბათი
### გეომაგნიტური დღეა

გილოცავთ ასტროლოგიური ახალი წლის დაწყებას! მეტი დრო დაუთმეთ ტრადიციებს, ოჯახს, ახლობლებს. ატარეთ ვერცხლისფერი, ნაცრისფერი, ცისფერი, იისფერი, მწვანე ან თეთრი სამოსი; ქვებიდან კი – ზურმუხტი, მთვარის ქვა, ოპალი, მალაქიტი ან მარგალიტი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს, რადგან, დიდია მათი ახდენის ალბათობა. არ ვარგა სასიყვარულო შეხვედრები, სახლის მშენებლობის დაწყება, ფულის ვალად აღება, ადგილსამყოფლის შეცვლა. სუსტდება ღვიძლი, კუჭი, მკერდი, ნაღვლის ბუშტი.

***პოზიტიური დღეა: კირჩხიბებისთვის, მორიელებისთვის, თხის რქებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ლომებისთვის, მერწყულებისთვის.***

## ხუთშაბათი
### გეომაგნიტურია დღის პირველი ნახევარი

იყავით ზომიერად აქტიური. აკონტროლეთ ხასიათში წყენა, ეჭვიანობა, ემოციურობა. დაწყებული საქმე მიიყვანეთ ბოლომდე. ატარეთ იისფერი, თეთრი, მწვანე, ვერცხლისფერი, ცისფერი ან ნაცრისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ზურმუხტი, ოპალი, ყვითელი იასპი, აქატი ან მარჯანი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს, რადგან, დიდია მათი ახდენის ალბათობა. არ ვარგა სასიყვარულო შეხვედრები, სახლის მშენებლობის დაწყება, ადგილსამყოფლის შეცვლა, სესხის აღება. მაღალია ფინანსური შეცდომების ალბათობა. კარგია ახალი ნივთების ყიდვა, ვაჭრობა, საოჯახო საქმეები, სასამართლო პროცესების დაწყება, ხელოვნებასთან კონტაქტი. სუსტდება კუჭი, მკერდი.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, ქალწულებისთვის, თევზებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ტყუპებისთვის, სასწორებისთვის, მშვილდოსნებისთვის.***

## პარასკევი

კარგია მოლაპარაკებები და განხილვები. მოიმატებს ნერვული დაძაბულობა. ატარეთ წითელი, შინდისფერი, ლურჯი, ბეჟი, ყვითელი, ოქროსფერი ან ნარინჯისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ბრილიანტი, ქარვა, მთის ბროლი ან სარდიონი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს, რადგან, დიდია მათი ახდენის ალბათობა. არ ვარგა ხელშეკრულებების დადება, ფინანსური გარიგებები, ადგილსამყოფლის შეცვლა; კარგია ახალი სამსახურის დაწყება. სუსტდება გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ლომებისთვის, მერწყულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: მორიელებისთვის, თხის რქებისთვის.***

## შაბათი

ეს არის პატიებისა და ურთიერთობების აღდგენის დღე. შესუსტებულია ნერვული სისტემა. დაიცავით სიმშვიდე. ატარეთ წითელი, შინდისფერი, ოქროსფერი, ყვითელი, ნარინჯისფერი, ლურჯი ან შავი სამოსი; ქვებიდან კი – ბრილიანტი, მთის ბროლი, ქარვა ან სარდიონი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. არ ვარგა სასიყვარულო შეხვედრები, ფინანსური გარიგებები, ხელშეკრულების დადება, ადგილსამყოფლის შეცვლა, კარგია თმის შეჭრა, ახალი ნივთების შეძენა, იურიდიული საქმიანობა, ახალი საქმის დაწყება, გართობა. სუსტდება გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი.

***პოზიტიური დღეა: სასწორებისთვის, მშვილდოსნებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის.***

## კვირა
### გეომაგნიტური დღეა

კარგია ახალი საქმის დაწყება, ფიზიკური შრომა. ატარეთ წითელი, შინდისფერი, ოქროსფერი, ლურჯი, ბეჟი, ყვითელი ან ნარინჯისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ბრილიანტი, იასპი, სარდონიქსი, ქარვა ან სარდიონი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. არ ვარგა ადგილსამყოფლის შეცვლა, სასიყვარულო შეხვედრები; კარგია მეგობრული ურთიერთობები, გართობა, მშენებლობის დაწყება, თმის შეჭრა. სუსტდება გულ-სისხლძარღვთა და ნაწლავთა სისტემები, ხერხემალი.

***პოზიტიური დღეა: ტყუპებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ქალწულებისთვის, თევზებისთვის.***

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***

# როგორ კურნავს სხვადასხვა ცხოველსა და ქვეწარმავალს გიორგი ლოლაძე და რატომ ინახავს ის გველის პერანგს

**გიორგი ლოლაძის სახლში უცნაური არსებები ბინადრობენ. საქმე ისაა, რომ ეს ასე არ ეჩვენება მასპინძელს, უფრო მეტიც, ეს არსებები, მათი გამრავლება, მათზე ზრუნვა – მისი ჰობია. „თბილისელები" ბატონ გიორგის სახლში ესტუმრა.**

**გიორგი ლოლაძე**: ჩემი და ჩემი მეუღლის, მეგის გარდა, აქ ცხოვრობენ: აფრიკული, ჯუჯა მანგუსტი, ასევე ჩიტიჭამია, ანუ გიგანტური ობობები. ჩიტიჭამია ობობები საკმაოდ დიდები იზრდებიან, თითქმის თეფშისხელები და იკვებებიან ყველაფრით...

**– საშუალება რომ მიეცეთ, ამ ჯუჯა მანგუსტს შეჭამენ?**

– ვერა, მანგუსტს ვერ შეჭამენ. მანგუსტი ისეთი სწრაფია, კობრასაც კი კლავს – მისთვის ეს თითქმის არ წარმოადგენს პრობლემას. ზოგიერთს მცდარი აზრი აქვს მანგუსტებზე, რომ თითქოს მათ კობრის შხამზე იმუნიტეტი აქვთ, მაგრამ, ეს ასე არაა, ორთაბრძოლაში მანგუსტის გამარჯვება მხოლოდ და მხოლოდ მისი სისწრაფის ხარჯზე ხდება.

**– როგორ მოხვდა თქვენთან აფრიკელი ჯუჯა მანგუსტი?**



**იცით, როგორი შხამი აქვთ ამ ობობებს?! რომ უკბენს, შხამი მსხვერპლის ორგანიზმში ადნობს აბსოლუტურად ყველაფერს – კუჭს, გულს, ნაწლავებს და კეთდება ერთი მთლიანი ფაფასავით მასა. ამის შემდეგ ამ ფაფას წოვს 12 საათი ან მეტი – გააჩნია, რა ზომისაა მსხვერპლი. წოვს, წოვს და ბოლოს მსხვერპლისგან ფიტული რჩება**

– საკმაოდ დიდი ნაცნობობა მაკავშირებს ამგვარი გატაცების მქონე ადამიანებთან. ერთ ჩემს მეგობარ ჰერპეტოლოგს აქვს შთამბეჭდავი კოლექცია. სწორედ მან მაჩუქა ეს მანგუსტი და ჩამოვიყვანე სომხეთიდან. ონისე დავარქვით. ისეთი პატარა იყო, ხელისგულზე მეტეოდა. ონისე ცელქია, სულ მოძრაობს. ჩვენი მეგობრის ბავშვი მოვიდა მის სანახავად, სიტყვა „მანგუსტი" ვერ დაუმახსოვრებია და, აქედან რომ წავიდა, მეგობრებთან თავი მოუწონებია – მუსტანგი ვნახეო.

**– ადრე გველებიც ბინადრობდნენ თქვენს სამყოფელში – ასე მახსოვს წინათ აღებული ინტერვიუდან...**

– ახლაც შემომრჩა ზოგიერთი, მაგრამ, ახლა დროებით ჩემს მეგობართან არიან – ასეა საჭირო... ამას წინათ შეჯვარების დროს ერთი პითონი მეორემ მომიკლა – მდედრმა ყელი გამოჭამა მამრს. რას ვიზამდით, სასწრაფოდ დავკალით. ოთხმეტრიანი პითონი იყო და 20 კილოგრამზე მეტი გამოვიდა.

**– სასწრაფოდ დააფასოეთ და მაცივარში შეინახეთ?**

– შევინახეთ ერთია, მაგრამ, მთელი თვის განმავლობაში მთელი სამეგობრო დადიოდა ჩვენთან სტუმრად და ხან რას ვამზადებდით ამ პითონისგან და ხან – რას.



**– ყველაზე გემრიელი რა მზადდება გველისგან?**

– გველი, ჩვეულებრივ ტაფაზე შემწვარი, მწვადივით ძალიან გემრიელია. როგორი გემო აქვს, იცით? ქათმის ხორცსა და თევზს შორის... ნიგოზშიც ჩავაწყვეთ... ყველამ სიამოვნებით მიირთვა ჩემი მეუღლის გარდა, – ჩემი გაზრდილია და პირს ვერ დავაკარებო.

**– როგორი პითონები გყავდათ?**

– ვეფხვისებური. ეს პითონები მრავლდებიან დეკემბერ-იანვარში. რომ აღარ მოხდა ჩვენი პითონების შეჯვარება, მეგობარი გვყავს ერთი და იმან გვირჩია, შიგნით, ტერარიუმში შიშველი გველების სურათები გაუკარით და, ეგებ, მაშინ მაინც მოიფიქრონ რამეო.

**– ბატონო გია, თქვენი ეს გატაცება ბავშვობიდან იღებს სათავეს?**

– რა თქმა უნდა. იყო ერთი ჰერპეტოლოგი – მიშა ბაქრაძე, ჩვენ უბნელები ვიყავით და მე ბავშვობაში გავიცანი ეს ადამიანი. ერთ მშვენიერ დღეს, შემხვდა – ბევრი გველი ჰყავდა დაჭერილი და მოდიოდა. ერთი მე მაჩუქა და ამის შემდეგ დავმეგობრდით. მე ყოველდღე მივდიოდი, რაღაცეებს ვეკითხებოდი. ისიც არ მზარდებოდა, მპასუხობდა, ყველაფერს მიხსნიდა. მერე, მეც რომ გავიზარდე, ზოგი რამ წავიკითხე, ზოგი – გავიგე, ზოგი – პრაქტიკაში და ასე მოვედი დღემდე.

**– მომიყევით, კიდევ რომელი ქვეწარმავლები და ცხოველები გყოლიათ?**

– მე ისეთი რაღაცეები მყოლია, დღესაც კი არ ჰყავთ თბილისის ზოოპარკში. საკმაოდ დიდი და კარგი კოლექცია მქონდა, 30-მდე სახეობის გველი მყავდა, მაგრამ, ერთიმეორის მიყოლებით ყველა დაიხოცა გაჭირვების წლებად რომ მოვიხსენიებთ, არც სითბო და არც სინათლე რომ არ იყო, მაშინ. ვცდილობდი, როგორმე გადამერჩინა: ტომარაში ვსვამდი, მოვუკრავდი პირს და ლოგინში ვიწვენდი, რომ როგორმე გამეთბო, მაგრამ...

**– კარგად რომ იგრძნოს თავი, რა ტემპერატურაზე უნდა გყავდეს პითონი?**

– პითონს გააჩნია. ძირითადად, გველების უმრავლესობისთვის 25-27 გრადუსი სითბო კარგია, თუმცა, არიან ისეთი პითონებიც, რომელთათვისაც ეს ტემპერატურა დამღუპველია – მათ 30-33 გრადუსი სითბო სჭირდებათ.

**– თქვენ პროფესიით ჰერპეტოლოგი ხართ?**

– არა, მოქანდაკე. ჰერპეტოლოგია და ეს ყველაფერი – ჩემი ჰობია. ერთხელ, ცირკი იყო ჩამოსული თბილისში, შოუ ჰქონდათ წყალზე – ნიანგები ჰყავდათ ჩამოყვანილი. მოულოდნელად ერთი ნიანგი ავად გაუხდათ და გამომიძახეს. ჭრილებს შორის მალამოს ვუსვამდი, ნემსებს ვუკეთებდი და გადავარჩინე. ერთხელ ვარანს (დიდი ზომის ხვლიკი, რომელიც 1,5 მეტრამდე იზრდება) ზონდი გადავაყლაპე. ისიც ცირკის სტუმარი იყო.



**– ესე იგი, ხშირად გეძახიან, როგორც სასწრაფო დახმარების ექიმს?**

– არც ისე, მხოლოდ მეგობრები და მეგობრის მეგობრები. ამას წინათ დამირეკეს – კუს ფილტვების ანთება აქვსო და ისიც მოვარჩინე.

**– როგორ დაადგინეთ?**

– წყლის კუს რომ ფილტვების ანთება დაუდგინო, ძალიან ადვილია. დამიძახეს – საჭმელს არ ჭამს, ნაკლებად მოძრაობსო... თუ წყლის კუ წყალში ჩადე და არ ჩაიძირა, ესე იგი, ფილტვების ანთება აქვს. უკანა ფეხის ბარძაყში გავუკეთე 5 ანტიბიოტიკი და გამოჯანმრთელდა.

**– რითი იკვებებიან თქვენი ოჯახის ბინადრები?**

– ჩვენი მანგუსტი, მაგალითად, მიირთმევს საქონლის გულს, საღამოს – ხაჭოს, კვერცხის ცილას, სტაფილოს, ვაშლს, ბანანს. ობობები მიირთმევენ სამო-ოთხ დღეში ერთხელ, ძირითადად, ჭრიჭინებს, თაგვებს, ტარაკნებს. მათთვის ტარაკნებს სპეციალურად ამრავლებენ და ჩვენ ვყიდულობთ.

**– ვაიმე, რა უსიამოვნოა...**

– უსიამოვნო კი არა, შარშანწინ სამხრეთ კორეაში ვიყავით და მთელ ქალაქში იყიდებოდა თაფლში შემწვარი ტარაკნები, ჩიფსებივით გატკიცინებული. ასე რომ, ჩვენი ობობები დელიკატესებს მიირთმევენ. იცით, როგორი შხამი აქვთ ამ ობობებს?! რომ უკბენს, შხამი მსხვერპლის ორგანიზმში ყველაფერს ადნობს – კუჭს, გულს, ნაწლავებს აბსოლუტურად და კეთდება ერთი მთლიანი ფაფისმაგვარი მასა. ამის შემდეგ ამ ფაფას წოვს 12 საათი, ან – მეტი, გააჩნია, რა ზომისაა მსხვერპლი. წოვს-წოვს და ბოლოს, მსხვერპლისგან ფიტული რჩება.

**– ადამიანს რომ უკბინოს?**

– სერიოზულ პრობლემას შეუქმნის. რთული გადასატანია ამის ნაკბენი; შეიძლება, ცუდადაც დასრულდეს ყველაფერი, თუ ეს ადამიანი ალერგიულია ობობის შხამზე.



მამალი ჩიტიჭამია ობობა ცოცხლობს 2 წელი, დედალი – 12. გამრავლების მომენტში, ძალიან ხშირად, დედალი ჭამს მამალს. 3-4 მამალი მაინც უნდა გყავდეს, რომ გაამრავლო, რადგან, დიდი შანსია, რომ დედალმა ყველა შეგიჭამოს. მე ცალ-ცალკე მყავს მოთავსებული.

ობობას სხეულზე აქვს ბეწვებივით ბუსუსები, რომელიც მიკროსკოპით რომ დაათვალიეროთ, ისრის ფორმისაა. ის თუ თვალში მოხვდა, სულერთია, ნებისმიერ არსებას დააბრმავებს. ამ ბეწვების საშუალებით იცავს ობობა თავს. მტაცებელი რომ უახლოვდება, ობობა უკანა ფეხით გამოიქექავს სხეულს და ეს ეგრეთ წოდებული „უხილავი ისრები" ჰაერში ტრიალებენ მის გარშემო.

**– ონისე მარტო რომაა, არ მოიწყენს, ცოლი არ უნდა?**

– როგორ არ უნდა, ცოლი ყველას უნდა... ვფიქრობთ ამაზე, ადვილი მოსაძიებელი არ არის მისთვის მეორე ნახევარი. თუმცა, ზოოპარკში ჰყავთ...

**– გველს უკბენია თქვენთვის?**

– უკბენია, მაგრამ, საბედნიეროდ, შხამიან გველს – არა. პითონებს, სანამ პატარები არიან, ხელზე რომ იჩვევ, ხშირად იკბინებიან. თუმცა, ეს არ არის პრობლემა – დაიბან საპნით და დამთავრდა.

გველის პერანგებს ვინახავ. ხშირად მეგობრები მთხოვენ – ცოტა მომიხიე, საფულეში ჩავდებ ბარაქისთვისო. მეცინება, ვეუბნები: ოთხმეტრიანი გველი მყავდა სახლში და ვერ გავმდიდრდი და, ამ პერანგის ნახევის იმედი როგორ გაქვთ-მეთქი.

**– როგორც თქვით ეს თქვენთვის ჰობია, მუდმივად რას საქმიანობთ?**

– ამჟამად ვაკეთებ ღვთისმშობლის მიძინების ბარელიეფს, რომელიც გამარჯვებაში, მამათა მონასტრის შესასვლელ კარიბჭესთან განთავსდება.

**– ძირითადად რა კითხვით მოგმართავენ, ყველაზე ხშირად, როცა ამ არსებებს ათვალიერებენ?**

– არ გეშინიაო? – მაზოხისტი ხომ არა ვარ. რომ მეშინოდეს, მოვიყვანდი?! – ეს კითხვა მაგიჟებს.

**ეკა სალაღაია**

**ქრონიკული დაავადებები, როგორც წესი, გაზაფხულზე მწვავდება და გარკვეულ საშიშროებას უქმნის ადამიანის სიცოცხლეს. გულ-სისხლძარღვთა დაავადებებიც, განსაკუთრებით გაზაფხულის სეზონზე მწვავდება. სამწუხაროდ, ის საკმაოდ გაახალგაზრდავდა და სიკვდილიანობის მხრივ, სტატისტიკურად პირველ ადგილზეა. თუ როგორ დავაღწიოთ კრიზისულ პერიოდში გულის დაავადებას თავი, როგორ ვიკვებოთ, რას მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება და ზოგადად, როგორ დავიზღვიოთ თავი შესაძლო საფრთხისგან, ამ თემებთან დაკავშირებით, კომენტარი ვთხოვეთ მედიცინის დოქტორს, ექიმ-კარდიოლოგს, ქალბატონ ლია რიგვავას.**



საკვებში გამოიყენეთ მეტი ბოსტნეული, ზეითუნის ზეთი და მიირთვით ზეთისხილი. ამით, იშემიური დაავადების შესაძლო რისკს, საგრძნობლად შეამცირებთ

# რატომ უნდა დალიოთ დღეში ერთი ჭიქა წითელი ღვინო გაზაფხულზე და როგორ უნდა დაიცვათ თავი შესაძლო გულ-სისხლძარღვთა დაავადებების გართულებისგან

**– ქალბატონო ლია, რატომ მწვავდება გაზაფხულზე გულ-სისხლძარღვთა დაავადებები და როგორ დავიცვათ თავი შესაძლო საფრთხისგან?**

– გეტყვით, რომ მთელ მსოფლიოში, გულ-სისხლძარღვთა დაავადებები სიკვდილიანობის მხრივ, პირველ ადგილს იკავებს. სამწუხაროდ, ყოველ მეორე ზრდასრულ ადამიანს აქვს გულ-სისხლძარღვთა ესა თუ ის დაავადება. განსაკუთრებით საგანგაშოა, რომ ბოლო 10 წლის განმავლობაში 34 პროცენტით გაიზარდა ამ დაავადებით გამოწვეული სიკვდილიანობა ახალგაზრდებში. რაც შეეხება გაზაფხულზე ამ დაავადების გამწვავებას, მოგახსენებთ რომ, ახლა სწორედ ის სეზონია, როცა ადამიანი მეტად აგზნებულია, აწუხებს უძილობა, უქვეითდება შრომისუნარიანობა, მეტად გრძნობს დაღლას, მწვავდება გულ-სისხლძარღვთა და კუჭ-ნაწლავის დაავადებები. საქმე ისაა, რომ ადამიანი ცხოვრობს ციკლებით, კერძოდ, სადღეღამისო, სეზონური და წლიური ციკლით. ყველა კარდიოლოგიური დაავადება ქრონიკული მიმდინარეობისაა. ქრონიკული დაავადებები კი მწვავდება გაზაფხულზე. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს: კერძოდ, ზამთრის პერიოდში მცირდება ჩვენი ორგანიზმის რესურსები და ამ სეზონზე მირთმეულ ხილსა და ბოსტნეულს ნაკლები ენერგეტიკული ღირებულებები აქვს; ზამთარში ნაკლებად ვართ სუფთა ჰაერზე და აღინიშნება ეგრეთ წოდებული, ზამთრის ჰიპოდინამია; გაზაფხულზე ძლიერდება რადიაცია; აღინიშნება ატმოსფერული წნევის მკვეთრი ცვალებადობა; ორგანიზმის გადაციება; ჰიპოვიტამინოზი და იმუნიტეტის დაქვეითება. ამიტომაც, გაზაფხულზე აუცილებელია, გამოძებნოთ დრო დასვენებისთვის, მეტი იაროთ ფეხით სუფთა ჰაერზე, იძინოთ ღამეში არანაკლებ 8 საათისა, მიიღოთ წყლის პროცედურები. გაზაფხულზე ძალიან კარგია ცურვა, წყლის პროცედურები, სველი წესით სხეულის დაზელვა. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ როცა ფიზიკურ დატვირთვას ვურჩევთ პაციენტებს, მთავარია, არა ინტენსიურობა, არამედ რეგულარულობა. ჯობია, ყოველდღიურად 20 წუთი იაროთ ან ივარჯიშოთ, ვიდრე, კვირაში ერთხელ და ერთი ან ორი საათი.

**– რომელ საკვებს უნდა მიანიჭოს უპირატესობა ადამიანმა გაზაფხულზე, რომ გულ-სისხლძარღვთა სისტემის გადატვირთვა და შესაბამისად, დაავადების გამწვავებაც აირიდოს თავიდან?**

– აუცილებელია, მუდმივად სწორად იკვებებოდეთ, მაგრამ, ამ სეზონზე განსაკუთრებით აღინიშნება კალიუმის ნაკლებობა. ამიტომ, გაზაფხულზე ძალიან მნიშვნელოვანია კალიუმით მდიდარი საკვების მიღება, მაგალითად, როგორიცაა: ბანანი, გარგარი, ქიშმიში – განსაკუთრებით მუქი ფერის ქიშმიში, რადგან ღია ფერის ქიშმიში გადამუშავების შედეგად მიიღება, რაც მასში ვიტამინებს ამცირებს. ასევე, უნდა მიირთვათ წითელი ფერის თევზი, რომელშიც შედის გაუჯერებელი ცხიმები, რაც ქოლესტერინს აქვეითებს და გულისთვის სასარგებლოა. დღეში დაახლოებით 200 გრამი თევზის მიღება სრულიად საკმარისია. უპირატესობა მიანიჭეთ არა ცხიმიან, არამედ, მჭლე საქონლის ხორცს, კანგაცლილ ქათმისა და ინდაურის ხორცს, რადგან კანში ბევრი ქოლესტერინია და რასაკვირველია, ზღვის პროდუქტებს. გარდა ამისა, ნამცხვრები, კანფეტები, ნაყინი და მურაბა შეცვალეთ სეზონური ხილით. ზოგადად, ტროპიკულ ხილსა და ბოსტნეულს, ყოველთვის ჯობია ჩვენი, ადგილობრივი ხილ-ბოსტნეული და ამას მიაქციეთ ყურადღება. დღეში მიიღეთ დაახლოებით ერთი ჩაის კოვზის ოდენობის მარილი, რადგან ის ორგანიზმში სითხეს აგროვებს, აფერხებს მის გამოდევნას და, შესაბამისად, იწვევს არტერიული წნევის მატებას. აუცილებელია, მოერიდოთ ცხიმიან საკვებს. ის ძალიან მავნებელია გულ-სისხლძარღვთა სისტემისთვის. საკვებში კი გამოიყენეთ მეტი ბოსტნეული, ზეითუნის ზეთი და მიირთვით ზეთისხილი. ამით, იშემიური დაავადების შესაძლო რისკს, საგრძნობლად შეამცირებთ.

**– ქალბატონო ლია, გამიგია, რომ ამ სეზონზე აუცილებელია ადამიანმა გულ-სისხლძარღვთა „გასაკაჟებლად", დღეში ერთი ჭიქა, ნატურალური, წითელი ღვინო დალიოს. ეს რეალურია?**

## უპირატესობა უნდა მიანიჭოთ გაზაფხულზე მწვანე ჩაის, ბანანს, ნიგოზსა და თხილს

– დიახ, ეს სიმართლეა, რადგან დღეში, სადილზე, ერთი ან ორი ჭიქა შავი, ნატურალური ღვინის მიღება ორგანიზმს აკაჟებს და გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე დადებით ეფექტს ახდენს. მასში შემავალი ნივთიერება – პოლიფენოლი, ამცირებს ეგრეთ წოდებულ, ცუდი ქოლესტერინის დონეს. თუ სხვადასხვა მიზეზების გამო, ადამიანი ღვინოს ვერ სვამს, ის შეიძლება, შეცვალოს ყურძნის ნატურალური წვენით ან მწვანე ჩაით. აქვე გასწავლით ორ ხალხურ რეცეპტს, რომელიც შინაურ პირობებში შეგიძლიათ მოამზადოთ, გემრიელიცაა და საკმაოდ აქტიურად იცავს გულს გაზაფხულზე შესაძლო რისკისგან. მოკლედ, აიღეთ 100 გრამი ქიშმიში, დაამატეთ 100 გრამი ჭერმის ჩირი, ასევე 100 გრამი ლეღვის ჩირი და გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში, შემდეგ დაამატეთ 100 გრამი ორთქლზე გამდნარი თაფლი, უმჯობესია მაისის თაფლი და მიიღეთ ყოველ დილით უზმოზე ჩაის კოვზით. ასევე, მოგახსენებთ მეორე რეცეპტს: 1 ჭიქა მაწონში გაურიეთ 1 ჩაის კოვზი დარიჩინი და მიირთვით დღის განმავლობაში. ეს ამცირებს სისხლში ქოლესტერინის დონეს. აქვე დავამატებ, რომ კუჭ-ნაწლავის დაავადებიანმა პაციენტმა ამ რეცეპტის სისტემატიურად მიღებისგან თავი უნდა შეიკავოს. შინაურ პირობებში დამზადებული ეს გემრიელი წამლები ექიმის რეკომენდაციის გარეშე არ უნდა მიიღოს. ასევე, უნდა მოერიდოს ისიც, ვისაც შაქრიანი დიაბეტი აწუხებს.

**– ჩვენი წინაპრები, გულის დასაცავად, განსაკუთრებით გაზაფხულზე, აქტიურად მიირთმევდნენ ნიგოზს. ესეც იცავს გულს შესაძლო დაავადებისგან?**

– დიახ, ნამდვილად ასეა. ნიგოზი და ამასთანავე, თხილიც, ძალიან სასარგებლოა გულისთვის. ის ამცირებს ქოლესტერინს. ამით კი აძლიერებს და ხელს უწყობს გულ-სისხლძარღვთა სისტემის ნორმალურ მუშაობას. მაგალითად, ბაჟე უფრო სასარგებლოა, ვიდრე საცივი, რადგან საცივში ნიგოზი უკვე გადამუშავებულია და კარგავს დადებით თვისებებს. მინდა გითხრათ, რომ სამწუხაროდ, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების შორს წასული ფორმები, საკმაოდ ხშირად აღინიშნება ახალგაზრდებში. ამიტომ, ჩემი რჩევაა, წელიწადში ერთხელ კარდიოგრამა გადაიღოთ, გაიკეთოთ სისხლის საერთო ანალიზი და ზოგადად, ჩაიტაროთ პროფილაქტიკური გასინჯვა. ამით თავსაც დაიზღვევთ და პატარა პრობლემის შემთხვევაშიც, ადვილად დაამარცხებთ იმ დაავადებას, რომელიც მომავალში შესაძლოა, სიცოცხლისთვის სავალალო აღმოჩნდეს. გულის არეში ტკივილის დროს, ბევრი, ექიმთან კონსულტაციის გარეშე, თვითნებურად იღებს წამლებს. რასაკვირველია, ეს არ შეიძლება. რადგან გული თუ „სიგნალს" იძლევა, ესე იგი, ის თქვენგან დროულ ყურადღებას ითხოვს და ეს არ უნდა მიაყურადღოთ.

**ნონა დათეშიძე**

# ბრძნული აზრები

**მორისონი**: ვინც აკონტროლებს მედიას, აკონტროლებს გონებებს.
**ცვაიგი**: ვისაც ნიჭი არ ჰყოფნის, დანაკლისს თვითკმაყოფილებით ინაზღაურებს.
**კომენსკი**: დროის ბრძნული განაწილება მოქმედების საფუძველია.
**ჰუსი**: იკითხე და ვერ გაიგო. იგივეა, არ იკითხო.
**პროპერციუსი**: ცუდად დასაბუთებული ან ხელაღებით უარყოფა ნიშნავს საკუთარი უვიცობის ან გონებრივი შეზღუდულობის აღიარებას.
**ჩინგისხანი**: რას იტყვიან ჩემზე ბრძენკაცები? ბევრი ხალხი დახოცაო? მაშ, როგორ დამეპყრო უსისხლოდ ქვეყნები?
**ჰელვეციუსი**: ჭეშმარიტების სიყვარული – ყველაზე უფრო ხელსაყრელი პირობაა მის საპოვნელად.
**ჰესიოდე**: ჭეშმარიტად დიდია ადამიანი, რომელმაც შეძლო თავისი დროის დაპატრონება.
**პითაგორა**: ნუ დაგვპირდები, ისე გააკეთე დიადი.
**ლერმონტოვი**: დარდი – სასტიკი მბრძანებელია.
**ბელინსკი**: სულელთა შორის მოხვედრილი ჭკვიანი ყოველთვის უცნაურად გამოიყურება.
**პიროგოვი**: ბავშვზე რომ სწორად და სამართლიანად ვიმსჯელოთ, ის კი არ უნდა ვაიძულოთ ჩვენს სფეროში შემოვიდეს, არამედ ჩვენ უნდა შევიდეთ მის სულიერ სამყაროში.
**დოსტოევსკი**: ეგოისტები ჭირვეულნი და ლაჩრები არიან, სძაგთ ყოველგვარი მოვალეობა.
**იეთიმ გურჯი**: იქ სიმართლეს რა უნდა, სადაც ბევრი ფულია!
**ავრელიუსი**: სიკეთის გზაზე დაბრკოლება ძალას მანიჭებს... ნათელი გზა ხშირად იქ გამოჩნდება, სადაც არავითარი გამოსავალი არ ჩანდა.
**ლაბრიუიერი**: შეიძლია, დაბეჯითებით განვაცხადო, რომ კაცი მაღალ და წარჩინებულ მდგომარეობას უფრო იოლად მიაღწევს, ვიდრე მას შეინარჩუნებს.
**პრაუსი**: დიდი კარიერა არის ცხენი, რომელიც მარადისობის კარიბჭეს უმხედროდ აღწევს.
**ჰეზლიტი**: გენიასა და ხელოვნებას ლუპავენ წესები და ნიმუშები.
**ტურგენევი**: კიცხვისა და გმობის უფლება მხოლოდ მას აქვს, ვისაც უყვარს.
**მონტესკიე**: არასოდეს ამოწურო საგანი იმ ზომამდე, რომ მკითხველს საზრუნავი აღარაფერი დარჩეს. მთავარი ის კი არაა, რომ აიძულო იკითხოს, არამედ ის, რომ აიძულო იფიქროს.
**ეჟი ლეცი**: ისტორიიდან თუ ამოვილებთ ტყუილებს, სულაც არ ნიშნავს, რომ სიმართლე დარჩება. შეიძლება, არც არაფერი დარჩეს.
**დრაიზერი**: მანკიერების მონაა უკვე ის, ვინც მასთან მოლაპარაკებას მართავს.
**კარნეგი**: სიკეთეს რომ სჩადიხართ, მადლიერებაზე ნუ ფიქრობთ, თუ თქვენ გსურთ ეზიაროთ ბედნიერებას, შეწყვიტეთ ფიქრი მადლიერებასა და უმადურებაზე.
**შამფორი**: ქალს ან სძულს ან უყვარს. მესამე გრძნობა არ გააჩნია.
**ლემბკე**: ქალი ისე უნდა იყოს ჩაცმული, რომ მისი გახდა გესიამოვნოს.

# თუ გამოიცნობთ

1. ახლა ამ სიტყვის ხსენებაზე აუცილებლად მაღალი რანგის მეცნიერები გაგვახსენდება. ძველ საბერძნეთსა და რომში კი ასე ერქვა მცირე წვეულებას მუსიკითა და გართობით. **დაასახელეთ ეს სიტყვა.**

2. ეს ინერტული აირი მეოცე საუკუნის დასაწყისში ბელგიელმა სვარტმა აღმოაჩინა. ის ქიმიურად პასიურია, დაბალ ტემპერატურაზე დუღს და ამიტომაც, აქტიურად გამოიყენება, ოღონდ, უარყოფითად მოქმედებს ჩვენი პლანეტის ატმოსფეროზე. **რომელი გაზი?**

3. შუა საუკუნეებში სწორედ ეს მეცნიერება ითვლებოდა „შვიდ თავისუფალ ხელოვნებას" შორის ყველაზე რთულად, რის გამოც მას ხშირად გამოსახავდნენ დედოფლის სახით, შეცდომების აღმოსაფხვრელად ხელში დანითა და შოლტით. **დაასახელეთ ის.**

4. **რა ერქვა** შუა საუკუნეებში საქალაქო ერთობას, რომელიც ილებდა სიგელს, რაც მის დამოუკიდებლობას არეგულირებდა, მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეებში კი სხვადასხვა დაბოლოებითა და ინტერპრეტაციით მოგვევლინა.

5. ის აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ... ალბათ, ამიტომ დაარქვეს სახელად ეს სიტყვა შუა საუკუნეების საფრანგეთში კოჭებით თამაშის ერთ-ერთ სახეობას. **რა სიტყვა?**

6. მათ შუა საუკუნეებში „თეატრებს", „მიმოხილვებს" ეძახდნენ. 1595 წელს ჰერარდ მერკატორმა გეოგრაფებს შესთავაზა, მათთვის მითოლოგიური გმირის სახელი დაერქმიათ. ასე ვუწოდებთ მათ დღესაც. **დაასახელეთ ეს მითოლოგიური გმირი.**

7. ეს ტერმინი, რომელმაც მანამდე გამოყენებული სიტყვები – „ექსპედიცია" და „გზა წმიდა მიწისკენ" შეცვალა, პირველად ისტორიკოსმა ლუი მემბერმა შემოიღო – 1675 წელს გამოცემულ თავის წიგნს სახელად ზუსტად ამ ისტორიული მოვლენების სახელი უწოდა. **რა?**

8. გასული საუკუნის 30-იან წლებში ფირმა „დიუპონმა" შექმნა მასალა, რომელსაც კბილის ჯაგრისზე ღორის ჯაგარი უნდა შეეცვალა. თუმცა, შემდეგ აღმოჩნდა, რომ ის საკმაოდ მოსახერხებელი იყო წინდების, ტანსაცმლისთვის ქსოვილის დასამზადებლად, მოგვიანებით – სხვადასხვა წარმოებაში გამოსაყენებლად. **დაასახელეთ, რამ შეცვალა ღორის ჯაგარი?**

9. დედოფალ ანას მმართველობის პერიოდში ინგლისი საფრანგეთს ებრძოდა. სწორედ ამ წლებში ინგლისში მკვეთრად მოიმატა ალკოჰოლიკთა რაოდენობამ. **რატომ?**

10. 1852 წელს თურქეთის სულთანს მორზეს სატელეგრაფო აპარატი აჩვენეს. სულთანი ნანახით აღფრთოვანდა და მორზეს მაშინვე მიანიჭა ორდენი და მაღალი წოდება. **რა წოდება მიიღო ამერიკელმა მხატვარმა-გამომგონებელმა?**

*პასუხები იხილეთ 69-ე გვერდზე*

# მხოლოდ ფაქტები

* ლათინური სიტყვა – „კრედიტი" – ნდობას ნიშნავს.
* ქალაქის პოლიცია პირველად ლონდონში დააარსა ვინმე რობერტ პალმა, 1829 წელს.
* ბაბილონური ღმერთი, რომელიც დედამიწის თავდაპირველ მფარველად ითვლებოდა იყო... ცა.
* ბრუტუსი – ბრიყვი, – ასეთი მეტსახელი მიიღო მეფე ტარკვინიუს სუპერბუსისგან (ამაყისგან) რომაელმა ახალგაზრდამ, ლუციუს იუნიუსმა. იგი ცდილობდა, გადაერჩინა საკუთარი სიცოცხლე და თავს შეშლილად ასაღებდა. მოგვიანებით მან რომში რესპუბლიკა დაამყარა. ის იულიუს კეისრის მკვლელის, ასევე იუნიუს ბრუტუსის პირდაპირი შთამომავალი იყო.
* „ამფორას" ბერძნები ორსახელურიან ქურჭელს ეძახდნენ.
* პირველი საბჭოთა ჟურნალი იყო „ჩრდილოეთის ნათება". მისი რედაქტორი ცნობილი მწერლის, მაქსიმ გორკის შვილი ალექსეი გორკი იყო.
* საავტომობილო ფირმა „ფერარის" ქარხნებსა და დაწესებულებებს „საჯინიბოებს" ეძახიან.
* ვანადიუმი – ძველი სკანდინავიური სილამაზის ქალღმერთის სახელი ამ ლითონმა თავისი მარილების ლამაზი ფერების გამო მიიღო.
* ბერძნულად „ანათემა" – „წყევლას" ნიშნავს.
* პოლ მაკარტნი ცაცია იყო და გიტარაზე დაკვრაში სარკის დახმარებით მეცადინეობდა.
* 1808 წელს ესპანეთში ბრუნვაში შემოსულ მონეტას მცირე ზომის გამო პესეტა დაერქვა (პესო – პესეტა).
* 1810 წლის სექტემბერში ესპანეთში, ქალაქ კადისში შეკრებილ პარლამენტში, კონსტიტუციური მონარქიის მომხრეების პარტიამ მიიღო სახელი – ლიბერალები.
* ფრანგული პროვინციის – დოფინეს ყოფილ მფლობელთა გერბზე გამოსახული იყო... დელფინი.
* სეგუნი – ასეთი ჩინი ენიჭებოდათ შუა საუკუნეების იაპონიაში სადამსჯელო რაზმების მეთაურებს.
* „ჰალვა" – არაბულად „ტკბილეულს" ნიშნავს.
* გვიან შუა საუკუნეებში ევროპა და რუსეთი ქალაქ მეჰელენში (მალინში) დამზადებული ზარებით მარაგდებოდა.
* ცოლთან ნაჩხუბარი ლევ ტოლსტოი სახლიდან წამოვიდა და რკინიგზის სადგურზე გაიყინა.
* ქალაქ დალასში არსებობს კენედის მუზეუმი.

## შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**
**1. ლc3-c5!**
**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**




ქალს ყველაფერი ლამაზი უნდა ჰქონდეს, სული, აზრები, ისიც, რაც თქვენ გაიფიქრეთ... კი, კი, ერთიც და მეორეც.

***

ოლიგარქი ზღვის სანაპიროზეა. ხედავს ოქროს თევზია, ჩაყო ხელი და ამოიყვანა:




– აბა, მომიგონე სამი სურვილი...

***

ორი ბიჭი საუბრობს.

– როცა შინ ვაგვიანებ, მამა ქამრით მცემს.

– მე – არა.

– როგორ ახერხებ?

– როცა მამა ქამარს იხსნის, შარვალი ძვრება... და დედა კიდევ ნახევარი საათით მიშვებს გასართობად.

***

ქმარი გვიან ბრუნდება შინ.

– ვერაფრით მიხვდები სად ვიყავი...

– მიხვედრით კი მივხვდები, მაგრამ ჯერ შენს ვერსიას მოვისმენ.

***

ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ისმის ყვირილი პალატიდან:

– მე ღვთის მოციქული ვარ დედამიწაზე!

ხმა მეორე პალატიდან:

– მე არავინ გამომიგზავნია?!

***

ალკოჰოლს საბოლოოდ ვუთხარი „არა“, მაგრამ არაფერი ესმის.

***

– ქალო, კუტუზოვმა მოსკოვი დაწვა და გმირია, მე კი მხოლოდ ერთი ტაფა კარტოფილი დამეწვა და შტერი, მოუხერხებელი და ხელჩოგანა ვარ?!

***

გადმოდგა გორაზე გოლიათი სვანი და ხმამაღლა იძახის:

– აბა, ათი მეგრელი, ვისაც გული გერჩით, ამოდით, შევებათ ერთმანეთს.

შეგროვდა ათი მეგრელი და ავიდნენ. ორი დღის შემდეგ ისევ გადმოდგა ის გოლიათი.

– აბა, ვისაც არ შეგეშინდათ... ათ მეგრელს ვიწვევ, ამოდით, შევებათ.

კიდევ შეგროვდა ათი მეგრელი, ავიდნენ... ორი დღის შემდეგ ისევ გადმოდგა გოლიათი.

– აბა, შემდეგი ათი მეგრელი!




ამ დროს გორაზე გადმოფორთხდა ერთი გადარჩენილი მეგრელი და ყვირის:

– არ ენდოთ, გვატყუებს, ჩასაფრებააა... იქ კიდევ ორია!

***

საფოსტო განყოფილებაში მაგიდასთან მოკალათებულა მამაკაცი. წინ გულებით ლამაზად გაფორმებული ღია ბარათების მთელი მთა დაუხროვებია და სათითაოდ სვამს შტამპებს: „სიყვარულით... გამოიცანი, ვინ ვარ“, შემდეგ სუნამოს აპკურებს... დაინტერესდა ერთი მამაკაცი, მიუახლოვდა და ეკითხება:

– ხომ ვერ ამიხსნით, რას აკეთებთ?

– წმიდა ვალენტინობას ვულოცავ ქალბატონებს.

– კი მაგრამ, რამდენს?

– მე ხომ ადვოკატი ვარ და განქორწინებაზე ვმუშაობ.

***

სამხედრო ქვედანაყოფში სადღესასწაულო თარიღს აღნიშნავენ.

გენერალი ამბობს:

– მოდი, ჯანმრთელობის სადღეგრძელო დავლიოთ.

– არა, იღბალს გაუმარჯოს! – წამოდგა მაიორი.

– დაჯექი, მაიორო, შენ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხარ და არ იცი, ჯანმრთელობის ფასი. აი, მე გუშინ, ისეთი იღბალი შემხვდა, მაგრამ.... ჯანმრთელობა არ მეყო.

***

ბადროს მტყორცნელების შეჯიბრებაა. ერთი მეორეს ეუბნება:

– დღეს ძალიან უნდა მოვინდომო, ტრიბუნაზე, მეათე რიგში ჩემი სიდედრი ზის.

– ტყუილა ეცდები.... მაინც ვერ მიაწვდენ.

***

სვანს შვილი ურეკავს:

– მამა, გავთხოვდი.

– არაფერი არ ვიცი, დაღამებამდე სახლში უნდა იყო.

***

მიდის ტიპი კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან, სამსახურში ამიყვანეო. რა შეგიძლიაო. ცხოველების ენა მესმისო. მივიდა ძროხასთან.

– მუუუ...

– მუუუ... პასუხობს ძროხა.

– ძროხა ამბობს, 15 ლიტრი რძე მოვიწველე, მწველავმა 10 ლიტრი გააფორმა, 5 სახლში წაიღოო.

შეამოწმეს, მართალი გამოდგა.

მივიდა ღორთან.

– ღრუტ...

– ღრუტ... გამოეპასუხა ახლა ღორი.

– ღორი ამბობს, 7 გოჭი მოვიგე, მეღორემ 5 გააფორმა, 2 სახლში წაიყვანაო.

მივიდნენ მის საღორეში – მართალი აღმოჩნდა.

– კარგი, აგიყვან სამსახურშიო.

და გაუდგნენ კანტორისკენ გზას. შემოხვდათ ვირი, დაინახა ესენი და დაიწყო ყროყინი.

– არ დაუჯერო, ერთხელ იყო და ისიც სიმთვრალეში, – ხელები გაასავსავა თავმჯდომარემ.

***

ქალური ლოგიკა იმისთვის შეიქმნა, რომ არიოს კაცის ფსიქიკა.

***

ვეტერინარულ კლინიკაში მამაკაცი რეკავს:

– ნახევარ საათში თქვენთან ჩემი სიდედრი ძაღლს მოიყვანს. თუ შეიძლება, ისეთი ნემსი გაუკეთეთ, რომ არ იწვალოს და მაშინვე მოკვდეს.

– კი, მაგრამ, ძაღლს ვინ წაიყვანს?

***

კლასში დირექტორი და ახალი მასწავლებელი შედიან.

– გლობუსზე პრეზერვატივი ვინ ჩამოაცვა? – კითხულობს დირექტორი.

– რა არის გლობუსი?

– ამას თქვენი ახალი გეოგრაფიის მასწავლებელი აგიხსნით.

***

ქმარი დილას ბრუნდება სახლში.

– იცი, საყვარელო, ბიჭებმა გადავწყვიტეთ, სადმე ფეხბურთის საყურებლად წავსულიყავით.

– ჩემო სუპერმენო!




– მერე მოგვშივდა...

– ჩემო სუპერმენო!

– ცოტა დავლიეთ...

– ჩემო სუპერმენო!

– რა სუპერმენი აგიტყდა, რატომ ვარ სუპერმენი?

– ტრუსებს შარვალზე მხოლოდ სუპერმენები იცვამენ.

***

– ვინ არის სიდედრი?

– მისი დედა...

# მკაცრი მწვრთნელი და თმაში დამალული სიგარეტები

1968 წელია. ბათუმის „დინამოს“ ღირსებას ვიცავ. საერთოდ, გურული ბიჭები სტარტს ხშირად ბათუმის „დინამოში“ ვიღებდით და ფინიში თბილისის „დინამოში“ გვქონდა.




მკაცრი მწვრთნელი გვყავდა და, როგორც წესი, დალევა-მოწევას კატეგორიულად გვიშლიდა. მე ისედაც არ ვიყავი სმის მოყვარული, ოღონდ სიგარეტს ვერა და ვერ ველეოდი. მიუტანეს ამბავი მწვრთნელს – ჩვენი კაპიტანი ეწევაო. ვერ იქნა და ფაქტზე ვერ დამიჭირა. ყოველ შეხვედრაზე მიჩხრეკდა ჯიბეებს, მაგრამ, უშედეგოდ. როგორ წარმოიდგენდა, რომ კონსპირაციული სამალავი მქონდა! გაგიმხელთ: ორ-სამ ღერ სიგარეტს ჩაის ბუჩქივით აბიბინებულ თმაში ვმალავდი.

ერთხელაც, შემხვდა გასასვლელში და გამაჩერა:

– ვახო, ხომ იცი, ხვალ რა მაგარი თამაში გვაქვს?

– დიახ, პატივცემულო, – ცოტა შორს დავდექი – ახალი მოწეული მქონდა და სუნი რომ არ ეგრძნო.

– აბა, შენ იცი, მობილიზებული იყოს მთელი გუნდი!

– დიახ, პატივცემულო, – გავიხედე გვერდზე და ისე ვპასუხობ.

ცოტა არ იყოს, შეეჭვდა, ძალიან მარიდებს თავსო და უფრო მომიახლოვდა.

– ხომ გასაგებია ყველაფერი? – ჩამეკითხა ჯიბრიანად. ახლა ხმა რომ ამოვიღო, ახლოსაა და აუცილებლად „მოწვავს“ სიგარეტის სუნს, – გავიფიქრე და თანხმობის ნიშნად, რომ ყველაფერი გასაგები იყო, ენერგიულად დავუქნიე თავი და... უცებ თმაში ჩამალული სიგარეტები მწვრთნელის ფეხებთან არ დაცვივდა?!

იმ დღიდან, კვირაში ერთხელ მაიძულებდა, თმა გამეკრიჭა...

**თბილისის „დინამოს“ ვეტერანი ფეხბურთელის ვახტანგ ქორიძის ნაამბობის მიხედვით მოამზადა**
**მურმან მერკვილიშვილმა**

# რატომ დაიწუნეს ჩინელი ბიჭი კანის ფერის გამო სამსახურში

გამარჯობა, დედა, როგორ ხარ? ძალიან მენატრებით ყველა. მე არა მიშავს, ძველებურად, ჩვენებურ იაფფასიან რაღაცეებს ვყიდი ძვირად.

დედა, მე გადავწყვიტე, რომ ვაჭრობისთვის თავი დამენებებინა და მუშაობა დამეწყო სადმე. შემოსავალი, ალბათ, ნაკლები იქნება, მაგრამ, სამედიცინო ხარჯებიც შემცირდება – ისე ხშირად აღარ მცემენ.

საქართველოში სამსახურის მოძებნა ძალიან ძნელია – მინიმუმ სამწლიანი სამუშაო გამოცდილება უნდა გქონდეს იმ პოზიციაზე, რაზეც გინდა, რომ მუშაობა დაიწყო. ამიტომაც, აქ ბიჭები ძირითადად დაცვაში მუშაობენ და ხელფასი ორი დღეც არ ჰყოფნით. გოგოები ცდილობენ, ფიარმენეჯერად დაიწყონ მუშაობა, მაგრამ, ვერ იწყებენ. ასაკოვანი კაცები ძირითადად ტაქსის მძღოლებად მუშაობენ, ქალები კი ბაზარში ვაჭრობენ. მოსახლეობის ნაწილი ქვეყნიდან არის წასული ევროპაში. ქალები, ძირითადად, მოხუცებს უვლიან, კაცები კი ტანსაცმელს იპარავენ სუპერმარკეტებში. პასპორტის გარეშე ძალიან ჭირს სამსახურის მოძებნა. ნეტავ ქართველებივით ვიყოთ ჩინელები. ესენი, თურმე, საზღვრებს გარეთ თუ შეხვდებიან თავისი ქვეყნიდან ვინმეს, აუცილებლად თავისთან მიჰყავთ და ეხმარებიან. თუმცა, ეს ყველაფერი მერე დიდი ჩხუბითა და გინებით მთავრდება ხოლმე. სადაც მივედი, ყველგან უარით გამომისტუმრეს. რატომღაც, ყველას ბინძური ვგონივარ ჩემი კანის ფერის გამო, არადა, თვე არ გავა, რომ არ ვიბანაო.

ვიფიქრე, მეც დაცვაში ხომ არ ვიმუშაომეთქი და ერთ-ერთ ფირმაში მივედი, მაგრამ, ვიღაც ძალიან დიდი და მსუქანი კაცი დამხვდა და ასე მითხრა: შენ ვინ უნდა დაიცვა, შენ თვითონ დასაცავი ხარ, შე უბედუროოო. მე მოვატყუე, კარატისტი ვარ-მეთქი – აქ ყველა ჩინელი კარატისტი ჰგონიათ. დაფიქრდა და მითხრა, კარგი, ერთი დღით




აგიყვანო. მომცეს ფორმა და ხელკეტი და რომელიღაც რესტორანში გამიშვეს ღამით. სამი საათიც არ იყო გასული ჩემი სამსახურის დაწყებიდან, რომ ვიღაც მთვრალებმა მაგრად მცემეს. კარატე რომც მცოდნოდა, იქ მაინც ვერაფერს ვიზამდი, იმიტომ რომ რესტორანში მთვრალი ქართველები ძირითადად ცარიელი ბოთლებითა და დამტვრეული სკამის ფეხებით ჩხუბობენ. მოკლედ, მკურნალობის ნაცვლად იმ დღესვე გამომაგდეს სამსახურიდან. უფროსმა მითხრა, – ბრუს ლი ხარ თუ კონფუცი, ექვსი კაცი როგორ მოგერიაო.

მშენებლობაზე მივედი და ასე მითხრეს, აგურზე დიდი რომ გაიზრდები, მერე მოდიო. მე ხომ თმის შეჭრა ვიცი და სილამაზის სალონში მივედი. ადმინისტრატორმა ვიღაც გამხდარ გოგოზე მიმითითა და მითხრა, ამას თუ მოერევი ჭიდაობაში, აგიყვანთო. ავდექი და გამოვბრუნდი. იმ გოგოს კი მოვერეოდი რამენაირად, მაგრამ, მერე აუცილებლად მისი ძმა ან ქმარი მცემდა.

რაღაც ფირმაში მივედი – დამლაგებლად ვიმუშავებ-მეთქი, მაგრამ, ასე მითხრეს, შენ თვითონ ვერ ხარ დალაგებულიო.

ტაქსის მძღოლად რომ დაიწყო მუშაობა, მართვის მოწმობა და ორი უმაღლესის დიპლომი უნდა გქონდეს თურმე, მე კი არც ერთი არ მაქვს.

დედა, გადავწყვიტე, ისევ ვაჭრობა გავაგრძელო, მეტი გზა არ არის. თანაც, ფული გვაქვს მოსაგროვებელი, ხუნხუა იმ ქართველის ცოლად მოყვანას აპირებს და, ლეიბი და საბანი უნდა ვიყიდოთ, რომ ის გოგოც დავაწვინოთ სადმე. ადგილი კი გვაქვს – ლუსი თავის მასაჟის სალონში გადავიდა საცხოვრებლად და თავისი ლეიბი და საბანი თან წაიღო. ხუნხუას შეყვარებული გავიცანით. კარგი გოგოა, არც იგინება და არაფერი. სტუდენტია, რომელიღაც პროვინციის სოფლიდან ჩამოვიდა თბილისში და, თურმე, თავის სოფელში ამაყობს, უცხოელს მივყვები ცოლადო. დედა, აქ, როგორც იცი, უცხოელები არ უყვართ, მაგრამ, თუ გოგო ცოლად მიჰყვება, ყველას უხარია. არ ვიცი, რატომ.

ეს არის სულ, დედა. დანარჩენს მერე მოგწერ. ძალიან მენატრებით. გკოცნით.

**თქვენი ტობი ვონგი**




ISSN 1987-569X
9 771987 569002